



პანკლემ ინტორჩოვსა

ახალი ქართული
ლიტერატურის
ფუძემდებელი




Г 1
83.3 Гр1
899.962.1.09
o 546

პავლე ინგოროყვას წინამდებარე კრებულში შესულია ავტორის ცნობილი მონოგრაფიები: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“—რომელსაც თან ერთვის სპეციალური ნარკვევი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერებთან“, „ილია ჭავჭავაძე“, და „აკაკი წერეთელი“.



ნიკოლოზ
გაჩაიაშვილი



ნიკოლოზ ბარათაშვილი

I

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი, დიდი ტრადიციების მქონე ლიტერატურის ისტორიაში ნიკოლოზ ბარათაშვილს საპატიო ადგილი მიეკუთვნება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი არის ფუძემდებელი ახალი ქართული ლიტერატურისა, რომელიც შეიქმნა მე-19 საუკუნეში, ქართველი ხალხის ისტორიის ახალ ვითარებაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი არის გენიალური პოეტი. ამასთან ნიკოლოზ ბარათაშვილს დიდი როლი ეკუთვნის ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება, „ბედი ქართლისა“ და „მერანი“, არის ნიშანსვეტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა მე-19 საუკუნის საქართველოში.

ჩვენ აქ შევისწავლით პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

* * *

ხანმოკლე იყო პოეტის სიცოცხლე.

ყრმაო პოეტო, უღმრთო იყო შენი სიკვდილი,
ვინ უწყს, რავედნი საუნჯენი დაკარგეთ ჩვენა!..

მაგრამ რჩეულთათვის არ არსებობს წლების სათვალავი; არ არსებობს წლების სათვალავი ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის, ისევე როგორც არ არსებობს შელისა და კიტისისათვის, როგორც ლერმონტოვისათვის, როგორც პეტეფისათვის. პოეზიის მზე ამ რჩეულთა ანათებს სრული ნათელით.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახე რჩება პოეზიაში, როგორც ჭაბუკისა, თავგანწირული მხედრისა, რომელიც თავისი მერა-

ნით გადასკრის ბედის საზღვარს, რათა მოძმესა მისსა „სიძნელე გზისა გაუადვილდეს“, რომელიც „ვარსკვლავთა თანამავალთა“ ამცნობს გულისა საიდუმლოს.

ბარათაშვილის სახე რჩება პოეზიაში, როგორც ახალგაზრდა ავთანდილისა, რომელიც ველად არის გაჭრილი და მოვლის მსოფლიოს ტყვეობაში მყოფი ნესტან-დარეჯანის სახსნელად, რომელიც ასევე „ვარსკვლავთა თანამავალთა“ ესაუბრება ბუნებისადმი მიმართული ჯადოსნური სიმღერით.

* * *

ილიას სიტყვები — „ვინ უწყს, რაედენი საუნჯენი დაეკარგეთ ჩვენა“, — კერძოდ, იმითაც არის გამართლებული, რომ ბარათაშვილის პოეტური შემკვიდრობა, როგორც ირკვევა, სრულად არ შენახულა.

თუ რა ვითარება შეიქმნა ქართული კულტურისათვის მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ცარიზმის მიერ, შესაძლოა წარმოვიდგინოთ იმის მიხედვითაც, რომ უდიდესი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწერებს არც კი ღირსებია დაბეჭდვა მის სიცოცხლეში. მას შემდეგ, რაც 1832 წლის შეთქმულება დამარცხდა და ქართველ მწერალთა მთელი პლეადა (ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ორბელიანი და სხვანი) საქართველოდან გადაასახლეს, საქართველოში უმკაცრესი ცენზურული რეჟიმი გამეფდა. 30-იანი წლების მეორე ნახევარსა და 40-იან წლებში საქართველოში თითქმის შეწყდა ქართული წიგნების ბეჭდვა. კერძოდ, შეწყდა არსებობა ქართული პრესისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სოლომონ დოდაშვილი (მეთაური 1832 წლის შეთქმულებისა, რომელიც, როგორც მოვიხსენეთ, ასევე გადასახლებაში გაიგზავნა, სადაც იგი დაიღუპა კიდეც).

აი ასეთ ხანაში მოუხდა მოღვაწეობა ნიკოლოზ ბარათაშვილს. ბარათაშვილის ნაწერები საქართველოში ხელნაწერთა სახით ვრცელდებოდა და მან დიდი საზოგადოებრივი გამოხმაურება პოვა პოეტის სიცოცხლეშივე.

ჩვენს დრომდე შენახულა პოეტის ხელით გადაწერილი მისი ლექსების რამდენიმე კრებული (ხელნაწერი გამოცემები; სულ მოღწეულა ექვსი ხელნაწერი გამოცემა 1841—1843 წლები-სა). უკანასკნელი მათგანი გადაწერილია 1843 წლის მეორე ნახევარში. ხოლო ავტოგრაფიული კრებულები ბოლო პერიოდისა, 1844—1845 წლებისა, აღარ მოიპოვება. პოეტის ხელნაწერები დაიკარგა და განიავდა უცხოეთში, სადაც ნ. ბარათაშვილი იძულებული გახდა წასულიყო 1844 წლიდან და სადაც იგი გარდაიცვალა 21 ოქტომბერს 1845 წლისა მშობელ-ნათესავთაგან და მეგობართაგან დაუტირებელი.

დაკარგულია, კერძოდ, ნ. ბარათაშვილის პოემა „ივერიელი“ ნი“, რომელიც „ბედი ქართლისა“-ს შემდეგ იყო დაწერილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი ბიოგრაფი, ახლო მეგობარი პოეტისა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე კ. შამაცაშვილი, გადმოგვცემს შემდეგ მნიშვნელოვან ცნობას:

„ბევრი იმისი [ნიკოლოზ ბარათაშვილის] ლექსები დაკარგულნი არიან, რადგან დაბეჭდვა იმათი მაშინ არ შეიძლებოდა. მე მახსოვს იმისი დიდი პოემა, რომელიც ჩემთვის წაუკითხავს, — „ივერიელი“. ამ პოემაში აღწერილი იყო აყვავებული ცხოვრება მე-10, 11, 12 საუკუნეებისა...“

ამრიგად, „ივერიელი“ დიდი პოემა ყოფილა. ამასთან იგი იმდენად თავისუფალი სულით ყოფილა აღბეჭდილი, რომ, კ. შამაცაშვილის ფრთხილად თქმული სიტყვების თანახმად, დაბეჭდვა იმისი „მაშინ არ შეიძლებოდა“.



აქ, წინასწარ რამდენიმე შენიშვნა აგრეთვე ერთ საკითხზე — ნ. ბარათაშვილის პორტრეტის შესახებ. აქაც კი გულდასაწყვეტი ამბავია.

როდესაც ხელში ვიღებთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ძვირფას წიგნს, ჩვენ მოკლებულნი ვართ სიამოვნებას, ვიდრე გადავფურცლავდეთ დიდი პოეტის ლექსებს, დავხედოთ თვით პოეტის სახეს. ბარათაშვილის დოკუმენტური სურათი არ შენახულა.

პოეტის პორტრეტს უცნაური ბედი ეწია. ბარათაშვილის ნამდვილი სურათები თავის დროზე არსებულა, მაგრამ ზოგი მათგანი მეგობართა დაუდევრობის გამო დაკარგულა, ხოლო უკანასკნელი სურათი ფათერაკის მსხვერპლი გამხდარა.

1846 წელს, ე. ი. ბარათაშვილის გარდაცვალების მეორე წელს, პოეტის მეგობრებს განუზრახავთ ბარათაშვილის ნაწერების გამოცემა. ამის შესახებ ბარათაშვილის ამხანაგი და გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი ლევან მელიქიშვილი სწერს პოეტ გრიგოლ ორბელიანს: „ეხლა ვკრებთ განსვენებულის (ნ. ბარათაშვილის) ყველა ნაწერებს: ისინი დაიბეჭდება ერთ წიგნად, რომელსაც დაერთვის მისი პორტრეტი“¹. მაგრამ ბარათაშვილის ნაწერების ეს გამოცემა აღარ გამოვიდა და პოეტის სურათიც დაუბეჭდავი დარჩა.

შემდეგ, 60-იან წლებში, ილია ჭავჭავაძეს უნახავს ნ. ბარათაშვილის სურათი-დაგეროტიპი პოეტის დასთან, ნინო ბარათაშვილთან. ილიას წამოუღია ეს სურათი და გადაუცია გადასაღებად თბილისის ერთ-ერთი ცნობილი ფოტოგრაფისტვის, დუბელირისთვის. მაგრამ ამ ხანებში გაჩნდა აქ ხანძარი, დუბელირის ფოტოგრაფია გადაიწვა და ამ დროს ბარათაშვილის სურათი დაიღუპა².

1878 წელს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი იყო მოწოდება საზოგადოებისადმი, რომ, თუ ვისმე მოეპოვებოდა ბარათაშვილის სურათი, წარედგინათ გამოსაცემად³. მაგრამ ეს მოწოდება უშედეგოდ დარჩა.

დასასრულ, ბარათაშვილისეულად ცნობილ პორტრეტზე, ეგრეთწოდებულ „თუმანიშვილისეულ“ სურათზე. ამ სურათის დოკუმენტალობა ვერ ჩაითვლება დამტკიცებულად. ბევრი რამ საცილობელია ფანქრით შესრულებულ ამ დილეტანტურ ესკიზში. ამ სურათის ისტორიას ჩვენ საგანგებოდ ვეხებით ცალკე შენიშვნაში. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „თუმანიშვილისეული სურათი“ ჯერ კიდევ 70-იანი წლების ბოლოს ხელთ ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს, მან გაიარა ავტორიტეტული ექსპერტიზა (იგი გასინჯეს ილიას მიერ მოწვეულმა პოეტის მომსწრე პირებმა) და ამ სურათს არ მისცეს ვიზა დასაბეჭდად. ეს მა-

¹ წერილი, დათარიღებული 1846 წლის 19/31 იანვრით, დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციაში S-2484.

² იხ. იონა მეუნარგია (ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კრებული, 1922 წლის გამოცემა, გვ. XXV).

³ იხ. ზ. მთაწმინდელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1885 წ., გვ. 16.

შინ, როდესაც ბარათაშვილის პორტრეტის ძიებამ უშედეგოდ ჩაიარა და სხვა სურათის მოპოვების იმედი უკვე აღარ იყო. რაკი, ამრიგად, ბარათაშვილის დოკუმენტური პორტრეტი არ მოგვეპოვება, ჩვენ დაგვრჩენია, ბიოგრაფის მოვალეობისამებრ, ალვადგინოთ პოეტის სახე მისი მომსწრე თანამედროვეების ჩვენებათა მიხედვით. განსაკუთრებით ძვირფასია ამ მხრივ მოგონებანი ისეთ მახლობელ და სანდო პირთა, როგორც იყვნენ პოეტის სიყრმის მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი და პოეტის დაი ბარბარე ვეზირიშვილისა¹.

პოეტი საშუალო სიმაღლისა და თანაზომიერი ტანადობისა ყოფილა („შუათანა ტანისა, ჩინებული ტანადი“, — კონსტ. მამაცაშვილის სიტყვით). ოდნავ პირხმელი. პირისფერი — მოთეთრო, წმინდა. წაბლისფერი თმა. სახის საერთო ჭერა იერს კონტრასტის სახით აცხოველებდა შავი, ცოცხალი, მეტყველი თვალები. თვალები კილოიანი, „ბუღღმური“ (წმინდა ქართული ტიპი). სახის საერთო იერი — ლამაზი („ნიკო იყო მიმზიდველი სახისა“, — გადმოგვცემს პოეტის დაი ბარბარე ვეზირიშვილისა. „სახე საგანგებოდ მიმზიდველი, ქართულად რომ იტყვიან, მარილიანი“, — წერს კონსტანტინე მამაცაშვილი). პოეტი წვერ-ულვაშს არ ატარებდა. თმასაც დაბალს იყენებდა.

ბარათაშვილი 16 წლის ყმაწვილი იყო, როდესაც მან უბედური შემთხვევის გამო ფეხი მოიტეხა. პირველ ხანებში ბარათაშვილი ძალზე კოჭლობდა. შემდეგ ფეხი თანდათან გამოუმრთელდა, და კოჭლობა თუმცა სიკვდილამდე დარჩა, მაგრამ,

¹ კ. მამაცაშვილი: „ნიკოლოზ ბარათაშვილი (მასალა ბიოგრაფიისათვის)“ — გაზ. „დროება“, 1881 წ., № 206. ბარბარე ვეზირიშვილის მოგონებანი — იხ. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კრებული, 1922 წლის გამოცემა, გვ. 241—242.

თანამედროვეთაგან პოეტის გარეგნობას ავეიწერს აგრეთვე ნ. ისარლიშვილი. მისი ცნობები ძირითადად ეთანხმება კ. მამაცაშვილისა და ბ. ვეზირიშვილის ჩვენებებს.

გარდა კ. მამაცაშვილისა, ბ. ვეზირიშვილისა და ლ. ისარლიშვილისა, ცნობებს პოეტის გარეგნობის შესახებ გადმოგვცემენ სხვებიც, ზ. მთაწმინდელი, ი. მეუნარგია და კ. ყიფიანი, — მაგრამ ეს უკანასკნელნი ფეხით პოეტს არ მოსწრებიან (მათი ჩვენებანი მიღებულია მხედველობაში იმდენად რამდენადაც ისინი თანამედროვეთა ცნობებს არ ეწინააღმდეგებიან).

როგორც გადმოგვცემენ, კოკლობა ისე ძლიერ აღარ ემჩნეოდა¹.

დასასრულ, სურათის დასამთავრებლად, ორი სიტყვა ბარათაშვილის ჩაცმულობის შესახებაც.

პოეტი ახალგაზრდობისას, გიმნაზიაში ყოფნის დროს, ქართულ ტანისამოსს ატარებდა. კონსტანტინე მამაცაშვილი გადმოგვცემს: „როცა ნიკოლოზ ბარათაშვილი სასწავლებელში იყო ჩემს დროს, იცვამდა ქართულად, როგორც სხვანი იმისი ამხანაგები. მე მახსოვს ნიკოლოზ ბუზმენტიტ მორთულ ჩოხაში, დიბის ახალოხით, თავზე პატარა ჩაკეცილი ქუდით, ქართულად რომ იტყვიან, კობტურად ჩაცმული“.

შემდეგ ნ. ბარათაშვილი, სამსახურში ყოფნის დროს, ევროპულად იცვამდა. მაგრამ იშვიათად ქართულ ტანისამოსსაც ატარებდა. „იმპერატორი ნიკოლოზ I რომ ჩამოვიდა ქალაქში, — გადმოგვცემს პოეტის დაი ბარბარე, — ნიკოს ქულაჯა ეცვა; ქულაჯა იყო ყოლოს ფერისა, ბეწვმოვლებული; ახალოხი ციაგი, მკრთალი; შარვალი შავი მაუდისა; წალა თეთრი, ქართული, წვეტიანი. ხელმწიფეს ძლიერ მოეწონა ნიკო და უთხრა: შენ ჩემი ორდინარეცი ხარო!“

ნ. ბარათაშვილი, ჩანს, მართლაც მშვენიერი, საგანგებოდ მოხდენილი ყმაწვილი კაცი ყოფილა, რომ იმპერატორს იგი ასე გამოუჩინებია იმდროინდელ ბრწყინვალე ახალგაზრდობაში. ნ. ბარათაშვილი ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლის დროს (1837 წელს) 19 წლის ყმაწვილი იყო.

აი ყველა ის ცნობა, რაც გვაქვს პოეტის გარეგნობის შესახებ.

II

პოეტი და იმპერატორი

ამრიგად, 1837 წელს პოეტი შეხვდა იმპერატორ ნიკოლოზ I-ს.

¹ „ცოტას კოკლობდა“-ო, გადმოგვცემს პოეტი გრიგოლ ორბელიანი (იხ. იონა შეუნარგიას ჩანაწერი „მუსიკით გრიგოლთან“, გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1938 წ., № 22/77).

ჩვენ აქ გადავუხვევთ მოთხრობის ქრონოლოგიურ ქარგას და შევჩერდებით პოეტის ბიოგრაფიის ამ ეპიზოდზე.

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ სწორედ 1837 წელს მოჰკლეს პუშკინი (პუშკინი დაიღუპა 1837 წლის 27 იანვარს; ნიკოლოზ I ჩამოვიდა თბილისში 1837 წლის 7 ოქტომბერს). მთელი ვითარება პუშკინის მკვლელობისა არ იყო ამ დროს ბოლომდე ნათელი, მაგრამ (როგორც ამას აღნიშნავდა ლერმონტოვის ლექსი) ბოროტმოქმედების ჩრდილი მაღალ წრეებს, მეფე-ტირანის ახლო მდგომ გარემოცვას ადგა.

ნიკოლოზ I საქართველოში სტუმარი იყო საქართველოს მთავარმართებლისა (კავკასიის მთავარსარდლისა) და საქართველოს თავად-აზნაურობისა.

როგორც მოვიხსენეთ, ნიკოლოზ I-მა ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოარჩია იმდროინდელ ბრწყინვალე ახალგაზრდობაში და მას თავისი „ორდინარეცი“ შეარქვა.

მამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა, მელიტონ ბარათაშვილი, 1837 წელს იყო მარშალი თბილისის მაზრის თავად-აზნაურობისა და აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის გუბერნიის) მარშალის პირველი მოადგილე; ამდენად მელიტონ ბარათაშვილი თავისი მდგომარეობით იყო ერთ-ერთი მასპინძელთაგანი ნიკოლოზ I-ისა.

ამავე დროს, მელიტონ ბარათაშვილი, როგორც რუსულის კარგი მცოდნე, იყო პირადი თარჯიმანი ნიკოლოზ I-ისა.

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილი ნიკოლოზ I-ის თბილისში ყოფნის დროს ახლო კონტაქტში იყო იმპერატორთან.

აქ, რამდენიმე ცნობა ნიკოლოზ I-ის თბილისში ყოფნის შესახებ.

იმპერატორის თბილისში ჩამოსვლის მეოთხე დღეს, 11 ოქტომბერს, თბილისის თავად-აზნაურობამ გაუმართა მას დიდი ბალი. ამ ბალის ერთ-ერთი მთავარი მომწყობი და მასპინძელი იყო თბილისის მაზრის თავად-აზნაურობის მარშალი მელიტონ ბარათაშვილი. ბალს, ცხადია, ესწრებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი (ქართულ ტანისამოსში, რომელსაც ასე დაწვრილებით აგვიწერს პოეტის დაი ბარბარე ვეზირიშვილისა). ბალს ესწრებოდნენ აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის უახლოესი მეგობ-

რები — ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა, ეკატერინე ჭავჭავაძე და მაიკო ორბელიანი.

ერთს იმდროინდელ წერილში (1837 წლის 9 ნოემბრის თარიღით) ამ ბალის შესახებ ნოთხრობილია:

„მისი უდიდებულესობის თბილისში ყოფნის მეოთხე დღეს (11 ოქტომბერს) იყო ბალი, ხელმწიფე განსაკუთრებით ყურადღებიანი იყო გრაფინია სიმონიჩთან, გრიბოედოვასთან და მაიკო ორბელიანთან. უკანასკნელი იყო მეტად მშვენიერი...“¹.

სხვა დამსწრე, ინგლისელი მოგზაური კაპიტანი რიჩარდ ულბრეჰემი მოგვითხრობს ამ ბრწყინვალე ბალის მონაწილე ეკატერინე ჭავჭავაძის შესახებ.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ნიკოლოზ I-ის თბილისში მიღების მასპინძლებს და მთავარ მონაწილეებს ებოძათ სამახსოვრო მედლები.

როგორც ირკვევა ოფიციალური დოკუმენტიდან, ნიკოლოზ ბარათაშვილს ებოძა ვერცხლის მედალი «для ношения в петлице на Владимирской ленте в ознаменование высочайшего пребывания государя императора за Кавказом»².

ნიკოლოზ ბარათაშვილი ნიკოლოზ I-ის მიერ «უმაღლესად» ბოძებულ სამახსოვრო მედლით... გვაგონდება მეორე პოეტი, ასევე ნიკოლოზ I-ის მიერ «უმაღლესად» ბოძებულ კამერ-იუნეკრის მუნდირში, — პუშკინი, მოკლული 1837 წელს.

აღსანიშნავია, ამასთან, რომ ნ. ბარათაშვილს ეს მედალი არ უტარებია. ნ. ბარათაშვილი იმდენად არ აქცევდა ამ მედალს ყურადღებას, რომ ოფიციალური დოკუმენტი ნ. ბარათაშვილისათვის უმაღლესად ბოძებული მედლის შესახებ, დათარიღებული 1839 წლის 3 აპრილით, წარუდგენია სამსახურში (ფორმულარულ სიაში შესატანად) მხოლოდ 3 წლის შემდეგ, 1841 წლის ივნისის 1-ს³.

* * *

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილი ახლო ურთიერთობაში იყო იმპერატორთან მისი საქართველოში ყოფნის დროს.

საკითხავია, ჰქონდა თუ არა რაიმე გამოძახილი ბარათაშვილის პოეზიაში ამ ახლო კონტაქტს ნიკოლოზ I-თან.

¹ იხ. Журн. «Русский Архив» 1904 г. № 1.

² იხ. დოკუმენტი, გამოქვეყნებული შ. ჩხეტიას მიერ (ნ. ბარათაშვილი, 1945, გვ. 264).

³ იხ. ზემოთ მითითებული დოკუმენტი.

ჰქონდა. ამასთან ეს გამოძახილი მეტად მნიშვნელოვანია და მრავლისმეტყველი.

სწორედ ამ დროს, იმპერატორის საქართველოში ყოფნის პერიოდში, 1837 წელს, დაწერილია ბარათაშვილის განსაკმეული ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირზედ“.

ამ ლექსში დაპირისპირებულია ორი მეფე:

ერთია — მეფე-ტირანი; მეორეს ეწოდება „კეთილ მეფე“.

„კეთილ მეფის“ სახელით აქ იგულისხმება, როგორც შემდეგ დავინახავთ, ერეკლე II.

ხოლო „ბოროტი მეფე“ — „მეფე მებრძოლე“, მიმტაცებელი, რომელიც შფოთავს, დრტვინავს და იტყვის: „რო დის იქნება, ის სამეფოცა ჩვენი იყოს“ — არის იმპერატორი ნიკოლოზ I. პოეტი ამ მიმტაცებელს დამიწებას უსურვებს („და აღიძვრიან იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან“).

გადავიკითხოთ ბარათაშვილის ლექსის ეს ნაწილი, რომელიც ორ მეფეს ეხება:

თვითონ მეფენიც მებრძოლენი, რომელთ უმაღლეს

— . . . 1

ამო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,

შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: «რო დის იქნება,

ის სამეფოცა ჩვენი იყოს?» და აღიძვრიან

იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან.

თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?

მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული,

მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს

თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს

არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას..

— . . . 2

ლექსის ტექსტის გამო საჭიროა შემდეგი აღნიშნოთ:

1. სიტყვები „ბოროტი მეფისა“ — „რო დის იქნება, ის სამეფოცა ჩვენი იყოს“ ბარათაშვილის ლექსების

1 ხელნაწერებში, რომლებიც საზოგადოებაში გასავრცელებლად იყო დანიშნული, არაა ჩაწერილი აქ ერთი ტაეპი, რომელიც პოლიტიკურად განსაკუთრებით სახიფათო ყოფილა (იხ. ამ საგანზე ქვემოთ).

2 ამ მეორე შემთხვევაშია ცხელნაწერში არაა ჩაწერილი ერთი ტაეპი, რომელიც პოლიტიკურად ასევე სახიფათო ყოფილა.

ავტოგრაფულ ხელნაწერ გამოცემებში, რომლებიც საზოგადოებაში გასაერცელებლად იყო დანიშნული, ხ ა ზ გ ა ს მ უ ლ ი ა.

ნ. ბარათაშვილის ხელნაწერებში ხაზგასმა მიღებულია ფარული აზრის განსაკუთრებული მინიშნების მიზნით.

ასე, ნ. ბარათაშვილის ლექსში „ძია გრიგოლის“ ხაზგასმულია შემდეგი სიტყვები:

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი
წაგართო ავის ენისა გესლმან,
სატრფონი მისნი შემოგარენი
გ ა რ დ ა ხ ვ ე წ ი ლ ს ა დაგხშო ეტლმან.

ხაზგასმული სიტყვებით „ავისა ენისა გესლმან“ მინიშნებულია გამცემლობა იასე ფალაევანდიშვილისა, რომლის შედეგად ჩაეარდა 1832 წლის შეთქმულება. „გ ა რ დ ა ხ ვ ე წ ი ლ ს ა“ — იგულისხმება გრიგოლ ორბელიანის გადასახლება შეთქმულებაში მონაწილეობის გამო.

ასევე აქაც ხაზგასმული სიტყვები, რომელსაც „შფოთვით და დრტვივით“ წარმოსთქვამს „ბოროტი მეფე“ (—„როდის იქნება, ის სამეფოცა ჩვენი იყოს“), ცხადლივ მინიშნებას შეიცავს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ იმ დედნებში, რომლებიც საზოგადოებაში გასაერცელებლად იყო დანიშნული, არაა ჩაწერილი ყველა ტაეპი. რომ აქ გამოშვებულია სტრიქონები, ამას სრულიად უდავოდ ადასტურებს, ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ სტრიქონების გამოშვების გამო დარღვეულია რითმათა პარალელიზმი (რომელსაც ბარათაშვილი ყოველთვის ზუსტად იცავს). ამასვე ადასტურებს ის გარემოება, რომ სტრიქონების გამოშვების გამო დარღვეულია სტროფთა მოცულობის პარალელიზმი.

აღვნიშნავთ ამასთან, რომ ასეთი გამოშვება სტრიქონებისა ჩვენ გვხვდება აგრეთვე პოემა „ბედი ქართლისა“-ს ხელნაწერებში.

სტრიქონების გამოშვება იმ დედნებში, რომლებიც საზოგადოებაში ფართო ვაერცელებისათვის იყო დანიშნული, — როგორც პოემაში „ბედი ქართლისა“, ისე ლექსში „ფიქრნი მტკერის პირზედ“, — ცხადია, იმით იყო გამოწვეული, რომ ეს

სტრიქონები პოლიტიკურად განსაკუთრებით სახიფათო ყოფილა.

როცა ვითვალისწინებთ, თუ რაოდენ პოლიტიკურ რადიკალიზებას იჩენს პოეტი პოემაში „ბედი ქართლისა“ და ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, ცხადი ხდება, რომ გამოტოვებული სტრიქონები კიდევ მეტი თავისუფალი სულით ყოფილა აღბეჭდილი.

დასასრულ იმის შესახებ, რომ „კეთილ მეფის“ სახელით ლექსში იგულისხმება პატარა კახი, გმირი ერეკლე მეფე.

ეს ირკვევა „ბედი ქართლისა“-ს მიხედვით. აქ საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ პოემაში „ბედი ქართლისა“ ჩვენ გვაქვს მეტად საგულისხმო შეხვედრები ლექსთან „ფიქრნი მტკვრის პირზედ“. ლექსი არის პრელუდია პოემისა.

ისტორიული კამათის დროს ერეკლე მეფესა და სოლომონ ლეონიძეს შორის ერეკლე შემდეგი სიტყვებით მიმართავს მსაჯულს:

მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე,
თვისს დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე,
არამედ ვითა მამა კეთილი,
რომელსა სურს, რომ თავისი შვილი
თვის სიცოცხლეშივ დაასახლკაროს...

შეადარეთ ამას „ფიქრნი მტკვრის პირზედ“:

თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული,
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!..

აქ ჩვენ გვაქვს, როგორც ვხედავთ, თვით ფრაზეოლოგიური შეხვედრა ამ ორი ტექსტისა: ა) პოემაში: „მამა კეთილი“; ბ) ლექსში: „კეთილ მეფე“. ა) პოემაში: „რომელსა სურს, რომ თავისი შვილი თვის სიცოცხლეშივ დაასახლკაროს“; ბ) ლექსში: „მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს თავისს მამულსა, თვისთა შვილთა...“

... თვით ბოლო ფრაზას „კეთილ მეფის“ შესახებ, რომ მისი ფიქრი არისო, რათა საქმე ერისა ისე წარმართოს, „რომ შემ-

დგომსა დროს არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას“ — აქვს პარალელი „ბედი ქართლისა“-ში; სოლომონ მსაჯული შემდეგი სიტყვებით მიმართავს ერეკლეს:

რასა მიბრძანებ, — ჰკადრა მან შეფეს, —
ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება...
მაშინ, მეფეო, რაღდენტ კაცთ მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვით იღუმალთ!
მაშინ ირაკლის სახსენებელი
ვინლა ახსენოს, აწ საქებელი?

აქაც სრული იდენტურობაა პოემასა და ლექსს შორის. ხოლო მას შემდეგ, რაც დამთავრდა პაექრობა და სოლომონ მსაჯული ხედავს რა, რომ ირაკლის გადაწყვეტილი აქვს „ბედი ქართლისა“, პოეტი შემდეგს გადმოგვცემს სოლომონ მსაჯულის შესახებ:

მეფის აზრთაგან სულით ღელვილი
ზრახვიდა გულში მამულის შვილი:
«მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მომადლებ ყოვლთა უფლებას,
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩევლად სულელნი, ბრძენნი,
და იგი მათს ბედს ისე განაგებს,
ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!
მაგრამ შენ, მეფეე, ვინ მოგცა ნება —
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა გულსკვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?...»

პოლიტიკური რადიკალიზმით აღბეჭდილ პოეტის ამ სიტყვებში ჩვენ გვაქვს გამოძახილი საქართველოს 1832 წლის შეთქმულების ხელმძღვანელთა პროგრესული ნაწილის იდეოლოგიისა.

ეს რაც შეეხება „კეთილ მეფეს“.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ იდენტურობა პოემასა და ლექსს შორის ამით არ სრულდება. ანტიპოდი „კეთილი მეფისა“ — „ბოროტი მეფე“ — აგრეთვე ერთნაირად არის დახასიათებული პოემაში „ბედი ქართლისა“ და ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირზედ“.

„ბედი ქართლისა“:

მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე
თვის დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე,
არამედ ვითა მამა კეთილად...

ხოლო ლექსში „ბოროტ მეფეს“ ეწოდება „მეფე მებრძოლენ“ (ე. ი. იგივე თვის დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე), რომელიც ფიქრობს, რომ „ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება“, თუ არა თავისუფალ ხალხთა ქვეყნების შიტაცება.

* * *

ასეთია ისტორია ლექსისა „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, რომელიც ნ. ბარათაშვილმა ნიკოლოზ I-თან შეხვედრის შემდეგ დაწერა. როგორც ვნახეთ, პოეტი იმპერატორს, როგორც მიმტაცებელს, დამიწებას უსურვებს („და აღიძვრიან იმაც მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან“).

ნ. ბარათაშვილმა „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ დაწერა 1837 წელს.

ორი წლის შემდეგ, 1839 წელს, პოეტმა შექმნა „ბედი ქართლისა“. 1842 წელს შექმნა „მერანი“.

გადავდივართ პოეტის ცხოვრების მიმოხილვაზე.

III

პოეტის ოჯახური წრე

ნიკო ბარათაშვილი შთამომავლობით საქართველოს მაღალ არისტოკრატიას ეკუთვნოდა. მაგრამ პოეტის ოჯახი უკვე გაღარიბებული იყო მამის ხელგაშლილი ცხოვრების გამო, როცა ახალგაზრდა პოეტმა დასტოვა სკოლის კედლები და ცხოვრებაში გამოვიდა.

პოეტის მამა იყო თავადი მელიტონ ბარათაშვილი. დედა

პოეტისა, ეფემია, ორბელიანთა გვარის ქალი იყო, მკვიდრი დაი პოეტის გრიგოლ ორბელიანისა.

დედის მხრით ნ. ბარათაშვილი ენათესავებოდა. ძველი საქართველოს სამეფო სახლს. დედა ეფემიასი და დიდ-დედა პოეტისა ხორეშან იყო შვილის-შვილი მეფე ერეკლესი. ამრიგად, მეფე ერეკლე მკვიდრი დიდი-პაპა იყო ჩვენი პოეტისა.

გენეალოგიური შტო

ერეკლე მეფე (გარდაიცვალა 1798 წელს)

ელენე ბატონიშვილი (გარდაიცვალა 1784 წ.) || ზაქარია ანდრონიკაშვილი

ხორეშან (1784 — 1833 წ.)

|| ზურაბ ორბელიანი

ეფემია (გარდაიცვალა 1849 წ.)

|| მელიტონ ბარათაშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817 — 1845 წ.)

ხორეშან, პოეტის დიდ-დედა, ბავშვობიდანვე დაობლდა (მისი დედა, ელენე ბატონიშვილი, მშობიარობის დროს გარდაიცვალა) და პატარა ხორეშან სამეფო კარზე მოაყვანიდა ერეკლე მეფემ და თვითონ ზრდიდა. ამრიგად, ხორეშან, დიდ-დედა ნიკო ბარათაშვილისა, რომლის ახლო იზრდებოდა პოეტი 16 წლამდე, მომსწრე იყო ერეკლეს მეფობის უკანასკნელი ხანისა. ერეკლე მეფის ხსოვნა და მე-18 საუკუნის საქართველოს ტრადიციები განსაკუთრებით ცოცხალი იყო ამ ოჯახურ წრეში, სადაც აღიზარდნენ ახალი საქართველოს პირველი ქართველი პოეტები — გრიგოლ ორბელიანი და ნიკო ბარათაშვილი. აქ პოულობს, სხვათა შორის, ახსნას ზოგიერთი ხაზი გრიგოლ ორბელიანის და ბარათაშვილის პოეზიისა. გრიგოლ ორბელიან-

ნი ბოლომდე დარჩა ტრუბადური ერეკლე მეფის დიდი სახელისა. ნ. ბარათაშვილიც ასევე რომანტიული მომღერალია ერეკლეს დიდბუნებოვანი პიროვნებისა, მაგრამ ეს არ უშლის მას პოემაში „ბედი ქართლისა“ კამათის საგანი გახადოს თავისი დიდი-პაპის ანდერძ-ნამაგი.

* * *

აქ წარმოვადგენთ ზოგიერთ ცნობას პოეტის დედ-მამისა და ოჯახური გარემოს შესახებ.

პოეტის მამა მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი წარმოშობით ქართლიდან იყო. ბარათაშვილების ძველი არისტოკრატიული გვარეულობის სამკვიდრო, როგორც ცნობილია, არის ქვემო-ქართლი (სამხრეთი ქართლი). საქართველოს სამეფოს არსებობის უკანასკნელ საუკუნეებში ბარათაანთ გვარეულობა პირველობდა ქვემო-ქართლში და ბარათაანთ სახელი ერქვა აქ ცალკე პროვინციასაც — „საბარათიანო“-ს. ეს მხარე — „საბარათიანო“ — ქართლის სამეფოს პირველ სადროშოში, ეგრეთწოდებულ „მოწინავე სადროშოში“ შედიოდა (XVI — XVIII საუკუნეებში) და ეჭირა თბილისის სამხრეთით მდებარე ქართლის თემები.

პოეტის პაპა ნიკოლოზ ბარათაშვილი დაახლოებული პირი ყოფილა ერეკლე II-ისა და საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის კარისა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, პაპა პოეტისა, დიდი რაინდული ბუნების ადამიანი ყოფილა, პატრიოტი ქვეყნისა. ამას გვანიშნებს შემდეგი ამბავი.

1803 წელს აპრილში საქართველოდან რუსეთში გადაასახლეს მეუღლე გიორგი XII-ისა, საქართველოს დედოფალი მარიამი (გმირი ქალი, რომელმაც, თვით დაჭრილმა მტრის მიერ, მოჰკლა ცარიზმის გათავხედებული სატრაპი, საქართველოს მტერი გენერალი ლაზარევი). დედოფალთან ერთად გადაასახლეს აგრეთვე მისი შვილები, ქალები — თამარი და ანა, მცირეწლოვანი ვაჟები — ჭიბრაელი, ილია, ოქროპირი და ირაკლი. დედოფალი მარიამი ნახევრად პატიმრულ რეჟიმში იმყოფებოდა, პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ, ბელგოროდში (ყურს-

კის გუბერნიაში) 1803 წლიდან 1811 წლამდე (მხროლდ 1811 წელს დედოფალს მისცეს ნება მოსკოვში გადასვლისა).

გადასახლებულთა ბედი გაიზიარა საქართველოს სამეფო კართან დაახლოებულმა ერთმა ჯგუფმა. დედოფალ მარიამს და მასთან ერთად გადასახლებულ ბატონიშვილებს ამაღლად გაპყოლია 11 კაცი. მათ შორის მეორედ მოიხსენიება პოეტის პაპა ნიკოლოზ ბარათაშვილი¹.

რამდენ ხანს დაჰყო ნიკოლოზ ბარათაშვილმა რუსეთში, არა ჩანს; ყოველ შემთხვევაში, საფიქრებელია, წლები.

მამა პოეტისა მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი დაიბადა 1794 წელს². 1803 წლისათვის, როდესაც მელიტონის მამა ნიკოლოზი რუსეთში გაჰყვა გადასახლებულ მარიამ დედოფალს, მელიტონი 9 წლისა იყო.

ნიკოლოზს რუსეთში, ჩანს, ოჯახის წევრებიც თან ახლდნენ, მათ შორის ვაჟი მელიტონი. ამით აიხსნება მელიტონის მიერ რუსული ენის ჩინებული ცოდნა, რაც იმ დროს იშვიათი ამბავი იყო, და რასთანაც დაკავშირებულია, ნაწილობრივ, მელიტონის მომავალი სამსახურებრივი კარიერა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ.

როდის დაბრუნდა მელიტონი საქართველოში, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არა გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, მე-19 საუკუნის პირველი ათეულის ბოლო წლებში იგი თბილისშია და სწავლობს „კეთილშობილთა სასწავლებელში“ (ჩანს, აგრძელებს რუსეთში დაწყებულს სწავლას).

მელიტონი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა შედის სახელმწიფო სამსახურში. 1810 წელს (2 აპრილს) მელიტონი ინიშნება თარჯიმანის თანამდებობაზე საქართველოს მთავარმართებლის სამმართველოში.

ამის შემდეგ 13 წლის მანძილზე, ვიდრე 1824 წლამდე, მე-

¹ იხ. Акты, собранные Кавк. Археографической Комиссией, т. II, 83-77.

² იხ. საქართველოს ცენტრ-არქივის აუწერელი ფონდი, საქართველოს უზენაესი სამმართველოს საქმე, შეკვრა №№ 239, 244, 266, 308, 327, 812. Формулярный список о службе... майора князя Баратова, Тифлисского уездного предводителя дворянства, декабря I дня, 1833 г. (იგივე 1839 წლისა).

ლიტონი ასრულებდა თარჯიმნის თანამდებობას. უნდა აღინიშნოს ამასთან, რომ მელიტონი იყო არა რიგითი თარჯიმანი სამმართველოსი, არამედ მაღალი რანგის თარჯიმანი საქართველოს მთავარმართებლებთან. მელიტონ ბარათაშვილის სამსახურის ოფიციალურ ნუსხაში (ეგრეთწოდებულ „ფორმულარულ სიაში“) აღნიშნულია: «Состоял при бывших главноуправляющих в Грузии за переводчика — при ген. Тормасове, ген. маркизе Паулуччи, при ген. Ртищеве, при ген. Ермолове!» (როგორც მოხსენებული გვექონდა, უფრო გვიან, 1837 წელს, როდესაც იმპერატორი ჩამოვიდა თბილისში თარჯიმნობას იმპერატორთან მელიტონი ეწეოდა; ჩანს, მელიტონს რუსული სალაპარაკო ენა მართლაც კარგად სცოდნია).

1811 წელს მელიტონი ახლდა ახალციხის ექსპედიციაში მთავარმართებელს გენერალ ტორმასოვს, მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში და მელიტონს, ამ დროს 17 წლის ყმაწვილს, ტორმასოვის წარდგენით, ებოძა პირველი სამხედრო ჩინი — პროპორშიცობა.

მომდევნო — 1812—1813 წლებში მელიტონი ახლდა როგორც თარჯიმანი საქართველოს მთავარმართებელს მარკიზ პაულუჩის და გენერალ დ. ორბელიანს ექსპედიციაში კახეთის აჯანყების საწინააღმდეგოდ. ამავე დროს მელიტონი, როგორც სამხედრო პირი, მონაწილეობდა ბრძოლებში, კერძოდ, ყოფილა მონაწილე ბრძოლებისა ჩუმლაყთან (1812 წ. 6 მარტს) და შილდასთან (1813 წ. 13 ოქტომბერს).

ჩუმლაყის ბრძოლის შემდეგ, 1812 წლის მარტში მთავრობამ შეიპყრო ბატონიშვილი გრიგოლ ბაგრატიონი, რომელიც კახელებმა მეფედ გამოაცხადეს. საქართველოს მთავარმართებელი მარკიზ პაულუჩი სწერდა პეტერბურგში მინისტრს გრაფ რუმიანცევს:

«Имею честь донести Вашему Сиятельству, успев погасить пламя мятежа, возникшего в Грузии с чрезвычайным ожесточением, я, взятыми мерами, достиг также того, что приобрел в свои руки царевича Григория, когго кахетинские мятежники признали было царем Грузии...

¹ იხ. დოკუმენტი, გამოქვეყნებული შ. ჩხეტიას მიერ (ნ. ბარათაშვილი, 1945, გვ. 264).

Необходимо нужно для спокойствия здешнего края удалить отсель все то, что только носит на себе имя происхождения от бывшего Грузинского царственного дома...

Григорий при открывшейся революции начал играть между ними важную роль... был с радостью принят мятежниками, провозглашен царем Грузии, и предводительствовал толпами бунтовщиков. А теперь, достав в свои руки я счел необходимо нужным, не теряя времени, удалить немедленно в С.-Петербург.

Для препровождения его я отправил адъютанта... подпручника кн. Бебутова, и вместо пристава и переводчика прап. кн. Баратова, приказав по приезде в С.-Петербург явиться вместе с царевичем к Вашему Снятельству»¹.

მთავარმართებელი დასძენდა: თავადი ბარათაშვილი ერთგული მოსამსახურეა (რომ მსახურობდაო «с отличным усердием») და, თუ საჭიროდ დაინახავთ, შეგიძლიათ დროებით დაიტოვოთ იგი თარჯიმნად პეტერბურგშიო.

ასეთია ეს ერთი ეპიზოდი კახეთის აჯანყების ისტორიიდან, აჯანყებისა, რომელსაც მთავარმართებელი მარკიზ პაულუჩი საქართველოს „რევოლუციის“ სახელით ნათლავს.

1813 წელს მელიტონი ახლდა საქართველოს მთავარმართებელს რტიშჩევს გულისტანში სპარსეთთან ზავის ჩამოგდებას დროს² (აღსანიშნავია, რომ მელიტონს მიუღია საგანგებო წერილობითი ქებითი ატესტაცია, როგორც დელეგაციის თანამშრომელს საზავო მოლაპარაკების წარმოების პერიოდში).

იმავე 1813 წელს მელიტონისათვის უბოძებიათ პოდპორუჩიკის ჩინი. შემდეგ, 1816 წელს, მელიტონს მიუღია პორუჩიკობა, ხოლო 1820 წელს — კაპიტნობა.

1824 წელს მთავარმართებელმა ერმოლოვმა მელიტონი დანიშნა ქალაქ განჯის პოლიცემისტერად. ორი წლის შემდეგ, 1826 წელს, მელიტონი დაინიშნა განჯის ოლქის, ყოფილი განჯის სახანოს, მმართველად.

¹ იხ. Акты, собранные Кавк. Арх. Комиссией, т. V, გვ. 44—45.

² მელიტონი, როგორც ირკვევა, მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკების პირველ სტადიაში, ხოლო თვით გულისტანის ტრაქტატის დადებამდე ოდნავ ადრე (რაც 1813 წლის 13 ოქტომბერს მოხდა) მელიტონი დაბრუნებულია საქართველოში და განაგრძობდა მონაწილეობას კახეთის ექსპედიციაში.

იმ ხანებში (1826 წ.) რუსეთს ომი ჰქონდა სპარსეთთან. მუსულმანებით დასახლებულ განჯის მხარეში მღვლეარება იყო. მელიტონ ბარათაშვილი წერს ერთ მოხსენებაში: „ეს თანამდებობა (განჯის ოლქის მმართველისა) მალე მნიშვნელოვანი და ძნელი შეიქმნა, რადგან სპარსეთის ჯარი შემოიჭრა ჩვენს საზღვრებში და საჭირო გახდა განსაკუთრებული ზომები, რომ მორჩილებაში გვეყოლოდა მერყევი მცხოვრებნი ხსენებული ოლქისა. მე ზუსტად შევასრულე ყველა დავალება და დავიმსახურე ყურადღება მთავარმართებლისა... რაზედაც არსებობს ქებითი ატესტატი გენერალის ერმოლოვისა 1827 წლის 28 მარტის თარიღით“¹.

1827 წელს საქართველოს მთავარმართებელი გენერალი ერმოლოვი, როგორც ცნობილია, „ოპალაში“ მოექცა, განთავისუფლებულ იქნა მთავარმართებლის პოსტიდან და მის ადგილას დაინიშნა გრაფი პასკევიჩი.

ახალი მთავარმართებელი პასკევიჩი, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, არ სწყალობდა მელიტონს, რაკი მელიტონი დაწინაურებული იყო ერმოლოვის მიერ და 1827 წელს (19 სექტემბერს) გაანთავისუფლა მელიტონი განჯის ოლქის (სახანოს) მმართველის მოვალეობიდან. ამის შემდეგ მელიტონი თითქმის წელიწად-ნახევარი სამსახურს გარეშე რჩება და მხოლოდ 1829 წლის 17 მარტს ინიშნება საგანგებო საქმეთა მოხელედ აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის წინამძღოლთან.

1829—1832 წლებში მელიტონი ახლო მონაწილეობას იღებს თავად-აზნაურობის საქმეებში. თურქეთთან ომიანობის დროს იგი მონაწილეობდა ქართული მილიციის ორგანიზაციაში, ხოლო შემდეგ ლეკებზე ალაზან-გალმა ლაშქრობაში. კერძოდ, მელიტონი ყოფილა ერთ-ერთი ორგანიზატორი ქართული მილიციისა 1832 წელს ჭარის ოლქში შემოჭრილი მთიელების მოსაგერიებლად.

1832 წელს მელიტონს უბოძეს მაიორობა და დაუნიშნეს პენსია (900 მანეთის რაოდენობით). ამ დროიდან იგი თავს ანებებს სახელმწიფო სამსახურს და გადადის თავად-აზნაურობის არჩევნებითს სამსახურში.

¹ ფორმულარული სიები (გვ. 21, შენიშვნა 2).

მელიტონი, როგორც გადმოგვცემენ, და ეს ყველაფრით დასტურდება, დიდი გავლენით სარგებლობდა თავად-აზნაურობის წრეებში და მის სიტყვას დიდი გასავალი ჰქონდა.

1832 წლის 17 დეკემბერს მელიტონი აირჩიეს თბილისის მაზრის თავად-აზნაურობის მარშლად (წინამძღოლად) 1833—1835 სამწლედისათვის (55 ხმით 7-ის წინააღმდეგ). ამავე დროს იგი ერთხმად იქნა არჩეული აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის გუბერნიის) მარშლის პირველ მოადგილედ.

პირველი სამწლედის დასრულების შემდეგ, 1835 წლის 27 დეკემბერს, მელიტონი ხელახლა აირჩიეს თბილისის მაზრის მარშლად მეორე 1836—1838 სამწლედისათვის (67 ხმით 1-ის წინააღმდეგ); ამავე დროს იგი ისევ არჩეულ იქნა აღმოსავლეთ საქართველოს მარშლის პირველ მოადგილედ (200 ხმით 17-ის წინააღმდეგ).

მელიტონი ამ ორი სამწლედის მანძილზე თბილისის მაზრის მარშლად ყოფნის დროს არა მხოლოდ ფორმალურად ითვლებოდა პირველ მოადგილედ აღმოსავლეთ საქართველოს მარშლისა, არამედ, ხშირად ასრულებდა ფაქტიურად აღმოსავლეთ საქართველოს მარშლის მოვალეობას.

მელიტონი საშუალო შეძლების თავადიშვილი იყო. ცხოვრობდა დიდის ხელგაშლით. მელიტონის სიუხვე და სტუმართმოყვარეობა განთქმული იყო თბილისში და მისი სახლის კარი მუდამ ღია ყოფილა. „მისი ოჯახი, — წერს თანამედროვეთა ჩვენების მიხედვით პოეტის ერთი ბიოგრაფი, — ფართოდ გაშლილი ოჯახი იყო და სუფრა ღონეზე გადამეტებულად მდიდარი და ნაქები მთელს ქალაქში. ხშირმა სტუმარმა და წვეულებამ თან წარიღეს მისი ავლადიდებაც, მელიტონი ჩავარდა დიდს გადაუხდელს ვალში“¹. როდესაც ნიკო ბარათაშვილი სტოვებდა სკოლის კედლებს და ცხოვრებაში გამოდიოდა, მისი მამის ოჯახი უკვე გაღარიბებული იყო და შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

მელიტონი, თანამედროვეთა ცნობით, ქართულ ენაზე განათლებული კაცი ყოფილა, კარგად მცოდნე ქართული ლიტერა-

¹ იონა მეუნარგია, გვ. VII.

ტურისა. გადმოგვცემენ, რომ მელიტონი იყო საუცხოო მოსაუბრე, მკვერმეტყველი.

თანამედროვეთა ცნობები მელიტონს წარმოგვიდგენს როგორც ბუნებით მეტად კეთილ ადამიანს, ამასთან პირდაპირს, მიუდგომელს, მაგრამ ამავე დროს გადამეტებულად ციცხს, ზვიადსა და მრისხანეს. მოგვითხრობენ, რომ მაზრის მარშლად ყოფნის დროს მან გუბერნატორის მდივანი გალახა, რომელმაც რაღაც ქალაქის მოძებნაზე უარი უთხრა. მოგვითხრობენ, როგორც კურიოზს, რომ, როდესაც მელიტონი ანჩისხატიდან შუა-ბაზარში გამოვიდოდა, ზოგი ვაჭარი ღუქანსაც კი კეტავდა, ვაითუ მელიტონს რამე არ მოეწონოს და გაგვირისხდესო¹. ოჯახშიაც ფიქვი და პრისხანე ხასიათისა ყოფილა.

მელიტონი ბევრნაირად ტიპიური ფიგურაა იმდროინდელი თავად-აზნაურობისა. საგულისხმოა გავითვალისწინოთ მელიტონის პოლიტიკური სიმპატიები. მელიტონი, თუმცა თავისი დროის პოლიტიკურ საწინიანობაში არ ერეოდა, მაგრამ საერთო პოლიტიკური სიმპატიებით იგი, ჩანს, მთავრობის ერთგულ თავად-აზნაურულ წრეებს ეკუთვნოდა. ყოველ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ 1832 წლის შეთქმულებაში, რომელშიაც ახლო მონაწილეობას იღებდნენ მელიტონის ახლო მეგობრები და ნათესავებიც, მელიტონი განდობილი არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ ორბელიანის დაქერის დროს ქანდარმერამ გრ. ორბელიანისათვის ჩამორთმეულ ქალაქებში იპოვა მელიტონის პირადი ხასიათის წერილები გრიგოლ ორბელიანისადმი, მაინც საგამომძიებლო კომისიას არ დაუკითხავს მელიტონი. შეთქმულების საქმეების შესწავლიდან ირკვევა, რომ მელიტონი არ იყო შეტანილი იმ პირთა სიაშიც, რომლებიც თუმცა გამოძიების ქვეშ არ იმყოფებოდნენ, მაგრამ ექვს ქვეშ იყვნენ აყვანილნი. ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ 1832 წლის შეთქმულების შესახებ, რომელიც მთელი წლები მზადდებოდა საქართველოში და რომელშიც მელიტონის ახლო მეგობრები იღებდნენ მონაწილეობას, მელიტონმა; ჩანს, არაფერი იცოდა. გიმნაზიელი, 15 წლის ნიკობარათაშვილი, რომლის თანამშრომლობითაც 1833 წელს გამო-

¹ ორბელიანთ საოჯახო გადმოცემა.

ვიდა ხელნაწერი აღმანახი, სადაც შეთქმულთა ლექსებიც არის შეტანილი, ჩანს, უფრო კარგად ერკვეოდა პოლიტიკურ საკითხებში, ვიდრე მისი მამა, მაიორი მელიტონ ბარათაშვილი.

* * *

მელიტონი ოჯახს მოეკიდა 1816 წელს. მელიტონმა შეირთო ეფემია ორბელიანისა, შვილი ქვემო-ქართლის დიდი მებატონის ზურაბ ორბელიანის და დაი პოეტის გრიგოლ ორბელიანისა.

პოეტის დედის ეფემიას შესახებ თანამედროვენი მოწმობენ, რომ იგი მაღალი სულიერი თვისების ადამიანი იყო, ნაზი, ნათელი ბუნებისა. ყველაზე ახლო ეფემიას მომხიბლავ პიროვნებას გვაგრძნობინებს პოეტი გრიგოლ ორბელიანი. მისმა სახემ შთააგონა ჩვენს პოეტს ერთი უმშვენიერესი ლექსი ახალი ქართული პოეზიისა — „ჩემს დას ეფემიას“. გრიგოლ ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულების გამო რუსეთში გადასახლებული, შემდეგის სიტყვებით მიმართავს ეფემიას, როგორც თავის მფარველ მადონას:

„ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად სასიხარულოდ,
ლხენად გლახ გულის, უდროოდა მწარ დამქენარისა,
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ
და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ სვედრისა!

ცხოვრების ბნელ გზას შენ მინათი შვების ვარსკვლავი,
შენის ღიმილით შექმუხენილი სახე მინათლე,
შენი ალერსი მშვიდი, წყნარი, მიხარის შორით,
და გულ-დაჩაგრულს მენატრების კვალად სიციცხლე!

მისთვის ელოცავ ცას, შავნი დღენი, ჩემთვის შთომილნი,
არ შეწყდნენ, ვიდრე კვალად ჩემთა თვალთ არ გიხილონ,
და მაშინ, ოდეს საუკუნოდ მივლულნო თვალნი,
მშობლიურ მიწა ხელთა შენთა გულს დამაყარონ...“

ყველანი, ვინც მოსწრებიან ნიკო ბარათაშვილის დედას ეფემიას, დიდი მოკრძალებით იგონებენ ამ ღირსეულ ქალს. „ეფემია იყო მშვენიერი ქალი, ქართულად კარგად გაზრდილი“, —

წერს თავის მოგონებაში კონსტანტინე მამაცაშვილი. „ეფემია მეტად მოსიყვარულე ქალი იყო და ოჯახს მუდამ თავს დასტრიალებდა“, — გადმოგვცემს ბარბარე ვეზირიშვილისა.

პოეტის დედის სურათის დასამთავრებლად საჭიროა ისიც მოვიხსენიოთ, რომ იგი შვილების აღზრდას თვითონ ხელმძღვანელობდა და თვითონვე აწოვებდა ძუძუს, რაც იმდროინდელ მაღალ არისტოკრატიაში არც ისე ხშირი მოვლენა იყო.

ნიკო ბარათაშვილის ოჯახური გარემოს სურათის სისრულისათვის საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მელიტონის და ეფემიას სახლში, რომელიც წარჩინებულ ოჯახად ითვლებოდა 20-იან—40-იანი წლების თბილისში, იკრიბებოდა იმდროინდელი რჩეული ქართველი საზოგადოება. მელიტონის ოჯახისათვის არ იყო უცხო ლიტერატურული ინტერესები, და თვით მელიტონიც, როგორც მოვიხსენეთ, ძველი ქართული ტრადიციების თანახმად, განათლებული კაცი ყოფილა, „ზედმიწევნით მცოდნე ქართული ლიტერატურისა“, — კონსტ. მამაცაშვილის სიტყვით. თავის საინტერესო მოგონებაში კ. მამაცაშვილი წერს: „მელიტონის სახლში ნახავდით ძველს ჩვენს სწავლულ ქართველებს; იმათ შორის თითქმის ყოველდღე მელიტონთან დაიარებოდა ეგნატე იოსელიანი, მამა ჩვენის მწერლის პლატონისა. ეგნატე იოსელიანმა ჩინებულად იცოდა ქართული ლიტერატურა, იყო ღრმად მოხუცებული, გაზრდილი მეფის სასახლეში და მნახველი საქართველოს ცხოვრებისა წარსულს საუკუნეში, მეფის ირაკლიდან მეფის გიორგის გარდაცვალებამდისინ. მელიტონის სახლში ხშირად დადიოდნენ პოეტი ალექსანდრე ჰაეკავაძე, ორნი ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ ფავლენიშვილები, სოლომონ მეითარი თარხნიშვილი, გიორგი და ალექსანდრე საგინაშვილები, და ბევრნი მაშინდელის დროის განათლებულნი ქართველნი“.

თვით ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი წერილი ავსებს კ. მამაცაშვილის ცნობას, რომ ბარათაშვილების ოჯახში განსაკუთრებით ხშირი სტუმარი იყო ეგნატე იოსელიანი, დიდი მცოდნე ძველი ქართული მწერლობისა და ცოცხალი მოწმე საქართველოს სამეფოს დამოუკიდებლობის ხანისა დიდ ერეკლესა და გიორგი XII-ის დროს. წერილში, 1843 წლის 21 აგვისტოს თარიღით, ნიკოლოზ ბარათაშვილი აცნობებს რა გრიგოლ ორ-

ბელიანს ეგნატე იოსელიანის გარდაცვალებას, ადარებს ეგნატეს ძველ მემკვიდრეს, რომელსაც აგვიწერს პუშკინი დრამაში „Борис Годунов“: ნ. ბარათაშვილი ამ წერილში წერს ეგნატეს შესახებ:

«Вот человек, который по своему положению в свете более всех страдал. Минувшее проходило перед ним и волновалось как море-океан».

როგორც ეს პირველად აღნიშნა ჩვენმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ, მოხუცი ეგნატე იოსელიანი აქ შედარებულია პუშკინის დრამის მხტოვან მემკვიდრე პიმენტან, რომელიც ცნობილ მონოლოგში წარმოთქვამს სიტყვებს:

«Минувшее проходит предо мною,
волнуясь как море-океан».

ნიკოლოზ ბარათაშვილს, ჩანს, არაერთხელ მოუსმენია საქართველოს ახლო წარსულის ამ ცოცხალი მემკვიდრის ნაუბარი.

მელიტონის ოჯახი განსაკუთრებით დაახლოებული ყოფილა გრიგოლ ორბელიანის, მანანა ორბელიანის და ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახებთან¹. მელიტონის ოჯახის ახლო ნაცნობი ყოფილა აგრეთვე პოლონელი ზავილეისკი, მეტად საინტერესო ფიგურა, რომელიც თბილისის სამოქალაქო გუბერნატორად იყო და რომელსაც ამავე დროს, ჩანს, კავშირი ჰქონია 1832 წლის შეთქმულებასთან.

ასეთი იყო ის ოჯახური წრე, სადაც დაიბადა და იზრდებოდა ნიკო ბარათაშვილი.

IV

ბავშვობა. სკოლა. პირველი ლიტერატურული ცდანი

ქართულ ლიტერატურაში ბოლო დრომდე მიღებული იყო აზრი, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა 1816 წლის 22 ნოემბერს (ძვ. სტ.) და გარდაიცვალა 1845 წლის 2 (ან 9) ოქ-

¹ ბარბარე ვეზირიშვილის მოგონება, გვ. 241.

ტომბერს (ძვ. სტ.), მაგრამ ეს თარიღი, როგორც ირკვევა, არ არის სწორი. ნიკოლოზ ბარათაშვილი კიდევ უფრო ახალგაზრდა გარდაიცვალა.

როგორც ირკვევა ყველა არსებული წყაროების შეფარდებით, ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების თარიღი არის 1817 წლის 22 ნოემბერი (ძველი სტილით = 4 დეკემბერი ახალი სტილით). გარდაიცვალა პოეტი 1845 წლის 9 ოქტომბერს (ძველი სტილით = 21 ოქტომბერს ახალი სტილით)¹. გარდაიცვალა პოეტი სრულიად ახალგაზრდა, 27 წლისა და 10 თვისა.

• • •

ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა თბილისში დედის ოჯახში, თავისი პაპის ზურაბ ორბელიანის (გრიგოლ ორბელიანის მამის) სახლში².

ზურაბ ორბელიანის ოჯახმა ორი ძეობა გადაიხადა ერთდროულად. 1817 წელს დაიბადა ზურაბის შვილის-შვილი ნიკოლოზ ბარათაშვილი; იმავე წელს, 1817-ში³, ზურაბს მიეცა უმცროსი ვაჟი ილია. ეს ის ილია ორბელიანია, რომელსაც შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილმა უძღვნა თავისი „მერანი“. პატარა ნიკო და ილია ერთად იზრდებოდნენ და მათ ბოლომდე შერჩათ ერთმანეთის ძმური სიყვარული.

უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბ ორბელიანის სახლი მეორე ოჯახი იყო პატარა ნიკოსათვის. აქ გაატარა მან სანახევროდ თავისი ბავშვობა. ბავშვობიდანვე დამეგობრებია ნიკო ბარათაშვილი თავის ბიძას პოეტს გრიგოლ ორბელიანს, რომლის თვალწინაც იზრდებოდა ნიკო სიყვარულიდანვე. როდესაც კი გრიგოლ ორბელიანი თბილისში იმყოფებოდა, ნიკო თითქმის ყოველდღე მასთან იყო განუყრელად. თბილისის ბაღებში ხშირად ხედავენ პატარა ნიკოს, მოსეირნეს გრიგოლთან. თანამედროვეთა ჩვენების მიხედვით, ზაქარია მთაწმინდელი გად-

¹ თარიღების საკითხს დაწვრილებით ვეხებით ცალკე წერილში.

² ამის შესახებ დაცულია საოჯახო გადმოცემა ორბელიანთა და ბარათაშვილთა მემკვიდრეების ოჯახში. ეს ცნობა დაგვიდასტურა, კერძოდ, ორბელიანთა ოჯახის რძალმა მაიკო თარხნიშვილ-ორბელიანმა, რომელსაც უკვე ღრმა მოხუცებულობაში მყოფს, ჩვენ ვესაუბრეთ 1928 წელს.

³ იხ. გრიგოლ ორბელიანის წერილები (ა.კ. გაწერელის რედაქციით).

მოგვცემს პოეტის ბიოგრაფიაში: „გრიგოლ ორბელიანს ერთობ ჰყვარებია პატარა ნიკოლოზი. საკეთილშობილო სკოლიდან თითქმის ყოველდღე გრ. ორბელიანთან დადიოდა... დღესაც ცოცხალი არიან ის პირნი, რომელთაც კარგად ახსოვთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მისვლა-მოსვლა გრიგოლ ორბელიანთან“¹.

გრიგოლ ორბელიანის გულითად, მეგობრულ სიყვარულს ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი გვაგრძნობინებენ გრიგოლის წერილები. ასე, ერთ წერილში, რომელიც გრიგოლს რუსეთში გადასახლებაში ყოფნის დროს მოუწერია თავისი უმცროსი ძმის ილია ორბელიანისათვის, გრიგოლი, სხვათა შორის, ინატრის ვინძლო ისეთივე გულწრფელი ურთიერთი სიყვარული იქონიოთ ილიამ და მიხაკო ორბელიანმა (რომლებიც თან-შეზრდილნი იყვნენ ყრმობის დროიდან), როგორც მე და ტატოს (ნიკო ბარათაშვილს) გვაერთებდაო. გრიგოლი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს თავის ამ წერილს ძმისადმი:

„მიხაკოს სიყვარულით მოვიკითხავ. ვინძლო რომ ერთმანეთი გიყვარდეთ გულწრფელად, ესრეთ, როგორც მე და ტატოს გვიყვარდა ერთმანეთი“².

ეს გულითადი მეგობრობა ნიკოსი და გრიგოლ ორბელიანისა სიკვდილამდე გაგრძელდა. და როდესაც გრიგოლ ორბელიანს, დალისტანში მყოფს, მიუვიდა ყრუ ცნობა თავისი საყვარელი ტატოს (ნიკო ბარათაშვილის) მძიმე ავადმყოფობის თუ გარდაცვალების შესახებ, მწუხარებისაგან ავად გამხდარა. გრიგოლ ორბელიანი სწერს თავის ძმას ილია ორბელიანს დალისტნიდან, 1845 წ. 12 ნოემბრის თარიღით³:

„ტატოს ამბავი, ჩემი გულით საყვარელი ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? — უცნობლობა მკლავს. შენ

¹ ზ. მთაწმინდელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1885 წ., გვ. 6.

² გრიგოლ ორბელიანის ეს წერილი გამოგზავნილია დინაბურღიდან (დვინსკიდან) 28 ნოემბერს; წელი აღნიშნული არაა, მაგრამ წერილის რეალიებიდან ირკვევა, რომ წერილი 1836 წ. არის მოწერილი (წერილის დედანი ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრ-არქივში, განსაკუთრებული ფონდი, № 173).

³ გრიგოლ ორბელიანის წერილები (ა.კ. გაწერელის რედაქციით), 1936, I, გვ. 118.

მიხაკოსთვის¹ მოგეწერა ტატოს უიმედო ავადმყოფობა, მანაც წიგნი არ მაჩვენა. ისე ზეპირად მითხრა, მაგრამ ასე მითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს.—ახ, ეს დამალვა რა არის?.. აქაურმა ცხოვრებამ, ძაღლის ცხოვრებამ, და ამ უცნობლობამ ტატოსათვის მე ავად გამხადეს. ეს ექვსი დღეა ვწევარ გარიიჩკითა მიხაკოსთან. — თუ ხატი გრწამს, მომწერე ტატოს ამბავი სიწრფოებით, და მას უკან — რადგან შენთვის დიდი შრომაა — ნულარ მოიწერები, იყავ შენთვის მშვიდობიანად“.

ნ. ბარათაშვილი ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ გრიგოლს ვერ უცხადებდნენ ძვირფასი ტატოს დაკარგვას.



ნიკო ბარათაშვილი თბილისს ეკუთვნის, როგორც დაბადებით, ისე თავისი ხანმოკლე სიცოცხლით. პოეტმა თავისი ცხოვრება (გარდა უკანასკნელი წლისა) თბილისში გაატარა.

ორბელიანთა სახლი, სადაც დაიბადა ნიკო ბარათაშვილი და სადაც მან სანახევროდ გაატარა თავისი ბავშვობა, აღარ შენახულა. ეს სახლი, როგორც გადმოგვცემენ მომსწრენი, მდებარეობდა „გარეთ-უბანში“, ახლანდელ ორბელიანის ქუჩაზე². სახლი იყო პატარა, ორსართულიანი, ბანიანი. ბანიდან მოჩანდა განთქმული ყაბახის მოედანი (სადაც შემდეგ ეგრეთწოდებული „ალექსანდრეს ბაღი“ — ახლანდელი „კომუნართა ბაღი“ — გაშენდა). როდესაც ყაბახზე ძველი ტრადიციული ჭირითი იმართებოდა, ამ სახლის ბანზე გამოეფინებოდნენ ხოლმე „ორბელიანთა აულის“ ქალები („ორბელიანთა აული“ — ასე უწოდებდნენ მეტსახელად ყაბახის მიდამოებს, რადგან იგი ორბელიანთა საგვარეულო სამფლობელოს შეადგენდა და აქ უმთავრესად ორბელიანნი სახლობდნენ).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბარათაშვილის დროინდელ თბილისს ჭერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული ძველებური ხასიათი. ქალაქის ფარგლებსაც სხვა მოხაზულობა ჰქონდა.

¹ მიხაკო ორბელიანი — გრიგოლის ნათესავი.

² სახელდობრ ჩიხის ბოლოს, ქუჩის აღმოსავლეთ მხარეზე.

ქალაქი თავდებოდა ყაბახისა და ახლანდელი სასახლის მიდამოებში. შემდეგ იწყებოდა მინდვრები, ბაღები (ამ ბაღების მიდამოებში გააშენა შემდეგ თავისი სახლი პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ)¹. ქალაქის შუაგული ამ დროს სიონის უბანი იყო.

თვით პოეტის მამის მელიტონ ბარათაშვილის სახლი, რომელთანაც დაკავშირებულია პოეტის ბავშვობისა და ყმაწვილობის წლები, მდებარეობდა სიონსა და ანჩისხატს შუა. კათოლიკოზის ყოფილი სასახლის ახლო, ეს სახლიც აღარ შენახულა, მაგრამ მისი ძველი ადგილმდებარეობაც ნიშანდობლივ ირკვევა. პოეტის დის ბარბარეს აღწერით, „სახლი ერთ-სართულიანი იყო, ბანიანი, როგორც ყველა სახლები მაშინ. რვა ოთახისაგან შესდგებოდა. უკან პატარა ეზო ჰქონდა. წინ პირდაპირ ქუჩაზე გამოდიოდა“. ამ სახლის გვერდით ცხოვრობდა თეკლე ბატონიშვილი, დედა ვახტანგ ორბელიანისა (პოეტისა) და ალექსანდრე ორბელიანისა. ალექსანდრე ორბელიანი, დიდი ქართველი პატრიოტი, ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი იყო 1832 წლის შეთქმულებისა, და თეკლე ბატონიშვილის სახლი 1831—1832 წლებში შეთქმულთა მთავარ ბინას წარმოადგენდა.

მესამე სახლი, რომელიც დაკავშირებულია ბარათაშვილის სახელთან, დღემდისაც არსებობს. ეს სახლი მდებარეობს ანჩისხატის გვერდით. ამ სახლში გადავიდნენ ბარათაშვილი 1841 წელს და პოეტმა ამ სახლში დაჰყო უკანასკნელი წლები. სახლის აღმოსავლეთი აივანიდან მოჩანს მტკვრის კლდოვანი ნაპირები, რომლის მიდამოებში თქვენ უნებლიეთ გელანდებათ ბარათაშვილის „ჩინარი“.

ბარათაშვილი, როგორც მოვიხსენეთ, თბილისს ეკუთვნის როგორც დაბადებით, ისე თავისი ხანმოკლე სიცოცხლით. მაგრამ ბარათაშვილი დაკავშირებულია საქართველოს დედაქალაქთან არა მხოლოდ წარმოშობით: ბარათაშვილი ერთი პირველი პოეტთაგანია, რომელმაც შეიტანა ახალ ქართულ პოეზიაში თბილისის განუმეორებელი კოლორიტი. „შემოღამება მთაწმიდაზედ“, „ყაბახი“, „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, „ბედი ქართლისა“ ნარიყალას კედლებით და კრწანისის გმირებით აცოცხლებენ ძველ თბილისს.

¹ ახლანდელ ალ. ჭავჭავაძის ქუჩაზე.

გადავდივართ ბარათაშვილის ცხოვრების ქრონიკაზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბავშვობის წლების შესახებ ჩვენ ცოტა ვიცით. პატარა ტატო (როგორც ეძახდნენ შინაურობაში პოეტს) მისი დედის ეფემიას და დიდ-დედის ხორეშან ბატონიშვილის ხელში იზრდებოდა. პოეტის გადია ყოფილა გლეხის ქალი მათა (გორელი, გვარად ზავრაშვილი). პოეტის დაი ბარბარე დიდის პატივით იგონებს პატარა ტატოს ამ გამდელს, გლეხის ქალს.

წერა-კითხვა პოეტისათვის დედას უსწავლებია. თვითონ ბარათაშვილისაგან გამიგონიაო, — გადმოგვცემს პოეტის მეგობარი კონტანტინე მამაცაშვილი, — რომ ნიკომ წიგნი შინ შეისწავლა: რვა წლისამ უკვე იცოდაო ქართული წერა-კითხვა.

პირველი წიგნები, რომლებითაც ნიკო გაეცნო ქართულ ენას, თანახმად იმდროინდელი ტრადიციისა, უნდა ყოფილიყო „საღვთო წერილი“, დავითნი, სახარება. აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული ენა სიყვარული ბოლომდე შერჩა პოეტს. პოეტის დაი ბარბარე ვეზირიშვილისა იგონებს, რომ „ნიკო საუცხოვოდ ჰკითხულობდა საღვთო წერილს“.

1827 წელს ნიკო ბარათაშვილი მიაბარეს თბილისის „კეთილშობილთა სასწავლებელში“.

„კეთილშობილთა სასწავლებელი“ ერთადერთი ევროპული ტიპის სკოლა იყო ამ დროს თბილისში. ბარათაშვილის დროს (1829/1830 წელს) იგი გიმნაზიად გადაკეთდა. აღვნიშნეთ, რომ ამ სკოლაში არა ერთმა და ორმა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ მიიღო განათლება. 50-იან წლებში აქ სწავლობდა ილია ჭავჭავაძე.

1830 წლის დასაბრუნებულს გიმნაზიასთან დაარსდა პანსიონი 40 კაცისთვის. ნიკო ბარათაშვილი მიღებულ იქნა პანსიონში „ნახევარ-პანსიონერად“, ე. ი. ნიკოს უფლება ჰქონდა ოჯახშიაც დაბრუნებულიყო.

ბარათაშვილმა ამ სკოლაში დაჰყო 8 წელი და 1835 წელს დაამთავრა გიმნაზია.

ბარათაშვილი, გიმნაზიის დასრულების შემდეგ ცხოვრებაში გამოსული, შემდეგის სიტყვებით იგონებს გიმნაზიურ წრეს:

დავშთე ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის,
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის...

„კეთილშობილთა სასწავლებელი“ არ წარმოადგენდა ჩვეულებრივი ტიპის გიმნაზიას. იგი თავისი პანსიონური ცხოვრებით და აგრეთვე მოსწავლეთა შერჩევით ერთი წრიდან უფრო დახურულ ლიცეუმს მოგვაგონებდა.

ბარათაშვილის დროს გიმნაზიაში სწავლობდა რამდენიმე ყმაწვილი, რომლებიც ბოლომდე ბარათაშვილის მეგობრებად დარჩნენ და რომლებთანაც ერთად ბარათაშვილს მოუხდა ცხოვრებაში გამოსვლა: მიხეილ თუმანიშვილი (პოეტი, თეატრალი, ჟურნალისტი), კონსტანტინე მამაცაშვილი (ბარათაშვილის პირველი ბიოგრაფი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, შემდეგ ერთ-ერთი ინიციატორი წერა-კითხვა; საზოგადოებისა და ქართული გიმნაზიის დაარსებისა)¹, დავით მაჩაბელი (ლიტერატორი), ლევან მელიქიშვილი (რამდენაღ შემდეგ, 80-იან წლებში, კავკასიის მეფესნაცვლის მთადგილედ იყო), ილია ორბელიანი (პოეტის ბიძა, რომელსაც ნ. ბარათაშვილმა უძღვნა თავისი „მერანნი“) და სხვანი.

ბარათაშვილს — გიმნაზიელს შემდეგნაირად ახასიათებს მისი სკოლის ამხანაგი კონსტანტინე მამაცაშვილი:

„ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგად სწავლობდა. უმეტესად განსხვავებული იყო თავის ამხანაგებში მხიარულის ხასიათით, სიმარდით, პირველი მოცეკვავე იყო. საკუთრად ლეკურისა. ყველაზეაგან საყვარელი ამხანაგი.

„...ფხიზელი, ცნობის-მოყვარე, მიძღვები ყოველივე კარგი შთაბეჭდილებისა.

„...ნიკოლოზს სიკვდილამდე ჰქონდა შეუცვლელი მეგობ-

¹ არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ კ. მამაცაშვილი იყო მეგობარი როგორც ნ. ბარათაშვილისა, ისე რუსი პოეტის მ. ლერმონტოვისა.

რული კავშირი თავის ამხანაგებთან, იმათ შორის ჩემთანაც“.

ბარათაშვილს დიდი სითბოთი და სიყვარულით იგონებენ მისი სკოლის ამხანაგები, აღნიშნავენ მის მიმზიდველსა და ნათელ ბუნებას. ლევან მელიქიშვილი ერთ წერილში, რომელიც დაწერილია 1846 წლის 19 იანვარს, ე. ი. სამი თვის შემდეგ, როცა პოეტი ასე უდროოდ გარდაიცვალა, სწერს გრიგოლ ორბელიანს:

„მე მასში დაკვარგე არა მხოლოდ სკოლის ამხანაგი, არამედ მეგობარი, რომელსაც ბავშვობიდანვე ვუშლიდი ჩემი გულის ყველა ხვეულებს, და რომლის მეგობრული თანაგრძნობის მე ღირსი გავხდი. ძნელია დაჰკარგო ადამიანი, რომელიც თბილისის გულითა და თბილისის სულით შერიგების გრძნობას გვიღვიძებდა ადამიანებისადმი... ძნელია სულით დაობლება! და არა მხოლოდ მე დამატყდა თავს ეს საშინელი დანაკლისი! საქართველომ მასში დაჰკარგა კაცი, რომელსაც იგი უყვარდა სრულის პოეტური სულითა და ამ სიყვარულს ყოველ თავის მოვალეობაზე მალლა აყენებდა, ყმაწვილი კაცი მშვენიერის და ბრწყინვალე ნიჭისა, რომლის ყველაზე მეტი იმედი ჰქონდა, ვიდრე სხვა ეხლანდელ თავის ჰაბუკ შვილებიააგან“.

დიმიტრი ყიფიანი, რომელიც აგრეთვე გიმნაზიელობის დროიდან იცნობდა ნიკო ბარათაშვილს, და შემდეგაც ახლო ურთიერთობით იყო დაკავშირებული ნიკო ბარათაშვილთან, თავის ერთ კერძო წერილში ასევე დიდი სითბოთი იგონებს ნიკო ბარათაშვილის ნათელ ბუნებას. დიმიტრი ყიფიანის სიტყვით, ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო „მეტად ცოცხალი, მხიარული, მოსწრებული, ამავე დროს ყოვლად უანგარო. მიუხედავად დიდად შევიწროებული მღვთმარეობისა, იგი მუდამ მზად იყო დახმარებოდა გაჭირვებულს ყველაფრით, რითაც კი საჭირო იყო... მეგობრები იცნობდნენ მას, როგორც საუკეთესო ამხანაგს“.

* * *

ბარათაშვილში პოეტმა ადრე გაიღვიძა. პირველი მისი ლექსები გიმნაზიაში ყოფნის დროს ეკუთვნის. ყველა ლექსი გიმნაზიელობის დროისა არ შენახულა; დაცულია მხოლოდ ერთი

კრებული, რომელიც გადაწერილია 1833 წლის პირველ ნახევარში (18 ივნისამდე), ე. ი. როცა ბარათაშვილი 15 წლის ყმაწვილი იყო.

კრებულში მოთავსებულია ბარათაშვილის ხუთი ლექსი. ამ ლექსებიდან პირველი სამი („ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყაჩო“, პოემა „კავკასიური მოთხრობა“) ჯერ კიდევ ბავშვური ხასიათისაა; ისინი მიახლოებით 1832 წლით თარიღდება. მაგრამ ამავე კრებულში მოთავსებულია პირვანდელი ვარიანტები ლექსებისა: „ვარდი და ბულბული“ (1832—1833 წწ.) და „შემოღამება მთაწმიდაზედ“ (1833 წ..)

კერძოდ, „შემოღამება მთაწმიდაზედ“, — მისი პირველი ვარიანტი, რომელიც ბარათაშვილმა 15 წლისამ დაწერა, გვიჩვენებს, რომ ბარათაშვილს ადრე უპოვია საკუთარი პოეტური ხმა; ამ ლექსში (მის პირველ ვარიანტში) უკვე იგრძნობა ბარათაშვილის დიდი პოეტური ტალანტის პირველი გამონათება.

ამავე ხანებში, 1835—1836 წლებში, ბარათაშვილის სკოლის ამხანაგები სცემდნენ რუსულ ხელნაწერ ჟურნალსაც: «Цветок Тифлисской Гимназии». ჟურნალს რედაქტორობდა მიხეილ თუმანიშვილი.

ამ რუსულ ჟურნალში ნიკო ბარათაშვილიც იღებდა მონაწილეობას (თუმცა არა ისე აქტიურად, როგორც მისი ამხანაგები).

სულ გამოსულია ხუთი ნომერი ჟურნალისა 1835 წლის მაისიდან ვიდრე 1836 წლის თებერვლამდე.

ნიკო ბარათაშვილის ტექსტები მოთავსებული ყოფილა ჟურნალის მეოთხე ნომერში (1835 წლის ბოლო). ეს მეოთხე ნომერი ჟურნალისა არ შენახულა, მაგრამ მისი შინაარსი ირკვევა მეხუთე ნომერში მოთავსებული საერთო სარჩევიდან. სახელდობრ მეოთხე ნომერში მოთავსებული ყოფილა ბარათაშვილის სამი ტექსტი: I. «Письмо из деревни»; II. თარგმანი ძველ-ქართული რომანიდან „ვისრამიანი“ (ნაწყვეტი); III. «О папской власти. I. О возвышении папизма; 2 О падении его».

უნებლიეთ ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა ბარათაშვილის ინტერესი პაპიზმისა და კათოლიციზმის ისტორიისადმი. ეს ინტერესი უნდა დაბადებულიყო პოლონურ წრეებთან სიახ-

ლოვით. პოლონელი შეთქმულნი, გადმოსახლებულნი საქართველოში ვარშავის დაცემის შემდეგ, 1831 წელს, ახლო ურთიერთობაში იყვნენ ქართულ საზოგადოებრიობასთან, და კერძოდ იმ წრესთან, რომელსაც ნ. ბარათაშვილი ეკუთვნოდა¹.

აღსანიშნავია ანას გარდა, რომ ახალგაზრდა ბარათაშვილი ვისრამიანით დაინტერესებულა და მისი ერთი ნაწილი უთარგმნია კიდევ. ვისრამიანი ერთი უბრწყინვალესი ძეგლთაგანია, რომელიც ძველმა ქართულმა მხატვრულმა პროზამ გვიანდერძა, და ინტერესი ბარათაშვილსა ამ რომანისადმი გვიჩვენებს ყმაწვილი ბარათაშვილის კარგ გემოვნებას.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბარათაშვილმა თუმცა რუსული სკოლა გაიარა, მაგრამ იგი ადრევე, ჯერ კიდევ მოწაფეობის დროსვე, საფუძვლიანად გასცნობია ქართულ მწერლობას, კერძოდ ძველ-ქართულ კლასიკურ მწერლობას.

ნ. ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი ლუკა ისარლიშვილი გადმოგვცემს, რომ ბარათაშვილის უსაყვარლესი საკითხავი წიგნი მოწაფეობის დროს იყო „ვეფხისტყაოსანი“, რომლის მთელი ადგილები ბარათაშვილს ზეპირად სკოდნია.

„ვკითხულობდით აგრეთვე ვისრამიანს, ჩახრუხაძეს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს“, — გადმოგვცემს ნ. ბარათაშვილის იგივე სკოლის ამხანაგი².

„ვეფხისტყაოსნის“ სტროფების გამოსხივება იგრძნობა, უწინარეს ყოვლისა, ბარათაშვილის „მერანში“, ასევე ლექსში „ჩინარი“.

მაგრამ შოთას უკვდავი პოემის გარდა ბარათაშვილისათვის, ჩანს, მართლაც არ ყოფილა უცხო ძველი ქართული პოეზიის სხვა კლასიკოსები, შოთა რუსთაველის ეპოქის პოეტები:

¹ გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ბარათაშვილს ამ წერილის დაწერის დროს უნდა ესარგებლა დეკაბრისტი კონდრატი რილეევის სტატიით: «Гривина падения иастии пани». ამის გადაკრით თქმა ძნელია (რადგან ბარათაშვილის წერილი არ შენახულა), მაგრამ სავარაუდებელი კია სათა: რთა სახლოვის მიხედვით. დეკაბრისტი რილეევის ნაწერები გავრცელდა იყო ქართულ საზოგადოებაში ხელნაწერთა სახით (როგორც ამის შესახებ ქვემოთ გვაქვს საუბარი, გრიგოლ ორბელიანმა ქართულად გადმოიღო კონდრატი რილეევის „ნალივაიკოს აღსარება“).

² იხ. ლიტერატურის მატრიანე, 1—2, 1940, გვ. 387.

შავთელი (XII საუკ. დასაწყისი), ჩახრუხაისძე (XII—XIII სს.), არაა ინტერესს მოკლებული ზემოთ მოყვანილ ცნობასთან დაკავშირებით აღვნიშნოთ, რომ ბარათაშვილის ლექსში („ეკატერი“)ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ — ბოლო სტროფში ჩვენ გვაქვს შემხვედრი ხაზები ჩახრუხაისძის „თამარიან“-თან. ასევე ფინალში ლექსისა „ჩემი ლოცვა“ ჩვენ გვაქვს გამოხმაურება შავთელის „აბდულ-მესიან“-ისა.

არა ნაკლებ საინტერესოა, რომ იმავე ლექსში „ჩემი ლოცვა“ ჩვენ გვაქვს გამოხმაურება ძველ-ქართული ძლისპირისა (საგალობელისა) „სოფლისა ზღვაჲ აღძრულ არს“, რომელიც ეკუთვნის მე-8—9 საუკუნეთა დიდ ქართველ პოეტ-ჰიმნოგრაფს გრიგოლ ხანძთელს (758—860)¹.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბარათაშვილი, ახალი ქართული პოეზიის დიდი რეფორმატორი, რომელიც არის ფუძემდებელი მე-19 საუკუნის ახალი ქართული მწერლობისა, მისი განახლებისა ევროპეიზმის საფუძველზე, არა შემთხვევაში არაა დაცილებული ქართული პოეზიის უძველეს პირველსაწყისებს; მისი პოეტური მემკვიდრეობა ღრმა ფესვებით არის დაკავშირებული ძველი ქართული პოეზიის ტრადიციებთან.

V

1832 წლის შეთქმულება და ნ. ბარათაშვილი

ნ. ბარათაშვილის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის გამომუშავებაზე დიდი გავლენა ჰქონდა 1832 წლის შეთქმულებას, რომელიც პოეტის ახალგაზრდობის წლებში მოეწყო. ნ. ბარათაშვილი, ავტორი „ბედი ქართლისა“, ღებულობს მემკვიდრეობას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიისა, რომელმაც გამოსახულება 1832 წლის შეთქმულებაში პოვა.

ამის გამო ჩვენ შევჩერდებით ამ მოძრაობის ისტორიაზე².

¹ იხ. პ. ინგოროყვა, ტ. 111, 1965 წ., გვ. 76—77.

² ძირითადი მასალები (გარდა გამოუცემელი საარქივო დოკუმენტებისა):

ალექსანდრე ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ვეტერანი, წერს თავის მოგონებებში, რომელიც ხელნაწერად არის მოღწეული:

„საერთოს შეთქმას შეუდგნენ ქართველები 1830 წელსა. ეს შეთქმა ისე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია შავი ზღვიდგან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ, სრულად მთებისა და ბარის ხალხი, უნდა გავერთებულიყავით და ერთიანი აღრეულობა მოგვეხდინა...

„...შევუდქით საქმეს დიდის გულმოდგინებით, ისე რომ მშობლის მამულის მეტი სიყვარულით, ავად ვსაქმობდით თუ კარგად, ველარა გავიგეთ რა, ისე რომ ჩემი თავი აღარ მოვასვენე ამ საქმეში. და ისინიც, ჩემნი ამხანაგნი, დიდნი მცდელნი იყვნენ იმ საქმისა, ნამეტნავად ელიზბარ შანშეს-ძე ქსნის ერისთავის შვილი, რომელიც ყველას ჩვენზედ უპირველეს მცდელი ის შეიქმნა.

„...სრულიად საქართველოს დიდი კაცნი და მცირენი, და ბევრნი სასულიერო წოდებანი, რომლებთანაცა ხნიანი დედაკაცნი და ყმაწვილ-ქალნი, ერთის აზრისა იყვნენ ყველა ჩვენთან. ან უნდა გავწყვეტილიყავით სულ ერთიან, ან არა და მამული გამოგვეხსნა... ბევრმა პატიოსანმა გვარმა დედაკაცმა დაიფიცეს: კაცურად ჩაეცომთ და ჩვენს უკანასკნელს სისხლს დავღვრით მამულის გამოსახსნელადო. ზოგიერთმა ყმაწვილმა დედაკაცებმა ბაირახებს კერვაც დაუწყეს და აღრეულობის ნიშნად მოამზადეს.

„მაგრამ ამ წმინდას და პატიოსან საქმიდან ერთი გამცემელი გავიდა და რუსებს აცნობა ყოველი ჩვენი საქმე და განზრახვა, ესე იგი იასე ფალაევანდოვმა, რაშიაც ბევრი კაცი და დედაკა-

ა. Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией, т. VII. გვ. 391—423.

ბ. გიორგი გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულობა“, ტ. I, 1932 წ.

გ. პავლე ინგოროყვა, გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები, ეჟრნ. „ქართული მწერლობა“. 1928 წ., №6—7.

ცები გაეზნენ... პირველი მოთავენი მიფანტ-მოფანტეს რუსეთში¹.

1832 წლის შეთქმულება მნიშვნელოვანი მოვლენაა მე-19 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ შეთქმულების მოწინავე იდეოლოგები, შეთქმულების ხელმძღვანელი პროგრესული ნაწილი, ასე ვთქვათ „მემარცხენე ფრთა“ 1832 წლის მოძრაობისა, რომელსაც ეკუთვნოდნენ სოლომონ დოდაშვილი და სხვები, არ ისახავდა მიზნად ძველი საქართველოს უბრალო რესტავრაციას ძველი, მამა-პაპური, საშუალო-საუკუნოებრივი წყობით; ისინი განახლებულ საქართველოზე ფიქრობდნენ; მათთვის არ იყო უცხო თანამედროვე ევროპის რადიკალური იდეები, რომელთაც, კერძოდ, ამ ხანაში რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობაშიაც პოვეს გამოძახილი, დეკაბრისტების შეთქმულებაში 1825 წელს და აგრეთვე პოლონეთის აჯანყებაში 1830—1831 წლებსა.

რომ 1832 წლის შეთქმულებასა და რუსეთის დეკაბრისტების მოძრაობას შორის არსებობდა შემაერთებელი ხაზები, ამის მაჩვენებელია თუნდაც ის გარემოება, რომ შეთქმულების წევრს პოეტ გრიგოლ ორბელიანს პროპაგანდის მიზნით უთარგმნია ანუ, უფრო სწორად, გადმოუკეთებია ქართულად „ნალივაიკოს აღსარება“ კონდრატი რილევისა, დეკაბრისტების ამ ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელისა, რომელიც ნიკოლოზ I-ის მთავრობამ პეტრე-პავლეს ციხეში ჩამოახრჩო 13 ივლისს 1826 წელს, დეკაბრისტული მოძრაობის სხვა ლიდერებთან ერთად.

ქართველ შეთქმულთა ხელმძღვანელ წრეში, როგორც ჩანს, მსჯელობის საგანი ყოფილა დეკაბრისტების პოლიტიკური გეგმები და თვით აჯანყების მსვლელობა და ტექნიკაც (ასე, ერთ-ერთი შეთქმულთაგანი გამოსთქვამდა მოსაზრებას, რომ დეკაბრისტებმა შეცდომა დაუშვეს, როდესაც მათ შეიარაღებული გამოსვლა დაიწყეს სენატის მოედანზე და არა არსენალთან; თუკი მათ პირველის დაკვრით არსენალი აეღოთ, და არა მარტო... ჯარისკაცებს დაყრდნობოდნენ, არამედ ხალხი შეეიარაღები-

¹ იხ. ხელნაწერები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტისა S — 1655/ბ, S — 1959/ა.

ნათ, საქმე სხვაგვარად დატრიალდებოდა). ქართველ შეთქმულთა მსჯელობის საგანი ყოფილა დეკაბრისტი პესტელის გეგმა, რომელიც არარუსული ქვეყნების რუსეთიდან ჩამოშორებას ითვალისწინებდა.

შეთქმულნი დიდად აფასებდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ დეკაბრისტების ხსოვნას. ასე, შენახულა ცნობა, რომ ქართველ შეთქმულთა ხელმძღვანელობაში სიხარული გამოუწვევია საქართველოში ჩამოსულ ამბავს, რომ 1831 წელს აჯანყებულმა პოლონეთმა ძეგლი აუგო პესტელს, რილევესა და მათ მეგობრებს, და ზეიმით იდღესასწაულაო მათი ხსოვნა, ვინც 14 დეკემბრის ამბოხების გამო დასჯილ იქნა.

დეკაბრისტების მოძრაობასთან ერთად, საქართველოში, როგორც აღენიშნეთ, გამოძახილი ჰქონდა პოლონეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც 1830—1831 წლების აჯანყებით დასრულდა. ქართველ შეთქმულთა წრეებში საქართველოში შეიარაღებული გამოსვლის ვადას უფარდებდნენ პოლონეთის აჯანყების მსვლელობას. და როდესაც 1831 წელს ვარშავა დაეცა, ამას ქართველი პატრიოტები თბილისში გლოვით შეხვდნენ.

პოლონეთის დამარცხებას 1831 წელს მოჰყვა პოლონელი რევოლუციონერების გადმოსახლება საქართველოში. 1832 წლისათვის საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელთა რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევდა. ქართველი შეთქმულნი, როგორც ირკვევა, დაკავშირებიან გადმოსახლებულ პოლონელებს, და 1832 წლის დეკემბრისათვის, როდესაც საქართველოში შეიარაღებული გამოსვლა იყო დანიშნული, თბილისში მყოფი 500-მდე პოლონელი მომზადებული ყოფილა აჯანყების დროს ქართველების მხარეზე გადმოსასვლელად.

როგორ ჰქონდათ შეთქმულებს წარმოდგენილი საქართველოს მომავალი წყობილება?

შეთქმულების მოწინავე იდეოლოგთა შორის ყოფილან როგორც კონსტიტუციური შეზღუდული მონარქიის, ისე რესპუბლიკური წყობილების მომხრენი. ერთ-ერთ შეთქმულთაგანს ეკუთვნის განცხადება:

„მე მინდა საქართველოს თავისუფლება არა იმისათვის, რომ ვინმე ბაგრატიონთა გვარისაგანი გამეფდეს საქართველოში.

არამედ რათა საქართველო შეიქმნას რესპუბლიკად“ («Я желаю свободу Грузии не для того, чтобы ктонибудь из рода Багратионов воцарился в оной, но чтобы из Грузии сделался род республики»).

ლიტერატურის ისტორიისათვის არაა ინტერესს მოკლებული ის გარემოება, რომ ამ ხანაში რესპუბლიკური იდეები არ ყოფილა უცხო, კერძოდ, გრიგოლ ორბელიანისთვისაც, რომელიც შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდა. 1831 წელს გრიგოლ ორბელიანი გაემგზავრა რუსეთში, მას შეთქმულთა თბილისის ორგანიზაციის მიერ დავალებული ჰქონდა კავშირის გაბმა შეთქმულთა პეტერბურგის წრესთან. ამ დროიდან მოღწეულია გრიგოლ ორბელიანის დღიური. გრ. ორბელიანი, ჩასული ნოვგოროდს, წერს თავის დღიურში (1831 წლ. 24 ოქტომბერს), აღარებს რა თვითმპყრობელურ რუსეთსა და ნოვგოროდის ძველ რესპუბლიკურ წყობილებას:

„ფიქრმან ნოვგოროდისათვის არ დამაძინა დიდს ხანს. გონებაში წარმომიდგა რესპუბლიკური უწინდელი ამათი მმართველობა, სიმდიდრე, ვაჭრობა და მხნეობა ამის მოქალაქეთა, ვეჩეს ზარი (ანუ ბუკი), რომლითაც შეიკრიბებოდა ხალხი მძიმის საქმის გარდასაწყვეტლად, ნოვგოროდის რაყიფობა მოსკოვის მეფეებთან და შემდგომად დამხობა მისი მრისხანე ივანეს მიერ“.

„ვიდრე იყო რესპუბლიკა, ნოვგოროდი ყვავილოვნობდა ვაჭრობითა, მხნეობითა, სიმდიდრითა, და იყო სხვათა რუსებზე უმეტეს განათლებულიცა და თვით თათართ მონებასაცა გადაურჩა; გარნა აწ აღარც აჩრდილი სჩანს უწინდელისა მის შემძლებლობისა. რკინისა ხელმან შეიპყრა და განაქარვა ყოველი დიდება მისი“.

აღსანიშნავია, რომ შეთქმულნი, როგორც ირკვევა, გლახობის საკითხსაც აქცედიდნენ ყურადღებას. შეთქმულების დროინდელ ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეთქმულთა კრებების დროს „იმართებოდა მსჯელობა საქართველოზე, შეფუძლია თუ არა მას იყოს დამოუკიდებელი, ხალხის უფლებაზე, ბატონების მიერ გლახთა შევიწროებაზე, და იმ საშუალებებზე, რომლითაც საქართველოს განთავისუფლება იქნებოდა შესაძლებელი“.

„შეთქმულთა მოწინავე წრეების ორიენტაცია ევროპაზე იყო აღებული. ამდროინდელ დოკუმენტში აღნიშნულია შეთქმულთა ერთ-ერთი ხელმძღვანელის შესახებ, რომ იგი „ძალიან ხშირად მოუთხრობდა მასთან მისულებს (შეთქმულობის თანამგრძნობთ) თავისუფლებაზე, უხსნიდა საფრანგეთის უფლებებს, მის (საფრანგეთის) თავისუფალ ცხოვრებას, მეფის შეზღუდულ უფლებას... უკანასკნელ წარმოდგენდა საფრანგეთში მომხდარ აჯანყებებს. ზოგჯერ მსჯელობდნენ თავისუფალი ქალაქების — მაინის ფრანკფურტისა და კრაკოვის მმართველობის მდგომარეობის გამო, და ამკობდა მოთხრობებით ამ ქალაქთა მოქალაქეების ბედნიერი ცხოვრების შესახებ“. («...весьма часто рассказывал посещавшим его о вольности, объясняя права Франции, свободную жизнь жителей ее, ограниченную власть короля... и наконец представлял мятежи в одной происходившие. Иногда рассуждали о состоянии правления вольных городов: Франкфурта на Майне и Кракова, украшая рассказами счастливую жизнь граждан оных городов»).

გასაგები ხდება ასეთ გარემოში, რომ 1832 წლის შეთქმულების მოწინავე პროგრესული წრეები დაინტერესებული ყოფილან, კერძოდ, თანამედროვე, 1830 წლის რევოლუციითაც საფრანგეთში, რომელი ქვეყანაც თავისუფლების დედად ითვლებოდა ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა აქ მოვიხსენოთ ერთი დოკუმენტიც. მთავრობის აგენტებს შეთქმულთა დაქვრის დროს ხელში ჩავარდნიათ ქართული თარგმანი მოწოდებისა, რომელიც გამოცემულია „სენის დეპარტამენტის პრეფექტის მიერ თვისთა თანამოქალაქეთა მიმართ“ (მოწოდება დათარიღებულია: „პარიჟი, 19 ოქტომბერს, წელსა 1830“). ეს მოწოდება ქართულად თარგმნილია, როგორც ამას მინაწერი უჩვენებს, 1831 წლის იანვრის 20-ს (ე. ი. სამი თვის შემდეგ მოწოდების გამოქვეყნებიდან), ხოლო მისი მთარგმნელი ყოფილა სოლომონ რაზმაძე, თვალსაჩინო წევრი შეთქმულებისა, გაბედული პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც შეთქმულთა კომიტეტის მიერ გაგზავნილი იყო თეირანში ინგლისის წარმომადგენლობასთან კავშირის დასაჭერად.

საბოლოოდ, როდესაც საქმე უკვე აჯანყების დაწყებაზე მიდგა და საქართველოს მმართველობის კონკრეტული გეგმისა

და ზომების დასახვა იყო საჭირო, შეთქმულების მთავარმა ორგანიზაციამ თბილისში მიიღო გადაწყვეტილება — შეექმნათ საქართველოში კონსტიტუციური შეზღუდული მონარქია. განზრახული იყო აერჩიათ მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ფართო წრეებში და რომლის სახელი შემოსილი იყო საქართველოს თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლის შარავანდედით. მთავრობაში დასახელებულნი იყვნენ შემდეგი პირნი: 1. მთავრობის თავმჯდომარე ალექსანდრე ბატონიშვილი („მეფის“ ტიტულით). 2. სამხედრო მინისტრი — ალექსანდრე ჭავჭავაძე. 3. იუსტიციის მინისტრი — კ. მუხრან-ბატონი. 4. ფინანსთა მინისტრი — ნ. ფალავანდიშვილი. 5. შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი — ი. ჭილაშვილი. 6. გარეშე საქმეთა მინისტრი — კ. ბებუაშვილი.

ხელისუფლების კანონმდებელი ორგანო უნდა ყოფილიყო დეპუტატთა პალატა — ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ე ი მ ი, შექმნილი არჩევითი წესით. სეიმი უნდა მოწვეულიყო დაუყოვნებლივ, აჯანყების გაშლისთანავე.

სახელმწიფო მმართველობის მთელს სისტემაში არჩევითი წესები, სახალხო წარმომადგენლობის პრინციპი, ფართოდ უნდა ყოფილიყო გატარებული. შეთქმულების ხელმძღვანელთა რადიკალობა იმდენად შორს მიდიოდა ამ მხრივ, რომ ისინი შესაძლოდ სთვლიდნენ არჩევითი წესები დაეცვათ თვით რეგულარულ ჯარშიაც კი (შეთქმულთა გეგმაში შედიოდაო, — აღნიშნულია ოფიციალურ დოკუმენტში. — «заградить путь черн ушкелье Кавказское; образовав войско регулярное, и заселить в оное начальников способом избирательным»).

დასასრულ აქ მოკლედ შევეხებით აჯანყებისათვის მზადების სსეულლობის საქმეს.

შეგონებულვას, როგორც ირკვევა, ხანგრძლივი ისტორიკა ჰქონდა, იგი მთელი წლების განმავლობაში მზადდებოდა. პირველი უჯრედები შეთქმულებისა ჩასახულა არა უგვიანეს 1826 წლისა. 1826 — 1827 წლებში მუშაობა უკვე საკმაოდ გაღრმავებული ჩანს. ხოლო 1829 წლის შემოდგომისა და 1830 წლამდე დასაწყისისათვის წინასწარი სამზადისი შეთქმულების მოსა-

წყობად თავდება და ყალიბდება შეთქმულთა ფართო ორგანიზაცია.

ამ დროისათვის, როდესაც შეთქმულებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა საქართველოში და შეიარაღებული გამოსვლისათვის ემზადებოდნენ, 1830 წელს პოლონეთშიაც იწყება აჯანყება. საქართველოში, ცხადია, დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ პოლონეთის გამოსვლას. პოლონეთი, თუმცაღა ტერიტორიულად დაშორებული, ბუნებრივი მოკავშირე იყო საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობისა. პოლონეთის საქმის წარმატებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ ქართველი პატრიოტები. ახალ პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით ქართველმა შეთქმულებმა გადაწყვიტეს საქართველოში შეიარაღებული გამოსვლის ვადა შეეფარდებინათ პოლონეთის აჯანყების მსვლელობასთან.

მაგრამ პოლონეთი დამარცხდა, 1831 წელს ნიკოლოზ I-ის ჯარებმა აიღეს ვარშავა. ამან, ბუნებრივია, საქართველოში აჯანყების გამარჯვების შანსები საექვო გახადა, და შეთქმულთა მუშაობა ერთხანად შეფერხდა.

მაგრამ საბოლოოდ ქართველ შეთქმულებს განზრახვაზე ხელი არ აუღიათ. მუშაობის ხანმოკლე შენელების შემდეგ მათ ისევ განაახლეს საქმიანობა და დაიწყეს მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის.

აჯანყება 1832 წლის ბოლოსათვის, ზამთრის პირისათვის იყო დანიშნული. ეს თარიღი შეფარდებული იყო ზოგიერთ ხელსაყრელ პირობასთან. 1832 წელს კავკასიის ჯარების სარდალი, კორპუსის უფროსი, მთავარმართველი ბაიონ როზენი, საქართველოში მყოფი მთავარი სამხედრო ძალებით ლაშქრობდა და ისტანბულში, აჯანყებული ლეკების წინააღმდეგ. შეთქმულნი ვარაუდობდნენ, რომ კავკასიონის მთებით მთავრობა ვერ შეძლებს ზანთარნი ჯარის გადმოყვანას მნიშვნელოვანი რაოდენობით, კრიოდ, განზრახული იყო დარიალის ხეობის დაჭეტვა და გზის მოშლა (შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე, რომელმაც ადგილობრივ დაათვალიერა დარიალის ხეობა, წერდა: „არა ვითარსამე ძლიერსა ჯარსა ვერა ძალუქს გადმოსვლად ამა მთათა ზედა, უკეთუ წინააღმდეგების მას გინა ფრიად შევირედი ჯარი. მოსასვლელი არსაით არს. გზა არს ფრიად

ვიწრო, რომელიცა ადვილად სრულებით აღიხოცების: ჩასკრას ორსა ანუ სამსა ადგილსა გზა, რომელსაცა მყისვე დაჰფარავს თერგი“¹). ხოლო ზამთარში ზღვით გადმოყვანა ჯარისა საკმაო რაოდენობით მაშინდელს პირობებში არც ისე ადრე და ადვილად ასასრულებლად იყო მიჩნეული, ამასთან ზღვის სანაპირო დაშორებული იყო აჯანყების ძირითად ტერიტორიას, თბილისს და ქართლ-კახეთის პროვინციებს. თანაც შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ ზღვის სანაპირო ბოლახები, როგორც შავ ზღვაზე, ისე კასპიის ზღვაზე, დროულად დაეჭირათ შეიარაღებული ძალებით, აჯანყებული ლიხთ-იმერეთისა და აღმოსავლეთ-კავკასიის მუსულმანთა დახმარებით. ასეთ პირობებში ზამთრის განმავლობაში ყველაფერს მოვითავეთო, — ფიქრობდნენ შეთქმულნი.

აჯანყების დაწყების დღედ დანიშნული იყო 1832 წლის 20 ნოემბერი. მაგრამ შემდეგ ეს დღე გადატანილ იქნა ჯერ 6 დეკემბერს, ხოლო საბოლოოდ შეიარაღებული გამოსვლის დაწყების ვადად დაინიშნა 20 დეკემბერი 1832 წლისა. დღეების გადაწევა იმით იყო გამოწვეული, რომ თავად-აზნაურთა საზოგადო ყრილობა, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ იმართებოდა, და რომლის მოწვევა ნავარაუდები იყო თბილისში 1832 წლის 20 ნოემბრისათვის, შემდეგ გადატანილ იქნა ჯერ 6 დეკემბრისათვის, საბოლოოდ კი 20 დეკემბრისათვის დაინიშნა. ამ შეიარაღებული გამოსვლის შეფარდება ამ დღისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა შეთქმულთათვის.

შეთქმულების ხელმძღვანელი წრის მიერ შემუშავებულ იქნა აჯანყების დაწყებისა და შემდგომი გაშლის დაწერილებითი გეგმა, რომელსაც შეთქმულნი „პირველი დამის განკარგულება“ უწოდებდნენ.

აჯანყების დაწყების დღეს, ე. ი. 20 დეკემბრისათვის, საღამოს, უნდა გამართულიყო თავად-აზნაურთა სახელით წვეულება, რომელზედაც მოწვეული უნდა ყოფილიყვნენ ხელისუფლების ყველა მნიშვნელოვანი სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი. დამის პირველი საათისათვის, რა დროსაც უნდა და-

¹ იხ. გრიგოლ ორბელიანი, „მეზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერსბურგამდის“ [1831 წ.]

წყებულის თბილისში შეიარაღებული გამოსვლა, წვეულე-
ბაზე დამსწრე შეთქმულების თანამზარხველებს უნდა დაეტყვე-
ვებინათ ხელისუფლების წარმომადგენლები, ხოლო წინააღ-
მდეგობის გამწევენი მოესპოთ.

ამავე პირველი საათისათვის აჯანყებულებს უნდა დაეკა-
ვებინათ თბილისი. განაწილებული იყო რაზმები და ჯგუფები
ასაღებად ცალკე პუნქტებისა: არსენალისა, ყაზარმებისა, ცი-
ხისა, საპროვიანტო მაღაზიებისა, ხაზინისა, ორდონანსკაუზისა,
ნავთლულის ზონისა. გამოყოფილი იყვნენ საგანგებო ჯგუფები
ქალაქში წესრიგის დასაცავად და ანარქიული გამოსვლების
აღსაკვეთად.

თბილისიდან აჯანყება უნდა მოსდებოდა პროვინციას, აჯან-
ყების ორგანიზაციისათვის პროვინციაში ჩატარებული იყო მო-
სამზადებელი მუშაობა (კავკასიის სამხედრო ხელისუფლების
ერთ მოხსენებაში, რომელიც 1832 წლის დეკემბერში არის
მირთმეული კავკასიის მთავარმართებლის და სამხედრო ძალე-
ბის სარდლის, ბარონ როზენისადმი, აღნიშნულია, რომ
«все грузинские деревни намерены были взрывать, с таким предположением, чтобы русские войска частично
истребить, и частично изгнать из Грузии». შეთქმულებს
კავშირი ჰქონდათ გაბმული სოფლად, ქართლის რაიონებში,
შიდა-კახეთში, ქიზიყში, ნაწილობრივ იმერეთშიც).

დგებოდა დროებითი მთავრობა. დაუყოვნებლივ მიღებული
უნდა ყოფილიყო ზომები ეროვნული სენსის მოსაწვევად.

თბილისის აღებისთანავე აჯანყებულებს გაწვრთნა ჰქონდათ
ურთიერთობა დაეკირათ ოსმალეთთან და სპარსეთთან (რო-
მელთანაც აჯანყებულები ჰპირდებოდნენ ტერიტორიულ კომ-
პენსაციას კავკასიის სამხრეთ რაიონებში, მუსულმანურ ზო-
ნაში). აგრეთვე ევროპის სახელმწიფოებთან, რომლებთანაც
უშუალო ურთიერთობის გაბმას შეთქმულების ლიდერები აღ-
რიდანვე ცდილობდნენ.

შეთქმულების ხელმძღვანელებს თუმცა აფიქრებდათ სპარ-
სეთისა და ოსმალეთის მოსალოდნელი პოზიცია საქართველოს
მიმართ, მაგრამ იმედი ჰქონდათ, რომ ეს ორი მეზობელი დიდი
მუსულმანური სახელმწიფო კეთილგანწყობილ ნეიტრალიტეტს
დაიცავდა. შეთქმულების ერთი მონაწილე ჟერ კიდეც 1831
წელს ამ საგანზე წერდა:

„აწ თვით ყიზილბაში (სპარსეთი) და ოსმალთა ხედვენ შეცდომილებათა თვისთა, რომელ საქართველომ, მათგან შეიწრებულმან, დაუმეზობლა ესდენ საშინელი მათთვის მეზობელი რუსეთი... ყიზილბაშნი სწყევდენ ალა-მაჰმად-ხანსა თბილისის წახდენისათვის, რაიცა იყო მიზეზი რუსეთის გადმოსვლისა“.

შეთქმულება ჩავარდა.

9 დეკემბერს (ე. ი. აჯანყებისათვის დანიშნულ ვადაზე 11 დღით წინ), ნაშუადღევს 5 საათზე, შეთქმულების მთავარი ორგანიზაციის თვალსაჩინო წევრი იასე ფალავანდიშვილი, ძმა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორისა, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელის ჩავონებით, გამოცხადდა კავკასიის ჯარების კორპუსის უფროსის მოადგილე გენერალ ვოლხოვსკისთან და გასცა შეთქმულება. 10—11 დეკემბერს შეთქმულების ლიდერები ხელისუფლებამ დაატყვევა.



მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ნიკოლოზ ბარათაშვილი, ავტორი „ბედი ქართლისა“, არის მემკვიდრე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიისა, რომელმაც გამოსახულება პოვა 1832 წლის „მამულის გამოხსნის შეთქმა“-ში.

1832 წლის შეთქმულების მარცხით დამთავრებას მოჰყვა ხანგრძლივი რეაქცია ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შეთქმულების აქტივი გამოაკლდა საზოგადოებრივი მოძრაობის რიგებს. ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო ის რჩეული, რომელმაც მიიღო მემკვიდრეობა 1832 წლის თაობისა, აზიდა ის ტვირთი, რომელიც 1832 წლის თაობამ დასტოვა.

ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას და ჩვენთვის ნათელი გახდება ის ღრმა კავშირი, რომელიც აერთებს „ბედი ქართლისა“-ს ავტორს 1832 წლის მოძრაობასთან.

აქ კი, ბიოგრაფიულ ნარკვევში, რომ არ დავშორდეთ ქრონოლოგიურ ქარგას, ჯერ შევჩერდებით ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ ცნობებზე 1832 წლის შეთქმულების ხანაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, 15 წლი-

სა, როდესაც 1832 წელს „მამულის გამოხსნის შეთქმა“ ჩაიშალა.

მაგრამ, როგორც ერთგან ამბობს ბარათაშვილი, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაიცემის“.

1832 წელს ნ. ბარათაშვილი გიმნაზიის უფროს კლასებში იყო. ბარათაშვილი ინტელექტუალურად ადრე მომწიფდა. ამ ხანას — გიმნაზიაში ყოფნის დროს — ეკუთვნის ნ. ბარათაშვილის პირველი ლიტერატურული ცდანი. მაინც ბარათაშვილი ამ დროს ჯერ კიდევ იმდენად ახალგაზრდა იყო, რომ იგი, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა განდობილი ყოფილიყო შეთქმულების საქმეში. შეთქმულების არსებობა, საფიქრებელია, მან არ იცოდა.

მაგრამ გარშემო მაინც იგრძნობოდა შეთქმულების იდეური ატმოსფერო. ხოლო „მამულის გამოხსნის შეთქმის“ დაღუპვა ახალგაზრდა ბარათაშვილმა ტრაგიკურად განიცადა.

შეთქმულების მონაწილე იყო პოეტის ბიძა გრიგოლ ორბელიანი, რომლის ლექსებს, შეთქმულების იდეებით შთაგონებულს, ბარათაშვილი კითხულობდა, რომლის პოეზიაზე აღიზარდა ახალგაზრდა ბარათაშვილი. შეთქმულებაში მონაწილეობდა მეორე ცნობილი პოეტი ამავე ეპოქის — ალექსანდრე ჰავჭავაძე, რომლის ოჯახურ წრესთან ახალგაზრდა ბარათაშვილი დაახლოებული იყო. შეთქმულების მონაწილენი იყვნენ ბარათაშვილის მახლობელი პირები — ალექსანდრე ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი. კერძოდ, ეს ორი უკანასკნელი ჯერ კიდევ ყმაწვილები იყვნენ, ბარათაშვილის თითქმის ტოლები (გიორგი ერისთავი 17 წლისა იყო, როდესაც დაუახლოვდა შეთქმულთ, ხოლო გასამართლების დროს გიორგი ერისთავი იყო 21 წლისა, ვახტანგ ორბელიანი კი — 20 წლისა)...

შეთქმულების იდეური ატმოსფერო იგრძნობოდა თვით გიმნაზიის კედლებშიაც. ბარათაშვილის დროს გიმნაზიაში მასწავლებლად იყვნენ: ცნობილი მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი და ახალგაზრდა ლიტერატორები — დიმიტრი ყიფიახი და .. ზაალ ავთანდილაშვილი; ყველა ესენი მონაწილენი იყვნენ 1832 წლის შეთქმულებისა და ხე-

ლისუფლებამ დაატყვევა დოდაშვილი, ყიფიანი და ავთანდი-
ლაშვილი 1832 წლის 11 დეკემბერს.

სამხედრო სასამართლომ სოლომონ დოდაშვილს, როგორც
შეთქმულების ერთ-ერთ მთავარ ლიდერს, ჯერ სიკვდილით
დასჯა მიუსაჯა, შემდეგ სიკვდილით დასჯა გადასახლებით შეუც-
ვალა. სოლომონ დოდაშვილი წელიწად-ნახევარი პატიმრად
ჰყავდათ თბილისში, ავლაბრის ყაზარმებში, შემდეგ კი, 1834
წლის ივნისში, გადაგზავნეს რუსეთს. რუსეთიდან იგი საქარ-
თველოში ცოცხალი აღარ ჩამობრუნებულა: სოლომონ დოდა-
შვილი, გადასახლებაში მყოფი, დაიღუპა ჭლექით 1836 წელს.
დიმიტრი ყიფიანი და ზაალ ავთანდილაშვილი აგრეთვე ერთ
წელს იყვნენ თბილისში დაპატიმრებულნი და შემდეგ ისინიც
გადაასახლეს რუსეთში 1833 წლის დეკემბერს.

ს. დოდაშვილი, ვიდრე დაატყვევებდნენ, ექვს წელიწადს
(1826 წლიდან 1832 წლამდე) მასწავლებლად იყო ჯერ კეთილ-
შობილთა სასწავლებელში და შემდეგ გიმნაზიაში, როდესაც
კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა, დოდა-
შვილი ასწავლიდა ქართულ სიტყვიერებას. ნ. ბარათაშვილი
მისი მოწაფე იყო ხუთი წლის განმავლობაში.

რაც შეეხება დიმიტრი ყიფიანს, იგი ჯერ კიდევ ახალგაზრ-
და იყო, 21 წლისა, როდესაც შეთქმულებაში მონაწილეობისა-
თვის შეიპყრეს. დიმიტრი ყიფიანი იმავე კეთილშობილთა სას-
წავლებელში იყო აღზრდილი. როდესაც ბარათაშვილი პირველ
კლასში შევიდა 1827 წელს, დიმიტრი ყიფიანი მეხუთე კლასის
მოწაფე იყო. სწავლა დაასრულა 1830 წელს და იმავე 1830
წლის ნოემბერს მასწავლებლად დაინიშნა დაბალ კლასებში.
თუმცა ბარათაშვილი არ იყო დ. ყიფიანის მოწაფე, მაგრამ
მათი ნაცნობობა ამ დროიდან იწყება, რაც შემდეგ დიმიტრი
ყიფიანისა და ნ. ბარათაშვილის დამეგობრებით დამთავრდა.

განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა ნ. ბარათაშვილზე სო-
ლომონ დოდაშვილს.

სოლომონ დოდაშვილი (1804—1836 წწ.) ცენტრალური
ფიგურაა ქართული საზოგადოებრივი და გონებრივი მოძრაო-
ბისა მე-19 საუკუნის 20—30-იან წლებში. მისი სახით ჩვენ
გვყავს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი,
მწერალი, ფილოლოგი.

სოლომონ დოდაშვილმა უმაღლესი განათლება რუსეთში მიიღო. ს. დოდაშვილმა გამოაქვეყნა რუსულად შრომა: «Курс философии, часть первая, Логика» (СПБ, 1827 г.), მნიშვნელოვანი ნაშრომი ლოგიკის დარგში რუსულ ენაზე. ს. დოდაშვილი ფილოსოფიაში კანტის მიმდევარი იყო, და მას რუსეთის ფილოსოფიის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის, როგორც ერთ-ერთ პირველ კანტიანელს.

ს. დოდაშვილი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ზდება ქართული ინტელექტუალური მოძრაობის ნამდვილი მეთაური. კერძოდ, განსაკუთრებით დიდი იყო მისი როლი 1832 წლის შეთქმულებაში, როგორც ორგანიზატორისა, და იდეოლოგისა. ს. დოდაშვილი იყო წევრი შეთქმულების თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი სამეულისა, ალექსანდრე ორბელიანთან და ელიზბარ ერისთავთან ერთად.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ შეთქმულთა მოსამზადებელი მუშაობა ნაწილობრივ ლიტერატურული წრის საფარს ქვეშ ტარდებოდა. შეთქმულთა მთავარი კომიტეტის დავალებით, ს. დოდაშვილმა დაიწყო გამოცემა პირველი ქართული ჟურნალისა „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათა“. ჟურნალი, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იყო ნიკოლოზ I-ის დროის მკაცრი რეაქციის ხანაში, მიზნად ისახავდა ლეგალობის ფარგლებში საზოგადოებრივი აზრის შემზადებას აჭანყების დაწყების წინ. ს. დოდაშვილი ცდილობდა გაეშვა ჟურნალში სხვა ჩვეულებრივ საქურნალო ნეიტრალურ მასალასთან ერთად, ისეთი ნაწერებიც, რაც პატრიოტულ სულისკვეთებას გააღვიძებდა. ასე, ამ ჟურნალში დაიბეჭდა გიორგი ერისთავის „ოპური მოთხრობა“, რომელშიაც აღწერილია მე-17 საუკუნის ეროვნული გმირების ელიზბარის, შალვას და ბიძინას თავდადება სამშობლოსათვის, და რომელიც გამკვირვალე ალეგორიულ ხაზებში შეიცავს მოწოდებას, რომ თანამედროვე ქართველებმაც მიჰბაძონ მათ, გააძევეთ „თათრები“.

ამ ჟურნალში დასაბეჭდად, ჩანს, გამზადებული იყო აგრეთვე დეკაბრისტი რილევეის „ნალივაიკოს აღსარების“ გრიგოლ ორბელიანის მიერ გადმოკეთებული ტექსტი, რომელიც ჟანდარმერიამ ს. დოდაშვილის ქალაქებში აღმოაჩინა.

ლიტერატურული წრე, რომელიც შეიქმნა ს. დოდაშვილისა და მისი ჟურნალის გარშემო, ბუნებრივია, გავლენას ახდენდა ახალგაზრდა დამწყებ სალიტერატურო ძალებზედაც, რომელთა შორის იყვნენ სოლომონ დოდაშვილის მოწაფეები — დავით მაჩაბელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი. ისინი ამ დროს პირველად ებმებიან ლიტერატურულ მუშაობაში, სცემენ ხელნაწერ ლიტერატურულ კრებულებს.

საინტერესოა სოლომონ დოდაშვილის ერთი ჩვენება, საიდანაც ჩანს შეთქმულთა წრეების მზრუნველობა ახალგაზრდობის განათლების საქმისათვის.

როდესაც ს. დოდაშვილი დაიჭირეს, შეთქმულება უკვე გაცემული იყო იასე ფალავანდიშვილის მიერ და ხელისუფლებას გარკვეული ცნობები ჰქონდა, კერძოდ, ს. დოდაშვილის ხელმძღვანელი როლის შესახებ აჯანყების მზადების საქმეში. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ს. დოდაშვილს დიდი ტაქტით ეჭირა თავი. კავკასიის მთავარმართებელი ბარონი როზენი ერთ მოხსენებაში ს. დოდაშვილის შესახებ აღნიშნავდა, რომ დოდაშვილი «изворотливо перед судом показывал, что будто бы вступил в заговор не против правительства, а против присутственных мест». ხოლო საგამომძიებლო კომისიის დასკვნაში აღნიშნულია: «Додаев, более других скрытный и осторожный, не столько помогал присканием участников, как различными советами, подстреканиями и суждениями на совещаниях; он брался издавать грузинскую газету, для возбуждения умов, приготовил возмутительную к народу прокламацию и вообще занимался предпочтительнее средствами подобного рода, ученому званию его приличествующими».

თუ რა ხასიათისა იყო ის კრებები და თათბირები, რომლებშიაც დოდაშვილი მონაწილეობას იღებდა, დოდაშვილი უჩვენებს, რომ ისინი ლიტერატურის საკითხებსა და ლეგალური ხასიათის საზოგადოებრივ საქმეებს ეხებოდაო. ასე, ერთი კრების შესახებ, რომელიც ს. დოდაშვილის სახლში გამართულა და რომლის შესახებ ჟანდარმერიას ჰქონია ცნობები, ს. დოდაშვილი აჩვენებს (მოგვყავს ჩვენების რუსული ტექსტი; ჩვენებსას რუსულად ართმევდნენ): «Ужин был у меня в доме. Читали сочинение ученика Мачабелова (იგულისხმება დავით მაჩაბელი, ნ. ბარათაშვილის უფროსი სკოლის ამხანაგი)

и рассуждали; говорили составить общество, положить сумму, из суммы купить библиотеку и типографию; так же говорили отправить способных учеников в университет и дать пособие».

რასაკვირველია, ის კრება, რომელზედაც აქ დოდაშვილი მოგვეთხრობს, არ იყო ასე უბრალო, იქ ამავე დროს უფრო მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზედაც იყო თათბირი. მაგრამ ამასთან ისიც ფაქტია, რომ ახალგაზრდობის განათლების საკითხები და ლიტერატურის საქმეები უახლოესი მზრუნველობის საგანს შეადგენდა დოდაშვილის წრისათვის.

* * *

როდესაც შეთქმულების მონაწილენი დაატყვევეს, ბარათაშვილმა „მამულის გამოხსნის შეთქმის“ დაღუპვა მტკივნეულად განიცადა. მთელი სიმპატია და სიყვარული ახალგაზრდა ბარათაშვილისა შეთქმულთა მხარეზე იყო.

ჩვენ აქ შევჩერდებით ორ ამბავზე, საიდანაც ცხადი ხდება განწყობილება ახალგაზრდა ბარათაშვილისა ამ მღელვარე ხანაში.

უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ გიმნაზიაში მოსწავლე ახალგაზრდა ლიტერატურული თაობა, ნ. ბარათაშვილის მონაწილეობით, სცემდა ხელნაწერ ლიტერატურულ კრებულებს.

1833 წელს, ე. ი. როდესაც შეთქმულების მონაწილენი ავლაბრის ყაზარმებში იყვნენ დაპატიმრებულნი და სიკვდილით დასჯას მოელოდნენ, ახალგაზრდათა ამ ლიტერატურულ წრეს გამოუშვია ხელნაწერად ქართულს ენაზე ლიტერატურული ალმანახი, ლექსთა კრებული¹.

საყურადღებოა შემადგენლობა ამ ალმანახისა. აქ მოთავსებულია ნაწერები: ნიკოლოზ ბარათაშვილისა (5 ლექსი), მიხეილ თუმანიშვილისა და დავით მაჩაბლისა (ეს სამი ავტორი ახალგაზრდათა ლიტერატურული წრის ხელმძღვანელებია); ამას გარდა ალმანახში შეტანილია ნაწერები: გრიგოლ ორბელიანისა, ალექსანდრე ორბელიანისა, გიორგი ერისთავისა, ალექ-

¹ იხ. ხელნაწერი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტისა II — 2684.

სანდრე ჭავჭავაძისა, დავით ყორღანაშვილისა, სტროფი ნაპოქ
ლენონზე და ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“.

აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ახალგაზრდათა
ამ წრეს შესაძლოდ დაუნახავს შეეტანა აღმანახში ნაწერები
იმ პირთა, რომლებიც კანონს გარეშე იყვნენ გამოცხადებულნი
აჯანყების მომზადებისათვის, გიორგი ერისთავისა და ალექსან-
დრე ჭავჭავაძისა. იმ მღელვარე ხანაში ჯერ მარტო მოხსენება
ამ პირთა სახიფათო იყო პოლიტიკურად, არათუ მათი ლიტე-
რატურული პოპულარიზაცია.

ხოლო კიდევ უფრო საყურადღებო ისაა, რომ აღმანახში
მოთავსებულია ამ ავტორთა არა მხოლოდ პოლიტიკურად ნეი-
ტრალური თხზულებანი, არამედ რევოლუციური ხასიათის ნა-
წერებიც.

ასე, აღმანახში შეტანილია გიორგი ერისთავის „ოსური
მოთხრობა“, რომელიც, როგორც მოხსენებული გვექონდა, პირ-
ველად სოლომონ დოდაშვილმა გამოაქვეყნა და რომელიც გამ-
ქვირვალე ალეგორიის საფარს ქვეშ „მამულის გამოხსნისათ-
ვის“ მოწოდებას შეიცავდა.

ამავე აღმანახში მოთავსებულია, ავტორის ხელმოუწერ-
ლად, გრიგოლ ორბელიანის ლექსი „იარალისადმი“, რომელიც
გავრცელებული იყო შეთქმულთა წრეებში, და რომელიც აჯან-
ყების სულისკვეთებით არის შთაგონებული:

დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე
თვისსა მამულსა შესწირა მსხვერპლად,
დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა
მამულისადმი გულს აღბეჭდილად...

წარსულთა დროთა, დიდების დროთა,
ყოვლი კეთილი თანა წარიღეს!
აწ უცხო ცის ქვეშ ზოგთა ვკვრეტთ ოხვრით,
და ზოგის ცრემლით წმიდა სამარეს!..

ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს,
რომე მარჯვენით,
ერთისა დავერით,
უსულოს მიწას ვეშაპს დასცემდეს.

ვეშაპად აქ იგულისხმება ცარისტული ხელისუფლება, რომლის დამხობისაკენ მოუწოდებდა პოეტი.

ამრიგად, ეს ალმანახი, გამოცემული ხელნაწერის სახით 1833 წელს, როდესაც აჯანყების მზადების მონაწილენი მთავრობამ დაატყვევა, კარგად გვისურათებს იმ სულისკვეთებას, რომლითაც გამსჭვალული იყო ნ. ბარათაშვილი და მის გარშემო შემოკრებილი ლიტერატურული ახალი თაობა.

აქ ჩვენ შევეხებით აგრეთვე მეორე ამბავსაც, საიდანაც ირკვევა ნ. ბარათაშვილის განწყობილება ამ მღელვარე ხანაში. ეს ამბავი, შენახული ცნობების თანახმად, მომხდარა, როდესაც ბარათაშვილი 15 წლის იყო, 1833 წელს.

ნ. ბარათაშვილს დაუწერია სატირა ლექსად. ეს სატირა ბარათაშვილსა და მის ამხანაგებს ლევან მელიქიშვილსა და პეტრე ბაგრატიონს გაუგზავნიათ ფოსტით თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის თავად ნ. ფალავანდიშვილისათვის.

რა ეწერა ნ. ბარათაშვილის ლექსში, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ შენახულა. მაგრამ უეჭველია იგი ამა თუ იმ სახით მთავრობის საწინაღმდეგო ადგილებსაც შეიცავდა. ცხადია, ამით იყო გამოწვეული, რომ ამ ლექსის გარშემო მთელი ისტორია შეიქმნა. გამოძიებაში ჩაერია ჟანდარმერია, პროკურორი და თვით კავკასიის ჯარების სარდალი და მთავანობარ-თებელი.

საფიქრებელია, რომ ლექსში, პირდაპირ თუ გადაკრული სიტყვებით, საუბარი ყოფილა იმ გამცემლობაზე, რომელმაც გამოიწვია 1832 წლის შეთქმულების ჩაუარდნა. ამით უნდა აიხსნას, რომ ბარათაშვილსა და მის მეგობრებს ეს ლექსი-სატირა გაუგზავნიათ ნ. ფალავანდიშვილისათვის. თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი ნ. ფალავანდიშვილი იყო ძმა სწორედ იმ იასე ფალავანდიშვილისა, რომელმაც 1832 წლის შეთქმულების მიმართ მუხანათური გამცემლობა ჩაიდინა.

ცნობა იასე ფალავანდიშვილის გამცემლობის შესახებ მაშინვე დარხეულა საზოგადოებაში, ეს სცოდნია ნ. ბარათაშვილსაც. უფრო გვიან ნ. ბარათაშვილი; იჯონებს რა იასე ფალავანდიშვილის ამ გამცემლობას, „ავის ენისა გესლს“, რომელმაც იმსხვერპლად ქართველი პატრიოტები, სწერს გრიგოლ ორბელიანს:

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ავის ენისა გესლმან;
სატრფონი მისნი შემოგარენი
გ ა რ დ ა ხ ვ ე წ ი ლ ს ა დაგისშო ეტლმანი

როდესაც ნ. ბარათაშვილის სატირა მისვლია ნ. ფალავანდიშვილს, მთავრობა შესდგომია საქმის კვლევას.

საგანგებოდ გაუფრთხილებიათ თბილისის ფოსტა, უცნობეზიათ ფოსტის მმართველობისათვის, თუ რანაირი ბეჭდით იყო დაბეჭდილი ის პაკეტი, რომლითაც სატირა მიუვიდა ნ. ფალავანდიშვილს, და ფოსტის აპარატს დაევალა თვალყურის დევნება წერილების ბეჭდებისათვის, რათა ამ გზით გამოერკვიათ დამნაშავე.

ფოსტამ მიაგნო დამნაშავეს კვალს, როდესაც გიმნაზიიდან მიიღო საძიებელი ბეჭდით დაბეჭდილი ერთი წერილი. წერილის მიმტანი გიმნაზიის მსახური დაიჭირეს და მთავრობას წარუდგინეს. იმავე საღამოს სასწავლებელში მოვიდნენ გამოძიების საწარმოებლად: ჟანდარმის ოფიცერი, პროკურორი და პოლიციის უფროსი. გამოძიების შედეგად გამოირკვა, რომ სატირის ავტორია ნიკო ბარათაშვილი, ლექსი გადაწერილია ლევან მელიქიშვილის მიერ, ხოლო პაკეტზე მისამართი დაწერილია პეტრე ბაგრატიონის ხელით.

ადვილად წარმოსადგენია ხელისუფლების კონფუზი, როდესაც გამოირკვა, რომ სატირის ავტორი და გამავრცელებელი ყოფილან არა შეიარაღებული რევოლუციონერ-კარბონარიები, არამედ 14—15 წლის ბავშვები!..

გამოძიების შედეგი მოახსენეს კავკასიის ჯარების სარდალსა და მთავარმართველს.

რაკი „დამნაშავენი“ უწლოვანი ბავშვები აღმოჩნდნენ, ხელისუფლებამ საქმისათვის შემდგომი მსვლელობის მიცემა ზედმეტად მიიჩნია. „ყმაწვილ რევოლუციონერებს“ როზგით დასჯა აკმარეს.

მთავარმართველის განკარგულებით დამნაშავეთა „როზგით“ დასჯა სისრულეში უნდა მოეყვანათ თვით მშობლებს.

პოეტის ბიოგრაფი იონა მეუნარგია, თანამედროვეთა გადმოცემით, ასე აგვიწერს დამნაშავეთა დასჯის ამბავს:

„მთავარმართველის ბრძანებით დამნაშავენი ნიკო ბარათა-

შვილი და პეტრე ბაგრატიონი გაიგზავნენ თავიანთ მშობლებთან დასასაჯელად¹. ამ ბრძანების თანახმად, ტატო (ნ. ბარათაშვილი) წაუყვანეს მის მრისხანე მამას. პროცესია ამრიგად მიდიოდა: წინ მიდიოდა დამნაშავე, იმას უკან მისდევდა გუვერნიორი და გუვერნიორს დარაჯი „როზგით“. აღვილად წარმოსადგენია, რაც დღე დაადგებოდა ამ თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ვოლტერს თავისი სატირისათვის. იმის სიხარულით, რომ შვილი სკოლიდან არ გამოურიცხეს, მამამ კინაღამ სული არ ამოართვა, იმდენი სცემა“-ო, — მოგვითხრობს ბიოგრაფი².

პეტრე ბაგრატიონი გადაურჩა ამ სასაჯელს: იგი მშობლებმა დამალეს და გააპარეს პეტერბურგში ნათესავეებთან. პეტრე ბაგრატიონი იყო ძმისწული რუსეთის 1812 წლის სამამულო ომის გმირის ბაგრატიონისა.

შემდგომი ცხოვრების გზა ნ. ბარათაშვილის ამ მეგობრისა ასეთია: მან რუსეთში სამხედრო განათლება მიიღო; შემდეგ მუშაობა დაიწყო პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში. 25 წლის პეტრე ბაგრატიონმა მოახდინა დიდი აღმოჩენა ქიმიის დარგში, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

უფრო გვიან ამ დიდ მეცნიერს — პეტრე ბაგრატიონს უკირავს მალა-ლი აღმინისტრაციული სახელმწიფო პოსტები.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ თვით პეტრე ბაგრატიონი, რომელიც მონაწილეობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ზემოთ მოხსენებულ სატირის გაგზავნაში ნ. ფალავანდიშვილთან, გადმოგვცემს, რომ ეს არ იყო პირველი სატირა მოწაფე ბარათაშვილისა. აკაკი წერეთელი აგვიწერს შეხვედრას პეტრე ბაგრატიონთან პეტერბურგში 1859 წელს, როდესაც აკაკი წერეთელი პირველად გაემგზავრა რუსეთს უნივერსიტეტში შესასვლელად; პეტრე ბაგრატიონს ამ შეხვედრისას უამბნია აკაკი წერეთლისათვის, რომ ბარათაშვილს მოწაფეობის დროს არაერთგზის დაუწერია ასეთივე ხასიათის სატირა-ეპიგრამები, რომლებიც მიმართული ყოფილა უმაღლესი ხელისუფლების

¹ ი. მეუნარგია ლევან მელიქიშვილზე არას გადმოგვცემს (რომ ნ. ბარათაშვილთან ერთად ლ. მელიქიშვილიც დაისაჯა, ამის შესახებ დაცული აქვს ცნობა ქვემოთ დასახელებულ მესამოციანელ მწერალს ს. აბაშიძეს. იხ. ს. აბაშიძის საუბარი პეტრე ბაგრატიონთან, ნაწერები, 1957, გვ. 95—96).

² იხ. იონა მეუნარგია, გვ. XVI.

წარმომადგენელთა წინააღმდეგ (იხ. აკაკი წერეთელი, ჩემი თავ-
გადასავალი, 1925 წლ. გამოცემა, I, გვ. 68)¹.

VI

სკოლიდან ცხოვრებაში

ბარათაშვილი 17 წლისა იყო, როდესაც მან, 1835 წელს, გიმნაზია დაამთავრა.

ამ წელს, როდესაც უნდა გამორკვეულიყო პოეტის შემდგომი მოწყობის საქმე, ბარათაშვილის ოჯახი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხელგაშლილი ცხოვრების გამო, რომელსაც პოეტის მამა ეწეოდა, ბარათაშვილს ოჯახი უკვე დიდ ვალეზში იყო ჩაყარდნილი. ამას დაერთო პოეტის მამის მელიტონის ხანგრძლივი ავადმყოფობა. გრიგოლ ორბელიანი, ამ დროს რუსეთში გადასახლებული, შემდეგსა სწერს თავის ძმას ზაქარიას 1835 წ. 11 აპრილს (ძველი სტილით)²:

„მელიტონის უიმედოდ ავადმყოფობამ ძალიან შემაწუხა. მთელი დღე მწუხარებისაგან თვალი არ მომიხუჭავს. რა უნდა ჰქმნას საბრალო ეფემიამ, თუ მართლა ეს უბედურება მიაღდა რით უნდა შეინახოს თავისი წერილი შვილები, ანუ რით გადაი-

¹ აკაკი წერეთლის შემდეგ პეტრე ბაგრატიონთან შეხვედრა და საუბარი ჰქონდა (1860 წლის ზაფხულში) მესამოციანელ მწერალს „თერგდალეულს“ ს. აბაშიძეს. საუბრის ვრცელ ჩანაწერში ს. აბაშიძე იმასვე აღმოგვეცემს, რაც მოთხრობილი აქვს აკაკი წერეთელს „ჩემ თავგადასავალში“; კერძოდ, აქაც დადასტურებულია, რომ ბარათაშვილს მოწაფეობის დროს არაერთგზის დაუწერია ასეთი ხასიათის სატირა და ამხანაგების დახმარებით დაუგზავნია ადრესატებისათვის. ახალი ცნობა ამ ჩანაწერებში ის არის, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი ამხანაგები, ზემოთ მოთხრობილ ამბებთან დაკავშირებით, ერთხანად გამოურიცხავეთ გიმნაზიიდან (როგორც ჩანს, მცირე ხნით). იხ. ს. აბაშიძე, წერილი ჟურნალ „მწვემსში“, 1893 წ., № 5—6; ნაწერები, 1957, გვ. 95—96.

² აღსანიშნავია, ამას გარდა, პ. ცხვილოელის (ყარბელაშვილის) წერილი (—მოგონება გიორგი ანდრონიკაშვილისა), სადაც ბარათაშვილის სატირის საგნად დასახელებულია მთავარმართველი როზენი („ივერია“, 1893 წ., № 79).

² გრ. ორბელიანის წერილები (აკ. გაწერელის რედაქციით), I, გვ. 28.

ხადოს ვალები, რომელიცა უეჭველად ბევრი დარჩება. ღმერთ-
მან დაიფაროს ამა უბედურებისაგან, მაგრამ შენ ისეთ რიგად
მწერ, რომ მგონია საწყალი მელიტონი კიდევ მომკვდარა.
ცრემლნი მდიან თვალთაგან ამ წერაში. — საწყალ მელიტონს
ვუყვარდით ჩვენ ძალიან და იყო ჩვენი კეთილის მსურველიცა.
იმედი მაქვს, თუ ბარონ როზენი (კავკასიის მთავარმართებელი)
მანდ არის, ნიკოლაი იოსების (ფალავანდიშვილის) და მუხ-
რან-ბატონის შემწეობით პენსიაზე წარადგინოს ეფემია. ეს
ერთი ღონისძიება არის ეფემიასათვის სანუგეშოდ. — ჩვენც
ასეთ სიღარიბეში ვართ, რომ შემწეობა მაგთენი არა შეგვიძ-
ლიან რა... ოხ, რა ძნელია მოსათმენად, რომ კაცი ჰხედავდეს
ესრეთ გულით საყვარელს დას უკანასკნელს განწირულებაში
და არა შეეძლოს შემწეობა. მომწერე გეთაყვა, ზაქარია, ყო-
ველივე ეფემიასი დაწვრილებით, ნურას დამიმაღლავ ჩემს სა-
ნუგეშოდ. ხომ არ შეიძლება, როგორმე მოვათავსოთ იგი ჩვენს
სახლში დროებით“.

მელიტონი გადარჩა ამ მძიმე ავადმყოფობას, მაგრამ ოჯა-
ხურმა მდგომარეობამ დიდად შეაფერხა ახალგაზრდა ბართა-
შვილის ცხოვრების მოწყობის საქმე.

იმავე 1835 წელს, 27 ივლისს (ძვ. სტ.), გრიგოლ ორბელია-
ნი სწერს თავის ძმას ზაქარიას:

„...ვმადლობ ღმერთს, რომ მელიტონი მორჩა, რომლის იმე-
დი არ მქონდა, შენის მოწერის მიხედვით... ჩემს საყვარელ დას
ეფემიას თავის შვილებით დავკოცნი! აჰა, ანგელოზო, ჩემო!
რად დამივიწყეს, რომ ერთის წიგნით აღარ მახსენეს! რასა
იქმს ტატიკო, კიდევ კოჭლობს თუ არა? ან და რას სწავლობს?
ურჩიე მელიტონს რომ ეცადოს სახაზინო ანგარიშზე იმისი
გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში. სამწუხარო, მეტად სამ-
წუხარო იქნება, თუ იმის ნიჭს განვითარების საშუალება არ
მიეცა. ნეტავი გამოგზავნოს დერპტის უნივერსიტეტში, რო-
მელიც არის უპირველესი რუსეთში. ძალიან ადვილია ამის ას-
რულება, თუ კი მელიტონ სთხოვს ბარონს“ (იგულისხმება ბა-
რონ როზენი, საქართველოს მთავარმართებელი 1831 — 1837
წლებში).

მაგრამ ეს კეთილი სურვილები გრიგოლ ორბელიანისა გა-
ნუხორციელებელი დარჩა.

მელიტონ ბარათაშვილის ოჯახი ამ დროს იმდენად მძიმე, შეიძლება ითქვას, პირდაპირ გამოუვალ მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა (—ეს ჩანს თვით გრიგოლ ორბელიანის ზემოთ მოყვანილი წერილიდანაც), რომ ნ. ბარათაშვილი, ჯერ თითქმის ბავშვი, იძულებული გახდა გიმნაზიის დასრულებისთანავე შესულიყო სამსახურში და თავის თავზე აეღო დიდი ოჯახის დახმარებისა და თითქმის გაძღოლის მძიმე ტვირთი. 1835 წლის 6 ნოემბერს ნ. ბარათაშვილი დაინიშნა მოხელედ საქართველოს უზენაეს სასამართლოს კანცელარიაში, ნ. ბარათაშვილი ამ დროს 18 წელსაც არ იყო მიწევნილი.

ერთ წერილში, რომელიც წლინახევრის შემდეგ 1837 წლის თებერვალში არის დაწერილი, ნ. ბარათაშვილი გულის ტკივილით მოუთხრობს თავის ბიძას გრიგოლ ორბელიანს, თუ როგორ მოეწყო მისი ცხოვრება მისი სურვილის წინააღმდეგ. ამრიგად, ნ. ბარათაშვილი გიმნაზიის მერხიდან პირდაპირ კანცელარიაში მოხვდა, და 17—18 წლის ყმაწვილი, იმის ნაცვლად, რომ ჯერ კიდევ შეგირდობის წიგნები სჭეროდა ხელში, იძულებული იყო შესდგომოდა სასამართლოს კანცელარიაში აქტებისა და ოქმების წერას. უარეს პირობებში, როგორც სამართლიანად წერს ერთი მწერალი, იშვიათად ჩავარდნილა პოეტური ტალანტი. ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ ის ჩინოვნიკური წრე, რომლითაც შემორტყმული იყო ბარათაშვილი კანცელარიაში ყოველდღე. ეს „სტატსკი სოვეტნიკები“ და უბრალო „სოვეტნიკები“, ვინმე ვასილი ილინსკები, ფეოლორ გავრილენკოები და სხვანი, გადმოსულნი «на погибелъныхъ Кавказъ» ჩინებისა და ორდენების საძებრად, წარმოვიდგინოთ ზიუროკრატ კანცელარისტთა მთელი ეს შტატი, და ჩვენთვის გასაგები გახდება ერთი უშნო ეპიგრამა, რომელიც ამ ხანებშია დაწერილი ბარათაშვილის შესახებ, სადაც ნათქვამია:

პალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია,
ფეოლორის ყურებით სევდა გაგზშირებია...



რას წარმოადგენდა იმდროინდელი თბილისის საზოგადოება, როდესაც ბარათაშვილი ცხოვრებაში გამოვიდა?

მე-19 საუკუნის 30-იანი და 40-იანი წლები ნამდვილი მკვდარი შტილია ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1832 წლის შეთქმულების ჩაყარვის შემდეგ საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა მიხელდა. საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენცია — გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ რაზმაძე, ელიზბარ ერისთავი, ე. ი. საქართველოს საუკეთესო კაცები, მთავრობამ 1832 წლის შეთქმულების შედეგად რუსეთში გადაასახლა. უფრო გვიან, როდესაც გადასახლებულნი თითო-თითოდ ჩამობრუნდნენ საქართველოში, ზოგი მათგანი მორალურად უკვე გატეხილი იყო, და, ამას გარდა, არც გარეშე პირობები უწყობდა ხელს საზოგადოებრივი მუშაობის ფართო მასშტაბით განახლებას.

ქართული პრესა, რომელმაც ფეხი აიდგა 1832 წელს, დასაწყისშივე ჩაჰკლეს, და ვიდრე 1852 წლამდე ქართული პერიოდული გამომცემლობა აღარ განახლებულა. საზოგადოებრივი ცხოვრების მოდუნება იქამდე მიდიოდა, რომ ამ თხუთმეტ-ოცი წლის მანძილზე არა თუ პრესა არ არსებობდა, საერთოდ ქართული წიგნი იშვიათად იბეჭდებოდა. არ იყო არც ქართული თეატრი, არც სხვა რაიმე საზოგადოებრივი ხასიათის დაწესებულება.

ასეთი იყო საზოგადოებრივი გარემო, როდესაც ნ. ბარათაშვილს მოუხდა ცხოვრებაში გამოსვლა.



გავეცნოთ ბარათაშვილის ყოველდღიურ პროზაულ ცხოვრებას მისი ყმაწვილობის წლებში.

ბარათაშვილი, უკვე 17—18 წლიდან ჩაბმული უმადურსა და მომქანცველს საკანცელარიო მუშაობაში, როგორც ჩანს, მაინც განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის

საქმეს, თუმცაღა, ბუნებრივია, ვერავითარ ზნეობრივ კმაყოფილებას იგი ამაში ვერ პოულობდა. პოეტის მეგობრისა და ერთ დროს მისი თანამოსამსახურის ლევან შელიქიშვილის ცნობით, ნ. ბარათაშვილი იშვიათი ბეჯითი და თავიანი მომუშავე იყო. 1842 წელს, როდესაც პეტერბურგიდან მოვლენილმა სამხედრო მინისტრმა ჩერნიშოვმა და სტატს-სეკრეტარმა პოზენმა რევიზია გაუკეთეს თბილისის დაწესებულებებს, პოზენმა ისე მოიწონა ბარათაშვილის საქმის წარმოება, რომ ამის გამო საგანგებო ბრძანებაც კი გამოიცა.

ერთი ეპიზოდი ბარათაშვილის სამსახურში ყოფნის დროიდან გრიგოლ ორბელიანის ნაამბობის მიხედვით ჩაწერილი აქვს იონა მეუნარგიას. პალატის უფროსს ილინსკის არაფრად მოსწონდა, რომ მისი „სტოლონაჩალნიკი“ ნ. ბარათაშვილი, ცხოვრებაში დარდიმანდი ყმაწვილი კაცი, ასე ბევრს დარბოდა, და ერთხელ რევიზია უყო. მაგრამ რა დაინახა, რომ ყველაფერი რიგზე ჰქონდა, უთხრა: «В таком случае продолжайте бегать, сколько вашей душе угодно».

ეს კაცი ისეთი დიდი აზრისა იყო ბარათაშვილის ნიჭზე და მეტადრე თავის თანამდებობაზე, რომ — იონა მეუნარგიას გადმოცემით — ამბობდა თურმე: «Баратов на моем месте будет сидеть...»

ირონია ამაზე შორს ძნელად თუ წაეა! ბარათაშვილისათვის მოწყალედ იმეტებდნენ კანცელარიის უფროსის პოსტს...

* * *

კანცელარიის დახუთული კედლებიდან გამოსულს ნ. ბარათაშვილს ტოლ-ამხანაგებში ვხვდავთ.

პოეტის მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი წერს თავის მოგონებაში:

„იმ დროს თბილისში არავითარი საზოგადო გასართობელი აღვილი არა გვქონდა: არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები... ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები: ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან ლევან ივანეს-ძე ნელიქიშვილთან, ხან სადილად გარეთუბნის ბაღებში.. ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ;

სწავლაზედ, სხვადასხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული დარბაისლური მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა, ვისაც სურდა ქალაქს თამაშობდა, ნარდს, ჭადრაკს. ქალაქის თამაშობაში ხანდახან ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა მონაწილეობას, მერმე მეგობრული ვახშამი და ვახშამს შემდეგ სეირნობა მთვარიანს ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღშიაც. მაშინ მთელი ტფილისი შემორტყმული იყო ბაღებითა, მთელი სოლოლაკის უბანი ბაღები იყო“.

ყმაწვილ პოეტს ვხედავთ გათულს იმდროინდელი ბრწყინვალე საზოგადოების წრეში. თანამედროვეების ჩვენებათა მიხედვით, იონა მეუნარგია გადმოგვცემს:

„ბარათაშვილი გაერთო ამ სოფლის ამოებას. არა ქორწილი, არა ღამისთევა, არა ყრილობა არ იყო ტფილისის ქართველ საზოგადოებაში, საცა არ ყოფილიყო თავ მომლხენად და შემაქცევრად. ყმაწვილი კაცი, უპირველესი ოჯახის შვილი, მარჯვე, მოსწრებელი მოლაპარაკე, მელექსე, მოლეკურე, ყოველგან მომსწრები, ყოველგან შინაური კაცი, ბარათაშვილი შეიქმნა საზოგადოების საყვარელ კაცად...“

„მისთვის ყველგან გღებული იყო კარები: ორბელიანების ოჯახში, მეტადრე მანანა ორბელიანთან, ამ ჩვენებურ მაღამ რეკამიესთან, ...ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში, ბარათაშვილთან, ფალავანდიშვილებში, ერისთავიანთში, ციციშვილებში, ბარათაშვილი მუდამი სტუმარი იყო, შემტანი მოძრავისა გონებისა, მხიარულებისა. აქ თამაშობდა ის, აქ ღზინობდა, ოხუნჯობდა, არშიყობდა“¹.

* * *

ასეთი იყო ბარათაშვილი, ბრწყინვალე საზოგადოების წევრი.

ეს მაგრამ იყო მეორე ბარათაშვილი, რომელსაც ბევრი ვერა ხედავდა, ბარათაშვილი სევდით აღსავსე, სულით ობოლი, რომელსაც დემონი მისი გენიისა იღუმალის ხმით სხვა მსოფლიოსაკენ მიუხმობდა.

1 იონა მეუნარგია, გვ. XXIV — XXV.

ვისი ხმა არის ეს საკვირველი?
რად აქვს გულს ესე ჩემი ნაღველი?

რა ვსცან პირველად წუთისოფელი,
დავშთე ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის, —
მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა
ჩემთა ზრახეთა და საწადელთა!

ცხადად თუ სიზმრად, მე იგი მარად
სულ ერთსა მიწვრთნის გულისა პირად:
„ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,
ვინძლო იპოვო შენი საშვენი!“
მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ,
და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ!

ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,
ან თუ ეშმაკი, მაცდური ჩემი,
ვინცა ხარ, მარქვი, რას მონისწაევებ,
სიცოცხლეს ჩემსა რას განუშადებ?
როს ვსცნა მე შენი საიდუმლობა,
როს მხედეს ამ სოფლად ჩემი წილობა?..

ამას წერდა პოეტი, 18 წლის ახალგაზრდა, როდესაც იგი პირველად მიუახლოვდა ჯერ კიდევ გამოუცნობელი ცხოვრების ზღურბლს. ხოლო წლების შემდეგ ბარათაშვილი, პოეტურ სიმწიფეში შესული, გამოიხიბლა ცხოვრების ეფემერული ამაობისაგან, და ამ დროს ამოიცნო მან ეს თავისი განუყრელი დემონი, იღუმალის ხმით მოსაუბრე, როგორც „სული ბოროტი“.

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღნაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

განვედი ჩემგან, ჰოო, მაცდურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო,
კუკუით ურწმუნო. გულით უნდო, სულით მახვრალი?
ვინ მას, ვისაცა მოხედეს ხელი შენი მსახვრალი!

... არ იქნება ზედმეტი გავიხსენოთ აქ ერთი ინტიმური წერილი ნ. ბარათაშვილისა, მიწერილი მის საყვარელ დობილთან, მაიკო ორბელიანთან, რომელსაც პოეტი უშლიდა თავის გულს. ბარათაშვილი სწერს ამ წერილს ერთი საღამოს წვეულების შემდეგ, სადაც პოეტმა ბრწყინვალე საზოგადოების ნაცნობთა მზიარულ შეკრებილობაში გაატარა დრო.

„მე, სწორე გითხრა, მეტად გავმზიარულდი, სრულიად უმი-ზეზოდ, უანგარიშოდ, ისე, მეც არ მოველოდი...“

„მაგრამ სულ ამათა ჩემთვის. ეს ღამეც წავიდა ვითარცა სიზმარი... არ დაიჭერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესაეენი, და მანც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მანც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში.. ვიცი, გაიცი-ნებ, ასე გეგონება, დამწვარი ვლახარაკობ. ჭეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცის წლის მო-ხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჭული...“

პოეტი ამთავრებს სიტყვებით:

„ღაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან...“

* * *

ნიკოლოზ ბარათაშვილი ადრე მომწიფდა როგორც პოეტი. 15 წლისა იგი იყო ავტორი ლექსისა „შემოღამება მთაწმიდა-ზედ“. 1839 წელს, 21 წლისა, აქვეყნებს პოემას „ბედი ქართ-ლისა“. 24 წლის ბარათაშვილი არის ავტორი „მერანი“-სა და უბრწყინვალესი ლირიკული ლექსებისა.

ბარათაშვილის ტალანტმა თავიდანვე მიიპყრო ლიტერატუ-რული წრეებისა და საზოგადოების ყურადღება. „უზადო პოეტი“ — შეფასება, რომელიც ისტორიამ გაიზიარა, თვით პოეტის სიცოცხლეში იყო წარმოთქმული. იმ დროის ლიტე-რატურული სალონები — ალექსანდრე ჭავჭავაძისა, მანანა ორ-ბელიანისა, — ადრევე უქმნიან ნიკოლოზ ბარათაშვილს სახელს.

ბარათაშვილის ზოგი ლირიკული ლექსი პოეტის სიცოცხლეშივე გადატანილი იყო მუსიკაზე სასიმღეროდ. ბარათაშვილის გავლენა განიცადა თვით მე-18 საუკუნის პოეზიის ტრადიციების გამგრძელებელმა, უხუცესმა პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, რომლის „გოგჩის ტბა“, 1841 წელს დაწერილი, ატარებს გავლენას ბარათაშვილის პოეზიისას, კერძოდ, ლექსისა „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ (1837 წ.). ბარათაშვილის დიდ ტალანტს აღიარებდა ქართული პოეზიის მეორე მეტრი — გრიგოლ ორბელიანი. მესამე უფროსი თანამედროვე ბარათაშვილისა, დრამატურგი და პოეტი გიორგი ერისთავი აგრეთვე მოხიბლული იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის ნიჭით. უფრო გვიან გიორგი ერისთავი ასე დასტიროდა უდროოდ გარდაცვლილ ნიკოლოზ ბარათაშვილს, „ყოველის სიკეთით აღსავსე მამულიშვილს“:

„რა მიგვეფარე, ცას შევსცქერი, რა დღე ბნელდების,
უუურებ, ტატო, რა ვარსკვლავად გამობრწყინდების!
თითქოს გხედავ შენ მოარულსა რძისა გზაზედან...“¹

ხოლო 1832 წლის შეთქმულების ძველი ვეტერანი ალექსანდრე ორბელიანი წერდა:

„სად არის საქართველოს იადონი? იმისი კვერცხი ჯერ არ არის გადაჭრილი, დრო კი არის გამოიჩეკოს. ფრინველთ ჟრია-მული ყველგან ისმის. ვნახოთ ამის შესხმა ვის ეკუთვნის, ამის პაზრსა ვინ აიღებს?“

„ცოდო არ არის ეხლა შორს გზაზედ იყო, შენ, კაცის გულის გამომთქმელი სინაღვლისა, შენ, ჩვენი საქართველოს უზადო პოეტო, ყმაწვილო კაცო, ნიკოლოზ ბარათაშვილო!.. რომელმა მსაჯულობამ წაიღო ეგ შენი სხივმოსხმული ნათელი სული პოეტობისა?..“

„ეხლა იყო დრო, ეხლა სრულს პაზრსა აიღებდა პოეტობისას ის! ეხლა მის პატარას ლამაზს თავზედ მამულის პოეტობის ბრწყინვალეს გვირგვინს დაადგამდნენ კარგნი ქართველნი წყნარი ქალები, მოწიწებით მოკრძალებულნი, იგი შვილნი მამაცთა, შენ, ქართველების მომავალო დიდო პოეტო!.. შენა წევხარ უნაკლულოს პოეტების საგალობელს კუბოს ჩანგში, გე-

¹ „რძის გზა“ — ვარსკვლავთა კრება (— „ირმის ნახტომი“-ს სახელით ცნობილი).

ნიის ღმერთა, შენს ძილსა მშვიდობასა უალერსებს, შენსა მი-
ლულებულს თვალებს ჰკოცნის უმანკოს და წრფელის გულით.

„ახ, უდროვო იყო ესე ძილი... ობლობისა ცრემლსა იხოცს
შენს საფლავზედ საქართველო!“¹



ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა
კაცი იქცა ცენტრად თავისი დროის ლიტერატურული და სა-
ზოგადოებრივი ცხოვრებისა; მის გარშემო თავს იყრიან რო-
გორც ახალი, ისე ძველი თაობის მწერლები და ლიტერატურის
მოყვარულნი.

იონა მეუნარგიას, პოეტის თანამედროვეთა ჩვენების მიხედ-
ვით, მოხსენებული ჰყავს ბარათაშვილის გარშემო შემოკრე-
ბილი ლიტერატურული წრე, — „მწერლობის მოყვარე პირნი,
რომელნიც ხვდებოდნენ სხვადასხვა დროს. ესენი იყვნენ: ზ. ავ-
თანდილაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი,
გიორგი ერისთავი, ლევან მელიქიშვილი, პლატონ იოსელიანი,
გიორგი იოსელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, კონსტანტინე
მამაცაშვილი... ზოგიერთი ქართული მწერლობის მოყვარე პო-
ლონელი, როგორც იყო ზაბლოცკი (თადეუშ ლადი-ზაბლოც-
კი, ცნობილი პოლონელი პოეტი, საქართველოში გადმოსახლე-
ბული), სვიმონ მაჩაბელი, ლუკა ისარლიშვილი და სხვანი.
ესენი არ შეადგენდნენ ერთს მჭიდრო წრეს, არ წარმოადგენ-
დნენ ერთ სამწერლო იდეას, მაგრამ ამათში ქართული მწერ-
ლობის სიყვარული დიდი იყო...“

„ბარათაშვილი მოთავე იყო ამ საზოგადოებისა, — გადმოგვ-
ცემს იონა მეუნარგია. — ყოველთვის, როდესაც ან შემთხვევა
მოიტანდა, და შემოთნახსენებნი პირნი ერთად სადმე შეიყრე-
ბოდნენ, ან საგანგებოდ შეიკრიბებოდნენ, საზოგადო მსჯელობა
ამ ქართველ ყმაწვილ-კაცებისა იყო ქართულს მწერლობაზე
და ისტორიაზე. ასე ამბობს ორივე ბარათაშვილის ცხოვრების
იღმწერი, ასევე გამიგონია პოეტის ნაცნობ-ნათესავთაგან, და
ირა მგონია, რომ ეს სიტყვები დანაყბედი იყოს“².

¹ ალ. ორბელიანის ნაწერები, 1879 წ., გვ. 252—253.

² იხ. იონა მეუნარგია, გვ. XL—XLII.

ლიტერატურული წრე, რომელსაც სათავეში ედგა ნიკოლოზ ბარათაშვილი, უფრო ხშირად თავს იყრიდა დიმიტრი ყიფიანისა და მანანა ორბელიანის ოჯახებში.

დიმიტრი ყიფიანი წერს ზემოთ ციტირებულ ერთ კერძო წერილში:

„...მეგობრები იცნობდნენ ბარათაშვილს როგორც საუცხოო ამხანაგს, რომელიც ყოველთვის აცოცხლებდა საუბარს, იცინოდა, აცინებდა, ენამახვილობდა, ერთობოდა და იპყრობდა ზანდაზან ყველას ყურადღებას თავის ნაწარმოებებით.

მისი მოასაკენი ყველაზე ხშირად ჩემთან იკრიბებოდნენ, აქ იყო ხოლმე იგი განსაკუთრებით თავის კალაპოტში.

ტატოს პოეტური ნიჭი ამ წრეში განვითარდა; აქ იგი კითხულობდა პირველად თავის ლექსებს; აქ იგი ისმენდა შენიშვნებს, რასაც თითოეული გამოთქვამდა გულწრფელად... ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს შენიშვნები ეხებოდა მხოლოდ იმას, რაც ხელს შეუწყობდა აზრის გარკვევას, ან უფრო რელიეფურად გამოთქმას“.

ამავე სალიტერატურო წრის შესახებ სწერდა ნიკო ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს 1841 წელს (18/30 ოქტომბერს):

„ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე-და-ღღე შოულობს ახალთა მოყვარეთა... ეს საზოგადო სული ბუნებითა ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არ სძინავთ გონებით!“

ბარათაშვილის სალიტერატურო წრე 1841 წელს შეუდგა მზადებას გამოსაცემად ალმანახისა „ც და“, მაგრამ იმხანად ეს გამოცემა ვერ განხორციელდა.

უფრო გვიან, ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ გამოსული ჟურნალი „ცისკარი“ არის ამ სალიტერატურო წრეში აღრიდანი დაწყებული მოსამზადებელი მუშაობის ნაყოფი¹.

ამავე სალიტერატურო წრეში მზადდებოდა აგრეთვე ნიჟარაგის მუდმივი ქართული თეატრის დასაარსებლად². რეპერტუარის შევსების მიზნით წრის წევრები შედგომიან ევროპელ აქ-

¹ იხ. იონა მეუნარგიას ჩანაწერები, გამოქვეყნებული ს. ცაიშვილიმ მიერ (ლიტერატურული მატრიანე, 1—2, 1940, გვ. 387).

² იხ. იქვე.

ტორთა პიესების თარგმნას, ნიკო ბარათაშვილი სწერს გრიგოლ ორბელიანს იმავე 1841 წლის 28 მაისს (9 ივნისს):

„ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა; ყიფიანმა (იგულისხმება დიმიტრი ყიფიანი) გადმოთარგმნა „რომეო და ჯულიეტა“, შექსპირის ტრადედია, და მე ვთარგმნე „იულიუს ტარენტელი“, ტრადედია ლეიზევიციისა; თუ წაგიკითხავს „ბიბლიოთეკაში“ იყო დაბეჭდილი. მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმა, ასე გასინჯე, იტირეს“.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ არ არის არც ერთი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი საქმე, წამოწყებული ამ დროს საქართველოში, რომელსაც ნ. ბარათაშვილი არ ხელმძღვანელობდეს, ან რომელშიაც იგი ახლო მონაწილეობას არ იღებდეს. ნ. ბარათაშვილი, როგორც ირკვევა, არის ნამდვილი ლიდერი იმდროინდელი გონებრივი მოძრაობისა საქართველოში.

ცალკეა აღსანიშნავი, რომ წმინდა ლიტერატურული საკითხების გვერდით ნ. ბარათაშვილის მხედველობის არეშია მოქცეული აგრეთვე საკითხები საქართველოს წარსულის მეცნიერული შესწავლისა, რასაც პოეტი, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერების საქმისათვის.

ნ. ბარათაშვილი დიდ მზრუნველობას იჩენდა საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლის საქმის წარმატებისათვის. ხელს უწყობდა ამ დარგში წარმოებულ ყოველგვარ მუშაობას.

მაგრამ გარდა იმისა, რომ ნ. ბარათაშვილი ზრუნავდა ამ საქმისათვის, როგორც საზოგადო მოღვაწე და პატრიოტი, თვით ნ. ბარათაშვილი არ ყოფილა ამ დარგში მხოლოდ უბრალო ხელშემწყობი, არამედ საქართველოს ისტორიის საკითხები, ჩანს, აღრიდანვე გამხდარა მისთვის გაღრმავებული შესწავლისა და დაკვირვების საგანი. ნ. ბარათაშვილი, როგორც ირკვევა, არ იყო ამ დარგში მხოლოდ მოყვარული — დილეტანტი, არამედ მართლაც საფუძვლიანი ცოდნით ყოფილა აღჭურვილი. ამას ბევრი რამ ადასტურებს.

აღსანიშნავია ამასთან დაკავშირებით, რომ ცნობილი მეცნიერი მიხეილ ბარათაევი, ავტორი მონუმენტური ნაშრომისა «Нумизматические факты Грузинского царства», ერთ

წერილში 1846 წლის 20 სექტემბრის თარიღით (როდესაც მიხეილ ბარათაევმა ჯერ კიდევ არ იცოდა პოეტის გარდაცვალება) სწერდა ნ. ბარათაშვილის მამას მელიტონს: „მეტისმეტად გამახარებდა ჩვენი საერთო საყვარელი ნიკოლოზ მელიტონის ძე (— საუბარია ჩვენს პოეტზე), თუ იგი შეავსებდა თავისი უხვი ცოდნითა და ნიჭით თავისი მოხუცი პაპის (ე. ი. თვით მიხეილ ბარათაევის) პირველ ნაშრომს“ (— იგულისხმება ზემოთ დასახელებული შრომა)¹.

მიხეილ ბარათაევი (1784—1856), შთამომავალი ვახტანგ VI-ის დროს (მე-18 საუკუნეში) რუსეთში გადასახლებული ემიგრანტისა, რუსეთში დაბადებული და გაზრდილი, ყოფილი დეკაბრისტი, ფართო ევროპული განათლების მქონე ადამიანი, 1839—1844 წლებში საქართველოში იყო ჩამოსული: ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მიხეილ ბარათაევს შორის ამ დროს მეგობრობა დამყარებულა (პოეტი უძღვნის მიხეილ ბარათაევს ლექსს: „საფლავი მეფის ირაკლისა“). მიხეილ ბარათაევი თავის სამეცნიერო მუშაობაში, რომელსაც იგი საქართველოში აწარმოებდა, ჩანს, ბევრით არის დავალებული ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან.

ირაკვევა ამას გარდა, რომ ნ. ბარათაშვილი თანამშრომლობას ეწეოდა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიასთან, სადაც ამ დროს ცნობილი ქართველი მოღვაწისა და მეცნიერის თეიმურაზ ბატონიშვილის ინიციატივით მოწვეული იყო აკადემიკოსი მარი ბროსე, რომელიც სათავეში ჩაუდგა საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეს და რომელმაც ასე ბევრი გააკეთა საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის დარგში.

ნ. ბარათაშვილის ურთიერთობა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წრეებთან ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საკითხთა გამო ჯერ კიდევ შესწავლას მოითხოვს.

1842 წელს თბილისში ჩამოვიდა მარი ბროსეს კოლეგა, მეცნიერებათა აკადემიის მუშაკი ადიუნქტი იული ფრიჩე, რომელსაც ბროსესაგან დავალებული ჰქონდა ქართული წიგნებისა და ძველ-ქართული ხელნაწერების შეძენა.

¹ იხ. წერილი მიხეილ ბარათაევისა, დაბეჭდილი ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში, გვ. 144—145.

მოსხენებაში, რომელიც წარდგენილი იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ლიტერატურულ განყოფილებაში 1843 წლის 13 იანვარს, ფრიჩე წერს:

„ბატონ კოლეგა ბროსეს დავალებით თბილისში ყოფნისას შევეცადე ქართული წიგნები შემეძინა...

ხელნაწერები, რომელთაგან, როგორც ცნობილია, შესდგება ქართული ენის მწიგნობრული სიმდიდრე, როგორც მითხრეს, მხოლოდ იშვიათად და გამოჩაქლისის სახით იყიდება და მათი შექმნა შეიძლება მარტო პირების გადაღების გზით.

ერთმა ქართველმა პოეტმა, რომლის გაცნობის შესაძლებლობაც მე თბილისში მქონდა, თეადმა ბარათაშვილმა, თანხმობა განაცხადა, თუ ეს აკადემიისათვის სასურველი იქნება, პირველად დაემზადებინა ნუსხა მისთვის ცნობილი ხელნაწერებისა, და შემდეგ, იმის მიხედვით, რასაც აკადემია ამოირჩევდა, დაემზადებია მათი პირები. ვეშურები ვაცნობო ეს აკადემიას“¹.

აღსანიშნავია, რომ ამგვარ სპეციალურ საკითხზე ურთიერთობას ამყარებენ არა იმ პირებთან, რომლებიც ქართული ისტორიისა და ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლის დარგში სპეციალურად მუშაობდნენ, არამედ პოეტ ნ. ბარათაშვილთან, რომელიც, ჩანს, ყველაზე დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა ამ დარგში.

ეს რაც შეეხება ნ. ბარათაშვილის ურთიერთობას პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წრეებთან.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ უფრო ადრე, როგორც ჩანს, 1838 წელს, ნ. ბარათაშვილის ინიციატივით თბილისში დაწყებულა მუშაობა საქართველოს ისტორიის საკითხავი წიგნის შედგენაზე, რომლის დამუშავებაში ჩაბმულან წევრები იმ სალიტერატურო წრისა, რომელიც ნ. ბარათაშვილის გარშემო იკრიბებოდა.

მოგვყავს აქ მეტად საყურადღებო მოგონებანი ბარათაშვილის ამ სალიტერატურო წრის წევრისა, პოეტის მეგობრის კონსტ. მამაცაშვილისა².

„ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები... გვექონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ. ერთს სა-

¹ იხ. პუბლიკაცია მიხ. ჩიქოვანისა, გაზ. „კომუნისტი“, 1945 წ., № 112.

² გაზ. „ღროება“, 1881 წ. № 206.

ლამოს ბარათაშვილის სახლში გადაწყვიტეთ, რომ რადგანაც არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ მე-4 საუკუნე-ნიდან დაწყებული¹, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია ამ საუკუნისა. პლ. იოსელიანს მიანდევს დაწერა ძველი საუკუნეების ისტორიისა ქრისტეს წინათ და შემდეგ მე-5 საუკუნემდისინ². მაშინ ძნელი იყო ამისთანა საქმის აღსრულება, რადგანაც მშრომელნიც ცოტანი ვიყავით და საქართველოს ისტორიის მატრიანეები დაფანტული იყო, არ იყო ჯერ შეკრებილი არც ძველი საეკლესიო გუჯრები, არც ბევრი საინტერესო გრამატები თავადების და აზნაურების სახლებში, მართო მატთანედ იყო „ქართლის ცხოვრება“.

„მახსოვს, — განაგრძობს თავის მოგონებას კონსტ. მამაცა-შვილი, — 1838 წელს მე და ტატო წავედით სასეირნოდ გარეთუბანს. ტატო ძალიან მხიარულად იყო და თავისებურად მშვენივრად ხუმრობდა. მერმე ჩამოვარდა ლაპარკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ და ტრაგიკულს დასასრულზედ 18-ის საუკუნისა მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო, უღონობაზედ, ჩვენის ტფილისის წახდენაზედ 1795 წელს 12 სექტემბერს და სხვ.

„ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარსა და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა:

„— ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა! — და ოხვრით დაუმატა: — ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!

„დიდხანს დავდიოდით თავჩალუნული და მოწყენილი“.

¹ დაბეჭდილია „მე-5 საუკუნიდან“. მაგრამ აქ, ჩანს, არის ან კორექტურული შეცდომა, ან კალმის ლაფსუსი. მზღვარი არის მე-4 საუკუნე (ქრისტიანობის დამკვიდრება საქართველოში მირიან მეფის დროს). რომ ბარათაშვილის ჩგუფს საქართველოს ისტორიის დამუშავება დაუწყია მე-4 საუკუნიდან, მირიან მეფის ხანიდან, ამას კერძოდ ადასტურებს ნ. ბარათაშვილის ფსევდონიმი „მირიან ივერი“ (ამ საკითხს ვეხებით ცალკე შენიშვნაში). პლატონ იოსელიანისათვის კი მიუხდევიათ საქართველოს ძველი ისტორიის დაწერა უძველესი დროიდან ქრისტიანობის დამყარებამდე.

² იხ. წინა შენიშვნა.

პიროვნული

ნ. ბარათაშვილის პირადი ცხოვრების შესახებ ჩვენ ცოტა ვიცით.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ პოეტის პირველი ბიოგრაფები და მემუარისტები უგულისყუროდ მოეკიდნენ პოეტის პირად ცხოვრებას და თუკი შეჰხებიათ მას, მხოლოდ ზოგადი ფრაზებით დაკმაყოფილებულან.

მაგრამ პოეტის პირადი მსოფლიო ჩვენთვის მაინც არ არის მთლიანად დაფარული. ჩვენ გაცილებით მეტს გავიგებთ პოეტის სულიერ სამყაროზე და პირად ცხოვრებაზედაც, თუ პოეტის ლირიკას გულისხმიერად გადავიკითხავთ. ბარათაშვილის ლირიკულ ლექსებში, და ნაწილობრივ მის წერილებში, მოცემულია უფრო მართალი და სრული, მღელვარებით აღსავსე ისტორია ნ. ბარათაშვილის სულიერი ცხოვრებისა, ვიდრე ამას მისი ბიოგრაფების უფერულ გაუპიროვნებულ ქრონიკაში ამოვიკითხავთ.

საჭიროა ამოხსნილ იქნას პოეტური შიფრი, ამოცნობილ იქნას ის პიროვნული აქცენტი, რომელიც მოცემულია ბარათაშვილის ლირიკული ლექსების ერთ რიგში.

ჩვენ აქ შევჩერდებით ტრაგიკულ რომანზე ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძისა, რამაც, როგორც ირკვევა, დიდი გავლენა იქონია პოეტის შემოქმედებაზე. ეკატერინეს სახით შთაგონებულია მთელი წყება ნ. ბარათაშვილის ლირიკული ლექსებისა.

* * *

ეკატერინე ჭავჭავაძე იყო იმ ოჯახიდან, რომელსაც სამართლიანად უნდა მიეკუთვნოს სახელი — ქართული პოეზიის მუზათა სადგური.

ეკატერინე იყო ქალი განთქმული პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძისა. განგებამ ყველა საჩუქარი უხვად გაიმეტა ამ ქალისათვის. ეკატერინე ყოფილა განსაკუთრებული სილამაზისა,

რაზედაც აღტაცებით მოგვითხრობენ ყველა თანამედროვენი, არტისტული განათლებით, ამასთან გონებამახვილი, თან მშვენიერი მომღერალი და დამკვრელი.

მე-19 საუკუნის მეორე მეოთხედში ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის გარშემო იკრიბებოდა ქართული გონებრივი ელიტა. ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში ბრწყინავდა მისი ორი ქალი, ეკატერინე და უფროსი დაი ეკატერინესი — ნინო¹. აქვე ხშირად შეხვდებოდით მანანა ორბელიანს.

გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილ ნაწერებში — (იხ. გრიგოლ ორბელიანის ნაწერთა კრება, რომელიც ჩამოართვეს პოეტს დატყველების დროს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო) — დაცულია ეპისტოლარული მხატვრული ესკიზი, სათაურით: „ნინო, ეკატერინა, მანანა“, სადაც პოეტს ეს სამი უმშვენიერესი ქალი სამი გრაციის სახით ჰყავს წარმოდგენილი.

გრიგოლ ორბელიანს ამ სამებიდან უყვარდა ნინო ჭავჭავაძისა, უფროსი დაი ეკატერინესი. ნინო, პოეტ გრიგოედოვის მეჟულე, ადრე დაქვრივდა. მან მოხიბლა გრიგოლ ორბელიანი. იგი ჩვენი პოეტისათვის ნამდვილი მუზა იყო, მან შთააგონა გრიგოლ ორბელიანს მთელი რიგი ლექსებისა. პოეტს სიკვდილამდე შერჩა მისი აიყვარული. 1832 წლის შეთქმულების შემდეგ უცხოეთში გადასახლებული გრიგოლ ორბელიანი ნინოს წგრილებს „ნაწილებსავით (ვით სიწმიდეს) უბეში ატარებდა და „დაუჯდომელის“ (საგალობლის) მაგიერ ჰკითხულობდა“.

გრიგოლ ორბელიანი, უკვე ღრმა მოხუცებაში მყოფი, 73 წლისა, იგონებს ნინოს, ეკატერინეს და მანანას საზოგადოებას, და ერთ წერილში, რომელიც მიწერილია ეკატერინესადმი 1877 წელს, სხვათა შორის შემდეგსა წერს:

„მაგონდება თქვენი ბრწყინვალე ყმაწვილ-ქალობა და მასვე დროს სჯანთა მრავალნი, დახატულნი სილამაზითა მიმზიდველნი მაღალ-ზრდილობით, გულის სიწმინდით. მართლაც მეტად კარგი დრო იყო სავსე მხიარულებითა, უზრუნველობითა, და ამასთან საითაც შეჰხედავდით, უთუოდ იყო ვინმე მშვე-

¹ შესამე ქალი ალექსანდრესი — სოფიო, იმ დროს, რომელსაც აქ ვხვებით, ჯერ კიდევ ბავშვი იყო.

ნიერი, და ამის გამო ხშირად ვამბობდით ძველებურს სავათ-
ნავას ლექსსა: „ნეტა რომელს ვენაცვალო, განა რამდენი თავი
მაქვს?“. ხშირად მაგონდება ის დრო, თქვენი დრო, მეტად ლა-
მაზი დრო, ჩემი აწ დაბერებულის გულის გასამხიარულებლად,
გასაყმაწვილებლად. ღმერთმან გიშველოსთ, მეტად კარგები
იყავით, და ეხლაც ჩემი თავი მიმაჩნია ბედნიერად, რომ მეც
თქვენს საზოგადოებაში ვიქცეოდი და მას ვეკუთვნოდი. თქვენ
გამომიყვანეთ მე კაცად, პოეტად, და ახლაც თქვენვე ხართ
ჩემი ნუგეშის-მცემელი“.

ხოლო 1882 წელს, როდესაც გარდაიცვალა ეკატერინე, გრი-
გოლ ორბელიანი შემდეგი სიტყვებით დასტირის ეკატერინესა
და მისი დროისა და წრის სხვა ქართველ ქალთა სახსოვარს
(— წერილი ანასტასია ჩერქეზიშვილისადმი 1882 წლის 23
აგვისტოს თარიღით)!:

„ჩენინა ეკატერინა მენგრელიისა გარდაიცვალა გორდსა 13
აგვისტოს. განვიდა ესეც წარსულისა დროისა საქართველოს
მშვენიერება, დედუფალად დაბადებული. ვინცა შეხედავდა,
მაშინვე უნდა მდაბლად თავი დაეკრა!.. ჩემო ტასო, ბნელ-
დება საქართველო!“



ნიკოლოზ ბარათაშვილი და ეკატერინე ბავშვობიდანვე თან-
შეზრდილნი იყვნენ და წლოვანებითაც ტოლები.

ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მელიტონ ბარათაშვილის ოჯა-
ხები, როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, განსაკუთრე-
ბით დაახლოებულნი ყოფილან. ბარათაშვილის ბიოგრაფი
კონსტ. მამაცაშვილი, იმ პირთა შორის, რომელთაც მეგობრო-
ბა ჰქონდათ მელიტონ ბარათაშვილის ოჯახთან, პირველად
ალექსანდრე ჭავჭავაძეს მოიხსენიებს. პოეტის დაი ბარბარე
ვეზირიშვილისა აგრეთვე აღნიშნავს თავის მოგონებაში, რომ
მელიტონის ოჯახს „განსაკუთრებით კარგი დამოკიდებულება
ჰქონდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან“.

¹ იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის
ხელნაწერი S — 2660.

შემდეგ, როცა ნიკო ბარათაშვილი დავაჟკაცდა და სანოგა-დობეზაში გამოვიდა, იგი, რასაკვირველია, უახსრეს-ტრეზული ყურადღებით უნდა ყოფილიყო მიღებული ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში. ნიკო ბარათაშვილი აბილცის ერთი უწარჩინებულესი ოჯახის შვილი იყო. ამასთან, ბუნებრივია, რომ ისეთს არტისტულს წრეში, როგორც იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი, დიდად აფასებდნენ ბარათაშვილის პოეტურ ტალანტს. შენახულა გადმოცემა, რომ ბარათაშვილმა თავისი პოემა „ბედი ქართლისა“ პირველად ალ. ჭავჭავაძის სახლში წაიკითხა, 1839 წელს.

კერძოდ, ეკატერინე, როგორც ირკვევა, ნ. ბარათაშვილის პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

* * *

რომ ბარათაშვილი გატაცებული იყო ეკატერინეთი, ამის შესახებ შენახულა ცნობა პოეტის მეგობრის ლევან მელიქიშვილისა. ლევან მელიქიშვილს უამბნია იონა მეუნარგიასთვის, თუ როგორ დაწერა ბარათაშვილმა ლექსი „საყურე“. იონა მეუნარგიას ეს ცნობა შემდეგნაირად აქვს ჩაწერილი:

„ბარათაშვილი იყო თურმე მიწვეული საგინაშვილის სიდერთან სალამოზე და იქიდან შემოვარდა ყაფლან ორბელიანთან, საცა დაუხვდა იმას ლევან მელიქიშვილი.

„— ლევან, ლევან! გავგიჟდი! მეტი აღარა ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადამრია! ღეთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესს“. და ამ სალამოს დასწერა სახსოვრად ლექსი „საყურე“¹.

ნ. ბარათაშვილისა და ეკატერინეს რომანის ისტორია დაშიფრულია ნ. ბარათაშვილის ლექსების მთელ რიგში. ამავე რომანს შუქსა ჰყვენს აგრეთვე ნ. ბარათაშვილის ერთი წერილი, რომლის მნიშვნელობა და მასში ნაგულისხმევი ამბავი დღემდე ამოცნობილი არ იყო.

ჩვენ მოგვიხდება დაკვირვებული თვალთ გადავიკითხოთ

¹ ი. მეუნარგია, გვ. XLVIII.

ნ. ბარათაშვილის ლირიკული ლექსების ერთი ციკლი 1839—1841 წლებისა და ამოვხსნათ ამ ლექსებში მოცემული პიროვნული აქცენტი.

* * *

ნ. ბარათაშვილის და ეკატერინეს რომანტიული ისტორია ასე წარმოგვიდგება:

ნ. ბარათაშვილი და ეკატერინე, როგორც მოვიხსენეთ, ბავშვობიდანვე თანაშეზრდილნი იყვნენ. ნიკო ბარათაშვილსა და ეკატერინეს; ჩანს, ჯერ კიდევ ბავშვობის დროიდანვე ერთბადათ ახლო მეგობრობა. ნ. ბარათაშვილი ერთ წერილში, რომელიც, როგორც ირკვევა, ეკატერინეს ეხება, და რომელიც ეკატერინესთან განხეთქილებისა და დაშორების შემდეგ არის დაწერილი, შემდეგსა წერს ეკატერინეს შესახებ:

„უმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას, და ვიდრემდის სრულიად გადაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი“.

ნ. ბარათაშვილის ეს ბავშვური მეგობრობის გრძნობა ეკატერინესადმი შემდეგ სიყვარულით შეცვლილა.

ბარათაშვილის გატაცება ეკატერინეთი, ჩანს, დაწყებული 1838—1839 წლებში, როდესაც პოეტი 21 წლისა იყო. ერთი წყება ნ. ბარათაშვილის ლექსებისა, რომლებიც მიძღვნილია ეკატერინესადმი, დათარიღებულია 1839 წლით. ეს ლექსებია: „თავადის ჭავჭავაძის ასულს ეკატერინას“ („ხმით მშვენიერით“) და „საყურე“ („ვითა პეპელა“).

როგორი იყო ამ რომანის პერიპეტიები, ამის შესახებ ჩვენ ცოტა ვიცით.

მაგრამ პოეტის გრძნობა რომ არ დარჩენილა უპასუხო, ამას გვიჩვენებს ლირიკული აღსარება პოეტისა და, აგრეთვე, პოეტის ერთი წერილი, რომელზედაც ქვემოთ გვაქვს საუბარი.

1839 წელს ეკატერინე გაათხოვეს სამეგრელოს მთავარ დავითზე. ეს იყო, ჩანს, ანგარიშის ქორწინება, ჭავჭავაძიანთ ოჯახი უნათესავდებოდა საქართველოს უწარჩინებულეს გვარეულობას, საქართველოს უკანასკნელ მფლობელ მთავართა სახლს, ეკატერინე დედოფალი ხდებოდა.

ეს ქოწინება, გარეგნულად ბრწყინვალედ გადახდილი, სიამბღვილეში არ ყოფილა ბედნიერი.

ეკატერინე გულმოკლული დამორჩილებია თავის ბედს.

შენახულა თანამედროვის ცნობა, რომ ქოწინების დროს სევდაშემოყრილ ეკატერინეს გული შესწუხებია, რასაც საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია¹.

შემდეგაც დავით სამეგრელოს მთავარი და ეკატერინე ერთმანეთისთვის უცხონი დარჩენილან.

ერთი თანამედროვე ავტორი ეკატერინესა და დავითის დამოკიდებულების შესახებ წერს: «Он (владелец Мингрелии Давид) все более и более удалялся от всяких развлечений, и тогдашняя хроника говорила, что он почему-то охладил к своей жене», ერთადერთ ნუგეშს ეკატერინე პოვებდაო თბილისში, — წერს იგივე ავტორი. «Едиственное развлечение она (Екатерина) находила в редких посещениях Тифлиса и родных».

1840 წელს ეკატერინე ჩამოვიდა თბილისში. ამ დროს ისევ განახლებულა მეგობრობა ნ. ბარათაშვილისა და ეკატერინესი. ამ დროს ეკუთვნის ნ. ბარათაშვილის ლექსების მთელი წყება, რომლებიც ამ მეგობრობით არის შთაგონებული, რომელთაც პოეტი ეკატერინეს მიუძღვის.

მგოსანი უძღვნის სატრფოს მაღალი რომანტიული გრძნობით აქლერებულს სიყვარულის საგალობელს:

არ უციენო, სატფროო,
შენსა მგოსანსა გულისთქმა:
მოკვდავსა ენას არ ძალუძს
უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!

¹ შენახულა წერილი ზაქარია ორბელიანისა, დათარიღებულთ 1839 წლის 3 სექტემბრით, მოწერილი ქალაქ ლუცკიდან (რუსეთიდან) მანანა ორბელიანისადმი; წერილში ვკითხულობთ:

„ღონზე (რუსეთში მიმავალს) მომეწია გალავნის ცოლი და მარია პეტროვნა იმ დროს, როდესაც მე ფოშტით მივდიოდი ჩერკეზ-ქირმანიდამ. დაეყენებინეთ კარგა და რამდენიმე ხანი ვილაპარაკეთ, — მათ შორის კატინას (ეკატერინე ქავკავაძის) ამბავიც, და ამის გულისწუხილიცა ქოწინის დროსო მითხრეს, და სხვანი, და სხვანი...“

(წერილი დაცულია საქართველოს ცენტრ-არქივის საქმეებში, გრიგოლ ორბელიანისა და მის მახლობელ პირთა კორესპონდენციის კრებულში, 1-ე ნაწილ № 176 განსაკუთრებული ფონდისა).

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი
ჩემთ დღეთა გარსა მოვაგლო,
სალამოს მისთვის შთავიდე,
რომ დილა უფრო ვაცხოვლო...

მინდა შენ იყო, სატრფოო,
მშვენიერისა ცის ცვარი,
რომ განაცოცხლო შავარნო,
მღელო, სიცხითა დამქნარი...

ნუ თუ ამ სულის წადილსაც
პრქვა სიყვარული სხვათაებრ?
მაშინ მზეც უსხივ-უტეცხლოდ
შეიძლებს ნათვას ვარსკვლავებრ;

მაშინ ვარდიცა განთიადს
ვერღარა გარდაიშალოს
და ცისა ეკარმან მღელოი
არღარა გააბიბინოს.

მაშინ შენც სხვათა მოკვდავთა
ბანოვანთ მიემსგავსები
მაშ რად ერჩევი მათ შორის
და ციურთ დაედარები?..

მაგრამა მშვენიერება
გაქვს, ცისიერო, უხრწნელი,
და ჩემთა გრძნობათ შენდამი
ვერ დასდევან კაცთა სახელი

1841 წლის ბოლოს მომხდარა განხეთქილება ეკატერინესა და ნ. ბარათაშვილს შორის. არა ჩანს კარგად, რას გამოუწვევია განხეთქილება. პოეტი ბრალსა სდებს ეკატერინეს, უჩივის მას ორპირობას. ერთ წერილში, რომელიც, როგორც ირკვევა, ეკატერინეს ეხება, პოეტი შემდეგს წერს ეკატერინეს შესახებ:

„ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულლო... ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა...“

ასეთი იყო პერიპეტიები ამ რომანტიული ისტორიისა, რომელმაც დიდი სულიერი დრამა განაცდევინა პოეტს.



ამის შემდეგ ჩვენ გავეცნობით ნ. ბარათაშვილის ლექსებს, რომლებიც მას ეკატერინესადმი მიუძღვნია.

ეს ლექსებია:

1 „თავადის ჰ(ავჭავაძის) ასულს ეკ(ატერი)ნას“ — 1839 წ.

2. „საყურე“ — 1839 წ.

3. „... ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ — 1839 წ.

რომ მესამე ლექსი „...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ მიძღვნილია ეკატერინესადმი, ეს შემდეგის მიხედვით ირკვევა.

1840 წელს, როგორც მოხსენებული გვქონდა, ეკატერინე სამეგრელოდან თბილისში ჩამოვიდა. 1841 წელსაც ეკატერინე თბილისში იმყოფებოდა. 1841-ში ნ. ბარათაშვილს ეკატერინესთვის მიუძღვნია თავისი ხელით გადაწერილი ლექსთა კრებული. აი, ამ კრებულში, და მხოლოდ ამ კრებულში მოიპოვება ეს ლექსი. უნდა გვახსოვდეს, რომ ბარათაშვილისაგან ჩვენამდე მოღწეულა მთელი რიგი კრებულებისა, რომლებიც პოეტს თავისი მეგობრებისათვის გადაუწერია; მოიპოვება აგრეთვე პოეტის კრებულიდან გამომღებული პირები, დაცულია აგრეთვე პოეტის ცალკეულ ავტოგრაფთა კოლექციებიც. მაგრამ არც ერთ კრებულში, არც ერთ კოლექციაში, გარდა ეკატერინეს პირადი კრებულისა, ეს ლექსი შეტანილი არაა. ცხადია, პოეტს ეს ლექსი, მიძღვნილი ეკატერინესადმი, იმდენად ინტიმურად მიაჩნდა, რომ არ დაუნახავს შესაძლებლად მისი გადაწერა სხვა კრებულებში.

ამ ლექსის ინტიმურობის გამო დაქარაგმებულია მისი სათაურიც: „... ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“, რაც ასე უნდა იქნას წაკითხული: „(ეკატერი)ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“.

ასეთი დაქარაგმება ამ ინტიმური ლექსისა, რომელიც პოეტს ეკატერინეს პირად კრებულში ჩაუწერია, მით უფრო გასაგებია, თუ მოვიგონებთ, რომ ეკატერინე ამ დროს უკვე გათხოვილია და, ამასთან; ეკატერინესა და ქმარს შორის უთანხმოებას ჰქონდა ადგილი.

რომ ლექსი „...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ ეკატერინე ჭავჭავაძეს ენება, ეს ჩანს აგრეთვე თითონ ამ ლექსის შინაარსიდანაც. უნდა გვახსოვდეს, რომ ბარათაშვილის ლირიკაში „ხმით მშვენიერით მომღერალი“ განუყრელი ხატება არის ეკატერინესი. ისევე როგორც ვეფხისტყაოსანში ნესტან-დარეჯანის განუყრელი ნიშნეულობაა ტარიელის მიძღვნილი რიდე, რომლითაც შოთა მიგვანიშნებს საიღუმლო მზეთუნახავის ნესტანის ვინაობას, ასევე ბარათაშვილის პოეზიაში ეკატერინე გვევლინება, როგორც „ხმით მშვენიერით მომღერალი“.

ასე, პირველ ლექსს, რომელსაც ეწოდება „თავადის ჭავჭავაძის ასულს ეკატერინას“, პოეტი ამ სიტყვებით იწყებს:

ხმით მშვენიერით,
ტბილის სიმღერით,
პაეროვანო, სულს ელზინები...

და კიდევ ქვემოთ:

შენის ენითა,
საესე ლხენითა...
მახსოვს სიამით,
ოდეს ტბილის ხმით
ვარდსა და ბუღბუღს მოელზინარე.

ჩვენს ლექსშიაც „(ეკატერი)ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ — იმავე სახეების რკალში არის წარმოდგენილი.

ხმა საკრავისა, ნელ-ნარნარისა, სულს განახარებს,
და მშვენიერის ენა ამიშლის გულსა ჭირებს

ასევე ლექსში „აღმოხდა მნათი“ ჩვენ გვევლინება იგივე სახე „მშვენიერის ხმით მომღერალისა“:

მეცა ხელი ვკყო დაქანგებულს ჩემსა სანთურსა
და შევაერთო ფიქრნი ჩემნი შენს ხმას ციურსა

ასეთია ეს განუყრელი პოეტური ხატება ეკატერინესი ბარათაშვილის ლირიკაში.

4—5. „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“ და „ცისა ფერს“.

პირველი ლექსი, „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“, იგი წარმოადგენს ვერსიას სასიმღერო რომანსისას, რომელიც რუსეთში ცნობილი იყო სახელწოდებით «Клятва» («С тобой

вдвоем сколь счастлив я»). მუსიკა ამ სიმღერისა ეკუთვნოდა მოცარტს.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან, რომ ეს რომანსი, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით ჰყვარებია ლევ ტოლსტოის. ეს ის სიმღერაა, რომელსაც მღერის ტოლსტოის რომანში «Война и мир» ნატაშა როსტოვა. თვით ლ. ტოლსტოი ხშირად ასრულებდა ამ სიმღერას ფორტეპიანოზე.

კუზმინსკაია (რომელიც ლ. ტოლსტოის რომანში «Война и мир» წარმოდგენილია ნატაშა როსტოვას სახით) მოგვითხრობს ტოლსტოის შესახებ: «Он часто собирав нас к роялю и учил петь «С тобой вдвоем сколь счастлив я».

აგრეთვე ტოლსტოისთან დაახლოებული მეორე პირი შემდეგს გადგოვს: «Он (Толстой) любил пение и играл на фортепьяно, а я обладал хорошим голосом и мы с ним пели его любимую песню: «С тобой вдвоем сколь счастлив я»¹.

მეორე ლექსი — „ცისა ფერს“ ქართული რომანტიკული ლირიკის ერთ-ერთი უმშვენიერესი ნაწარმოებია.

როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელებული იყო ფორტეპიანოზე სასიმღერო რუსული რომანსი «черный цвет, мрачный цвет»; იგი ქართულად თარგმნა ალექსანდრე ჰაეკვაძემ („ფერსა ბნელს, ფერსა შავს“).

ბარათაშვილის „ცისა ფერს“ წარმოადგენს ერთგვარ პასუხს ამ ლექსისა — „ფერსა ბნელს, ფერსა შავს“.

ბარათაშვილმა შექმნა ამ ლექსის საპირისპიროდ ეს პოეტური შედეგრი „ცისა ფერს“, რომელიც აღვსილია ახალი პოეტურ-ფილოსოფიური შინაარსით, რომელშიაც ჩვენ გვაქვს ახალი ხილვა სამყაროსი. ლურჯი ფერი აქ არის სიმბოლო ბუნების უწმინდესი საწყისისა, დაპირისპირებით შავთან.

აქ საჭიროა. ისიც აღვნიშნოს, რომ „ცისა ფერს“ ზოგიერთი დეტალებით ეხმაურება ბარათაშვილის „მერანს“, რომელიც უფრო გვიან დაიწერა:

მოკვედები — ვერ ვნახავ
ცრემლსა მე მშობლიურს, —
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს!

¹ იხ. И. Ильинский и С. Толстой — «Квартет в романе «Война и мир». Звенья II, 1933 г., стр. 618—628. — იხ. ლეონიძის შენიშვნა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1933 წ. № 8.

სამარეს ჩემსა როს
გარს ნისლი მოეცას, —
იგიცა შესწიროს
ციაგმან ლურჯსა ცას!

ვისთვის დაუწერია ნ. ბარათაშვილს ეს ლექსები „როს ბედნიერ ვარ“ და „ცისა ფერს“, რომელნიც ფორტეპიანოზე სასიმღეროდ იყო დანიშნული? რაკი ბარათაშვილი მოხიბლული იყო „ფორტეპიანოზედ მომღერალის“ ეკატერინეს „ხმითა მშვენიერითა“, საფიქრებელი იყო, რომ ბარათაშვილმა ეს ლექსები სასიმღეროდ ეკატერინესათვის დაწერა.

და ეს მართლაც ასე ყოფილა. ამ ორი ლექსის ტექსტი — გადაწერილი თვით პოეტის ხელით, აღმოჩნდა ეკატერინე ჭავჭავაძის ქალაღებში. აღსანიშნავია ამასთან, რომ ეს ორი ლექსი ბარათაშვილს არა აქვს შეტანილი არც ერთ კრებულში, რომელიც მას საზოგადოებაში გასავრცელებლად დაუმზადებია. როგორც ირკვევა, ფორტეპიანოზე სასიმღეროდ ეს ორი ლექსი პოეტს საგანგებოდ ეკატერინესთვის დაუმზადებია და მხოლოდ მისთვის მიუერთმეგია თავისი ხელით გადაწერილი მათი პირები (— ისევე როგორც მხოლოდ ეკატერინესთვის გადაწერილ ლექსთა კრებულში არის შეტანილი ნ. ბარათაშვილის ლექსი „(ეკატერი)ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“).

გარდა დასახელებული ლექსებისა, ეკატერინეს სახით არის შთაგონებული კიდევ ოთხი ლექსი იმავე 1839 — 1841 წლებისა.

„სატრფოვ, მახსოვს“,

„სული ობოლი“,

„აღმოხდა მნათი“,

„არ უკიჟინო, სატრფოო“.

რომ ეს ლექსებიც ეკატერინეს იგულისხმებენ, ამას ადასტურებს, ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ ისინი თავისი შინაარსით ეხმაურებიან სწორედ იმ ლექსებს, რომლებიც, როგორც გამოიკვავა, ეკატერინესადმი ყოფილან მიძღვნილი; ამას გარდა, ამ ლექსებს პიროვნული აქცენტის ამოცნობას შესაძლოდ ხდის ნ. ბარათაშვილის ერთი წერილი 1842 წლისა.

გადავიკითხოთ ამის შემდეგ ნ. ბარათაშვილის ეს ლექსები, რომლებიც პოეტის უინტიმესი გრძნობებით არის გამთბარი, და რომლებშიაც მოცემულია ნ. ბარათაშვილისა და ეკატერინეს რომანის პოეტური ისტორია. აქ არის Dichtung, მაგრამ ამავე დროს აქ არის Wahrheit, პოეზიის ჯადოსნურ სარკეში არეკლილია სინამდვილის ნაჩრდილი.

ამ ლექსებიდან, რომლებიც ეკატერინეს სახით არის შთაგონებული, ყველაზე აღრინდელია „თავადის ქვეყანადის ასულს ეკატერინას“, სადაც პოეტი შემდეგ სახეებში წარმოგვიდგენს ეკატერინეს მომხიბლავ ჩვენებას:

ხმით მშვენიერით,
ტკბილის სიმღერით,
პაეროვანო, სულს ელხინები;
თვალთ არონინებ,
გულს დააწყულულებ
და ღიმილითა ესალბუნები

მახსოვს სიამით,
ოდეს ტკბილის ხმით
ე ა რ დ ს ა და ბ უ ლ ბ უ ლ ს მოელხინარე,
პირმცინარითა
სინარნარითა
მგონის ყარიბს გულს ესხვიმფინარე!

თუ ეს პირველი ლექსი ბარათაშვილისა უფრო მოკრძალებული აღტაცების გრძნობას გამოხატავს, მეორე ლექსი, განთქმული „საყურე“, ერთი უმშვენიერესი სამკაული ნ. ბარათაშვილის ლირიკისა, ინტიმური გრძნობის ნარნარი გამონათებით არის გაშუქებული.

ვითა პეპელა
არხევს ნელ-ნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე.
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.

ნეტავი იმას,
ვინც თავისს სუნთქვას

შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს
შენის შერხევით,
სიო-მობერვით
გულისა სიცხეს განიგრილებდეს

1839 წელს მოხდა ეკატერინესი და ნ. ბარათაშვილის პირველი დაშორება.

როგორც მოხსენებული გექონდა, 1839-ს ეკატერინე გაათხოვეს დავით სამეგრელოს მთავარზე. ეს, როგორც აღვნიშნეთ, ოჯახის ანგარიშის ქორწინება იყო; ხოლო ეკატერინეს გული პოეტისათვის ძგერდა.

პოეტის გულში საბოლოოდ აღბეჭდილა ერთი სცენა, როდესაც ეკატერინე სევდით შეპყრობილი ცრემლებსა ღვრიდა, ხოლო ვერ ახერხებდა გამეფლავებინა პოეტისათვის სამწუხარო საიდუმლო მათი მომავალი განშორებისა.

ეს სცენა აღბეჭდილია პოეტის ორ ლექსში: „(ეკატერი)ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ და „სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი მშვენიერნი ცრემლით კრთოდენ“.

პირველი ლექსი „(ეკატერი)ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ აღრინდელია. პოეტს ჭერ კიდევ არ სცოდნია, თუ რას მოასწავებდა სატრფოს ცრემლი, „ღაწვნი ნაცრემლნი“, მან არ იცის მათი მომავალი განშორების საიდუმლო, და პოეტი მოხიბლული უმღერის მწუხარებით შეპყრობილს „სევდითა ნაზს“ თავის სატრფოს:

(მატბარი)ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი

ხმა საკრავისა,
ნელ ნარნარისა,
სულს განახარებს,
და მშვენიერის
ენა ამიშლის
გულისა ჳირებსი
ეჭვრეტდი ლამაზსა,
ს ე ვ დ ი თ ა ნაზსა,
და შევეტრფოდნი;
ყოველთ გრძნობათა,
ყოველთ გონებათა
მას მიეპყრობდი.

ლაწვნი ნაცრემლნი,
ტრფიალთ დამწველნი,
უფროს შვენოდენ;
თმანი ნაშალნი,
მკერდზედ დაყრილნი,
ემუქმეხოოდენ.
ჟუჟუნა თვალნი,
გულთა მომკვლელნი,
მოცინარობენ;
პაწაწა ტუჩნი,
ვარდებრ ნაფურცლნი,
ლხენას მოჰბერვენ.

მეორე ლექსში — „სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი“ — რომელიც დაწერილია ცოტათი უფრო გვიან, უკვე ეკატერინეს და ნ. ბარათაშვილის განშორების შემდეგ, პოეტი იგონებს იმავე სცენას, როდესაც „სევდითა ნაზი“ ეკატერინე ცრემლთა აფრქვევდა და „ლაწვნი ნაცრემლნი ტრფიალთ დამწველნი, უფროს შვენოდენ“. პოეტი წერს ამ ლექსში:

სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი
მშვენიერნი ცრემლით კრთოდენ,
და ბაგენი მღუმარენი
ხვაშიაღსა მიმალვიდენ!

მაგრამ, სულო, იგი ცრემლი
არ სტიროდა ამ სოფელსა;
სახე შენი მოწყენილი
არა ჰგავდა ხორციელსა!

აწ მივხვდი მე, უბედური,
თვალთა შენთა მეტყველებას:
თურმე ცრემლი უცნაური
მოელოდა ჩემს ობლობას!

ახლაც, ოდეს ვნახავ სადმე
ცრემლსა თვალთა მშვენიერთა,
გულამოსკენით ვიგონებ მე
დღეთა ჩემთა ბედნიერთა!

ამავე დროს არის დაწერილი ბარათაშვილის ლექსი „სული ობოლი“ (იგი დათარიღებულია 1839 წლით).

ეს ლექსი შთაგონებულია იმავე განწყობილებით, აქ გახსნილია ეკატერინესადმი მიმართული შემდეგი სტრიქონები:

თურმე ცრემლი უცნაური
მოელოდა ჩემს ო ბ ლ ო ბ ა ს.

ეს სიტყვები ერთგვარი ეპიგრაფია ამ ლექსისა —

სული ოგოლი

ნუ ვინ იტყვის ო ბ ლ ო ბ ი ს ა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას,
საბრალოა მხოლოდ ს უ ლ ი ო ბ ო ლ ი...



ეკატერინესი და ნ. ბარათაშვილის განშორება თითქმის ერთ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა.

1840 წელს, როგორც მოხსენებული გვქონდა, ეკატერინე ისევ ჩამობრუნდა თბილისში. ამ დროს ისევ განახლებულა მათი მეგობრობა. ბარათაშვილის პოეზიაში ისევ ჩნდება სახე „მშვენიერის ხმით მომღერალი“ ეკატერინესი, რომელსაც პოეტი მიმართავს სიტყვებით:

მეცა ხელი ვპყო დაჟანგებულს ჩემსა სანთურსა
და შევაერთო ფიქრნი ჩემნი შ ე ნ ს ხ მ ა ს ც ი უ რ ს ა!

ამ დროს, 1840 წელს არის დაწერილი ლექსი „აღმობდა მნათი“, რომელიც უმღერის განშორებულ სატრფოსთან შეხვედრას.

აღმობდა მნათი აღმოსავალს, მზეებრ ცხოველი,
მცირითა შუქით გარდუყარა ცასა ღრუბელი,
დიდ სამქუხარო, საავდარო, და მეც, გლახ, გული
მსწრაფლ განმითენა, შავ-ბედისგან დაღამებული!

ნუ თუ აღმიჩნდი ცხოვრებისა ჩემის მნათობლად;
ნუ თუ შენ ჰფინო შევების სხივი ჩემს გულსა კვალად;
კვლავ აღმიტეხო გულის ჭირნი, მიყრუებულნი,
და განმიახლო ნეტარების დღენი წარსულნი?

მაშ გამობრწყინდი, მფინე შუქი ეგ საოცარი
და განანათლე კვლავ ცა ჩემი, ესრეთ საზარი!

მეცა ხელი ვჰყო დაჟანგებულს ჩემსა სანთურსა
და შეევეართო ფიქრნი ჩემნი შენს ხმას ციურსა!

დავმღერდე მას დროს, როს ვარსკვლავი მშვენიერის ცით
მინეტარებდა სიცოცხლისა დღეთა სიამით;
მოვსთქვამდე, თუ ვით მიმეფარა იგი მსწრაფელ ღრუბელს,
ბოლოს ვუმღერდე შუქსა შენსა შევების მომფენელს!

ვჭვთიყავ ძლიერსა სხივსა შენსა, ჰომ მნათო ჩემო!
ოდეს ვიხილო მკირე ბინდი შენს შუქს გარემო,
მყის დაძლიამდეს ამ სოფლისა სიამოვნება
და შენთვის დავთმო ტრფობის წინადად ყოელი დიდება!

მეგობრობა ნ. ბარათაშვილისა და ეკატერინესი ამ მეორე
შეხვედრის შემდეგ გაგრძელებულა. 1841 წლის ბოლომდე.
1841 წელს, როგორც მოვიხსენეთ, პოეტი მთავრად ეკატე-
რინეს თავის ლექსთა კრებულს. ამავე დროს, 1841-ში არის
დაწერილი ნ. ბარათაშვილის რომანტიული გრძნობით აქლე-
რებული ლექსი „არ უკიჟინო, სატრფოო“.

1841 წლის ბოლოს ნ. ბარათაშვილსა და ეკატერინეს შო-
რის მომხდარა განხეთქილება, ისინი დაშორებიან ერთმანეთს.
ბარათაშვილს დიდი სულიერი დრამა განუცდია ამ გან-
ხეთქილების გამო.

რით იყო გამოწვეული ეს განხეთქილება, ამის შესახებ
ჩვენ ცოტა ვიცით. პოეტი უჩივის სატრფოს პირუმტიკობას,
ორპირობას.

ჩვენამდე მოღწეულია ნიკო ბარათაშვილის ერთი წერილი,
მიმართული მაიკო ორბელიანისადმი. მაიკო ნ. ბარათაშვილის
ბავშვობის განუყრელი მეგობარი და უსაყვარლესი დობილი
იყო, პოეტი მას უხსნიდა თავის გულისნადებს. მაიკო, რო-
გორც ირკვევა, განდობილი ყოფილა ნ. ბარათაშვილისა და
ეკატერინეს გრძნობათა საიდუმლოებაში.

მოხსენებულ წერილში ნიკო ბარათაშვილი შემდეგსა სწერს
მაიკოს:

„კდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც
საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს
ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი-
ხანია ობოლი ვარ... ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა,

იგი ვნახე უგულო... ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრაღულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილანი შანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოთავი?.. მოიგონე კოტას ხანს დრონი წარსულნი და მაშინ შემებრალე. ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულიად გადაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი:

ძნელი არის მარტობა სულისა,
მას ელტვიან სიაშენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხერა არის შვება უბედურისა!

ვის იგულისხმებს ეს წერილი?

წერილი, როგორც ირკვევა, ეხება ეკატერინეს. პოეტი აქ, კერძოდ, იგონებს ეკატერინესთან გამოთხოვების იმ ღირსსახსოვარ სცენას, როდესაც მწუხარებით შეპყრობილი ეკატერინე ცრემლებსა ღვრიდა, ხოლო სიტყვებით ვერ ახერხებდა გაემყლავნებინა სამწუხარო საიდუმლო მათი მომავალი განშორებისა. პოეტისათვის უძვირფასესი მოსაგონარი იყო ეს პოეტური სცენა და მას არაერთგზის უმღერა პოეტმა თავის ლირიკულ ლექსებში.

და პოეტი, მაიკოსადმი მიმართულ წერილში, თვითვე არდევეს შეუბრალებლად ამ რომანტიულ მოგონებას სატრფოს „სიბრაღულის ცრემლთა“ შესახებ.

გადაიკითხოს მკითხველმა ერთიმეორის გვერდით ჯერ პოეტის ლექსები, რომლებიც ეკატერინესთან მეგობრობის ხანას ეკუთვნის, და შემდეგ პოეტის წერილი განხეთქილების შემდგომი დროისა. წერილი წარმოადგენს პასუხს ამ ლექსებისას.

ლ ე მ ს ე ბ ი

(განხეთქილებამდე)

ლაწენი ნაცრემლნი,
ტრფიალთ დამწველნი,
უფროს შვენოდენ;

(„ფორტეპიანოზედ მომღერალი“, 1839 წ.).

სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი
მშვენიერნი ცრემლით კრთოდენ,
და ბაგენი მღუმარენი
ხვაშიადასა მიმალვიდენ!

მაგრამ, სულო, იგი ცრემლი
არ სტიროდა ამ სოფელსა;
სახე შენი მოწყენილი
არა ჰგავდა ხორციელსა!

აწ მივხვდი მე, უბედური,
თვალთა შენთა მეტყველებას:
თურმე ცრემლი უცნაური
მოელოდა ჩემს ობლობას!

(„სატრფოვ, მახსოვს“, 1840 წ.)

წ ე რ ი ლ ი

(განხეთქილების შემდეგ)

„ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა“.

ამ საბედისწერო განხეთქილებამ, ჩანს, განუკურნებელი ჭრილობა მიაყენა პოეტის გულს. განხეთქილება პოეტსა და ეკატერინეს შორის უკვე 1841 წელსვე მომხდარა, ხოლო მოყვანილი წერილი მაიკოსაღმი, სადაც ჯერ კიდევ ისმის „მოკლულის გულის ოდენ ჩივილი“, ერთი წლის შემდეგ არის დაწერილი (1842 წ. 31 ოქტომბერს).

გამოძახილი ამ სულიერი დრამისა, რომელიც განიცადა პოეტმა განხეთქილების გამო, ჩვენ გვაქვს ლექსში „ვპოვე ტაძარი“.

გამოძახილი ამ დრამისა ჩვენ გვაქვს 1841 — 1842 წლების სხვა ლექსებშიაც.

ასე, ლექსი „ჩემთ მეგობართ“, ვითომდა ეპიკურეული ნოტების შემცველი, ვერ ფარავს პოეტის სულიერ მღელვარებას. პოეტი, უეჭველია, ეკატერინეს პირუშტკიცობას იგულისხმებს, როდესაც იგი ამ ლექსს — „ჩემთ მეგობართ“ — ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

მხოლოდ ერთს გირჩევთ და გახსოვდეთ ესე თათბირი,
მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი მაქვს ეს გულის ჭირი!

არ შეემსპვალათ მოკისკასეს, კეკელა ქალსა,
სულის დამტყვევენელს და გრძნობათა ტულ მომღერალსა!

აშოკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმარებს,
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს!

• • •

აქ საჭიროა აღინიშნოს, კერძოდ, შემდეგიც:

ეს ლექსი თავის ფინალში ორმაგს გადაკრულსიტყვაობას შეიცავს. ლექსში საუბარია „კეკელა“ ქალზე ზოგადად, მაგრამ, ამავე დროს, მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეკატერინეს შინაური სახელი იყო „კეკელა“, ამ სახელით იყო იგი ცნობილი მახლობელ-მეგობართა შორის. და ეკატერინესათვის ორმაგად. სამძიმო უნდა ყოფილიყო ეს გესლიანი გადაკრულსიტყვაობა პოეტისა.

• • •

როგორ შეხვდა ეკატერინე ამ განხეთქილებას? რამდენად იყო დამნაშავე ეკატერინე, რამდენად მართალი იყო პოეტი თავისი შეურიგებელი მხილებით?

ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ვისმენთ მხოლოდ ერთი მხარის ჩვენებას, რომელსაც ასეთ მღელვარე განწყობილებაში, რასაკვირველია, მიუდგომლობას ვერ მოვთხოვთ.

მაინც ერთი ლექსის მიხედვით, რომელიც სწორედ ამ დროს, 1842 წელს ეკუთვნის, საფიქრებელია, რომ ეკატერინე არ სთვლიდა თავს დამნაშავედ და თავის მხრითაც ყვედრებით მიმართავდა პოეტს.

ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო“, რომელიც, საფიქრებელია, ავტოგრაფიულ აქცენტს შეიცავს, პოეტი პასუხს აძლევს „ბანოვანის“ საყვედურს:

რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუშტკიცობას?
თუ ემღური შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას, —
რომ არ გემსპვალვის საუკუნო ტრფიალებითა?
ჰგავს არ პასუხს სცემ შენ მას სულით მშვენიერითა...

სამუდამო იყო განშორება პოეტისა და ეკატერინესი?

როგორც ირკვევა, არა.

შერიგება ბარათაშვილისა და ეკატერინესი მომხდარა 1842 წლის ბოლოს.

1843 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილმა ეკატერინეს მიაჩნია თავის ხელით გადაწერილი ორი წიგნი თავისი ლექსებისა: პირველი — „ლექსნი“ — ლირიკა (რომელშიაც შევიდა 26 ლექსი); მეორე — „ბედი ქართლისა“.

1842 წლის დასასრულს და 1843 წელს ეკუთვნის სამი ლექსი ბარათაშვილისა სატრფოსადმი მიძღვნილი: „მიყვარს თვალები“, „შენნი დალალნი“ და „შევიშრობ ცრემლსა“. ამ ლექსებში, რომლებშიაც ისმის ახალი ნოტა, სადაც ერთად იხსენება უკვდავებასთან სიკვდილი, — მგოსანი „გულსა დაიწვავს დასანაცრებელს და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს“, შესწირავს „მისსა სალოცველს“ — მშვენიერების, „ს ი ტ უ რ ფ ი ს ლ მ ე რ თ ა ს“, — ისევ ეკატერინე იგულისხმება.

სახე ეკატერინესი შევიდა ქართული პოეზიის სამკვიდრებელში, ისევე როგორც იტალიურ პოეზიაში სახე ლაურასი.

VIII

ილია ჭავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი

ეკატერინე ჭავჭავაძის სახელს ჩვენ ერთხელ კიდევ ვხედებით — უფრო გვიან — ნიკო ბარათაშვილის შესახებ ქრონიკაში. ამბავი ეხება 1858 წელს, როდესაც პოეტი კარგა ხანია რაც ამა ქვეყნად აღარ იყო და მისი ნეშტი ობლად განისვენებდა უცხო ცის ქვეშ.

ცნობილია, რომ 60-იან წლებში იღვიძებს ინტერესი ნიკო ბარათაშვილის პოეზიისადმი. 60-იანი წლების დიდმა ლიტერატურულმა თაობამ მიიღო გენიოსი ქართველი პოეტის მემკვიდრეობა და მიუჩინა მას ქართულ გონებრივ სამკვიდრებელში ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნის. განსაკუთრებით

მნიშვნელოვანი იყო ამ მხრივ როლი ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძისა. რომელმაც, შეიძლება ითქვას, მეორედ გააცოცხლა ნიკო ბარათაშვილის სახელი:

ამ დროისათვის, 60-იანი წლების კარზე, ნიკო ბარათაშვილის პოეზია თვით მოწინავე ინტელიგენციის ფართო წრეებში თითქმის გადავიწყებული იყო.

მკითხველს ჩვენ გავაცნობთ ერთ მეტად დამახასიათებელ მაგალითს.

1865 წელს ცნობილ მოღვაწეს — დიმიტრი ყიფიანს შემდეგსა სწერდა პეტერბურგიდან მისი შვილი ნიკოლოზი, ხალხოსნური მოძრაობის თანამგრძნობი ახალგაზრდა, ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი¹:

„ნიკოლოზ ბარათაშვილის «მერანი», «ქართლის ბედი», «მტკვრის პირზედ», «ფანტაზია», «სულო ბოროტო» და სხვანი ათასჯერ გადავიკითხე და კიდევ არ მეყო. ყოველ ამის სიტყვაში, ყოველს ლექსში, აზრსა ჰხედავს კაცი, გრძნობასა, და ისეთი ძალა აქვს ამის ლექსსა, რომ არ შეიძლება არ დაღონდეს კაცი, როცა ის თავის ტანჯვას გამოსთქვამს.

„მერანი» საკვირველი რამ არის. — ნეტა ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი? შენ მგონია იცნობდი. სწავლა სად მიიღო, სამსახურში ყოფილა თუ არა, ყოფილა სადმე ან რუსეთში, ან იქით სპარსეთში? რა ხასიათისა იყო, საზოგადოებაში რა იყო, საზოგადოება როგორ უყურებდა?“

სწორედ რომ საოცარია, ღან სავალალო! თვით ისეთ წრეშიაც კი, როგორიც იყო დიმიტრი ყიფიანის ოჯახი, ნიკო ბარათაშვილის სახელი უცხო დარჩენილა ახალა თაობისათვის... ნუ დაგვავიწყდება ამასთან, რომ დიმიტრი ყიფიანი პირადი მეგობარი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილისა და დიდი ქართველი პოეტის შემოქმედებამ მის თვალწინ მეტეორივით გაიელვა.

იმის შემდეგ, რაც ითქვა, არ უნდა გავვიკვირდეს, რომ ილია ჭავჭავაძეს, პირველი კურსის სტუდენტს, 1858 წლისათვის, ე. ი. იმ ხანებში, როდესაც მან პირველად შემოაღო ქართული მწერლობის კარი, ძალიან ცოტა სცოდნია ბარათა-

¹ მთაწმინდის მწერალთა მუზეუმის დოკუმენტების ფონდი, № 897 (გ. ლეონიძე, ორი შენიშვნა ნ. ბარათაშვილზე, ლიტ. მემკვიდრეობა, გვ. 628.)

შვილზე. ამ დროს მას გადაკითხული ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე ლექსი, რომლებიც გამოქვეყნდა „ცისკარში“ 1852 წელს და 1858 წლის დასაწყისში. ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი მემკვიდრეობა ამ დროს ჯერ კიდევ ხელნაწერად ვრცელდებოდა, არ იყო დაბეჭდილი „ბედი ქართლისა“, „მერანი“, ბარათაშვილის გენიალური ლირიკა.

ამ დიდ ბარათაშვილს ილია გაეცნო 1858 წელს.

გაეცნო სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახში.

ეკატერინე, პოეტის სატრფო, რომელიც ჩვენი მგოსნისათვის იყო წყარო შთაგონებისა და მწუხარებისაც, — „უწყალო ვითა ჩიქია“, — სიკვდილამდე დარჩა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის მოკრძალებული თაყვანისმცემელი. ეკატერინეს ოჯახში ჩვენ ვხედავთ ბარათაშვილის პოეზიის კულტს. და მაშინ, როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი დავიწყებას ეძლეოდა, და შვილს თვით ისეთი მამისა, როგორც იყო დიმიტრი ყიფიანი, არც კი სმენოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი, ეკატერინეს ბავშვები ქართულ ენას ბარათაშვილის ლექსებზე სწავლობდნენ.

1857 წლიდან ეკატერინე დიდი ხნით გადასახლდა პეტერბურგს (მთავრობის იძულებით; ეს იყო „საპატიო“ გადასახლება ოდიშის დედოფლისა. ეკატერინეზედაც აღსრულდა „ბედი ქართლისა“-ს სიტყვები: „პეტრეს ქალაქში გარდაასახლვენ“...)). ეკატერინე გაემგზავრა სამეგრელოდან 1857 წლის 25 ოქტომბერს, ჩავიდა პეტერბურგში დეკემბერს. ამის შემდეგ, 1857 წლის დასასრულიდან ვიდრე 1861 წლამდე ეკატერინე პეტერბურგში იმყოფება თავისი შვილებითა და ამალით.

ზაფხულს ეკატერინე ცარსკოე სელოში ატარებდა.

ეკატერინეს თან ჰქონდა წაღებული ნ. ბარათაშვილის ლექსების ზემოთხსენებული ორი კრებული (პირველი წიგნი — „ლექსნი“, რომელშიც შედიოდა „მერანი“ და 25 ლექსი, გადაწერილი 1843 წელს; მეორე — „ბედი ქართლისა“, გადაწერილი იმავე 1843 წელს). ეკატერინე ყოველთვის თან ატარებდა განუყრელად, როგორც რელიქვიას, ბარათაშვილის ხელით გადაწერილ ძვირფას ფურცლებს.

აი, ამ ხელნაწერებიდან გაეცნო ილია ჭავჭავაძე ნ. ბარათაშვილის

თაშვილის დიდ პოეზიას ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახში. ეს მოხდა 1858 წლის ზაფხულში¹.

კოხტა აფხაზი, ილია ჭავჭავაძის სიჭაბუკის განუყრელი მეგობარი, რომელიც მასთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, შემდეგს გადმოგვცემს²:

„...ზაფხულობით ჩვენი ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა დროს, და ჩვენც, მე და ილია, ზაფხულობით იქ ვიმყოფებოდით. მახსოვს, პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბატონ დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს. ქალბატონ დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხავად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს ბარათაშვილის საკუთარი ხელნაწერი. ეს ლექსები იყო „ქართლის ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“.

მეორე ჩანაწერის ცნობით, ბარათაშვილის ლექსები გადაუცია ილიასათვის თვით დედოფალს ეკატერინეს (იხ. ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია გრიგოლ ყიფშიძისა, მ. გედევანიშვილის გამოცემა, გვ. XIII). ამ ორ ცნობას შორის, რასაკვირველია, არაა წინამდებობა. ფაქტი ისაა, რომ ილია ეკატერინეს სახლში იყო სტუმრად, ბარათაშვილის ლექსები მან ეკატერინეს ოჯახიდან მიიღო, სულ ერთია თვით ეკატერინეს თუ მისი ასულის ხელით.

ამ მეორე ჩანაწერშიაც აღნიშნულია, თუ რა განუზომელი შთაბეჭდილება დასტოვა ილიაზე ბარათაშვილის ლექსების გაცნობამ. აქაც დამოწმებულია, რომ ილიამ „მთელი ერთი კვირა სულ მოუსვენრად გაატარა და ცხადლივ თუ სიზმარში ბარათაშვილი ელანდებოდა“-ო (იხ. იქვე).

1858 წელი, ილია რომ გაეცნო ბარათაშვილის დიდ პოეზიას, არის პერიოდი, როდესაც ილია წერდა თავის პირველ

¹ საკითხები, რომელთაც ვეხებით წერლის ამ VIII თავში, უფრო დაწვრილებით განხილული გვაქვს მონოგრაფიაში „ილია ჭავჭავაძე“ (იხ. გვ. 216 — 222).

² იხ. კოხტა აფხაზის მოგონებანი ილია ჭავჭავაძის შესახებ (გ. ლონიძე, მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, ლიტ. მემკვიდრეობა, გვ. 564).

დიდ ქმნილებას — „ა ჩ რ დ ი ლ ს“ (ეს პოემა ილიამ დაამთავრა 1859 წლის იანვარში), რომელსაც მოჰყვება „გლახის ნაამბობი“ (1859 წ.), „ქართვის დედა“ („დედა და შვილი“, 1860 წ.), „კაკო ყაჩაღი“ (1860 წ.).

ბარათაშვილის პოეზიის გაცნობამ ახალი შთაგონებით აავსო მონათესავე პოეტური სული ილიასი. ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ, 1860 წელს არის დაწერილი, ილია იგონებს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მასზე დასტოვა ბარათაშვილის ლექსების პირველმა გაცნობამ.

როს წაეიკითხე მისი ლექსები,
ვერარა ვთქვი რა განცვიფრებულმა
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა
ცას განუბნივოს შავი ღრუბლები,
ისე იღარა ჩემ მწუხარ შუბლმა.

ხალხო თბოლო, შენ მებრალები,
რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა
და განგაშორა თვისი სხივები!..
როს წაეიკითხე მისი ლექსები,
აღმოვიკენესე დაობლებულმა

თეორე ლექსს „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“ („ყრმაო პოეტო, უღმრთო იყო შენი სიკვდილი“...), რომელიც ამ დროსვე, 1860 წელს არის დაწერილი, ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს სიტყვები ბარათაშვილის „მერანიდან“.

ცუდად ხომ მაინც არ ჩაიელის
ეს განწირულის სულის კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება.

ასე ეზიარა ბარათაშვილის გენიას მისი დიდი მემკვიდრე ილია ჭავჭავაძე.

6. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა

რამდენადაც ეს ნარკვევი მიძღვნილია უპირატესად პოეტის ბიოგრაფიისათვის და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მიმოხილვას ისახავს საგნად, ჩვენ აქ პოეტის შემოქმედებასა და ლიტერატურულ მემკვიდრეობას მაგისტრალურ ხაზებში განვიხილავთ.

* * *

სამი კორიფეი XIX საუკუნის ქართული მწერლობისა ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი არიან ფუძემდებელნი ახალი ქართული ლიტერატურისა. მათი შემოქმედება ახალ ერას ამკვიდრებს მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ისტორიაში.

სხვადასხვა სახისა იყო ღვაწლი ამ დიდ მწერალთა.

კერძოდ, ღვაწლი ნიკოლოზ ბარათაშვილისა ის არის, რომ მან საბოლოოდ დაამკვიდრა ქართულ ლიტერატურაში ევროპეიზმი, როგორც ფუძე მწერლობისა, როგორც მაგისტრალი ახალი ქართული მწერლობის განვითარებისა.

წინა ხანა ქართული ლიტერატურისა, მე-16 — 18 საუკუნეთა ქართული მწერლობა, რომელიც „აღორძინების ხანის მწერლობის“ სახელწოდებით არის ცნობილი, — რთულ მოვლენას წარმოადგენდა. აღორძინების ხანის ქართული მწერლობა თავისებურად აერთიანებდა აღმოსავლეთის და დასავლეთის ლიტერატურულ ტრადიციებს, აქ თავისებურად გადაჭრილი იყო ეს ორი ნაკადი, აღმოსავლური და ევროპული. ამასთან, ეს ორი ნაკადი განაყოფიერებული და ორგანულად შერწყმული იყო ძველი „ოქროს ხანის“ ქართული მწერლობის ტრადიციის ფუძეზე, პირველ რიგში რუსთაველის უნივერსალური გენიის რკალში.

აღორძინების ხანის ქართული მწერლობა დიდი დიაპაზონის ლიტერატურა იყო. თეიმურაზ I და ბესიკი, ერთი მხრით, არჩილი და სულხან-საბა ორბელიანი, მეორე მხრით, შემდეგ

განკერძობებით მდგომარე დავით გურამიშვილი, ეს ნამდვილი წინამორბედი ახალი მწერლობისა, რომლის რთული და მრავალხმოვანი შემოქმედება სცილდება თავისი ეპოქის ფარგლებს და ახალ საუკუნეს ეხმაურება, აგრეთვე აღორძინების ხანის მწერლობის სხვა სახელებიც, — საბოლოოდ რჩებიან ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უკვდავ მემკვიდრეობაში.

მე-18 და მე-19 საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა ეპოქალური ტეხილი ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

მე-19 საუკუნესთან ერთად დაიბადა „ახალი ქართლი“.

ახალ განსაცდელიან აწმყოში თანდათან ისახებოდა ახალი გზები, მომავლისაკენ მიმართული.

მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

ძველ საქართველოსთან ერთად, მე-19 საუკუნის მიჯნაზე, დასრულდა განვითარების ციკლი ძველი ქართული მწერლობისა, რომელიც ორგანული ნაყოფი იყო სულ სხვა საზოგადოებრივი გარემოსი.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ისახება და გზას იკვლევს ახალი ეპოქის შესაბამისი ახალი ქართული ლიტერატურა.

ეს ახალი ლიტერატურა ერთთავად არ წარმოქმნილა, იგი თანდათან დგინდებოდა და ვითარდებოდა, რადგან ეს არ იყო ჩვეულებრივი მონაცვლეობა ლიტერატურის პერიოდებისა, არამედ ძველსა და ახალს შუა აქ გასდევს ისტორიის ეპოქალური ზღვარი.



ქართული ლიტერატურა მე-19 საუკუნისა 1801 წლიდან მოკიდებული ვიდრე 1860-იან წლებამდე ორ პერიოდად განიყოფება:

პირველი პერიოდი: მწერლობა XIX საუკუნის დასაწყისისა, 1801 — 1825 წლები;

მეორე პერიოდი: მწერლობა XIX საუკუნის მეორე მეოთხედისა, 1825 — 1850-იანი წლები.

ეს დანაწილებაც არ არის უბრალო მექანიკური დაყოფა, არამედ უკავშირდება საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვან მოვლენებს.

პირველი პერიოდი — 1801 — 1825 წლები, ეს არის ხანა სახალხო აჯანყებათა, რომელიც მოჰყვა 1801 წლის აქტს, რომელთა შორის მთავარია სახალხო აჯანყებანი 1804 და 1812 წლებისა.

მეორე პერიოდი — 1825 — 1850-იანი წლები, ეს არის ხანა 1832 წლის შეთქმულებისა, ხანა ახალი პროგრესული მოძრაობისა, რომელიც იმავე იდეალებს ისახავდა მიზნად, რასაც დეკაბრისტების მოძრაობა რუსეთში და პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ამავე ეპოქისა. ეს მოძრაობა ჩაისახა 1825 წლის ახლო დროიდან, მასში უახლოეს მონაწილეობას ლეზულობდა ქართველ მწერალთა მთელი დასი, ხოლო შეთქმულების დამარცხების შემდეგ იდეალები 1832 წლის შეთქმულებისა არის წარმმართველი ძალა ქართული ლიტერატურისა 1850-იან წლებამდე.

ამ მეორე პერიოდის ქართველ მწერალთა დასს შეეფარება სახელწოდება „ოცდაათიანელი“ (ისევე როგორც მომდევნო პერიოდის ილია ჭავჭავაძის დიდ დასს „სამოციანელი“), რამდენადაც მეორე პერიოდის მწერლობა ორგანულად უკავშირდება 1832 წლის მოძრაობას. ამ დროსვე იშლება შემოქმედება ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ამ დროს შეიქმნა მთავარი ძეგლი ეპოქისა „ბედი ქართლისა“.



პირველი პერიოდი — 1801 — 1825 წლები.

პირველი პერიოდის ქართული მწერლობა თავისი საერთო სტილით, ლიტერატურული ფორმით, შინაარსით, საუკუნის პირველ ათეულ წლებში ჯერ კიდევ აგრძელებდა ძირითადში მე-18 საუკუნის ტრადიციებს; მაგრამ ქართული მწერლობის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი თავიდანვე, ახალი საუკუ-

ნის პირველი წლებიდანვე, ღირსეულად გამოეხმაურა ერის ტივილებს, ქვეყნის საპირბოროტო საკითხებს.

ცენტრალური ფიგურა მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის პირველი პერიოდისა არის ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ჩვენ აქ მოგვიხდება შეეჩერდეთ შემოქმედებაზე ალექსანდრე ჭავჭავაძისა, რომელიც არის ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი წინამორბედი. ალექსანდრე ჭავჭავაძემ ჭეშმარიტად ღირსეულად გახსნა კარი მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისა. ნიკოლოზ ბარათაშვილი ბევრით არის დავალებული თავის შემოქმედებაში უფროსი თანამედროვის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ჯერ კიდევ 19—20 წლის ჰაბუკი, მონაწილე იყო საქართველოს მთიულეთის 1804 წლის სახალხო აჯანყებისა. 28 წლის შემდეგ, 48 წლის ალექსანდრე ჭავჭავაძე ისევ არის მონაწილე ცარიზმის საწინააღმდეგო 1832 წლის შეთქმულებისაც.

პირველი სახალხო მოძრაობის, საქართველოს მთიულეთის 1804 წლის აჯანყების დროს ალექსანდრე ჭავჭავაძე თუმცა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როგორც მოვიხსენიეთ 19—20 წლისა, მაგრამ იგი დიდად განათლებული ადამიანია და თავისი დროისათვის მომზადებული პოლიტიკური მოღვაწე აღმოჩნდა. მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო არა უბრალო რიგითი წევრი 1804 წლის აჯანყებისა, არამედ აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა აჯანყების იდეების პროპაგანდისათვის.

ალექსანდრე იყო შვილი გარსევან ჭავჭავაძისა, ერეკლე II-ის და გიორგი XIII-ის სრულუფლებიანი ელჩისა რუსეთის იმპერატორის კარზე, რომელიც მეტწილად რუსეთში ცხოვრობდა. ალექსანდრე ჭავჭავაძემ განათლება მიიღო რუსეთში, კერძო პანსიონში (განათლება—ევროპული, ფრანგული; როგორც ცნობილია, რუსეთის მაღალ არისტოკრატიაში ამ ხანაში ფრანგული განათლება იყო მიღებული და ფრანგული ენა ფართო გავრცელებით სარგებლობდა). 1799 წელს ალექსანდრე რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდა და აქ იგი ისევ

განაგრძობს სწავლას, როგორც ქართულ სასწავლებელში (სადაც მას ასე ბრწყინვალედ შეუთვისებია კლასიკური ქართული მწერლობის ტრადიციები), ისე ოჯახში (მას თან ჩამოჰყვა რუსეთიდან ფრანგი მასწავლებელი).

აქ საჭიროა ამთავითვე მოვიხსენიოთ, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე ახალგაზრდობაშივე ახლო ყოფილა გაცნობილი მე-18 საუკუნის ფრანგი განმანათლებლების ლიტერატურულ მემკვიდრეობას და ახალგაზრდობიდანვე გულანთებული აღმსარებელი ყოფილა საფრანგეთის 1789 წლის დიდი რევოლუციის იდეალებისა. მაგრამ ამ საგანზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ.

1804 წელს საქართველოს მთიულეთის სახალხო მოძრაობას შეუერთდა და სათავეში ჩაუდგა ერეკლე II-ის ძე ფარნაოზ ბაგრატიონი (1772 — 1852).

1804 წლის იმავე სექტემბერს აჯანყებას უერთდება ალექსანდრე ჭავჭავაძე და იგი უახლოესი თანამოღვაწე ხდება ფარნაოზ ბაგრატიონისა.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ფარნაოზ ბაგრატიონი აგრეთვე დიდად განათლებული ადამიანი იყო, და როგორც ქვემოთ გამოირკვევა, ისიც მემარცხენე პროგრესული მიმართულების, ფრანგი განმანათლებლების მიმდევარი ყოფილა. ფარნაოზ ბაგრატიონს ეკუთვნის თარგმანი ფრანგულიდან ქართულად წიგნისა: „აზრნი ჟან-ჟაკ რუსოსიანი სხვადასხვა საგანთათვის“.

ფარნაოზ ბაგრატიონსა და ალექსანდრე ჭავჭავაძეს შორის ახლო მეგობრობა დამყარებულა. ალექსანდრე ჭავჭავაძე დიდად აფასებს ღვაწლს ფარნაოზ ბაგრატიონისა, როგორც აჯანყების ხელმძღვანელისა.

ერთ ლექსში, რომელიც საქართველოს მთიულეთშია დაწერილი 1804 წელს, ალექსანდრე ჭავჭავაძე ასე გვიხატავს თავის მეგობარს, აჯანყების შორს მჭვრეტსა და გამოცდილ წინამძღოლს:

მას სამი სახე ჰქონან უებრო,

გლახ მტერთა მისთა მომღრეკად ქედის;

გონება — შორს მხედ, გამოცლით ნაწერთი;

გული — უშიში, არ მპოვე ბედის¹;

¹ ვ. ი. რომელიც არ ეპუება ბედს.

მ კ ლ ა ვ ი — უძლევი, მებრძოლთა მძლევი,
მდიდრად მომხმარი ხრმლისა უქედის...“

(— „ხრმლისა უქედის“ — ე. ო. უბრალო მთიულური ხმლისა;
წინამძღოლაც ხალხთან ერთად იბრძვის ხალხის იარაღითო).

ალექსანდრე ჭავჭავაძე, როგორც ეს ჩანს მისი ერთი ლექსიდან, რომელიც 1804 წელს არის დაწერილი, მონაწილე იყო ერთ-ერთი ბრძოლისა საქართველოს მთიულეთში (ლომისის ბრძოლისა, როდესაც აჯანყებულმა მთიულეებმა დაამარცხეს ცარიზმის აგენტი, ფეოდალი შანშე ქსნის ერისთავი).

ასტყდა ომი საშინელი, ცემა სროლა აირია...

ცეცხლის გამო სიმძიმისა დამკარგავი ფრინავს ტყვია...

(ალ. ჭავჭავაძის 1804 წლის ლექსიდან).

უფრო გვიან, როდესაც საქართველოს მთიულეთის აჯანყება ჩაახშო ცარიზმის სატრაპმა ციციშვილმა, აჯანყების ხელმძღვანელი ფარნაოზ ბაგრატიონი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და მათი უახლოესი თანამოღვაწენი, რომლებიც ჩამოსულნი იყვნენ ფარულად ქვემო-ქართლში და უცხოეთში წასასვლელად ემზადებოდნენ, შეიპყრეს, ჩამოიყვანეს თბილისში და ციციშვილის განკარგულებით მოათავსეს საპყრობილეში.

საიდუმლო საგამომძიებლო საგანგებო კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პეტერბურგიდან მოვლენილნი ხელისუფალნი, საქართველოს მთიულეთის 1804 წლის აჯანყების ყველაზე საშიშ მეთაურებად იცნო სამი პირი: ფარნაოზ ბაგრატიონი, ფარნაოზის ძმა იულონი¹ და ალექსანდრე ჭავჭავაძე; ამ სამი პირის შესახებ ოფიციალურად აღნიშნულია, რომ ისინი არიან «главнейшие по в сему возмущению (смута в Грузии) преступники»²

ამრიგად, ალექსანდრე ჭავჭავაძის დანაშაული გათანასწორებულია ერეკლე II-ის ორი მემკვიდრის დანაშაულთან.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ თბილისში პატიმრობაში დაპყროწელიწადი და ერთი თვე, რის შემდეგაც იგი საქართველოდან გადაასახლეს.

¹ იულონი შეიპყრეს უფრო ადრე, ვიდრე იგი ფაქტიურ მონაწილეობას მიიღებდა მთიულეთის აჯანყებულთა ბრძოლებში.

² იხ. Акты собранные Кавк. Археографической Комиссией, т. III.

ალექსანდრე ჭავჭავაძე, როგორც ირკვევა, იყო მთავარი იდეური ხელმძღვანელი 1804 წლის აჯანყებისა, ფარნაოზ ბაგრატიონთან ერთად.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს პროპაგანდა 1804 წლის მოძრაობის იდეებისა განუგრძენია ტყვეობის დროსაც.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ერთ წელზე მეტ ხანს პატიმრობის დროს, დაწერა მთელი ციკლი ლექსებისა საქართველოზე, რომელთაც ქვემოთ ვეხებით. ამასთან ალექსანდრეს არაღლეალური კავშირი დაუმყარებია თანამოაზრეებთან საპყრობილეს გარეთ; მათი საშუალებით ეს ლექსები ფართოდ გავრცელებულა საქართველოში, მათ მღეროდნენ კიდევ.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს, თანამოაზრეთა საშუალებით, კავშირი დაუმყარებია ოჯახთანაც და ტყვეობის პირველ თვესვე სახლიდან საპყრობილეში არაღლეალურად მიუღია ფრანგული დედანი რევოლუციური შინაარსის თხზულებისა: „ახლოით განჩხრეკილი კაცი“.

ეს რევოლუციური თხზულება ალექსანდრეს უთარგმნია ფრანგულიდან ქართულად საპყრობილეში; თარგმანი დაუმთავრებია დეკემბრის დასაწყისში 1804 წლისა.

თარგმანი მიძღვნილია ალექსანდრესთან ერთად ტყვეობაში მყოფ 1804 წლის აჯანყების მეთაურის ფარნაოზ ბაგრატიონისადმი.

წერილ-მიძღვნაში ალექსანდრე მიმართავს ფარნაოზ ბაგრატიონს, როგორც თანამოაზრეს; მიძღვნაში საგანგებოდ ხაზგასმულია, რომ ამ რევოლუციურ თხზულებაში გაღმოცემულია „ბრძნულნი და ჭეშმარიტნი აზრნი“.

გავეცნოთ ამის შემდეგ, თუ რა შინაარსისაა ეს თხზულება.

ამის შესახებ წარმოდგენას მოგვცემს ქვემოთ მოყვანილი ტექსტები ამ თხზულებიდან:

„ასთა ტირანთა განუნაწილებიესთ კაცთა ნათესავნი და შეკრებენ ურვიცხეთა მონათა...“

„ხელმწიფენი განელენ საზღვართა მათ, რომელნი ავითვე დაუღვიესთ — ქვეშევრდომთა თვისთა ზედა ბოროტებათათვის. მათ არა უწყიან სხვა რაიმე სჯული, თვინიერ ძალისა.“

„ზოგადად ჰხოცენ კაცთა მხოლოდ ერთისა ბარბაროსისა კაცისა საამებელად... ზოგადად ჰყრიან ხალხთა... ზოგადად ჰრეკენ მათ აღსაოხრებ-

ლად, ანუ დასაქცევად, ანუ დასაპყრობელად ვიეთთამე ნაწილთა ქვეყანისათა...

„პოი საკუთრებაო, უბედურო წყაროთ კაცთა შეძრწუნებისაო.. მდიდარი მკდომარე საშუალ ღარიბთა, რომელთა არს შეურაცხყოფელ...“

(ამილდარმან) დაფარა გვაში თვისი პრელთა სამოსელთა ქვეშე, დაიდგა ტვირთად ოქრონი და ძვირფასნი თვალნი და სთქვა ამპარტავნებით: „მიწა ესე ჩემი არს, მე განვაგდებ ყოველსა კაცსა, რომელსა არა ეწინების საკმაო ძალი... დავსდებ მათ ჯაჭვსა რკინისასა და იძულებულ ვყოფ იმუშაონ სიამოვნეთა ჩემთა კმა საყოფელად...“

ამრიგად, ამ თხზულებაში — ა ს ი ხ ე ლ მ წ ი ფ ე, რომელთაც ურთიერთ შორის გაუნაწილებიან ბატონობა კაცობრიობაზე ა ს ი ტ ი რ ა ნ ი ს სახელით არის მონათლული. არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ თვით ეს უცხოური სიტყვა ტ ი რ ა ნ ი იმდენად გავრცელებული და მიღებული ყოფილა ქართულ რადიკალურ წრეებში, რომ აღ. ჭავჭავაძე მას აღარ თარგმნის (მტარვალი), არამედ შემოაქვს და პირველად ამკვიდრებს ამ უცხოურ სიტყვას („ტირანი“) ქართულ ლიტერატურაში.

ვინ არის ავტორი ამ თხზულებისა «ახლოთ განჩხრეკილი კაცია»? იგი ფრანგულ დედანში ხელმოწერილი ყოფილა ფსევდონიმით: „პყრობილი“ (=ტუსალი). ფრანგ მწერალს ფართოდ უსარგებლია ჟან-ჟაკ რუსოს ნაწერებით. აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ არა მხოლოდ ალექსანდრე ჭავჭავაძეს გადმოუღია ეს რუსოისტული თხზულება, არამედ, როგორც მოხსენებული გვქონდა, მის ადრესატს ფარნაოზ ბაგრატიონს აგრეთვე გადმოღებული აქვს ფრანგულიდან ქართულად თხზულება „აზრნი ჟან ჟაკ რუსოსიანი სხვადასხვა საგანთათვის“. ამრიგად, როგორც ვხედავთ, აქედანაც აშკარა ხდება, თუ რაოდენად ახლო იყო 1804 წლის აჯანყების ორივე ხელმძღვანელისათვის ამ თხზულებაში გამოთქმულნი, როგორც აღ. ჭავჭავაძე ამბობს — „ბრძნულნი და ჭეშმარიტნი აზრნი“.

აქ საჭიროა შემდეგიც აღინიშნოს. როგორც მოვიხსენეთ, ფრანგული თხზულება მოწერილი ყოფილა ფსევდონიმით „პყრობილი“ (=ტუსალი). ხოლო ალექსანდრე ჭავჭავაძე, როდესაც ამ თხზულებას თარგმნიდა, ხომ თვითაც პყრობილი (ტუსალი) იყო. ეს დამთხვევა გამხდარა საბაბი, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ამის შემდეგ თვითონაც მიუღია იგივე ფსევდო-

ნიმი „პურობილი“. ყველა მისი ლექსები, რომლებიც დაწერილია 1804 წლის დეკემბრიდან (ე. ი. ფრანგული თხზულების თარგმნის შემდეგ) — 1806 წლამდე, ვიდრე იგი ტუსალად იყო (ჯერ თბილისში, შემდეგ—ტამბოვში), მოწერილია ფსევდონიმით „პურობილი“.

ისევე, როგორც ეს მიღებული იყო ქართულ პოეზიაში მე-18 საუკუნისა და მე-19 საუკუნის დასაწყისისა, ფსევდონიმი პოეტისა „პურობილი“ შეტანილია თვით ლექსის ტექსტში, ლექსის უკანასკნელ სტროფში.

* * *

გადავდივართ ამის შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძის ორიგინალურ ლექსზე ტირანთა წინააღმდეგ („ვაჰ, სოფელსა ამას“...).

ეს ლექსი ერთ-ერთი უდიადესი ძეგლია მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული პოეზიისა.

ისტორია ამ ლექსისა ასეთია:

ალექსანდრე ჭავჭავაძეს, როდესაც დაუმთავრებია თარგმანი ფრანგულიდან „პურობილის“ ზემოთგანხილული შრომისა „ახლოთ განჩხრეკილი კაცი“, განუზრახავს დაეწერა ახალი ლექსი ტირანთა წინააღმდეგ, რომელშიაც სრულად გაშლილი იქნებოდა მისი პოლიტიკური მრწამსი.

პირველი ჩანაფიქრი (ზოგადი მონახაზი თემისა) ალექსანდრე ჭავჭავაძეს მიუწერია ბოლოსიტყვის სახით მის მიერ ფრანგულიდან თარგმნილი „პურობილისა“ შრომის («ახლოთ განჩხრეკილი კაცის») ხელნაწერის ბოლოს. აქ ჩვენ ვკითხულობთ:

პურობილის შრომა ვნახე პურობილმან[•]

ამდ შევიქმენ მხიარულადა:

• (პირველი პურობილი არის დამწერი შრომისა „ახლოთ განჩხრეკილი კაცი“; მეორე პურობილი — თვით ალ. ჭავჭავაძეა).

პაზრი სჯობს თხზვათა მისგან ნათქვამთა

ყოვლიდ წყვედიადებს^{••} დაფარულადა;

•• („ყოვლიდ წყვედიადებს“, ე. ი. „ყოვლიდ ბნელებს“, = ტირანთა „ყოვლიდ ბნელ“ აზრებს).

მსურს განმარტება, კირთა მატება,

რათგან მისგან ვართ გამამხულადა^{•••},

••• („მისგან — ე. ი. „ყოვლიდ წყვედიადისაგან“, „ბნელებთ-საგან“).

საკვდავ წყლულადა, ისარ სმულადა,
მზისა ხედვისგან შორებულადა
დღეებბრას მ, წელსა 1804,
ქალაქსა ტფილისს.

ამრიგად, ამ პირველ ჩანაფიქრში, რომელიც ზუსტად არის დათარიღებული, ალექსანდრე ჭავჭავაძე გვაუწყებს, რომ მას განუზრახავს თავს იღვას ახალი შრომა¹, დაწეროს ახალი ლექსი ტირანთა წინააღმდეგ, როგორც განვრცობა და გაღრმავება (= «გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა») იმ აზრთა, რომელიც წარმოდგენილიაო „პირველი პერობილის“ შრომაში („ახლოით განჩხრეკილი კაცი“); ჩვენ „ყოვლად წყვდიადისაგან“, ყოვლად ბნელი ტირანისაგან, ვართო „მზისა ხედვისაგან შორებულადა“ (მოშორებულნი), „საკვდავ წყლულადა, ისარ სმულადა“.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეს ჩანაფიქრი განუხორციელებია თავის ახალ ლექსში ტირანთა წინააღმდეგ — „ვაჰ, სოფელსა ამას...“ (აღვნიშნავთ ამასთან, რომ პირველი ფრაზა ამ ლექსისა ეხმაურება რუსთაველის ცნობილ ტაეპს).

გავეცნოთ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ქართული პოლიტიკური პოეზიის ამ დიად ძეგლს:

[ტირანთა წინააღმდეგ]

ლ ე ქ ს ი პ ე რ ბ ი ლ ი ს ა

- 1 ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,
ბოროტებისა და სიცრუვის ჭურთა,
კეთილმოყვარების დათრგუნვის მსურთა,
უსაფუძვლოთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხევეით.
- 2 აქ აქებენ ძვირსა მზაკვარნი სულნი,
სძრახვენ კეთილ-მოქმედთ შურით შემკულნი,
ზოგადნი არიან გამდიდრებულნი,
განა რითა, ძმანო?
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხევეით.
- 3 სამეფონი ურთიერთსა მქვევლობენ,
შეუწყალოდ, მხეცებრ კაცთა მკვლელობენ,

¹ „პირთა მატება“ — ახალი შრომის თავდებას ნიშნავს (= „პირ-ნახული“).

მდიდრდებიან, რომელიცა მძლეულობენ,
და ყვავილოვნებენ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვევით.

6 ხელმწიფენი, რომელთ სევსაც ვეშურეთ,
იან მოცულნი უმრავლესითა ურვით,
ფიქრ-მრავლობენ განდიდებისა სურვით,
ატარებენ ეამთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვევით.

7 მოხელენი, მათ გარეშე მღვომელნი,
ძმათა თვისთა შურ-მტერობის მღომელნი,
ჰკლვენ ერთმანეთს, ნაძარცვთ გამომჩომელნი,
და შეექცევიან
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვევით.

8 რომელი ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და სთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორობას
არ მარადის იშვით
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვევით!
[თბილისი, საპყრობილე, 1804 წ., დეკემბერი].

ეს ლექსი, რომელიც 1804 წელს დაიწერა, 1804 წლის აჯანყების ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელის მიერ, განათებულია საფრანგეთის 1789 წლის დიდი რევოლუციის იდეებით.

თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა, რომლისაკენ მოუწოდებს ეს ლექსი ბოლო დამამთავრებელ სტროფში, არის საფრანგეთის რევოლუციის მიერ აღიარებული მცნებათა-მცნება. ტირანთა დამხობა, თანასწორობა, თავისუფლება, აი, რას ქადაგებს XIX საუკუნის დასაწყისის ქართული სამოქალაქო პოეზიის ეს დიადი ძეგლი.

ირკვევა, ამრიგად, უადრესად მრავალმნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი, რომ 1804 წლის სახალხო მოძრაობის მეტაურნი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ავტორი ამ რევოლუციური ლექსისა ტირანთა წინააღმდეგ, ასევე წინამძღოლი აჯანყებისა ფარნაოზ ბაგრატიონი, რომელიც იზიარებდა იმავე „ქეშმარიტსა და ბრძნულ აზრებს“, რომელიც გამოთქმულია რევოლუციური სულით აღბეჭდილ რუსოისტულ თხზულებაში „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ (ამას გარდა, როგორც აღვნიშ-

ნეთ, იგი თვითაც არის გადმომღები ფრანგულიდან ქართულად წიგნისა „აზრნი ჟან-ჟაკ რუსოსიანი სხვადასხვა საგანთათვის“), შთაგონებული არიან 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის მაღალი იდეებით, ზიარებულნი არიან საფრანგეთის დიდ განმანათლებელთა პროგრესულ, ჰუმანისტურ იდეალებს.

ჩვენ დაგვრჩენია აღვნიშნოთ ამასთან, რომ ალექსანდრე ჰავჭავაძის ეს ლექსი, რომელიც მან ტყვეობაში დაწერა 1804 წელს, გასცდა საპრობილის კედლებს, და ისევე როგორც ტყვეობაში დაწერილი სხვა მისი ლექსები („პრობილის“ სახელით მოწერილი) ხელნაწერად ვრცელდებოდა. ამ გზით, გადმონაწერის სახით, იგი შემდეგ მოხვედრილა ალექსანდრე ჰავჭავაძის თხზულებათა დიდ ხელნაწერ კრებულშიაც, რომელიც დაამზადა მწიგნობრობის ცნობილმა მოღვაწემ დავით რექტორმა 1822 წელს.

ალექსანდრე ჰავჭავაძის ამ ლექსს ტირანთა წინააღმდეგ ხელნაწერთა სახით იცნობს აგრეთვე მეორე თაობა ქართველი მწერლებისა — ოცდაათიანელნი. გაცნობილია მას აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ჩვენ უკვე გვქონდა დადგენილი ზემოთ (II თავში: „პოეტი და მეფე-ტირანი“), რომ ნ. ბარათაშვილს ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, რომელიც 1837 წელს დაიწერა, მეფე-ტირანის სახით წარმოდგენილი ჰყავს იმპერატორი ნიკოლოზ I, — „ბოროტი მეფე“, „მეფე მებრძოლე“, „თვის დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე“, რომელიც „შფოთავს, დრტვინავს და იტყვის: „როდის იქნება ის სამეფოცა ჩვენი იყოს...“ პოეტი ამ მეფე-ტირანს, ქვეყანათა მიმტაცებელს, დამიწებას უსურვებს („და აღიძვრიან იმავე მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან“).

ნ. ბარათაშვილის ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ ეხმაურება ალექსანდრე ჰავჭავაძის ლექსს ტირანთა წინააღმდეგ არა მხოლოდ საერთო სულით, არამედ თვით ტირანის სახის წარმოდგენის დროს ჩვენ გვაქვს შეხვედრა ზოგიერთ ნიშანდობლივ ხაზებში.

ალექსანდრე ჰავჭავაძის ლექსს ტირანთა წინააღმდეგ გაც-

ნობილია აგრეთვე მესამე თაობის მწერლები — სამოციანელი, — ასევე ხელნაწერთა სახით. ლექსის დაბეჭდვა მოხერხდა მხოლოდ 1871 წელს. იგი პირველად დაბეჭდა ილია ჭავჭავაძემ ნიკო ნიკოლაძის „კრებულში“, 1871 წლის პირველ წიგნში. — ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ ეხება XIX საუკუნის ქართული სამოქალაქო პოეზიის ამ პირველ ძეგლს თავის ცნობილ წერილებში მე-19 საუკუნის ლიტერატურაზე.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ აგრეთვე შემდეგს უაღრესად მნიშვნელოვანს ისტორიულ ფაქტს.

ის გარემოება, რომ 1804 წლის აჯანყების მეთაური — ალექსანდრე ჭავჭავაძე და ფარნაოზ ბაგრატიონი თავის მსოფლმხედველობით საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეალების მიმდევარნი არიან, მოულოდნელს არას შეიცავს. საქართველო მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა, ერეკლე II-ის ხანისა და მე-19 საუკუნის დასაწყისისა, სრულიად არ წარმოადგენდა ჩამორჩენილ აღმოსავლურ ქვეყანას. საქართველო ამ ეპოქისა თუმცა აღმოსავლეთის ქვეყნებით არის გარშემორტყმული, მაგრამ თავისი ცივილიზაციის სათავეებით თავიდანვე დაკავშირებული იყო დასავლეთთან და მე-18 საუკუნის რთულ ისტორიულ ვითარებაშიაც საქართველო ახერხებდა ზიარებოდა ევროპის კულტურას. სწორედ ეს ახლო კულტურული კავშირი დასავლეთთან იყო მიზეზი, რომ საქართველო თავიდანვე მტკიცედ ადგა და ბოლომდე დარჩა ერთგული პროდასავლური ევროპეისტური პოლიტიკური ორიენტაციისა.

ერეკლე II-ის ხანაში (მე-18 საუკუნის ბოლო მეოთხედში) და მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოში ფართო გამოხმაურება ჰქონდა საფრანგეთის დიდ განმანათლებელთა — ვოლტერის, რუსოს, მონტესკიეს, ენციკლოპედისტების პროგრესულ იდეალებს. ცნობილია, რომ მე-18—19 საუკუნეთა საზღვარზე საქართველოში ფართო გავრცელება ჰქონდა ვოლტერიანობას. ვოლტერიანელთა წრეს ეკუთვნოდა თვით საქართველოს ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი, შემდეგ ცნობილი ქართველი ისტორიკოსი. დავით ბატონიშვილსვე ეკუთვნის, კერძოდ, თარგმანი ქართულად მონტესკიეს ეპოქალური შრომისა „კანონთა ბუნებისათვის“.

აქ ჩვენ ცალკე უნდა მოვიხსენოთ სახელოვანი ქართველი

ენციკლოპედისტი და მწერალი იოანე ბაგრატიონი (1772 — 1839). ისიც ქართველ მოღვაწეთა პროგრესულ დასს ეკუთვნის, იგი იყო დიდი ფრანგი განმანათლებლების, ენციკლოპედისტების მოწაფე. მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში იოანე ბაგრატიონს დიდი ღვაწლი მიუძღვის. ისევე როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძემ პირველმა გახსნა ახალი ქართული პოეზიის კარები, ასევე იოანე ბაგრატიონს ეკუთვნის მე-19 საუკუნის ახალი ქართული პროზის მნიშვნელოვანი ძეგლი „კალნასობა“, უაღრესად თავისებური ნაწარმოები, სადაც მხატვრული მოთხრობა გამოყენებულია როგორც ერთგვარი ჩარჩო პირველი ქართული ენციკლოპედიისა. იწერებოდა ეს მხატვრული ნაწარმოები, სადაც ასახულია საქართველოს წარსული და თანამედროვეობა, ხოლო ამის გვერდით დიდი მეცნიერული შრომა ენციკლოპედიური სახისა, 1813—1828 წლებში.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ იყო აღნიშნული, ნათელი ხდება, რომ მე-19 საუკუნის ახალი ქართული სამოქალაქო პოეზია, რომლის ფუძემდებელია ალექსანდრე ჭავჭავაძე, შემზადებული იყო ქართულ ნიადაგზე, ეს სამოქალაქო პოეზია ორგანული ნაწილია ახალი ქართული ეროვნული მწერლობის განვითარებისა.

აქ აღსანიშნავია ისიც, რომ მას შემდეგ, რაც საქართველო მე-19 საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიის ფარგლებში შევიდა, ქართული პოეზია ეხმაურებოდა ყოველ პროგრესულს, რაც იყო რუსეთის დიდ ლიტერატურაში, და აგრეთვე რუსეთის იმპერიის მეორე დიდ ლიტერატურაში — პოლონურში. ამდენად შემთხვევითი არ იყო, რომ ქართველმა პოეტმა — ახალგაზრდა გრიგოლ ორბელიანმა დაწერა „აღსარება გივი ამილახვარისა“, რომელიც გადმოღებულია კ. რილეევის ლექსიდან (Наливайко). რილეევის ლექსს გრიგოლ ორბელიანმა ახალი სახეობა — ქართული ელფერი მისცა, რათა ქართველი მკითხველისათვის იგი ახლო ყოფილიყო. ასევე ამავე დროსვე სოლომონ რაზმაძე თარგმნის მიცკევიჩს. გრიგოლ ორბელიანი და სოლომონ რაზმაძე ეკუთვნიან ქართველ მწერალთა იმ დასს, რომლებიც ამზადებდნენ 1832 წლის შეთქმულებას.

რუსი დეკაბრისტების გვერდით უნდა მოვიხსენოთ აქ ახალ-

გაზრდა პუშკინი, რომელმაც მე-19 საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს ხმა შეუერთა შეთქმულ დეკაბრისტებს. 1817 წელს პუშკინმა დაწერა ოდა „Вольность“. ჩაადაევისადმი მიძღვნილ 1818 წელს დაწერილ ლექსში პუშკინი წერდა:

Товарищ, верь, взойдет она,
Звезда пленительного счастья
И на обломках самовластья
Напишут наши имена.

ხოლო უფრო გვიან, 1836 წელს, ლექსში «Памятник», პუშკინი მიმოიხილავდა რა მთელ თავის პოეტურ შრომას, თავის უდიდეს დამსახურებად ხალხის წინაშე იმას სთვლიდა, მან უმღერა თავისუფლებას:

И долго буду тем любезен я народу,
Что чувства добрые я лирой пробуждал,
Что в мой жестокий век восславил я свободу..»

აი ამ დიად დასთან, დიდი რუსული და დიდი პოლონური პოეზიის წარმომადგენლებთან, რომელნიც უმღეროდნენ თავისუფლებას და ილაშქრებდნენ ტირანიის წინააღმდეგ, დგას ქართული პოეზიის წარმომადგენელი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელმაც ახალი საუკუნის კარებთან, მე-19 საუკუნის პირველ წლებში, ლექსში — ტირანთა წინააღმდეგ (1804 წ.), ასევე სრული ხმით უმღერა თავისუფლებას.

* * *

გავეცნოთ ამის შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების ციკლს: ლექსები საქართველოზედ.

ალექსანდრე ჭავჭავაძე, როგორც აღნიშნული გვექონდა, ორგზის იყო მონაწილე ცარიზმის საწინააღმდეგო მოძრაობისა: პირველად, 1804 წელს, ალექსანდრე ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჭაბუკი, არის ერთ-ერთი ხელმძღვანელი საქართველოს მთიულეთის აჯანყებისა; 28 წლის შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძე ისევ მონაწილეა ცარიზმის საწინააღმდეგო 1832 წლის შეთქმულებისა.

ორჯერვე ალექსანდრე ჭავჭავაძემ ტყვეობა განიცადა, ხანგრძლივად დაპატიმრებული იყო თბილისში, რის შემდეგაც საქართველოდან გადაასახლეს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ჩვენ გვაქვს ვრცელი ციკლი ლექსებისა საქართველოზედ. რა დროს ეკუთვნის ეს ლექსები?

დასახელებული ლექსები პოეტის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, იგი ხელნაწერად ვრცელდებოდა საზოგადოებაში და, როგორც ირკვევა, დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მას როგორც მოვიხსენეთ, მღეროდნენ კიდევ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ ლექსებიდან ერთი დაიბეჭდა პოეტის გარდაცვალების შემდეგ 1846 წელს (დ. ჩუბინაშვილის ქრესტომატიისაში), დანარჩენი დაიბეჭდა 1871—1877 წლებში (ნიკო ნიკოლაძის „კრებულში“, ილიას „ივერიაში“) და 1881 წლის გამოცემაში.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს ამ პირველ ნაბეჭდებში თარიღი არა აქვს მოწერილი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსების გამო ქართულ მწერლობაში გვიან ხანაში ის აზრი დამკვიდრდა, რომ ეს ლექსები 1832 წლის შეთქმულების დროს ეკუთვნის.

საკითხს სრულიად ახალი შუქი მოეფინა მას შემდეგ, რაც პოეტმა ი. გრიშაშვილმა 1940 წელს გამოაქვეყნა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა, რომელიც ბრწყინვალედ არის შესრულებული. კერძოდ ი. გრიშაშვილმა აღმოაჩინა ალ. ჭავჭავაძის ავტოგრაფები, რომელთა მიხედვით შესაძლო ხდება ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებათა თარიღების დადგენა-დაზუსტება.

ი. გრიშაშვილმა პირველმა დაადგინა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოთხი ლექსი საქართველოზედ ეკუთვნის არა 1832 წლის შეთქმულების ხანას, როგორც მანამდე ფიქრობდნენ, არამედ 1804 წლის აჯანყების ხანას.

ამჟამად, ყველა არსებული მასალების შემდგომი გაღრმავებული შესწავლის შედეგად, შესაძლო გახდა იმისი დადგენა, რომ 1804 წლის აჯანყების ხანას ეკუთვნის არა მხოლოდ ეს 4 ლექსი, არამედ 12 ლექსი, რომლებიც ორ ჯგუფად განიყოფება. ეს ჯგუფები შემდეგია:

I ჯგუფი

ორი ლექსი, დაწერილი საქართველოს მთიულეთში

1804 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, აჯანყების დამარცხებამდე.

1. პირველი ლექსი მიძღვნილია აჯანყების წინამძღოლისადმი¹.
2. მეორე ლექსი არის გამოძახილი ლომისის ბრძოლისა.
ამ ლექსების შესახებ ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი ზემოთ, გვ. 101—102.

II ჯგუფი

ლექსები საქართველოზედ

თქმული პატიმრობასა და გადასახლებაში

1804 წლის ოქტომბრიდან — 1806 წლის დასასრულამდე

ეს მეორე ჯგუფი შეიცავს ერთს მთლიან ციკლს, 10 ლექსს. მოგვყავს მათი ნუსხა, ქრონოლოგიური თანრიგის დაცვით:

1. ვსპერეტ პატიმრად სამშობლოს
(დასაწყისი: „ვისაც გსურს ჩემთა ამბავთა სმენა“)
თბილისი, საპრობილე, 1804 წ. [ოქტომბერ-ნოემბერი]
(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 34)
2. როს სამკვიდრო დავკარგეთ
(დასაწყისი: „ვისაც გსურს ჩემთა ამბავთა სმენა“)
თბილისი, საპრობილე, 1804 წ. [ოქტომბერ-ნოემბერი]
(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 67).
3. ბედმწირნი
(დასაწყისი: „ოჰ, ვით გვემტყუნეა სოფლის ბრუნეა“)
თბილისი, საპრობილე, 1804 წ. [ოქტომბერ-ნოემბერი]
(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 25).
4. როს ვიქადოდით ბრძოლით
(დასაწყისი: „ოჰ, წარმავალნო...“)
თბილისი, საპრობილე, 1804 წ. [ოქტომბერ-ნოემბერი]
(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 32)
5. მე იგივე ვარ მარად
(დასაწყისი: „ვაჰ, დრონი...“)
თბილისი, საპრობილე, 1804/5 წ. [1804 წლის 8 დეკემბრის შემდეგ]
ბოლო სტროფში აღნიშნულია ავტორის ფსევდონიმი: „პ ყ რ ბ ი ლ ი“
(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 4)

¹ ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 59.

² ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 58.

6. პერობილისაგან თანაპერობილთა მიმართ
(დასაწყისი: „ჰვენეს გული, ძმანო“)
თბილისი, საპერობილე, 1805 წ. [ოქტომბერ-ნოემბერი]
ბოლო სტროფში აღნიშნულია ავტორის ფსევდონიმი: „პერობილი“
(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 60).

7. აწ ვესალმოდე მიწა-წყალსა
(დასაწყისი: „მსურდა ოხვრა ჩემი მღუშარს შეერძალა“)
თბილისი, საპერობილე, 1805 წ., ნოემბერი (უცხოეთში გადასახლებების
წინ)
სიმღერის ხმა: „რასტის გუშა“ (=კილო გლოვისა)
ბოლო სტროფში აღნიშნულია ავტორის ფსევდონიმი: „პერობილი“.
(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 56)

8. აღვილსა უცხოსა
(დასაწყისი: „რა პყოს, გლახ, გულმან“)
ტამბოვი, საპერობილე, 1806 წ. იანვარი.
ბოლო სტროფში აღნიშნულია ავტორის ფსევდონიმი: „პერობილი“.
(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 121)

9. დაუხვალმან დაშქროლა ქარმან
(დასაწყისი: „ვაპ, სუსტსა სენით“)
ტამბოვი, 1806 წ.
(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 47)

10. მნათობნი ტფილისისა დაზარულნი
(დასაწყისი: „უწყალო სენმან...“)
პეტერბურგი, 1806 წ.
(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 17)

ალექსანდრე ჰავკავაძის ლექსთა ამ სიის გამო აქ საჭიროა შემდეგი
აღნიშნოთ:

1. ლექსთა თარიღები. მიუხედავად ძირითად მაჩვენებლებს:
პირველი ოთხი ლექსი (1, 2, 3, 4) დაწერილია თბილისის საპერობი-
ლეში, ავტორის ტყვეობის პირველ პერიოდში (1804 წ. ოქტომბერ-ნოემ-
ბერი), უფრო ადრე, ვიდრე ავტორი მიიღებდა ფსევდონიმს „პერობილი“,
ე. ი. არა უგვიანეს 1804 წლის დასაწყისისა (იხ. ზემოთ, გვ. 92—93).

შემდეგი სამი ლექსი (5, 6, 7), რომელთა ბოლო სტროფში აღნიშნულია
პოეტის ფსევდონიმი „პერობილი“, დაწერილია 1804 წლის დეკემბრიდან —
1805 წლის ნოემბრამდე, ვიდრე პოეტს საქართველოდან გადასახლებდნენ.

მე-8 ლექსი („აღვილსა უცხოსა“), რომელიც ასევე მოწერილია ფსევ-
დონიმით „პერობილი“ დაწერილია ტამბოვის საპერობილეში (1806 წლის
დასაწყისში).

მე-9 ლექსი დაწერილია გადასახლებაში ყოფნის დროს ტამბოვში
(1806 წლის მეორე ნახევარი), მე-10 ლექსი — 1806 წლის ბოლოს (რო-
დეცა გადასახლებაში მყოფი პოეტი ტამბოვიდან ჩავიდა პეტერბურგში).

2. ლექსთა სათაურები.

ალექსანდრე ჰავკავაძის ჩამოთვლილი ათი ლექსიდან ერთი (მე-6 ლექსი).

სი) ატარებს სათაურს: „პყრობილისაგან თანაპყრობილთა მიმართ“. დანარჩენი ცხრა ლექსი (ისევე როგორსაც საერთოდ დიდი ნაწილი ლექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებისა) უსათაუროა; სათაურის ნაცვლად ჩამოთვლილ ლექსებს თავში მოწერილი აქვს, თუ რა „ხმაზე“ იმღერება თითოეული მათგანი.

ამ უსათაურო ლექსების პირობით სათაურად მიღებული გვაქვს თვით ლექსიდან აღებული ნიშანდობლივი ტექსტი (ფრაზა ან სიტყვა), რომლებშიც აღბეჭდილია ლექსის ლეიტმოტივი.

ყოველი ლექსის სათაურს შემდეგ მოყვანილი გვაქვს აგრეთვე ლექსის დასაწყისი.

ეს ლექსები ყველა გამოცემებში (მათ შორის ი. გრაშიშვილის გამოცემაში) იბეჭდებოდა ერთმანეთისაგან დაცილებით, თითო-თითოდ არის გაბნეული კრებულების სხვადასხვა ადგილას¹.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავაზუსტეთ ქრონოლოგია და ამგზით აღვადგინეთ ეს დიდი ციკლი ლექსებისა თავის მთლიანობაში, მათი თავდაპირველი თანამიმდევრობით, ქრონოლოგიურის თანრიგით, გამოჩნდა მთელი სიდიადე ლექსთა ამ კრებულისა. აქ ჩვენ გვაქვს არა ცალკეული სიმღერები, არამედ ლექსთა ერთი დიდი მთლიანი სიმფონია. ეს ლექსები, მთლიანობაში აღებული, ერთი მეორეს აძლიერებენ, ყოველი ახალი ლექსი აგრძელებს და ავსებს მეორეს. შთაგონებულია ლექსთა ეს ციკლი, რომელიც პატიმრობასა და გადასახლებაში არის დაწერილი 1804 — 1806 წლებში, ერთი სულით, — გმირული პატრიოტიზმით. როგორც აღნიშნული გვქონდა, თვით პოეტს ფსევდონიმად აუღია „პყრობილი“ (პატიმარი, ტუსაღი). ლექსთა ამ ციკლის სახით ჩვენ გვაქვს „პყრობილის რვეული“.

პირველ ლექსში პატიმრობაში მყოფი პოეტი გადმოგვცემს, რომ მისი სამშობლო (რომელსაც მგოსანი სატრფოს სახით წარმოგვიდგენს) — თვით არის პატიმარი:

მას ვჰკრეტ პატიმრად, ვის მონებს გული,

მისთვის, გლახ, განწირული

მაქვს მწუხარება ზედა-ზედ რთული,

მარად მეახლვის წყლული

¹ ი. გრიშაშვილის გამოცემაში (1881 წლის გამოცემის მიღვენებით) ეს ლექსები პირველიდან — მეათემდე დაბეჭდილია ერთმანეთისაგან დაცილებით, შემდეგს გვერდებზე: 1 ლექსი — გვ. 34; 2 — გვ. 67; 3 — გვ. 25; 4 — გვ. 32; 5 — გვ. 4; 6 — გვ. 60; 7 — გვ. 56; 8 — გვ. 121; 9 — გვ. 47; 10 — გვ. 17 (იხ. ზემოთ მოყვანილი სია).

„პერობილის“ ამ ლექსს შემდეგ გამოეხმაურება დიდი აკაკი, რომელიც ასევე წარმოგვიდგენს სამშობლოს, როგორც ტყვეობაში მყოფს ნესტან-დარეჯანს, რომლის გამოსახსნელად მოუხმობს ტარიელსა და მის ძმად-ნაფიცებს.

სხვა ლექსში (მე-5) პერობილი მგოსანი, მარად ერთგული სამშობლო-სატრფოსი, მოუწოდებს ფარად სამშობლოს განთავისუფლების იმედს.

მოვშორდი მოყვასს, ძალს ცხოვრებისას,
არ გიკვირსთ მხედავთ კვლავცა სულმდგარად?

მე იგივე ვარ მარად და მარად.

გლახ, ბედისაგან ესრეთ დასჯილი,
იმედოვნებას; ვუწოდებ ფარად,

მე იგივე ვარ მარად და მარად.

მე ერთმან ერთგვის ერთს ვუძღვენთ თავი,
მასვე ვმონებდე მტკიცედ და მყარად,

მე იგივე ვარ მარად და მარად.

ჰსაჯეთ: პერობილმან უწყისა ტრფობა?

საცა გინდ ვიყო, მასთან ვარ მარად,

...არ ვსდევ ჟამთა ცვლას,

მე იგივე ვარ მარად და მარად.

ეს ლექსი სასიმღეროდ იქცა.

ამ ლექსსაც ეხმაურება აკაკი.

შვიდი თვის პატიმრობის შემდეგ, იმპერატორის ბრძანებით, ალექსანდრე ჰავკავაძეს გადასახლება მიუსაჯეს (1805 წლის აპრილში), მაგრამ ამის შემდეგაც ალექსანდრე ჰავკავაძე კიდევ ექვსი თვე იმყოფება თბილისის საპერობილეში. ტყვეს ელის ზამთრის პირად ძნელი მგზავრობა, კავკასიონზე გადავლით. მაგრამ არ აშინებს მას არც ძნელი გზა, არც ის, რომ პერობილია. მას სწამს სამშობლოს მომავალი განთავისუფლება, რომ „ჟამი გულთ მაამი კვლავცა იქნების“, მხოლოდ ამას სტირის, რომ იქნებ თვით ვერ მოესწროს იმ ნათელ დღეს. მე-6 ლექსში, რომელიც ატარებს სათაურს: „პერობილისაგან თანაპერობილთა მიმართ“, მგოსანი წერს:

მე ამას ვსტირი

განაწირი

გაჰ თუ ვესწრა ვერა..

თეარალა ეამი,
გულთ მაამი,
კვლავცა იქნების.
ვაი რა დრომან
დაუდგრომან
მაშორა მოყვასთ,
თეარა არც გზობით,
ირცა პყრობით
გული არ სლბების!
გვერდით პყრობილი,
გულპობილი
ქმუნენის ლახვარით,
გახსოვდეს მწარი
მოჩივარი
საწუთროს რებით.

გადასახლების დღეებში დაწერილია მე-7 ლექსი („აწ ვე-
სალმოდე მიწა-წყალსა“), რომლის ყოველი სტროფი თავდება
რეფრენით:

რომელთაგან მქონდა სიამე-შეება,
მეცა მათ უქმენ თავ-შემოვლება.

პოეტი თავს ევლება სამშობლოს, მას არ აშინებს სიკე-
დილი:

სიკედელს ნუ მექადით, იგი მჩანს არად...

მას ესტირ, რომ ვშორდები თვალთ დამტირებთა,
თეარა ვით შემაკრთონ ტანჯვა-კირებთა,
სიციოცხლე გვიძღვნია თავ-გამწირებთა!

ჩვენ აღარ ვაგრძელებთ მაგალითების მოყვანას ლექსების
ამ დიადი ციკლიდან, რომლებიც აღბეჭდილია გმირული პატ-
რიოტიზმით.

აღექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები, როგორც მოხსენებული
გქონდა, ჭერ კიდევ ტყვეობის დროსვე გასცდენია საპყრო-
ბილის კედლებს და ფართოდ გავრცელებულა საზოგადოებაში.
ამ დროს არის დაწერილი საპასუხო ლექსი თეკლე ბაგრატიო-
ნისა (იგი იყო ასული ერეკლე II-ისა, დედა პოეტის ვახტანგ
ორბელიანისა). თეკლე ბატონიშვილის ლექსის სათაურში აღ-
ნიშნულია, რომ იგი დაწერილია „ხმაზე“ ლექსისა — „რომელ-

¹ „გზობით“ — იგულისხმება მომავალი ძნელი მგზავრობა ტუსალისა.

თაგან მქონდა სიამე-შეება, აწ მეცა მათ გუქმენ თავ-შემოვ-
ლება“. აქ მინიშნებულია ალექსანდრე ჭავჭავაძის ზემოთ დასა-
ხელებული მე-7 ლექსი საქართველოზედ (მთლიანად განმეო-
რებულია ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსის რეფრენი). როგორც
ალექსანდრე ჭავჭავაძის, ისე თეკლე ბაგრატიონის ლექსსაც
მოწერილი აქვს ერთი და იგივე სასიმღერო ხმა: „რასტის
გუშა“ (ეს მე-18 საუკუნის სასიმღერო „ხმა“ არის, რომელ-
საც ბესიკი ერთი ლექსის ზედწერილში ასე განმარტავს: „კილო
გლოვისა“).

აღვნიშნავთ კიდევ ერთ ფაქტს, რაც მაჩვენებელია ალექ-
სანდრე ჭავჭავაძის ლექსების ამ ციკლის პოპულარობისა. რო-
გორც ცნობილია, 1812 წლის კახეთის სახალხო აჯანყების მე-
თაური გრიგოლ ბაგრატიონი გადაასახლეს ჩრდილოეთ რუ-
სეთში, კარელიაში, აქ იგი ერთი წელი პატიმრად ჰყავდათ
პეტროზავოდსკის ციხეში. გრიგოლი არის შვილი დიდი ქარ-
თველი მწერლის, ენციკლოპედისტის იოანე ბაგრატიონისა,
„კალმასობის“ ავტორისა. გრიგოლ ბაგრატიონისათვის, რომე-
ლიც დიდად განათლებული ადამიანი იყო, არ იყო უცხო
პოეზია. იგი ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის დიდი თაყვა-
ნისმცემელი ყოფილა. პეტროზავოდსკის ციხეში პატიმრობის
დროს მან დაწერა ლექსები, რომლებიც ეხმაურება ალექსან-
დრე ჭავჭავაძის პატრიოტულ ლირიკას. გრიგოლ ბაგრატიონს
მიუღია მისი წინამორბედის ალექსანდრე ჭავჭავაძის თვით
ფსევდონიმიც კი: „პყრობილი“. ამრიგად, 1812 წლის სახალ-
ხო აჯანყების მეთაური გრიგოლ ბაგრატიონი ღებულობს ალამს
1804 წლის სახალხო აჯანყების მონაწილის ალექსანდრე ჭავ-
ჭავაძისაგან.

ჩვენ ამაზე დავასრულებთ ამ მოკლე მიმოხილვას ალექ-
სანდრე ჭავჭავაძის ლექსების იმ ციკლისას, რომლებიც 1804—
1806 წლებში დაიწერა.



ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო მონაწილე არა მხოლოდ 1804
წლის აჯანყებისა, არამედ იგი არის აგრეთვე მონაწილე ცარიზ-
მის საწინააღმდეგო 1832 წლის შეთქმულებისა.

ჰქონდა თუ არა 1832 წლის მოძრაობას გამოძახილი ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში?

ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდით. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს დიმიტრი ყიფიანის არქივში აღმოჩნდა პირი ოლექსანდრე ჭავჭავაძის ლექსისა, რომელიც დაწერილია 1834 წელს, ტამბოვში, სადაც ჩვენი პოეტი გადასახლებაში იმყოფებოდა 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ¹.

ეს ლექსი ასე იწყება:

ეჰ საქართველო!..

— პტოლომეთ დროთაგან აყვავებული²

მშვენიერ იყო! მარა რა?.. ვით ამა სოფელს ყოველი
კეთილი, მოსაწონი, შავმა დრომ ფერხით გასთელა,
დააქნო ვარდი წალკოტში, მით ჩემი გულიც მოსთვლილა

პოეტი ეხება საქართველოს ისტორიის უამთა სიღრმეს, როდესაც „გაჰქრა დავითის ხმლის ელვა, ჩაჰქრა თამარის ლამპარი“...

პოეტი არ ჰკარგავს რწმენას, რომ მისი სამშობლო ისევ იღვდება, რომ ტირანი დაემხოება, მზაკვარი მოსპობილ იქნება. პოეტი მოუწოდებს ბრძოლისაკენ; ლექსი ასე მთავრდება:

მზაკვარს ხმლით გაუღსწორდებით, ვფიცავთ ჩვენ ხმალთა ენასა,
მნათი აღმოჰხდეს კაკასსა, ქართლი მიეცეს ლხენასა.

* * *

საკითხავია, იცნობდა თუ არა ნიკოლოზ ბარათაშვილი ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ ლექსებს საქართველოზედ, რომლებიც ხელნაწერად ვრცელდებოდა?

ნიკოლოზ ბარათაშვილი ავტორი „ბედი ქართლისა“ იცნობდა მათ, იგი ამ ლექსებზე იყო აღზრდილი.

ალექსანდრე ჭავჭავაძესა და ნიკოლოზ ბარათაშვილს ახლო ლიტერატურული ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებდა.

¹ ლექსი გამოაქვეყნა ი. ბოცვაძემ (1947 წ.).

² იფულისხმება დრო საქართველოს პირველი მეფის ფარნავაზისა, რომელიც იყო თანამედროვე პტოლომეთა (ალექსანდრე მაკედონელის დიადოხოსთა).

მოვიგონოთ თუნდ ის ფაქტი, რომ პოემა „ბედი ქართლისა“ (რომელიც 1839 წელს დაიწერა), ნიკოლოზ ბარათაშვილს პირველად საჭაროდ (ვიწრო და სანდო წრეში) ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში წაუკითხავს. ეს მაჩვენებელია ამ ორი დიდი პოეტის განსაკუთრებული ურთიერთპატივისცემისა. ეს მაჩვენებელია აგრეთვე ურთიერთპოლიტიკური ნდობისაც, რადგან „ბედი ქართლისა“-ს თავისუფალი სული, როგორც ეს ჩანს ლევან მელიქიშვილის წერილიდან, საგონებელს უქმნიდა ნ. ბარათაშვილის მეგობრებს; ამ დროს, 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ, მხოლოდ წლები იყო გასული და ხელისუფლება სასტიკად სდევნიდა თავისუფალი აზრის ყოველგვარ გამოვლინებას.



ჩვენ აქ ასე დაწვრილებით შევჩერდით ალექსანდრე ჭავჭავაძის სამოქალაქო პოეზიაზე, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია სწორი პერსპექტივა ვიქონიოთ მე-19 საუკუნის ახალი ქართული პოეზიის განვითარების გზების შესახებ.

დასასრულ, აქ რამდენიმე შენიშვნა ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაზე მთელის მოცულობით.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში ჩვენ გვაქვს ორი ნაკადი.

ერთი ნაკადია სამოქალაქო პოეზია (ციკლი — ლექსები საქართველოზედ, ტირანთა წინააღმდეგ), სადაც ალექსანდრე ჭავჭავაძე მე-19 საუკუნის ახალი ქართული ლიტერატურის, ქართული მწერლობის კორიფეების — ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიასი და აკაკის ნამდვილი წინამორბედი.

მეორე ნაკადია — საკუთრივ ლირიკა ალექსანდრე ჭავჭავაძისა; აქ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს უპირატესად გაგრძელება ამის წინარე ხანის, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიის ტრადიციებისა.

ხოლო ამავე დროს სიახლეც იგრძნობა, როგორც თემატიკით, ისე სტილით. ასე, ამის მაგალითს წარმოადგენს ალექსანდრე ჭავჭავაძის შესანიშნავი ლექსი „კავკასი“ (რომელიც იხსნება ასევე შესანიშნავი პროლოგით, დამოუკიდებელი

ლექსით, რომელსაც პოეტი უძღვნის თავის ძველს მეგობარს, თანამებრძოლს 1804 წლის სახალხო აჯანყების ხანისა. დაწერილია „კავკასი“ და მისი პროლოგი 1809—1810 წლებში). ბუნების ახლებური გრძნობა ევროპის მწერლობაში რუსომ დანერგა. ხოლო კავკასიონს, რომელიც ქართული და რუსული პოეზიის ერთგვარ პარნასად იქცა მე-19 საუკუნეში, ევროპის პოეზიაში პირველად უმღერა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, უფრო ადრე, ვიდრე პუშკინმა და ლერმონტოვმა რუსულ პოეზიაში, გრიგოლ ორბელიანმა და ილიამ ქართულ პოეზიაში (ჩვენ აქ არას ვამბობთ გენიალურ ვაჟაზე, რომელიც სხვა ხანას ეკუთვნის).

მაინც ეს ახალი ნაკადი ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში არ არის ძირითადი და მთავარი, ახალს ჯერ კიდევ ვერ დაუჩრდილავს წარსული. მე-18 საუკუნის ქართული პოეზია დიდი დიაპაზონისა იყო და მისი სტილისა და ტრადიციების შეცვლა არც იყო მოსალოდნელი ასე ერთთავად, ახალი ეპოქის პირველ პერიოდში, ახალი საუკუნის დასაწყისშივე.

ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის ლირიკაში პირველ რიგში არის მემკვიდრე და გამგრძელებელი ბესიკის პოეტური ჟანრისა. ხოლო ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში ჩვენ ვვაქვს არა უბრალო გადამღერება მე-18 საუკუნის ქართული პოეზიის ხმათა, არამედ აქ იგი შემდგომ განვითარებას განიცდის როგორც შინაარსით, ისე პოეტური ფორმით. მე-18 საუკუნის ქართული პოეზიის მრავალშტოვანი ხე ჯერ კიდევ ცოცხლობს, ახლად ყვავის.

ევროპული პოეზიიდან ალექსანდრე ჭავჭავაძემ პირველ რიგში განიცადა გავლენა კლასიკური ფრანგული პოეზიისა (ალექსანდრე ჭავჭავაძე არის მთარგმნელი ფრანგულიდან ქართულად ვოლტერისა, რასინისა, კორნელისა და სხვათა).

აღზრდილი მე-18 საუკუნის ქართულ პოეზიაზე და მე-18 საუკუნისავე ფრანგულ კლასიციტურ პოეზიაზე ალექსანდრე ჭავჭავაძე თავისი პოეტური სტილით და აღქმით კლასიციტი უპირატესად და არა რომანტიკოსი. საკუთრივ ევროპეისტული ლექსები ალექსანდრე ჭავჭავაძისა („კობლე და ხლოე“ და სხვანი), ასევე ევროპეისტული აქსესუარები (მითოლოგიური სახეები) მე-18 საუკუნის ქართული ჟანრის ლექსებისა,

მე-18 საუკუნის ფრანგულ კლასიციტურ პოეზიას ენათესავება.

რომანტიზმს ალექსანდრე ჭავჭავაძე უახლოვდება თავისი პოეტური გზის მხოლოდ ბოლო ხანაში, 40-იანი წლების მიჯნასთან. 1841 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძემ შექმნა თავისი პოეტური შედევი „გოგჩის ტბა“, რომანტიზმის სულით მორბეული.

ხოლო ამაზე ადრე, 30-იან წლებში, ახალგაზრდა ნიკოლოზ ბარათაშვილმა უკვე მოახდინა რადიკალური რეფორმა ქართულ პოეზიაში. ამდენად შესაძლოა ვილაპარაკოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის გავლენაზე ალექსანდრე ჭავჭავაძის მიმართ, ვიდრე პირიქით. ამ დროისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვე იყო ავტორი ახალი ქართული პოეზიის ისეთი შედეგებისა, როგორცაა „შემოღამება მთაწმიდაზედ“ (1836 წ.), „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ (1837 წ.) და სხვანი.

„გოგჩის ტბა“ არა მარტო მხატვრული სტილით, არამედ თემატური რკალითაც და პოეტური განწყობილებითაც ბარათაშვილის პოეზიის გავლენის ბეჭედს ატარებს, „გოგჩის ტბის“ რიტმის რხევაში, პოეტურ ხილვაში, უნებლიეთ იგრძნობა სუნთქვა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკისა. კერძოდ ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ (1837 წ.) უახლოვსად განსაზღვრავს „გოგჩის ტბის“ პოეტურ ტონუსს, აქ ჩვენ გვაქვს ნაჩრდილი თვით პოეტური მიზანსცენებისა, თვით მეტრისაც კი.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს და ნიკოლოზ ბარათაშვილს ახლო ლიტერატურული ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებდა. ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, ბუნებრივია ის ურთიერთი გავლენა ამ ორი დიდი მწერლისა, რასაც ჩვენ მათ პოეზიაში ვხედავთ.

ჩვენ ამით ვამთავრებთ ამ ზოგადს ესკიზურ მიმოხილვას მე-19 საუკუნის პირველი პერიოდის ქართული მწერლობისა, რომლის ცენტრალური ფიგურაა ალექსანდრე ჭავჭავაძე. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ თანდათანობით გზას იკვლევს, დგინდება მე-19 საუკუნის ახალი ქართული პოეზია.

მეორე პერიოდი მე-19 საუკუნის მწერლობისა: 1826 — 1850-იანი წლები.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია.

მეორე პერიოდის ქართული მწერლობა, ალექსანდრე ქავ-
ჭავაძის დიდი ლიტერატურული ღვაწლის შემდეგ, ახალ სი-
მაღლეზეა ასული.

მეორე პერიოდის მწერალთა შორის უშუალო წინამორ-
ბედი ნიკოლოზ ბარათაშვილისა არის გრიგოლ ორბელიანი,
1832 წლის შეთქმულების მონაწილე, წარმომადგენელი შეთქ-
მულთა მემარცხენე ფრთისა, თანამოაზრე დიდი განმანათლებ-
ლის სოლომონ დოდაშვილისა.

გრიგოლ ორბელიანის ღვაწლს ასე აფასებდა ილია ქავჭა-
ვაძე:

„იგი იყო თავისი დაჩაგრული მამულის ძლიერის სიტყვით
მოტრფიალე, ეროვნული იდეის პოეტურად გამომსახველი,
„დროთა სიზმარებრ გამქრალთა“ კირისუფალი, საქართველოს
დიდების კვლავ დაბრუნებისათვის ზეშთაგონებული“.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც ნიკოლოზ ბარა-
თაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, გრიგოლ ორბე-
ლიანი უკვე იყო ავტორი დიდი პატრიოტული ლირიკისა. ამ
დროს დაწერილი იყო 1832 წლის შეთქმულების ხანის ლექ-
სები („იარალისადმი“; „ჰე, ივერიავე, ვიდრე იყო ქედმოდრე-
კილი“; „მისი სახელი კიცხვითა მარადის იხსენებოდეს“; „ლე-
კი, ოსმალი და სპარსი“; „აღსარება“), ამ დროს იწერებოდა
„სადღეგრძელო“, რომლის 1832 წლის დროინდელი რედაქ-
ცია შეთქმულების მემარცხენე ფრთის იდეებით არის შთაგო-
ნებული.

გრიგოლ ორბელიანი დიდი პოეტური სტიქიონია. ხოლო
ამასთან უნდა ითქვას, რომ თავის განსაკუთრებულ ტალანტ-
თან შეუფარდებლად იგი ნაკლებ ნაყოფიერი რჩება. 1832
წლის შეთქმულების კატასტროფამ თითქოს გაბზარა პოეტის
გული. თავისი პოეზიის პირველი კარი გრიგოლ ორბელიანმა
დახურა ლექსით „ჩემს დას ეფემიას“ (1834 წ.), რომელიც
მან ტყვეობის დროს დაწერა. მას შემდეგ გრიგოლ ორბელიანი
განაგრძობდა მუშაობას „სადღეგრძელოზე“. საერთოდ კი 30-
იანი წლების შედეგ გრიგოლ ორბელიანმა მისცა თავის თავს
ნება დარჩენილიყო პოეზიის იშვიათ სტუმრად, თუმცაღა უფ-
რო გვიან მან შექმნა ისეთი ბრწყინვალე შედეგები ახალი

ქართული პოეზიისა, როგორც „სალამო გამოსალმებისა“ (1841 წ.), „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ (1877 წ.).

აქ საჭიროა ამავე დროს შემდეგი აღინიშნოს. გრიგოლ ორბელიანმა ახალ ქართულ პოეზიაში მართალია დიდი სიახლე შეიტანა, განავითარა ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ დაწყებული განახლება ქართული პოეზიისა, მაგრამ გრიგოლ ორბელიანთანაც, ისევე როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ადგილი აქვს პოეტური სტილის გაორებას. ასე, თავის მრავალრიცხოვან მუხამბაზებსა და აშულურ რომანსებში გრიგოლ ორბელიანი ისევ განაგრძობს მე-18 საუკუნის პოეზიის უკვე მოძველებული ტრადიციის მიდევნებას, იმ დროს როდესაც პატრიოტულ ლირიკაში იგი ახალი მიმართულების მამამთავრად, ახალი პოეტური ფორმის, ახალი მხატვრული სტილის შემოქმედად გვევლინება.

გრიგოლ ორბელიანი არის ნამდვილი დიდი წინამორბედი ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ხოლო დიაპაზონი გრიგოლ ორბელიანის პოეზიისა მაინც შედარებით ვიწროა, იგი ვერ აღწევს პოეზიის იმ დიად უნივერსალობას, რომლითაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა გახსნა ახალი კარი ქართული ლიტერატურის ისტორიისა.

* * *

გადავიდეთ რა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის განხილვაზე, სწორი ისტორიული პერსპექტივისათვის საჭიროა შემდეგიც აღინიშნოს.

როდესაც ვითვალისწინებთ ნიკოლოზ ბარათაშვილის წინახანის ქართულ პოეზიას მე-19 საუკუნის პირველ მესამედში, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ გარდა ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანისა, რომელთაც დიდი სიახლე შეიტანეს ახალ ქართულ პოეზიაში, აგრეთვე გარდა ტრადიციონალისტებისა, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობენ მე-18 საუკუნის პოეზიის ტრადიციას (როგორც, მაგალითად, პეტრე ლარაძე და სხვანი), ჩვენ გვყავდა ამ ხანაში ათეული პოეტები, ეპიგონები მე-18 საუკუნის ქართული პოეზიისა, ავტორები უამრავი მუხამბაზებისა, ბაიათებისა და სხვ., რომლებიც იმ-

ლეონენ გარდასული თემების გადამღერებას, რომელთა ხელში მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის პოეზიის ტრადიციები რუტინად იქცა.

ასეთ ლიტერატურულ ფონზე გაიშალა შემოქმედება ახალგაზრდა ბარათაშვილისა, რომელიც მტკიცე საფუძველს უყრის ახალი ეპოქის შესაბამის ახალ ქართულ მწერლობას.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა დააგვირგვინა ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის მიერ დაწყებული დიდი განახლება ქართული პოეზიისა.

ბარათაშვილი გაბედულად სცვლის მოძველებულ პოეტურ სტილს, იგი პოულობს ახალ ხმას ახალი შინაარსის გადმოსაცემად. ბარათაშვილმა საბოლოოდ განდევნა ქართული პოეზიიდან უცხო აღმოსავლური (უფრო სწორედ გვიან-აღმოსავლური) კილო, რომელიც ჭარბად შემოიჭრა ქართულ პოეზიაში მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან, დაუბრუნა ქართული პოეზია ეროვნულ სათავეებს, დაუკავშირა იგი ერთის მხრით დიად საწყისებს მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული პოეზიისა, ხოლო მეორეს მხრით, ნაცვლად უცხო აღმოსავლური ნაკადისა საბოლოოდ დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში ევროპეიზმი, მსოფლიო პოეზიის ახალი სული. ამდენად ბარათაშვილი უდიდესი ნოვატორია ახალ ქართულ პოეზიაში, როდესაც ჩვენ ვკითხვლობთ მოძველებულ კილოზე დაწერილს მე-19 საუკუნის აღმოსავლური იერის სხვადასხვა მუხამბაზებსა და ბაიათებს (— თუნდაც ეს მუხამბაზ-ბაიათები ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანისა იყოს) — და ამის შემდეგ გადავიკითხავთ ბარათაშვილის ლირიკას, თითქოს სრულებით სხვა სამყაროში გადავდივართ. ბარათაშვილი სცვლის მოძველებული პოეტური სტილის გაყინულ ნორმებს, იგი იძლევა პოეტური მეტყველების ნამდვილ გადახალისებას.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ბარათაშვილის პოეტური ფორმა უაღრესად ეროვნულია. საკმაოა მოვიგონოთ, რომ „მერანში“ ნიკოლოზ ბარათაშვილი ეხმაურება რუსთაველს, ანდა ლექსში „ჩემი ლოცვა“ ბარათაშვილი აცოცხლებს პოეტურ ხმას მე-8—9 საუკუნეთა ქართველი დიდი ჰიმნოგრაფის გრიგოლ ხანძთელისა.

აქვე უნდა აღინიშნოს ამავე დროს, რომ ბარათაშვილმა

ახალი ჟღერა მისცა თვით ქართული ლექსის ინსტრუმენტსაც, ახალ ხმაზე ააწყო იგი. ბარათაშვილმა მოხსნა რუტინად ქცეული სალექსო სახეობანი მუხამბაზური კილოსი (გაყინული სტროფიკა, ხშირი რეფრენები და სხვა), დაუბრუნა ქართულ ლექსს გაშლილი რუსთაველური მდინარება, ააქღერა იგი სრული პოლიფონიური მრავალხმოვანი რიტმიკით.

დასასრულ, მთავარი, ბარათაშვილმა დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში ახალი იდეების სამყარო. ბარათაშვილმა მისცა ახალ ქართულ პოეზიას ფართო დიაპაზონი, აავსო ზოგადკაცობრიული შინაარსით, აიყვანა იგი თანამედროვე ევროპული პოეზიის სიმაღლემდე. ბარათაშვილის პოეზიის საგანია ადამიანის სულიერი ცხოვრება მთელი თავისი სიღრმით და მღელვარებით.

სამართლიანად ამბობს ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი როლის შესახებ ახალი ქართული მწერლობის ისტორიაში:

„ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულისთქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა“.

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“, — გვამცნობს რუსთაველი. რუსთაველის შემდეგ ეს სიტყვები ბარათაშვილის შესახებაც შესაძლოა განვიმეოროთ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკა ეს არის ფილოსოფიური ელფერის ლირიკა უპირატესად. არა მარტო მისი „ჩინარი“ და „შემოღამება მთაწმიდაზედ“, არა მარტო მისი „მერანი“ და „სულო ბოროტო“, „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, „ვპოვე ტაძარი“ და სხვანი, სადაც პოეტის მხატვრული ხილვა უშუალოდ გადადის ფილოსოფიურ ხედვაში, არამედ თვით ინტიმური ლირიკული ლექსები პოეტისა, სადაც იგი თავის პირადულს სულიერ სამყაროს გადაგვიშლის, პიროვნულ აქცენტთან ერთად შეიცავს გაღრმავებულ ფილოსოფიურ აქცენტს. ინდივიდუალურის მხატვრული შიფრის იქით აქ ყოველთვის იგრძნობა მთელი საესება ზოგად-ადამიანურისა და ეს ყოველთვის შესრულებულია უცთომელის მხატვრული ტაქტით. ბარათაშვილის პოეზია ეს არის საუცხოო შენადნობი პოეტური მღელვარებისა და ფილოსოფიური ხილვისა.

ნ. ბარათაშვილმა წარუვალა მნიშვნელობა დაიმკვიდრა ქართულ ლიტერატურაში თავისი ლირიკით, რომელსაც დიდი, ზოგადკაცობრიული დიაპაზონი აქვს, რომელიც ღრმა ფილოსოფიურობით არის აღბეჭდილი.

ხოლო ნ. ბარათაშვილის პოეზიის სიდიადე მარტო ამით არ განისაზღვრება. წმინდა ლირიკა მხოლოდ ერთი ნაწილია ნ. ბარათაშვილის მემკვიდრეობისა.

ამის გვერდით ნ. ბარათაშვილს სხვა მემკვიდრეობაც აქვს, — „ბედი ქართლისა“, რომელშიაც პოეტი გვევლინება, როგორც ახალი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების გამომსახველი, მოაზროვნე „ახალი ქართლის“ ბედზე და მის მომავალზე.

პირველი ნაწილი ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობისა, — წმინდა ლირიკა, მისი იდეური და მხატვრული მხარის დეტალური ანალიზი, მისი თემა და სტილი, და აგრეთვე ბარათაშვილის ლექსი, რომელიც რიტმული სიმდიდრითა და პოლიფონიური წყობით განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში, არ შეადგენს იმეამად ჩვენი საუბრის უშუალო საგანს, რამდენადაც ამ ნარკვევში ბარათაშვილის შემოქმედებას მაგისტრალურ ასპექტებში ვეხებით.

ხოლო როგორც ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიკოსს ჩვენ აქ მოგვიხდება დაწვრილებით შევჩერდეთ ბარათაშვილის უკვდავ პოემაზე „ბედი ქართლისა“ და აგრეთვე იმ ლექსებზე, რომლებშიაც პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი არის ასახული. ჩვენ აქ უშუალო კონტაქტში ვიმყოფებით ეპოქასთან.



ნ. ბარათაშვილი მდელვარედ განიცდის საქართველოს ტრაგიკულ ბედს, მდელვარებით შესცქერის თავისი ქვეყნის მომავალს.

ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“-ს იდეურ-პოლიტი-

კური მიზანდასახულობის სწორად გაგებისათვის საჭირო იქნება აღვადგინოთ ისტორიული პერსპექტივა.

მე-19 საუკუნის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში — ვიდრე სამოციან წლებამდე — ჩვენ გვაქვს ოთხი მწერლის ეპოქალური ძეგლები, რომლებშიაც აისახა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია. ეს ძეგლებია:

ალექსანდრე ჭავჭავაძის — ლექსები საქართველოზე (1804 1806 წწ., 1832 — 1834 წწ.); ლექსი ტირანთა წინააღმდეგ (1804 წ.).

გრიგოლ ორბელიანის — პატრიოტული ლირიკა 1832 წლის შეთქმულების ხანისა; „სადღეგრძელო“ (პირველი რედაქცია 1832 წლის შეთქმულების ხანისა); „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“ (დოკუმენტური პროზა, 1831 წ.).

ნიკოლოზ ბარათაშვილის — პოემა „ბედი ქართლისა“.

ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილი“ (1858—1859 წწ.); დრამატული პოემა „ქართველის დედა“; ლექსების ციკლი (1858—1861 წწ.); მხატვრული პროზა „მგზავრის წერილები“ (1861 წ.).

ჩვენ აქ ჯერ მოგვიხდება დაწვრილებით შევჩერდეთ გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობაზე“, რადგან იგი ნაკლებ ცნობილია; ხოლო ეს ნაწარმოები ახლო გვაცნობს მე-19 საუკუნის 30-იანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებას, როდესაც სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა ნიკოლოზ ბარათაშვილი.

გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“ ეკუთვნის 1832 წლის შეთქმულების ხანას. გრიგოლ ორბელიანი შეთქმულთა ორგანიზაციის წევრი იყო, როდესაც იგი 1831 წელს გაემგზავრა რუსეთში. გრიგოლ ორბელიანს დავალებული ჰქონდა შეთქმულების თბილისის მთავარი ორგანიზაციის მიერ ურთიერთობის დამყარება შეთქმულთა პეტერბურგის წრესთან. მგზავრობის დროს, აგრეთვე რუსეთში ყოფნისას, ვიდრე დაარჯევებდნენ, გრიგოლ ორბელიანი აწარმოებდა დღიურს. რუსეთში ჩასვლის შემდეგ, 1831 წლის ბოლოს, ავტორს ერთი ნაწილი ამ დღიურისა ლიტერატურულად დაუმუშავებია. სახელდობრ ის ნაწილი, სადაც აღწერილი იყო მგზავრობა სააქრთველოდან ჩრდილო კავკასიამდე.

ამრიგად, „მგზავრობა“ წარმოადგენს ნაწარმოებს, რომელსაც საფუძვლად პოეტის დღიური დასდებია. „მგზავრობა“-ს შენარჩუნებული აქვს დღიურის თხრობის ქარგა, რაც მას დოკუმენტური პროზის ხასიათს ანიჭებს.

გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“ მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობისა. გარდა ლიტერატურული ღირსებებისა, ეს ნაწარმოები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, როგორც პირველხარისხოვანი დოკუმენტი ქართული აზროვნების ისტორიიდან. „მგზავრობა“ უახლოესად გვაგრძნობინებს ეპოქას, კერძოდ, სულისკვეთებას იმ წრისა, სადაც მომზადდა 1832 წლის შეთქმულება.

ამ ნაწარმოებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ 1832 წლის შეთქმულების ხანაში ქართველი საზოგადოების პროგრესულ ნაწილში ორნაირი მიმართულება არსებობდა საქართველოს მომავლის საქმეთა გამო.

ერთი, უფრო ზომიერი წრე, თუმცა საბოლოო მიზნად სთვლიდა საქართველოს განთავისუფლებას თვითმპყრობელური რუსეთისაგან, მაგრამ ეს შორეული მომავლის საქმედ მიაჩნდათ. ეს წრე, რომელსაც „ზომიერთა“ სახელი შეეფერება, ფიქრობდა, რომ საქართველო არსებულ პირობებში ვერ შეძლებს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და განდება მსხვერპლი თურქთა და ირანელთა შემოსევისა. ზომიერნი იმ აზრს იცავდნენ, რომ საქართველომ ჯერ უნდა გააძრთელოს ის ქრილობანი, რაც მას წარსულმა საუკუნეებმა მიაყენა, გაძლიერდეს ეკონომიურად, წინ წაიწიოს კულტურის მხრით და მხოლოდ ამის შემდეგ განდება შესაძლებელი საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების რეალურად განხორციელება.

მეორე წრე, რადიკალები, მდგომარეობას სხვაგვარად აფასებდნენ. ეს მეორე წრე ფიქრობდა, რომ აზიის მეზობელ სახელმწიფოთა პოლიტიკური მდგომარეობა ახლა სხვანაირია, ვიდრე ეს იყო მე-18 საუკუნეში; რომ სპარსეთი და ოსმალეთი უკვე კარგად გრძნობენ, თუ რა დიდი შეცდომა დაუშვეს მათ, როცა თავისი აგრესიული პოლიტიკით აიძულეს საქართველო აეღო რუსეთის ორიენტაცია და ამით საშუალება მისცეს რუსეთს დამკვიდრებულიყო კავკასიონის ქედს გადმოდმა, სპარ-

სეთისა და ოსმალეთის მეზობლად. ახლო აღმოსავლეთის მყუდროებისათვის დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა აუცილებელიაო, — ფიქრობდნენ რადიკალები; საქართველოს დამოუკიდებლობას არ შეუშლიან ხელს არც სპარსეთი, არც ოსმალეთი, და საკუთარი ინტერესების გამო აღარ აიძულებენ. საქართველოს ეძიოს მფარველობა გარეშე სახელმწიფოსი. რაც შეეხება საქართველოს შინაგან მდგომარეობას, რადიკალები აგრეთვე აღიარებდნენ, რომ საქართველო ჩამორჩენილია კულტურულად, ეკონომიურად, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ საქართველოს განვითარება უფრო სწრაფი ტემპით წავა წინ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის დროს, ვიდრე თვითმპყრობელური რუსეთის ხელში.

ეს ორნაირი მიმართულება, რომელიც ქართულ პროგრესულ წრეებში არსებობდა, გრიგოლ ორბელიანს ცხოვლად აქვს გადმოცემული თავისი „მგზავრობის“ ერთ ადგილას, დიალოგის სახით, რომელიც გაიმართა პოეტსა და რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფ ქართველ პატრიოტ ივანე აფხაზს შორის. „ზომიერთა“ იდეების დამცველად აქ ივანე აფხაზი გამოდის, ხოლო რადიკალების წარმომადგენელია თვით გრიგოლ ორბელიანი, ამ დროს უკვე შეთქმულების წევრი.

მოგვყავს ტექსტი ამ დიალოგისა:

„მოვიდა ღენერალი კნიაზ ივან ნიკოლაიჩი აფხაზი, დანიშნული ღრაფ პასკევიჩთან არმიაში პირისპირ პოლშელთა. ფრიად გვიბა ურთიერთისა ხილვა. შემდგომად სხვა და სხვათა უბნობათა პოლშის ბრძოლისათვის, ვიწყეთ საქართველოზე. — ახ, ვითარ ძლიერად და მართლად აღწერა აწინდელი მდგომარეობა საქართველოსა, რომელიცა უყვარს, ვითარცა ჭეშმარიტსა ძესა მამულისასა, ვითარ მწუხარებითა უბნობდა ქართველებზე, რომელთაც აღზოცეს თვის შორის კეთილშობილური სიამაყე და სიყვარული მამულისადმი და არიან მონებასა ქვეშე, დამდაბლებულნი სულითა.

უ ბ ნ ო ბ ა ჩ ვ ე ნ ი

ი. აფხაზი. — ღმერთო, ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულებასა შინა, რომელ იძულებულ იყვნენ დატევებად საქართველოსა, რომელიცა მყისვე შეიქნების მსხვერპლად

უწესოებისა, შინაგანისა განხეთქილებისა და ზედა-დასხმისა დაუძინებელთა მტერთაგან.

გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. — საქართველო, შემდგომად რუსთა დატევებისა, ვგონებ იყოს ესრეთ ძლიერ, რომელ შეიძლოს დაცვა მტერთაგან საზღვრისა თვისისა. ოცდა-ათს წელიწადს საქართველოს თუ არ მომატებია ხალხი, ვგონებ არცა დაჰკლებოდეს¹.

ი. ა ფ ხ ა ზ ი. — არა ძალუმს: ამისთვის, რომელ პოლიტიკური მდგომარეობა მესაზღვრეთა სახელმწიფოთა აზიასა შინა ფრიად შეიცვალა. ვის უხილავს ყიზილბაშისა და ოსმალის ესრეთი გაწყობილი ჯარი და ესრეთი თოფხანა. საქართველო, იქნების რა დატევებულ რუსთაგან, ვითარ წინააღუდგების მათ. ერეკლე იყო კვიციანი და მხნე მეფე: ხელდიდენ მის მხნეობას მაგალითად თავადნი და აზნაურნი, რომელთაცა უყვარდათ მამული, სარწმუნოება, მეფე, და იბრძოდნენ ვითარცა ლომნი — მაშინ, ოდესცა ყიზილბაშთა, ბუნებითად მხდალთა, არა ქონდათ არცა წესი ჯარში და არცა მხნეობა სპასალართა; მაშინ, ჯამბობ, ქართველთა შეეძლოთ ბრძოლა პირისპირ მათთა. ხოლო აწ გამოიცვალა დრო და შეიცვალნენ იგინიცა, გააწყყეს მათ რელული², და ჩვენ ველარ ძალ-გვიძს, რომ გაწყობილ ჯარს ვებრძოლოთ ისევ იმ ღონისძიებით, ვითარცა იბრძოდნენ მეფეების დროსა. რელულსა უნდა ვებრძოლოთ რელულითვე. ნუ გგონია, რომ ჩვენის გლეხების თოფი იყოს სახმარ ომში, რომელსა სამჯერ ვერ ესვრის საათში, მაშინ, ოდესცა მინუტში უნდა ოთხჯერ მაინც ესროლოს... ერთის სიტყვით, საქართველო ურელულოდ ვერცა ერთსა თვესა გაუძლებს მტერთა. — და გარდა ამისსა, ოცდაათმან წელიწადმან ფრიად შესცვალა ერი. არღა მდგომარეობს ჩვენ შორის იგი მხნეობის სული, რომლითაცა იქებოდენ უწინ.

გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. — რელულის გაწყობა ადვილად მოხდება საქართველოში; ამიტომ რომ, იქნებიან რა თვით დამცველნი თვისისა საზღვრისანი, თვალთ დაინახავენ რელულის

¹ იმ დროს, რა ხანასაც ეკუთვნის ეს დიალოგი, ოცდაათი წელიწადი იყო გასული რუსეთის მფლობელობის დამყარებიდან.

² რელული — რეგულარული ჯარი.

სარგებლობასა, თვით მეფე ერეკლემაც იცოდა უმჯობესობა რეღულისა და გააჩინა მორიგის ჯარი, და მაშინ არც ერთი ტყვე არ დაკარგულა. — ამას ადვილად მოახდენენ მაშინ იგინი, ვინცა დარჩებიან ერის მმართველად. და ვაჟკაცობაში ქართველნი ნაქებნი არიან და უყვარსთ მამულიცა; ესე დამტკიცების მით, რომე საქართველო, ესრეთი მცირედი სამეფო, ვერ დაიცავდა ვერცა სამზღვარსა თვისსა და ენასა და ვერც სარწმუნოებასა, თუ არ განსხვავებულითა ვაჟკაცობითა და სიყვარულითა მეფეთა და მამულისადმი. — ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და კვლავ აღდგინებულს არარაისაგან; ესრეთთა საკვირველებათა აწარმოებს მხოლოდ მხნეობა და სიყვარული მამულისა და სარწმუნოებისადმი. გარდა ამისა, აწ თვით ყიზილბაში და ოსმალოცა ხედვენ შეცდომილებათა თვისთა, რომელ საქართველომ, მათგან შეიწრებულმან, დაუმეზობლა ესდენ საშინელი მათთვის მეზობელი რუსეთი, და არლა მოინდომებენ, რომელ საქართველომ კვლავცა მოსთხოვოს მთარველობა რომელსამე ძლიერსა სახელმწიფოსა ევროპასა შინა. ყიზილბაშნი ჰსწყევდენ ადამაჰმად-ხანს ტფილისის წახდენისათვის, რაიცა იყო მიზეზი რუსების გადმოსვლისა.

ი. ა ფ ხ ა ზ ი. — მართალ არს, რომელ ქართველნი არიან მხნენი; გარნა რეღულის გაწყობა აგრე ადვილი ნუ გგონია. ამიტომ რომ, რეღულის გაწყობის დროს, ჯერ არს პირველად შევიდენ სამსახურში სალდათად, სამაგალითოდ სხვათათვის, პირველნი თავადნი და აზნაურნი, რომელთაცა აქვსთ პატივი და ხმა მემამულეთა შორის თვისთა; ჯერ-არს მათდა, რათა შესწირონ მსხვერპლად სიმდიდრე და თვით სიცოცხლეცა, ვისაც ვითარ ძალუძს, საზოგადოებისა ბედნიერებისათვის, და არა მიხედოს საკუთარსა თვისსა სარგებლობასა. ამით ოდენ ჩაიყრება მტკიცედ საფუძველი რეღულისა. — აბა, ჩემო გრიგოლი დამისახელე გინა ერთი კაცი, რომელმანცა დასდვას ნაწილი სიმდიდრისა თვისისა საზოგადოებისა სარგებლობისათვის. ესრეთი მსხვერპლი არს სათნოება, რომელსაცა ჰგრძნობს მხოლოდ გონებითა და გულითა განათლებული კაცი. უმეცარი და უსწავლელი ვერა მიხვდების ამა ამალღებულსა გრძნობასა, რომელსაცა აწარმოებს მხოლოდ სიყვარული მამულისადმი. —

თქვენ, ახალგაზრდანო! თქვენ უნდა ეცადნეთ ყოვლის ღონისძიებით მამულისათვის. პირველად უნდა ისწავლოთ, გონება განინათლოთ, და მაშინ დაინახეთ და გამართავთ ნაკლულოვანებათა. და ამა მიზეზით ვამბობ, რომელ ღმერთმან ნუ ინებოს საქართველოს დატევება რუსთაგან ას წლამდის; მაშინ აღარა მეშინის, ამისთვის, რომელ საქართველოს ეყოლება მას დროსა მრავალნი მსწავლულნი კაცნი, საზოგადოება შეიცვლება, იგრძნობს ყოველსა საჭიროებასა, და ყოველი კეთილი, ახალი სასარგებლო დაწყებულება ადვილად აღსრულდების; ახლა ვინ იყისრებს, ან ვინ გაუგონებს. აწინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკვდარ მამულისათვის, ცხოვრებენ უსაგნოდ, დაეხეტებიან უგზოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა; ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა სარგებლობისათვის, რომლისა მისაღებად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა, არცა უპატიურსა გზასა, რომელსა ზედა ვლენან. ანგარება არს მათთვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაცა გვეკარგება პატიოსნება. — გარნა ნუ გგონია, რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა: არა, ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათის წლის მორჩილებისა.

გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. — ამა ერისა სულისა დამდაბლებასა. ადვილად აღზოცენ იგინი, ვინცა იქნებიან, შემდგომად რუსთა დატევებისა, ერის მმართველნი, უკეთუ იქნებიან გონებიან და შორსმხედველ. ძალა იქნების მათ ხელში, აღაშენებენ და გააწყობენ სასწავლებელთა; სხვათა სახელმწიფოთაგან მოუწოდებენ მსწავლულთა კაცთა და ხელოსანთა, რომელნიცა იქნებიან პირველნი მთესველნი სწავლათა და ხელოსნობათა საქართველოსა შინა, და შემდგომად რაოდენთამე წელთა ნაყოფი უეჭველად აღმოცენდების, მით უფრო უმეტეს, რომელ ქართველთა აქვსთ ბუნებითი გონება.

ი. ა ფ ხ ა ზ ი. — ეგე ყოველი შესაძლო არს, გარნა ჯარისა და სასწავლებელთა შენახვისათვის საჭირო არს ხაზინა; საქართველო არს ღარიბი სამეფო, და სხვა რომელი სახელმწიფო გვენდობა ჩვენ ვალად. — გარდა ამისა, საქართველო არს დაგლეჯილი ნაწილ-ნაწილად. ალექსანდრე მეფის შემდეგ, რომელმანცა განუსჯელად განჰყო საქართველო, — ქართლი, კახეთი, იმერეთი, საათაბაგო, გურია... — მის დროთ აქამომდე იყვნენ ურთიერთის მტერნი და სისხლი ინთხეოდა მოუწყვეტლივ.

აწ ძლივს შეერთდნენ და ამიერიტგან უნდა შეერთხორცდნენ და შეადგინონ ერთი მრთელი: წებოთი მიკრული არ დადგების დიდ ხანს, თუ მზე არ შეაერთებს და არ შეადულებს მას. ჩვენი მზე არის დრო. დრომან უნდა გაგვანათლოს, გვასწავლოს ურთიერთთა და მამულის შეყვარება და შეგვეართოს ერთითა გულითა, ერთითა ფიქრითა ყოველნი ნაწილნი ძველისა საქართველოსანი. მაშინ იქნების, თუმცა არა ფრიად ძლიერ, ვითარცა სხვანი სახელმწიფონი, — გარნა შემძლებელ დაცვად თვისისა სამზღერისა. გარე-შემოზღუდულ არს რა საქართველო მტერთაგან, ჭერ არს რათა ყოველი ქართველი აღინთოს მამულის სიყვარულითა და თვითეულმან აღირჩიოს გზა ლეონი დისა...

კვალად ვამბობ, რომ დრომ უნდა აღადგინოს საქართველო“.

—

გრ. ორბელიანი თუმცა შეთქმულების წევრი იყო, მაგრამ მას, როგორც ჩანს, არ მიაჩნდა მთლად უსაბუთოდ ივანე აფხაზის შეხედულებანი. პოეტის ერთგვარი დაეჭვება თავის პოზიციაში უნებლიეთ მოჩანს ამ დიალოგის შესავლიდან, აგრეთვე იმის მიხედვითაც, რომ იგი საჭიროდ სთვლის ასე დაწვრილებით გადმოგვცეს ი. აფხაზის ნაუბარი.

მიუხედავად ამ დაეჭვებისა, რომელსაც პოეტი, ჩანს, განიცდიდა, გრიგოლ ორბელიანი მაინც გარკვევით მიმხრობია რადიკალების ბანაკს. გრიგოლ ორბელიანი დიდი ენთუზიასტია რადიკალების მიერ დაწყებული შეთქმულებისა. ეს ცხადი ხდება გრიგოლ ორბელიანის როგორც სხვა ნაწერებიდან შეთქმულების ხანისა ისე თვით ამ „მგზავრობის“ მთელი რიგი ადგილების მიხედვით.

ვიდრე გადავიდოდეთ ნ. ბარათაშვილის პოლიტიკური მსოფლმხედველობის შესახები საკითხების განხილვაზე, საჭიროა აღვნიშნოთ წინასწარ, რომ ნ. ბარათაშვილი არ იცნობდა გრ. ორბელიანის „მგზავრობას“. 1831 წელს, როდესაც გრ. ორბელიანი რუსეთში გაემგზავრა, ნ. ბარათაშვილი 13 წლის ბავშვი იყო. „მგზავრობა“ რუსეთში არის დამუშავებული იმავე 1831 წელს, და მისი ერთადერთი ხელნაწერი ჟანდარმერია

ჩამოართვა გრიგოლ ორბელიანს 1833 წლის დასაწყისში, როდესაც ის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო დაატუსაღეს. გრიგოლ ორბელიანს, როგორც ამას თვითვე აღნიშნავს ერთგან, არ დარჩენია ამ ნაწარმოების სხვა პირი. ამრიგად, გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“ დაატყვევა ნიკოლოზ I-ის მთავრობამ, დაურთო იგი შეთქმულების გამოძიების საქმეს და დამარხა რუსეთის უანდარმერიის არქივში — პეტერბურგში. არათუ ბარათაშვილისათვის უცნობი დარჩა ეს თხზულება, არამედ იგი საერთოდ დაეკარგა ქართულ მწერლობას. მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ, 1928 წელს, ჩვენ მოგვეცა ბედნიერება გვენახა ეს ნაწარმოები შეთქმულების საქმეში, იგი მხოლოდ მას შემდეგ ხდება ცნობილი, ასი წლის ტყვეობის შემდეგ.

ამრიგად, ნ. ბარათაშვილი არ იცნობდა გრ. ორბელიანის ამ ნაწარმოებს; მაგრამ რამდენია საერთო ნ. ბარათაშვილის პოლიტიკური იდეოლოგიის გამომსახველ თხზულებებსა და გრ. ორბელიანის ამ ნაწარმოებს შორის! აქ გამოვლინებულია ერთი და იმავე ეპოქის იდეური სამყარო.



გავეცნოთ ამის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ მემკვიდრეობას, რომელშიაც პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეებია გამოსახული.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედება ეკუთვნის სწორედ იმ ხანას, რომელიც უშუალოდ მოსდევს 1832 წლის შეთქმულების დამარცხებას. ეს ჩვენ ბევრს გვიხსნის ბარათაშვილის პოეტურ მემკვიდრეობაში.

1832 წლის შეთქმულების დამარცხებას, — როგორც ამის შესახებ სხვაგან გვქონდა საუბარი, — შედეგად მოჰყვა ხანგრძლივი რეაქცია ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შეთქმულთა აქტივი გამოაქლდა საზოგადოებრივი მოძრაობის რიგებს. ნ. ბარათაშვილი იყო ის რჩეული, რომელმაც მიიღო მემკვიდრეობა 1832 წლის თაობისა, აზიდა ის ტვირთი, რომელიც 1832 წლის თაობამ დასტოვა.

ახალ პოლიტიკურ გარემოში საქართველოს ეროვნულ-გან-

მათავისუფლებელი მოძრაობის საკითხები უკვე სხვარიგად ის-
მოდა. 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ თვით
ცხოვრებამ მოხსნა დღის წესრიგიდან რადიკალების მიერ და-
სახული გეგმა.

პოეტი ანგარიშს უწევს ისტორიული გარდუვალობით შექმ-
ნილ პირობებს; იგი იძლევა ახალ გადაფასებას თაობათა ძვე-
ლი ნააზრევისა.



შევჩერდეთ ჯერ ბარათაშვილის ლექსზე „საფლავი მეფის
ირაკლისა“.

ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ დაწერილია 1842 წელს,
როდესაც გადასახლებაში მყოფნი შეთქმულნი, „უამ-ვითარე-
ბით მიდამო გარდახვეწილნი“, თანდათან ჩამობრუნდნენ საქარ-
თველოში.

უამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაქეთ მამულში განათლება და ხმა საამო;
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული
ულნობს ყინულსა წ რ დ ი ლ ე თ ს ა¹ განცეცხლებული.

და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მ ხ უ რ ვ ა ლ ე ს ც ი ს ქ ვ ე შ² მოსამკალთა ერთი ათასად!
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!

პოეტს იმედს ჰგვრის ის გარემოება, რომ საქართველომ,
სისხლიდან დაცლილმა წარსული საუკუნეების ხანგრძლივი
ომების გამო, დაისვენა და ძალების მოკრება დაიწყო, რომ
„ახალი ქართლი“ ახალი გზით მიდის განახლებისაკენ.

ამიტომაც პოეტი მუხლს იყრის ერეკლე მეფის აჩრდილის
წინაშე, რომლის ანდერძმა ღონემიხდილსა და განწირულე-
ბამდე მისულს საქართველოს შეუქმნა შესაძლებლობა ახალ
გზაზე გამოსვლისა.

მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,
უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო
აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძ-ნამაგსა,
და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!

¹ იგულისხმება რუსეთი.

² იგულისხმება საქართველო.

ამრიგად, ნ. ბარათაშვილი ამ ლექსში — „საფლავი მეფის ირაკლისა“ — იზიარებს ირაკლი მეფის ანდერძ-ნამაგს; პოეტი ფიქრობს, რომ საქართველოს რუსეთთან დაახლოება იყო ისტორიულად გარდუვალი აქტი და ერთადერთი სწორი გზა შექმნილი გამოუვალი მდგომარეობიდან. პოეტს თავისი ქვეყნის ხსნად მიაჩნია, რომ საქართველომ გაარღვია რკალი ბარბაროსული ქვეყნების გარემოცვისა და აღადგინა კავშირი კულტურულ მსოფლიოსთან, რომელსაც საქართველო საუკუნეებით იყო მოწყვეტილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ აბამს ჯაქვს წარსულიდან მომავლისაკენ, ირაკლიდან, — რომელიც იყო „უკანასკნელი ივერიის სიმტკიცის სული“, ქართველი ხალხის ახალ სიმტკიცემდე, ახალ თაობამდე, რომელიც, პოეტის სიტყვით ზიდავს „ძვირფას თესლთა მშობელს ქვეყანად“, —

მ ხ უ რ ვ ა ლ ე ს ც ი ს ქ ე ე შ [=საქართველოში]
მოსამკალთა ერთი ათასად.

პოლიტიკური აზრი ლექსისა „საფლავი მეფის ირაკლისა“ იგივეა, რაც მოცემულია ილიას ცნობილ ანდერძში:

მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა!
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

ამრიგად, ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ სრულიადაც არ ნიშნავს ნ. ბარათაშვილის მიერ რაიმე შერიგებას იმ მდგომარეობასთან, რაც საქართველოს შეუქმნა ცარიისტულმა თვითმპყრობელობამ. ბარათაშვილისათვის უცხოა კომპრომისი.

პოეტის დიდი სულიერი ტრაგედიის სათავე სწორედ ის არის, რომ იგი არაა დამშვიდებული თავისი ქვეყნის ბედის გამო; პოეტი ვერ ურიგდება ბოლომდე ირაკლი მეფის ანდერძ-ნამაგს, რამდენადაც ამას შედეგად მოჰყვა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოსპობა და დამონება. პოეტის გული აგზნებულია თავისუფლების სიყვარულის დაუშრეტელი

ცეცხლით და იგი მთელი სიმწვავეით განიცდის სამშობლო ქვეყნის ტრაგიკულ ხვედრს.

სწორედ იმავე 1842 წელს, როდესაც დაიწერა „საფლავი მეფის ირაკლისა“, პოეტმა დაწერა პოემა „სუმბული და მწირი“, სადაც მკვეთრ სიმბოლურ სახეებში იგივე საკითხებია დასმული „ახალი ქართლის“ ყოფნა-არყოფნისა. პოეტს უდიდეს უბედურებად მიაჩნია დაკარგვა თავისუფლებისა, რომლის სანაცვლო არაფერია ამქვეყნად. პოეტს წარმოდგენილი ჰყავს თავისი სამშობლო როგორც სუმბულის ყვავილი, რომელიც ბუნების თავისუფალი წიალიდან გადარგულია ოთახში, და რომელსაც თუმცა გარეშე სიცივე ვერას აკლებს, მაგრამ ოთახის ხშულ ჰაერში ჰკარგავს თავის სურნელსა და ფეროვნებას.

მ წ ი რ ი

სუმბულო, სად არს ფეროვნება შენი საამო,
რომ შენსა მკვერტელს არ გააჩნდა დილა, სადამო?
მარტვი, სადა არს სუნი შენი, ამო და ნელი,
რომლით ათრობდა სიცოცხლის ქამთ ლამაზი ველი?

ს უ მ ბ უ ლ ი

მწირო, ხომ ხედავ, მოვკლებივარ, ჩემს სამშობლოს გულს,
ჩემთ სწორთა ყვავილთ, მშვენიერს ცას და ჩემსა ბულბულს.)
აგერ მაისი ააყვავებს ტურფად ბუნებას,
მოვა ბულბული და დაუშტვენს სიყვარულის ხმას,
ხოლო მე ხშული ბნელსა სადგურს და სვედიანსა,
ველარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტყბილ მგოსანსა!

მ წ ი რ ი

ნუ თუ ვერ ჰპოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რას საამურს,
სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ სადგურს,
სადაცა კაცი შენს შვენებას ესრეთ ინახავს,
რომ მზე ვერ გიქნობს და სიცივე ვერა დაგაზრავს?

ს უ მ ბ უ ლ ი

მაგრამ მარტვე, რა არს ჩემთვის სახლი დიდ-მშვენიერი,
ვით გააღიმებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი?

არღო მეველება გარე წყარო, ცივი, კამკამი,
არღა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი;
გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უაღერსებს
და მათველის ბუტკი მზისა სხივთა არღა უჩრდილებს.

მ წ ი რ ი

სუმბულო ტურფავ, მოიგონე მკაცრი ზამთარი,
მისგან შენ ახღა იქნებოდი უწყულოდ მკედარი,
ნახე, რა ძალუძს შენთვის მზრუნველს კაცისა ხელსა,
რომ მისი სუსხი ვერ შეგირყევს ვერც თუ ფურცელსა.

ს უ მ ბ უ ლ ი

ჰე, მწირო, სოფღად ყოვეღსა აქვს ეამი და ბოლო,
მაგრამ ამას ვწუხ, რომ უეამოდ მეღების ბოლო
ზამთრით ბუნება არა კვღება, — სეღდით იმოსვის,
რომ თაღისს სატრფოს, გაზაფხულსა, განეშორღების
და მყის ვითარის შეენებითა კვღავ შეიფურცელის,
ოღღეს მერცხაღნი ახარღბენ მოსვღას საყვარღისი
ახ, როღდის ვნახო მეცა ვეღად ჩემი ბულბული,
რომ განვიშაღო კვღავ სიტურღით მისი სუმბული

• • •

გავეცნოთ ამის შემდეგ ბარათაშვილის პოემას „ბეღი ქარ-
თღისა“, ახალი ქართული პოეზიის ამ ერთ-ერთ უღიადღეს
ნაწარმოღებს.

პოემის დასაწყისში ჩვენ წინაშე იშღება სურათი აღა-მაჰ-
მაღ-ხანის მიერ აოხრღებული საქართვეღოს დეღაქაღაქისა.

მრავაღთ ყმაწვიღთ-კაცთ, ნუგეშთა ქართღის,
დასღვეს აქ თაღი მამულსათღისი
აწ საფღავიღა არსად არს მათღვის,
ჰაერში განქრა მათი სახელი
და ეამთ მოწამე საღამე ძეღლი
არ გვიკაღღაღებს მათთა საქმეღთა;
ღღემიღნი ჰფარღვენ ერთგულთა ძეღთა!..
მაგრამ, ჰოი გმირღო, ნუ შეშფოთღდებით,
თქვენ სახსოვარი გაქვეთ თვეთ განღებით:
რაც ერთხეღ ცხოვღად სულს დააჩნღების,
საშვიღიშვიღლოდ გარღღიღემის.

ასეთია ტრაგიკული ფონი პოემისა, — ჩვენ წინ აღსახებიან დაუმარხავი გმირების აჩრდილები და საქართველოს აოხრებული დედაქალაქის სილუეტი.

კრწანისის ტრაგედის შემდეგ ქვეყნის ჭირნახული მოამაგენი ერეკლე მეფე და სოლომონ მსაჯული „ქართლისა ბედსა განსამართლებენ“.

საქართველოს ძველი გამოცდილი ხელმძღვანელი, გმირი ერეკლე, ჰყრის ფარ-ხმალს. ერეკლეს გულმა „გარდაწყვიტა ბედა ქართლისა“.

ეს არ არის სულმოკლეობის ნაყოფი. ეს არის გმირის ტრაგიკული გადაწყვეტილება.

ერეკლე გრძნობს, რომ საქართველოს „უბედობისა და დარღვევის“ დროს არ არის სხვა გამოსავალი, თუ არა მფარველობა ჩრდილოეთის დიდი მეზობლისა. ეს არის ნაკლები ბოროტება, ვიდრე ია სავალალო ბედი, რომელიც მოელის ქვეყანას, თუკი საქართველო მომავალშიაც იმავე საბედისწერო განმარტობაში დარჩება, ბაიბაროსი მეზობლებით გარშემორტყმული.

მაგრამ „სულით დელვილი“ სოლომონ, ეს შეუხრელი გმირი, არ ეთანხმება მეფის რჩევას. სოლომონ აღიარებს, რომ თავისუფლება არის აეთი აიჭი, რომლის სანაცვლო არაფერია ამქვეყნად. ყველაფრის მსხვერპლად მიტანა შეიძლება, მაგრამ თავისუფლებასა კი არაა. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი გათავებული არაა:

ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება.

ვინ იყო მართალი ამ ტრაგიკულ პაექრობაში?

პოეტი გრძნობს ორკერძ სიმართლეს ორივე გმირისას.

მაგრამ თუ პოეტის გონება გაორებულია ამ ტრაგიკული დილემის წინაშე, პოეტის გული, ანთებული თავისუფლების სიყვარულით, იმის მხარეზეა, ვინც თავისუფლების დაკარგვას ვერას დროს ვერ შეურიგდება. თავის საბოლოო მსჯავრს პოეტი გამოთქვამს ქართველი დედის სოფიოს სიტყვებით:

რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული!

ვიტყვით აქვე, რომ ქართლის დედა სოფიო, ეს დიადი სახე ახალი ქართული პოეზიისა, შთააგონებს ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდ მემკვიდრეს ილიას დრამატულ პოემას „ქართვის დედა“, რომელიც ასევე შეიცავს ჰიმნს, მიმართულს თავისუფლებისადმი:

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი!

* * *

ამრიგად, თავისუფლებისაკენ მოწოდებით სრულდება ეს ისტორიული პაექრობა ქართველი ხალხის ღვაწლმოსილ მოამაგეთა, „სულით მამაცთა“, ერეკლესი, სოლომონ მსაჯულისა და ქართლის დედის სოფიოსი, რომელნიც „ქართლისა ბედსა განსამართლებენ“.

ამის შემდეგ სიტყვას იღებს თვით პოეტი და მონოლოგში რომელიც მიმართულია წარსულის დედათა მიმართ („ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო“), პოეტი ქებას შეასხამს მათ, რომელთაც თავისი მალალი სულით, შრომითა და თავდადებით დაიცვეს წარსულში მამული.

პოეტი ამავე დროს ეხება თავის თანამედროვეთა. იმ ნაწილსაც, რომელთაც უცხოეთის ქარმა „გარდაუცვალა გული ცხოველი“, დაივიწყეს მამული, და რომელნიც ამას იტყვიან: „ჯანი გავარდეს აწ შეილსაც, მამულს, ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს; რის ქართველობა, რა ქართველობა! მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა“.

აქაც ნიკოლოზ ბარათაშვილს ეხმაურება მისი დიდი მემკვიდრე ილია თავის მეორე ლექსში იმავე სახელწოდებით — „ქართველის დედას“ („ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა უწინ მამულსა უზრდიდა შეილსა...“). ბარათაშვილის მონოლოგში და ილიას ლექსში ჩვენ გვაქვს ერთი და იგივე მაგისტრალი.



ბარათაშვილის პოემას „ბედი ქართლისა“ განუზომელი გავლენა ჰქონდა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე. მომდევნო ეპოქის ქართული მწერლობა ისევ და ისევ უბრუნდება „ახალი ქართლის“ იმ საჭირობოროტო საკითხებს, რომელიც ასეთის სიმწვავეთ, ასეთის გაბედულებით, ასეთის ტრაგიკული სიმკვეთრითა და პირდაპირობით აღძრა პოეტმა. მე-19 საუკუნის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია აქ პოულობს თავის დასაყრდენს, აქედან გამოდის, იზრდება, მიემართება ახალი იდეალებისაკენ. ნ. ბარათაშვილი არის დიდი მოძმე ილია ჭავჭავაძისა. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ არის მომდევნო ეპოქის პასუხი იმ საკითხზე, რომელიც ნ. ბარათაშვილმა აღძრა.

ბარათაშვილის პოემის განსაკუთრებული რეზონანსი გამოწვეულია ამ ნაწარმოების დიდი იდეური მიზანდასახულობით. დიდია ასევე მისი მხატვრული ღირსებები. „ბედი ქართლისა“ ნამდვილი მონუმენტალობით არის აღბეჭდილი, იგი თითქოს ერთი ზოლიდან არის გამოკვეთილი. კეთილშობილი მკაცრი სტილი, ეკონომია პოეტური სიტყვისა, სამკაულებს მოკლებული მხატვრობა დაურღვეველ ჰარმონიაში იმყოფება იმ ტრაგიკულ სულისკვეთებასთან, რომლითაც გამსჭვალულია პოემა.

რომანტიკოსი ბარათაშვილი „ბედი ქართლისა“-ში თავისი მხატვრული მანერით გვევლინება, როგორც რეალიზმის წინამორბედი ახალ ქართულ მწერლობაში. ბარათაშვილმა მოგვცა თავის პოემაში ის თავისებური შერწყმა რომანტიზმისა რეალიზმთან, რომელიც ახასიათებს მე-19 საუკუნის ქართული პოეზიის საუკეთესო ძეგლებს, აძლევს ახალ ქართულ ლიტერატურას თავის ტონს, თავის სახეს.



დასასრულ, ბარათაშვილის „მერანის“ შესახებ.

„მერანი“-ს უკვდავ სტროფებში ბარათაშვილმა გამოამჟღავნა სრულის შეურიგებლობით თავისი პროტესტანტული სულიაკვეთება, თავისი მეამბოხე სული.

ბარათაშვილის „მერანი“-ს რეზონანსი ახალ ქართულ მწერ-

ლობაში არანაკლებ ძლიერი იყო, ვიდრე პოემის „ბედი ქართლისა“. ბარათაშვილის „მერანის“ ქროლამ ქართულ მწერლობაში ახალი სული დაამკვიდრა.

თავდაპირველად შეეჩერდებით ამ ნაწარმოების ლიტერატურული გენეზისის საკითხებზე.

გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ბარათაშვილის „მერანის“-ს ლიტერატურული პროტოტიპი იყო ადამ მიცკევიჩის „ფარისი“. ეს პოემა მიცკევიჩისა ერთი უბრწყინვალესი ძეგლია პოლონური პოეზიისა. მიცკევიჩმა იღუა ამ ნაწარმოების არაბული თქმულებიდან აიღო.

რამდენად სწორია ეს მოსაზრება, რომელიც ბარათაშვილის „მერანს“ მიცკევიჩის „ფარისთან“ აახლოებს?

აქ საჭიროა თავდაპირველად ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საზოგადოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური შემოქმედება უაღრესი ორიგინალობით არის აღბეჭდილი. ბარათაშვილის პოეტური შთაგონება, ფილოსოფიური ხილვა, თემის გაშლა — განუმეორებელ თავისებურებას წარმოგვიდგენს.

ავიღოთ მაგალითისათვის ისეთი უნივერსალური თემატიკა, როგორც არის „ვარდ-ბულბულიანი“. ვინ არ შეხებია ამ თემას ძველქართულ მწერლობაში, ვის არ უწერია „ვარდისა და ბულბულის“ მიჯნურობაზე!.. მაგრამ ბარათაშვილმა შექმნა ამ რკალში უაღრესად ორიგინალური პოეტური ქმნილება, სრულებით ახალ მხატვრულ ასპექტში წარმოგვიდგინა ეს თემა, სრულებით ახალი ფილოსოფიური შინაარსით აავსო იგი.

„ვარდ-ბულბულიანში“ ჩვეულებრივი ქარგაა ბულბულის მიჯნურობა ვარდისადმი, ხოლო ბარათაშვილის „ვარდისა და ბულბულში“ პოეტის ხილვას იპყრობს სულ სხვა რამ, წამიერი ხანმოკლეობა თვით ვარდის ფურცლობის, წარმავლობა მშვენიერებისა.

ბარათაშვილის „ვარდ-ბულბულიანთან“ დაკავშირებით ჩვენ საგანგებოდ გავეცანით ვარდისა და ბულბულის პოეტიკას და არათუ ძველ-ქართულ მწერლობაში, არამედ საერთოდ აღმოსავლურ პოეზიაში, არც ირანულსა და არც არაბულში, ასეთი დამუშავება „ვარდისა და ბულბულის“ თემისა არსად მოიპოვება:

ანდა ავიღოთ „ნაპოლეონის“ თემატიკა. ბარათაშვილის

„ნაპოლეონ“ სხვაა, ვიდრე ნაპოლეონი პუშკინისა, ლერმონტოვისა, ტიუტჩევისა, ან ნაპოლეონი ბაირონისა და ჰაინესი. ბარათაშვილის „ნაპოლეონში“ მოცემულია სრულებით განსხვავებული ფილოსოფიური და მხატვრული აქცენტი.

თუ ეს ითქმის „ვარდსა და ბულბულზე“ ან „ნაპოლეონზე“, მით უფრო დანარჩენი პოეტური მემკვიდრეობა ნ. ბარათაშვილისა, დაწყებული მისი ადრინდელი უბრწყინვალესი შედეგრიდან „შემოღამება მთაწმიდაზედ“ და დასრულებული ლექსებით „ვპოვე ტაძარი“, „სუმბული და მწირი“, „ჩინარი“ და სხვები, ასევე აღბეჭდილია განსაკუთრებული ორიგინალობით.

დაუვბრუნდეთ ამის შემდეგ ბარათაშვილის „მერანს“.

ერთადერთი ნაწარმოები ბარათაშვილის პოეტურ მემკვიდრეობაში, რომლის ლიტერატურულ საწყისებს თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც თითქოს ვამჩნევთ, ეს არის ბარათაშვილის „მერანი“.

მაგრამ ბარათაშვილის ნაწარმოების პროტოტიპი ჩვენ გვაქვს ძველ-ქართულ პოეზიაში და არა მიცკევიჩის „ფარისში“. დეტალური ლიტერატურული ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ „მერანსა“ და „ფარისს“ შორის არ არის ისეთი სახის პარალელები, რაც მათ კავშირზე მიუთითებდეს. ბარათაშვილის „მერანსა“ და მიცკევიჩის „ფარისს“ შორის არაფერია საერთო გარდა იმისა, რომ მიცკევიჩის „ფარისში“ წარმოდგენილია უდაბნოში გაჭრილი ბედუინი. ხოლო პოეტური სტილი, კოლორიტი, თვით თემატიური რკალი, და რაც მთავარია — იდეური გამიზნულობა — არსებითად დაშორებულია ერთმანეთს. ამას გარდა აქ გვაქვს განსხვავება ჟანრისაც. მიცკევიჩის „ფარისი“ არის ბალადა-პოემა, ხოლო ბარათაშვილის „მერანი“ ლირიკული ნაწარმოებია.

თუკი რომელსამე ლიტერატურულ ნაწარმოებს ენათესავება ბარათაშვილის „მერანი“, იგი არა მიცკევიჩის „ფარისს“, არამედ ქართული ლიტერატურის დიდი ფუძემდებლის შოთა რუსთაველის პოემას ეხმაურება¹.

¹ აღვნიშნავთ, რომ ამ ლიტერატურულ ფაქტისათვის ყურადღება მიუქცევია აგრეთვე პოეტს სიმონ ჩიქოვანს, როგორც ეს პირადი აზრთა გაზიარების დროს გამოიკვია.

ქ საჭიროა ამავე დროს ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ როდესაც აქ „მერანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ნათესაობაზე მივუთითებ, მე შორს ვარ მტკიცებისაგან, თითქოს „ვეფხისტყაოსანში“ გვქონდეს რაიმე უშუალო პროტოტიპი „მერანისა“. რუსთაველი და ბარათაშვილი ეს ორი სხვადასხვა პოეტური მსოფლიოა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „მერანში“ მაინც შეინიშნება ზოგიერთი შეხვედრითი ხაზები რუსთაველთან, ამასთან ეს შეხვედრა ზოგჯერ მეტად მნიშვნელოვანია იდეურად. არის ნაწილობრივ შეხვედრა პოეტურ ინვენტარშიაც.

ეს კითხვა იმდენად საგულისხმოა, რომ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას ამ საგანზე.



თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ ძირითადი პოეტური სახე ბარათაშვილის ქმნილებისა — თვით პოეტური სახე „მერანი“ — წარმოადგენს რემინისცენციას რუსთაველის პოემიდან.

ანაზღად მოყმე გამოჩნდა, კუშტი, პირ-გამქუშავია,
ზედან ჯდა შავსა ტიქსა, მერანი რამე შავია...
ტიპი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად...

• შემდეგ, ბარათაშვილის „მერანის“ ცენტრალური იდეა:

ცუდად ზომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

ბარათაშვილის თავგანწირული მხედარი, ველად გაჭრილი, რათა „მოძმესა მისსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“ უნებლიეთ გვაგონებს სხვა თავგანწირულ მხედარს, რუსთაველის პოემის გმირს აეთანდილს, რომელიც აგრეთვე გაჭრილია ველად და მოვლის მსოფლიოს, რათა მოძმესა მისსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს.

ბარათაშვილის თავგანწირული მხედარი ამბობს:

საც და მიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო
ამასვე ამბობს რუსთაველი მოძმისათვის თავგანწირული მხედრის აეთანდილის შესახებ:

რა შეუღლამდის, გარსკვლავეთა ამოსვლა იამებოდის,
მას ამსგავსებდის, ილხენდის, უქვრეტდის, ეუბნებოდის...

ამასთან განთქმული მნათობთადმი მიმართვა ავთანდილისა, რომლითაც იგი ვარსკვლავთა თანამავალთა ამცნობს გულისა საიდუმლოს, და რომელიც თავდება სიტყვებით: „აჰა, მომწმობენ ვარსკვლავნი...“ აქ არის მეტად საგულისხმო ნიშნობლივი შეხვედრა ბარათაშვილისა რუსთაველთან.

შემდეგ, ბარათაშვილის თავგანწირული მხედარი ანდერძად აგლებს:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის.

ხოლო ავთანდილის ანდერძში ვკითხულობთ:

თუ საწუთრომან დამამბოს ყოველთა დამამბობელმან,
ღარიბი მოკვლევ ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ველარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან...

აქ შეხვედრაა თვით ფრაზებშიაც; ბარათაშვილი: „ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა“; რუსთაველი: „ვერ დამიტიროს, ყ მისანდობელმან“.

ბარათაშვილის „მერანში“:

შავი ყორანი გამითხრის საფლავს... მივალალებენ სევანი მყივარნი
სახე ბარათაშვილის „მერანიდან“ „შავი ყორანი“ და თვით ეპითეტიც „მყივარი“ იძლევა პარალელს რუსთაველთან:

შენთვის მოკვდები, გავხდები ყორანთა დასაყივარად.

დასასრულ, ლეიტმოტივი ბარათაშვილის მერანისა:

გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამზღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი
დაე მოკვლევ მე უპატრონოდ მისგან ოხერი,
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი...

აქ არის ნათესაობა იმ ჰეროიკულ განწყობილებასთან, რომლითაც შთაგონებულია რუსთაველის გმირის ავთანდილის სიტყვები:

ხამს თუ კაცი არ შეუდრკეს ჰირს, მიუხდეს მამაცურად
...ვერ დაიტირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალ-გულოვანი,
ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.

ამრიგად, რუსთაველსა და ბარათაშვილს შორის, მიუხედავად მათი პოეტური ბუნებისა და მხატვრული სტილის რადიკალური სხვაობისა, არის საგულონახმო შეხვედრის ხაზები. ბარათაშვილის „მერანში“ იგრძნობა რუსთაველის პოეზიის სტიქია¹.

მაგრამ, რასაკვირველია, ბარათაშვილის „მერანის“ გმირი თავგანწირული მხედარი მაინც სრულებით სხვაა, ვიდრე რუსთაველის თავგანწირული მხედარი ავთანდილი, ისევე როგორც სხვაა მე-12 საუკუნის საქართველო და ბარათაშვილის ეპოქის „ახალი ქართლი“.

—

„მერანი“, ისევე როგორც „ბედი ქართლისა“, ცენტრალური ნაწარმოებია ბარათაშვილის პოეტურ მემკვიდრეობაში. „მერანში“, ახალი ქართული პოეზიის ამ ჭეშმარიტად დიად ქმნილებაში, აღბეჭდილია პოეტის მღელვარე სულისკვეთება, თავისუფლების სიყვარულით მგზნებარე სული.

„მერანში“ მოიხმის ახალი მოწოდება.

თუ „სუმბულსა და მწირში“ ბარათაშვილი მხოლოდ იგლოვს ელეგიურის ტონით დაკარგვას თავისუფლებისას; თუ „ბედი ქართლისაში“ ბარათაშვილი ეჭვებით შეპყრობილია, ვერ დაუძლევია შავად მღელვარე ფიქრები და ტრაგიკულ გაორებას განიცდის, „მერანში“ — სტიქიონისებური სიძლიერით გამომხეტქა პოეტის პროტესტანტულმა სულისკვეთებამ და თავისუფლების უძლეველმა სიყვარულმა.

¹ არაა ინტერესს მოკლებული აღნიშნით ამასთან, რომ გარდა „მერანი“-სა, ბარათაშვილი ენათესავება რუსთაველის პოეზიას სხვაგანაც; ასე, ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკის უშესანიშნავესი ძეგლი „ჩინარი“ აგრეთვე შეიცავს საგულისხმო პარალელს რუსთაველთან:

ბარათაშვილის „ჩინარი“:

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის,
და უცხოველს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!“

რუსთაველი:

„რადგან ვარდი ამას იტყვის უსულო და უასაკო...“

ბარათაშვილის ფილოსოფიური ხილვა — „უასაკო და უსულო“ ბუნების საიდუმლოებით აღსავსე საუბარი, — თუმცაღა მოცემულია სხვა ასპექტში, მაგრამ მაინც ეხმაურება რუსთაველის „უსულო და უასაკო“ ვარდის საუბარს.

„მერანი“ ნამდვილი ჰიმნია გმირობისა. აქ გადმოცემულია ტიტანური, ქართველიანი ამბოხება ადამიანის სულისა. თავგანწირული მხედარი ეკვეთება თვით ბედისწერას, მის ნებისყოფას ვერ ბორკავს ვერავითარი ეჭვი, მას არ აშინებს თვალბედითი ყორნის ჩხავილი, მისი მერანი მისცემია დაუსრულებელ ქროლვას, იმ რწმენით, რომ გზა უვალი მისგან თელილი მაინც დარჩება, და მის შემდგომად მოძმესა მისა სიძნელე გზისა გაუადვილდება.

ბარათაშვილის მერანის საზღვარდაუდებელი გიჟური სიბოლა ეს არის აჯანყება განწირულის სულისა, აჯანყება გმირული, მაგრამ თითქოს უიმედო; მაინც პოეტს იღუმალის გრძნობა ეუბნება, რომ ამაოდ არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება.

ბარათაშვილმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვანი დაირწევა, რომ დაიბადება გმირი, რომელიც სვეყნად თავისუფლების მზეს მოიტანს; მაგრამ ბარათაშვილი გრძნობს ამას პოეტური გენიის წინასწარმეტყველური წინათგრძნობით და ეგებება მომავლის გმირს თავისი მერანით.

X

ნ. ბარათაშვილის ცხოვრების უკანასკნელი წლები. კოეტიხის ხვედრი

დავუბრუნდეთ ნ. ბარათაშვილის ცხოვრების ქრონიკას.

1844 წლის დასაწყისში ნ. ბარათაშვილმა მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა და ამან, თვით მისივე სიტყვით, დიდი გავლენა იქონია პოეტზე.

ერთ წერილში ნ. ბარათაშვილი სწერს ზაქარია ორბელიანს:

„შენმა წერილმა, რომელიც აღსავსეა სევდითა და დაღლილობით ცხოვრების ბობოქარი დინების გამო, ღრმა გამოძახილი ჰპოვა ჩემს სულში, თუმცა ამისთვის ჩვენ სხვადასხვა მიზეზი გვაქვს. მე ძალიან ავად ვიყავი, კინაღამ ელვისიოსის მინდვრებში არ გადავსახლდი. აქამდე არავითარი ავადმყოფობა რომ არ ვიცოდდი, ახლა ვიგრძენი მისი უცნაური ზემოქმე-

დება, ალბათ ეს გრძნობა მთელი სიცოცხლის მანძილზე გამო-
ყვება. ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომელობამ, ადამიანის
სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაო-
ებამ საშინელი სიცალიერით აღავსეს ჩემი სული.

„მე რომ პატარა დამოუკიდებელი მდგომარეობა მქონდეს,
ახლავე მიატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუ-
მაძღრობით, და დამშვიდებული და მოსვენებული გავატარებ-
დი პატრიარქალურ ცხოვრებას მარტივი ბუნების წიაღში, რო-
მელიც ასე დიდებული და მშვენიერია ჩვენს სამშობლოში“.

მაგრამ პოეტს ამის შემდეგ საერთოდ არ დარჩენია დიდი
დღე. წლი-ნახევრის შემდეგ იგი უკვე ქვეყნად აღარ იყო.



უკანასკნელი წელი ნ. ბარათაშვილმა მეტწილად საქართვე-
ლოს გარეთ გაატარა.

პოეტი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და
გადახვეწილიყო უცხოეთში; სადაც იგი ასე უღროოდ დაი-
ღუპა.

აქ ჩვენ გავეცნობით იმ მართლაც ტრაგიკულ, გამოუვალ
მდგომარეობას, რომელიც შექმნილა პოეტის გარშემო უკანას-
კნელ წლებში, რამაც აიძულა იგი სამშობლოს მოშორებოდა
და რამაც ასე უღროოდ შეიწირა პოეტის სიცოცხლე.



თავდაპირველად აქ საჭიროა შემდეგი აღინიშნოს.

ცარისტულ ხელისუფლებას, თავისთავად ცხადია, შეუძრ-
ნეველი არ დარჩა, რომ ნ. ბარათაშვილი გახდა ცენტრი, რომ-
ლის გარშემო ერთიანდებოდა ყველა ცოცხალი ძალა ქვეყნისა,
რომ ნ. ბარათაშვილი არის ნამდვილი ხელმძღვანელი გონებ-
რივი მოძრაობისა საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ თვით ნ. ბარათაშვილი არცთუ დიდ
სიფრთხილეს იჩენდა (ცნობილია, მაგალითად, რომ მან საჯა-
როდ აუგად მოიხსენია იმპერატორი ნიკოლოზ I).

ნუ დაგვაევიწყდება ამასთან, რომ 1832 წლის შეთქმულების

ეპოქა არც ისე შორეული წარსულის საქმე იყო და ხელისუფლება ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ცოცხალი აზრის ყოველგვარ ნასახს. მით უფრო შეუძლებელია ხელისუფლებას შეუმჩნევლად დარჩენოდა იგი, ვინც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების აშკარა მქადაგებლად გამოდიოდა.

ბარათაშვილი აღფრთოვანებით შეხვდა შეთქმულთა გადასახლებიდან დაბრუნებას საქართველოში:

ჟამთ-კითარებით გ ა რ დ ა ხ ვ ე წ ი ლ თ შენტ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხ მ ა ს ა ა მ ო...

კერძოდ, ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, რომლის თავისუფალი ხასიათი, როგორც ცნობილია, აფიქრებდა თვით პოეტის მეგობრებს, ჯერ კიდევ 1839 წლიდან გავრცელდა ქართულ საზოგადოებაში. ცარისტული ხელისუფლებისათვის იგი, ცხადია, იმთავითვე ცნობილი გახდა. მით უფრო, რომ თვით პოეტი, როგორც მოვიხსენეთ, არ იჩენდა დიდ სიფრთხილეს და იგი თავისი პოემის საჯარო კითხვასაც კი აწყობდა.

ამრიგად, სრულიად უეჭველია, რომ ნ. ბარათაშვილი თავიდანვე უნდა გამხდარიყო და გამხდარა კიდევ ცარისტული ხელისუფლების მუდმივი მეთვალყურეობის საგანი.

აქ საჭიროა შევჩერდეთ იმაზე, თუ როგორი თანდათანობით იკვრებოდა პოეტის გარშემო მოჯადოებულნი წრე.

* * *

ყველასათვის ცნობილი იყო, და მით უფრო ხელისუფლებისათვის, რომ ნ. ბარათაშვილს აუტანელ ტვირთად დააწვა გაძლოა დიდი ოჯახისა, რომელიც ერთ დროს ერთი პირველი ოჯახთაგანი იყო თბილისში, ხოლო ახლა სრულ სილატაკეს განიცდიდა.

ნ. ბარათაშვილი მუდამ რაინდული თავგანწირვით პატრონობდა უმწეოდ დარჩენილ ოჯახს; ნ. ბარათაშვილის ახალგაზრდობა შეიწირა ამ აუტანელმა ტვირთმა.

ამავე დროს საჭიროა აღინიშნოს შემდეგი. რაკი ნ. ბარათაშვილის ბედი თავიდანვე ისე უკუღმართად მოეწყო, რომ

ნ. ბარათაშვილი იძულებული გახდა ყმაწვილობის წლებიდანვე სამსახურში ჩაბმულიყო ოჯახური პირობების მიზეზით, — ნ. ბარათაშვილს თითქო უბრწყინვალესი სამსახურებრივი კარიერა უნდა გაეკეთებინა. ამას ხელს უწყობდა ყველაფერი, მისი შთამომავლობა უპირველესი არისტოკრატიული ოჯახიდან, პრესტიჟი და მდგომარეობა თავად-აზნაურობის მარშლის სახლისა, ამავდროს ის ახლო ურთიერთობა, რომლითაც დაკავშირებული იყო უმაღლეს ხელისუფლებასთან ოჯახის ფართო და გავლენიანი ნათესაური წრე, ხოლო, რაც მთავარია, განსაკუთრებული მომზადება თვით ნ. ბარათაშვილისა, ყველასაგან აღიარებული მისი დიდი უნარი საქმისა.

მიუხედავად ამისა, ნ. ბარათაშვილი მთელი 10 წელიწადი, 1835 წლიდან 1844 წლამდე, იძულებულია იმსახუროს უბრალო კანცელარისტად, მისთვის სხვას ვერაფერს იმეტებენ... ვიდრე 1844 წლის დასასრულამდე იგი ჰყავთ სასამართლოს პალატის უბრალო „სტოლონაჩაღნიკის“ თანამდებობაზე, სადაც მას უხდება მძიმე, ამასთან ყოველად უმაღური, აუტანელი, სულის შემმუსრავე მუშაობის შესრულება.

ჩვენ ვხედავთ ნ. ბარათაშვილის წერილებიდან, თუ როგორ ეკვროდა სული ნ. ბარათაშვილს ამ მართლაც სულის შემმუსრავს გარემოში, რომელშიაც იგი — როგორც საპყრობილეში — მაგრად ჩაკეტილი აღმოჩნდა და საიდანაც თავის დაღწევას ვეღარ ახერხებდა ოჯახური პირობების გამო.

ნუ დაგვავიწყდება ამასთან, რომ ნ. ბარათაშვილის ასეთი განაპირება ხდება მაშინ, როდესაც სხვები, ნ. ბარათაშვილის იმავე საზოგადოებრივი წრიდან გამოსულნი, ნ. ბარათაშვილის თანატოლი და მასზე ახალგაზრდა ამხანაგები, რომელთაგან ზოგი საზოგადოებრივი იერარქიითაც ნ. ბარათაშვილზე დაბლა იდგა, თავიდანვე, პირველ წლებშივე ბრწყინვალე კარიერას იწყებენ, მათ წინ ხსნილია ყველა გზა.

ამრიგად, ჩვენ წინაშე სრულიად ნათელი სურათია...

* * *

აქ აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი:

1839—1845 წლებში ნ. ბარათაშვილის მამა მელიტონი პენსიაზე იმყოფებოდა და ხშირად ავადმყოფობდა (1839 წლისათვის მელიტონი 45 წლისა იყო).

მელიტონი ცდილობდა მიშველებოდა ოჯახს და შეემსუბუქებინა შვილის აუტანელი ტვირთი; მელიტონმა მრავალგზის მიმართა ხელისუფლებას თხოვნით, მიეღოთ მხედველობაში მისი დამსახურება და გაემწესებინათ სამსახურში. მელიტონს თავაზიანად ჰპირდებოდნენ, რომ „მიიღებენ მხედველობაში“ მის თხოვნას — (ერთ თხოვნაზე პირდაპირ ასე აწერია: „ИМЕТЬ В ВИДУ“!), — მაგრამ საბოლოოდ ასეთი არა ერთგზისი თხოვნა ყოველთვის უშედეგოდ რჩებოდა.

ამავე დროს მელიტონს არ უცხადებდნენ მიზეზს, თუ რით არის გამოწვეული მისი ასეთი განაპირება.

ასე უქმად და უსამსახუროდ ატარეს მელიტონი მთელი წლები (1839—1844 წლების მანძილზე) და ვერავითარ გარკვეულ პასუხს ვერ ეღიროსა.

რა იყო ამის მიზეზი?

როგორც ჩანს, მელიტონ ბარათაშვილის მთავარი დანაშაული ის იყო, რომ იგი იყო მამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა, «ბედი ქართლისა»-ს ავტორისა.

* * *

დადგა 1844 წელი.

1844 წელს ნ. ბარათაშვილი იძულებული ხდება დასტოვოს საქართველო და მიდის უცხოეთში, ჯერ ნახიჩევანში, შემდეგ განჯაში, საიდანაც იგი ცოცხალი ვეღარ დაუბრუნდება თავის სამშობლოს.

საქართველოდან წასვლა ნ. ბარათაშვილისა შემდეგით იყო გამოწვეული და შემდეგ პირობებში მომხდარა.

1844 წელს ნ. ბარათაშვილის ოჯახი უკვე სრული სიღატაკის პირას დადგა.

თუ სადამდე იყო მისული ოჯახის გაღარიბება, შესაძლოა წარმოვიდგინოთ იმის მიხედვით, რომ, როდესაც ნ. ბარათაშვილი გარდაიცვალა (1845 წელს), ოჯახს არ ჰქონდა იმისი შეძლებაც კი, რომ შავებით შემოსილიყო...

ეს არ არის გადამეტებული, გადმოცემით გაზვიადებული მოთხრობა, ეს არის, როგორც დასტურდება, სრული სინამდვილე. ბარათში, რომელიც დაწერილია ნ. ბარათაშვილის ოჯა-

ხის მეგობრის დიმიტრი ყიფიანის შიერ იმავე დღეებში, როდესაც გარდაცვლილა ნ. ბარათაშვილი, ჩვენ ვკითხულობთ:

«Семейство его терпит столько недостатка, что они не имеют возможности даже облечь себя по обычаю в траурное одеяние»¹.

აი ასეთ უკიდურესობამდე ყოფილა მისული ნ. ბარათაშვილის ოჯახი უკანასკნელ წლებში..



1844 წლის დასასრულს მოხდა ამას გარდა ერთი ამბავი, რაც აგრეთვე შედეგია ნ. ბარათაშვილისათვის შექმნილი გამოუვალი მდგომარეობისა, და რაც ახალ კატასტროფად დაატყდა ნ. ბარათაშვილის ოჯახს.

პოეტის მამამ მელიტონ ბარათაშვილმა, რომელიც ხედავდა მისი შვილის მძიმე მდგომარეობას, ერთხელ კიდევ სცადა მიშველებოდა ოჯახს, მიშველებოდა მარტოხელად დარჩენილ შვილს და როგორმე მოწყობილიყო სამსახურში.

1844 წლის 14 ოქტომბერს მელიტონმა მიმართა კავკასიის მთავარმართებელს ნეიდგარდტს თხოვნით, რომ დაენიშნათ იგი რაიმე თანამდებობაზე, რაც მის ძველს დამსახურებას შეეფერებოდა.

16 ოქტომბერს მელიტონის თხოვნა მოხსენდა მთავარმართებელ ნეიდგარდტს, მაგრამ მთავარმართებელმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამჭერადაც არ ისურვა ნიკოლოზ ბარათაშვილის მამის სამსახურში განწესება.

მელიტონმა ვერ აიტანა ეს ლახვარი, რომელიც სწორად აღმოჩნდა დამიზნებული. მელიტონს, დარდით შეპყრობილს, დაეცა დამბლა.

მელიტონი, რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო დიდად მოხუცებული (იგი 50-ე წელში იყო გადამდგარი), ამის შემდეგ აღარ გამობრუნებულა და მთელი წლები დამბლად იყო ლოგინად ჩავარდნილი.

¹ იხ. დასახელებული დოკუმენტის ტექსტი: „ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის ახალი მასალები“, პ. გუგუშვილის პუბლიკაცია, ქურონ. „მნათობი“, 1937 წ., № 4, გვ. 138.

ბარათაშვილის ოჯახის მეგობრებისათვის ამის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ოჯახი უკვე საბოლოოდ დაინგრა და მოიშალა.

მწუხარებით შეპყრობილი გრიგოლ ორბელიანი (რომელსაც ბარათაშვილის ოჯახის ამ ახალი უბედურების შესახებ მიუვიდა ცნობა დალესტანში) შემდეგ სწერდა თავის ძმას ზაქარია ორბელიანს:

„ილიასაგან მომივიდა წიგნი, რომელშიც მაცნობებს მელიტონის დამბლობას. შენი მტერი შეწუხდეს ისე, როგორც მე ამ ამბითა. რა უნდა ქმნას სიყმითვე ეფემიამ (იგულისხმება მელიტონის მეუღლე, გრიგოლ ორბელიანის და), რით შეინახოს ესოდენი წვრილი შვილები, სრულიად ლატაკად დაშთომილნი... ამდენს ჩვენს თავის ვაი-ვაგლახს ესლა აკლდა... რა ვუყოთ, რითა ან როგორ შევეწივნეთ უსახლკაროსა, უპუროსა, უტანისამოსოსა ჩვენს დასა. ეს ფიქრი მაგიჟებს სრულიად, ნეტავი მოკვდე და მოვრჩე“¹.

ამ წერილის მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის მართლაც ყოვლად სავალალო მდგომარეობა, რომელშიაც ამ დროს ბარათაშვილის ოჯახი იმყოფებოდა.

* * *

ნიკოლოზ ბარათაშვილი ამის შემდეგ იძულებული ხდება დასტოვოს საქართველო, რომელსაც იგი ცოცხალი ველარ იხილავს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც ვიცით, მუდამ რაინდული თავგანწირვით პატრონობდა ოჯახს; შექმნილს გამოუვალ მდგომარეობაში მას რაიმე გზა უნდა გამოენახა; ნიკოლოზ ბარათაშვილს რჩებოდა ერთადერთი გზა — წასულიყო სამსახურში სადმე პროვინციაში, სადაც იმ უკაცობის დროს შრომა მეტად ფასობდა და რაც შედარებით მაინც მეტ საშუალებას მისცემდა დახმარებოდა დანგრეულ ოჯახს.

დიდი არჩევანის დრო აღარ იყო.

ნ. ბარათაშვილს დაეხმარნენ მისი ოჯახის მეგობარ-ნაცნობები და ნ. ბარათაშვილი 1844 წლის 25 ნოემბერს დანიშნეს

¹ იხ. გრიგოლ ორბელიანის წერილები, I, გვ. 106.

თანამშრომელად ლევან მელიქიშვილთან, რომელიც ამ დროს ნახიჩევანის მაზრის მმართველად იგზავნებოდა.

ჩვენ შემდეგ ვნახეთ, თუ როგორ ცინიკურად მოატყუა ხელისუფლებამ ნ. ბარათაშვილი, როგორ ტყუილად აიძულეს იგი გადახვეწილიყო მიყრუებულ პროვინციაში და უქმად ამსახურეს იქ აუტანელ პირობებში ოთხი თვე, როგორ თვალთმაქცურად აუბნიეს ცხოვრების გზები ნ. ბარათაშვილს, და ეს სწორედ მაშინ, როდესაც მისი ოჯახი დალუპვის პირას იდგა.

მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

ნ. ბარათაშვილი გაემგზავრა საქართველოდან 1844 წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

ეს პირველად იყო, რომ ნ. ბარათაშვილი სტოვებდა სამშობლო ქვეყანას.

დაცულია დამსწრეთა გადმოცემა, რომ ბარათაშვილი, უცხოეთში მიმავალი, მწუხარებით გამოეთხოვა თავის სამშობლოს.

პოეტი წინასწარმეტყველურად გრძნობდა თითქოს თავის მომავალ ბედს...

მოკვდები — ვერ ვნახავ
ცრემლსა მე მშობლიურს, —
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს...

• • •

ნ. ბარათაშვილმა პირველად დაჰყო უცხოეთში ოთხი თვე, ზამთრის თვეები (1844 წლის ნოემბრის ბოლოდან — 1845 წლის მარტის 20-იან რიცხვებამდე).

თუკი ამ დროს, პოეტის სიტყვით, თვით თბილისი იყო „ქალაქი უსარგებლო სულისა და გონებისათვის“, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა იქნებოდა მაშინ ისეთი პროვინციული ჯურღმული, როგორიც იყო ნახიჩევანი.

„ვილას მოვაგონდებით, ვილაც ორი ტლუ ბიქი გდია ნახიჩევანში“, — ჩიოდა ერთ წერილში ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად ნ. ბარათაშვილი თავის თავზე და ლევან მელიქიშვილზე. მეორე წერილში ნ. ბარათაშვილი იწვე-

რებოდა ნახიჩევანიდან: „ჩვენი აქ ცხოვრება, სწორე გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნების მეტი არა არის რა. ლევანიც (იგულისხმება ლ. მელიქიშვილი) ავად გამიხდა და თავად ბლუ იყო, უფრო დაბლუვდა სიცხისაგან. რასაც ის ნეიდგარდტს (იგულისხმება მთავარმართებელი, რომელმაც ლ. მელიქიშვილი გაგზავნა ნახიჩევანში) — სწყევლის, არ ვიცი თუ რა მოუვიდეს“.

* * *

ნ. ბარათაშვილმა უცხოეთში წასვლით ვერაფერს მიაღწია. როგორც მოვიხსენეთ, იგი სასტიკად მოტყუებული აღმოჩნდა ხელისუფლების მიერ.

საქმე შემდეგნაირად მოეწყო.

როდესაც ნ. ბარათაშვილი გაგზავნეს ნახიჩევანში, მას დაევალა მაზრის მმართველის მოადგილის თანამდებობის შესრულება. ხელისუფლება შეპირებული იყო, რომ მას დაამტკიცებდნენ ამ თანამდებობაზე.

ნ. ბარათაშვილი ნახიჩევანში ჩასვლისთანავე შეუდგა კიდევ მმართველის მოადგილის მოვალეობის ასრულებას და ოთხი თვის განმავლობაში ფაქტიურად ასრულებდა ამ თანამდებობას. მაგრამ ოთხი თვის შემდეგ, 1845 წლის მარტში, როდესაც ლევან მელიქიშვილი წამოვიდა ნახიჩევანიდან, გამოირკვა, რომ ნ. ბარათაშვილი აღარ დაამტკიცეს ამ თანამდებობაზე, რომელსაც ასეთი დიდი ამბით შეჰპირდნენ.

1845 წლის მარტის დამლევს ნიკოლოზ ბარათაშვილი უკან გამოიწვიეს თბილისში ძველ ადგილას კანცელარისტად და იგი იძულებული გახდა ჩამობრუნებულიყო საქართველოში.

მოხსენებით ბარათში, რომელიც 1845 წლის 10 მაისს წარუდგინა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს, ნ. ბარათაშვილი აღნიშნავდა, რომ მას უსამართლოდ მოექცნენ, რომ აღრინდელი 1844 წლის 12 დეკემბრის განკარგულების თანახმად იგი ფაქტიურად ასრულებდა ნახიჩევანის მაზრის მმართველის მოადგილის მოვალეობას ოთხი თვე («в течение четырех месяцев я исполнял все поручения — относящиеся до обязанности помощника уездного начальника») და რომ იგი დააბრუნეს თბილისში მარტის ბოლოს ძველ ადგილზე კანცელარისტად მისი სურვილის წინააღმდეგ («меня возвратили на прежнее место моего служения совершенно против моего желания»)¹.

¹ იხ. დოკუმენტის ტექსტი, პუბლიკაცია შ. ჩხეტიასი, (ნ. ბარათაშვილი, 1945, გვ. 324 — 325).

ამრიგად, ნ. ბარათაშვილი ტყუილად ამსახურეს ოთხი თვის განმავლობაში აუტანელ პირობებში მიყრუებულს პროვინციაში.

თვალთმაქცობა აქ, მართლაც, ხელოვნებამდეა აყვანილი. ნ. ბარათაშვილს გარეგნულად თითქო ლოიალურად ექცევიან, მის მუშაობას ყოველთვის კარგ ატესტაციას აძლევენ, ხოლო როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, მის წინ, თითქო მაგიური კვერთხის აქნევით, იხურება ყველა გზა...

• • •

ნ. ბარათაშვილი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ხელახლა შეუდგა ზრუნვას, რომ ისევ მოწყობილიყო სადმე პროვინციაში სამსახურში. არავითარი სხვა გამოსავალი არ იყო. ოჯახის მდგომარეობა ამ ხნის მანძილზე არაფრით არ გამოკეთებულა, თუ არ გაუარესდა. მელიტონი ისევ ლოგინად დამბლად იყო ჩავარდნილი. ოჯახი სრულ სილატაკეს განიცდიდა.

დიდი ცდის შემდეგ ნ. ბარათაშვილი, რომელსაც, ჩანს, დაეხმარა მისი ოჯახის ნათესაე-მეგობართა ფართო წრე, როგორც იქნა დანიშნეს პროვინციაში, თელავის მაზრის მმართველის მოადგილის თანამდებობაზე; ისიც დანიშნეს არა პირდაპირ მოადგილედ, არამედ „მოადგილის თანამდებობის მოვალეობის აღმასრულებლად“... ნ. ბარათაშვილისათვის მაინც ველარ გაიმეტეს თუნდაც მოადგილის პოსტი...

ნ. ბარათაშვილის დანიშვნა მოხდა 1845 წლის 24 მაისს.

ნ. ბარათაშვილი ემზადებოდა კახეთში წასასვლელად, მაგრამ ერთმა გარემოებამ გამოიწვია პირვანდელი გეგმის შეცვლა. პოეტს თითქო ბედისწერა სდარაჯობდა.

ივნისის პირველ რიცხვებში ნ. ბარათაშვილი შეხვდა თავის ძველ მეგობარს მამუკა ორბელიანს, რომელიც ამ დროს იყო მმართველად განჯის მაზრისა. მამუკა ორბელიანმა წინადადება მისცა ნ. ბარათაშვილს გადასულიყო მასთან განჯაში. მას შემთხვევაც ხელს უწყობდა. მამუკა ორბელიანის მოადგილე თ. ანდრონიკაშვილი მალარიით დაავადებულიყო განჯაში და ცდილობდა კახეთში დანიშნულიყო იმავე თანამდებობაზე. მამუკამ ურჩია ნ. ბარათაშვილს შეეცვალა თავისი ად-

გილი თ. ანდრონიკაშვილისათვის და თითონ მიულო მისი თანამდებობა განჯაში. საქმის შეთანხმება მთავრობაში უკისრია თვით მამუკას.

ნ. ბარათაშვილი დათანხმდა ამ წინადადებას.

ნ. ბარათაშვილის არჩევანი, ჩანს, ორი რამით იყო გამოწვეული. ჯერ ერთი, თელავის მაზრის მმართველად იყო არაქართველი და ნ. ბარათაშვილს, ჩანს, არაფრად ესთამოვნებოდა სამსახური უცხოელის ხელქვეითად.

რაც შეეხება მამუკა ორბელიანს, მასთან ნ. ბარათაშვილს ხანგრძლივი ნაცნობობა და მეგობრობა აკავშირებდა. აქ საჭიროა მოვიხსენოთ, რომ მამუკა ორბელიანი არ არის შემთხვევითი პიროვნება იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში. მამუკა ორბელიანი იყო დიდი ქართველი პატრიოტი, მონაწილე 1832 წლის შეთქმულებისა. ამასთან განათლებული ადამიანი, მკოდნე და მოყვარული პოეზიისა. მამუკა ორბელიანი დიდი გატაცების კაცი ყოფილა. გადმოგვცემენ, რომ, როდესაც მამუკამ გაიგო პუშკინის სიკვდილი დანტესის ხელით, მას განზრახული ჰქონდა დანტესის ხმალში გაწვევა.

რაკი ნ. ბარათაშვილს უხდებოდა ოჯახის დატოვება, ბუნებრივია, რომ მან აიჩრია მამუკა ორბელიანთან წასვლა.

მამუკა ორბელიანმა ადვილად შეათანხმა მთავრობასთან ნ. ბარათაშვილის განჯაში დანიშვნის საქმე. ხელისუფლებას მხოლოდ სასიამოვნოდ რჩებოდა ნ. ბარათაშვილის ასე ადვილად მოშორება, მისი გაგზავნა ისეთ ადგილას, რომელიც ცნობილი იყო მძიმე ხაშმიანი ჰავით, რამაც უკვე იმსხვერპლა ნ. ბარათაშვილის წინამოადგილე.

უნდა აღინიშნოს ამასთან, რომ მამუკა ორბელიანი თვითონაც ახალი დანიშნული იყო განჯის მხარეში, მას ისე ხანგრძლივად არ უცხოვრია აქ (მამუკას მეტწილად საქართველოში უხდებოდა ყოფნა) და არ ჰქონდა გათვალისწინებული კარგად, თუ რას ნიშნავდა გარედან ჩამოსული არამკვიდრისათვის აუტანელი ხაშმიანი ჰავა განჯისა, რომელიც იმ დროს ავთვისებიანი მალარიის ნამდვილ ბუდედ წარმოადგენდა. მაგრამ ხელისუფლებამ სამაგიეროდ ძალიან კარგად იცოდა, რომ ეს არის მართლაც ყოველმხრივ შეფერებული გადასახლების ადგილი, რომლის აუტანელი ჰავის მსხვერპლი გახდა ხელი-

სუფლების მიერ გადაგზავნილი არა ერთი და ორი პირი, შათ შორის, როგორც მოვიხსენეთ, ნ. ბარათაშვილის წინამოაღმდეგ გილე.

ამრიგად, ყველაფერი რიგზე ეწყობოდა...

ნ. ბარათაშვილის დანიშვნა განჯაში მოხდა დაუყოვნებლივ, იმავე ივნისში.

ნ. ბარათაშვილს აჩქარებდნენ კიდევ განჯაში წასვლას.

19 ივნისს დაიწერა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ბრძანება, რათა ნ. ბარათაშვილი „დაუყოვნებლივ გაემგზავროს განჯას და შეუდგეს მოვალეობის შესრულებას“.

ამრიგად, ნ. ბარათაშვილს პირდაპირ „მოაჩეჩეს“ სამსახური ავთვისებიანი მალარიით განთქმულ განჯაში.

მართლაც, თითქოს ბედის დაცინვა იყო, რომ სწორედ მამუკა ორბელიანი, რომელიც ინატრიდა შური ეძია პუშკინის დაღუპვისათვის, უნებლიეთ გახდა ხელშემწყობი მეფის ხელისუფლების ზრახვათა შესრულებისა.



ნიკოლოზ ბარათაშვილი ჩავიდა განჯაში 1845 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში.

მთელი იმ ხნის მანძილზე, ვიდრე ნ. ბარათაშვილი ასრულებდა განჯის მხარის მმართველის მოვალეობას, მამუკა ორბელიანი იშვიათად იყო განჯაში და მხარის მართვაგამგეობის მთელი სიმძიმე ნ. ბარათაშვილს დააწვა. ეს კი განსაკუთრებით სამძიმო იყო ზაფხულის თვეებში, როდესაც ამ მხარის მომთაბარე მოსახლეობა ადგილებიდან იძვროდა და ბარიდან მთებში აღიოდა.

განჯის მხარის ადმინისტრაციული სამმართველოს ცენტრი ზაფხულის თვეებში იყო მურუთი, რომლის სახელსაც მკითხველი შეხვდება ნ. ბარათაშვილის იმდროინდელ წერილებში (მურუთი მდებარეობს განჯიდან 15 კილომეტრის მოშორებით).

თუმცა ზაფხულის თვეებში — ივლის-აგვისტოში — ნ. ბარათაშვილის ადგილ-სამყოფელი ჩვეულებრივ მურუთი იყო, მაგრამ სამსახურის საქმეთა გამო მას ხშირი მიმოსვლა უხდებოდა მხარეში, რაც მოგზაურობის იმდროინდელ პირობებში მეტად ძნელი იყო.

სამშობლოსა და მეგობრებს მოშორებული ნ. ბარათაშვილი სევდით არის შეპყრობილი.

წერილებში, რომლებიც მოწერილია ნ. ბარათაშვილის მიერ განჯის მხარიდან საქართველოში, ვითომდა ხალისიანი ხუმრობის ქვეშ უნებლიეთ გამოსპვივის „მოკლულის გულის ოდენ ჩივილი“. იგი განიცდის სულიერ ობლობას, სრულს მარტობას ამ უცხო გარემოში.

ერთ წერილში ნ. ბარათაშვილი ირონიული ხუმრობით სწერს თავის მეგობარს: „თუ ღმერთი არ შემეწია, გაცულელ-ღები ამდენ თარაქამებში...“

მეორე წერილს ნ. ბარათაშვილი ასე ამთავრებს: „ტყუილად ვხუმრობ...“ და იმეორებს ლერმონტოვის ლექსის სიტყვებს: „მოწყენა, სევდა!...“

შემთხვევითი არაა, რომ ნ. ბარათაშვილი რამდენჯერმე იგონებს ლერმონტოვს. იგი თითქოს გრძნობდა, რომ მათი ხვედრი ერთნაირი იყო.



ზაფხულის გასულს, აგვისტოს ბოლო რიცხვებში, განჯის მხარის ადმინისტრაციული სამმართველო ქალაქ განჯაში ბრუნდებოდა ხოლმე და ამ დროიდან ნ. ბარათაშვილის ადგილსამყოფელი მეტწილად განჯა იყო.

განჯას ახლო წარსულში ხშირად განუცდია ლეკების შემოსევა და იგი სანახევროდ დაცარიელებული იყო. ერთი მოგზაური, რომელმაც ინახულა განჯა სწორედ იმ დროს, როდესაც აქ ნ. ბარათაშვილი იმყოფებოდა, გადმოგვცემს, რომ „ქალაქს სასაფლაოს სანახაობა აქვს“ და თუმცა ბაღებით არის მოფენილი, მაგრამ ყველგან მოჩანს აოხრება-ნგრევის კვალი.

სახლი, სადაც ბინა ჰქონდა მხარის მმართველს მამუკა ორბელიანს, წარმოადგენდა, იმავე მოგზაურის სიტყვით, მოუწყობელ ქოხმასს (affreux bouge — „საშინელი ქოხი“). ჩვენ არ ვიცით, სად ცხოვრობდა განჯაში ნ. ბარათაშვილი, მაგრამ ადვილად წარმოსადგენია, თუ რა უნდა ყოფილიყო მისი სადგური, თუ თვით მხარის მმართველის სახლი „საშინელი ქოხი“ იყო.

განჯა, როგორც მოვიხსენეთ, ავთვისებიანი მალარიის ნამ-

დვილ ბუდეს წარმოადგენდა, მალარია აქ შემოდგომის პირ-ზედაც არა სცხრებოდა.

ნ. ბარათაშვილი, ჩასული განჯაში, გამხდარა ავად განჯის ავთვისებიანი მალარიით.

რომ ნ. ბარათაშვილი განჯაში მალარიის მსხვერპლი გახდა, ამას ადასტურებს ჩვენება როგორც პოეტის პირველი ბიოგრაფის კ. მამაცაშვილისა, ისე ცნობა, რომელიც დატულია დიმიტრი ყიფიანის წერილში.

დ. ყიფიანის ცნობით, ნ. ბარათაშვილი „ჰავის მსხვერპლი გახდა“ („пал жертвой климата“; წერილი რუსულად არის ნაწერი)¹. ასევე კ. მამაცაშვილი გადმოგვცემს, რომ ნ. ბარათაშვილი „დაუცხრომელ შრომასა და სამსახურში გახდა ავად განჯის ავი ციებით და გარდაიცვალა“².

აქ საჭიროა მოვიხსენოთ ამასთან, რომ სექტემბრის თვის განმავლობაშიაც მამუკა ორბელიანი საქართველოში (ახალციხის მხარეში) იყო წამოსული და ნ. ბარათაშვილს, უკვე მალარიით დაავადებულს, უხდებოდა მხარის საქმეთა ხელმძღვანელობა, ისიც ისეთ აშლილ დროში, როდესაც შემოდგომის დასაწყისში მომთაბარე მოსახლეობა მთებიდან ისევ ბარში იწყებდა ჩამოსვლას. ნ. ბარათაშვილს უხდებოდა ხშირი მიმოსვლა მხარის სხვადასხვა უდაბურ კუთხეებში, რასაც არათუ ავადმყოფი, ჯანმრთელიც ძნელად აიტანდა.

25 სექტემბრამდე მალარიით დაავადებული ნ. ბარათაშვილი ჯერ ისევ ფეხზედაა.

ორი დღით ადრე, 23 სექტემბერს, სამსახურის საქმეთა გამო ნ. ბარათაშვილს მოუხდა განჯიდან გასვლა განჯის მხარის ერთ მიყრუებულ სოფელში (სახელდობრ, სოფელ სარალარში). ნ. ბარათაშვილი, ამ დროს უკვე ავადმყოფი, როგორც ჩანს, გზაზე გაციებულა.

25 სექტემბრისათვის იგი ჩამობრუნდა განჯაში, მას უკვე ეწყებოდა ხურეება³.

¹ იხ. დიმიტრი ყიფიანის წერილი 1865 წლის 5 აპრილის თარიღით (გ. ლეონიძის პუბლიკაცია, ლიტ. მატიაზე, 1—2, 1940 წ., გვ. 408).

² იხ. კ. მამაცაშვილის მოგონებანი, გაზ. „დროება“, 1881 წ., № 232.

³ რომ ნ. ბარათაშვილი, მალარიით დაავადებული, ხურეებამ მსხვერპლა, ეს ირკვევა ჩანაწერიდან ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების გამო.

ნ. ბარათაშვილის ავადმყოფობა ხურვებით გაგრძელებულა ორი კვირა, 25 სექტემბრიდან — 9 ოქტომბრამდე.

ნ. ბარათაშვილი უცხოეთში მარტოობაში კვდებოდა, იგი მარტოხელა შეხვდა სიკვდილს, არავინ მახლობელი და მეგობართაგანი მასთან არ იყო.



ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა განჯაში 9 ოქტომბერს (ძველი სტილით — 22 ოქტომბერს ახალი სტილით).

ნიკოლოზ ბარათაშვილი დასაფლავეს განჯაშივე, მშობელნათესავთაგან და მეგობართაგან დაუტირებელი. არავინ საქართველოდან მის დასაფლავებას არ დასწრებია.

ნიკოლოზ ბარათაშვილი დასაფლავებულ იქნა განჯის მართლმადიდებელთა საქალაქო ეკლესიაში, რომელიც განჯის ციხეში იყო გაშენებული, მაღლობზე, საიდანაც შორიდან გაირჩევა საქართველოდან მომდინარე მტკვრის ხეობის სანაპიროები... მხოლოდ მტკვარმა თუ ჩამოუტანა მას უკანასკნელი გამოსათხოვარი სალამი საქართველოდან...

ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან მეორე წელს განჯაში ჩავიდა პოეტის დაავადებული დედა ეფემია და მოიგლოვა შვილის ობოლი საფლავი.

ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან მეორე წელსვე პოეტის სამარხზე საფლავის ქვა გადააფარა მისმა სიყრმის მეგობარმა ილია ორბელიანმა, იმ ილიამ, რომელსაც პოეტმა უძღვნა თავისი „მერანი“.

ვიდრე პოეტის დედა და ილია ორბელიანი ჩავიდოდნენ განჯაში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწერები გაიბნა და დაიკარგა. არავითარი კვალი პოეტის არქივისა (რომელშიაც უნდა ყოფილიყო დაცული პოემა „ივერიელნი“, აგრეთვე ლექსები, რომლებიც არ შევიდნენ 1841—1843 წლების ხელნაწერ გამოცემებში, როგორც, მაგალითად, „ასტრა“, ასევე გამოქვეყნებული ლექსების ვარიანტები, თარგმანები, მათ შორის თარგმანი დრამისა „იულიუს ტარენტელი“ და სხვ.), ასევე არა-

ვითარი კვალი უკანასკნელი პერიოდის — 1844—1845 წლების ლექსებისა არსად. ანა. არა ჩანს აგრეთვე ნ. ბარათაშვილის კორესპონდენცია (წერილები ბარათაშვილისადმი გრიგოლ ორბელიანისა, ეკატერინესი, მაიკო ორბელიანისა და სხვათა).

განვლო დრომ და დედის გარდაცვალების შემდეგ ნ. ბარათაშვილის საფლავიც მოიშალა... სამარხიდან აიღეს მეგობრის ხელით დაღბული საფლავის ქვა. ნიკოლოზ ბარათაშვილის სამარე ამის შემდეგ იცნობებოდა დიდი კვიპაროზის ხით, რომელიც მან საფლავთან იყო ამოსული...

ქეშმარიტად წინასწარმეტყველურად ასრულდა პოეტზე მისი სიტყვები:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა,
ნულა დამეცეს ტრემლი მწუხარის;
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტილის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრილით, მიწას მომაყრის!

* * *

განვლო მას შემდეგ ათეულმა წლებმა.

1876 წელს, როდესაც გამოვიდა ნ. ბარათაშვილის ნაწერების კრებული, გაზეთმა „დროებამ“ წამოაყენა საკითხი ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისა საქართველოში.

ამ საგანზე აღძრულ იქმნა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, მაგრამ უშედეგოდ; პოლიციის დეპარტამენტმა საქმე გააქიანურა და საბოლოოდ თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული.

90-იან წლებში ქართულ საზოგადოებაში კვლავ აღიძრა საკითხი ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენებისა.

ეს შესრულებულ იქნა იმდროინდელი ქართული მთავარი საზოგადოებრივი დაწესებულებების — ქართველთა შორის წერა-

კითხვის გამავერცელებელი საზოგადოების და მისი ხელმძღვანელის ილია ჭავჭავაძის თაოსნობით.

წერა-კითხვის საზოგადოების სხდომის ოქმში, 1892 წლის 9 ოქტომბრის თარიღით, ვკითხულობთ:

„საგანი განხილვისა: მოხსენება საზოგადოების თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძისა პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის გვამის გადმოსვენების შესახებ.

განჩინება: ეთხოვოს თ. გ. ორბელიანს, როგორც მახლობელ ნათესავს, ნებართვა მიიღოს გადმოსვენებისა. დაინიშნოს თანაშემწედ: თ. (ნ.) ორბელიანისა, ა. ჯუჯია და დ. კარიჭაშვილი“.

პოეტის ნათესავებს მთელი თვეები მოუხდათ ცდა, ვიდრე მიიღებდნენ მთავრობისაგან ნებართვას პოეტის ნეშტის ჩამოსვენებისა. ბოლოს როგორც იყო ნებართვა მიღებულ იქნა.

პოეტის ნეშტის გადმოსვენება მოხდა 1893 წლის აპრილში.

გაზეთი „ივერია“ ასე აგვიწერს პოეტის ნეშტის ჩამოსვენებას თბილისში 1893 წლის 25 აპრილს (ძვ. სტილით)¹:

„კვირა დილას, 25 აპრილს, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ტფილისის რკინიგზის ვაგზალზე... ვაგზლის არე-მარესა და თვით მისასვლელ მოედანზე ჰედვა იყო, იმოდენა საზოგადოებას მოეკრიბა თავი... 9¹/₂ საათზე მოვიდა მატარებელი და ვაგონიდან გადმოსვენეს კუბო ძვირფასის ნეშტით... აქ ვაგზალთან ამოდენა ხალხმა მუხლი მოიდრიკა და პატივი სცა დიდებულის მგოსნის ცხედარს. შემდეგ ეს აუარებელი ზღვა ხალხი დაიძრა და გაემართა ლიტანიით დიდუბისაკენ. ამფიონი შემკული იყო ძვირფასი სხვადასხვაგვარის გვირგვინებით და კუბო ხელში ეჭირათ ხან ქალებს, ხან ახალგაზრდობას, ხან ნათესავებს, და ისე მოასვენებდნენ. გზადაგზა რამდენიმე ხოროვ გალობდა... როცა ლიტანია მიუახლოვდა (დიდუბეს), ხალხმა კვლავ მოიდრიკა მუხლი... საფლავზე სიტყვები და ლექსები წარმოსთქვეს: აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ, ნინო ორბელიანმა, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ლოლუამ, ქუთაისის დეპუტატმა დ. ბაქრაძემ, გიორგი წერეთელმა, სომეხთა ახალგაზრდა პოეტმა თუმანიანმა, ბიძინა ჩოლოყაშვილმა და სხვებმა“.

¹ იხ. გაზეთი „ივერია“, 1893 წ., № 86.

ვაჟა-ფშაველა მთიდან გამოგზავნილი ლექსით მიესალმა ძვირფასი პოეტის ნეშტს.

ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებამ დიდი ეროვნული მანიფესტაციის სახე მიიღო. ამან საგონებელი შეუქმნა იმდროინდელ ჟანდარმერიას. ჩვენამდე შენახულა საიდუმლო მოხსენება თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსისა — გაგზავნილი პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტში 1894 წლის 7 მარტის თარიღით. მოხსენებაში აწერილია ნ. ბარათაშვილის გადმოსვენება და ხაზგასმულია მისი პოლიტიკური მნიშვნელობა. მოხსენებაში ჩვენ ვკითხულობთ:

„ქართველებმა ხელახლა წამოაყენეს მივიწყებული საკითხი განჯიდან თბილისში ქართველი პოეტის ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისა. ნ. ბარათაშვილი გარდაიცვალა ამ საუკუნის დამდეგს და დასაფლავებული იყო განჯაში. განსაკუთრებული მიზნით მოთხარეს მიწიდან რაღაც ძვლები და ეროვნული პოეტის ნეშტის სახით გადმოსვენეს თბილისში, სადაც ამ ნეშტს მიეგება მრავალათასიანი საზოგადოება და დიდი პატივით და მოწიწებით მიაბარეს მიწას.

„კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა. არა თუ ყველა წოდების პირნი ეცილებოდნენ ერთმანეთს მის წაღებაში, არამედ ქალებიც კი ცდილობდნენ როგორმე რამდენიმე ნაბიჯზე კუბოს გასვენებაში მონაწილეობა მიეღოთ. დედებს მოეყვანათ თავისი პატარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თაყუხს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს“.

ასე წერდა მტერი.

მაგრამ ამაო და უქმი იყო მტრის ნაგვიანევი საგონებელი. მშობელმა ერმა ღირსეულად დაიტირა თავისი შვილი და სამშობლო ქვეყანამ მიიბარა თბილისი პოეტის ნეშტი.

ხოლო ბევრად ადრე, ვიდრე სამშობლო მიწა მიიბარებოდა პოეტის დანაცრებულ ძვლებს, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა შევიდა ქართველი ერის გონებრივ სამკვიდრებელში, როგორც უძვირფასესი განძი. ქართველმა ხალხმა ფარზედ აზიდა ბარათაშვილი და სამარადისოდ მიიღო მემკვიდრეობა.



ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფული ხელნაწერები დაწვრილებითს მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს.

დიდი მგოსნის ხელით დაწერილი ეს ფურცლები არის არა მხოლოდ რელიქვია, ძვირფასი სახსოვარი ჩვენი პოეტისა, არამედ ეს ხელნაწერები წარმოადგენენ ერთადერთ წყაროს ჩვენი დიდი პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის აღსადგენად.

მკითხველს მოეხსენება, რომ ბარათაშვილის ნაწერებს არ ღირსებია დაბეჭდვა მის სიცოცხლეში.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ რა მძიმე ისტორიულ ხანაში მოუხდა მოღვაწეობა ნიკოლოზ ბარათაშვილს. მას შემდეგ, რაც 1832 წელს დამარცხდა „მამულის გამოხსნის შეთქმა“, საქართველოდან გადაასახლეს ქართველ მოღვაწეთა მთელი დასი, ყველა საჩინო წარმომადგენელი ქართული მწერლობისა. ცარიზმის სატრაპებმა ჩვენს ქვეყანაში უმკაცრესი ცენზურული რეჟიმი დაამყარეს. საქართველოში თითქმის შეწყდა ქართული წიგნების ბეჭდვა. შეწყდა არსებობა ქართული პრესისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სოლომონ დოდაშვილი (მეთაური 1832 წლის შეთქმულებისა, რომელიც ასევე გადაასახლეს, იგი გადასახლებაში დაიღუპა კიდეც).

აი, ამ ხანაში იწყებს მოღვაწეობას ნიკოლოზ ბარათაშვილი. ბარათაშვილის ნაწერები, როგორც მოხსენებული გვქონდა, ხელნაწერთა სახით ვრცელდებოდა და მან დიდი საზოგადოებრივი გამოხმაურება პოვა თვით პოეტის სიცოცხლეშივე, — ბარათაშვილის შემოქმედება ეს იყო სინათლის ნიშან-სვეტი ეპოქისა.

ჩვენ აქ გავეცნობით ბარათაშვილის ამ ხელნაწერებს. ბარათაშვილის ავტოგრაფები, როგორც აღვნიშნეთ, ერთადერთი წყაროა ჩვენი დიდი პოეტის თხზულებათა ტექსტის დასადგენად; ხოლო ამავე დროს ავტოგრაფების შესწავლა შუქსა ჰფენს ბარათაშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებულ მთელ რიგს მნიშვნელოვან ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფული ხელნაწერების მიმოხილვა

ვიდრე შევუდგებოდეთ განხილვას იმ დიდმნიშვნელოვან საკითხთა, რომელთაც აღძრავს ჩვენს წინაშე ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერთა შესწავლა, ჩვენ ჯერ მოგვიხდება დაწვრილებით გავიცნოთ, თუ რა ხელნაწერები მოღწეულა ნიკოლოზ ბარათაშვილისა, მათი შედგენილობა, თარიღები, სრული ისტორია ამ ხელნაწერთა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა ავტოგრაფული ხელნაწერები ორ ჯგუფად განიყოფება:

ა. ცალკეულ ლექსთა ავტოგრაფები.

ბ. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კრებულები (ლექსები და პოემა). ეს კრებულები წარმოადგენენ საზოგადოებაში გასაეცრელებლად დანიშნულს ხელნაწერ გამოცემებს.

ჩვენ შემთხვევით არ ვხმარობთ ამ გამოთქმას — ხელნაწერი გამოცემები. ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა დასახელებული კრებულები, რომელთაც ჩვენ ხ ე ლ ნ ა წ ე რ გ ა მ ო ც ე მ ე ბ ს ვუწოდებთ, წარმოადგენენ არა უბრალო შემთხვევით კრებას ავტოგრაფებისას. არამედ წ ი გ ნ ს (= ხ ე ლ ნ ა წ ე რ წ ი გ ნ ე ბ ს), სადაც გარკვეული წესით, ქრონოლოგიის მიდევნებით, დალაგებულია პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობა. ეს ხელნაწერი გამოცემები იმ ვითარებაში, რომელშიაც მოუხდა მოღვაწეობა ნ. ბარათაშვილს, ბეჭდვითი გამოცემის მაგიერობას ასრულებდნენ. პოეტის ავტოგრაფული გამოცემებიდან მზადდებოდა პირები, რომლებიც ვრცელდებოდა საზოგადოებაში.

სულ ჩვენ დრომდე მოღწეულია ტექსტი ექვსი ავტოგრაფული გამოცემისა, რომლებიც დაუმზადებია პოეტს სხვადასხვა დროს .1841 — 1843 წლების მანძილზე.

აღვნიშნავთ ამთავითვე, რომ ეს მეორე ჯგუფი ავტოგრაფებისა — ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი — მთავარი წყაროა ჩვენი პოეტის კანონიკური ტექსტის დასადგენად.

აქ ჩვენ აქ ცალ-ცალკე შევეხებით ნიკოლოზ ბარათაშვილის

ავტოგრაფების ამ ორ ჯგუფს. პირველად შეეჩერდებით ნიკოლოზ ბარათაშვილის ცალკეულ ლექსთა ავტოგრაფებზე.

• • •

ნიკოლოზ ბარათაშვილის ცალკეულ ლექსთა ავტოგრაფები

ნიკოლოზ ბარათაშვილის ცალკეულ ლექსთა ავტოგრაფები შემდეგია:

მმ = მაიკო ორბელიანისეული კოლექცია — 5 ლექსი.

ბმ = გრიგოლ ორბელიანისეული კოლექცია — 5 ლექსი.

სლ = ეკატერინე ჭავჭავაძის (სამეგრელოს დედოფლის) კოლექცია — 2 ლექსი.

მთ = მიხეილ თუმანიშვილის არქივში დაცული — 1 ლექსი.

•

1. მმ = მაიკო ორბელიანისეული კოლექცია

ლექსები, რომლებზედაც აქ გვაქვს საუბარი, მგოსანს სხვადასხვა დროს გადაუცია, ან წერილთან ერთად გაუგზავნია მაიკო ორბელიანისათვის.

როგორც მოვიხსენეთ, ამ კოლექციაში ხუთი ლექსია; ესენია:

1. „სატრფოვ, მახსოვს“ (1840 წ.);
2. „არ უკიფინო“ (1841 წ.);
3. „ვბოვე ტაძარი“ (1841 წ.);
4. „ქილის ყვაელი და მწირი“ (პირველი ვარიანტი ლექსისა „სუმბული და მწირი“) (1842 წ.);
5. „დამქროლა ქარმან“ (1845 წ.).

ეს კოლექცია ლექსებისა (აგრეთვე ხუთი წერილი ნ. ბარათაშვილისა მაიკოსადმი) მაიკოს უდროოდ გარდაცვალების შემდეგ დაუცავს ილია ჭავჭავაძის დას ელისაბედ გრიგოლის ასულ საგინაშვილისას და შეუწირავს 1893 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის.

დედნები ამჟამად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S — 2484).

2. გმ = გრიგოლ ორბელიანისეული კოლექცია

სულ ხუთი ლექსია. მგოსანს ისინი ჩაუწერია წერილებში, რომლებიც სხვადასხვა დროს გაუგზავნია გრიგოლ ორბელიანისათვის. ეს ლექსებია:

1. ა. „ძია გ(რიგოლი)სთან [მიძღვნა], ბ. „ლამე ყაბახზედ“ (1836 წ.) — ჩაწერილია წერილში 1837 წლის თებერვლის თარიღით.

2. „ვპოვე ტაძარი“ (1841 წ.) — ჩაწერილია წერილში 1842 წლის 18 ოქტომბრისა.

3. „მირბის, მიმაფრენს“ (1842 წ.) — ჩაწერილია წერილში 1842 წლის 2 მაისისა.

4. „საფლავი ივერიისა“ (პირველი ვარიანტი ლექსისა: „საფლავი მეფის ირაკლისა“) 1842 წ. — ჩაწერილია 1842 წლის წერილში.

5. „სულო ბოროტო“ (1843 წ.) — ჩაწერილია წერილში 1843 წლის 21 აგვისტოსი.

ტექსტები და ვარიანტული წაკითხვები ამ ლექსებისა ავტოგრაფების მიხედვით პირველად გამოაქვეყნეს:

1. იონა მეუნარგიამ 1884 წელს (გაზეთ „დროებაში“, № 114; 1-ა „ძია გრიგოლისთან“, 1-ბ „ლამე ყაბახზედ“);

2. ექვთიმე თაყაიშვილმა და დავით კარიჭაშვილმა 1895 წელს (ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა მეხუთე გამოცემა; ლექსები 2—5).

სად ინახება ამჟამად თვით ავტოგრაფული დედნები, სამწუხაროდ, უცნობია. ვიდრე დედნები აღმოჩნდებოდეს, პირველი პუბლიკაცია ი. მეუნარგიასი, ე. თაყაიშვილისა და დ. კარიჭაშვილისა ავტოგრაფების მაგიერობას ასრულებს.

3. სდ = ეკატერინე ჭავჭავაძის (სამეგრელოს დედოფლის) კოლექცია

ორი ლექსი, მიძღვნილი მგოსანის მიერ ეკატერინესათვის:

1. „როს ბედნიერ ვარ“ (1841 წ.).

2. „ცისა ფ: რს“ (1841 წ.).

ამ ლექსების ტექსტი, ავტოგრაფების მიხედვით, პირველად გამოაქვეყნა იონა მეუნარგიამ ილიას ქურონალ „ივერიაში“ 1882 წელს (№ IV—V).

ავტოგრაფულ დედანთა შესახებ იონა მეუნარგია შემდეგს

გადმოგვცემს: „ეს ორი ლექსი („როს ბედნიერ ვარ“ და „ცისა ფერს“) ბარათაშვილის ხელით არის დაწერილი 1/4 ფურცელ ქალაღზე. მისგან ხელმოწერილი არ არის. სინამდვილეს, ხელს გარდა, თვითონ დედოფალიც ამტკიცებს“ (იგულისხმება სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე).

სად ინახება ამჟამად დედნები ამ ორი ლექსისა — უცნობია. საფიქრებელია, რომ ისინი დაცულია ეკატერინეს ასულის სალომე დ. დიანის (მიურატის) არქივში. სალომე დადიანი დიდი თაყვანისპეცეული იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისა (იხ. ზემოთ, გვ. 84), და ძნელი საფიქრებელია, რომ ბარათაშვილის ლექსები მის ოჯახში დაკარგულიყო.

ვიდრე დედნები აღმოჩნდებოდეს, იონა მეუნარგიას პუბლიკაცია დედნების მაგიერობას ასრულებს.



4. მთ. = მიხეილ თუმანიშვილის არქივში შენახული ავტოგრაფი ლექსისა „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“ (1844 წ.).

ავტოგრაფი ამჟამად დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში (№ 16398).



ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ხელნაწერი გამოცემები

გავეცნოთ ამის შემდეგ ავტოგრაფების მთავარ ჯგუფს, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ხელნაწერ გამოცემებს, რომლებიც საზოგადოებაში გასავრცელებლად იყო დანიშნული.



I = პირველი ხელნაწერი გამოცემა 1841 წლისა¹
(მაიკო ორბელიანისეული კრებული)

ხელნაწერს წინ უძღვის ავტორისეული წარწერა-მიძღვნა მაიკო ორბელიანსადმი (ფ. 1-V).

„დაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. ვიცი, რომ წარმკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყრმა-წვილობისათა და შემობრალებ შენსა ყარიბსა ძმასა.

თ ~ ი . ნ . ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი “.

ხელნაწერი გადაწერილია 1841 წელს. წიგნის პირველ გვერდზე ავტორისეული წარწერაა: „1841 წ. ტფილისი“.

შესაძლო ხდება თარიღის უფრო დახუსტება: კრებული, როგორც ირკვევა, გადაწერილია 1841 წლის დასაწყისში, კრებულში არაა შეტანილი არც ერთი ლექსი 1841 წლისა. კრებულის გადაწერის შემდეგ მგოსანს დამატებით გაუგზავნია მაიკოსათვის 1841 წლის ზოგი ლექსი, მათ შორის პირველი ლექსი 1841 წლისა „არ უკიეინო“ (რომელიც დაცულია მაიკო ორბელიანის ზემოთ მოხსენებულ ცალკეულ ლექსთა კოლექციაში).

ბარათაშვილის ლექსების ამ ხელნაწერ გამოცემაში შეტანილია 13 ლექსი შემდეგი წლებისა, შემდეგის თანრიგით:

ბულბული ვარდზედ (1833); ქეთევან (1835); ძია გ . . . სთან (მიძღვნა), ლამე ყაბახზედ (1836); შემოლაშება მთაწმიდაზედ (1836); ფიქრნი მტკვრის პირას (1837); ნაპოლეონ (1838); ჩემს ვარსკვლავს (1837); ჩონგურს (1837); საყურე (1839); ჩჩვილი (1839); [სული ობოლი (1839); სატრფოვ, მახსოვს“ (1840)]¹; ჩემი ლოცვა (1840).

აქ საჭიროა აღენიშნოთ, რომ გამოცემა არ წარმოადგენს სრულ კრებულს. კრებული, როგორც მოვიხსენეთ, გადაწერილია 1841 წელს, ხოლო აქ არაა შეტანილი მთელი რიგი ლექსები 1836—1840 წლებისა, სახელდობრ: „ხმა იღუმალი“ (1836); „ქაჭკვაძის ასულს ეკატერინას“ (1839); „(ეკატერინა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ (1839); „აღმოხდა მნათი“ (1840). ამრიგად, 1841 წელზე ადრინდელი ლექსებიდან, რომლებზედაც მოგვეპოვება ცნობა, აქ აკლია 4 ლექსი (მათ შორის ბოლო სამი ეკატერინესადმი არის მიძღვნილი); აკლია აგრეთვე მიხ. თუმანიშვილის წერილში მოხსენებული ბარათაშვილის ლექსი „ასტრა“, რომელიც 1838 წელს იყო დაწერილი.

კრებული ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (S — 2701).

¹ ეს ორი ლექსი ხელნაწერს აკლია დეფექტის გამო.

II = მეორე ხელნაწერი გამოცემა 1841 წლისა

(ეკატერინე ჭავჭავაძისეული პირველი კრებული)

1882 წელს, ეკატერინე ჭავჭავაძის (სამეგრელოს დედოფლის) სიცოცხლეში, იონა მეუნარგიამ გასინჯა გორდში (ეკატერინეს ოჯახში) ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა კრებული 1841 წლისა. ეს არის პირველი კრებული, მიძღვნილი მგოსნის მიერ ეკატერინესადმი (აღვნიშნავთ აქვე, რომ არსებობს ამას გარდა მეორე ავტოგრაფული ხელნაწერი გამოცემა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა, გადაწერილია უფრო გვიან, 1843 წელს, რომელსაც ქვემოთ ვეხებით).

1841 წლის ამ პირველი კრებულიდან იონა მეუნარგიამ გამოაქვეყნა 1882 წელს ილია ჭავჭავაძის ყურნალ „ივერიაში“ (№ IV—V) ლექსები, რომლებიც მანამდე ბეჭდვით გამოცემებში არ იყო შესული; ეს ლექსებია:

1. ა. ძია გ(რიგოლი)სთან [მიძღვნა]; ბ. ღამე ყაბახზედ (1836);
2. (ეკატერი)ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი (1839).

იონა მეუნარგია გადმოგვცემს მის მიერ გამოაქვეყნებული ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების გამო, რომ ისინი „არის დაწერილი ბარათაშვილის ხელით მის ლექსთა კრებაში, ერთს პატარა რგვულში, ფერად ქალაღზე. რვეული არის დაწერილი 1841 წელს“.

სამწუხაროდ, იონა მეუნარგია არ იძლევა კრებულის დაწვრილებითს აღწერილობას, კრებულში შემავალი ლექსების სრულ ნუსხას, იგი ამ უცნობი ლექსების გამოაქვეყნებით კმაყოფილდება.

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა ეს კრებული, იონა მეუნარგიას უწყების თანახმად, გადაწერილი ყოფილა 1841 წელს, ე. ი. იმავე წელს, რა დროსაც ეკუთვნის ბარათაშვილის ლექსთა ზემოთ განხილული კრებული — მაიკო ორბელიანისეული.

მოცულობის მიხედვით ისინი, როგორც ირკვევა, არ ფარავდნენ ერთმანეთს. მაიკო ორბელიანისეულ კრებულში არაა შეტანილი ლექსი „(ეკატერი)ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“

(აღვნიშნავთ ამასთან, რომ ეს ლექსი არაა შეტანილი აგრეთვე არც სხვა ხელნაწერ კრებულებში).

სად ინახება ამჟამად ეკატერინე ჰავჭავაძისეული ეს კრებული 1841 წლისა, უცნობია. საფიქრებელია, რომ ეს კრებული (ორ ლექსთან ერთად — „ცისა ფერს“ და „როს ბედნიერ ვარ“) დაცულია ეკატერინეს ასულის სალომე დადიანის (მიუჩრატის) არქივში (იხ. ზემოთ, გვ. 153—154).

ვიდრე დედნები აღმოჩნდებოდეს, იონა მეუნარგიას პუბლიკაცია ავტოგრაფის მაგიერობას ასრულებს.

* * *

III = მესამე ხელნაწერი გამოცემა 1842 წლისა

(მგოსნის ეგზემპლარი)

კრებულში შეტანილია 21 ლექსი 1833—1842 წლებისა, სახელდობრ შემდეგი ლექსები, შემდეგის თანრიგით:

ბულბული ვარღველ (1833); ქეთევან (1835); კმა იღუმალი (1836); შემოლამება მთაწმიდაზელ (1836); ფიქრნი მტკერის პირას (1837); ჩემს ვარსკვლავს (1837); ჩჩვილი (1839); სული ობოლი (1839); „სატრფოვ, მახსოვს“ (1840); ჩონგურს (1837); თავადის ჰავ...ის ასულს ეკა...ნას (1839); საყურე (1839); ნაპოლეონ (1838); ჩემი ლოცვა (1840); ჩემთ მეგობართ (ორი ვარიანტით; 1841; „აღმოჰხდა მნათი“ (1840); „არ უკიეინო, (1841); „ეკპოვე ტაძარი“ (1841); ქილის ყვავილი და მწირი (=სუმბული და მწირი, 1842); თავგანწირული მხედარი (=„მირბის, მიმაფრენს“, 1842); „რად ჰყვედრი კაცსა“ (1842).

კრებული გადაწერილია 1842 წლის მაის-ივნისში. აქ არის შესული 1842 წლის პირველი ნახევრის ლექსები (ბოლო სამი ლექსი; მათ შორის ლექსს „თავგანწირული მხედარი“ ხელნაწერში მოწერილი აქვს თარიღი: 9 მაისი, 1842); ხოლო არაა შესული 1842 წლის მეორე ნახევარში დაწერილი ლექსები (იხ. კრებულები IV, V, VI).

პოეტს კრებული სამუშაო ეგზემპლარად უქცევია, ზოგიერთ ლექსებზე 1842 წელს ჩაუტარებია ახალი სარედაქციო მუშაობა. ამდენად ეს კრებული 1842 წლისა არსებული სახით წარმოადგენს ბარათაშვილის ლექსთა არა „საგარეო“ გამოცემას, არამედ მომავალი „საგარეო“ გამოცემის საფუძველს. ეს კრებული დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (H — 1.115).

III/IV = დანართი მესამე ხელნაწერი გამოცემისა

ზემოთ განხილული მესამე ხელნაწერი გამოცემისათვის, რომელიც 1842 წელს ეკუთვნის, ნ. ბარათაშვილს, უფრო გვიან, 1843 წლის ბოლოს, დაურთავს თავში ერთი რვეული (8-გვერდიანი). ამ დამატებული რვეულის მე-2 გვერდზე ნ. ბარათაშვილს ჩაუწერია სია 27 ლექსისა.

III გამოცემის ტექსტთან შედარებით სიაში ზედმეტია 6 ლექსი, რომლებიც ეკუთვნის 1842 წლის მეორე ნახევარს და 1843 წელს (ამ ექვსი ლექსიდან უკანასკნელი — „შევიშრობ ცრემლსა“ — ეკუთვნის 1843 წლის ბოლო ნეოთხედს). აღსანიშნავია ამასთან, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სათაურები ლექსებისა 27 ლექსის სიაში განსხვავდება რედაქციულად III გამოცემის სათაურებიდან.

რა დროს ეკუთვნის ეს სია, რომელ ხელნაწერ გამოცემას უდგება იგი?

შედარებით ირკვევა, რომ სია ამ 27 ლექსისა უდგება ნ. ბარათაშვილის თხზულებათა VI გამოცემას, რომელიც 1843 წლის ბოლო მეოთხედში იქნა დამზადებული (იხ. ქვემოთ); VI გამოცემა შეიცავს იმავე 27 ლექსს, ძირითადად იმავე თანრიგით (აგრეთვე სათაურების რედაქციით)¹. ამრიგად, ამ სიაში ჩვენ გვაქვს VI გამოცემის დუბლი, — ან მისი პირველი მონახაზი, ან შემდგომი პარალელი.

ამას გარდა აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი. ამ დანართი რვეულის მე-6 გვერდზე ჩაწერილია ორი ტაეპი ლექსისა, უსათაუროდ

მოახლოებულ არს აღსასრული შენი, კაცვასო,
თვალხარბო გმირო, გულუმამღროვ, ბერო კაპასო!

ეს ნაწყვეტი წარმოადგენს პირველ ჩანაფიქრს ლექსისა „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“, რომელიც პოეტმა ვრცელი ოდის სახით დაწერა (სხვა მეტრით, შაირის საზომით)².

¹ 27 ლექსის სიასა და VI გამოცემის ტექსტს შორის მხოლოდ ერთი სხვაობაა. ლექსების თანრიგში, — შენაცვლებულია რიგი მე-7 და მე-8 ლექსისა:

- VI გამოცემა:
7. „თავადის ქვე...ის ასულს
ეკა...ნას“.
 8. „ჩემს ვარსკვლავს“.

- 27 ლექსის სია:
7. წინათ დაუწერია „ეკატერინას“,
შემდეგ წაუშლია და დაუწერია
„ჩემს ვარსკვლავს“.
 8. „ეკატერინას“.

ამას გარდა მცირეოდენი სხვაობაა ლექსების დასათაურებაში:

- VI გამოცემა:
1. „ბულბული ვარდზედ“.
 6. „ჩონგური“.
 7. „თავადის ქვე...ის ასულს
ეკა...ნას“.

- 27 ლექსის სია:
1. „ბულბული და ვარდი“.
 6. „ჩონგური“.
 - 7—8. „ეკატერინას“.

² ექვთიმე თაყაიშვილი ხელნაწერის აღწერილობაში გადმოგვცემს ამას

ორ წიგნად: IV — «ლექსნი»; IV-ა — «ბედი ქართლისა»

(ეკატერინე ქავჭავაძისეული მეორე კრებული)

კრებული, რომლის ორი წიგნი («ლექსნი», «ბედი ქართლისა») ერთდროულად არის გადაწერილი, 1843 წელს ეკუთვნის. კრებულის პირველი წიგნის სატიტულო ფურცელზე ავტორის მიერ წარწერილია თარიღი: 1843.

შესაძლო ხდება თარიღის დაზუსტება. კრებული, როგორც ირკვევა, გადაწერილია 1843 წლის მეორე ნახევარში, აგვისტო-სექტემბერში (კრებულში შეტანილია ლექსი „სულო ბოროტო“, რომელიც 1843 წლის აგვისტოშია დაწერილი; ამავე დროს ეს მეოთხე კრებული შედგენილობისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით წინ უსწრებს V და VI კრებულებს, რომლებიც 1843 წლის ბოლო პერიოდს ეკუთვნის).

პირველი წიგნი კრებულისა შეიცავს 26 ლექსს შემდეგი წლებისა და შემდეგის თანრიგით:

ბუღბული ვარდზედ (1833); ქეთევან (1835); შემოლაშება მთაწმიდაზედ (1836); კმა იღუმალი (1836); ფიქრნი მტკვრის პირას (1837); ჩონგურს (1837); თავადის კ...ძის ასულს ეკ...ნას (1839); ჩემს ვარსკვლავს (1837); ნაპოლეონ (1838); საყურე (1839); ჩჩვილი (1839); სული ობოლი (1839); „სატრფოვ, მასსოვს“ (1840); ჩემი ლოცვა (1840); ჩემთ მეგობართ (1841); „აღმოჰხდა მნათი“ (1840); „არ უკიჟინო“ (1841); „ეპპოვე ტაძარი“ (1841); „მიყვარს თვალები“ (1842); სუმბული და მწირი (1842); „შენნი დალანნი“ (1842); „რად ჰყვედრი კაცსა“ (1842); „მირბის, მიმაფრენს“ (1842); საფლავი მეფის ირაკლისა (1842); კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ (1842); „სულო ბოროტო“ (1843).

გარდა, რომ ამ დამატებული რეეულის 3, 4, 5, 7 და 8 გვერდებზე „რადაც ყოფილა დაწებებული, რომელიც შემდეგ მოუცილებიათ“ (იხ. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემა, გვ. 121).

ეს დაუწერელი ფურცლები ხელნაწერისა („რომლებზედაც რადაც ყოფილა დაწებებული“) ამჟამად ხელნაწერში აღარ მოიპოვება, — ხელნაწერის რესტავრაციის დროს ეს ფურცლები ამოუღიათ.

მგოსანს თხზულებათა ეს კრებული (ორი წიგნი) მიუროთმე-
ვია ეკატერინე ჭავჭავაძისათვის 1843 წელს (იხ. ზემოთ, გვ. 82).

აქ შეეჩერდებით აგრეთვე ამ ხელნაწერის შემდგომ ისტო-
რიაზე.

როგორც მოხსენებული გვქონდა, ეკატერინე 1857 წლიდან
გადასახლდა პეტერბურგში (მთავრობის წინადადებით; ეს იყო
საპატიო გადასახლება ოდიშის დედოფლისა).

ეკატერინეს, რომელიც თაყვანს სცემდა ბარათაშვილის პოე-
ზიას, თან წაუღია რუსეთში ეს კრებული 1843 წლისა, ორივე
წიგნი¹.

აი ამ კრებულიდან გაეცნო ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბა-
რათაშვილის დიდ პოეზიას ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახში 1858
წლის ზაფხულში.

ამ ღირსსახსოვარი ამბავის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა
საუბარი სხვა ადგილას და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

შემდგომი ისტორია კრებულისა ასეთია.

კრებული, რომელიც ეკატერინეს პეტერბურგის ბინაში
ჰქონდა დატოვებული, შემდეგ დაიკარგა, ეკატერინე ამას მწუ-
ხარებით განიცდიდა.

უფრო გვიან, ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ, 1887
წელს, კრებული (ორივე წიგნი) შემთხვევით აღმოაჩინა პეტერ-
ბურგში ბუკინისტთან და შეიძინა ე. თაყაიშვილმა. კრებული
ე. თაყაიშვილმა შესწირა ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცე-
ლებელი საზოგადოების წიგნსაცავს.

მეოთხე გამოცემის ორივე წიგნი («ლექსნი», «ბედი ქართ-
ლისა») ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (S—2516,
S—2517).

¹ პირველი კრებული, 1841 წლისა, ეკატერინეს თავის ოჯახში, ოდიშ-
ში დაუტოვებია.

ორ წიგნად: V = «ლემსნი»; V-ა = «ბედი ქართლისა».

(გრიგოლ ორბელიანისეული)

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების მეხუთე ხელნაწერი გამოცემა, — კრებული ორ წიგნად, რომელიც მგოსანს გრიგოლ ორბელიანისთვის მიუერთმეგია, დაედო საფუძვლად ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველ ბეჭდვით გამოცემას, რომელიც 1876 წელს გამოვიდა პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით.

თუ სად ინახება ამჟამად გრიგოლ ორბელიანისეული დედანი — უცნობია. აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ რამდენადაც პეტრე უმიკაშვილის სარედაქციო მუშაობას ყოველთვის დიდი სიზუსტე ახასიათებდა, 1876 წლის გამოცემას, ვიდრე დედანი აღმოჩნდებოდეს, სანდო პირველ-დოკუმენტის მნიშვნელობა ენიჭება. რედაქტორის ცნობის თანახმად ამ გამოცემაში — „ნიშნები ისეა ხმარებული, როგორც დედანში, მართლწერაც დედნისა შეუცვლელია“.

1876 წლის ბეჭდვითი გამოცემა შეიცავს 30 ლექსს და პოემას «ბედი ქართლისა». გამოცემის სარედაქციო უწყებაში (წინასიტყვაობაში) აღნიშნულია, რომ ამ გამოცემაში 26 ლექსი და პოემა «ბედი ქართლისა» გადმობეჭდილია გრიგოლ ორბელიანისეული კრებულიდან, ხოლო „ოთხი ბოლოს მოქცეული სხვა ხელნაწერებში ვიპოვეთ“, — აღნიშნავს რედაქტორი.

გრიგოლ ორბელიანისეული კრებულიდან მომდინარე 26 ლექსი შემდეგია, შემდეგ წლებს ეკუთვნის და დალაგებულია ისინი შემდეგი თანამიმდევრობით:

ბულბული ვარდზედ (1833); ქეთევან (1835); შემოლამება მთაწმიდაზედ (1836); ვმა იღუმალი (1836); ფიქრნი მტკერის პირზედ (1837); ჩონგურს (1837); თავადის ჭაუ . . . ის ასულს ეკ . . . ნას (1839); ჩემს ვარსკვლავს (1837); ნაპოლეონ (1838); საყურე (1839); ჩჩეილი (1839); სული ობოლი (1839); „სატრფოვ, მახსოვს“ (1840); ჩემი ლოცვა (1840); ჩემთ შეგობართ (1841); „აღმოჰხდა მნათი“ (1840); „არ უკიეინო“ (1841); „ვპოვე ტაძარი“ (1841);

სუმბული და მწირი (1842); „მირბის, მიმაფრენს“ (1842); „რად ჰყვედრო
კაცსა“ (1842); საფლავი მეფის ირაკლისა (1842); „მიყვარს თვალები“
(1842); „შენნი დალანი“ (1842); კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ (1842);
„სულო ბოროტო“ (1843).

ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ეს კრებული (ლექსები და «ბედი ქართლისა») გადაწერილი ყოფილა 1843 წლის მეორე ნახევარში, არა უადრეს სექტემბრისა. ყველა მაჩვენებლის მიხედვით, იგი გადაწერილია ბარათაშვილის თხზულებათა ზემოთ განხილულ მეოთხე ხელნაწერი გამოცემის შემდეგ. ეს დასტურდება, ჯერ ერთი, იმის მიხედვით, რომ პოემის „ბედი ქართლისა“-ს ტექსტს ამ კრებულში მნიშვნელოვანი რედაქციული გადამუშავება განუცდია მეოთხე გამოცემასთან შედარებით. პოემის ამ გადამუშავებულ ტექსტს ნ. ბარათაშვილი ამის შემდეგ კანონიზაციას აძლევს და უცვლელად იმეორებს მომდევნო მეექვსე ხელნაწერ გამოცემაში.

მცირეოდენი რედაქციული ცვლილებანი მგოსანს შეუტანია აგრეთვე ზოგიერთი ლექსის ტექსტშიაც, რაც ასევე მეორდება მომდევნო მეექვსე ხელნაწერ გამოცემაში.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ ეს კრებული, მეხუთე ხელნაწერი გამოცემა, ბოლო პერიოდის (1842 — 1843 წლების) ლექსების თანრიგის მიხედვითაც უდგება მომდევნო მეექვსე გამოცემას, და არა ადრინდელ მეოთხე გამოცემას.

VI, VI-ა = მეთექვსე ხელნაწერი გამოცემა 1843 წლისა

ორი წიგნად: VI — „ლექსნი“; VI-ა — „ბედი ქართლისა“.

(მგოსნის პირადი ეგზემპლარი)

¹ მგოსნის ეს პირადი ავტოგრაფული კრებული (შემდგარი ორი წიგნისაგან: 1. „ლექსნი“, 2. „ბედი ქართლისა“) შემდეგ პოეტის დას ბარბარე ვეზირიშვილს ეკუთვნოდა (საიდანაც მომდინარეობს ამ ავტოგრაფული კრებულის გავრცელებული სახელწოდება — „ვეზირიშვილისეული“).

კრებული გადაწერილია 1843 წლის ბოლო მეოთხედში; გადაწერილია იგი უფრო გვიან, ვიდრე ზემოთ განხილული მეოთხე და მეხუთე ხელნაწერი გამოცემები. მეოთხე და მეხუთე გამოცემების პირველ წიგნში («ლექსნი») მოთავსებულია 26 ლექსი; ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანი ლექსი, რომელიც შესულია მეოთხე და მეხუთე გამოცემებში, არის „სულო ბოროტო“, დაწერილი 1843 წლის აგვისტოში.

ხოლო აქ განსახილველ კრებულში შედის არა 26, არამედ 27 ლექსი; 1843 წლის ლექსებიდან აქ მოთავსებულია არა მხოლოდ „სულო ბოროტო“, არამედ აგრეთვე უფრო გვიან დაწერილი ლექსი — „შევიშრობ ცრემლსა“, რომელიც 1843 წლის ბოლო მეოთხედს ეკუთვნის და რომელსაც მეოთხე და მეხუთე გამოცემები არ იცნობენ.

სახელდობრ მეექვსე კრებულის პირველ წიგნში („ლექსნი“) მოთავსებულია შემდეგი ლექსები, შემდეგი თანამიმდევრობით:

ბულბული ვარდზედ (1833); ქეთევან (1835); შემოღამება მთაწმიდაზედ (1836); ვმა იღუმალი (1836); ფიქრნი შტკერის პირზედ (1837); ჩონგურს (1837); თავადის ჭაე...ის ასულს ეკ...ნას (1839); ჩემს ვარსკვლავს (1837); ნაპოლეონ (1838); საყურე (1839); ჩჩილი (1839); სული ობოლი (1839); „სატრფოე, მახსოვს“ (1840); ჩემი ლოცვა (1840); ჩემთ მეგობართ (1841); „აღმოჰდა მნათი“ (1840); „არ უკიეინო“ (1841); „ეპოვე ტაძარი“ (1841); სუმბული და მწირი (1842); „მირბის, მიმაფრენს“ (1842); „რად ჰყვედრი კაცსა“ (1842); საფლავი მეფის ირაკლისა (1842); „მიყვარს თვალები“ (1842); „შენნი დალანი“ (1842); კნიაზ ბარათაეის აზარ-ფეშაზედ (1842); „სულო ბოროტო“ (1843); „შევიშრობ ცრემლსა“ (1843).

ამრიგად, ეს კრებული, რიგით მეექვსე ხელნაწერი გამოცემა, ყველაზე გვიანია და ყველაზე სრული ჩვენ დრომდე მოღწეულ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებთა ხელნაწერ ავტოგრაფულ გამოცემათა შორის. ამ მეექვსე გამოცემაში წარმოდგენილია ბოლო რედაქცია ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა.

კრებული ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში („ლექსნი“ H — 2033; „ბედი ქართლისა“ H — 2034).

(VII) = არმოღწეული მეშვიდე ხელნაწერი გამოცემა

და მისგან მომდინარე ორი პირი: VII¹ და VII².

როგორც ირკვევა, 1843 წლის დასასრულს, 1843—1844 წლების მიჯნაზე, ნიკოლოზ ბარათაშვილს დაუმზადებია ახალი კრებული თავის თხზულებათა, რიგით მეშვიდე, რომელსაც აღვნიშნავთ პირობითი ნიშნით: (VII).

თვით ავტოგრაფული დედანი (VII) ჩვენს დრომდე არ მოღწეულა; მაგრამ მოიპოვება ამ კრებულიდან მომდინარე ორი პირი, რომელთაც აღვნიშნავთ ნიშნებით: VII¹ და VII².

შესწავლიდან ამ ორი პირისა — VII¹ და VII² — ირკვევა, რომ მათი პირველწყარო — მეშვიდე კრებული (VII) — რედაქციულად უდგება ზემოთ განხილულ მეექვსე ავტოგრაფულ გამოცემას, მხოლოდ ერთის განსხვავებით: მეშვიდე კრებულში არ ყოფილა შეტანილი ლექსი „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“, რომელიც სამ სტრიქონს შეიცავს. მგოსანს ეს ლექსი უმნიშვნელოდ მიუჩნევია და ამოუღია კრებულიდან.

კრებული (VII), როგორც აღვნიშნეთ, 1843 წლის დასასრულს (1843 — 1844 წლების მიჯნას) ეკუთვნის, მასში შეტანილი ყოფილა ყველა ლექსი 1843 წლისა (მათ შორის ლექსი „შევიშრობ ცრემლსა“, რომელიც პირველად მეექვსე რედაქციაში შევიდა), ხოლო არ ყოფილა შეტანილი არც ერთი ლექსი 1844 წლისა.

გავეცნოთ ამის შემდეგ მეშვიდე კრებულის პირებს: VII¹ და VII².

* * *

პირველი პირი — VII¹ — ჩაწერილია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ დიდ კრებულში S — 1512, რომლის ძირითადი ნაწილი გადაწერილია დავით რექტორის მიერ 1821 წელს. ბარათაშვილის ლექსების ეს კრება — VII¹ — ჩაწერილია ამ ხელნაწერის 318—333 ფურცლებზე უცნობი პირის მიერ შემდეგი საერთო სათაურით:

„ლექსნი, თქმულნი თავადის ნ. ბარათაშვილისაგან“.

ბარათაშვილის ლექსთა ეს კრება — VII¹ — განსხვავდება თავის პირველწყაროდან, ბარათაშვილის ლექსების მეშვიდე გამოცემიდან (VII) შემდეგით: გადამწერს ალუდგენია ბარათაშვილის ლექსთა კრებაში ლექსი: „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“. რომ ეს ლექსი არ იყო პირველ დედანში (VII) და ახლად არის დამატებული გადამწერის მიერ, ეს შემდეგის მიხედვით ირკვევა: ლექსის ჩამატების დროს გადამწერს მოუთავსებია იგი არა თავის ადგილას, 1842 წლის ლექსებს შორის, როგორც ეს არის ყველა ავტოგრაფულ დედნებში (IV, V, VI), არამედ, ყოველგვარი ქრონოლოგიური რკალის დარღვევით, ჩაურთავს თავში, მეოთხე ლექსად, 1836 წლის ლექსთა შორის. გადამწერს შეუცვლია ამასთან სათაურიც (მოუხსნია ბარათაევის გვარი და ლექსისთვის მიუცია ასეთი უპიროვნო სათაური: „აზარფეშაზედ დასაწერი“).

ლექსები დედანში VII¹ მოყვანილია შემდეგი თანამიმდევრობით:

ბულბული ვარდზედ (1833); ქ.... (1835); შემოლაშება მთაწმიდაზედ (1836); აზარფეშაზედ დასაწერი (1842); კმა იღუმალი (1836); ფიქრნი მტკვრის პირზედ (1837); ჩონგურს (1837); ეკ...ნას (1839); ჩემს ვარსკვლავს (1837); ნაპოლეონ (1838); საყურე (1839); ჩჩვილი (1839); სული ობოლი (1839); „სატრფოვ, მახსოვს“ (1840); ჩემი ლოცვა (1840); ჩემთ მეგობართ (1841); „აღმოჰხდა მნათი“ (1840); „არ უკიენო“ (1841); „ეპოვე ტაძარი“ (1841); სუმბული და მწირი (1842); „მირბის, მიმაფრენს“ (1842); „რად ჰყვედრი კაცსა“ (1842); საფლავი მეფის ირაკლისა (1842); „მიყვარს თვალები“ (1842); „შენნი დალალნი“ (1842); „სულო ბოროტო“ (1843); „შევიშრობ ცრემლსა“ (1843)¹.

* * *

მეორე პირი — VII² — შეტანილია ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერში H — 772.

¹ აღნიშნავთ ამასთან, რომ ხელნაწერში S — 1512, გარდა აქ განხილული კრებულისა VII¹, შეტანილია აგრეთვე ნ. ბარათაშვილის ლექსი „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“. ეს ლექსი არ შეადგენს ნაწილს კრებულისა VII¹; კრებულს VII¹, როგორც მოვიხსენეთ, უკირავს ხელნაწერის 318—333 ფურცლები; ხოლო ლექსი „ომი...“ ჩაწერილია სხვა ადგილას, განცალკევებით, ხელნაწერის 191 ფურცელზე.

ეს მეორე ხელნაწერი გამოცემა VII², როგორც ირკვევა შედარებიდან, გადმოწერილია პირველი პირიდან VII¹. ატარებს იმავე საერთო სათაურს: „ლექსნი, თქმულნი თავადის ნ. ბარათაშვილისაგან“¹.

გადამწერს ამავე დროს ხელთა ჰქონია მეორე დედანიც, საიდანაც მას ჩაუნიშნავს რამდენიმე ვარიანტული წაკითხვა.



დასასრულ აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება.

დედნებში VII¹ და VII² ჩვენ გვხვდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ფსევდონიმი: „მირიან ივერი“.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ეს ფსევდონიმი „მირიან ივერი“ პირველად ჩნდება 1843—1844 წლების მიჯნაზე (VII) კრებულიდან მომდინარე პირებში VII¹ და VII². არც ერთ სხვა კრებულში, I-დან — VI-მდე ჩათვლით, ეს ფსევდონიმი არ გვხვდება.

ფსევდონიმი „მირიან ივერი“, როგორც ირკვევა, დაკავშირებულია ნ. ბარათაშვილის არმოდწეულ პოემასთან „ივერიელნი“. ამ საგანზე ქვემოთ გვაქვს საუბარი.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ ფსევდონიმი ნიკოლოზ ბარათაშვილისა „მირიან ივერი“, გარდა პოემისა, შემდეგ გადაუტანიათ ლირიკულ ლექსებზედაც, როგორც ამას გვიჩვენებს ჩვენი დედნები VII¹ და VII², აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების შემცველი ხელნაწერები H — 2398 და H — 2733².

¹ რომ კრებული VII² გადმოწერილია კრებულიდან VII¹, ამას ადასტურებს ტექსტების ანალიზი. რომ ხელნაწერი H — 772 გადმოწერილია ხელნაწერიდან S — 1512, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ხელნაწერში H — 772 შეტანილია არა მხოლოდ ტექსტი კრებულისა VII¹, არამედ ხელნაწერიდან S — 1512 გადმოწერილია აგრეთვე ლექსიც „ომი“, რომელიც კრებულის ნაწილს არ შეადგენს (ეს ლექსი „ომი“ ჩაწერილია ხელნაწერში H — 772 უშუალოდ კრებულ VII¹-ის წინ).

² აღნიშნულ დედნებში „მირიან ივერის“ ფსევდონიმით ხელმოწერილია ლირიკული ლექსები. „შემოღამება მთაწმიდაზედ“, „ნაპოლონი“, „საყურე“, „არ უკიენო“ (ამთგან პირველი სამი ხელმოწერილია ფსევდონიმით „მირიან ივერი“ შემდეგ დედნებში: VII¹, VII² და H — 2398; მეოთხე ლექსი — დედნებში: H — 2398 და H — 2733).

ნიკოლოზ ბარათაშვილის არმოღწეული თხზულებანი

ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან ჩვენს დრომდე მოღწეულა პოემა «ბედი ქართლისა» და 36 ლექსი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფების მიმოხილვიდან გამოირკვა შემდეგი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ჩვენს დრომდე მოღწეული კრებულები — ხელნაწერი გამოცემები — ეკუთვნის 1841 — 1843 წლებს. უკანასკნელი მათგანი დამზადებულია 1843 წლის დასასრულს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ავტოგრაფული კრებულები შემდეგი პერიოდისა, 1844—1845 წლებისა, არ შენახულა.

ჩვენს დრომდე შემთხვევით გადარჩენილა მხოლოდ ხუთი ლექსი ამ ბოლო პერიოდისა, უკანასკნელი ორი წლისა, 1844—1845 წლებისა: აქედან 2 ლექსი აღმოჩნდა მიხ. თუმანიშვილის არქივში; 2 ლექსი პოეტს გამოუგზავნია უცხოეთიდან, ნახიჩევანიდან, 1845 წლის იანვარსა და თებერვალში (ერთი უცნობი პირისათვის, მეორე მაიკო ორბელიანისათვის); ხოლო ერთი ლექსი 1844 წლისა აღმოჩნდა პოეტის სიკვდილის შემდეგ ქართლში, წარწერილი მართა ერისთავის თასზე.

ეს არის და ეს, რაც შენახულა. სადღა არის დანარჩენი ლექსები 1844 და 1845 წლებისა? მათი კვალი არსად ჩანს. ნუ დაგვავიწყდება ამასთან, რომ ეს არის პერიოდი, როდესაც ბარათაშვილის პოეტურმა გენიამ ზენიტს მიაღწია, პერიოდი „მერანისა“.

ხოლო, რაც მთავარია, საქმე მარტო ამით არ სრულდება.

წყაროების შესწავლიდან ირკვევა, რომ დაკარგულია არა მხოლოდ დიდი ნაწილი ბოლო პერიოდის, 1844—1845 წლების ლექსებისა, არამედ დაკარგულია აგრეთვე უფრო ადრინდელი პერიოდის ისეთი ლექსები, რომლებიც პოლიტიკური რადიკალიზმით ყოფილა აღბეჭდილი, და პოეტს არ შეჰქონდა თავის ნაწარმოებთა იმ ხელნაწერ გამოცემებში, რომლებიც ფართო საზოგადოებაში გასავრცელებლად იყო დანიშნული. ნიკოლოზ

ბარათაშვილის ამ ნაწარმოებებს გაცნობილი ყოფილა პოეტის ახლო და სანდო მეგობართა ვიწრო წრე.

ჩვენ აქ შევჩერდებით ნიკოლოზ ბარათაშვილის არმოღწეულ თხზულებებზე, რომელთა შესახებ დაცულია ცნობები წყაროებში.

ბ

პოემა „ივერიელნი“

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენს დრომდე არ მოღწეულა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ივერიელნი“, ორეული „ბედი ქართლისა“.

მეტად მნიშვნელოვან ცნობას ნ. ბარათაშვილის პოემის „ივერიელნი“-ს შესახებ გადმოგვცემს პოეტის პირველი ბიოგრაფი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე მამაცაშვილი, პოეტის ახლო მეგობარი სიყრმის დროიდანვე.

ბიოგრაფიულ წერილში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელიც დაიბეჭდა 1881 წელს გაზეთ „დროებაში“, კ. მამაცაშვილი წერს:

„ბევრი იმისი (ნ. ბარათაშვილის) ლექსები დაკარგულნი არიან, რადგან დაბეჭდვა იმათი მაშინ არ შეიძლებოდა. მე მახსოვს იმისი დიდი პოემა, რომელიც ჩემთვის წაუკითხავს — „ივერიელნი“. ამ პოემაში იყო აღწერილი აყვავებული ცხოვრება მე-10, მე-11 და მე-12 საუკუნეებისა. ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა, რომელიც ისედაც მშვენიერი იყვნენ“.

ამრიგად, „ივერიელნი“ დიდი პოემა ყოფილა. ამასთან იგი იმდენად თავისუფალი სულით ყოფილა აღბეჭდილი, რომ კ. მამაცაშვილის ფრთხილად თქმული სიტყვების თანახმად, დაბეჭდვა იმისი „მაშინ არ შეიძლებოდა“.

მგოსანს პოემა „ივერიელნი“, როდესაც იგი გააცნო კონსტანტინე მამაცაშვილს, უკვე დამთავრებული ჰქონია, და თუმცა პოემა „ისედაც მშვენიერი იყო“, ნიკოლოზ ბარათაშვილი ისევ განაგრძობდა მის დახვეწას.

ეს იყო ჩვეულებრივი წესი ნ. ბარათაშვილის შემოქმედე-

ბითი მუშაობისა. ასე, პოემა „ბედი ქართლისა“, რომელიც დაწერილია 1839 წელს, პოეტმა მნიშვნელოვნად გადაამუშავა 1843 წელს, თუმცა 1839 წლის ტექსტი „ისედაც მშვენიერი იყო“¹. ასევე „შემოღამება მთაწმიდაზედ“ არაერთგზის არის გადახედული და დახვეწილი პოეტის მიერ².

თუ როგორ უფაქიზეს მუშაობას აწარმოებდა მგოსანი თავის უკვე დამთავრებულ პოეტურ ნაწარმოებებზე, ამის შესახებ მეტად საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს დიმიტრი ყიფიანი, წევრი იმ ლიტერატურული წრისა, რომელსაც სათავეში ედგა ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ეს ლიტერატურული წრე ნიკოლოზ ბარათაშვილისა უფრო ხშირად თავს იყრიდა დიმიტრი ყიფიანისა და მანანა ორბელიანის ოჯახებში.

დიმიტრი ყიფიანი ერთ წერილში (1865 წ.) შემდეგს წერს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი ლიტერატურული წრის შესახებ:

„მისი (ნ. ბარათაშვილის) მოასაკენი ყველაზე ხშირად ჩემთან იკრიბებოდნენ, აქ იყო ხოლმე იგი (ბარათაშვილი) განსაკუთრებით თავის კალაპოტში.

„ტატოს პოეტური ნიჭი ამ წრეში განვითარდა; აქ კითხულობდა იგი პირველად თავის ლექსებს; აქ იგი ისმენდა შენიშვნებს, რასაც თვითთული გამოსთქვამდა გულწრფელად, და აქვე იგი კითხულობდა ამ ლექსებს შესწორების შემდეგ. ისიც უნდა ვთქვა, ეს შენიშვნები ეხებოდა მხოლოდ იმას, რაც ხელს შეუწყობდა აზრის გარკვევას, ან უფრო რელიეფურად გამოთქმას“.

აი ასეთი სახის აზრთა გაზიარებას ჰქონდა ადგილი ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მის უახლოეს მეგობარს კონსტანტინე მამაცაშვილს შორის პოემა „ივერიელნი“-ს დამთავრების შემდეგ, რომლის შემდგომ დახვეწაზე კვლავ ფიქრობდა პოეტი, თუმცა პოემა, კ. მამაცაშვილის სიტყვით, „ისედაც მშვენიერი იყო“.

¹ იხ. ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968, წერილი ბ. ინგოროყვასი — „ტექსტის ისტორია“, გვ. 272—280.

² იხ. იქვე, გვ. 254—256.



რამ შთააგონა პოეტი დაეწერა პოემა „ივერიელნი“, რა გარემოში და რა განწყობილებათა გავლენის ქვეშ უნდა შეექმნა იგი პოეტს?

ამის გასათვალისწინებლად ინტერესს იწვევს ერთი ცნობა, რომელიც დაცული აქვს კონსტანტინე მამაცაშვილს იმავე წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილზე. ამ ცნობის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა სხვა ადგილას საუბარი. კ. მამაცაშვილი წერს ნიკოლოზ ბარათაშვილის სალიტერატურო წრის შესახებ:

„ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები... გვქონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულ ცხოვრებაზედ. ერთს საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ რადგანაც არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ მე-4 საუკუნედიდან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღოს, და შეადგინოს ისტორია ამ საუკუნისა. პლ. იოსელიანს მიანდევს დაწერა ძველის საუკუნეების ისტორიისა ქრისტეს წინათ და შემდეგ მე-4 საუკუნემდისინ. მაშინ ძნელი იყო ამისთანა საქმის აღსრულება, რადგან მშრომელნიც ცოტანი ვიყავით და საქართველოს ისტორიის მათიანეები დაფანტული იყო, არ იყო ჯერ შეკრებილი არც ძველი საეკლესიო გუჯრები, არც ბევრი საინტერესო გრამატები... მარტო მათიანედ იყო „ქართლის ცხოვრება“.

კ. მამაცაშვილი ამ საყურადღებო ამბავს არც კი აკავშირებს პოემასთან „ივერიელნი“, იგი ამის შესახებ ცალკე მოვითხრობს. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ არ შეეცდებით, თუ დავასკვნით, რომ ამ ისტორიულ შტუდიებთან იყო ერთგვარად დაკავშირებული თვით პოემაც „ივერიელნი“. ეს პოემა, ძველი საქართველოს ისტორიული წარსულით შთაგონებული, ბარათაშვილს შეუქმნია იმავე გარემოში, იმავე განწყობილების ქვეშ, რამაც უკარნახა პოეტს თვით საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეც კი მოეწყო.



აქ საჭიროა საგანგებოდ შევჩერდეთ ერთ საკითხზე, ნ. ბარათაშვილის ფსევდონიმებზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერების შესწავლიდან ირ-
კვევა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს ორი ფსევდონიმი ჰქო-
ნია: *** (სამი ვარსკვლავი) და „მ ი რ ი ა ნ ი ვ ე რ ი“.

ფსევდონიმს (სამი ვარსკვლავი) ნიკოლოზ ბარათაშვილი
ამოფარებია, როგორც ავტორი პოემისა „ბედი ქართლისა“.

ფსევდონიმს „მირიან ივერი“ ნიკოლოზ ბარათაშვილი ამო-
ფარებია, როგორც ავტორი პოემისა „ივერიელნი“.

ჯერ პოემა „ბედი ქართლისა“-ს შესახებ.

როგორც ცნობილია, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვა-
ლების შემდეგ მისმა მეგობრებმა, ლევან მელიქიშვილის მო-
თავეობით, განიზრახეს ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა
გამოცემა. ლევან მელიქიშვილი ამის გამო შემდეგს სწერდა
გრიგოლ ორბელიანს 1846 წლის 19 იანვარს:

„ეხლა ვსცემთ განსვენებულის (ნიკოლოზ ბარათაშვილის)
ყველა ნაწერებს, ისინი დაიბეჭდება ერთ წიგნად, რომელსაც
დაერთვის პორტრეტი.

„ეხლა შენთან აი რა სათხოვარი გვაქვს: 1) დასწერო... წი-
ნასიტყვაობა წიგნისათვის და ბიოგრაფია განსვენებულისა, აგ-
რეთვე ეპიტაფია ძეგლისათვის; 2) გამოგზავნო, თუკი გაქვს,
მისი რაიმე ლექსები ანდა წერილები, რომლებიც ღირსნი არიან
დაბეჭდვისა...“

„არ ვიცი, „ბედი ქართლისა“ როგორ უნდა დაიბეჭდოს,
რ ა დ გ ა ნ ზ ო გ ი ე რ თ ი ა დ გ ი ლ ი ძ ა ლ ი ა ნ თ ა ვ ი ს უ-
ფ ა ლ ი ა რ ი ს. თუ გასწორდება, კარგად იცი, ბევრს დაჰ-
კარგავს მთელი პოემა. მაგრამ ამის ამბავსაც შეგატყობინებ,
თუ რას ვარჩევთ“¹.

როგორც ცნობილია, ეს განზრახვა პოეტის თხზულებათა
გამოცემისა იმეამად არ განხორციელდა. პოემა „ბედი ქართ-
ლისა“ პირველად დაიბეჭდა უურნალ „ცისკარში“. ბევრად
გვიან, 1858 წელს (IX). ცენზურამ ამ გამოცემაში სავსებით
დაასახიჩრა პოემის ტექსტი, ამოიღო პოემიდან ყველა „თავი-
სუფალი ადგილი“.

თუ „ბედი ქართლისა“-ს დაბეჭდვის საქმე გაძნელდა 1858
წელს, როდესაც შედარებით მაინც უფრო დამშვიდებული ხა-

¹ იხ. ხელნაწერი საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტისა S—2464.

ნა იყო, რა მდგომარეობა უნდა ყოფილიყო 1839 წელს, როდესაც დაიწერა „ბედი ქართლისა“, და როდესაც მხოლოდ შვიდი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც დამარცხდა 1832 წლის შეთქმულება. საქართველოში ამ დროს უმკაცრესი საცენზურო რეჟიმი იყო გამეფებული; ყოველი გამოქვეყნება თავისუფალი მოაზრებობისა საგანგებო ფარული მეთვალყურეობის ქვეშ იყო აყვანილი.

აი ასეთ პირობებში 1839 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილი აქვეყნებს თავის პოემას „ბედი ქართლისა“.

თავდაპირველად ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს არასოდეს არ შეაქვს პოემა „ბედი ქართლისა“ თავის ლექსთა კრებულებში, არამედ ყოველთვის ცალკე წიგნად ავრცელებს მას: ერთ წიგნად ვრცელდება — „ლექსნი“, ხოლო მეორე ცალკე წიგნად „ბედი ქართლისა“.

როგორც გამოიკვეთა ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფების მიმოხილვიდან, 1841 — 1843 წლების მანძილზე გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ექვსი ხელნაწერი გამოცემა.

პირველ სამ ხელნაწერ გამოცემას საერთოდ არ ახლავს პოემა „ბედი ქართლისა“, ეს გამოცემები შეიცავს მხოლოდ ერთ წიგნს: „ლექსნი“.

მეოთხე ხელნაწერი გამოცემა უკვე ორ წიგნად ქვეყნდება: ერთ წიგნად ქვეყნდება „ლექსნი“, ხოლო ცალკე წიგნად — „ბედი ქართლისა“.

ასევე მეხუთე და მეექვსე გამოცემებშიაც ცალკე ქვეყნდება „ლექსნი“ და ცალკე — „ბედი ქართლისა“.

აქ უნდა აღინიშნოს აგრეთვე შემდეგი:

ხელნაწერ გამოცემებში პირველი წიგნი „ლექსნი“ სრულად არის ხელმოწერილი პოეტის სახელ-გვარით.

რაც შეეხება პოემას „ბედი ქართლისა“, აქ სულ სხვა სურათი გვაქვს.

სამსავე ავტოგრაფულ დედანში „ბედი ქართლისა“-ს აქვს შემდეგი ზედწერილი:

ბედი ქართლისა,

თქმული

წელსა 1839-სა, ტფილისს.

ავტორი მოხსენებული არაა.

პოემის შესავალს — მიძღვნას „კახთა მიმართ“ — ორ დედანში მოწერილი აქვს ფსევდონიმი — სამი ვარსკვლავი (***)).

მხოლოდ ერთ ხელნაწერში, რომელიც პოეტს, მიურთმევია პირადად ეკატერინე ჭავჭავაძისათვის, მიძღვნას „კახთა მიმართ“ მოწერილი აქვს ინიციალები: თ ≈ ი ნ. ბ.

* * *

აქ რამდენიმე შენიშვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის მეორე ფსევდონიმის „მ ი რ ი ა ნ ი ვ ე რ ი ს“ შესახებ.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის სალიტერატურო წრეში შეიქმნა ჭგუფი საქართველოს ისტორიის შესადგენად. დაწერა საქართველოს ძველი ისტორიისა ქრისტიანობის დამყარებამდე საქართველოში მიენდო პლატონ იოსელიანს. ხოლო შედგენა საქართველოს ისტორიისა, დაწყებული ქრისტიანობის დამკვიდრებიდან საქართველოში მ ი რ ი ა ნ მეფის დროს, ითავა თვით ნ. ბარათაშვილის ჭგუფმა.

ფსევდონიმი „მ ი რ ი ა ნ ი ვ ე რ ი ს“ (აღებული პირველი ქრისტიანი მეფის სახელიდან: მ ი რ ი ა ნ ი ვ ე რ ი ე ლ ი) ორკერძ კავშირში იმყოფება როგორც ნ. ბარათაშვილის ისტორიულ შტუდიებთან, ისე, პირველ რიგში, თვით პოემასთან „ივერიელნი“, რომელიც ძველი საქართველოს ისტორიული წარსულით იყო შთაგონებული.

* * *

როდის დაიწერა პოემა „ივერიელნი“?

კ. მამაცაშვილის ცნობით, „ივერიელნი“ დ ი დ ი პოემა იყო, რომელშიაც აღწერილი იყო აყვავებული ცხოვრება მე-10, 11, 12 საუკუნეებისა“. პოემა, საფიქრებელია, ხანგრძლივ იწერებოდა.

ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი ცნობა, თუ როდის გააცნო ნიკოლოზ ბარათაშვილმა კონსტანტინე მამაცაშვილს დამთავრებული პოემა „ივერიელნი“, რომლის შემდგომ დახვეწაზე კვლავ ფიქრობდა პოეტი, თუმცა პოემა, კ. მამაცაშვილის სიტყვით, „ისედაც მშვენიერი იყო“.

ხოლო პოემის საბოლოო რედაქცია, როგორც ირკვევა, ეკუთვნის 1843—1844 წლების მიჯნას. ამ დროს, 1843—1844 წლების საზღვარზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ივერიელნი“ გაუვრცელებია ვიწრო წრეში ფსევდონიმით „მირიან ივერი“.

ასეთი დათარიღების მკვიდრ საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ ფსევდონიმი „მირიან ივერი“ პირველად ჩნდება ხელნაწერებში 1843—1844 წლების საზღვართან, — (VII) კრებულიდან მომდინარე პირებში VII¹ და VII². ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა არც ერთ სხვა ადრინდელ ხელნაწერ გამოცემაში, პირველიდან — შეექვსემდე ჩათვლით, ეს ფსევდონიმი — „მირიან ივერი“ — არ გვხვდება.

პოემა „ბედი ქართლისა“, როგორც აღვნიშნეთ, დაწერილია 1839 წელს. პოემა „ივერიელნი“ დაუმთავრებია პოეტს ბევრად უფრო გვიან, მას შემდეგ, რაც დაიწერა „მერანი“.

ასეთია ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება ბარათაშვილის დიდ პოემაზე „ივერიელნი“.

ბ

სხვა თხზულებანი ნიკოლოზ ბარათაშვილისა პოლიტიკური რადიკალიზმით აღზავდილნი

დავუბრუნდეთ ამის შემდეგ ისევ კონსტანტინე მამაცაშვილის უწყებას.

როგორც ვნახეთ, კ. მამაცაშვილს საპიროდ მიაჩნია საგანგებოდ აღნიშნოს, რომ დაკარგულია არა მხოლოდ პოემა „ივერიელნი“, არამედ „ბ ე ვ რ ი“ სხვა თხზულებანი ბარათაშვილისა, რომლებიც ასევე პოლიტიკური რადიკალიზმით ყოფილა აღბეჭდილი.

როგორც ვნახეთ, კ. მამაცაშვილი ასე იწყებს თავის ცნობას:

„ბ ე ვ რ ი იმისი (ნიკოლოზ ბარათაშვილის) ლექსები დაკარგულნი არიან, რ ა დ გ ა ნ დ ა ბ ე ჭ დ ვ ა ი მ ა თ ი მ ა შ ი ნ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა“, — და ამას მოჰყვება ცნობა ერთ-ერთი ასეთი დაკარგული თხზულების „ივერიელნი“-ს შესახებ.

დიდად მნიშვნელოვანია ეს ცნობა. აქედან ჩვენ ვგებულობთ, თუ რაოდენ დიდი იყო ეს დანაკლისი XIX საუკუნის ქართული მწერლობისა.

2

ნიკოლოზ ბარათაშვილის არმოღწეული ლირიკული ლექსები

განვაგრძოთ ისევ ძიება.

წყაროების შესწავლიდან ირკვევა, რომ დაკარგულია არა მხოლოდ პოლიტიკური რადიკალიზმით აღბეჭდილი მთელი რიგი თხზულებანი ბარათაშვილისა, არამედ დაკარგულია მისი ლირიკული ლექსები.

ა. ნ. ბარათაშვილის ლირიკული ლექსებიდან ჩვენს დრომდე არ მოღწეულა, კერძოდ, ლექსი „ასტრა“. პოეტს ეს ლექსი დაუწერია 1838 წლის ივლისში.

ნ. ბარათაშვილი, როგორც ცნობილია, ხშირად უგზავნიდა თავის ლიტერატურულ მეგობრებს, წერილებთან ერთად, ახალ ლექსებს.

1838 წელს, ივლისის პირველ ნახევარში, ნ. ბარათაშვილს, წერილთან ერთად, გაუგზავნია მიხ. თუმანიშვილისათვის ლექსი „ასტრა“. ახალი ლექსი ნ. ბარათაშვილისა დიდად მოსწონებია მიხ. თუმანიშვილს. იგი მოხიბლულა ამ ლექსის „კარგის სიტყვით, კარგის სტიხით, კარგის ხმით“, მაგრამ ვერ გაუგია ვერც ლექსის სათაური „ასტრა“, და ვერც ის, თუ ვისადმი იყო ეს ლექსი მიძღვნილი. ამიტომაც ნ. ბარათაშვილის ამ ლექსის საპასუხოდ დაუწერია ლექსი „ასტრას“, რომლის ბოლო წარმოადგენს შეკითხვას ბარათაშვილისადმი.

მოგვყავს ეს საპასუხო ლექსი მიხ. თუმანიშვილისა.

ასტრას

ასტრავ, ასტრავ, უცნაურო კაცთათვის,
სადაური სად მოსულხარ, ან რისთვის?
უსულო ხარ, სულიერი, ვინ იცის,
ეს სახელი არ სმენია არავის!

ნუთუ შენ ხარ ანგელოსი ციური,
ან ყვავილი უსახელო ველური,
ანუ თვალი უძვირფასესი ზღვისა?
მკითხველთათვის ხარ მარად უცნაური.

მოფრენილო შორეულია ქვეყნით,
კარგის სიტყვით, კარგის სტიხით, კარგის ხმით,
ვერავისგან შეწყნარებას ვერ ჰპოვებ,
მიუხვედრო, ასტრავ, შენის წოდებით.

გაისარჯე, წარვედ შენსა დამწერთან,¹
ოდესცა ვსცნობ შენსა სახელსა მისგან,
მაშინ გაქნდეს უეჭველი იმედი,
რომ იქნები წაკითხული ყველასგან.

წინანდალი, 15 ივლისი, 1838 წ.
სალამოს 7 საათზე.

მიხ. თუმანიშვილს გაუგზავნია ნ. ბარათაშვილისათვის ეს საპასუხო ლექსი-შეკითხვა და მასთან ერთად წერილიც, სადაც ამავე „ასტრას“ შესახებ ყოფილა საუბარი.

ნ. ბარათაშვილი პასუხს აძლევს მიხ. თუმანიშვილს თავის წერილში 1838 წლის 6 აგვისტოს თარიღით.

ჩვენ ამგზის ამით ვამთავრებთ საუბარს ბარათაშვილის ლექსზე — „ასტრა“. უფრო დაწვრილებით ამ ლექსის შესახებ სხვა ადგილას გვაქვს საუბარი.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სახელწოდება ლექსისა „ასტრა“, როგორც ამას განმარტავს თვით ბარათაშვილი, აღებულია ფრანგული სიტყვიდან „astre“ (ვარსკვლავი, „მთიები“). ნ. ბარათაშვილის ლექსი „ასტრა“ მიძღვნილი ყოფილა პოეტის ფრანგი მეგობარი ქალის დელფინა ლაბიელისადმი.

ეს ლექსი ბარათაშვილისა „ასტრა“ ჩვენს დრომდე არ მოღწეულა.

ბ. მომღერალ სათარას ქება.

ბარათაშვილი, როგორც ცნობილია, მუსიკის დიდი მოყვარული იყო.

სათარა, რომლისთვისაც ნ. ბარათაშვილს მიუძღვნია ლექსი, აღმოსავლურ ჰანგებს მღეროდა. ბარათაშვილი, რო-

¹ ნ. ბარათაშვილთან.

გორც ეს ჩანს მისი წერილებიდან, დიდი თავყვანისმცემელი ყოფილა ამ მომღერლისა (აღვნიშნავთ, რომ რუს პოეტს ი. პოლონსკისაც, რომელიც თბილისში იმყოფებოდა წარსული საუკუნის ნახევარში, მოუსმენია სათარას სიმღერა და იგი სათარას საგანგებო ლექსს უძღვნის).

ნ. ბარათაშვილს სათარასადმი მიძღვნილი ლექსი დაუწერია 1844 წელს, აგვისტოში, ქართლში¹.

არც ეს ლექსია ჩვენს დრომდე მოღწეული.

გ. აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ აგრეთვე შემდეგ გარემოებას, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა კრებულები 1841—1843 წლებისა (ხელნაწერი გამოცემები) არ წარმოადგენენ ნ. ბარათაშვილის ლირიკული ლექსების სრულ კრებულებს. ასე, მაგალითად, ლექსები „ცისა ფერს“, „როს ბედნიერ ვარ“, დაცული იყო ეკატერინე ჭავჭავაძესთან, გადაწერილები ცალკე ფურცლებზე (ეს ლექსები არ მოხვედრილა არც ერთ ხელნაწერ გამოცემაში, ხოლო ამ გამოცემათა რიცხვი ექვსია). ლექსი „...ნა, ფორტეპიანოზედ მომღერალი“ შეტანილია მხოლოდ ერთ ხელნაწერ გამოცემაში (მეორეში), დანარჩენ გამოცემებში არ გვხვდება.

ასეთია სურათი, რაც ჩვენ წინაშე იშლება წყაროების შესწავლიდან.

დ

ნიკოლოზ ბარათაშვილის არმოღწეული თარგმანები

ა. ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“.

ნ. ბარათაშვილი, წერილში, რომელიც დაწერილია 1841 წლის 28 მაისს (ძვ. სტილით), სწერდა გრ. ორბელიანს:

„ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: ყიფიანმა (იგულისხმება დიმიტრი ყიფიანი) გადმოთარგმნა „რომეო და ჯულიეტა“, შექსპირის ტრაგედია, და მე ვთარგმნე „იულიუს ტარენტელი“, ტრაგედია ლეიზევიცისა“.

¹ ამ ლექსის შესახებ იხ. უფრო დაწვრილებით პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, გვ. 343—344.

„იულიუს ტარენტელი“ გერმანელი დრამატურგის იოჰან ლეიზევიცისა (1752—1806) რომელიც ნ. ბარათაშვილს უთარგმნია, მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს. იგი პირველი და ამასთან განსაკუთრებით საჩინო პიესა იყო Sturm und Drang-ის პერიოდისა, რომელიც ლესინგს იმდენად მოეწონა, რომ გოეთეს დაწერილად მიიჩნია. ცნობილია, რომ შილერმა თავისი „ყაჩაღები“ ლეიზევიცის ამ პიესის გავლენით დაწერა.

ბ. გარდა ლეიზევიცის „იულიუს ტარენტელისა“, ნ. ბარათაშვილს სხვა თარგმანებიც ჰქონია.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვექონდა, რომ ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ მისმა მეგობრებმა, ლევან მელიქიშვილის მოთავეობით, 1846 წელს განიზრახეს ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემა (რაც იმ დროს ვერ განხორციელდა). ზემოთ მითითებულ წერილში, 1846 წლის იანვრის თარიღით, ლევან მელიქიშვილი შემდეგს სწერდა გრიგოლ ორბელიანს:

„შევადგინეთ ხელმოწერა, რომლითაც განსვენებულის ნათესავებსა და მეგობრებს ვთხოვეთ შემოწირულება დასაბეჭდად როგორც მისი (ნ. ბარათაშვილის) საკუთარი ნაწერებისა, ისე თარგმანებისა, რათა დავიცვათ შთამომავლობისათვის განსვენებულის თხზულებანი“¹.

წერილში, როგორც ვხედავთ, ნ. ბარათაშვილის თარგმანთა შესახებ მრავლობით რიცხვშია საუბარი. ამრიგად დასტურდება, რომ ნ. ბარათაშვილს „იულიუს ტარენტელის“ გარდა, სხვა თარგმანებიც ჰქონია.

2

ნიკოლოზ ბარათაშვილის არმოღწეული თხზულებანი
ბოლო პერიოდისა (1844 — 1845 წლებისა)

ჩვენ განვიხილეთ ყველა ცნობა, რომელიც მოგვეპოვება ნიკოლოზ ბარათაშვილის არმოღწეულ თხზულებათა შესახებ, ის გარემოება, რომ, როგორც ირკვევა, დაკარგული არის

¹ იხ. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, გვ. 343.

დიდი ნაწილი ბარათაშვილის ბოლო პერიოდის, უკანასკნელი ორი წლის— 1844—1845 წლების — ლირიკული ლექსებისა, და მათთან ერთად დაკარგულია პოემა „ივერიელნი“, განსაკუთრებით მძიმე დანაკლისია ქართული მწერლობისა. ეს ხომ ის პერიოდია, როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის მზე დადგა ზენიტში, პერიოდი „მერანისა“.

აქ ჩვენ განვიხილავთ საკითხს, თუ როდის და რა ვითარებაში დაიღუპა პოეტის არქივი.



პოეტის ხვედრი

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული არქივის
დაღუპვა ბანჯაში 1845 — 1846 წლებში

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბედი ტრაგიკულად მოეწყო.

როგორც ეს გამოირკვა ბარათაშვილის ცხოვრების შესწავლიდან, ცარისტული ხელისუფლებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რომ ბარათაშვილი გახდა ცენტრი, რომლის გარშემო ერთიანდებოდა ყველა ცოცხალი ძალა ქვეყნისა. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, რომლის პოლიტიკური რადიკალიზმი საგონებელს უქმნიდა თვით პოეტის მეგობრებს, ჯერ კიდევ 1839 წლიდან გავრცელდა საზოგადოებაში. ვერავითარმა ფსევდონიმებმა (ჯერ „სამი ვარსკვლავი“ — პომემისათვის „ბედი ქართლისა“, შემდეგ „მირიან ივერი“ — პომემისათვის „ივერიელნი“) ვერ დაფარეს პოეტის ვინაობა. ეს ფსევდონიმები აღრევე გაიხსნა. თავისუფლების სულით შთაგონებული თხზულებანი პოეტისა, რომლებიც ავტოგრაფულ ხელნაწერებში ხელმოუწერლად და ფსევდონიმებით იყო წარმოდგენილი, ვრცელდებოდა საზოგადოებაში სხვადასხვა გადმონაწერების სახით, და ამ გადმონაწერებში ზოგჯერ აცხადებენ პოეტის სახელ-გვარს. უნდა ითქვას ამასთან, რომ დიდ სიფრთხილეს არც თვით პოეტი იჩენდა. ცნობილია, რომ ბარათაშვილი „ბედი ქართლისას“ საჯარო კითხვასაც აწყობდა, — თუმცა ვიწრო წრეში, მაგრამ ამას ფართო გამომხაურება ჰქონდა. ისიც კი

ცნობილი გახდა, რომ ბარათაშვილმა საჯაროდ აუგად მოიხსენა ნიკოლოზ I.

უნდა გვახსოვდეს ამასთან, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის მოღვაწეობის ხანა სულ რამდენიმე წლით არის დაშორებული 1832 წლის შეთქმულების დროს და ხელისუფლება ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ცოცხალი აზრის ყოველგვარ ნასახს. მით უფრო შეუძლებელია ხელისუფლებას შეუმჩნეველი დარჩენოდა იგი, ვინც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების აშკარა მქადაგებლად გამოდიოდა. ბარათაშვილი თავიდანვე უნდა გამხდარიყო და გამხდარა კიდევ ცარისტული ხელისუფლების მუდმივი მეთვალყურეობის საგანი.

ჩვენ აქ აღარ შეეჩერდებით ნ. ბარათაშვილის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდზე, რომელსაც უკვე იცნობს მკითხველი ამ წიგნის შესავალი წერილიდან. ბარათაშვილის გარშემო თანდათან იკვრებოდა მოჩადობული წრე.

1844 წელს ბარათაშვილი იძულებული ხდება დასტოვოს საქართველო და მიდის უცხოეთში, ჭერ ნახიჩევანში, შემდეგ განჯაში, საიდანაც იგი ცოცხალი ველარ დაუბრუნდება სამშობლოს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა განჯაში 1845 წლის 22 ოქტომბერს და დაკრძალეს იქვე, მშობელ-ნათესავთაგან დაუტირებელი. არავინ საქართველოდან მის დასაფლავებას არ დასწრებია.

რა მდგომარეობაში იყო ამ დროს ნ. ბარათაშვილის ოჯახი? ნ. ბარათაშვილის მამა მელიტონი დამბლად იყო ჩავარდნილი. ბარათაშვილის დედა ეფემია დაავადებული იყო. ამავე დროს, ოჯახი სრულ სილატაკეს განიცდიდა. ბარათში, რომელიც დაწერილია ნ. ბარათაშვილის ოჯახის მეგობრის დიმიტრი ყიფიანის მიერ იმავე დღეებში, როდესაც გარდაიცვალა ნ. ბარათაშვილი, ჩვენ ვკითხულობთ:

«Семейство его (Н. Бараташвили) терпит столько недостатка, что они не имеют возможности даже облечь себя в траурное одеяние»¹.

¹ იხ. ზემოთ, გვ. 153.

ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან მეორე წელს, 1846-ს, ზამთრის გასვლის შემდეგ, განჯაში ჩავიდა პოეტის დედა ეფემია და მოიგლოვა შვილის საფლავი.

ვიდრე პოეტის დედა ჩავიდოდა განჯაში, ნ. ბარათაშვილის ნაწერები გაიბნა და დაიკარგა.

ჩვენს დრომდე მოღწეულია უაღრესად საყურადღებო დოკუმენტური ცნობა პოეტის დედის ეფემიას განჯაში ჩასვლის შესახებ, საიდანაც ვგებულობთ, თუ რა მდგომარეობაში დახვედრია მას განჯაში ნ. ბარათაშვილის პირადი ნივთები.

ამ თანამედროვე დოკუმენტში, რომელიც ეხება ეფემიას ჩასვლას განჯაში 1846 წელს, გკითხულობთ:

«Она (мать Н. Бараташвили), быв в Елизаветполе (ე. ო. განჯაში), получив незначительное имущество, оставшееся после сына, и найдя таковые почти истлевшими и негодными к употреблению, роздала служившим при нем людям»¹.

ასე გაპარტახებული დახვდა პოეტის დედას განჯაში ყველაფერი.

აი, ასეთ ვითარებაში, 1845—1846 წლების ზამთარში, დაღუპულა განჯაში ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული არქივი; დაღუპულა, როგორც ჩანს, მთლიანად. არავითარი კვალი არც პოეტის ადრინდელი არქივისა, რომელშიაც დაცული უნდა ყოფილიყო პოემა „ივერიელნი“, ასევე სხვა ლექსები, პოლიტიკური რადიკალიზმით აღბეჭდილი, „რომელთა დაბეჭდვა მაშინ არ შეიძლებოდა“ (კონსტანტინე მამაცაშვილის ფრთხილი გამოთქმით), აგრეთვე პოეტის ლირიკული ლექსები, რომლებიც არ შევიდნენ 1841—1843 წლების ხელნაწერ გამოცემებში (როგორც, მაგალითად, „ასტრა“), ასევე გამოქვეყნებული ლექსების ვარიანტები და შაეები, აგრეთვე თარგმანები (მათ შორის თარგმანი დრამისა „იულიუს ტარენტელი“ და სხვ.), ასევე ბოლო პერიოდის ლექსები, 1844—1845 წლებისა, არა ჩანს.

რომ არქივი მთლიანად დაიღუპა, ამას ისიც ადასტურებს, რომ არ მოღწეულა ნ. ბარათაშვილის კორესპონდენცია. ნ. ბარათაშვილს, როგორც ცნობილია, ფართო მიმოწერა ჰქონდა.

¹ იხ. დოკუმენტი, 1849 წლის 20 დეკემბრის თარიღით, გამოქვეყნებული პროფ. შ. ჩხეტიას წიგნში — ნ. ბარათაშვილი, 1945 წ., გვ. 359.

ჩვენს დრომდე გადაჩენილა ნ. ბარათაშვილის წერილები, გაგზავნილი მეგობრებთან. ხოლო არ მოღწეულა არც ერთი წერილი გამოგზავნილი მეგობრების მიერ ბარათაშვილთან, არც წერილები გრიგოლ ორბელიანისა, არც ეკატერინესი, არც მაიკო ორბელიანისა, არც მიხეილ თუმანიშვილისა, ზაქარია ორბელიანისა და სხვათა, რომლებთანაც ნ. ბარათაშვილს მიმოწერა ჰქონდა.




დimitრი ყიფიანი წერდა ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების გამო: „Он пал жертвой климата“, იგი კლიმატის მსხვერპლი გახდაო. მაგრამ ეს კლიმატი იყო არა მხოლოდ ათვისებიანი მალარია განჯისა, სადაც იძულებული გახდა წასულიყო პოეტი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სხვა კლიმატი, კლიმატი ცარიზმისა, რომელმაც იმსხვერპლა რუსეთში არა მარტო დეკაბრისტები, არამედ პუშკინი და ლერმონტოვი, რომლის მწვავე სუსხი მოხვდა პოლონეთის პოეტებს, ხოლო საქართველოში იმსხვერპლა ბარათაშვილი.


მირბის, მიმაფრენს უგზო-უცვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!

ბარათაშვილმა მრავალი ჭრილობა მიიღო (ეს იყო ამავე დროს ჭრილობა ქართული კულტურისა); როგორც ირკვევა, ჩვენ ბევრი რამ დავკარგეთ მისი პოეტური მემკვიდრეობიდან; მაგრამ ბარათაშვილის პოეზია ისევ დარჩა აღსავსე და უკლები; მისი პოეზიის სული დარჩა ისევ ძლევაშობილი. ბარათაშვილმა, „მერანისა“ და „ბედი ქართლისა“-ს ავტორმა, შეასრულა თავისი ხალხის წინაშე დიადი მისია; თავგანწირულმა მხედარმა, ახალმა ავთანდილმა, თავისი მერანით გარდაჰკვეთა ბედის საზღვარი, შეასრულა თავისი ტიტანური შემართება:

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუჭროლდეს!



三
卷





ქართველი ერის უკვდავ მოღვაწეთა შორის, ჩვენ გვინათებს შარავანდედით მოსილი სახე ილია ჭავჭავაძისა.

ილია ჭავჭავაძე ცენტრალური ფიგურაა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოღვაწე აკაკი წერეთელი არიან დიდნი ფუძემდებელნი ახალი ქართული მწერლობისა და ახალი ქართული სალიტერატურო ენისა.

ილია ჭავჭავაძის სამწერლო მოღვაწეობა უაღრესად ფართო დიაპაზონისა, შეიძლება ითქვას — უნივერსალური ხასიათისა იყო.

ილია არის შემოქმედი ბრწყინვალე შედეგებისა მხატვრული მწერლობის დარგში, როგორცაა „განდეგილი“ და „კაცია-ადამიანი?!“, „კაკო ყაჩალი“ და „გლახის ნაამბობი“, „ბაზალეთის ტბა“ და „ოთარაანთ ქვრივი“, „აჩრდილი“ და „მგზავრის წერილები“.

ილია ამავე დროს არის დიდი პუბლიცისტი, ასევე კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ეკონომისტი, სოციოლოგი, ღრმა მოაზროვნე.

ილია არის ქართველი ხალხის დიდი განმანათლებელი.

ილია უდიდესი საზოგადო მოღვაწეა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოსი, ქართველი ერის დიდი მოჭირნახულე. ილია არის საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ბელადი.

წინამდებარე ნარკვევში ჩვენი საგანია ავსახოთ დიდი მწერლის ცხოვრების გზა, გავაშუქოთ მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა.

ისტორიული წარსულიდან

ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წელს, 27 ოქტომბერს (ძვ. სტ.). კახეთში, სოფელ ყვარელში.

ვიდრე გადავიდოდეთ მწერლის ბიოგრაფიის განხილვაზე, ჩვენ აქ წინასწარ გადავშლით რამდენიმე ფურცელს ისტორიული წარსულიდან.



მწერლის წინაპარნი საქართველოს ამ მხარის — კახეთის — ძირეულნი მკვიდრნი იყვნენ.

პოეტის სამშობლო სოფელი ყვარელი მდებარეობდა ისტორიული საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრების საღარაჯოზე.

შემთხვევითი არაა, რომ სოფელ ყვარლის თავში, დაღესტნიდან მომავალი გზის ხაზზე აღმართულია ძველი ციხე.

ხოლო თვით ილიას სახლი, სადაც დაიბადა პოეტი, — ეს არის ძველებური კოშკი, მტრებისაგან თავდასაცველად აგებული.

პოეტის სამშობლო სოფელი ყვარელი გადაჰყურებს საქართველოს მშვენიებას — ალაზნის ველს. მაგრამ ეს მშვენიერი ველი სამშობლოს ერთგულ დამცველთა წმინდა სისხლით არის მორწყული.

რა ცეცხლი გაჩნდა გაღმა-მხარს, რა გრგვინვა მოდის ბრძოლისა, მთლად დაღისტანი მოაწვა გასაოხრებლად ყვარლისა! ოცდარვა დღეა, რა ისმის ხმა ომის შეუწყვეტლისა! გაჰირდა... ციხე მისუსტდა... სად არის ხელი მსხნელისა?

გაჩნდნენ დამსხნელნი... ხმალდახმალ შუა გააპეს მტრის ძალი, და გამოიხსნენ მზრწყინავი კახეთის თვალი ყვარელი.



საისტორიო წყაროებში უძველესი ცნობა ჰავჭავაძეთა გვარის შესახებ ეკუთვნის ჯერ კიდევ იმ ხანას, როდესაც ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა არ იყო დარღვეული — სახელდობრ, საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის ხანას (მე-15 საუკუნის პირველი ნახევარი)¹. ეს იყო ეპოქა, როდესაც საქართველო იშუშებდა იმ ჭრილობებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას თემურლენგის ბარბაროსულმა შემოსევებმა მიაყენა.

თავდაპირველი სამკვიდრო ჰავჭავაძიანთ გვარისა, როგორც ირკვევა, ყოფილა კახეთის მთიულეთი, ახმეტა-თიანეთის მხარე.

ჰავჭავაძიანთ ერთ შტოს აქ ძველადვე, ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისაგან მიუღია თავადობა. ჰავჭავაძეთა სამოურავოს უძველეს ხანაში, როგორც ირკვევა, შეადგენდა ეს კუთხე, კახეთის მთიულეთი (ახმეტა-თიანეთის მხარე, ფშავ-ხევსურეთით); ამიტომაც ჰავჭავაძენი „მთის კაცთა“ სახელით მოიხსენებიან².

მე-16 საუკუნის დასაწყისს, კახთა მეფის ლეონ I-ის დროს, 1529 წელს, ჰავჭავაძიანთ გვარის მთავარი შტო დამკვიდრებულა კახეთის გაღმამხარეში, ყვარელ-შილდას მხარეში, კახეთის იმ სანაპიროზე, რომელიც იცავდა საქართველოს დაღესტანის მთიელთა შემოსევებისაგან³.

¹ იხ. მცხეთოს სიგელი ალექსანდრე I-ის დიდის დროისა, 1438 წლისა (თ. ჟორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 244).

² იხ. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, 1936 წ., გვ. 129, იხ. აგრეთვე „მასალა ისტორიისათვის“ (გამოქვეყნებული ჟურნალ „ივერიაში“, 1884 წ., V—VI, დაბატება, გვ. 40), სადაც ჰავჭავაძეთა შესახებ აღნიშნულია, რომ „ესენი იყვნენ მთის ადგილთა“. — აღნიშნავთ ამასთან, რომ ახმეტა და მისი უბნის პუნქტები მოხსენებულია ჰავჭავაძეთა გვარეულობის მთელ რიგ საბუთებში (იხ. კერძოდ მე-16 საუკუნის საბუთი, ქრონიკები, II, გვ. 334). — თიანეთი, როგორც სამკვიდრო ჰავჭავაძეთა, მოიხსენება, კერძოდ, ხალხურ ლექსებში (იხ. დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები, 1887 წ., გვ. 14).

³ იხ. „მასალა ისტორიისათვის“, ჟურნ. „ივერია“, 1884 წ., V—VI, დაბატება, გვ. 40. აღნიშნავთ ამასთან, რომ ამავე ეპოქიდან, მე-16 საუკუნიდან, მოღწეულა ჰავჭავაძეთა საგვარეულო სიგელები 1517 და 1584 წლებისა (იხ. ქრონიკები, II, გვ. 334; ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1449, საბ. 1663; ფონდი 1448, საბ. 5228).

ჰავჭავაძეთა ამ მთავარ შტოს სამკვიდროს შეადგენდა აგრეთვე გაღმა-მხარის მეზობლად მდებარე ს ა ი ნ გ ი ლ ო ს — კახეთის ამ ძველი ისტორიული ნაწილის — სოფლები.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან, რომ ჰავჭავაძეთა გვარს ჰქონია სამკვიდრო ს ა ი ნ გ ი ლ ო შ ი თვით მე-18 საუკუნის პირველ ნახევრამდე. 1726 წლის სიგელში ჰავჭავაძეთა გვარის სამკვიდროდ დასახელებულია საინგილოს სოფლები: ე ნ გ ი ა ნ ი, ყ ა ნ დ ა ხ ი და მ ო ს უ ლ ი. ამას გარდა, ჰავჭავაძეთა გვარს ჰქონია „სახელო“ ს ა ი ნ გ ი ლ ო ს ე ნ ი ს ე ლ შ ი (იგივე ელისენი, თანამედროვე ალიაბადი — ზაქათალის რაიონისა), რომელიც საინგილოს მხარის ერთ-ერთ მთავარ ცენტრს წარმოადგენდა¹.

საქართველოს ამ ძველი განუყოფელი ისტორიული ნაწილის ს ა ი ნ გ ი ლ ო ს მოხსენებული პუნქტებიდან -- საინგილოს ე ლ ი ს ე ნ შ ი (თანამედროვე ალიაბადი) და მოსულში დღემდე ქართული მოსახლეობაა, რომელსაც წმინდად დაუცავს ქართული ენა. ხოლო ორ პუნქტში, ენგიანსა და ყანდახში, — თუმცა ასევე ქართული მოსახლეობაა, მაგრამ მათ ქართული დედა-ენა უკვე დაკარგული აქვთ...

ყვარელ-შილდის მხარე, სადაც მე-16 — 18 საუკუნეებში მკვიდრობდა ჰავჭავაძეთა გვარის მთავარი შტო, წარმოადგენდა, როგორც მოვიხსენიეთ, სანაპირო კუთხეს, რომელიც იცავდა კახეთს დაღესტანის მთიელთა შემოსევებისაგან; ხოლო საინგილო იყო გზა, საიდანაც აწარმოებდნენ კახეთზე შემოტევას როგორც დაღესტნელები, ისე ირანელები. საქართველოს საზღვრების ამ სადარაჯოზე მონაპირეობამ გამოიმუშავა ამ მხარის მკვიდრთა შეუღრეკელი რაინდული სული.

იმ ქარიშხლიან ეპოქაში, რომელსაც წარმოადგენდა საქართველოსათვის, და კერძოდ, კახეთისათვის, მე-17—18 საუკუნეები, ამ მხარის მკვიდრთ ჩვენ ვხედავთ სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლთა პირველ რიგებში.

ასე, მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც შაჰ-აბასმა აპყარა კახეთი, და როდესაც თეიმურაზ I ათეული წლე-

¹ იხ. სიგელი 1726 წლისა, ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1450, დ. № 11, ს. № 12.

ბის მანძილზე აწარმოებდა გმირულ ბრძოლას ირანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, თეიმურაზის ერთ-ერთი მთავარი თანაშემრომელი ამ დროს ყოფილა გაღმა-მხარის (შილდა-ყვარელის) ქვეყნაძეთა გვარის წარმომადგენელი გარსევან გულბათის-ძე ქვეყნაძე, რომლის შესახებაც თეიმურაზ I ამბობს:

იმ ტოლი კაცი იმ დროსა, მე აღარ მყვანდა მისთანა².

მე-18 საუკუნის ოციან წლებში, როდესაც ქართლი და კახეთი ოსმალეთმა დაიპყრო, ვახტანგ VI და ქართლის თავი კაცები რუსეთში გაიხიზნენ, ხოლო კახეთის მეფე კონსტანტინე I და მისი ძმა თეიმურაზ II (ერეკლე II-ის მამა) კახეთის მთიულეთში იყვნენ გამაგრებულნი, ამ უკანასკნელთ თან ახლდნენ ქვეყნაძენი.

ამ დროს — 1726 წელს გაცემულს ერთ სიგელში კახეთის მეფე კონსტანტინე I წერს ქვეყნაძეთა სახლის განსაკუთრებული ღვაწლის შესახებ სამშობლოს წინაშე, — რომ მათმა მამა-პაპამ არაერთგზის დასდო თავი ქვეყნისათვის, და რომ უკანასკნელ დროსაც, როდესაც ქვეყანას თურქები შემოესივნენ, მათ განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინეს.

... მამა-პაპანი თქვენნიო, — წერს ქვეყნაძეთა შესახებ კონსტანტინე I — „ერთგულებასა, სამსახურსა შინა აღსრულებულ იყვნეს, რამეთუ მრავალნი შრომანი და ჭირნი თავს ესხნეს; და მრავალჯერ ექსორია ქმნილიყვნეს უცხოთა ადგილთა და ქვეყანათა კურთხეულთა მათ — მამათა და პაპათა ჩვენთა თანა. ხოლო აწ რომელნიცა დაშთომილ იყვენით — შეილნი მათნი, უფროსნი მსახურებანი აღასრულენით, რამეთუ არა ჰრიდეთ ხორცთა თქვენთა სიკვდილად...“².

ქვეყნისათვის ამ თავდადებაზე ჩვენ მოგვითხრობს არა ერთი და ორი ხალხური ლექსი.

¹ იხ. არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1936 წ., გვ. 86—87.

² იხ. სიგელი 1726 წლისა, ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1450, დ. № 11, ს. № 12.

ოჯახური გარემო. ყრმობა. სიჭაბუკე

გავეცნოთ ამის შემდეგ მწერლის ოჯახურ გარემოს.

მწერლის ოჯახში, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ძველი საქართველოს ისტორიული ტრადიციები.

მწერლის პაპა პაატა ჭავჭავაძე — მომსწრე იყო ერეკლე მეფისა.

ერეკლე მეფის დროს პაატა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მოიხსენება როგორც მონაწილე ექსპედიციისა იმერეთში 1788 წელს, როდესაც ერეკლემ იმერეთის მეფედ დასვა თავისი შვილიშვილი სოლომონ II¹.

1798 წელს, როდესაც გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პატარა კახი და, როგორც ხალხური ლექსი ამბობს — „საქართველოს შეეხსნა რკინის კარები“, — პაატა იყო ერეკლეს დამტირებელთა შორის; პაატას, ქართლ-კახეთის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ჩამოუსვენებია ერეკლეს ცხედარი თელავიდან მცხეთაში, სადაც იგი მიაბარეს სამშობლო მიწას საქართველოს ძველ დედაქალაქში².

საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის დროს პაატა სამხედრო სამსახურშია. 1800 წელს გიორგი XII უბოძებს პაატას სამხედრო ხარისხს „ხუთასის-თავობა“-ს³.

რუსეთის მფლობელობის დამყარების შემდეგ პაატა ცხოვრობს თავის სამშობლო სოფელ ყვარელში.

პაატას ხუთი ვაჟი ჰყოლია: სვიმონი, გარსევანი, ალექსანდრე, გრიგოლი (მამა ილიასი) და იოსები.

პაატას პირველი ოთხი ვაჟი რუსეთის ჯარში ყოფილან სამსახურში ოფიცრებად. ამათგან პირველი სამი, ჯერ კიდევ ახალ-

¹ იხ. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XII-ისა, 1936 წ., გვ. 263.

² იხ. უწყება ერეკლე მეფის დასაფლავების შესახებ (დოკუმენტი დაბეჭდილი გაზ. „ივერიაში“ 1887 წ., №№ 89—90).

³ იხ. საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 263. შეად. საბუთი ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივისა, ფონდი 1450, დ. № 52, ს. № 74.

გაზრდები, ომში დაღუპულან. უფროსი ვაჟი, სვიმონი, ქართული გრენადერთა პოლკის პორუჩიკი, დაღუპულა 1827 წელს სპარსეთთან ომში; იგი მოუკლავთ ბრძოლაში ერევენის ციხის აღების დროს. უდროოდ დაღუპულს სვიმონ ჭავჭავაძეს მოიხსენებს გრიგოლ ორბელიანი თავის „სადღეგრძელო“-ში, როგორც „მშვენიერს და გონებით საესე ყმაწვილ კაცს“.

სვიმონ ჭავჭავაძის მომდევნო ძმა — გარსევანი, შტაბს-კაპიტანი კავკასიის მესანგრეთა ბატალიონისა, და მესამე ძმა — სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე — დაღუპულან უახლოეს წლებში ლეკებთან ომის დროს დაღესტანში¹.

* * *

მეოთხე ვაჟი პაატასი, — გ რ ი გ ო ლ ი, მამა ილიასი, დაბადებულა 1811 წელს².

გრიგოლი, ისევე როგორც მისი ძმები, ერთხანად სამხედრო სამსახურში ყოფილა ოფიცრად.

როგორც ირკვევა, გრიგოლი თავის დროისათვის საკმაოდ განათლებული ადამიანი ყოფილა. ილია თავის ავტობიოგრაფიაში თავმდაბლურად შენიშნავს მამის შესახებ: „მამაჩემი რამდენადმე განათლებული კაცი იყო, ოფიცრად მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში და რუსული კარგად იცოდა“-ო³.

გრიგოლი სამხედრო სამსახურში სრულიად ახალგაზრდა შესულა, 1828 წელს, როდესაც იგი მე-17 წელში იყო გადამდგარი. 1828—1829 წლებში მას მონაწილეობა მიუღია ომში ოსმალეთის წინააღმდეგ. გრიგოლი მონაწილე ყოფილა ბრძოლებისა ყარსის აღების დროს (23 ივნისს 1828 წ.), ახალქალაქის

¹ იხ. საბუთი ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივისა, ფონდი 3, საქმე 3728, ფ. 1—3; საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 168 (პუბლიკაცია ა. იოვიძისა).

² იხ. გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძის ნამსახურობითი ნუსხა (ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 3, საქმე 3728, ფ. 4—10; საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 169—174). შეად. ლიტერატურულ შემეკიდრება, I, 1935 წ., გვ. 554.

³ იხ. ილიას ავტობიოგრაფია (გამოქვეყნებულია ეურნალ „განათლება-ში“, 1908 წ., № 1, გვ. 17—22).

აღების დროს (24 ივლისს 1828 წელს) და ახალციხის აღების დროს (15 აგვისტოს 1828 წელს). განსაკუთრებული მამაცობისათვის, რომელიც გრიგოლს გამოუჩენია ახალციხის ციხადელის აღებისას, გრიგოლს, 17 წლის ყმაწვილს, უბოძეს ოფიცრის პირველი ჩინი. ამის შემდეგ 1828. -1829 წლების მანძილზე გრიგოლი მონაწილეობს ბრძოლებში ოსმალთა წინააღმდეგ ძველქართულ მხარეებში — კოლა-არტაანში, ტაოში, სპერში, ლაზეთ-ჭანეთში, აგრეთვე არზრუმის მხარეში. დაბა ღართის აღებისათვის (სპერის მხარეში) და ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის გრიგოლი ორდენით დაუჯილდოებიათ¹.

1829 წელს, ოსმალეთთან ომის დამთავრების შემდეგ, გრიგოლი თავის პოლკთან ერთად საქართველოში ბრუნდება.

1832 წელს გრიგოლი ოჯახს მოეკიდება, შეირთავს მაგდანე ბებურიშვილის ქალს.

შემდეგ წელს, 1833-ში, გრიგოლი ანებებს თავს სამხედრო სამსახურს (პორუჩიკის ჩინით) და საბოლოოდ დამკვიდრდება თავის მამაპაპეულ სოფელ ყვარელში.

ის გარემოება, რომ გრიგოლს დაუნებებია თავი სამხედრო სამსახურისათვის ასე ადრე, ჯერ კიდევ 22 წლის ახალგაზრდას, იმით ყოფილა გამოწვეული, რომ გრიგოლის სამივე უფროსი ძმა ომებში დაიღუპა და მათს გაუყოფელ ოჯახს სხვა პატრონი, გარდა გრიგოლისა, არა ჰყავდა. აღსანიშნავია ამას გარდა, რომ გრიგოლს უფროსი ძმების შემდეგ, რომლებიც, როგორც ჩანს, ფართო, ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდნენ, დიდი ვალები დარჩენია, რამაც ოჯახი უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო².

გრიგოლმა სამხედრო სამსახურს თუმცა თავი დაანება 1833 წელს, მაგრამ თორმეტი წლის შემდეგ, 1845 წელს, მას ისევ მოუხდა დროებით ჯარში დაბრუნება.

1845 წელს გრიგოლი დაინიშნა კახეთის მოხალისეთა ჯარის (მილიციის) ათასეულის უფროსად. კახეთის მოხალისეთა ეს ჯარი შეიკრიბა დაღესტანში სალაშქროდ. 1845 წლის ზაფხულზე ჯარმა ილაშქრა დაღესტანში, დიდოეთში. გრიგოლს ამ ექსპედიციის დროს დიდი მამაცობა გამოუჩენია და იგი დაუჯილ-

¹ იხ. გრიგოლ პატას-ძე ჭავჭავაძის ნამსახურობითი ნუსხა.

² იხ. საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 168.

ლოებით შტაბს-კაპიტანის სამხედრო ხარისხით («за примерную храбрость, оказанную во время военных действий партизанами чинами штабс-капитана», — ნათქვამია ოფიციალურ დოკუმენტში). ექსპედიციის დამთავრებისა და ჯარის კახეთში დაბრუნების შემდეგ გრიგოლი 1845 წელსვე თავისუფლდება სამხედრო სამსახურიდან და ბრუნდება სოფელ ყვარელში.

ოთხი წლის შემდეგ, 1849 წელს, გრიგოლი ისევ ლეზულობს მონაწილეობას სამხედრო ექსპედიციაში დაღესტანში და კვლავ ლეზულობს სამხედრო ჯილდოს მამაცობისათვის¹.

მაგრამ ნამდვილი გმირობა გრიგოლს გამოუჩენია 1850 წელს.

1850 წლის 14 ივლისს ყვარელს თავს დაესხა ლეკთა დიდი ჯარი. სოფელში შემოიჭრა 500-მდე ცხენოსანი ლეკი; ამას გარდა, სოფლის ბოლოს დაბანაკდა ქვეითი ჯარი ლეკებისა.

გრიგოლ ჭავჭავაძემ, სოფლის კორდონის უფროს დავით ჭავჭავაძესთან ერთად, სასწრაფოდ შეკრიბა სოფლელები წინააღმდეგობის გასაწევად. ეს დარაზმვა სოფლელებისა ისე სწრაფად იქნა მოწყობილი და ოპერაცია ლეკების წინააღმდეგ ისე ბრწყინვალედ იქნა ჩატარებული, რომ ლეკების ჯარი უკუაქციეს და სოფლიდან განდევნეს ზარალის მიყენებით. შეტაკების დროს მოკლულ იქნა თვით ბელადი ლეკებისა, ანწუხ-ყაფუჩას თემის ნაიბი აბალუ.

აღსანიშნავია, რომ ლეკებთან ამ შეტაკების დროს სოფელს არავითარი დახმარება არ გაუწია მთავრობის ჯარის ნაწილმა, რომელიც იდგა იქვე ახლოს, სოფლის გარეუბანში, ყვარლის ციხეში (ამ დროს ყვარლის ციხეში დაბანაკებული იყო მთავრობის ჯარის 400 ჯარისკაცი და 60 მილიციელი).

ოფიციალურ დოკუმენტში მთავრობის ჯარის ამ უმოკმედობის გამო, რაც ნამდვილ ლალატს უდრიდა, ნათქვამია:

«Урон горцев был бы несравненно значительнее, если бы воинский начальник Кварельского укрепления оказал хотя бы какую-нибудь помощь деревне; но несмотря на то, что горцы прошли при дневном свете в виду укрепления, от которой проиженная ими тропа отстоит не более как на 20 сажених, и к которой направлена сторо-

¹ იხ. გრიგოლ პატას-ძე ჭავჭავაძის წამსახურობითი ნუსხა.

желевая пушка, они прошли как бы совершенно незамеченными, и означенный воинский начальник, несмотря на неоднократные просьбы сельского начальника и жителей, не оказал никакой помощи и даже не позволил сотенному начальнику милиции Сигнахского уезда прапорщику Луарсабу Вачнадзеву выйти на помощь селению с бывшими при нем 60 человеками милиционеров»¹.

ყვარელის ამ გმირული თავდაცვის შესახებ მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა 1851 წლის 24 ნოემბერს საგანგებო მოხსენებით აცნობა პეტერბურგში სამხედრო მინისტრს ა. ჩერნიშევს და ითხოვდა თავდაცვის მონაწილეების და, პირველ რიგში, თავდაცვის გმირი ორგანიზატორების — გრიგოლ და დავით ჭავჭავაძეების დაჯილდოებას, მ. ვორონცოვი ამ მოხსენებაში არ მალავდა აგრეთვე იმას, თუ რა სიმხდალე და უმოქმედობა გამოიჩინა ამ დროს მთავრობის ჯარის ხელმძღვანელობამ:

«...Я должен с сожалением сказать, — წერდა მ. ვორონცოვი, — что князей и жителей сел. Кварели тем более справедливо и необходимо наградить, что они были совершенно оставлены без помощи со стороны нашего укрепления Кварельского, несмотря на то, что в этом укреплении находилось под командованием подполковника Старова до 400 человек линейного батальона и грузинских милиционеров; они последние сами просились у воинского начальника идти на помощь селению, но в этом им было отказано...».

მოხსენება თავდება მ. ვორონცოვის შემდეგი უუამდგომლობით:

«Считая заслуги князей Чавчавадзевых совершенно заслуживающими награды, я имею честь покорнейше просить вашу светлость исходатайствовать высочайшее государя императора соизволение на пожалование им орденов св. Анны: штабс-капитану Григорию 2-ой степени и прапорщику Давиду 4-ой степени».

ამის შემდეგ, 1851 წლის 26 იანვრის თარიღით იმპერატორის სახელით გამოსული ბრძანებით გრიგოლ და დავით ჭავჭავაძენი დაჯილდოებულ იქნენ დასახელებული სამხედრო ორდენებით².

¹ იხ. ამიერკავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოხსენება კავკასიის მეფისნაცვლისადმი 1850 წლის 20 ივლისის თარიღით (ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი 4, საქმე 9257, ფ. 5, საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 163—5).

² საბუთები ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივისა. ფონდი 4, საქ. 9257, ფ. 10—11, 14; საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 166—7.

გრიგოლმა, როგორც აღვნიშნეთ, სამხედრო სამსახურში მხოლოდ რამდენიმე წელიწადი დაჰყო, ხოლო მეტწილად იგი სოფელში ცხოვრობდა და სოფლის მეურნეობას მისდევდა. გრიგოლი თბილისთანაც არ წყვეტდა კავშირს, სადაც იზრდებოდნენ მისი შვილები, კერძოდ, გრიგოლი არაიშვიათი სტუმარი ყოფილა თავისი მოგვარის, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახისა¹.

ძველი საზოგადო მოღვაწე მ. ნასიძე, ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში, რომელიც ილიას სიცოცხლეში გამოქვეყნდა (1898 წელს), წერს ილიას მამის გრიგოლის შესახებ: გრიგოლ ჭავჭავაძე ცნობილი იყო მთელ კახეთში, როგორც გონებამახვილი, სიტყვამოსწრებული კაცი, თავის დროზე ზომიერი ხუმრობა უყვარდაო². (ამასვე გადმოგვცემს ილიას მამის შესახებ ბიოგრაფიულ შენიშვნაში ალექსანდრე ყიფშიძე)³.

მას შემდეგ, რაც ილიას მამა გრიგოლი სოფელში დასახლდა, მისი ცხოვრება ვერ მოეწყო ბედნიერად. გრიგოლს გარდაცვალა ახალგაზრდა მეუღლე (1848 წ.) და წვრილ შვილებზე ზრუნვა მას დააწვა ტვირთად. ამით იყო, ჩანს, გამოწვეული ის გულჩათხრობილობა, რომელიც დასჩემდა გრიგოლს. თავის ავტობიოგრაფიაში ილია მოგვითხრობს მამის შესახებ: იგი ზოგჯერ რამდენიმე დღის განმავლობაში ხმას არ ამოიღებდა და მღუმიარებით იყო შეპყრობილიო. მხოლოდ იშვიათად, საზოგადოებაში ყოფნის დროს, გრიგოლი გამოცოცხლდებოდა და გონებამახვილობითა და ზომიერი ხუმრობით ხიბლავდა ყველას.

ილიას მამამ დიდი მზრუნველობა გამოიჩინა, რათა შვილებს სათანადო განათლება მიეღოთ. გრიგოლმა, მიუხედავად დიდი ხელმოკლეობისა (— გრიგოლს, როგორც მოვიხსენეთ, დიდი ვალები დააწვა ძმების გარდაცვალების შემდეგ), — თავისი უფროსი ვაჟი კონსტანტინე, თბილისში სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, რუსეთში, მოსკოვის უნივერსიტეტში ვაგზავნა განათლების მისაღებად. ასევე თავისი ხანმოკლე სიცოცხლის

¹ იხ. მ. ნასიძე („მე გახლავარ“), ილია ჭავჭავაძე, 1898 წ., გვ. 5—6.

² იხ. მ. ნასიძე („მე გახლავარ“), ილია ჭავჭავაძე, 1898 წ., გვ. 5—6.

³ იხ. კრებული: ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, 1907 წ., წერილი ა. ყ-სა, გვ. 69.

მანძილზე მან სწავლის გზაზე დააყენა სხვა თავისი უმცროსი შვილები. აღსანიშნავია ამასთან, რომ გრიგოლი, სამხედრო კაცი, თავის შვილებს ზრდიდა არა სამხედრო, არამედ სამოქალაქო სასწავლებლებში, და ეს მაშინ, როდესაც იმდროინდელი თავადაზნაურობა ასე ესწრაფოდა სამხედრო სამსახურს. აღსანიშნავია ამასთან ისიც, რომ გრიგოლი ზრუნავდა არა მარტო ვაჟების განათლებაზე, არამედ თავისი უფროსი ქალი ნინო აგრეთვე ჩამოუყვანია სოფლიდან თბილისში და წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში ზრდიდა. ამ დროს ქალების მიბარება სასწავლებელში, ისიც პროვინციიდან, იშვიათი შემთხვევა იყო. გრიგოლი, როგორც ირკვევა, თავისი დროისათვის მოწინავე შეხედულებების ადამიანი ყოფილა.

გრიგოლი გარდაიცვალა შედარებით ახალგაზრდა კაცი, 41 წლისა, 1852 წელს (10 დეკემბერს ძვ. სტ.)¹, როდესაც ილია 15 წლისა იყო და გიმნაზიაში სწავლობდა.



დედა ილიასი — მ ა რ ი ა მ ი (ქალიშვილობაში მ ა გ დ ა ნ ე) თბილისელი მკვიდრი იყო, ბებურიშვილის ქალი, ასული კახეთის აზნაურის (თბილისში მცხოვრების) ქრისტეფორე ბებურიშვილისა². მარიამი დაბადებულია 1818 წელს³. იგი სრულიად ახალგაზრდა გათხოვილა გრიგოლზე (1832 წ.).

მარიამი ძველებურის წესით კარგად განათლებული ყოფილა ქართულ ენაზე. მარიამი ნათელი ბუნების ადამიანი ყოფილა, შესანიშნავი აღმზრდელი თავისი შვილებისა.

ილია თავის ავტობიოგრაფიაში წერს:

„დედაჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა, სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლილი თითქმის ყველა ლექსი და ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი, ან ხელნაწერი. საღამოობით დაგვსხავდა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს.

¹ იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 554 (შეად. საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 167).

² იხ. გრიგოლ ზაბთას-ძე კავკავაძის ნამსახურობითი ნუსხა.

³ იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 553.

წყობის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე დღის საღამოზედ გვკითხავდა: აბა ვინ უფრო კარგად მიაბობს, რაც გუშინ გავიგონეთო. ვინც კარგად ვუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვაფასებდით“.

გრიგოლ ყიფშიძეს დაცული აქვს ილიას გადმონაცემი:

„არა ერთხელ გაგვიგონია მისგან (ილიასაგან), რომ მე, როგორც პატარას და ტანად მრგვალს, დამავორებდნენ ტახტზე მუთაქასავეთ, დასდებდნენ ჩემზე წიგნს და კითხულობდნენო“¹.

ამ დროიდან, ბავშვობიდანვე, ილიას უსაყვარლესი წიგნი გამხდარა შოთა რუსთაველის უკედავი „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც დედა უკითხავდა და ასწავლიდა.

ალექსანდრე ყიფშიძე, თვით ილიას გადმონაცემის მიხედვით, წერს:

„ქართული წერა-კითხვა (ილიამ) პირველად ოჯახშივე შეიძინა. იქვე ბავშვობიდანვე ჰქონდა შესწავლილი ვეფხისტყაოსანი შოთა რუსთაველისა და ეგების ეს გარემოება იყოს მიზეზი, რომ განსვენებულმა საუკეთესოდ იცოდა ქართული ენა, ბადალი არ ჰყავდა სამშობლო ენის ცოდნაში... თვითონაც (ილიას) ბევრჯერ სიამოვნებით მოუგონებია ის ნეტარი დრო ყმაწვილობისა და ბავშვობისა, ოჯახში რომ ქალები (ჩერ დედა, ხოლო დედის გარდაცვალების შემდეგ მამიდა) — ასწავლიდნენ ვეფხისტყაოსანს“².

ილიას მშობლებს ექვსი შვილი ჰყოლიათ: კონსტანტინე, ნინო, ილია, ელისაბედი, თემური და სვიმონი.

ილიას უფროსი ძმა კონსტანტინე, რომელიც 1852 წელს მამას გაუეზავნია მოსკოვის უნივერსიტეტში შესასვლელად, მამის გარდაცვალების შემდეგ (იმავე 1852 წელს) ჩამობრუნებულია საქართველოში. იგი ჯერ სრულიად ახალგაზრდა 22 წლისა მოუკლავთ ლეკებს 1854 წელს, როდესაც შამილს რაზმი თავს დაესხა წინანდალს და გაიტაცეს პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილის დავითის სახლობა. კონსტანტინე კახეთიდან ტყვეების გამოსახსნელად წასულ მღევართა შორის ყოფილა

¹ იხ. გრ. ყიფშიძე, ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია (ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, I, 1914 წ., გვ. IX).

² იხ. კრებული: „ილია ჭავჭავაძის სიყვდილი და დასაფლავება“, წერილი ა. ყ-სა, გვ. 69.

და ლეკებთან შეტაკების დროს დაღუპულა. უმცროსი ძმა ილიასი სვიმონი სრულიად მცირეწლოვანი გარდაცვლილა. მესამე ძმა ილიასი — თემური — გარდაცვლილა 1860 წელს, 15 წლისა, როდესაც იგი პეტერბურგში კადეტთა კორპუსში სწავლობდა. ილიამ ლექსში „ძმის სიკვდილზედ“ დაიტირა უდროოდ დაკარგული უკანასკნელი უმცროსი ძმა, რომელიც ილიას განსაკუთრებით ჰყვარებია.

ილიას და-ძმებიდან შერჩნენ დები ნინო და ელისაბედი.

ილიას თავისი ოჯახური წრე ბავშვობის ხანისა ასახული აქვს მოთხრობის „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის“ შესავალში, რომელიც ავტობიოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს.

უკვე ჭადარაშერეული მწერალი აქ იგონებს თავის ბავშვობას, თავის სოფელს — „როცა ბლარტებივით გარს ვეხვიენით დედ-მამას ორნი დანი და სამნი ძმანი... ვხედავ, როგორ დაგვხარიათ შვილებს დედა, მამა, როგორ შეგხარით ბავშვურის სიხარულითა... მომესმის ჭკუა-დამჭდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედა-ჩემისა, მამა-ჩემისა...“

ილია იგონებს, თუ როგორ უნერგავდნენ მშობლები სამშობლო ქვეყნის სიყვარულს. ილია იგონებს მამის სიტყვებს: „ყველას უყვარს, შვილებო, თავის ქვეყანა, და როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს და თავი არ გამოიმეტოს...“

*

ილია ათი წლისა იყო, როდესაც 1848 წელს (5 მაისს ძვ. სტ.) გარდაიცვალა ილიას დედა მარიამი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქალი, 30 წლისა¹.

ილიას მამამ გრიგოლმა ობლების აღზრდა მიანდო თავის დას მაკრინეს. მაკრინე, გათხოვილი ივანე არაგვის ერისთავზე, ამ დროს დაქვრივებული იყო. გრიგოლის თხოვნით მაკრინე დაბრუნდა სოფელ ყვარელში და იტვირთა ობლების აღზრდა, რომელთაც ნამდვილი დედობა გაუწია.

ილიას დაი ელისაბედი თავის მოგონებაში წერს:

„დედა რომ გარდაიცვალა, დავრჩით ობოლნი, მცირეწლოვანი. მამაჩემის დაი მაკრინე, მეუღლე ივანე არაგვის ერისთავისა, დარჩა ქვრივად. შვილი არა ჰყავდა. მამაჩემის თხოვნით გადმოსახლდა თავის ძმა გრიგოლთან, მიიღო დედობრივი

¹ იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 553.

მზრუნველობა ობლებზედ. ფრიად კეთილ, ქართულს მწიგნობრობაში განვითარებულს ყოვლად პატივცემულ ადამიანთან აღვიზარდენით...“¹.

როდესაც ოთხი წლის შემდეგ, 1852 წელს, გარდაიცვალა ილიას მამა გრიგოლი, მთელი ოჯახის გაძლოლა ილიას მამიდას მაკრინეს დააწვა. მან ღირსეულად შეასრულა აღმზრდელის დიდი მოვალეობა და ნამდვილი პატრონობა გაუწია დაობლებულ ოჯახს.

ილიას დაი ელისაბედი წერს თავის მოგონებაში:

„...მამის ჩემის სიკვდილის შემდეგ ყოველივე ოჯახის მზრუნველობა, გამგებლობა, გადაეცა მამიდა მაკრინეზე... მამიდამ ამ დღიდან მოკიდებული 87 წლამდის ჩვენს ზრუნვაში გაატარა თავისი სიცოცხლის დღენი“.

არაა ინტერესს მოკლებული მოვიყვანოთ აქ აგრეთვე ცნობები ილიას პირველი ბიოგრაფის მ. ნასიძისა, რომელიც იცნობდა ილიას ოჯახს და რომლის ბიოგრაფიული ნარკვევი, როგორც მოვიხსენეთ, თვით ილიას სიცოცხლეში გამოქვეყნდა (1878 წელს). მ. ნასიძე წერს:

„ყველაზე გამოჩენილ პირად პოეტის ოჯახში უნდა ჩაითვალოს მამიდამისი მაკრინე, ერისთავის მეუღლე. ისა ბრძანდებოდა დიდი მწიგნობარი, დიდი განათლებული და ნაკეთი თავის დროის შესაფერისად“².

მ. ნასიძის აზრით, პატარა ილიაზე მამიდა მაკრინეს განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა, არანაკლები ვიდრე დედ-მამას.

მართლაც, მაკრინეს უდიდესი სიყვარული დაუმსახურებია თავისი ძმისწულებისა, კერძოდ, ილიასი.

თუ როგორ აფასებდა ილია თავის აღმზრდელ მამიდას, თუ როგორი ნამდვილი შვილური სიყვარულით ექცეოდა იგი მას, ჩანს ილიას ქვემოთმოყვანილი წერილიდან მამიდასადმი.

ილია წერს ამ წერილს უკვე დაეპყაყებული, ცხოვრებაში გამოსული განთქმული მწერალი (წერილი მოწერილია დღემთიდან ყვარელში, სამოციანი წლების ბოლოს):

¹ იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 554—557.

² იხ. მ. ნასიძე („მე გახლავარ“), ილია ქავეკვაძე, 1898 წ., გვ. 6.

„საყვარელო მამიდაჯან!

„... თქვენმა მხიარულმა წიგნმა და კარგს ქეიფზედ ყოფნამ, როგორც წიგნიდან სჩანს, ჩემი სიხარული და სიამოვნება ჩვეულებრივს წრეს გადააცილა. ღმერთმან ყოველთვის მშვიდობით, ბედნიერად და სიამოვნებით გაცხოვროთ ჩვენდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ. მაგრამ, მამიდაჯან, არ ვიცი — უთქვენობა, რომ მე თქვენ თან არ გახლავარ, რად მაწუხებს აგრე?.. ღმერთი მოწამეა, რუსეთში ვყოფილვარ უფრო პატარა, რამოდენა ხანია ესე გარეთ ვეთრევი და როგორც დაღლილი მგზავრი ველი — როდის მომცემს ბედი ნებას, რომ ჩემი თავი ჩემს ქოხს შევფაგო, — ეს ამდენი ხანია გარეთა ვარ უთქვენოდ, მაგრამ როგორც ესლა თქვენი ნახვა მე მინდა, ჩემს დღეში არ მომდომია. არ ვიცი, ეს რისგან არის? იმისგან თუ, რომ ესლა ბედმა ცოტად მაინც გამიღიმა (ცოლიც კარგი მყავს), ლუკმა პურსაც ჩემის ცოდვილობით ვშოვობ და მაქვს, იქნებ ამისაგან მინდა, რომ ამ ყოფაშა თქვენა მნახოთ მხიარული, ბედნიერი და ჩვენის ამ ყოფით ისიამოვნოთ. მე თქვენთან ყოფნა რომ მინდა, იმისათვის, რომ ბოლოს ვინც თქვენ პატარაობაში დიდი მზრუნველობით გამოზარდეთ, ესლა იმან თქვენის ათასნაირ შრომისათვის ხელის გულზედ ერბო-კვერცხი იწვას და ისე გაცხოვროთ. სიკეთე დაუფიწყარია და რაც თქვენ ჩვენთვის სიკეთე გიქნიათ, ეგ უფრო განსაკუთრებით უკვდავი არის ჩემთვის. მე რომ მინდა მანდ (ყვარელში) — გადმოსვლა, იმიტომ უფრო, რომ თქვენ თან გახლდეთ და ჩემი დღენი თქვენს პატივისცემაში, სიამოვნებაში დაველიო...“

ამას წერს თავდაქერილი, სიტყვაძვირი ილია, რომელსაც, როგორც ოთარაანთ ქვრივს, არ უყვარდა თავის გულისნადების გამომყლავნება. რამდენი სიტბო და სიყვარული იგრძნობა ამ წერილში...

ასეთი იყო ოჯახური წრე, სადაც დაიბადა და იზრდებოდა ილია.

• • •

ილიას დედა ჯერ კიდევ ცოცხალი ჰყავდა, როდესაც, 1845 წელს, რვა წლის ილია მშობლებმა მიაბარეს სოფლის საშინაო სკოლაში ადგილობრივ მთავართან.

ილია თავის ავტობიოგრაფიაში დაწვრილებით აგვიწერს ამ საშინაო პატრიარქალურს ხალხურ სკოლას, რომელიც ჩვეულებრივი იყო ძველად ქართულ სოფლებში.

„სწავლა რვა წლისამ დავიწყე ჩვენ სოფლისავე მთავართან ქართულის წერა-კითხვითა. მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების

კარგი მკითხველისა. ზოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვისათვის ადვილად გასაგების ენით უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოემოქმედნა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცველად.

„ბევრი ამ ამბავთაგანი ღრმად ჩამრჩა გულში, და ერთი მათ შორის — „დიმიტრი თავდადებული“ — თემად გამოვიყენე მრავალი წლის შემდეგ. ერთი კიდეე პატარა საშობაო მოთხრობად დავწერე. ჩემს „გლახის ნაამბობში“ ზოგიერთს ადგილს ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისა.

„მთავართან ვსწავლობდი ამავე ჩემს სამშობლო სოფლის გლეხკაცების შვილებთან. რამდენადაც მახსოვს, ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ. ყველანი შინიდან დავდიოდით მთავართან დილდით და სწავლა გვექონდა მხოლოდ შუადღემდე. წერა-კითხვას, როგორც მახსოვს, სულ ერთ საათს ვანდომებდით. დანარჩენი დრო შუადღემდე იმაში გადიოდა, რომ ვთამაშობდით თვით მთავრის ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით, და უმთავრესად უფრო იმაში, რომ ვისხედით და ვისმენდით იმის გასატაცებელ ამბებს“.

ამრიგად, როგორც ამას აღნიშნავს თვით ილია, „გლახის ნაამბობში“ არის ავტობიოგრაფიული ელემენტები. „გლახის ნაამბობის“ მეხუთე თავში აღწერილი საშინაო სკოლა შეიცავს მოგონებებს ილიას ბავშვობის დროიდან. თვით სახე აღმზრდელისა, დაბატული, „გლახის ნაამბობში“, ილიას ამ პირველი მასწავლებლის სახეს წარმოგვიდგენს.

* • •

დასასრულ, აქ შევჩერდებით დანარჩენ ცნობებზე, რომლებიც ილიას ბავშვობის დროის შესახებ მოგვეპოვება.

ილიას დაი ელისაბედი წერს თავის მოგონებებში:

„ჩემის დის ნინოსაგან გამიგონია, ილია ბავშვობიდანვე თავის ტოლებში თურმე ირჩეოდა როგორც მშვიდი, წყნარი, და-ძმობაში მოსიყვარულე. როდესაც ჩვენ ბავშვები ვთამაშობ-

დით, იშვიათად მიიღებდა ჩვენთან მონაწილეობას თამაშობაში“-ო.

კოხტა აფხაზი, ილიასთან ბავშვობიდანვე თანშეზრდილი, წერს, რომ ილიას ბავშვობაში ახასიათებდა მარტოობისადმი ლტოლვა, „როგორღაც მიუკარებელი და უფრო ჩუმი იყო“-ო. მაგრამ ამასთან ილია გონებამახვილი ბავშვი ყოფილა: „მეტის-მეტი მოსწრებული ხუმრობა იცოდა“-ო¹.

დიდად საყურადღებოა მოგონებანი ილიას გამდელის, გლეხის ქალის სალომე ლოლაძისა, რომელიც ბავშვობიდანვე ილიას ოჯახში იყო გაზრდილი. იგი გადმოგვცემს:

„ილია... ანგელოზივით ბავშვი იყო. ცელქობა და თამაშობა ავრე რიგად არ უყვარდა...

„მეტის-მეტად ხათრიანი ბავშვი იყო. ხმას არ აუმაღლებდა თავის დღეში მოსამსახურეს. ხშირად გაგზავნიდა ხოლმე მისი მამიდა მუშების დასათვალიერებლად და სამუშაოდ დასაძახებლად. ილია მალე დაბრუნდებოდა მარტო და კი არავის მოიყვანდა. მამიდა გაუჭაერდებოდა ხოლმე. ილია კი უპასუხებდა: „ოჰ, მამიდაო, ისე ტკბილად სძინავთ ჩრდილში, რომ ვერ გავალვიძე, შემეცოდნენო...“².

ილიას, როგორც ბავშვობაში, ისე შემდეგაც, ვიდრე მოხუცებამდე, ახასიათებდა უმცროსებთან მოქცევის დროს ასეთი განსაკუთრებული თავაზიანობა.

ილიას დაი ელისაბედი თავის მოგონებებში აღნიშნავს:

„სამოცდარვა წელიწადი ვიცხოვრეთ, არ მახსოვს მაღალის სიტყვით გასჭაერებოდეს მოსამსახურეს. ჩვენ და-ძმობაშიაც დიდი სიყვარულით, თავაზიანობით გვექცეოდა“-ო.

აქ ცალკეა აღსანიშნავი, რომ ილია ბავშვობიდანვე იჩენდა განსაკუთრებულ სიყვარულს ქართული ხალხური სიტყვიერებისადმი, მას იტაცებდა ხალხური ლექსები, ზღაპრები.

ილიას გამდელი სალომე ლოლაძისა მოგვითხრობს:

„ხშირად მოიხმობდა ხოლმე ბავშვი ილია ბიჭ-მოსამსახურეებს და ლექსებს ათქმევინებდა“-ო.

¹ იხ. კოხტა აფხაზის მოგონებანი, გამოქვეყნებულია კრებულში „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935 წ., გვ. 563—5.

² იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 557.

კობტა აფხაზი აგრეთვე საგანგებოდ აღნიშნავს ილიას განსაკუთრებულ სიყვარულს ხალხური სიტყვიერებისადმი.

• • •

ილია მეთერთმეტე წელში იყო გადამდგარი, როდესაც მამამ 1848 წლის იანვრისათვის ჩამოიყვანა იგი თბილისში სასწავლებელში შესაყვანად (სწავლა ამ დროს პანსიონებში და გიმნაზიებში 1 იანვრიდან იწყებოდა).

ილია მამამ მიაბარა პანსიონში, რომელიც ეკუთვნოდა პედაგოგს რაევსკის. ეს პანსიონი კერძო სასწავლებელი იყო და სასწავლო კურსით პროგიმნაზიას წარმოადგენდა.

რაევსკის პანსიონი საუკეთესოდ ითვლებოდა თბილისის სასწავლებელთა შორის. სასწავლო ნაწილის გამგე და ფაქტიური ხელმძღვანელი პანსიონისა ყოფილა მასწავლებელი ჰაკე¹.

ილია ამ პანსიონში სწავლობდა 1848—1851 წლებში.

თავის ავტობიოგრაფიაში ილია, ეხება რა პანსიონში ყოფნის ხანას, პანსიონის მასწავლებელთაგან განსაკუთრებული პატივისცემით იგონებს ჰაკეს, რომელიც გამოჩენილი პედაგოგი ყოფილა.

ილია წერს:

„პანსიონს მაშინ განაგებდა მხოლოდ ერთი ჰაკე. ჰაკე გერმანელი იყო, ყოველმხრივ განათლებული კაცი. გერმანიიდან დაიბარა მაშინდელმა კავკასიის ცალკე კორპუსის კომანდირმა ნეიტგარტმა თავისი შვილების აღსაზრდელად, ხოლო ნეიტგარტის შემდეგაც თბილისში დარჩა და პედაგოგ რაევსკისთან ერთად პანსიონი დააარსა. ჰაკე სასტიკი კაცი იყო, მაგრამ თან იმოდენად მამობრივ მზრუნველობას იჩენდა შეგირდების მიმართ, იმოდენას სცდილობდა და ყურს უგდებდა მათს ზნეობრივსა და გონებრივ განვითარებას, რომ თითქმის მთელს თავისუფალ დროს კლასში მეცადინეობის შემდეგ იმათ ანდომებდა, ხან ემუსაიფებოდა, ხან ართობდა მუსიკითა და მართავდა ხელდა-

¹ 1850 წლიდან პანსიონი რაევსკიმ გადასცა იანიცკის, მაგრამ ამის შემდეგაც სასწავლო ნაწილის გამგედ და პანსიონის ფაქტიურ ხელმძღვანელად ჰაკე დარჩენილა.

ხელ კონცერტებს როიალზედ, რომლის დაკვრაც საუცხოოდ იცოდა“.

ილიამ პანსიონის პროგიმნაზიული კურსი დაამთავრა 1851 წელს და 1852 წლის იანვრიდან შევიდა გიმნაზიაში, სადაც იგი მეოთხე კლასში მიუღიათ.



ილია ახალშესული იყო გიმნაზიაში, როდესაც იმავე 1852 წელს 8 დეკემბერს გარდაეცალა მამა. ამის შემდეგ ილიას ოჯახი უქიდურეს მატერიალურ გაჭირვებაში ჩავარდნილა.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ ილიას მამას გრიგოლს თავს დააწვა დიდი ვალები გარდაცვლილი ძმებისა. ამ ვალების მხოლოდ ნაწილის გადახდა შესძლო თავის სიცოცხლეში გრიგოლმა, ხოლო ნაწილი ისევ დაუფარავი დარჩა. იყო იმისი საფრთხე, რომ ვალებში გაყიდულიყო გრიგოლისაგან დარჩენილი მცირე მამული და ობლებს მოელოდათ უსახლკაროდ დარჩენა.

თბილისის გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი თავის მოხსენებაში ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობისადმი წერდა, რომ გრიგოლ ჭავჭავაძის ობლები დარჩნენ «без всякой надежды к дальнейшему существованию, лишенными даже призрения, по неимению близких родных, так что участь этих несчастных сирот возбуждает в уезде всеобщее сострадание...» თბილისის გუბერნატორი, აცნობებდა რა ამას ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობას, ითხოვდა, რათა მიეღოთ მხედველობაში გრიგოლ ჭავჭავაძის სამხედრო დამსახურება, დახმარება აღმოეჩინათ გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახისათვის და გრიგოლის მცირეწლოვანი ობლები ილია და თეიმურაზი მიეღოთ სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯზე.

ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობამ ეს შუამდგომლობა უშედეგოდ დატოვა. გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახს მთავრობისაგან არ აღმოსჩენია არავითარი დახმარება და არც ილია მიუღიათ სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯზე. საქმე დაიწყო და დასრულდა უბრალო კანცელარიული მიმოწერით¹.

¹ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი 3, საქმე 3728, ფ. 1—3, 11; საისტორიო შოამბე, III, 1947 წ., 167—9.

მხოლოდ ილიას მამიდის მაკრინეს გამკრიახობისა და თაოსნობის შედეგი იყო, რომ მან, ნათესაეების დახმარებით, ობლესის სახლ-კარი გადაარჩინა გაყიდვას და რომ ილიამ შესძლო სწავლის განგრძობა.

მაგრამ მთელი იმ ხნის მანძილზე, ვიდრე ილია სასწავლებელში იყო, იგი დიდ მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა.

• • •

თბილისის გიმნაზია, სადაც ილია სწავლობდა 1852—1856 წლებში, უძველესი საშუალო სასწავლებელი იყო თბილისში.

იმ წლებში, როდესაც ილია გიმნაზიაში სწავლობდა, გიმნაზიის საპატიო მზრუნველად იყო ცნობილი ს.ზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი. გიმნაზიაში მსახურობდა (მოწაფეთა ზედამხედველად) ლიტერატორი ივანე კერესელიძე, შემდეგ „ცისკრის“ რედაქტორი.

გიმნაზიაში ილიასთან ერთად სწავლობდნენ მთელი რიგი მოწაფეები, რომლებიც შემდეგ იყვნენ ილიას თანამშრომელნი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე, ან მეგობრები: ნიკო ლოლობერიძე, შემდეგ საზოგადო მოღვაწე, თანამშრომელი ილიას ქურნალის „საქართველოს მოამბისა“; დავით ყიფიანი (ძმისწული დიმიტრი ყიფიანისა), აგრეთვე თანამშრომელი „საქართველოს მოამბისა“; პეტრე ნაკაშიძე, რომელსაც ილიამ უძღვნა თავისი „ქართველის დედა“ და „დიმიტრი თავდადებული“; ივანე ბოლტორაცკი, რომელსაც ილია წინამძღვრის შვილთან ერთად — ილიამ უძღვნა „აჩრდილი“; დიმიტრი ყაზბეგი (ბიძაშვილი მწერლის სანდრო ყაზბეგისა); კობტა აფხაზი, ილიას თანშეზრდილი ამხანაგი და ნათესავი, ავტორი მოგონებებისა ილიაზე.

ილიას გიმნაზიელობის დროის შესახებ შენახულა ცნობები კობტა აფხაზის მოგონებებში. კობტა აფხაზის ცნობით, ილია გიმნაზიაში თუმცა ნიჭიერ და გონებაგახსნილ შეგირდად ითვლებოდა, მაგრამ გიმნაზიური საგნების სწავლას გულს არ უდებდაო; ილია გიმნაზიის კურსის საგნებისათვის მხოლოდ მაშინ იტლიდა, როდესაც გამოცდები ახლოვდებოდაო. ისე კი მთელ დროს გიმნაზიაში, ისევე როგორც შემდეგ უნივერსი-

ტეტში, ილია სულ სხვა წიგნების კითხვას ანდომებდაო, —
გადმოვეცემს კობტა აფხაზი.

აღსანიშნავია, რომ ილია, რომელიც თავის ავტობიოგრაფიაში პატივისცემით იგონებს პანსიონის მასწავლებელს ჰაკეს, როგორც გამოჩენილ პედაგოგს, არას ამბობს გიმნაზიის მასწავლებელთა შესახებ. ჩანს, არც გიმნაზიის მასწავლებლებს დაუმსახურებიათ ილიას სიყვარული, და არც ბიუროკრატიული სულით გაყენებული იმდროინდელი გიმნაზიური აღზრდა, რომელიც მომავალი ჩინოვნიკების მომზადებას ისახავდა საგნად, არ იზიდავდა ახალგაზრდა ილიას.

თუ რამდენად გულგრილად ეკიდებოდა ილია გიმნაზიურ აღზრდას, ჩანს შემდეგის მიხედვით. ილიამ 1856 წელს თუმცა დაამთავრა გიმნაზიის კურსი, მაგრამ საბოლოო გამოცდები, აღარ ჩაუბარებია. და როდესაც 1857 წელს ილია გაემგზავრა პეტერბურგს უნივერსიტეტში შესასვლელად, სავალდებულო გამოცდები მან პეტერბურგში ჩააბარა, უნივერსიტეტში შესვლისას.



ილია გიმნაზიელობის დროს ყოველ ზაფხულს სოფელში ატარებდა. თვით ხალხთან უშუალო კავშირი აძლევდა მას იმ სულიერ საზრდოს, რომელმაც გამოზარდა საქართველოს არწივი.

ილიას უკვე ახალგაზრდობიდანვე იტაცებდა სულ სხვა სამყარო... ილიას გული ადრევე გამსჭვალულია მისი დამონებული სამშობლოს სიყვარულით.

ავიციოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა და დაე გვირახონ, ჩვენ მის ძეხვით დავლიოთ დღენი, —

ამბობს ილია ლექსში „ჩემო კალამო“.

ილიასთან თანშეზრდილი მისი სიყრმის მეგობარი კობტა აფხაზი, რომელიც, როგორც მოვიხსენეთ, ილიასთან ერთად სწავლობდა, და რომელიც ილიასთან ერთად ატარებდა ზაფხულს კახეთში, მოგვითხრობს ილიას შესახებ:

„მამულის უანგარო სიყვარული პატარაობიდანვე შეჰყვა

ილიას. მეტიმეტად უყვარდა ბაასი გლეხკაცებთან, მეტიდრე მოხუცებულებთან. ჰკრეფდა და აგროვებდა ზღაპრებს, ანდა-ზებს, გამოცანებს. უყვარდა მესტვირეები და სიამოვნებით უგდებდა ყურს...“

ილიას გიმნაზიელობის დროს, როდესაც ილია ზაფხულს კახეთში იტარებდა, ეკუთვნის ერთი შემთხვევა, რომელიც მომავალში განდება წყარო ილიას შთაგონებისა „კაკო ყაჩაღი“-ს შექმნისას.

ამ შემთხვევის გამო კობტა აფხაზი შემდეგს მოგვითხრობს თავის მოგონებებში:

„კაკო გახლდათ ერთი კარდანახელი გლეხი, ვინმე გაუხარა-შვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიც ვაჩნაძეს) და ყაჩაღად გავარდა. იმალებოდა ალაზნის (კარდანახის) ტყეში.

„ერთხელ ილია სწორედ იმ გზით მოდიოდა ჩვენსა კარდანახში. თან ახლდა ბიჭი. უცბად ერთ ალაგას წინ წასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჰავჭავაძის გვარი, უკითხავს: „ჰავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო?“ ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აფხაზიანთსა მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდევ, ასე რომ ილია, როდესაც ჩვენსა მოვიდა, ბარბაცებდა და მართლ იმას გაიძახოდა: „დამაძინეთ, დამაძინეთო!“ მეორე დღეს კი გვიამბო თავისი თავგადასავალი, ხოლო დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს სწყყევლის და აგინებსო“.

არაა ინტერესს მოკლებული მოვიყვანოთ აგრეთვე მეორე ეპიზოდი, რომელზედაც იგივე კობტა აფხაზი მოგვითხრობს.

„ილიას საზოგადოდ ნადირობა არ უყვარდა. მახსოვს ერთხელ ალაზანზედ წავედით რამდენიმე კაცი სანადიროდ. დავდექით. ჩემს გვერდზე ცოტა მოშორებით იდგა ილია. ხშირი და დიდი ტყე იყო. ძაღლებმა უკვე დაჰყეფეს, როგორც ეტყობა კვალს მიაგნეს. გაფაციცებით ველი ნადირს და არ გავიდა ბეგარი ხანი, რომ გამოჩნდა დიდი ირემი, მაგრამ ხეებს ისე იყო მოფარებული, რომ ვერ ვესროდი; ილიასათვის კი ირემი მარჯვენდ იდგა. ველი გულის ფანცქალით, რომ აი ეხლა გავარდებო

ილიას თოფი, ან ეხლა მეთქი, თქვენც არ მომიკედეთ. კარგა ხანი გავიდა, იდგა, იდგა ირემი, მერმე ერთი დაიფრუტუნა და გადახტა და გაჰქრა ტყეში. გავქანდით ილიასაკენ. დავუწყე ჯავრობა: „კაცო, რა ჰქენი, რატომ არ ესროლე?“ — „უჰ, ისეთი ლამაზი, ისეთი მოხდენილი რამ იყო, რომ მაგას როგორ ვესროდი, როგორ გავიმეტებდიო“.

მკითხველს აქ, რასაკვირველია, მოაგონდება ის შეუდარებელი სურათი ირემზე ნადირობისა, რომლითაც იხსნება ილიას ერთ-ერთი პირველი მხატვრული ნაწარმოები „გლახის ნამბობი“.



ილიამ, როგორც მოვიხსენეთ, 1856 წელს დატოვა გიმნაზიის კედლები.

მომდევნო წელს, 1857-ში, ილია შეუდგა მზადებას რუსეთში წასვლისათვის, პეტერბურგის უნივერსიტეტში შესასვლელად.

1857 წლის გაზაფხულზე ილია გამგზავრა პეტერბურგს.

ილია ამ დროს მეოცე წელში იყო გადამდგარი. ილია სულიერად უკვე დავაჟაკებული იყო. იგი სიმწიფეში შედიოდა როგორც პოეტი. არწივი ამ დროს პირველად შლიდა ფრთებს.

გამოსათხოვარ ლექსში, რომელიც ილიამ უძღვნა თავის სამშობლოს მთებს, ილია ამბობს:

სამშობლოს მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა.
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე მთებო, ბუნებითა შეუღლებული!

...აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი,
გრივალთა, მესთა, ქუხილთ შორის ქართულად გაზრდილი.



როდესაც სამშობლოდან გამგზავრებული ილია საქართველოს სამხედრო გზით უახლოვდებოდა კავკასიონის მთავარ უღელტეხილს ჯვართა-ყელს, ილიას შემოხვდა გრიგოლ ორბელიანი.

ილიას სამუდამო კეთილსახსოვრად დარჩა ეს შეხვედრა. თვით ილიას ნაამბობი ამ შეხვედრის შესახებ ჩაწერილი აქვს იონა მეუნარგისა¹.

„ჩვენ რომ რუსეთში მივდიოდით და კავკასიონის მთებზე ვიწყეთ ასვლა, — გვითხრა სხვა დროს ილიამ, — მღუაის დაშვებაზე შემოგვეყარა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთიდან ბრუნდებოდა თბილისს. გრიგოლი ფეხით მოდიოდა, ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელშემოწყობილი, პირმლიმარე, დაფიქრებული; დაშორებით მოსდევდა მას ნელი ნაბიჯით ეტლი. ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი თავისი გარემოთი — კავკასიის მთებით და ღრუბლებით გარშემოზღუდული, აღტაცებით ვთქვით ერთმანეთში: სწორედ ესაა ამ დამშვიდებულ გულზე ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერს ბუნებასაო“.

თითქოს ნიშნეული იყო ეს შეხვედრა ორი სხვადასხვა ეპოქის მწერლისა კავკასიონის უღელტეხილთან. იმ დროს, როდესაც გრიგოლ ორბელიანი ეშვებოდა მწვერვალებიდან, ილია ადიოდა კავკასიონზე.

III

სტუდენტობის წლები

ილია პეტერბურგში ჩავიდა 1857 წლის ზაფხულში (ივლისში).

ილიამ ჩააბარა უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდები და 1857 წლის 15 ოქტომბერს ჩაირიცხა სტუდენტად პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (კამერალურ განყოფილებაზე)².

ილიამ უნივერსიტეტში დაჰყო 1857—1861 წლები, ოთხი წელი.

„იცი, მკითხველო, — ამბობს ილია „მგზაჯრის წერილებში“, — ეს ოთხი წელი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია.“

¹ იხ. იონა მეუნარგია, ილია კავკაეძე, 1937 წ., გვ. 17.

² იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 558.

მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული... ო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხილი ფებთა-ქვეშ არ ჩასტყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა“.



პეტერბურგის უნივერსიტეტი ილიას დროს ყველაზე მოწინავე უმაღლეს სასწავლებლად ითვლებოდა რუსეთში.

უნივერსიტეტის რექტორად იყო პ. პლეტნევი, ლიბერალური მიმართულების ადამიანი, ძველი მეგობარი ა. პუშკინისა, რომელზედაც პუშკინი ამბობს (ევეგენი ონეგინის მიძღვნაში) —

«...Души прекрасной,
Святой исполненной мечты.»

უნივერსიტეტის პროფესორთაგან ილიას დროს გამოირჩეოდნენ: ვ. სპასოვიჩი, კ. კაველინი, ბ. უტინი (სამივე ესენი იურიდიულ ფაკულტეტზე კითხულობდნენ ლექციებს, სადაც სწავლობდა ილია), ნ. კოსტომაროვი (რუსეთის ისტორიის ცნობილი მკვლევარი), მ. სტასიულევიჩი (მსოფლიო ისტორიის სპეციალისტი), ა. პიპინი (მსოფლიო ლიტერატურის ისტორიკოსი).

აღსანიშნავია, რომ რექტორი პლეტნევი და პროფესორები სპასოვიჩი, კაველინი, უტინი, სტასიულევიჩი და პიპინი დათხოვნილ იქნენ უნივერსიტეტიდან 1861 წელს, სტუდენტების არეულობასთან დაკავშირებით. როგორც შემდეგ დაკინახავთ, სტუდენტების ამავე არეულობის გამო დათხოვნილ იქნა უნივერსიტეტიდან აგრეთვე ილიაც.

ნ. ნიკოლაძის ცნობით, იმდროინდელი სტუდენტობის განსაკუთრებით საყვარელი პროფესორები ყოფილან სპასოვიჩი, კოსტომაროვი და სტასიულევიჩი.

„ყველას ეს სამი სჯობდა — წერს ნ. ნიკოლაძე, — სხვები რალაც უფერულები იყვნენ, უძვლო-უფხონი, წელმოწყვეტილები, კითხულობდნენ რალაც უხალისო საგნებს უხალისო ხმით...“ ამიტომაც, — წერს ნ. ნიკოლაძე, — „დავდიოდით არა

იმ პროფესორების ლექციებზე, რომელთა მოსმენაც ფაკულტეტის წესებით სავალდებულო იყო, არამედ მთელ სტუდენტობის საყვარელ პროფესორების ლექციებზე“¹.



ილიამ, როგორც მოვიხსენეთ, უნივერსიტეტში დაჰყო 1861 წლამდე, ოთხი წელი.

ილიას სტუდენტობის დროის შესახებ მოიპოვება მოგონებანი ილიას მეგობრის კონტა აფხაზისა, რომელიც ილიასთან ერთად სწავლობდა როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტშიაც, და ნიკო ნიკოლაძისა, რომელიც ილიას შემდეგ ჩავიდა პეტერბურგში; ნიკო ნიკოლაძის დროს პეტერბურგის სტუდენტობაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ხსოვნა სტუდენტ ილიას შესახებ, რომელიც პეტერბურგის ქართველი სტუდენტობის ყველას მიერ აღიარებულ ხელმძღვანელად ითვლებოდა.

კონტა აფხაზი ილიას სტუდენტობის დროის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

„უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა. აქაც იგივე ჩვეულება ჰქონდა (რაც გიმნაზიაში), მთელი წელიწადი სამოსწავლო საგნებს უურადლებას არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული, კითხულობდა სხვათა შორის ბევრს ძველ ქართულ წიგნებს. მოახლოვდებოდა ეგზემენები და ილია სწავლას შეუდგებოდა. დღე-ღამეში ხშირად 13—20 საათს მუშაობდა და რამდენჯერ მინახავს, რომ წიგნთან მჯდომარეს ჩასძინებია... ჩვენ, სტუდენტები, ხშირად ვიკრიბებოდით და ვბაასობდით როგორც საზოგადო კითხვებზედ, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოს მომავალზედ. ვკითხულობდით ხშირად ქართულ წიგნებს“.

ნიკო ნიკოლაძე წერილში „ახალი ახალგაზრდობა“. რომელიც 1873 წელს გამოქვეყნდა, გადმოგვცემს საყურადღებო ცნობებს 60-იანი წლების ქართველი სტუდენტობის აღზრდაზე და კერძოდ ილია ქავკავაძეზე.

¹ იხ. ნ. ნიკოლაძე, ჩიხული ნაწერები, I, 1931 წ., გვ. 86, 95.

„გაკვრით თვალს გადავაველებთ იმ მდგომარეობას და გარემოებას, — წერს ნიკო ნიკოლაძე, — რომელშიაც იზრდებოდა მაშინდელი ჩვენი ახალგაზრდობა.

„ვისაც მაშინ დიდი ნიჭი ჰქონდა, ვისაც მძლავრი ტვინი დაჰყოლოდა, ის თვითონ იკაფავდა გონების გახსნის გზას. იმას როდი აკმაყოფილებდა ადამის წლის პროფესორების დაძველებული და მამა-პაპური ლექციები, იმას... მოსვენებას არ აძლევდა ის კითხვები, რომელნიც ხეირიანი ახალგაზრდობის გონებაში ჯგუფ-ჯგუფად იბადებიან და პასუხს მოუსვენრად ეძებენ. ამისთანა ყმაწვილები თვითონ, თავიანთი შრომით და გაგებულებით შეუდგნენ გონების გამხსნელ სწავლას, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ პროფესორების ლექციებთან. ცხოვრების დაკვირვებით, ლიტერატურის გაცნობით, კითხვით, ფიქრით, ბაასით, მოქმედებისა და წერის ცდით, მეცადინეობდნენ ესენი დამზადებულ იყვნენ ჩვენი ხალხის სასარგებლო მსახურებად და რამდენადაც კი მაშინდელი გარემოებები და მათი ნიჭი იმათ ამის ნებას აძლევდნენ, კიდევ დაემზადნენ. ამგვარი იყო, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის და ზოგიერთი ამ დროის ახალგაზრდების დამზადება. სხვები, ნაკლები ნიჭისა და ჭკუის პატრონები, ძველ გატკეპნილ გზას შეუდგნენ“¹.

მეორე თხზულებაში, — „სტუდენტობის პირველი დრო“, რომელიც დაიბეჭდა 1879 წელს, ნიკო ნიკოლაძე წერს:

„ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის აზრი, რომელიც ერთმა უფროსმა სტუდენტმა, ერთმა ავტორიტეტმა გამოთქვა ჩვენსა, როცა „სოვრემენიკის“ კითხვაზე წამესწრო.

„— გაიხსენე ჩემი სიტყვები, — მითხრა, — თუ შენც ისე არ წახდე, როგორც ი. ჭავჭავაძე წახდა. ისიც აქ შილერის, ბაირონის და ვალტერ-სკოტის კითხვის მეტს არას შერებოდა... უდიპლომოდ წაბრძანდა... აბა ახლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან?...“².

¹ იხ. ქურონალი „ქრებული“, 1873 წ., № 1, გვ. 292—3.

² იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, I, 1931 წ., გვ. 67.

ილია ჭავჭავაძემ, რომელიც, ნიკო ნიკოლაძის სიტყვით, „თვითონ იკაფავდა გონების გახსნის გზას“, და რომელიც „ცხოვრების დაკვირვებით, ლიტერატურის გაცნობით, კითხვით, ფიქრით, ბაასით, მოქმედებით და წერის ცდით მეცადინეობდა დამზადებულიყო ჩვენი ხალხის სასარგებლო მსახურად“, — მართლაც გოლიათური შრომა გასწია და უნივერსალურად გა-ნათლებული დაბრუნდა სამშობლოში.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ ილია, როგორც ირკვე-ვა, სტუდენტობის დროს განსაკუთრებით ბევრს მუშაობდა ქართული მწერლობის, ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტუ-რის ძეგლთა შესწავლაზე.

კოხტა აფხაზი თავის მოგონებაში, როგორც ვნახეთ, საგან-გებოდ აღნიშნავს, რომ ილია „მთელი წელიწადი... წიგნების კითხვაში იყო გართული“ და რომ იგი კითხულობდა კერძოდ „ბევრს ძველ ქართულ წიგნებს“.

ნიკო ნიკოლაძე თავის „მოგონებებში“ 60-იან წლებზე¹ წერს:

„ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი ქართული წიგნების და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავზედ ეკლე-ბოდნენ“¹.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა ამ კოლექციის დაგ-როვებაში, როგორც ირკვევა, დიდი დახმარება გაუწევია ქარ-თველი სტუდენტობისათვის ცნობილ ლექსიკოგრაფს დავით ჩუბინაშვილს, რომელიც ქართული ენის პროფესორად იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში და რომლის ლექციებსაც ისმენ-და ილია ჭავჭავაძე. ცნობილია, მაგალითად, რომ დავით ჩუბი-ნაშვილმა გადასცა ქართველ სტუდენტობას გარდაცვლილი სალომე ბატონიშვილის მდიდარი ბიბლიოთეკა ძველი ქართუ-ლი წიგნებისა და ხელნაწერებისა, რომელშიაც, სხვათა შორის, შედიოდა ვახტანგ VI-ის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, ქართულ მათიანეთა კრებული „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი

¹ იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, I, 1931 წ., გვ. 95.

ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა“, სულხან-საბა ორბელიანისავე ლექსიკონი და სხვანი.

ილიას, როგორც ირკვევა, სტუდენტობის დროსვე საფუძვლიანად შეუსწავლია ახალი ქართული ლიტერატურის გვერდით ძველი ქართული მწერლობა, რომლის დიდი დამფასებელი რჩება ილია მთელი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე.

წერილში „რა მიზეზია რომ კრიტიკა არა გვაქვს“, ილია ეკამათება იმ პირთ, რომელნიც აცხადებდნენ, რომ ვითომც ქართული ლიტერატურის სიღარიბით აიხსნებაო ქართული კრიტიკის უქონლობა; ილიას აზრით აქ არა თუ სიღარიბეა, არამედ დიდი და დაუფასებელი სიმდიდრე. „ჩვენ არას ვიტყვით,— ამბობს ილია,— ჩვენს ძველს ლიტერატურაზედ, რომელსაც ასეთის სიუხვით ასხივოსნებს „ვეფხისტყაოსანი“, ეს უძირო მორევი, ზღვა აზრისა და გრძნობისა. ჩვენ არას ვიტყვით არც დავით გურამიშვილზედ, რომლის პოეზია პირს არ შეირცხვენს თუნდ ლუკრეცის, ვირგილის და ჰორაციის პოეზიას დავუყენოთ პირისპირ... არას ვიტყვით მეფე ვახტანგ VI-ზე, არჩილ მეფეზე, თეიმურაზ I-სა და II-ზე, რომელთაც, ნამეტნავად პირველ ორს, ვერაგინ შესწამებს სიმჩატეს აზრებისას და გრძნობებისას, რომლებიც მოელიან გონებამახვილს კრიტიკოსს, რომ თავისი მიუწყონ და სამართლიანის შარავანდელით მორთონ მათი ღირსშესანიშნავი გონებრივი ღვაწლი.

„საკმაოა გავიხსენოთ ამ მეცხრამეტე საუკუნის პოეზია და მისნი წარჩინებულნი წარმომადგენელნი ალ. ჭავჭავაძედან დაწყებული დღევანდელ მწერლობამდე...“¹.

ძველი ქართული მწერლობის მდიდარი მემკვიდრეობიდან ილია, გარდა რუსთაველისა, რომელიც ბოლომდე დარჩა ილიას უსაყვარლეს მწერლად, გარდა დავით გურამიშვილისა და სხვა დასახელებული მწერლებისა (ვახტანგ VI, არჩილი, თეიმურაზ I, თეიმურაზ II), ძველი ქართული პროზიდან განსაკუთრებით მაღლა აყენებდა „ვისრამიანს“ (რომელიც ილიამ შემდეგ გა-

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 162.

მოსცა კიდევ) და სულხან-საბა ორბელიანს. გარდა საბას პროზისა, ილია დიდად აფასებდა აგრეთვე საბას დიდაქტიურ პოეზიასაც; შემთხვევითი არაა, რომ ილიას ლექსს „ალაზანს“, რომელიც სტუდენტობის დროს, 1859 წელს არის დაწერილი, ეპიგრაფად წამსლვარებული აქვს სულხან-საბა ორბელიანის ლექსი „ქილილა და დამანა“-დან, ხოლო „დამაკვირდი“-ში, რომელიც შემდეგ „ივერიაში“ იბეჭდებოდა, ილია მიმართავს, რუსთაველთან და გურამიშვილთან ერთად, — საბას.

გარდა ქართული კლასიკური მწერლობის მემკვიდრეობის შესწავლისა, ილია სტუდენტობის დროსვე საფუძვლიანად გაცნობია საქართველოს ისტორიას, იმ დროს ცნობილი წყაროების მიხედვით. „აჩრდილის“ პირველ ვარიანტში, რომელიც სტუდენტობის დროს, 1858—1859 წლებშია დაწერილი, ჩვენ გვაქვს გამოძახილი როგორც ქართულ მატრიანეთა, „ქართლის ცხოვრებისა“, ისე ანტიკური ხანის ავტორების ცნობებისა საქართველოს წარსულის შესახებ.



ახალი ქართული მწერლობიდან ილია დიდად აფასებდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის პოეტებს — ალექსანდრე ჭავჭავაძესა და გრიგოლ ორბელიანს. განსაკუთრებით გრიგოლ ორბელიანის „ღრმად ეროვნული პოეზია“ (—როგორც ამბობს თვით ილია) — აღრიდანვე ყოფილა ილიას სიყვარულის საგანი.

მაგრამ ნამდვილი სულიერი წინაპარი ილიასი ეს არის გენიოსი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელმაც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დასახა ახალი გზები ქართული ლიტერატურის განვითარებისა.

რადგან დღემდე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის გამო უფრო გარეშე წყაროების ძიებას ჰქონდა ადგილი, ხოლო თვით ქართული სათავეები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა ნაკლებ ყოფილა შესწავლის საგანი, ამიტომაც ჩვენ აქ მოგიხდება უფრო დაწვრილებით შევეხოთ ამ საკითხს.

ჯერ შევჩერდებით იმ კავშირზე, რომელიც არსებობს ადრეული ხანის ილია ჭავჭავაძის პოეზიასა და ასევე ადრეული ხანის გრიგოლ ორბელიანის პოეზიას შორის.

გრიგოლ ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, წარმომადგენელი შეთქმულთა მემარცხენე ფრთისა, თანამოაზრე და თანამებრძოლი განმანათლებლის სოლომონ დოდაშვილისა, ავტორი ღრმა პატრიოტიზმით აღვსილი ლექსებისა, ავტორი „სადღეგრძელოსი“, რომლის ადრინდელი რედაქცია 1832 წლის შეთქმულების მემარცხენე ფრთის იდეებით არის შთაგონებული, ავტორი წიგნისა „მგზავრობა ჩემი თბილისიდან“, რომელიც რადიკალიზმის სულით არის აღბეჭდილი და რომელიც მთავრობამ 1833 წელს დაატყვევა, — ეს გრიგოლ ორბელიანი ადრინდელი ხანისა სრულიად უმართებულოდ არის ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ჩრდილში დაყენებული.

თვით ილია დიდად აფასებდა გრიგოლ ორბელიანის პოეზიას. თუმცა სამოცდაათიან წლებში „მამათა და შვილთა“ ბრძოლის დროს ილიას მწვავე შეტაკება მოუხდა მოხუც გრიგოლ ორბელიანთან (რომელსაც ილია „ძველისა და ახლის“ შემაერთებელ ხიდს უწოდებდა, ხოლო ბრალად სდებდა მეტისმეტ სიფრთხილეს), — მაგრამ ამ ბრძოლას ოდნავადაც არ დაუჩრდილავს ილიას თვალში ის ღვაწლი, რომელიც გრიგოლ ორბელიანს ქართულ პოეზიაში მიუძღოდა. როგორც „მამათა და შვილთა“ ამ ბრძოლის უწინარეს, ისე ამ ბრძოლის შემდეგაც, ილია ყოველთვის აღიარებდა, რომ გრიგოლ ორბელიანი იყო ერთ-ერთი მთავარი მოღვაწე ადრინდელი ქართული მწერლობისა, რომელმაც განამტკიცა ქართულს მწერლობაში ეროვნული მიმართულება.

ჯერ კიდევ თავის პირველ კრიტიკულ წერილში „ორიოდე სიტყვა კოზლოვის „შეშლილი“-ს თარგმანზედა“, რომელიც 1860 წელს არის დაწერილი და რომელიც 1861 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“, ილია მაღალ შეფასებას აძლევდა გრიგოლ ორბელიანის პოეზიას.

უფრო გვიან, 1883 წელს, წერილში, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა („შინაური მიმოხილვა“, 1883 წელი, მაისი), ილია შემდეგს წერდა გრიგოლ ორბელიანზე:

„იგი იყო თავისი დაჩაგრული მამულის ძლიერის სიტყვით მოტრფიალე, ეროვნული იდეის პოეტურად გამომსახველი, „ღროთა სიზმარებრ გამქრალთა“ [დაკარგული თავისუფლების]

ქირისუფალი, საქართველოს დიდების კვლავ დაბრუნებისათვის ზეშთაგონებული“.

ილია ამავე დროს ხაზს უსვამს ამ წერილში, რომ გრიგოლ ორბელიანს მეტად მძიმე ისტორიულ პირობებში მოუხდა მოღვაწეობა, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი ბოლომდე დარჩა ერთგული ეროვნული იდეისა, — „მამულიშვილობის აზრის მტვირთველი და მატარებელი კაცი, — დიან ძნელთა და საშიშ გარემოებათა შორის, დაწყებული მე-30 წლებიდან [1832 წლის შეთქმულების ხანიდან] — ჩვენ დრომდე“.

ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევს ილია გრიგოლ ორბელიანის სამწერლო მოღვაწეობას თავის შრომაში „წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“, რომელიც 1892 წელს დაიწერა.

ასეთი იყო ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება გრიგოლ ორბელიანის პოეზიისადმი.

თავისთავად ცხადია, რომ გრიგოლ ორბელიანის „ღრმად პატრიოტულ პოეზიას“, როგორც მას ილია უწოდებს, არ შეიძლება გავლენა არ ჰქონოდა და, როგორც ირკვევა, ჰქონია კიდევ ილია ჭავჭავაძის ადრეული ხანის შემოქმედებაზე.

ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობის დაკვირვებული შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ილია ჭავჭავაძის პირველი მთავარი პოეტური ნაწარმოები „აჩრდილი“ ზოგიერთი ხაზით კავშირში იმყოფება გრიგოლ ორბელიანის პოეზიასთან და პირველ რიგში გრიგოლ ორბელიანის პოემასთან „სადღეგრძელო“.

გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ პირველი რედაქცია, როგორც ამის შესახებ დაწვრილებით სხვა ადგილას გვაქვს საუბარი, 1832 წლის შეთქმულების შემარცხენე ფრთის იდეებით არის შთაგონებული.

აქ საჭიროა წინასწარ ხაზი გავუსვათ აგრეთვე შემდეგს. როდესაც ჩვენ ქვემოთ ვლაპარაკობთ ილია ჭავჭავაძის „აჩრდილისა“ და გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ ზოგიერთ ხაზში ნათესაობის შესახებ, არ უნდა გვავიწყლებოდეს, რომ ეს ნათესაობა მხოლოდ და მხოლოდ ამ ზოგიერთი ხაზით შემოიფარგლება. გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ დიაპაზონი გაცილებით უფრო ვიწროა, ვიდრე „აჩრდილისა“. ხოლო, რაც

მთავარია, ილიამ „აჩრდილში“ სრულიად ახალ სიმალლეზე აიყვანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია, და დაუკავშირა რა ერის განთავისუფლების საქმე შრომის განთავისუფლების საქმეს, — გარკვეული სამოქმედო პროგრამა დასახა.

ილიას „აჩრდილი“ ეხმაურება გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ შემოქმედებითი პატრიოტიზმის სულით.

აქ ჩვენ გვაქვს შეხვედრა ილიასი და გრიგოლ ორბელიანისა, როგორც იდეების საერთო ასპექტში, ისე ზოგჯერ შეხვედრა თვით პოეტური სახეებისაც კი, რაც გვიჩვენებს, თუ რამდენად ახლოს იყო ილიასათვის გრიგოლ ორბელიანის პოეზია: ასე, შეადარეთ:

გრიგოლ ორბელიანის
„სადღეგრძელო“

პე მამული
ვინ გიხილოს დროსა საშიშს,
არ დასთხიოს თვისი სისხლა,
არ დააკლას თავი თვისი
შენ ღრდებად ვითა მსხვერპლი
...გ მ ი რ ნ ო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი ღრდება!
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლ მოვღინება,
მხნეობით აღტაცებული
ქაბუკი ხმალსა მისწვდება!..

ილია ჭავჭავაძის
„აჩრდილი“

...ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მართო მამული
ბედნიერ არის, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დაღება!
ნეტა მას ქედლა, ნეტა მას გ მ ი რ ს ა!..
ის თავი ხალხში აღარ მოკედება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნებს ეტყვის მის სახელს

და არა ერთხელ ქაბუჯთა ყრმათა
ხმლის უარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს.
იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანი,
წარსულ დროებზედ გულს დაიღონებს!

შეადარეთ აგრეთვე:

„სადღეგრძელო“

ვინ გვითხრას, ვინა გვიჩვენოს
სადა ცხოვრობდნენ ძველ გმირნი?
დრომან შეჰმუსრა, აღგავა
მიწით მათნიცა საფლავნი;
მარამ სცოცხალან ჯერეთაც
დიდების მის მოედანი,
მათი სახელი...

„აჩრდილი“

მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვტირი?
იგი აღარ გყავთ...

მის მოედანი

ჯაგით ავსილა, გაუქმებულა,
და შენი ხალხის ფიქარი, ზრახვანი,
მამულისათვის დაძინებულა...²

ილია თავის პოემაში გააცოცხლებს წარსულის გმირთა
აჩრდილებს; პოეტი ამბობს:

ნუთუ ეს ხალხი, რომელთ დაჰბადეს
დავით, დიმიტრი, დიდი თამარი,
რუსთველი და მის ძლიერი ქნარი,
ნუთუ ეს ხალხი აღარა აღსდგეს?
ნუ შიშობ, ველო! შენს მშვენიერს ხალხს
წარუვლენ წელნი ძილის ეამისა,
ხალხი აღინთებს კიდევ თვის ვარსკვლავს,
სისხლი მამათა დაიხსნის შეილსა!³

¹ იხ. აჩრდილი, პირველი რედაქცია, თავი XIV, ბოლო რედაქცი
თავი VIII.

² იხ. აჩრდილი, პირველი რედაქცია, თავი XV, ბოლო რედაქცი
თავი IX.

³ იხ. აჩრდილი, პირველი რედაქცია, თავი XXX.

ასევე გრიგოლ ორბელიანიც თავის „სადღეგრძელოში“ გამოიხმობს წარსულის გმირთა აჩრდილებს, როგორც იმედს მომავალი აღორძინებისა.

აღსანიშნავია, რომ აქაც ილია და გრიგოლ ორბელიანი ერთმანეთს ხვდებიან არა მხოლოდ საერთო ასპექტში, არამედ ზოგჯერ აქ ჩვენ გვაქვს შეხვედრა თვით პოეტურ სახეებშიაც კი. ილია თითქოს შეგნებულად ხაზს უსვამს კავშირს გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოსთან“.

ასე მაგალითად, შეადარეთ სურათი პირველის გმირის ფარნავაზისა გრიგოლ ორბელიანის და ილიას პოემებში:

სადღეგრძელო

ეს ვინ გამოჩნდა? ვისი აჩრდილი
დაკმზერს ივერსა ჩაფიქრებითა,
ნუთუ ველარა უცვნია შვილი...
მისგან აღზრდილი ტრფიალებითა?
შენ, პე, ფარნავაზ, ჰქმენ ერთმთავრობა,
შენ მოეც ქართველთ წიგნი პირველი,
და დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და ძალი...¹

აჩრდილი

ტყბილო ქვეყანავ! რა არ გინახავს!..
აკერა ეხედავ იმ მოღრუბლულ მთას,
სიღამც ფარნავაზ დაღონებულ ი
ჩამოდიოდა ჩაფიქრებული.
რაზედ ჰფიქრობდა? თვის მამულზედა
და თვის დაჩაგრულ თბოლ ხალხზედა.
...მამულისთვისა და ხალხისთვისა
უნდა მიეცა თავისუფლება...²

¹ აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ორბელიანის პოემის ეს პირველი გმირი ქართველთა — ფარნავაზი, რომელიც წარმოდგენილია როგორც მზრუნველი მამა ივერიისა, და რომელიც პოეტის სიტყვით, ვითა „აჩრდილი დაკმზერს ივერსა ჩაფიქრებითა“ — არის ერთგვარი პირველსახე ილიას „აჩრდილი“-სა, რომელიც ასევე „დაკმზერს ივერსა ჩაფიქრებითა“ და წარმოდგენილია როგორც ივერიის „თანამდევნი უკვდავი სული“.

² იხ. აჩრდილი, პირველი რედაქცია, თავი XXIII.

ანდა შეადარეთ „სადღეგრძელოს“ ის ადგილი, რომელიც დავით აღმაშენებელს ეხება და „აჩრდილის“ XXV თავი (პირველის ვარიანტით):

სადღეგრძელო

დავით სთქვა: „იყავნ ქალაქნი“
და აღმოცენდნენ ქალაქნი
განვლე უდაბნო ოხერი,
საესედ დაბებით შექქმენი
დაჰქარ წერაქვი, და აღჩნდნენ
ტაძარნი ტურფად ნაშენნი

აჩრდილი

... და იმ შფოთთ შორის თუ შეგხვდებოდა
წუთნა მშეადობის და მოსვენების, —
ველურ ალაგზედ მაშინ ქალაქნი
თითქოს მიწიდან აღიზრდებოდნენ,
სადაც ტყე იყო უწინ, იქ ხალხნი
მთელის ცხოვრებით აღელდებოდნენ,
და ქვათლილისა წმიდა ტაძარნი
ტყეში ან კლდეზე გამოკრთებოდნენ.

დასასრულ, „აჩრდილის“ შესავალი ნაწილი, — სადაც დახატულია დიადი სურათი კავკასიონის მთებისა, იგი ბევრ ხაზებში ეხმაურება გრიგოლ ორბელიანის ბრწყინვალე ლექსს „სალამო გამოსალმებისა“¹.

ასეთია ის შეხვედრის ხაზები, რომელიც აახლოებს ილია ჭავჭავაძის პირველი პერიოდის შემოქმედებას, ილიას პირველ პოემას „აჩრდილს“, გრიგოლ ორბელიანის პოეზიასთან. ნათესაობა და მემკვიდრეობითი კავშირი მათ შორის უდავოა.

დაგვრჩენია მხოლოდ ერთხელ კიდევ ხაზი გაუუსვათ იმ გარემოებას, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება პირველი პერიოდისა თუმცა ნათესაურ კავშირში იმყოფება გრიგოლ ორბელიანის პოეზიასთან, მაგრამ ეს ნათესაობა არ სცილდება გარკვეულ ფარგლებს. გრიგოლ ორბელიანის პოეზია, ჯერ ერთი,

¹ შეადარეთ „სალამო გამოსალმებისა“ და „აჩრდილი“, პირველი რედაქცია თავები I—II (კავკასიონის მთები და მყინვარი). — შეად. აგრეთვე თავი V (თერგის სახე).

განუზომლად უფრო ვიწრო დიაპაზონისაა, ხოლო რაც მთავარია, აქ ჩვენ გვაქვს ორი სხვადასხვა ეპოქა, ორი სხვადასხვა სამყარო. ილიამ ჭერ კიდევ თავის პირველ პოემაში „აჩრდილში“ სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია, ახალი სამოქმედო პროგრამა დაუსახა ხალხს, ახალი შინაარსით აავსო ის შემოქმედებითი პატრიოტიზმის სული, რომელიც მან წინა თაობის პოეზიიდან მემკვიდრეობით მიიღო.

დასასრულ, შეეჩერდებით ილია ჭავჭავაძის „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ზ ე“, საიდანაც ასევე ცხადი ხდება, თუ როგორ დიდად აფასებდა ილია გრიგოლ ორბელიანის პოეზიას.

„მგზავრის წერილებში“, როგორც ცნობილია, არაერთგზის არის ციტირებული გრიგოლ ორბელიანის ლექსები. ხოლო ერთ ადგილას ილია შეგნებულად ხაზს უსვამს და იმეორებს ერთ სახეს გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან „სალამო გამოსალმებისა“.

გრიგოლ ორბელიანის ეს პოეტური შედევი — „სალამო გამოსალმებისა“ სრულდება შემდეგი სურათით:

შეღამდა... მარტო ვზი კმენით,
ჩემი ჩივილი ვის ესმის?
დაყრევდა არე...

მხოლოდ სჩანს მთანი მღუმარედ
აუღლებულან ცათამდის
და ყაზიბეგსა საამოდ
ზედა ვარსკვლავი დაჰნათის

შეადარეთ „მგზავრის წერილებში“:

„იმ სალამოს აქეთანწმინდას აზოვედი... იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძღო მშვენიერის სანახაობის ხილვითა. ოხ, საქართველოვ!

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყანისა.

(გრიგოლ ორბელიანი)

„...შევხედე მყინვარს, რომელსაც ყაზიბეგის მთას ეძახიან... ცისა ლაყვარღზე მოსჩანდა იგი თეთრად და აუშლვრეველად. ერთი მუჭის ოდენი ღრუბელი არა ჰჭარავდა მის

მალალ შუბლსა... ერთად-ერთი ვარსკვლავი, მე-ტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათოდა...”

როგორც ვხედავთ, ილია აქ შეგნებულად ხაზს უსვამს და იმეორებს ამ ნიშნობლივ სახეს გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან:

და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკვლავი დაჰნათის!

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ ექსკურსს იმ ურთიერთობის შესახებ, რომელიც არსებობს ილია ჭავჭავაძის პირველი პერიოდის შემოქმედებასა და გრიგოლ ორბელიანის პოეზიას შორის.

•

თუ გრიგოლ ორბელიანის პოეზია ზოგიერთ ხაზში ენათესავება ილია ჭავჭავაძის პირველი პერიოდის შემოქმედებას, — ნამდვილი სულიერი წინაპარი ილიასი არის, როგორც მოვიხსენიეთ, გენიოსი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, პირველი დიდი ფუძემდებელი ახალი ქართული მწერლობისა, რომელმაც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დასახა ქართული ლიტერატურის განვითარების ახალი გზა.

ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი იმ ღრმა ნათესაური კავშირის შესახებ, რომელიც არსებობს ახალი ქართული მწერლობის უდიდესი წარმომადგენლების ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას შორის.

აქ კი წინასწარ შევეხებით საკითხს, თუ როდის გაეცნო ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას.

ამ საკითხის გამო ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ბოლო დრომდე ის შეხედულება იყო მიღებული, ვითომც ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას პირველად გაეცნო 1860 წელს. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს შეხედულება არაა სწორი. ილია ჭავჭავაძე გასცნობია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას სტუდენტობის დროს, მაგრამ არა 1860 წელს, არამედ უფრო ადრე, 1858 წელს, ე. ი. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ხდებოდა ილიას მსოფლმხედველობის ფორმირება, — ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე დაიწერებოდა „აჩრდილი“ და „დედა და შვილი“, „გლახის ნამბობი“ და „კაკო ყაჩაღი“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ბეჭდვა, როგორც ცნო-

ბილია, გვიან დაიწყო. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებიდან 1858 წლამდე დაბეჭდილი იყო მხოლოდ ოთხი ლექსი, რომლებიც 1852 წელს გამოაქვეყნა „ცისკარში“ გიორგი ერისთავმა (ლექსები „ბულბული ვარდზედ“, „სულო ბოროტო“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „ჩემი ლოცვა“). ამას გარდა 1858 წლის დასაწყისში „ცისკარში“ დაბეჭდა კიდევ ორი ლექსი („ჩჩვილი“, „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“). ხოლო რაც შეეხება ნ. ბარათაშვილის დიდ მემკვიდრეობას — პოემას „ბედი ქართლისა“, ლექსებს: „მერანი“, „სუმბული და მწირი“, „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“ და სხვანი, ესენი ჯერ კიდევ დაბეჭდილი არ იყო.

ილია უეჭველია იცნობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის იმ რამდენიმე ლექსს, რომლებიც გამოქვეყნებული იყო „ცისკარში“ 1858 წლის დასაწყისამდე; ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას ილია მთლიანად გასცნობია სტუდენტობის დროს, თვით ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტობიოგრაფიული კრებულიდან, რომელიც ილიას მიუღია სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ოჯახში.

ამას ადგილი ჰქონია, როგორც ირკვევა, 1858 წელს.

რადგან ილია ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის ურთიერთობის გარკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული მწერლობის ისტორიისათვის, ჩვენ აქ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ამ საკითხზე, თუ როდის გაეცნო ილია ნ. ბარათაშვილის პოეზიას.

ჯერ იმის შესახებ, თუ რა პერიოდში იყო სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე რუსეთში.

პირველად ეკატერინე წასულა პეტერბურგს 1856 წლის ივლისში თავისი ამალით რუსეთის იმპერატორის კურთხევაზე დასასწრებლად. იქიდან დაბრუნებულა სამეგრელოში 1857 წლის აპრილს — თბილისის გზით.

მეორედ, და ეს უკვე დიდი ხნით — ეკატერინე გადასახლდა პეტერბურგში (მთავრობის იძულებით) — 1857 წლის დასასრულს. ეკატერინე გაემგზავრა სამეგრელოდან 1857 წლის 25 ოქტომბერს და ჩავიდა პეტერბურგს 1857 წლის დეკემბერში. ამის შემდეგ, 1857 წლის დასასრულიდან — ვიდრე 1861

წლამდე — ეკატერინე პეტერბურგში იმყოფება თავისი შვილებითა და ამალით¹.

ეკატერინეს ოჯახი ღია იყო პეტერბურგის ქართველობისათვის და კერძოდ ქართველი სტუდენტებისათვის, რომლებიც აქ ხშირად იკრიბებოდნენ. ეკატერინეს ოჯახში, ცხადია, თავიდანვე ხშირი სტუმარი უნდა ყოფილიყო და ყოფილა კიდევ — ილია, მოგვარე და ახლობელი ეკატერინესი (ილიას მამა გრიგოლი, როგორც მოხსენებული გვქონდა, მაბლობელი პირი იყო ეკატერინეს მამის ალექსანდრე ჭავჭავაძისა). ეკატერინეს სახლში მსვლელობის დროს ილიას დამეგობრებია ეკატერინეს პატარა ქალიშვილი სალომე, იმ დროს 10—11 წლის ბავშვი.

ილია ამ დროს უკვე ცნობილი იყო როგორც პოეტი (ილიას ლექსები 1857 წლიდან იბეჭდებოდა „ცისკარში“) და ბუნებრივია, რომ ეკატერინეს ოჯახში, — სადაც ბარათაშვილის პოეზიის კულტი იყო გამეფებული — ახალგაზრდა პოეტს — ილიას ადრევე გადასცემდნენ გასაცნობად ბარათაშვილის ლექსების ავტოგრაფულ კრებულს, რომელსაც ეკატერინე ყოველთვის თან ატარებდა (უნდა გვახსოვდეს ამასთან, რომ თვით ილია, როგორც ცნობილია, საგანგებოდ ჰკრებდა ცნობებს ქართველი მწერლების ხელნაწერთა შესახებ და აწერინებდა ამ ხელნაწერთა პირებს ქართველ სტუდენტთა წიგნთსაცავისათვის, რომლის დამაარსებელიც ილია იყო).

ილია გასცნობია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ავტოგრაფულ ხელნაწერ კრებულს, როგორც ირკვევა, 1858 წლის ზაფხულში.

პეტერბურგელი ქართველი სტუდენტობა ზაფხულს ჩვეულებრივ ატარებდა ტიარლეოში და პავლოვსკში. ამის მეზობლად მდებარეობს ცარსკოე სელო, სადაც ზაფხულობით იმყოფებოდა ეკატერინე დადიანისა — თავისი ოჯახით.

„მახსოვს, — გადმოგვცემს ილიას მეგობარი კობტა აფხაზი, — ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბატონ დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს. ქალბატონ დადია-

¹ იხ. იონა მეუნარგიას მონოგრაფია „გრიგოლ დადიანი“ (დაუბეჭდავია, დაცულია ზუჯიდის მუზეუმში) და ეკატერინეს პირადი მოძღვრის თეოდორე ხომტარიას დღიურები (დაცულია იქვე).

ნისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს ბარათაშვილის საკუთარი ხელით ნაწერი. ეს ლექსები იყო „ქართლის ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგინებ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოლავდა ბარათაშვილით“.

ჩვენამდე, როგორც ჩანს, მოღწეულია კიდევ ნიკოლოზ ბარათაშვილის თვით ის ავტოგრაფული ხელნაწერები, რომლებიც ეკუთვნოდა ეკატერინეს, და რომლებითაც გაცნობია ილია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას. ეს ხელნაწერებია ორი პატარა წიგნაკი, რომლებიც უფრო გვიან ე. თაყაიშვილმა აღმოაჩინა პეტერბურგში (1886 წ.). ერთ ხელნაწერ წიგნაკში მოთავსებულია პოემა „ბედი ქართლისა“; მეორე ხელნაწერ წიგნაკში მოთავსებულია ნ. ბარათაშვილის ლექსები, მათ შორის „მერანი“ (აგრეთვე „სუმბული და მწირი“, ფიქრნი მტკვრის პირზედ“, „სულო ბოროტო“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „სული ობოლი“, „ვპოვე ტაძარი“, „საყურე“ და სხვანი).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ეს ორი ავტოგრაფული ხელნაწერი, ერთი „ბედი ქართლისა“-ს, ხოლო მეორე „მერანი“-ს შემცველი, არის ის დედნები, რომლებზედაც მიუთითებს კოხტა აფხაზი თავის შოგონებებში.

ამის შემდეგ დავგრძენია დავაზუსტოთ თარიღის საკითხი.

შეხედულება, რომ ილიას მიერ ნ. ბარათაშვილის ლექსების კრებულის გაცნობა ეკატერინე ჰავკავაძე-დადიანის ოჯახში ვითომც უნდა მომხდარიყო 1860 წელს, მხოლოდ და მხოლოდ იმას ემყარება, რომ ილიას ორი ლექსი, მიძღვნილი ბარათაშვილისადმი, დაწერილია 1860 წელს. მაგრამ ამით, რასაკვირველია, არაფერი არ მტკიცდება. ილია შესაძლოა, გაცნობოდა ბარათაშვილის პოეზიას 1858 წელს, ხოლო ლექსი ბარათაშვილზედ, ცხადია, შეეძლო დაეწერა ბევრად უფრო გვიან, — და ეს სინამდვილეში ასეც მომხდარა. საქმე ის არის, რომ იმავე 1860 წელს, ივლისში, ერთდროულად ლექსთან ნ. ბარათაშვილის შესახებ, ილიას დაუწერია აგრეთვე ლექსი ალექსანდრე ჰავკავაძის შესახებაც (ლექსი ალექსანდრე ჰავკავაძეზე დათარიღებულია 1860 წლის 16 ივლისით, ლექსი ნ. ბარათაშვილზე — 1860 წლის 19 ივლისით). ამრიგად, 1860 წელს ილია ერთდროულად წერს ლექსების წყებას თავისი საყვარელი პოეტა

ბის ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ, ხოლო ეს, როგორც აღვნიშნეთ, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ილიამ ამ დროს პირველად გაიცნო ნ. ბარათაშვილი, ისევე როგორც ამ დროს არ გაუცენია ილიას არც ალექსანდრე ჭავჭავაძე (ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიას ილია ბავშვობიდანვე იცნობდა).

რომ ილია ბევრად ადრე, სახელდობრ 1858 წლის ზაფხულში გასცნობია ბარათაშვილის ლექსების კრებულს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ოჯახში, ამას ადასტურებს შემდეგი:

1. კონტა აფხაზი თავის მოგონებებში, როგორც ვნახეთ, მოგვითხრობს, რომ ილიამ ეკატერინეს სახლში გადმოცემული ხელნაწერებიდან გაიცნო ბარათაშვილის ლექსები „ბედი ქართლისა“ და „მერანი“ და თან დასძენს: „ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა („ბედი ქართლისა“-მ და „მერანმა“) — ილიაზე. თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“. ამრიგად, ილიას ამ დრომდე „ბედი ქართლისა“ და „მერანი“ წაკითხული არა ჰქონია. ხოლო „ბედი ქართლისა“ დაიბეჭდა „ცისკარში“ 1858 წლის სექტემბრის ნომერში. მაშასადამე, ილია გასცნობია ბარათაშვილის ლექსების ამ ხელნაწერებს 1858 წლის სექტემბრამდე, ვიდრე „ცისკარში“ დაიბეჭდებოდა „ბედი ქართლისა“¹. ამრიგად, ზაფხულის თვეები, რომელიც დასახელებული აქვს კონტა აფხაზს, არის 1858 წლის ზაფხული და არა 1860 წლის ზაფხული.

2. თავისთავად ყოვლად დაუჭერებელია, რომ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ოჯახში, 1858 წლის დასაწყისიდან მოკიდებული, ვიდრე 1860 წლის ზაფხულამდე, არ გადაეცათ ილიასათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების კრებული, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეკატერინეს ოჯახში, როგორც მოვიხსენეთ, ბარათაშვილის პოეზიის ნამდვილი კულტი იყო გამეფებული, ეკატერინეს მუდამ თან ჰქონდა ბარათაშვილის ლექსების ავტოგრაფული კრებული. ეს კრებული ეკატერინეს მით უფრო ადრევე უნდა ეჩვენებინა

¹ „ცისკარის“ ნომრებს, როგორც ეს დადგენილია, ლებულობდნენ პეტერბურგის სტუდენტები და 1858 წლის სექტემბრის ნომერი (რომელიც ნებადართულია ცენზურის მიერ 9 აგვისტოს) მიღებული იქნებოდა პეტერბურგში 1858 წლის შემოდგომის თვეებში.

ილიასათვის, რომ ილია, როგორც მოვიხსენეთ, ამ დროს უკვე ცნობილი იყო, როგორც პოეტი.

3. რომ ილია 1860 წელზე უწინარეს იცნობდა ნიკოლოზ ბარათაშვილს — და ამასთან — (რაც უაღრესად მნიშვნელოვანია აქ აღძრული საკითხის დასაზუსტებლად), — იცნობდა მას არა მარტო იმ ლექსებით, რაც „ცისკარში“ იყო დაბეჭდილი, არამედ აგრეთვე იმ ლექსებითაც, რომლებიც ზემოთ მოხსენებულ ხელნაწერ კრებულშია მოთავსებული, ეს უდავოდ დასტურდება ილიას ორი ლექსიდან, რომლებიც 1859 წელს არის დაწერილი: „მტკვრის პირას“ და „ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევე, სიტკბონი შენნი“.

ილიას ლექსში „მტკვრის პირას“, — როგორც ეს უკვე ჩვენამდე იყო შენიშნული, — არის უცილობელი გავლენა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსისა „ფიქრნი მტკვრის პირზედ“. აქ არის შეხვედრა არა მარტო ლექსების სახელწოდებათა, არამედ ილიას ლექსში არის ანარეკლი ნ. ბარათაშვილის ლექსის მთელი რიგი სახეებისა და გამოთქმებისა. ილიას ლექსი „მტკვრის პირას“ დაწერილია 1859 წლის 9 ოქტომბერს; რაც შეეხება ბარათაშვილის ლექსს „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, იგი ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო დაბეჭდილი (ბარათაშვილის ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1862 წლის იანვრის ნომერში). მაშასადამე, 1859 წელს ილია ამ ლექსს იცნობდა არა „ცისკრიდან“, არამედ ბარათაშვილის ხელნაწერი კრებულიდან (ბარათაშვილის ეს ლექსი მოიპოვება ბარათაშვილის ზემოდასახელებულ ხელნაწერ კრებულში).

ილიას მეორე ლექსში „ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევე, სიტკბონი შენნი“ — ასევე უცილობელი გავლენა ბარათაშვილის ლექსებისა: „ვზოვე ტაძარი“, „ჩემთ მეგობართ“ და „სულთ ბოროტო“. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ილიას ამ ლექსში გვაქვს ანარეკლი სახეებისა და გამოთქმებისა, კერძოდ, ნ. ბარათაშვილის პირველი ორი ლექსიდან „ვზოვე ტაძარი“ და „ჩემთ მეგობართ“. ილიას ლექსი დაწერილია 1859 წლის 30 სექტემბერს, ხოლო ბარათაშვილის ლექსები „ვზოვე ტაძარი“ და „ჩემთ მეგობართ“ ამ დროს დაბეჭდილი არ იყო („ვზოვე ტაძარი“ დაიბეჭდა „ცისკარში“ 1860 წლის მაისის ნომერში, „ჩემთ მეგობართ“ ასევე „ცისკარში“ 1862 წლის მაი-

სის ნომერში). მაშასადამე, 1859 წ. ილია ამ ლექსებსაც იცნობდა არა „ცისკრიდან“, არამედ აგრეთვე ნ. ბარათაშვილის ხელნაწერი კრებულიდან (ნ. ბარათაშვილის დასახელებული ლექსები მოიპოვება ნ. ბარათაშვილის ზემოხსენებულს ხელნაწერ კრებულში).

4. მოთხრობაში „კაკო“, რომელიც 1858—1859 წლებშია დაწერილი, ილიას ციტირებული აქვს ადგილი ნ. ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა“ (იხ. ი. ჭავჭავაძე, ტ. II, 1950 წ., გვ. 526). ილია ამ შემთხვევაშიაც არაა დამოკიდებული ჟურნალ „ცისკრის“ ტექსტიდან, რადგან ის ნაწილი პოემისა, საიდანაც ამოღებული აქვს ციტატი ილიას, არ დაბეჭდილა „ცისკარში“, — იგი ცენზურამ აკრძალა. ამრიგად, ამის მიხედვითაც დასტურდება, რომ ილია 1858—1859 წლებში იცნობდა ნ. ბარათაშვილის პოეზიას (და კერძოდ პოემას „ბედი ქართლისა“) — არა ჟურნალ „ცისკრის“ მიხედვით, არამედ ნიკოლოზ ბარათაშვილის ზემოთ დასახელებული ხელნაწერი კრებულის მიხედვით.

ასეთია დასკვნები აქ აღძრული საკითხის გამო, რაც გამომდინარეობს ყველა არსებული მასალის განხილვიდან.

ამრიგად, ყოველივე აღნიშნულის შემდეგ საბოლოოდ ირკვევა, რომ ილია გასცნობია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას მთლიანი სახით (მათ შორის „ბედი ქართლისა“-ს და „მერანს“) — 1858 წლის ზაფხულში, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ავტოგრაფული კრებულიდან, რომელიც ილიასთვის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ოჯახში გადაუციათ¹.

1858 წელი, როდესაც ილია გაეცნო ბარათაშვილის პოეზიას, არის, როგორც მოეხსენეთ, პერიოდი; როდესაც ხდება ილიას მსოფლმხედველობის ფორმირება, პერიოდი, როდესაც ილია შეუდგება თავის პირველს დიდ ქმნილებას — „აჩრდილს“

¹ ამ საკითხს უფრო დაწერილებით ცალკე წერილში ვეხებით. საგნის ლიტერატურა: გრიგოლ ყიფშიძე, ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია (გ. გუდუაზინიშვილის 1914 წლის გამოცემა), გვ. XXII. — გ. ლეონიძე, ორა შენიშვნა ნ. ბარათაშვილზე, ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 628. — ბ. ინგოროყვა, ნ. ბარათაშვილი (შესავალი წერილი 1945 წლის გამოცემისა), გვ. LI—LIII. — ა. თოფჩია, ი. ჭავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი, ჟურნ. „მნათობი“, 1950 წ. № 11 (გვ. 115—130), რომელიც მთელ რიგ სწორ დებულებებს შეიცავს.

(ეს პოემა ილიამ დაამთავრა 1859 წლის იანვარში), რომელსაც მოჰყვება „გლახის ნაამბობი“ (1859 წ.), „ქართლის დედა“ („დედა და შვილი“, 1860 წ.), „კაკო ყაჩალი“ (1860 წ.).

ბარათაშვილის პოეზიის გაცნობამ ახალი პოეტური ცეცხლით აანთო, ახალი შთაგონებით აავსო მონათესავე პოეტური სული ილიასი. ბარათაშვილისადმი მიძღვნილს ერთს უფრო გვიან დაწერილს ლექსში ილია იგონებს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მასზე დატოვა ბარათაშვილის ლექსების პირველმა გაცნობამ:

როს წარვიკითხე მისი ლექსები,
ვერარა ვთქვი რა განცვიფრებულმა
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა
ცას განუბნისო შავი ღრუბლები,
ისე იღარა ჩემ მწუხარ შუბლმა.

ხალხო ობოლო, შენ მებრალები,
რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა
და განგაშორა თვისი სხივები..
როს წარვიკითხე მისი ლექსები,
აღმოვიკვნესე დაობლებულმა!

შეორე ლექსში ნიკოლოზ ბარათაშვილზე ილია წერს:

ყრმაო პოეტო უღმრთო იყო შენი სიკვდილი,
ვინ უწყს, რადენნი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა
ეგე ზღვა-გული, სიყვარულის სხივ-ქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესვენა?
ვინ იცის, თანა რაოდენნი წარიღე ფიქრნი?..

ილიას ამ ლექსს ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული სიტყვები ბარათაშვილის „მერანიდან“:

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.

ასე ეზიარა ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიას მისი დიდი მემკვიდრე ილია ჭავჭავაძე.

• • •

ილიას მსოფლმხედველობას, როგორც ამბობს თვით ილია „მგზავრის წერილებში“, დადებული აქვს „ქ ა რ თ უ ლ ი დ ვ რ ი ტ ა“.

ილიას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა ჰქონდა, პირველ რიგში, ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომლის „ბედი ქართლისა“-ში, „სუმბულსა და მწირში“, „მერანში“ უკვე მოცემულია სათავე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიისა, პოლიტიკური რადიკალიზმის სულით აღბეჭდილი.

ამ ქართულ დერიტასთან ერთად ილიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის გამომუშავებაზე გავლენა იქონია რუსეთის რევოლუციონერი დემოკრატების დიდმა პლეადამ (ჩერნიშევსკიმ, დობროლუბოვმა, ბელინსკიმ, გერცენმა) და აგრეთვე, როგორც შემდეგ დავინახავთ, ევროპის დიდმა უტოპისტმა სოციალისტებმა.

რუსულ ლიტერატურასთან (რუსული ლიტერატურის რევოლუციონერ-დემოკრატიულ ფრთასთან) — ურთიერთობის საკითხის გამო ილია წერს:

„თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალღონეს შეადგენს... საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლა-მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ...“

ილია ამასთან აღნიშნავს:

„რასაკვირველია, ამ ზემოქმედებამ რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამოწარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრნად არ მიიჩემა და ამრიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის. ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელით, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია...“

„ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი ჩვენში, რუსული ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწვრთნილნი, ასე ბრმად არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელ ზემოქმედებას, ამათ ჯერ გამოუძებნიათ მისი გამოწარკვევენი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარუყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ

მარტო ამას არ დასჯერებია, იმავე კრიტიკით და გამოძიებით მხარდამხარ ასდევნებიან ამ ლიტერატურის წინსვლასა, წარმატებასა და არ გაჩერებულან მის რომელსამე ერთ ხანაზედ¹.

ილიამ რუსეთის დიდი რევოლუციონერი დემოკრატიების პროგრესული იდეები თავისი დამონებული სამშობლოს სპეციფიკურ ვითარებას შეუფარდა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიის ერთ-ერთ ფუძედ დაუდო. ილია მეორე წერილში, ეხება რა საქართველოს სპეციფიკურ ვითარებას, როგორც კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისა, წერს:

„ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს... ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვას დალადებს... ის „სხვა რამეა“ — ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვეცდენია, — ყველასათვის ცხადზედცხადია... ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, სანამ ჩვენი ვინაობა შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი — ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს...“².



ილია სტუდენტობის დროს არა მხოლოდ გასცნობია რუსეთის რევოლუციონერი დემოკრატიების იდეოლოგიას, არამედ ახლო პირადი ნაცნობობითაც ყოფილა დაკავშირებული რუსეთის რევოლუციონერი დემოკრატიების დიდ ლიდერთან ნ. გ. ჩერნიშევსკისთან.

აქ საჭიროა საგანგებოდ შევჩერდეთ ამ საკითხზე, რადგან ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ილიას სტუდენტობის დროის ბიოგრაფიისა მხედველობიდან გამორჩენიან ილიას ბიოგრაფებს.

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. VIII, 1928 წ., გვ. 285—6.

² იხ. ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, ივერია, 1881 წ. შიისი (ნაწერების კრებული, ტ. VI, 1927 წ., გვ. 127—128).

ილია სტუდენტობის დროს რომ პირადად იცნობდა ჩერნიშევსკის, ამის შესახებ მოიპოვება ცნობა თვით ილიასი, რომელიც ჩაწერილი აქვს მწერალს და საზოგადო მოღვაწეს რ. ხომლელს, რომელიც წარსული საუკუნის 90-იან წლებში დაახლოებული იყო ილიასთან.

რ. ხომლელი თავის წერილში ილია ქვეყანაში, ეხება რა საგლენო რეფორმის ისტორიას და ახალგაზრდა ილიას პოზიციას ყმების მიწიანად განთავისუფლების საკითხის გამო, — წერს:

„რუსეთის საუკეთესო ჟურნალიც „Современник“ და მისი შესანიშნავი ეკონომისტი ნ. გ. ჩერნიშევსკი, რომელსაც ჩვენი სტუდენტი ილია დაახლოებით იცნობდა, როგორც ეს ჩემთვისა და ნ. ხიზანიშვილისათვის უთქვამს, იმას ქადაგებდა, რომ ყმა მიწიანად უნდა განთავისუფლდესო. ჩვენი ილიაც ამ აზრს ემსახურებოდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე... ნ. ჩერნიშევსკისა და ილია ქვეყანადის ქადაგება იყო წარმტაცი და აკი ამ მოძრაობამ წარიტაცა რუსეთში მთელი ინტელიგენცია „ნაროდნიკებისა“ და ჩვენში მთელი თაობა „ტეტიათა მოტრფიალეთა“¹.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ილია, როგორც ირკვევა, არა მარტო იცნობდა ნ. ჩერნიშევსკის; არამედ ახლო ურთიერთობით ყოფილა დაკავშირებული მასთან, ანუ როგორც თვით ილიას უთქვამს — „დაახლოებით იცნობდა“ მას.

რაკი ილია დაახლოებული პირი ყოფილა ნ. ჩერნიშევსკისა, ცხადია, იგი იცნობდა აგრეთვე ნ. ჩერნიშევსკის უახლოეს თანამებრძოლს ნ. დობროლოზოვს და აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც ახლო ურთიერთობა და მიმოსვლა ჰქონდათ ნ. ჩერნიშევსკისთან, კერძოდ პოეტს ნ. ნეკრასოვს, „სოვრემენნიკის“ რედაქტორს. ამრიგად, როგორც ირკვევა, შემთხვევითი არ ყო-

¹ რ. ხომლელის ეს წერილი დაბეჭდილი იყო 1909 წელს ნაკლებად გავრცელებულს ქუთათურ ყოველკვირეულ გაზეთში „შინაური საქმეები“ ციტირებული ადგილი იხ. გაზეთის მე-2 ნომერში, გვ. 6—7) და ამის გამო გამორჩენიათ იგი მხედველობიდან ილიას ბიოგრაფებს.

ფილა ის გარემოება, რომ ილიას ლექსს „მუშა“ უძღვის ეპიგრაფი ნეკრასოვიდან («В труде проходит жизнь его и не приносит ничего»), ხოლო „საქართველოს მოამბეში“ ილიამ მოათავსა თარგმანი დობროლუბოვიდან.

როდესაც ილია გაეცნო და დაუახლოვდა ნ. ჩერნიშევსკის და მის ჯგუფს, იგი სრულიადაც არ იყო იმ დროს მოუმწიფებელი ჭაბუკი, არამედ ინტელექტუალურად დავაჟკაცებული მოაზროვნე და მწერალი, ავტორი „აჩრდილისა“ (1858—1859 წ.). „გლახის ნაამბობისა“ (1859 წ.), „კაკო ყაჩაღისა“ (1860 წ.) და მთელ რიგ სხვა ნაწარმოებთა.

ბევრით ენათესავებიან ერთმანეთს ეს ორი გოლიათი აზროვნებცისა, — ილია ჭავჭავაძე და ნ. ჩერნიშევსკი, ეს ორი თავდადებული მებრძოლი დიად საქმეთათვის, — ილია — წინამძღოლი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა საქართველოში, და ნ. ჩერნიშევსკი — მეთაური რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა რუსეთში. ბევრით გვაგონებენ ერთიმეორეს ეს ორი ქედმოუხრელი გმირი, რომლებიც შეეწირნენ თავის წმინდა საქმეს.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ილიას ნაწერებში ცენზურის მიზეზით თუმცა არ გვხვდება მოხსენება თვით ჩერნიშევსკის სახელისა, მაგრამ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იმდროინდელ საცენზურო პირობებში, ილია აღნიშნავს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც შეასრულა რუსეთის ისტორიაში ნ. ჩერნიშევსკიმ და რევოლუციონერი დემოკრატების დასმა.

ილია ერთ-ერთ წერილში, ეხება რა რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას რუსეთში ორმოცდაათიან-სამოციან წლებში, წერს:

„ახლად თვალახილულმა რუსეთმა — ნახა, რომ მისი სნეულების სათავე — თვითონ ცხოვრების წყობაა და აგებულია, ერთხელ და ერთხელ შემოღებული და განუახლებლად დამკვიდრებული. უარყო იგი წყობა, უარყო ყოველივე ის, რაც იმ წყობას შესწევდა და ხელს უმართავდა. ამ არსებულის უარყოფამ წამოიწია იმ წრიდან, რომელსაც გონებით მცხოვრებს საზოგადოებას ეძახიან, რომელიც ყველგან და ყოველთვის ნუგეშია და იმედი ყოველის ერისა და რომელიც ცხოვრების წარმატების უღელის თავში პირველი ჩადგება ხოლმე. ის სა-

ზოგადობა მთელის ძალ-ღონით მიაწყდა ამ უშველებელს საქმეს უარყოფისას და ყოველს მის მოქმედებაში ან წუნი და კიცხვაა დროგადასულის ძველისა, ან მოძღვრება და ნატვრა ნელად აკვირებულის ახლისა. უკეთესნი წარმომადგენელნი ამ საზოგადოებისა — პოეზიაში [— იგულისხმება ნეკრასოვი, პ. ი.]. მეცნიერებაში თუ პუბლიცისტიკაში [— იგულისხმებიან ზელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, გერცენი, პ. ი.] სულ ამ დიდი საქმის მიმდევარნი იყვნენ დაულალავად. მათის მართლად დაუვიწყარი ღვაწლით მაგ თამამმა, უარყოფელმა მიმართულებამ ფეხი გაიდგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზე დაიჭირა ადგილი. ამ ახალი მიმართულების მესვეური იყო „სოვრემენნიკი“¹.

ილია აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში, როდესაც ახალ მიმართულებას სათავეში ედგაო „სოვრემენნიკი“, ამ ახალ მიმართულებას „დამჯდარი ჭკუა და მეცნიერება წინ უძღოდა“². ამ სიტყვებით — „დამჯდარი ჭკუა და მეცნიერება“ — ილია მოიხსენებს ჩერნიშევსკის, ხელმძღვანელს „სოვრემენნიკისა“³, რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის დიდ მეთაურს.

ილია ჭავჭავაძისა და ნ. ჩერნიშევსკის ურთიერთობის ისტორიასთან დაკავშირებით აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე შემდეგი.

როგორც ირკვევა, მას შემდეგ, რაც ილია, რომელიც ყველასაგან აღიარებული მეთაური იყო ქართველი სტუდენტობისა, დაახლოებია ჩერნიშევსკის, — ჩერნიშევსკისთან კავშირი გაუბამს მოწინავე ქართველი სტუდენტობის მთელ წრესაც.

ნიკო ნიკოლაძე თავის მოგონებაში სამოციან წლებზე — აღნიშნავს, რომ, როდესაც 1861 წელს, ილია ჭავჭავაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ, რუსეთში ჩავიდა ნიკო ნიკოლაძე, მას, ჩერნიშევსკის პირველი გაცნობის დროს, ჩერნიშევსკისთან დახვდა ქართველი სტუდენტების მთელი ჯგუფი³.

აღსანიშნავია ამასთან, რომ 1861 წელს სტუდენტთა არეულობაში მონაწილე ქართველ სტუდენტებს ერთ-ერთ ბრალად

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე. ტ. VI, 1927 წ., გვ. 118.

² იხ. იქვე, გვ. 125.

³ იხ. ნიკო ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, I, 1931 წ., გვ. 121—123.

ეთვლებოდათ, კერძოდ, ნ. ჩერნიშევსკისთან ურთიერთობაც (ასე, მაგალითად, 1862 წელს პოლიციის საიდუმლო დეპარტამენტის — მესამე განყოფილების მიერ შედგენილ საექვო პირთა სიაში სტუდენტთა არეულობაში მონაწილე ბ. ლოლობერიძის შესახებ აღნიშნულია: «...знаком с Чернышевским...»)¹.

* * *

ილია სტუდენტობის დროს ახლოს ეცნობა როგორც რუსეთის რევოლუციონერი დემოკრატების დიად იდეებს, ისე ევროპის აზროვნების ისტორიას.

თუ რამდენად ინტენსიურად მუშაობდა ილია სტუდენტობის დროს, თუ რამდენად ფართო იყო ახალგაზრდა ილიას ინტელექტუალური ინტერესები, ამის მაჩვენებელია, მაგალითად, ნუსხა იმ წიგნებისა, რომლებიც ილიას დაუმუშავებია 1860 წლის დასასრულს. ეს ნუსხა ჩაწერილია ილიასეულ ერთ ხელნაწერში სტუდენტობის დროის, რომელიც 1860 წლის დეკემბერშია გადაწერილი. ამ ნუსხაში ჩვენ გვხვდება როგორც მხატვრული ლიტერატურა, — შექსპირი, დიკენსი, გოეთე, შილერი, ისე ამის გვერდით ბეკონი და დეკარტი, „ათენის რესპუბლიკის ისტორია“ და „მსოფლიო მექანიკური თეორია“².

როგორც ირკვევა, ილია ახლოა გაცნობილი საფრანგეთის დიდ განმანათლებლებს, ასევე გერმანულ ფილოსოფიას, კერძოდ ჰეგელს. ეს ჩანს, პირველ რიგში, იმ ბრწყინვალე ფილოსოფიურ-პუბლიცისტური ნაშრომიდან, რომლითაც იხსნება ილიას ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (შესავალი წერილი „საქართველოს მოამბეზე“).

ილია, როგორც ირკვევა, გაცნობილი იყო დიდ უტოპისტ სოციალისტებს, რომელთა იდეების მიმდევრად ილია გვევლინება როგორც ახალგაზრდობის დროინდელ „აჩრდილში“, ისე თავის ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“, რომელიც ილიას ერთგვარ პოლიტიკურ ანდერძს წარმოადგენს. ილია, როგორც ჩანს, ახალგაზრდობიდანვე თვალ-ყურს ადევ-

¹ იხ. ნიკო ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, I, 1931 წ., გვ. 380.

² იხ. ილიას ავტოგრაფი M (ხელნაწერი საქართველოს სახ. მუზეუმისა № 5019—S).

ნებდა ევროპის სოციალისტურ მოძრაობას. იგი გაცნობილი იყო ანარქიზმის მოძღვრებასაც. რასაკვირველია, შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ ილია თავის „საქართველოს მოამბეში“ ადგილს უთმობს პრუდონს.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ იყო აღნიშნული, გასაგები ხდება, რომ ილიას პოეტურ მემკვიდრეობაში გვაქვს ისეთი ნაწარმოები, როგორც არის მისი განთქმული ლექსი „კომუნის დაცემის დღე“.

* * *

აქ ცალკე შეეჩერდებით ილიას წმინდა ლიტერატურულ ინტერესებზე მისი სტუდენტობის ხანაში.

ილია სტუდენტობის დროს საფუძვლიანად გაცნობია, როგორც ქართულ მწერლობას, ისე რუსულსა და ევროპულ ლიტერატურას.

ილიას ლიტერატურულ ინტერესთა წრეზე მიუთითებს კერძოდ მისი თარგმანები. ილიას სტუდენტობის დროს ეკუთვნის თარგმანები რუსი პოეტების — პუშკინისა და ლერმონტოვისა, ინგლისელი, გერმანელი და ფრანგი პოეტების — ბაირონის, ვალტერ სკოტის, გოეთესი, შილერის, ჰაინესი, რიუკერტისა, ანდრე შენიესი. ილია სტუდენტობის დროიდანვე გატაცებულია შექსპირით; შემდეგ ილიამ საფუძველი ჩაუყარა კიდევ შექსპირის ქართულად თარგმნას (ილიამ, უფრო გვიან, ივანე მაჩაბელთან ერთად, გადმოიღო ქართულად „მეფე ლირი“).

ილია ხშირი მკითხველი ყოფილა ილიადასი¹, ასევე ლუკრეციუსის, ვირგილიუსის, ჰორაციუსისა².

ილიასათვის განსაკუთრებით საყვარელ მწერლებად ბოლომდე დარჩნენ — რუსთაველთან ერთად — შექსპირი და ბაირონი. — ამ უკანასკნელს იგი გოეთეზე მაღლა აყენებდა.

თუ რა იტაცებდა ახალგაზრდა ილიას პოეზიაში, თუ რა მო-

¹ იხ. იონა მეუნარგია, ილია ქაეკავაძე, 1937 წ., გვ. 48.

² იხ. ილია ქაეკავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 162.

თხოვნილებას უყენებდა ილია მწერლობას, ეს ჩანს ილიას „მგზავრის წერილების“ ცნობილი ადგილიდან, სადაც იგი გოეთეს მყინვარს ადარებს, ხოლო ბაირონს — თერგს.

ვფიქრობთ, არ იქნება ზედმეტი მოვიგონოთ ეს ადგილი „მგზავრის წერილებისა“, რადგან იგი ასე ახლო გვაკრძნობინებს ილიას პოეტიკას, და არა მხოლოდ პოეტიკას, არამედ გვაკრძნობინებს დიდი შემოქმედის სულიერ სამყაროს, გვაკრძნობინებს იმ რევოლუციურ სულისკვეთებას, რომლითაც შთაგონებული იყო ილია:

„დიდებული რამ არის ეგ მყინვარი... მყუდროა და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი... აბა, რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალ შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოვებს. ძირი თუმცა დედამიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზღდ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გივი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავი მთის გულიდამ ვადმომსკდარი მოდის და მობღაერს და აბღაერებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გაძაღებული ბრძოლა, დრტინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის ვღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლევებული და ღრსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია, როგორც უკვდავება, და ჩუმი, როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნიერების ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდან დადებულა, ყოველი შენობა ძირიდან ამოღებულა... ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს, უფრო მიყვარს. მყინვარი დიდ გოეთეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო იმით ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ... მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი“.

აღსანიშნავია, რომ ლექსშიც „პოეტი“ ილია ასევე უპირისპირებს თავის პოეტიკას და გოეთეს პოეტიკას.

გოეთე ერთ-ერთ ლექსში, როგორც ცნობილია, ამბობს: Ich singe wie der Vogel singt („მე ვმღერი, ვით მღერის ფრინველი“). ხოლო ილია ასე იწყებს ახალგაზრდობის ხანის ლექსს „პოეტი“:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა,
არა მარტო ტბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცაში...“

როგორც ვხედავთ, ამ ლექსის პირველ სტრიქონებში იღიბ გოეთეს ეკამათება.



ახალგაზრდა ილია, თავის დამოწებული სამშობლოს მომავალ ბედზე ფიქრით მოცული, მღელვარებით ადევნებდა თვალყურს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ევროპაში. ილიასათვის შთამაგონებელი მაგალითი იყო ირლანდიელი ხალხის გმირული ბრძოლა ინგლისელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, ასევე იტალიელი ხალხის დიადი მოძრაობა სამშობლოს გაერთიანებისა და ავსტრიელ დამპყრობელთა განდევნისათვის. როდესაც 1860 წლის ზაფხულზე გარიბალდიმ აიღო მესინა, ხოლო შემდეგ იტალიის ნახევარკუნძულზე გადმოვიდა, ილია ამას ღღერთოვანებული მიესალმა ლექსით: „მესმის, მესმის სანატრელი, ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა...“

ილია იმდენად გატაცებული იყო იტალიელი ხალხის ამ დიადი მოძრაობით, რომ იგი ერთხანს ფიქრობდა ვოლონტერად წასვლას გარიბალდისთან იტალიაში.

იგი ბოლომდე დარჩა თაყვანისმცემელი იტალიელი ხალხის დიადი გმირის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის გარიბალდისა. როგორც ცნობილია, გარიბალდის პორტრეტი ამშვენებდა ილიას სამუშაო ოთახს მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე.



ილიას დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა ოცდაათამდე ქართველი სტუდენტი. მათ შორის იყვნენ: აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ლოლობერიძე, ბესარიონ ლოლობერიძე, პეტრე ნაკაშიძე, დავით ყიფიანი, ილია ოქრომჭედლიშვილი, ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილი, მიხეილ ჩიკვაძე, კონტა აფხაზი, იოსებ ვაჩნაძე და სხვანი (ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი ჩავიდნენ პეტერბურგში 1861 წელს, როდესაც ილია უკვე წამოსული იყო საქართველოში).

ქართველი ახალგაზრდობა რუსეთში აღრევეც მიდიოდა გა-

ნათლების მისაღებად, მაგრამ ქართველი სტუდენტობის ასეთი დიდი ჯგუფის ერთად შემოკრება ერთ ქალაქში პირველი შემთხვევა იყო.

ნიკო ნიკოლაძის ცნობით, ქართველ სტუდენტთა წრის ყველას მიერ აღიარებული მეთაური და იდეური ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე იყო.

ილიას გარშემო შემოკრებილი ქართველი სტუდენტობა შეადგენდა იმ ბირთვის, რომელმაც, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, შეადგინა „პირველი დასი“.

ილიას დროს შეიქმნა რუსეთში ქართველი სტუდენტობის — „თერგდალეულთა“ ტრადიციები.

ქართველ სტუდენტთა წრე — ილიას ხელმძღვანელობით — ხშირად იკრიბებოდა. „გბაასობლით როგორც საზოგადო კითხვებზედ, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულ სამშობლოს მომავალზედ“, — წერს ამ წრის ერთ-ერთი წევრი — კოხტა აფხაზი.

იმ ტრადიციების შესახებ, რომლებიც ქართველ სტუდენტობაში დამკვიდრდა ილია ჭავჭავაძის დროიდან, მეორე მესამოციანელი ნიკო ნიკოლაძე წერს:

„მაშინდელი ჩვენი მუსაიფის ან მსჯელობის საგანი, მაშინდელი ჩვენი შრომის მიზანი ის იყო, თუ რა მოვალეობა გვაწევს კისერზე ხალხისადმი, ან რა სახით უფრო უმჯობესია მომზადება ამ მოვალეობის ასასრულებლად... ჩვენს ახალგაზრდობას ავონდებოდა, რომ ერთი თვის სავალზედ, მთებს გადაღმა, სამშობლოში ცხოვრობს მისი ხალხი, რომ ამ ხალხს ცხოვრება უჭირს მის სამშობლოში, მის საკუთარ მიმართულებას ბევრი მტერი და მუხანათი ჰყავს, რომ ამ მტერს და მუხანათს იმან ოდესმე ანგარიში უნდა გაუწმინდოსო!“¹.

• • •

ამავე პერიოდში, ილიას სტუდენტობის დროიდანვე, იწყება დიდი შემოქმედებითი თანამეგობრობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის უდიდესი მოღვაწეებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულის ჩამდგმელების — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა.

¹ იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931 წ., 76.

როდესაც ჟურნალ „ცისკრის“ 1859 წლის ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ნაწყვეტი ილიას „აჩრდილიდან“, აკაკიმ ამას უპასუხა ლექსით „მაისის ღამე ბნელთვალნი“. ამ ლექსში აკაკიმ სიყვარულით დაგვიხატა დიადი სახე თავისი თანამოძმის ჭაბუკის ილიასი, სამშობლო ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლის მგზნებარე პატრიოტისა.

ეს იყო პირველი გამომხატულება ერთმანეთთან ახალი ქართული მწერლობის ამ ორი დიდი კორიფეისა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდანვე ერთად სცემდა სამშობლო ქვეყნის სიყვარულით ანთებული გული ამ ორი ჭაბუკისა, — ილიასი და აკაკისა, რომლებმაც ამის შემდეგ ნახევარი საუკუნის მანძილზე სამშობლო ქვეყნის სამსახურში დალიეს დღენი,

სახელოვანი იყო მათი საერთო გზა და ქართველმა ხალხმა მათი ნათელი სახეები შემოსა უგულთადადესი სიყვარულით.

• • •

ვამთავრებთ რა ილიას სტუდენტობის დროს მიმოხილვას, აქ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ ილიას ყოფა-ცხოვრების შესახებ სტუდენტობის ხანაში.

ილია სტუდენტობის დროს, როგორც ირკვევა, დიდ სიღარიბეს განიცდიდა. ეს ჩანს ილიას წერილებიდან.

ამ ღარიბული ცხოვრების შედეგი იყო, რომ ილია, ბუნებით ჯანმრთელი ადამიანი, ავად გამხდარა მეორე კურსზე ყოფნის დროს, 1859 წელს; მას ჭლეკის ნიშნები გამოსჩენია და სისხლს იღებდა.

ექიმის მოწმობაში, რომელიც გაცემულია ილიას სახელზე 1859 წელს 10 ივნისის თარიღით, აღნიშნულია:

«...Он был пользован мною от кровохарканья в продолжении мая месяца 1859 года... для окончательного излечения болезни необходимо пользоваться в продолжении лета благоприятным южным климатом...»¹.

უნდა ვიცოდეთ, რომ 50-იან — 60-იან წლებში, როდესაც რუსეთსა და საქართველოს ჯერ კიდევ არ აერთებდა რკინიგზა,

¹ იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 561.

მიმოსვლა პეტერბურგიდან თბილისამდე დაახლოებით თვე, თვენახევარს მოითხოვდა. ამიტომ პეტერბურგის ქართველი სტუდენტები პირველი კურსიდან მოკიდებული ვიდრე სწავლის დამთავრებამდე ჩვეულებრივ რუსეთში რჩებოდნენ, რადგან არდადაგების დროს ჩამოსვლა და უკან დაბრუნება საქმელო ეყო, — მარტო გზა აქეთ და იქით ორ-სამ თვემდე დროს მოითხოვდა.

ამით იყო გამოწვეული, რომ ილია 1857 წლის ზაფხულიდან მოკიდებული, ვიდრე 1859 წლის ზაფხულამდე რუსეთში იმყოფებოდა. მაგრამ 1859 წელს ილია ავადმყოფობის გამო დროებით ჩამობრუნდა საქართველოში. ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი მან საქართველოში გაატარა. ილია ისევ დაბრუნდა რუსეთში 1859 წლის შემოდგომაზე.



ილიამ 1860—1861 წლებში მოისმინა მეოთხე კურსის ლექციები. მაგრამ მას აღარ დაუცდია საგნების ჩასაბარებლად; 1861 წლის გაზაფხულზე ილია წამოვიდა საქართველოში, ჩანს, ისევ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

ილია ჩამოვიდა თბილისში 1861 წლის მაისში. ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი მან თბილისსა და კახეთში გაატარა¹.

ილია რუსეთში ჯერ კიდევ არ გაბრუნებულიყო დარჩენილი საგნების ჩასაბარებლად და უნივერსიტეტის დასამთავრებლად, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტთა არეულობა დაიწყო 1861 წლის სექტემბერს.

25 სექტემბრისათვის შეწყდა ლექციების კითხვა და უნივერსიტეტის კარები დაკეტეს.

¹ თარიღები ირკვევა ილიას ნაწერების სათარიღო მინაწერებიდან. ილიას წერილს „პასუხი“ მიწერილი აქვს: „14 მაისი, 1861 წელი, თბილისი“; ლექსს „მას აქეთ რაკი“ მიწერილი აქვს: „1861 წელი, 6 აგვისტო“; ლექსს „ჩემო კალამო“ მიწერილი აქვს: „1861 წელი, ოქტომბერი, ყვარელი“. — თარიღების შესამოწმებლად მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ნიკო ნიკოლაძის ჩვენებას: როდესაც ნ. ნიკოლაძე პეტერბურგში ჩასულა 1861 წლის 9 მაისს, ილია ამ დროს უკვე წამოსული ყოფილა საქართველოში (იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, I, 1931 წ., გვ. 35, 63, 67, 92, 94).

ნაკო ნიკოლაძე, რომელიც ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა და მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა ამ მოძრაობაში, წერს თავის მოგონებებში:

„ხელმწიფე ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა... იგი სტუმრად იყო ფელდმარშალთან თავად ა. ი. ბარიატინსკისთან. პეტერბურგის მთავრობა, სამხედრო გენერალ-გუბერნატორი ანენკოვი და ობერ-პოლიცმეისტერი გენერალი პატკული ვერ ბედავდნენ უიმისოდ რაიმე სასტიკი ზომების მიღებას... ამიტომ, სანამ ხელმწიფესთან მიაღწევდა მოხსენება სტუდენტების არეულობის შესახებ (მაშინ რუსეთსა და კავკასიას შორის ტელეგრაფი არ იყო) — და შემდეგ მისგან მოვიდოდა მითითებანი, რა ღონე ეხმარათ ჩვენს საწინააღმდეგოდ, — ორ კვირაზე მეტმა დრომ გაიარა. პოლიციისა და სამოსწავლო მთავრობის სრული უმოქმედობის გამო ჩვენ ყოველდღე ვიკრიბებოდით, ვიგებდით ახალ ამბებს, უმთავრესად ღამე დატუსაღებულთა შესახებ, — ვუზიარებდით ერთმანეთს აღშფოთებას... უნდა ვიფიქროთ, რომ როცა ამიერკავკასიაში მივიდა მეფესთან მოხსენება სტუდენტების არეულობის შესახებ, კავკასიის დამბყრობმა ბარიატინსკიმ, რომელიც პირადი და საყვარელი მეგობარი იყო ალექსანდრე II-სი, ურჩია მეფეს არეულობის დაუყოვნებლივ მოსპობა. იყო ეს მისი რჩევით თუ არა, მხოლოდ ამგვარი ბრძანება მართლაც მიღებულ იქმნა“¹.

ბრძანების მიღების შემდეგ დაიწყო რეპრესიები.

12 ოქტომბერს გადააყენეს უნივერსიტეტის რექტორი პლეტნევი; უნივერსიტეტიდან დათხოვნილ იქნენ პროგრესული მიმართულების პროფესორები: სპასოვიჩი, კაველინი, პიპინი, სტასიულევიჩი, უტინი. ამავე დღეს უნივერსიტეტიდან გარიცხეს სტუდენტები, რომლებიც მიჩნეულნი იყვნენ არეულობის ორგანიზატორებად და მთავარ მონაწილეებად.

აქ აღსანიშნავია შემდეგი. ილია 1861 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში, როგორც მოვიხსენეთ, საქართველოში იმყოფებოდა² და სტუდენტთა არეულობაში მას მონაწილეობა არ მიუღია. ასე რომ, თითქოს არავითარი საბუთი არ არსებობდა

¹ იხ. მ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, I, 1931 წ., გვ. 106—107.

² იხ. ზემოთ, გვ. 232, შენიშვნა².

ილიას უნივერსიტეტიდან დათხოვნისათვის. მიუხედავად ამისა, ილია მაინც გაურიცხავთ უნივერსიტეტიდან. ამრიგად მის მიმართ განსაკუთრებული ზომა მიუღლიათ. აშკარაა ამის მიხედვით, რომ ილია ადრიდანვე იმყოფებოდა პოლიციის საიდუმლო განყოფილების მეთვალყურეობის ქვეშ, როგორც „არაკეთილსაიმედო“ პირი.

ხელისუფლებამ, ჩანს, კარგად იცოდა, რომ ილია იყო მეთაური და იდეური ხელმძღვანელი ქართველ სტუდენტთა წრისა; ხელისუფლებისათვის უცნობი არ დარჩენილა ის კრებები ქართველი სტუდენტებისა — ილიას ხელმძღვანელობით, სადაც (როგორც ეს ჩანს კოხტა აფხაზის მოგონებებიდან) მსჯელობის საგანი იყო ხოლმე „საზოგადო კითხვები“ და „ჩვენი დაბეჩავებული სამშობლოს მომავალი“.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ დღემდე არ იყო დადგენილი ეს ფაქტი, რომ ილია გარიცხული იყო უნივერსიტეტიდან; გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ვითომც მან თვითონ დაანება თავი უნივერსიტეტს მეოთხე კურსზე ყოფნის დროს.

რომ ილიამ არა თვით დაანება თავი უნივერსიტეტს, არამედ რომ იგი გაურიცხავთ უნივერსიტეტიდან სტუდენტთა არეულობასთან დაკავშირებით, ეს ირკვევა შემდეგის მიხედვით:

1. ბიოგრაფიულ ცნობაში ილია ჭავჭავაძის შესახებ, რომელიც მოთავსებულია კრებულში «Государственный Совет, 1906—1907 г.г.» (ილია, როგორც ცნობილია, 1906—1907 წლებში სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო და თვით ეს კრებული ილიას დროს გამოქვეყნდა) — ნათქვამია:

«...Кн. И. Г. Чавчавадзе родился в 1837 г. Был в Петербургском Университете на камеральном отделении юридического факультета, но университета не окончил по независящим от него обстоятельствам» (ხაზი ჩვენი)¹.

2. უნივერსიტეტიდან გარიცხულები 1861 წელს ღებულობდნენ უნივერსიტეტის მოწმობას მათ მიერ მოსმენილი კურსის შესახებ — ერთნაირი ტრაფარეტით — 1861 წლის 12 ოქტომბრის თარიღით.

¹ იხ. კრებული, Государственный Совет, 1906—1907 г.г., გვ. 199.

ასეთი მოწმობა, რომელიც მიუციათ სტუდენტთა არეულობაში მონაწილისა და უნივერსიტეტიდან გარიცხულის ნიკო ნიკოლაძისათვის, შენახულა ნიკო ნიკოლაძის პირად არქივში (რომელიც ამჟამად თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაშია დაცული).

სწორედ ამავე ტრაფარეტს წარმოადგენს ილიას მოწმობაც, რომელსაც უზის იგივე თარიღი, 1861 წლის 12 ოქტომბერი¹,

ეს თარიღი, რომელიც აღნიშნულია ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის მოწმობებში — 1861 წლის 12 ოქტომბერი — არის სწორედ ის რიცხვი, როდესაც, როგორც მოვიხსენეთ, უნივერსიტეტიდან დაითხოვეს რექტორი პლეტნევი და მთელი წყება პროფესორებისა და გარიცხეს არეულობაში მონაწილე სტუდენტობა.

ასე დასრულდა ილიას სტუდენტობის ხანა.

IV

ილიას ნაწერები პირველი პერიოდისა (1867—1861 წწ.). — ილია ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგი

მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ცენტრალური ადგილი უჭირავთ: მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში — ნიკოლოზ ბარათაშვილს, საუკუნის მეორე ნახევარში — ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს. ქართული მწერლობის ეს ტიტანები არიან დიდნი ფუძემდებელნი ახალი ქართული მწერლობისა.

¹ იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 562. რომ აქ საქმე გვაქვს ტრაფარეტთან, ეს ჩანს, სხვას რომ თავი დაეანებოთ, იმის მიხედვით, რომ ილია 1861 წლის ოქტომბერში, როგორც მოვიხსენეთ, იყოფებოდა არა პეტერბურგში, არამედ საქართველოში.

მე-18—19 საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა ეპოქალურა გარდატეხა ქართველი ხალხის ისტორიაში.

ამის შემდეგ, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ძველ საქართველოსთან ერთად, დასრულდა განვითარების ციკლი ძველი ქართული მწერლობისა, რომელიც ორგანული ნაყოფი იყო სულ სხვა საზოგადოებრივი გარემოსი.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თანდათანობით გზას იკვლევს და ისახება ახალი ეპოქის შესაბამისად ახალი ქართული ლიტერატურა.

პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, მისი „მერანი“, რომელიც პროტესტანტული სულისკვეთებით არის შთაგონებული, მისი „ბედი ქართლისა“, რომელშიაც ჩვენ გვაქვს სათავეები მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიისა, — განსაზღვრავს ძირითად წამყვან ხაზს, მთავარ მაგისტრალს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობისას.

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება, რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს...“

ილია ჭავჭავაძე იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი მოძმე, რომელმაც განაგრძო მისი სავალი, შეასრულა ნ. ბარათაშვილის მიერ დაწყებული დიადი საქმე ქართული მწერლობის განახლებისა; ილია იყო ნ. ბარათაშვილის შემცვლელი, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გახდა ერის მესაიდუმლე, ერის ზრახვათა გამომსახველი.

ილიას სახელთან განუყრელია სახელი აკაკისა. ილიამ და აკაკიმ ერთად აზიდეს ტვირთი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისა, ახალი გზები გაუხსნეს ქართულ ლიტერატურას, აავსეს იგი ახალი ეპოქის შესაბამისი ახალი შინაარსით.



ილიამ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ორი საბრძოლო საგანი დაისახა: ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის და ბრძოლა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

ილიამ ახალ სიმალღეზე აიყვანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია, ახალი შინაარსი მისცა მას, გარკვეული პოლიტიკური პროგრამის სახით ჩამოაყალიბა იგი.

ნაცვლად რომანტიკული მოთქმისა საქართველოს წარსულზე, რაც შეადგენდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოეზიის მთავარ საგანს, ილიას ხედვა თავიდანვე მომავლისაკენ არის მიპყრობილი.

ერთ-ერთ თავის აღრინდელ ნაწარმოებში „ქართველის დედას“, რომელიც ჯერ კიდევ 50-იან წლებშია დაწერილი (1858 წელს), ილია წერს:

ქართველის დედაო, ძუძუ ქართველისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქეთინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...

გაჰქრა ის დროცა.. დიდმა ნღველქა,
მონობის ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,
თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა...

• • • •

მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოგიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდით ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვით მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

ილია მიმართავს ქართველის დედას:

ღღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს, —

შთაგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძ მ თ ბ ა ს, ე რ თ თ ბ ა ს, თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს,
რომ სიყვებისთვის გული უთრთოდეს,
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს!..

რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ეს დიადი იდეები — „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ — უნათებს სავალ

გზას ერის თავისუფლებისათვის მებრძოლს, ამ დიადი იდეების დროშის ქვეშ მოუწოდებს იგი ქართველ ხალხს, რომ „მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს“.

ილია ერის თავისუფლებისათვის ბრძოლას აერთებს სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლასთან:

შრომისა ახსნა ეს არის ტვირთი
ძღვეამოსილის ამ საუკუნის.

ორმოცდაათიან წლებში, როდესაც ილია იწყებდა სამწერლო მოღვაწეობას, ჯერ კიდევ სრულ ძალაში იყო ბატონყმობის ინსტიტუტი.

ილია გამოდის შეუურიგებელ მებრძოლად ბატონ-ყმობის წინააღმდეგ.

ილიასათვის ერი ეს იყო თვით მშრომელი ხალხი, ერის თავისუფლება ილიას ესმოდა, როგორც მშრომელი ხალხის თავისუფლება.

ილიას ამავე დროს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ქართველი ხალხის განთავისუფლება ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზით.

ქაბუკი ილია ილაშქრებდა ცარიზმთან ყოველგვარი შემარბიებლობის წინააღმდეგ, იგი მოუწოდებდა, რათა ბოროტების ეს სათავე ძირითურთ ყოფილიყო მოთხრილი.

„ლექსში „გუთნის-დედა“ (1858 წ.) ილია წერდა:

აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომე აჩეჩოს მარტო მიწანი
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?

„ქართველი სტუდენტების სიმღერაში“, რომელიც ასევე ილიას სალიტერატურო მოღვაწეობის პირველ პერიოდს ეკუთვნის (დაწერილია 1860 წელს), ქართველი სტუდენტები სიამაყის გრძნობით აცხადებენ:

დედამ რომ შვილი გაზარდოს
ემაგრე ჩვენისთანაო
ცართან ძმობას არ ვკადრულობთ,
მაგრამ ვნატრობთ გლეხთანაო.

ხოლო ქართველ სტუდენტთა მეორე სიმღერაში, რომელიც 1858 წელს არის დაწერილი („ჩემი თარიარალი“), ილიას ცარიზმში წარმოდგენილი ჰყავს როგორც ურჩხული, რომელიც ვერ ძლება ხალხის სისხლით:

ჰე, ძმანო, ნეტავი ჩვენა,
დღეს მოგვეცა შვება, ლხენა.
მამულისა სიყვარულმა
ძმობა გულში ჩაგვიყენა.

რაგინდ რომ ცარი ღრინავდეს,
ჩვენი სისხლისთვის გრგვინავდეს,
ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი,
თუ გულში ძმობა ბრწყინავდეს.

ჰე, ძმანო, ვიყვეთ ერთ ბედით.
წინა წავიდეთ გაბედვით,
ჩვენ ცარი ვერას დაგვაკლებს
თავის ბრმა წინასწარ ხედვით.

ასეთია ის პროტესტანტული სულისკვეთება, რომლითაც შთაგონებულია ილიას შემოქმედება.

გავეცნოთ ამის შემდეგ ილიას პირველი პერიოდის მთავარ ნაწერებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

■ ■ ■

პირველი დიდი მხატვრული ნაწარმოები, რომელშიაც ილიამ ფართოდ გაშალა თავისი მსოფლმხედველობა, არის პოემა „აჩრდილი“.

„აჩრდილი“ (პირველი რედაქცია) იწერებოდა 1858 წელს და დასრულებულია 1859 წლის დასაწყისში¹.

პოემა წარმოადგენს მოწოდებას ბრძოლისაკენ ეროვნული თავისუფლებისათვის, ბრძოლისაკენ სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად.

¹ პოემა დათარიღებულია 26 იანვრით 1859 წლისა. ციტატები „აჩრდილიდან“ ქვემოთ მოგვყავს 1858—1859 წლის ტექსტის მიხედვით.

პოეტი ხედავს თავის დამონებულ მამულს, რომელსაც ადევს ბორკილები, დამონებულ ხალხს, რომელიც ძილს მისცემია.

მაგრამ, ჰე, ველო სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირი
იგი აღარ გყავს, მის მოედანი
ჯაგით აღვისილა, გაუქმებულა,
და შენი ხალხის ფიქრნი, ზრახვანი
მამულისათვის დაძინებულა...

პოეტი წყევლა-კრულვით მოიხსენიებს ერის მოღალატეებს, რომელნიც —

გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზედ პატიოსნებას,
და დაქანგებულ ბორკილზედ სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას.

პოეტი ასევე წყევლა-კრულვით მიმართავს თვითმპყრობელობას, ხალხის დამმონებელს „ბნელ დემონს“ („ამ დემონს იცნობს ყოველი, ვისაც კი საქმე ესმის“, — ამბობს პოეტი):

ბნელო დემონო! აღსავე გესლით
ამ დაღლილ ხალხის სუსტი არსება
და ბოროტების ძლიერ მარჯვენით
პირველ შენ ჩარგე აქ ბოროტება.
...ბნელზედ გაცვალა ხალხმა ნათელი
და მონობაზედ სასუფეველი
მას აქეთ წინ გზა დამონებისა
და უკან კვალი უმეცრებისა
ხალხს დაულოცე და დაუნიშნე,
ყოველი აზრი შენ მას მოუკალ,
და იმ იმედით დღეს დააძინე,
რომ დაიძინებს იგი კიდევ ხვალ.

მაგრამ პოეტი უწინასწარმეტყველებს „ბნელ დემონს“, რომ იგი შემცდარია თავის ანგარიშში, რომ ხალხი თავს დააღწევს საუკუნოვან ძილს და მოიპოვებს თავისუფლებას. პოეტი მიმართავს თავის დამონებულ სამშობლოს სიტყვებით:

ნუ შიშობ, ველო შენს მშვენიერ ხალხს
წარუვლენ წელნი ძილის ქამისა,
ხალხი აღინთებს კიდევ თვის ვარსკვლავს,
სისხლი მამათა დაიხსნის შვილსა
წარვლენ ეს წელნი ძილის ქამისა
და გაბრწყინდება მზე მომავლისა

პოეტი მოელის იმ დროს, როდესაც საქართველო და საქართველოსთან ერთად კავკასიის მოძმე ერები გაერთიანდებიან ერთის აზრით თავისუფლებისათვის საბრძოლველად:

როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასიისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით აღელდებიანი

პოეტი მოელის იმ დროს —

თავისუფლების, მშვენიერის სხივთ მხურვალება,
ოდეს დადნობს დაქანგებულს დიდ ხნის ბორკილსა.

ასეთია თავისუფლების ის სული, რომლითაც შთაგონებულია პოემა „აჩრდილი“.

აქ საჭიროა ხაზი გაეუსვიათ იმ გარემოებას, რომ პოეტი „აჩრდილში“ უმღერის როგორც ერის თავისუფლებას, ისე ამასთან ერთად „შრომის ახსნის“ საქმეს; პოეტისათვის ეს ორი დიადი საქმე, თავისუფლება ერისა და თავისუფლება შრომისა — განუყრელია.

პოეტი „აჩრდილში“ შემდეგი სიტყვებით მიმართავს დამონებულ ყმას:

ყმავა.. შენში კაცის გრძნობას არ ხედვენ,
დედის ძუძუდამ შვილსა აჰგლეჯენ,
და, ვინ უწყს, საით სად გაპყიდიანი
შეუბრალებელ ხელითა სთხრიან
დედის გულშია უკეთეს გრძნობას,
ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას.

პოეტი დაუსახავს დამონებულ ყმას მომავალი თავისუფლების იმედს; იგი მოუწოდებს დამონებულ ყმას ბრძოლისაკენ, მხნეობისაკენ:

მხნე იყავ მუდამ, ნუ დაეცემი,
ძნელ ტანჯვებშია გამოიკალი,
მომავალია ნუგეშ მომცემი,
რაც ვერ ჰპოვე დღეს, იპოვი ზვალე.

...მაშინ ეგ შენი წურვა ოფლისა,
შენ გეკუთვნება და შენ ცოლ-შვილსა,
ეგ მწუხარე ხმა შენ სიმღერისა,
დაბლად გუგუნი დაღონებული,
მღერა — ვით კენესა საწყალ მებრისა,
შორი ხმა მწყემსის დაობლებული, —
მხიარულ ხმებად გარდაგეცვლების;
და შენს გუთანზედ გულით ლმობილი
იტყვი სიმღერას თავისუფლები.

ასეთია ის დიადი იდეები, ის ორი დიადი საქმე, — თავისუფლება ერისა და თავისუფლება შრომისა, — რომელთა მქადაგებლად გამოდის ილია ამ თავის პირველს დიდ ნაწარმოებში, პოემა „აჩრდილში“.



იმავე 1858—1859 წლებში, როდესაც დაიწერა პოემა „აჩრდილში“, ილიამ დაიწყო დიდი პროზაული ნაწარმოებები, რომელშიაც გაერთიანებული იყო იდეა სამი ნაწარმოებისა, — „კაცია-ადამიანისა“, „გლახის ნაამბობისა“ და „კაკო ყაჩაღისა“.

ილიას დაუწერია ამ პროზაული ნაწარმოების ორი ესკიზი (მოთხრობა „კოლა“ — ორი ვარიანტის სახით, და მოთხრობა „კაკო“).

პირველი ესკიზი (მოთხრობა „კოლა“) თემატურად ენათესავება „გლახის ნაამბობს“. გლეხი გაბრო აქ გამოყვანილია გლეხი ზაქროს (პოემა „კაკო ყაჩაღის“ პერსონაჟის) სახელწოდებით. ამას გარდა „კაცია-ადამიანის“ თემიდან აქ შეტანილია ერთი-ორი დეტალი.

ეს პირველი ესკიზი ილიას დაუწერია 1858 წელს.

მეორე ესკიზი — მოთხრობა „კაკო“ — დაწერილია ამის შემდეგ, 1858—1859 წლების მიჯნაზე. მოთხრობა „კაკო“ უფრო ფართოდ არის გაშლილი. მოთხრობის პირველ ნაწილში გადმოცემულია ზოგად ხაზებში „კაცია-ადამიანის“ თემა. შემდეგ მასთან გადაბმულია თემა „გლახის ნაამბობისა“ (დათიკო, „გლახის ნაამბობის“ პერსონაჟი, წარმოდგენილია ლუჩარსაბ თათქარიძის შვილად). დასასრულ მოთხრობაში წარმოდგენილი

უნდა ყოფილიყო „კაკო ყაჩაღის“ სიუჟეტის ხაზიც (—გაბროს, „გლახის ნაამბობის“ გმირს, ამ მოთხრობაში კაკო ეწოდება), მაგრამ მოთხრობა დასრულებული არაა.

ამ სამი ნაწარმოების თემატიკური რკალიდან მოთხრობა „კაკო“-ში უფრო სრულად არის წარმოდგენილი ის ნაწილი, რომელიც „გლახის ნაამბობის“ თემას შეიცავს. მოთხრობის საერთო კონცეფცია და სიუჟეტის განვითარების ძირითადი ხაზი აქ იგივეა, რაც „გლახის ნაამბობის“ უკანასკნელ რედაქციაში. მთავარი, რითაც განსხვავდება „კაკოს“ ეს ნაწილი „გლახის ნაამბობის“ უკანასკნელი რედაქციისაგან, ის არის, რომ „კაკო“-ში ჯერ კიდევ არაა შეტანილი ეპიზოდური ჩანართი მოთხრობა მღვდლის შესახებ („გლახის ნაამბობის“ მეოთხე-მეექვსე თავები). განსხვავებაა აგრეთვე ზოგიერთ სხვა დეტალებში, კერძოდ თხრობის სტილში: მოთხრობა გადმოცემულია მესამე პირით და არა თვით გმირის საუბრის სახით, როგორც ეს არის „გლახის ნაამბობის“ უკანასკნელ რედაქციაში.

მოთხრობა „კაკო“, როგორც აღვნიშნეთ, დასრულებული არაა, ცხადია, იმიტომ, რომ ავტორს შემდეგ განუზრახავს მისი სიუჟეტის უფრო ფართოდ გაშლა სამი ცალკე ნაწარმოების — „კაცია იდამიანის“, „გლახის ნაამბობის“ და „კაკო ყაჩაღის“ სახით.

ამათ შორის ილია პირველად შესდგომია „გლახის ნაამბობის“ დამუშავებას. „გლახის ნაამბობზე“ ილიას უმუშავნია 1859 წელს.

1859 წელს ილია თუმცა შესდგომია „გლახის ნაამბობის“ ცალკე მოთხრობის სახით დამუშავებას, მაგრამ არ დაუმთავრებია კი. მაინც ძირითადი რკალი მოთხრობისა ამ წელს, 1859-ს არის მონაზული. იმიტომ იყო, რომ ილია „გლახის ნაამბობს“ თავის „პირმშოს“ ეძახდა და მის თარიღად 1859 წელი აქვს აღნიშნული, რაკი მთელი მხატვრული კონცეფცია ამ დროს, 1859 წელს ჰქონია ჩამოყალიბებული („გლახის ნაამბობის“ ტექსტს მიწერილი აქვს დათარიღება: „1859 წელი, პეტერზურგი“).

ამის შემდეგ ილია მოთხრობას „გლახის ნაამბობს“ ორჯერ კიდევ დაბრუნებია. 1862 წელს ილიას გადაუხედავს და „ჩალხი გაუკრავს“ მოთხრობის პირველი ნაწილისათვის. ეს პირველი

ნაწილი „გლახის ნაამბობისა“ (I—IV თავები) დაიბეჭდა ილიას ჟურნალში „საქართველოს მოამბეში“ 1863 წელს.

1863 წლის შემდეგ დაიხურა „საქართველოს მოამბე“ და ილიას „გლახის ნაამბობის“ მეორე ნაწილი დაუმუშავებელი და გამოუქვეყნებელი დარჩა. უფრო გვიან, 1871—3 წლებში, როდესაც დაარსდა ჟურნალი „კრებული“ და ილიას მიეცა შესაძლებლობა „გლახის ნაამბობის“ მეორე ნაწილის დაბეჭდვისა, ილიამ დაამუშავა მოთხრობის მეორე ნაწილიც და გამოაქვეყნა ჟურნალ „კრებულში“ (1873 წელს).

ასეთია ისტორია „გლახის ნაამბობის“ დაწერისა და მისი ცალკეული ნაწილების თარიღები.

ამრიგად „გლახის ნაამბობი“, მისი პირველი ნაწილი (დაწერილი 1859 წელს) — ყველაზე ადრინდელი ნაწარმოებია ილიასი მხატვრული პროზის დარგში და ამიტომ იყო, რომ ილია, როგორც მოვიხსენეთ, მათ თავის „პირმშოს“ ეძახდა. „დევ, მაგ პირმშომან ძემან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა“, — სწერს ილია ერთ წერილში „გლახის ნაამბობის“ შესახებ ნიკო ნიკოლაძეს.

„გლახის ნაამბობი“ (ისევე, როგორც მისი ესკიზი — მოთხრობა „კაკო“) — გამსჭვალულია პროტესტის სულით სოციალური უსამართლობის გამო, „გლახის ნაამბობი“ წარმოადგენს დიდი მხატვრული ძალის ნაწარმოებს, მიმართულს ბატონ-ყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ.

ამავე დროს „გლახის ნაამბობი“ უკვდავ ნაწარმოებად რჩება ქართულ მწერლობაში, როგორც ახალი ქართული სალიტერატურო ენის პირველი სრულყოფილი უბადლო ძეგლი.



„გლახის ნაამბობის“ შემდეგ, მომდევნო 1860 წელს, დაწერილია ილიას დრამატული პოემა „ქართველის დედა“ (პირველი რედაქცია).

„ქართველის დედა“ ისევე, როგორც „აჩრდილი“, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების ამსახველი ნაწარმოებია.

„ქართველის დედა“ ეს არ არის წარსულის რომანტიკა (რო-

გორც ამას შეცდომით ფიქრობდნენ), არამედ ავტორი აქ ხატავს მომავლის სურათს. პოემას ილიას ავტოგრაფებში აქვს შემდეგი მეორე სათაური: „სენამომავალი ცხოვრებე ბი დამ“. პოეტს ამ „სენაში მომავალი ცხოვრებე ბი დამ“ ესახება საქართველოს მომავალი განთავისუფლების გზები, როგორც შედეგი ხალხის აღდგომისა, ხალხის რევოლუციური ბრძოლისა. ამრიგად „ქართლის დედა“ ეს არის მოწოდება ბრძოლისაკენ საქართველოს თავისუფლებისათვის, და არა ისტორიული წარსულის სურათი, — წარსულის რომანტიკა.

რომ ილია ამ პოემით მომავლისაკენ იხედება და არა წარხულისაკენ, ეს ცხადია მიძღვნის ტექსტიდან, რომლითაც იხსნება ილიას ხელნაწერებში ეს დრამატული პოემა.

ილიასეულ 1860 წლის ხელნაწერში ეს მიძღვნა ასე იკითხება:

აჰა, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული,
სადაც გონება ჩვენი ხშირად ერთადა პუნდა,
სადაც კაბუჯი ფანტაზია გალაღებული
უკეთესთ ყვავილთ ქართვის გულში ღზენითა ჰკრეფდა.

მყოზადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა
და ეს ვიხილე, — შომიტევე მე სითამამე.
ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა,
ანით მამართლე, მიიღე და ნუ გამკიცხავ მე¹.

ამ შესავლიდან იღეა პოემისა სავესებით ნათელია.

ხოლო როგორ აქვს ილიას წარმოდგენილი საქართველოს განთავისუფლების საქმე? ილიას იგი ესახება როგორც შედეგი ხალხის გამოღვიძებისა, ხალხის აღდგომისა, ხალხის ბრძოლისა.

პოემა იხსნება დედის შემდეგი მონოლოგით:

...ჩემი მამული საქართველო დღეს მიცოცხლდება!

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,

¹ იმავე მიძღვნის მეორე შემდეგდროინდელი ვარიანტი ილიას ხელნაწერებში ასეა წარმოდგენილი:

აჰა, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული,
რომელნიც ერთად გენატრია უცხოეთში ჩვენი,
რომელთ იმედი, ღვთიურ სხივით გაბრწყინებული,
დღესაც გულში გვაქვს მტკიცე სჯულად, ძმაო, მე და შენ.

კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა ჰფიქრობს, —

და ეს ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება!..

დიდია ხალხი, როს ეგ გრძნობა წინ წარუძღვება

პოემაში, ქვემოთ, შეიღო იმავე სიტყვებით მიმართავს დედას:

მოვიდა დიდ ხნის სანატრელი, დედაე, ამბავი,
ჩემი მამული საყვარელი გაღვიძებულა!
მთელი კავკასი თვის შეილებით, ვითა ზღვა შავი,
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით აღელვებულა...

აქ ნათლად ჩანს ილიას ღრმა რწმენა ხალხის უძღველი ძალისა. ისტორიის მამოძრავებელ ძალად ილიას ხალხი მიაჩნდა. დიდია გაღვიძებული ხალხი, — ამბობს ილია, — ხალხი შთაგონებული თავისუფლების სიყვარულით.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ილიას შეხედულებით საქართველოს განთავისუფლების საქმე გადაჯაჭვულია მთელი კავკასიის თავისუფლებასთან. ეს კონცეფცია გატარებულია, როგორც „ქართველის დედაში“, ისე „აჩრდილში“.

* * *

„ქართველის დედას“ შემდეგ, იმავე 1860 წელს, ილია წერს პოემას „კაკო ყაჩაღი“ („რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“).

თუ „ქართველის დედა“ შთაგონებულია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებით და მიმართულია ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, „კაკო ყაჩაღი“ სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ არის მიმართული.

მყოზადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა
და ეს ვიხილე, — მომიტევე მე სითამამე...

ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა, —

ამით მამართლე, მიილე და ნუ გამკიცხავ შე.

ილიას „კაკო ყაჩაღი“ ბევრ ხაზში ეხმაურება ხალხურ თქმულებას არსენას შესახებ, სადაც ჩაგრული გლეხობის იდეალუ-

რი გმირის სახეა წარმოდგენილი, რომელიც ქედს არ იხრის უსამართლობის წინაშე. თვით პოეტი ხაზს უსვამს ამ კავშირს არსენას თქმულებასთან ზაქროს სიტყვებით:

არსენა ჩენი, ის მხნე არსენა,
ზეენამდინ, ძმაო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჭავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.
ის მე ბევრ რამეს გულს ჩამძახებდა,
ბან მომაღხენდა, ხან მალონებდა...

„კაკო ყაჩალი“, „გლახის ნაამბობთან“ ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანი და ამასთან ყველაზე რადიკალური ხასიათის ნაწარმოებია, რაც კი ქართულ ენაზე დაიწერა ბატონყმობის წინააღმდეგ. ილიას ეს ნაწარმოები შორსაა რაიმე შემარიგებლობისაგან. ისინი პირდაპირ მოწოდებას შეიცავენ ბრძოლისაკენ. როგორც „გლახის ნაამბობში“, ისე „კაკო ყაჩალში“ საკითხს ბატონსა და ყმას შორის თოფი წყვეტს. აქ მოცემულია იგივე კონცეფცია, რომელიც შემდეგ ილიამ გამოხატა სიტყვებით:

თავისუფლების მშოვნელი ამ ქვეყნად მარტო თოფია,
შინ უღლით გაქნილ ცხოვრებას იმში სისხლის ღვრა სჯობია

„კაკო ყაჩალში“ ილიას პოეტური ტალანტი სრულ სიმწიფეს აღწევს. თავისი მხატვრული ღირსებებით „კაკო ყაჩალი“ ყველაზე მნიშვნელოვანი პოეტური ქმნილებაა, რომელიც ილიამ შექმნა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ პერიოდში.

• • •

გარდა ზემოჩამოთვლილ მთავარ ნაწარმოებთა — „აჩრდილისა“ (1858—1859 წ.), „გლახის ნაამბობისა“ (1859 წ.), „ქართვის დედასი“ (1860 წ.), „კაკო ყაჩალისა“ (1860 წ.), აგრეთვე გარდა დასახელებული ლექსებისა — „გუთნის-დედა“ (1858 წ.), „ქართვის დედას“ (1858 წ.), „ქართველ სტუდენტთა სიმღერა“ (1859—1860 წწ.), ილიას ლიტერატურული მოღვაწეობის მძავე პირველ პერიოდს ეკუთვნის ლექსები:

„ნანა“ (1859 წ.), „ილიგია“ (1859 წ.), „მტკვრის პირას“ (1859 წ.), „დაკარგული იღემი“ (1859 წ.), „დაე თუნდ მოე-

კვლე“ (1858 წ.), „მესმის, მესმის სანატრელი“ (1860 წ.), „იანი-
ჩარი“ (1860 წ.), „გაზაფხული“ („ტყემ მოისხა ფოთოლი...“
1861 წლის დასაწყისი) და სხვანი, რომლებიც შთაგონებულია
მისი დამონებული სამშობლოს ხვედრით, რომლებშიაც აისახა
საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
იდეები.

ცალკეა აღსანიშნავი ილიას ვრცელი ლექსი „მუშა“, დაწე-
რილი 1860 წელს. როგორც ვხედავთ ამ ლექსიდან, ილია ჯერ
კიდევ იმ პირველ პერიოდშივე ილაშქრებდა არა მხოლოდ ბა-
ტონყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ, არამედ სოციალური
უსამართლობის საკითხს ილია უფრო ფართოდ აყენებდა.

ასეთი იყო ილიას შემოქმედება პირველი პერიოდისა,
1857 — 1861 წლებისა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება 60-იანი წლების მიჯნაზე
მოასწავებდა ახალი ეპოქის დასაწყისს ქართულ მწერლობაში.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სამწერლო ასპა-
რეზზე გამოსვლის შემდეგ 60-იანი წლების ქართული ლიტერა-
ტურა გადავიდა ახალ იდეურ საფუძვლებზე, გაიშალა დიდი
მნიშვნელობისა და დიაპაზონის ლიტერატურის სახით, ნამდვი-
ლი ხალხური ლიტერატურის სახით.



ილიას ლიტერატურული მოღვაწეობის იმავე პირველ პე-
რიოდს — 1860 წელს ეკუთვნის კრიტიკული წერილი „ორიო-
დე სიტყვა კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“¹, რომელიც
დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წელს, № 4.

ამ წერილში ილიამ აღძრა ზოგადი საკითხები ლიტერატური-
სა, კერძოდ საკითხი ახალი სალიტერატურო ენის შესახებ
(არქაული მართლწერის მოხსნის საკითხი).

ილიას ეს წერილი ყუმბარის ნამდვილი აფეთქება იყო.

ამ წერილის გამო ძველი თაობის ბანაკიდან ილიას წინააღ-
მდეგ გაილაშქრეს ჟურნალ „ცისკარის“ ფურცლებზე პოეტმა
ქალმა ბარბარე ჯორჯაძისამ, რევაზ ერისთავმა, სარდიონ ალექ-

¹ წერილი დათარიღებულია 5 ნოემბრით (1860 წლისა).

სი-მესხიშვილმა, გ. ბარათაშვილმა, ექვთიმე წერეთელმა (გიორგი წერეთლის მამამ). ახალი თაობიდან ილიას მხარეზე გამოვიდნენ „თერგდალეულნი“ — აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სამსონ აბაშიძე, რომელთაც დაბეჭდეს წერილები „ცისკარში“. „ცისკარშივე“ (1861 წ. № 6) პასუხი გასცა ძველი თაობის ბანაკს ილიამ.

ასეთი იყო დასაწყისი „მამათა და შვილთა“ იმ ბრძოლისა, რომელიც გაიმართა საქართველოში 60-იან წლებში.

V

ილიას მოღვაწეობა საქართველოში დაბრუნების შემდეგ 1861—1868 წლებში

„საქართველოს მოამბე“

ილია საქართველოში დაბრუნდა, როგორც მოვიხსენეთ, 1861 წელს.

ის სულიერი მღელვარება, რომელსაც განიცდიდა ილია, როდესაც იგი, ხანგრძლივად მოშორებული თავის ქვეყანას, ისევ ბრუნდებოდა თავის დედანამშობლოში, — სამშობლოსადმი მოვალეობის ის დიდი გრძნობა, რომლითაც შთაგონებული იყო ილია, — ასეთის სისავსით იგრძნობა ილიას „მგზავრის წერილებში“.

„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, — ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის, იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც სხვა ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგი არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდევცა, რადგან ჩემში მაინც-და-მაინც ჩემის ქვეყნის ღვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მომიყოლოს და მიამბოს თავის გულის-ტყვიელი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდევცა და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიყ-

რას და ხარბად დამიგდოს ყური. მაგრამ მე შეეძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულის-ტკივილი მოვეურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველს კაცში არა ჟოღავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა?

„გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდევ, იმიტომ, რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ, რომ მამულის სიტყვას მამულისშვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურიითა, გულითაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის.

„მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ რომ საქმე მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ?..“

დედასამშობლომ საქმე მოსთხოვა თავის შვილს, — ბრძოლა სამშობლოს გამოსხნისათვის, ბრძოლა ჩაგრულთა თავისუფლებისათვის. და ილიამ ღირსეულად შეასრულა ეს ვალი დედასამშობლოს წინაშე.



ილიამ საქართველოში ჩამოსვლის პირველ წელსვე თავის გარშემო შემოიკრიბა ახალი თაობა, ქვეყნის ცოცხალი ძალები. ამ დროს ჩაეყარა საფუძველი, ილიას მოთავეობით, იმ საზოგადოებრივ დაჯგუფებას, რომელიც „პირველი დასის“ სახელით არის ცნობილი.

გიორგი წერეთელი თავის ცნობილ წერილში მე-19 საუკუნის ქართული დასების ისტორიისათვის შემდეგს წერს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული მწერლობის იმ ახალი ხანის შესახებ, რომელიც იწყება ილია ჭავჭავაძის „პირველი დასის“ გამოსვლით საზოგადოებრივ ისპარეზზე¹:

¹ იხ. „კვალი“, 1897 წ., № 46, გვ. 815.

„ქართული ლიტერატურის ახალ ხანას ჩვენ იმ პერიოდს იუწოდებთ, — წერს გიორგი წერეთელი, — რომელიც საქართველოში ბატონ-ყმობის განთავისუფლების წინა-წლებიდან იწყება, სახელდობრ 1861 წლიდან, როდესაც ილია ჭავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ატეხა ჯერ კიდევ „ცისკარში“ და გარშემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე. ამ წრეში მომქმედ პირებად იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, როგორც მეთაური და ლუმანიტარული დროშის ამფრიალებელი, პეტრე ნაკაშიძე, გიორგი ყაზბეგი, ივანე პოლტარაკი, მიხეილ ყიფიანი, ივანე ბერიძე, დავით ყიფიანი, გიორგი ჩიქოვანი, ალექსანდრე სავანელი, მიხეილ ჩიკვაძე, ილია წინამძღვრიშვილი და ვახტანგ თულაშვილი. ამათ შემოიღეს კერძო კრებები, საცა კითხულობდნენ რეფერატებს და სადაც აღტაცებული ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე თავის ახალდაწერილ ლექსების და „გლახის ნაამბობის“ თავების კითხვით ამხნეებდა, ასულდგმულებდა თავის საკუთარ წრეს, და წრეს გარეშე არაჩვეულებრივ თანაგრძნობას იძენდა საზოგადოებაში“.

1863 წელს ილია აარსებს ჟურნალს „საქართველოს მოამბე“, რომელიც ახალი დასის ტრიბუნას წარმოადგენს. ეს ჟურნალი ხსნის ახალ ხანას ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.

გავეცნოთ აქ თვით მესამოცე წლების მოღვაწეთა მიერ მოცემულ შეფასებას იმ როლისას, რომელიც „საქართველოს მოამბემ“ შეასრულა.

ნიკო ნიკოლაძე — წერილში, რომელიც მან გამოაქვეყნა „საქართველოს მოამბის“ გამოსვლიდან ცხრა წლის შემდეგ, 1872 წელს, წერდა:

„ვის არ ახსოვს ეს წელიწადი (—1863 წელი), როცა ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა, — როცა ერთის მხრით ჩვენი ცხოვრება უწინდელ კალაპოტს სცვლიდა და ახალში შესვლას აბირებდა... და როცა, მეორე მხრით, ატყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობას, ე. ი. ახალ ცხოვრებას, და ძველ კაცობას, ე. ი. ძველ წესსა და სჯულს შუა?... რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის ბატონისანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეტეგა ილია ჭავჭავაძეს. ძველმა

წესმა, ძველმა კაცობამ, თავი შეაფარა „ცისკარს“ და ამნაირად იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შუა, ჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდებოდა ძველსა და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში...“

„დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავდა „საქართველოს მოამბის“ საქმე, — წერს ნ. ნიკოლაძე, — მაგრამ არც 1863 წელს იყო ეს დაფარული ვისმესთვის. ყველა გრძნობდა, ყველამ იცოდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ უნდა ჩაედგა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ახალ დროების სული, ეჩვენებინა ახალი გზა, შეექმნა ახალი სასიყვარულო მიზანი, — მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება. ის მწვავე სიტყვებით დაღავედა და ჰკილავედა ძველი საზოგადოების უმეცრებას და გულგრილობას საზოგადო საქმისათვის, და მაშინ, როგორც ახლა, ყოველ პატიოსან კაცს მიაჩნდა, რომ მისი უპირველესი ვალი იყო ამ სიტყვის გავრცელება და მისი გაძლიერების მომატება საზოგადოებაში“.

ნიკო ნიკოლაძის სიტყვით, ძველ საზოგადოებრივ წყობას „საქართველოს მოამბის“ სახით გაუჩნდა „ახალი საშიში მტერი, რომელიც ახალი ცხოვრების საჭიროებას ჰქადაგებდა... და რომელიც იყო მომავლის ძალა და იმედი“¹.

მეორე სამოციანელი მოღვაწე — გიორგი წერეთელი, — რომელიც 1863 წელს რუსეთში, პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, იგონებს, თუ როგორ აღფრთოვანებით შეხვდნენ „საქართველოს მოამბის“ გამოსვლას რუსეთში მყოფი „თერგდალეულნი“:

„პეტერბურგის სტუდენტობა აღტაცებით შეხვდა ამ ძურნალის გამოსვლას. იქიდან მესამე კურსის სტუდენტმა კ. ლორთქიფანიძემ და პირველი კურსის სტუდენტმა გ. წერეთელმა ჯერ კიდევ უცდელი კალმის ნაშრომიც მოაწვდინეს ახალ წრეს ღუმანიტარული მიმართულებისას. „საქართველოს მოამბემ“ დაჰკმო ძველი ბატონყმური დამოკიდებულება, გრძნობით შე-

¹ იხ. ნ. ნიკოლაძე, ჩვენი მწერლობა, ჟურნალი „კრებული“, 1872 წ., № X—XII, გვ. 151—4.

ხედა მან თავის მწერლობაში გლეხის დაჩაგრულ ბედს და —
ესვე გრძნობა გადაიტანა სამშობლოზედაც¹.

გიორგი თუმანიშვილი იგონებს „საქართველოს მოამბის“
გამოსვლის ხანას: „ეს იყო საყოველთაო გამოცოცხლების ხანა.
ეს იყო დიდი იმედების ხანა... ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს
გატაცებით ჰკითხულობდა მთელი მაშინდელი საზოგადოება.
აზალგაზრდობა აღმერთებდა მას“².



გავეცნოთ ილიას ნაწერებს, რომლებიც ამ ხანაში, 1861 —
1863 წლებშია დაწერილი.

1861—1863 წლებს ეკუთვნის ილიას უმნიშვნელოვანესი
თხზულებანი: „მგზავრის წერილები“ და „კაცია-ადამიანი?!“

„მგზავრის წერილები“ ეს არის არა მხოლოდ მაღალმხატვ-
რული ნაწარმოები, არამედ ამავე დროს უდიდესი მნიშვნელო-
ბის დოკუმენტი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ის-
ტორიაში. „მგზავრის წერილებში“ მოცემულია მკვეთრად ჩა-
მოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა. საქართველოს მე-19
საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი
მოძრაობის იდეოლოგიამ ამ ნაწარმოებში ჰპოვა თავისი სრულ-
ყოფილი გამოხატულება.

„მგზავრის წერილები“ დაწერილია 1861 წელს. მაგრამ
დღის სინათლე მან ბევრად გვიან იხილა. ეროვნული რადიკა-
ლიზმი იმდენად მკვეთრად არის გამოვლინებული ამ ნაწარმო-
ებში, ყოველგვარი „დიპლომატიური“ საფარველის გარეშე,
რომ ცენზურას სამოციან წლებში აუკრძალავს მისი დაბეჭდვა.
უფრო გვიან, 1871 წელს, თუმცა მოხერხდა ამ ნაწარმოების
გამოქვეყნება, მაგრამ შემოკლებით. მხოლოდ 1892 წელს, ე. ი.
31 წლის შემდეგ ამ ნაწარმოების დაწერიდან, შესაძლო გახდა
სრულად გამოქვეყნება მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის
ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლისა.

¹ იხ. „კვალი“, 1897 წ., № 46, გვ. 815.

² იხ. გ. თუმანიშვილი, წერილი გაზეთში „Закавказье“, 1907 წ., 9 სექ-
ტემბერი.

ილიას მეორე ნაწარმოები ამავე პერიოდიდან ეს არის, როგორც მოვიხსენეთ, „კაცია-ადამიანი?“. ამ ბრწყინვალე სატირულ ეპოპეას ცენტრალური ადგილი უჭირავს ილიას მხატვრულ მემკვიდრეობაში, როგორც წერის ბრწყინვალე ოსტატობით, ისე იმ ღრმა საზოგადოებრივი ინტერესით, რომელსაც წარმოადგენდა იგი თავისი ეპოქისათვის, როგორც დიდი მამხილებელი ძალის მხატვრული ტილო.

ილიამ ამ თავისი უკვდავი ნაწარმოებით საბოლოოდ დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში რეალიზმის ტრადიციები. ამდენად ილიას „კაცია-ადამიანი?“ ეპოქალური მოვლენაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

აქ რამდენიმე შენიშვნა ილიას ამ ნაწარმოების დაწერის ისტორიისა და თარიღის შესახებ.

როგორც მოხსენებული გვქონდა, ილიას თავდაპირველად ერთი ნაწარმოების სახით ჰქონდა მოაზრებული „კაცია-ადამიანი?“, „გლახის ნამბობი“ და „კაკო ყაჩაღი“.

მოთხრობაში „კაკო“, რომელიც 1858—1859 წლებშია დაწერილი და სადაც გაერთიანებულია ამ სამი ნაწარმოების სიუჟეტი, წარმოდგენილია „კაცია-ადამიანის“ პირველი ესკიზი. ამ ესკიზში მხატვრული ქარგა „კაცია-ადამიანისა“ ჭერ კიდევ ზოგადი ხაზებით არის ასახული, მაგრამ ამ სქემატურ ფონზე უკვდავი ტიპები ლუარსაბ თათქარიძისა და დარეჯანისა უკვე მოცემულია.

ამ პირველ ესკიზში წარმოდგენილია ელემენტები „კაცია-ადამიანის“ I—IV თავებიდან. „კაცია-ადამიანის“ დანარჩენი ნაწილებიდან აქ გვხვდება მხოლოდ ზოგიერთი დეტალი ერთი-ორი ხაზმოსმით.

ეს რაც შეეხება „კაცია-ადამიანის“ ამ პირველ ესკიზს, რომელიც ჩართულია მოთხრობაში „კაკო“ და რომელიც 1858—1859 წლებს ეკუთვნის.

მას შემდეგ, რაც ილიამ განიზრახა ამ თავისი ადრინდელი შთანაფიქრის სამი ცალკე ნაწარმოების სახით დაწერა, პირველად, 1859 წელს, ილია, როგორც მოვიხსენეთ, შესდგომა „გლახის ნამბობს“, 1860 წელს დაიწერა „კაკო ყაჩაღი“.

რაც შეეხება „კაცია-ადამიანს“, იგი, ჩანს, იწერებოდა 1859—1863 წლების მანძილზე. ხოლო უკანასკნელი დამუშავება „კაცია-ადამიანისა“, მისი საბოლოო რედაქცია ეკუთვნის 1863 წელს.

იმავე 1863 წელსვე „კაცია-ადამიანი?!" დაიბეჭდა ილიას ჟურნალში „საქართველოს მოამბეში“.



ამავე პერიოდს ეკუთვნის ილიას ფილოსოფიურ-პუბლიცისტური წერილი, რომლითაც იხსნება ილიას ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (წერილი „საქართველოს მოამბეზედ“).

ამ წერილში ილია თავის პროგრამას ქვეყნის განახლებისას მკვიდრ ფილოსოფიურ საფუძველზე ამყარებს. ილიას მოძღვრებით, ცხოვრება არის მუდმივი მოძრაობა, იგი მუდმივ განვითარებაშია, მუდმივ განახლებასა და ზრდას განიცდის. „ცხოვრება იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი, და მერე ჰკნება, იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიშრება, არამედ იმისათვის, რომ თავისავე მოყვანილის ნაყოფისავე თესლზე ამოიყვანოს სხვა ახალი... ცხოვრება იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისთვისა...“

ილიას მოძღვრებით კაცობრიობის ისტორია ეს არის ერთი მთლიანი განუწყვეტელი ჯაჭვი პროგრესისა.

„გული სხვაგვარად სცემს, — წერს ილია, — როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა... მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, რომ ჰკნება, თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, ამ სწვამ კიდევ სხვა, და ისე არ შეადგინოს ისტორიული ყვავილთა გრეხილი, რომელშიაც მომდევნო წინამსვლელზედ უფრო სრულია, უკეთესი, მშვენიერი...“

„...ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის დღეში არა. მისი აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ განადგურება კი ძნელად. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ რომ გრეხილი აზრისა განუწყვეტელია, ერთს ზედ მოსდევს მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი და ღონიერი. ამასთანაც დაუქცეველი, მარად მყო-

ფი სალაროცა აქვს, — მეცნიერება და ხელოვნება, სადაც ისინი ცნახებთან“.

ფილოსოფია ხელოვნებისა და მეცნიერებისა ილიას შეჯამებული აქვს შემდეგი დებულებით:

„ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან... მეცნიერება და ხელოვნება ისხამენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა, და როცა მოსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალი ცხოვრების გამოსაკვანძად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ, და ცხოვრებასა თავის რიგზედ — ცნობიერებაზედ“.

ილია უარყოფს თეორიას ხელოვნებისა ხელოვნებისათვის. „დაე ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა, — წერს ილია, — ხელოვნების სახელით უკუარიდოს პირი ხალხის ცხოვრებასა, — ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს... დროა ხელოვნება ჩავიდეს ცხოვრების ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისთვის“.

დასასრულ, ილია ამ წერილში შემოხაზავს თავისი დასისა და ჟურნალის სამოქმედო პროგრამას:

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გაუმჯობესება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია. თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, — ამ კანონს გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შექლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა შეაყენოს. ამიტომაც ჩვენი „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება, თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა... ჩვენ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუ ჩაძახილის ამოძახნა, მისი ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა...“ ჟურნალის დანიშნულება, — ილიას სიტყვით, — ეს არის დასახვა ღონისძიებათა — „რომელნიც გვიშველიან ცხოვრების სიბნელიდან სინათლეში გამოყვანას“.

„მოგვიტევოს მკითხველმა, — წერს დასასრულ ილია, — თუ ეს სტატია მეტაფორებით სავსე ეჩვენოს მკითხველს. ჩვენი ცდა მართო ის იყო, რომ ჩვენი აზრი გავვეგებინებინა მკითხველისათვის...“

მიუხედავად მკაცრი საცენზურო პირობებისა, ილიამ შესძლო თავისი იდეების ხალხთან მიტანა.

ილია ჭავჭავაძე და მისი დასი 60-იან წლებში, სალიტერატურო პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან ერთად, პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე.

1862 წელს ილია ჭავჭავაძე, ახალთაობის წარმომადგენლებთან ერთად, შეეცადა დაეარსებინა ქართული ლიტერატურული საზოგადოება, რომლის მიზანი ქართული წერა-კითხვისა და წიგნების გავრცელება იყო ხალხში (პროტოტიპი შემდეგდროინდელი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა). მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო ასეთი ორგანიზაციის მოქმედებას¹.

1863—1865 წლებში საქართველოში მზადდებოდა საგლეხო რეფორმა.

ილიას ამ დროს შეტაკება მოუხდა რეაქციონურად განწყობილ თავადაზნაურობის წრეებთან.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქრისტეფორე მამაცაშვილი თავის მოგონებებში წერს:

„ევროპის რუსეთში რომ გლეხები განთავისუფლეს, საქართველოშიაც დაარსდა თავადაზნაურთა კომიტეტი იმისათვის, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო გლეხთა განთავისუფლების საქმე ჩვენში. მაშინდელმა საგუბერნიო მარშალმა დიმიტრი ყიფიანმა სთხოვა ზოგიერთ წარჩინებულ პირებს გაეგზავნათ მისთვის წერილობითი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განთავისუფლებულიყო გლეხობა, — უმიწოდ თუ მიწიანად...

„კომიტეტის მუშაობის შემდეგ, რომელმაც დაადგინა, რომ გლეხები უნდა განთავისუფლდნენ უმიწოდ, მოწვეულ იქნა თავადაზნაურთა საგანგებო კრება კომიტეტის შრომის განსახილველად.

„ოქმების წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე და ხმამაღლა განაცხადა, რომ გლეხებს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ აზრმა ააშფოთა.

¹ საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 148 (ა. იოვიძე, ილია ჭავჭავაძე, დოკუმენტური მასალები).

„ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშელა და ლანძღვა-გინებით ილიასაკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით, ესლავე უნდა მოვკლავ“. გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივსძლივობით გაიყვანეს კრებიდან. მე გომბორში ემსახურობდი. ზემოხსენებული ამბავი შემატყობინა ილია წინამძღვრიშვილმა, რომელიც მწერდა, — ჩქარა თბილისში ჩამოდი, რომ ახალგაზრდობა ილიას გარს შემოვერტყნეთ და ბატონყმობის მოსპობის საქმე დავიცვათო. — მეც ჩამოვედი. რამდენიმე ახალგაზრდა, და მათ შორის ანტონ ფურცელაძე და წერილის ავტორიც, — მუდმივ შორიახლოს მივსდევდით ილიას და მზად ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი“.

ქრისტეფორე მამაცაშვილის ცნობით, თავადაზნაურობის მეორე კრებაზე ილიას შეტაკება მოუხდა იმავე საკითხზე რეაქციონური თავადაზნაურობის ცნობილ მეთაურთან, გენერალ-ლეიტენანტ ივანე მუხრან-ბატონთან¹,



ილიას ჟურნალმა „საქართველოს მოამბემ“ ერთ წელს იარსება. ჟურნალის მუშაობას დიდად უშლიდა ხელს და აფერხებდა მკაცრი, შეიძლება ითქვას, პირდაპირ გელური საცენზურო პირობები.

ილია წერდა ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში (1863 წ. № 11): „წარსულმა დრომა მრავალჯერ დაგვიმტყიცა, რომ რასაც ჩვენ თვითონ ვსთხოვდით ჩვენს ჟურნალსა, რასაც მისგან მოველოდით, — ამას ყველაფერს წინ კედელი დახვდა... ჟურნალის საქმეში ზოგი იმისთანა დაბრკოლებაა, რომელიც უნდა სძლიოს რედაქციამა და რომლის ძლევაც შეიძლება; ზოგი იმისთანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება უქმია. „დრონი მეფობენო“ ნათქვამია, — ჩვენც, ნებით თუ უნებლიეთ, გულზედ ხელი უნდა დაგვეკრიფნა. ხოლო თუმცა გზა გახილული გვქონდა, მაგრამ გულწრფელად და

¹ იხ. ქრ. მამაცაშვილის წერილი „ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაში“, კრებულში: „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ. გვ. 66—8.

გაბედვით ვიტყვით, რომ სხვის მოსაწონად არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისათვის არ გვიღალატნია, სხვის მოსაფერებლად არც ერთი გრძნობა არ გაგვიყიდნია... როგორც გონება ჩვენი ჰქრიდა, როგორც გული გვითხრობდა, — ისე ვლაპარაკობდით, როცა კი შეგვეძლო, და კვლავაც ასე მოვიქცევით — თუნდ ამით ჩვენ ჟურნალს ბოლო მოედოს... ყველაზე დიდი ნაკლულოვანება ჩვენის ჟურნალისა ის იყო, რომ, სხვათა შორის, დროების ინტერესი არ ჰქონდა, — ეგ ინტერესია ყოველი ჟურნალის სული, ეგ აცხოველებს, ეგ აბრუნებინებს მას სულსა. არც ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებს და რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არამც თუ ვერ ახსნა ჩვენმა ჟურნალმა, არამედ ვერც კი გაბედა, რომ მიჰკარებოდა, თუმცა ზოგჯერაც სცადა კიდევ იმავე მიზეზით, რომ „დრონი მეფობენო“. ამის გამო ჩვენს ჟურნალს ფერი დააკლდა, „მოამბემ“ შორიდან დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლოს გასასინჯი იყო...“.

ასეთ მძიმე საცენზურო პირობებში ილიამ შესძლო გამოეცა 1863 წლის მანძილზე „საქართველოს მოამბის“ 12 წიგნი, რის შემდეგაც ჟურნალი დაიხურა.

„საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე 1863 წელს დაიბეჭდა ილიას შემდეგი ნაწერები:

„კაცია-ადამიანი?!“ მთლიანად;

„გლახის ნაამბობი“ — პირველი ნაწილი (I—VI თავები);

„კაკო ყაჩალი“ — პირველი ნაწილი;

ნაწყვეტები „აჩრდილიდან“;

ჟურნალის მეთაური, ფილოსოფიურ-პუბლიცისტური წერილი „საქართველოს მოამბეზედ“; პამფლეტი: „რედაქტორი და მისი რაინდი ბაქია“;

ლექსები: „მუშა“; „გუთნის-დედა“; „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“; „მას აქეთ, რაკი შენდამი ვსცან მე სიყვარული“; „იანიჩარი“; „პოეტი“; „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“; „ხმა სამარიდამ“; „მტკვრის პირას“ და სხვანი.



ვამთავრებთ რა ილია ჭავჭავაძის სალიტერატურო მოღვაწეობის პირველი ხანის (1857—1863 წლების) მიმოხილვას, აქ საჭიროა ცალკე საგანგებოდ შეეჩერდეთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე — ახალი ქართული სალიტერატურო ენის შესახებ.

ახალი ქართული მწერლობის ორ დიდ კორიფეის, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს, ამ ორ განუყრელ თანამგზავრს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობის ასპარეზზე, განსაკუთრებული დვაწლი მიუძღვის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში, ახალი ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრების საქმეში.

იმისათვის, რომ უფრო ახლოს გავერკვეთ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქმესთან, აქ საჭიროა გავითვალისწინოთ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთავარი მომენტები.



ქართული ენა — ერთი უძველესი სალიტერატურო ენათაგანია. ქართულ სალიტერატურო ენას მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ისტორია აქვს. უძველესი ჩვენს დრომდე შემონახული ძეგლები ქართული ლიტერატურისა აღწევს მეოთხე-მეხუთე საუკუნემდე.

ქართული სალიტერატურო ენა — თავისი ისტორიის მანძილზე — მეოთხე-მეხუთე საუკუნიდან მოკიდებული ახალ ეპოქამდე, თავისი ძირითადი ლექსიკური ფონდითა და გრამატიკული წყობით, ლინგვისტიკურად ერთ ენას წარმოადგენს.

ამ ერთიან ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში ჩვენ გვაქვს სამი საფეხური: პირველი — ძველი ქართული სალიტერატურო ენა, მეორე — საშუალო ქართული, მესამე — ახალი ქართული.

ძველი ქართული სალიტერატურო ენა წარმოდგენილია მეოთხე-მეხუთე — მეთერთმეტე საუკუნეთა

ქართული მწერლობის ძეგლებში. ჯერ კიდევ მე-5 საუკუნიდან ჩვენს დრომდე მოღწეულია ისეთი სრულყოფილი ძეგლი ქართული მწერლობისა, ძველი ქართული სალიტერატურო ენისა, როგორც არის იაკობ ცურტაველის მოთხრობა შუშანიკის შესახებ. მომდევნო საუკუნეებში ძველ ქართულ სალიტერატურო ენაზეა შექმნილი მთელი რიგი კლასიკური ნაწარმოებნი, როგორც გიორგი მერჩულის — ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თხზულებანი მთაწმინდელებისა, ძველი ქართველი ჰიმნოგრაფებისა, მემატიანე-ისტორიკოსთა და სხვანი.

საშუალო ქართული სალიტერატურო ენის ფორმირება ძირითადად დასრულებულა არა უგვიანეს მე-11 საუკუნისა; უძველესი ჩვენს დრომდე მოღწეული ლიტერატურული ნაწარმოებნი საშუალო ქართულ სალიტერატურო ენაზე მე-11—12 საუკუნეებით თარიღდება (მათ შორის მხატვრული პროზის ძეგლი — რომანი „ვისრამიანი“ მე-11—12 საუკუნეთა საზღვარს ეკუთვნის; პოეტური თხზულება შავეთელისა „აბდულმესიანი“ მე-12 საუკუნის პირველ მეოთხედშია დაწერილი). ხოლო საშუალო ქართული სალიტერატურო ენა უმაღლეს სრულყოფას აღწევს შოთა რუსთაველის უკვდავს გენიალურ ქმნილებაში „ვეფხისტყაოსანში“.

საშუალო ქართული თავის სტრუქტურით ახლოს დგას ახალ ქართულ სალიტერატურო ენასთან.

ქართულ სალიტერატურო ენას, მისი განვითარების ყველა საფეხურზე, როგორც ძველ ქართულს, ისე საშუალო ქართულსა და ახალ ქართულს, ძირითადად საფუძვლად უდევს აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახლოს მდგომი კილოები (ქართლ-კახური და მესხური), რომელიც ივსებოდა და მდიდრდებოდა ყველა სხვა ქართული დიალექტებისა და კილოების ენობრივი მასალით.

ქართული სალიტერატურო ენა, მისი განვითარების ყველა საფეხურზე, როგორც ძველი ქართული, ისე საშუალო ქართული და ახალი ქართული, საერთო ენაა ქართველი ხალხისა, უმაღლესი ფორმა ენისა, — რომელსაც ემორჩილებიან დიალექტები, როგორც დაბალი ფორმები. სალიტერატურო ქართული ენა მთელი ისტორიის მანძილზე საერთო ენა იყო მთელი ქართველობისათვის, ყველა ქართველი ტომისათვის, როგორც

ქართლელისათვის, ისე გურულისათვის, როგორც კახლისათვის, ისე მეგრელისა და ჭანისათვის, როგორც თუშ-ფშავ-ხევსურისათვის, ისე სვანისათვის, როგორც იმერლისათვის, ისე მესხისათვის.

ცალკეა აღსანიშნავი აგრეთვე ის გარემოება, რომ ქართული სალიტერატურო ენისათვის — მისი განვითარების ყველა სტადიაზე დამახასიათებელია ხ ა ლ ხ უ რ ო ბ ა. ამით აიხსნება, რომ თვით ძველ-ქართული მწერლობის ისეთი ძეგლები, რომლებიც თხუთმეტი საუკუნით არის დაშორებული ჩვენი დროიდან, როგორც, მაგალითად, მე-5 საუკუნის ძეგლი „წაჰება შუშანიკისი“, თითქმის დაუბრკოლებლად გასაგებია თანამედროვე მკითხველისათვის, ხოლო რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ქართული — იმდენად აღბეჭდილია ნამდვილი ხალხურობით, იმდენად ნათელია და გამჭვირვალე, რომ ამ ენას შერჩენილი აქვს, თვით პოეტის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „სილბო ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა“. რუსთაველის ენა, მიუხედავად ზოგიერთი სტრუქტურული სხვაობისა, საუკუნეთა მანძილზე ცოცხლობს, იგი ინარჩუნებს თავის უჭკნობელ მშვენიერებას.



ახალი ქართული სალიტერატურო ენათათვის ახალი სტრუქტურული წყობით თანდათანობით ყალიბდება და გზას იკვლევს ლიტერატურაში ახალ საუკუნეთა მანძილზე. მე-17—18 საუკუნეებში უკვე ჩამოყალიბებულია ამ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ადრინდელი სახეობა. სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნისა“ (მე-17 საუკუნის ბოლო) — უკვე წარმოგვიდგენს ახალი ქართული სალიტერატურო ენის ამ ადრინდელ სახეს. ხოლო დავით გურამიშვილის „დავითიანში“ (მე-18 საუკ.) ეს ადრინდელი სახეობა ახალი ქართული სალიტერატურო ენისა — კიდევ უფრო სრულყოფილი სახით არის წარმოდგენილი.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში ჩვენ გვაქვს ერთგვარი ტეხილი მე-18 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების საქმე შეაფერხა ანტონ კა-

თალიკოზის და მისი სკოლის მოძღვრებამ ენის შესახებ. ანტონ კათალიკოზმა დანერგა ქართულ ლიტერატურაში სამი სტილის თეორია და ნაცვლად ერთიანი ქართული სალიტერატურო ენისა სამი სალიტერატურო მეტყველება დააკანონა. ლიტერატურის ძირითადი დარგებისათვის მიღებული „მაღალი“ და „საშუალო“ სტილის ქართული ეს იყო ხელოვნური, სქოლასტიკური ენა, რომელთაგან პირველი — ძველი ქართულის დამახინჯებულ მიბაძვას წარმოადგენდა, ხოლო მეორე — საშუალო ქართულისა. ანტონ კათალიკოზის სკოლის ენა სავსებით დაშორებულია ხალხურ ენას, ხალხის ენას. ამრიგად ანტონ კათალიკოზის სკოლის მოღვაწეობის შედეგად ქართული სალიტერატურო ენა მოსწყდა ხალხურობას, რაც ყოველთვის შეადგენდა ქართული სალიტერატურო ენის საფუძველს მისი განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე.

ანტონ კათალიკოზის სკოლამ ამასთან ერთად დააკანონა რთული ორთოგრაფია ქართული სალიტერატურო ენისათვის, გადმოიტანა ხუცური დამწერლობიდან მხედრულ ანბანში ზედმეტი ასოები, რაც მხედრულში თავიდანვე არ არსებობდა, და ამას გარდა შემოიტანა ახალი ზედმეტი ასოებიც კი.

ასეთი იყო ის ვითარება, რაც დამყარდა ქართულს მწერლობაში ანტონ კათალიკოზის სკოლის მოღვაწეობის შედეგად მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ქართული ენის ბუნებრივ განვითარებას უდიდესი საფრთხე შეუქმნა ახალმა პოლიტიკურმა რეჟიმმა. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ქართული ენა უკვე აღარ არის ენა სახელმწიფოსი, სახელმწიფოებრივი ენა. ქართული ენა განდევნილია საზოგადოებრივი დაწესებულებებიდან, ქართული ენა ყოველმხრივ შევიწროებას განიცდის, ქართული ენა განდევნილია თვით სკოლიდანაც. ცხადია, ასეთს ვითარებაში, როდესაც საქართველო უუფლებო კოლონიის მდგომარეობაში გადავიდა და ქართული ენის უფლებები ყოველმხრივ შეიკვეცა, ქართული ენის ნორმალური განვითარება დიდად შეფერხდა.

კერძოდ ახალ ქართულ სალიტერატურო ენას, რომელიც ამ დროს უკვე ჩამოყალიბებული იყო და რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისამდე სახელმწიფო ენის

როლს ასრულებდა (იგი მიღებული იყო როგორც საქმის წარმოების ენა სახელმწიფოში) — მოესპო ბუნებრივი განვითარების თავისუფალი სარბიელი. თვით ქართული ლიტერატურის ასპარეზიც დიდად შეიზღუდა, მისი დიაპაზონი შევიწროვდა.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში გაბატონებულია ანტონ კათალიკოზის დროგადასული ენობრივი ნორმები.

მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ქართული ენის ტრადიციები არ მინელებულა სავსებით; იგი თანდათანობით ისევე გზას იკვლევს მწერლობაში.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის წამყვანი მწერლებიდან, კერძოდ, ალექსანდრე ჭავჭავაძე ანტონ კათალიკოზის სკოლის ნორმების გავლენის ქვეშაა, მაგრამ გვიანი პერიოდის ზოგ ნაწარმოებში („გოგჩის ტბა“) იგი ნაკლებ ემორჩილება ამ ნორმებს.

რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანს, იგი, გვიან ხანაში, „თერგდალეულებთან“ კამათის დროს, თუმცა მფარველობის ქვეშ იღებს ანტონ კათალიკოზის სკოლის მოძღვრებას, მაგრამ თავის პოეზიაში იგი არ მისდევდა მას. გრიგოლ ორბელიანის პოეზიის ენა, რასაკვირველია, ეს არ არის ანტონ კათალიკოზის სკოლის ენა, არამედ ახალი ქართულია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ ორბელიანის ენა მაინც ერთგვარი არქაიზაციით არის აღბეჭდილი. საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებში, როგორც არის — „საღამო გამოსალმებისა“, ჰიმნი მამულისადმი „საღლეგრძელოდან“ და სხვანი, გრიგოლ ორბელიანის ენა, თუმცა დამძიმებულია არქაიზმებით, მაგრამ მაინც ახალი ქართულის რკალში ექცევა. აღსანიშნავია, რომ თვით ილია ჭავჭავაძე, რომელიც ასე შეურიგებლად ებრძოდა ანტონ კათალიკოზის სკოლის ენობრივ ნორმებს, აფასებდა გრიგოლ ორბელიანს, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატს და მის ენას არ გამოთიშავდა ახალი ქართულის ენობრივი წრიდან.

კიდევ უფრო შორს მიდის ამ მხრივ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის გენიოსი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი. ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“; თუმცა ასევე აღბეჭდილია ერთგვარი არქაული ელფერით, მაგრამ იგი ახალი ქართული სალიტერატურო ენის რკალს ეკუთვნის.

ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“, ეს უდიადესი ქმნილება მე-19 საუკუნის ქართული პოეზიისა, ამავე დროს არის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი პირველი უბრწყინვალესი ძეგლი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ ისევე ვერ გამოითიშება ახალი ქართული სალიტერატურო ენის წრიდან, როგორც ვერ გამოითიშება ამავე რკალიდან ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“.

მე-19 საუკუნის 40-იან და 50-იან წლებში ახალი ქართული სალიტერატურო ენით წერს კომედიოგრაფი გიორგი ერისთავი („სამი სტილის“ თეორია, როგორც ცნობილია, კომედიისათვის ხალხურ ენას შესაწყნარებლად თვლიდა), ხოლო 50-იანი წლების დასასრულსა და 60-იანი წლების დასაწყისში, ე. ი. იმ ხანაში, როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ილია ჭავჭავაძე, ახალი ქართული სალიტერატურო ენით წერენ თავის მოთხრობებს დანიელ ჭონქაძე და ლავრენტი არდაზიანი.

ამრიგად იმ დიდი რეფორმისათვის, რომელიც მოახდინა ქართულ მწერლობაში ილია ჭავჭავაძემ — ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებით, უკვე შემზადებული იყო ნიადაგი ქართული მწერლობის წინა პერიოდიდან.

აქ საჭიროა ამავე დროს შემდეგიც აღინიშნოს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენა თანდათანობით გზას იკვლევდა ქართულ მწერლობაში, მაინც მე-19 საუკუნის სამოციანი წლების კარებთან, როდესაც მოღვაწეობა დაიწყო ილია ჭავჭავაძემ და ახალმა დასმა, საერთო მდგომარეობა ქართული სალიტერატურო ენისა სავალალო სურათს წარმოადგენდა. ძველი და დროგადასული ჯერ კიდევ ჩრდილავდა ახალს, აფერხებდა ახლის დამკვიდრებას. ანტონ კათალიკოზის მოძღვრება ენის შესახებ ისევე ძალაში იყო. ფართო გავრცელებით სარგებლობდა დრომოქმედი ნორმები, გაბატონებული იყო ძველი ორთოგრაფია. ქართულ სალიტერატურო ენას აკლდა რაიმე ერთიანობა. ქართული სალიტერატურო ენა მოკლებული იყო ხალხურობას.

ასეთი იყო მდგომარეობა ქართული სალიტერატურო ენისა, როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ილია ჭავჭავაძე და მესამოცე წლების მოღვაწეთა დასი.

ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართული ენის აღორძინების საქმეში განუზომელად დიდია.

ილია ჭავჭავაძე არის ფუძემდებელი ახალი ქართული მწერლობისა არა მხოლოდ როგორც განმაახლებელი მისი შინაარსისა, არა მხოლოდ როგორც გადამყვანი ქართული მწერლობისა ახალ იდეურ საფუძვლებზედ, დამამკვიდრებელი ქართულ მწერლობაში რეალიზმისა, არამედ უდიდესი რეფორმატორი ქართული სალიტერატურო ენისა.

საფუძველი, რომელსაც დაემყარა ილია ჭავჭავაძე და მასთან ერთად მესამოცე წლების ქართული მწერლობა სალიტერატურო ენის განახლება-გადახალისების დროს — ეს იყო თვით ცოცხალი ენა ხალხისა, ეს დაუშრეტელი ზღვა ენობრივი სიმდიდრისა.

ახალი ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც დაამკვიდრეს ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოღვაწეებმა, ეს არის ხ ა ლ ხ უ რ ი ე ნ ა, ამ სიტყვის ნამდვილი, ღრმა მნიშვნელობით.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენა მოსწყდა თავის ისტორიულ ძირებს. ხალხურობა სრულიადაც არ ნიშნავს ვიწრო ეთნოგრაფიულობას. პირიქით, ახალი ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებასა და სრულყოფას მკვიდრი საფუძველი შეუქმნა მრავალსაუკუნოვანმა ქართულმა მწერლობამ, რომლის უმდიდრესი ენობრივი საუნჯე, საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი, განსაკუთრებით რუსთაველის ხანიდან ვიდრე მეცხრამეტე საუკუნემდე, — ქართული ენის უძვირფასეს ფონდს წარმოადგენს; ახალმა სალიტერატურო ენამ მიიღო ეს მემკვიდრეობა, აითვისა მისი საუკეთესო მონაცემები, მისი საუკეთესო ტრადიციები.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის საბოლოო დამკვიდრება ქართულ მწერლობაში სამოციანი წლების დასაწყისის ეკუთვნის.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა ილიას სალიტერატურო მოღვაწეობის ძირითადი თარიღები.

1859 წელს ილიამ შექმნა „გლახის ნაამბობი“, ეს პირველი

სრულყოფილი ძეგლი ახალი ქართული სალიტერატურო ენისა მხატვრულ პროზაში.

შემდეგ, 1859—1863 წლებში, იწერება „კაცია-აღამიანი? — ახალი ქართული სალიტერატურო ენის მეორე უბრწყინვალესი შედეგები.

1860 წელს ილია წერს „კაკო ყაჩაღს“; 1861 წელს — „მგზავრის წერილებს“.

1860—1861 წლებს ეკუთვნის ილიას კრიტიკული წერილები, რომლებშიაც ილია ეხება როგორც ლიტერატურის ზოგად საკითხებს, ისე ენის საკითხებს. ამ წერილებში ილიამ დაარღვია ძველი ბანაკის რეტროგრადული შეხედულებანი ენის შესახებ და, კერძოდ, დაასაბუთა ახალ ორთოგრაფიაზე გადასვლის საჭიროება.

ბრძოლა ახალსა და ძველს მიმართულებას შორის სალიტერატურო საკითხთა გამო საბოლოოდ გადაწყდა 1863 წელს. როდესაც დაიწყო გამოსვლა ილიას ჟურნალმა „საქართველოს მოამბემ“. ამ ჟურნალმა საბოლოოდ დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში ახალი ქართული სალიტერატურო ენა.

დასასრულ, აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ილიას ღვაწლი ახალი ქართული ენის დამკვიდრების საქმეში უაღრესად მრავალმხრივია, უნივერსალური ხასიათისაა. ილიამ ღვაწლი დასდო ახალ ქართულ სალიტერატურო ენას არა მხოლოდ როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატმა, რომელმაც სრულყოფილი სახე მისცა ახალ ქართულ სალიტერატურო ენას ბელეტრისტიკაში, მხატვრულ პროზაში, პოეზიაში. ილია არის რეფორმატორი ქართული ენისა მთელის მოცულობით. ილია პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ილია კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ილია ეკონომისტი, სოციოლოგი, ილია მოაზროვნე — ფილოსოფოსი, ასევე სრულყოფილად სქედს ახალ ქართულ ენას მწერლობის ყველა დარგში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოციანი წლების მიჯნასთან, ვიდრე ილია გამოვიდოდა სამწერლო ასპარეზზე, ქართული სამწერლო ენა ყველა ზემოდასახელებულ სფეროში დაკნინებისა და დაცემის გზაზედ იყო დამდგარი. საქართველოს სახელმწიფოებრივობის მოსპობამ მე-19 საუკუნის დამდეგს, საქართველოს უუფლებო კოლონიის მდგომარეობაში ყოფნამ სამოცი წლის მან-

ძილზე, ქართული ენისათვის უფლებების აყრამ, შევიწროებამ, დევნამ, თავისი ნაყოფი გამოიღო, სამწერლო ქართული ენა გაღარიბდა, ჩამორჩა ეპოქას.

ილია ჭავჭავაძე — სამწერლო ენის ყველა დარგის ამ დიდი მასშტაბის რეფორმის დროს, მისი გადახალისება-განახლების, მისი გამდიდრებისა და შევსების დროს,—ასევე ემყარება ხალხურ ენას, ამ დაუშრეტელ წყაროს ენობრივი სიმდიდრისას, ემყარება ამასთან მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის მემკვიდრეობას. ქართული ენის მდიდარს ლექსიკურ ფონდში ილია პოულობს დასაყრდენს ახალი გამოთქმების, ახალი საქირო სიტყვებისა და ტერმინების ჩამოსაყალიბებლად.

ახალი ქართული ენა მდიდრდება, იხვეწება, იუმჯობესებს თავის წყობას, თავის სტრუქტურას.

ასეთი იყო ეს უდიდესი მნიშვნელობის რეფორმა ახალ ქართულ მწერლობაში, საბოლოო დამკვიდრება ახალი ქართული სალიტერატურო ენისა, რაც შესრულდა დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის შედეგად.

ამ უდიდეს ეროვნულ საქმეში, ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქმეში, ილია ჭავჭავაძის უახლოესი თანამოღვაწეა აკაკი წერეთელი, ეს მეორე ტიტანი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისა.

მომდევნო თაობა ქართველი მწერლებისა განაგრძობს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ამ დიდი ფუძემდებლების ხაზს. ახალი ქართული სალიტერატურო ენა, აღბეჭდილი ხალხურობით, გადახალისებული და დაწმენდილი, გახდა ნათელი ორგანო ჩვენი ახალი მწერლობისა.

ილიას და აკაკის მომდევნო თაობის მწერლებიდან ცალკეა აღსანიშნავი ვაჟა-ფშაველა. ვაჟას დიადი პოეზია, აღბეჭდილი ნამდვილი გენიალობით, საქართველოს მთის ადგილობრივი ქართული კილოს ელფერით არის მოსილი; ხოლო, ამავე დროს ვაჟას მხატვრული პროზა, მისი შესანიშნავი მოთხრობები, წარმოდგენენ ახალი ზოგად-ქართული სალიტერატურო ენის ბრწყინვალე ნიმუშს, რომელიც საპატიო ადგილს იკავებს ილიას და აკაკის ლიტერატურული მემკვიდრეობის გვერდით.

ქართველი მწერლების დიდ პლეადაში, რომელთაც ღვაწლი

მიუძღვით ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისა და განმტკიცების საქმეში, ცალკეა აღსანიშნავი აგრეთვე დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რომლის სახალხო სახელმძღვანელოებმა დიდად შეუწყვეს ხელი ერთიანი სალიტერატურო ენის საყოველთაო გავრცელებას.

VI

1864—1876 წლები

1864 წლიდან მოკიდებული იწყება ახალი პერიოდი ილიას ცხოვრებაში.

როგორც მოხსენებული გვექონდა, ილიამ 1863 წლის განმავლობაში მეტად მძიმე საცენზურო პირობებში შესძლო გამოეცა „საქართველოს მოამბის“ 12 წიგნი, რის შემდეგაც უურნალი დაიხურა.

1864 წლის დასაწყისიდან მოკიდებული, რა დროიდანაც შეწყდა „საქართველოს მოამბის“ გამოსვლა, — ვიდრე 1877 წლის დამდეგამდე, როდესაც გამოვიდა „ივერია“, — ილიას საკუთარი ორგანო არ ჰქონია.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ილია, რომელიც იმ დროს უკვე დაოჯახებული იყო, იძულებული ხდება შევიდეს სამსახურში და თბილისიდან პროვინციაში გადავიდეს სამუშაოდ.

ილია ოჯახს 1863 წელს მოეკიდა. ილიას. მეუღლე იყო ოლღა თადეოზის ასული გურამიშვილი.

ილიამ თავისი მომავალი მეუღლე გაიცნო თბილისში, სადაც ოლღა, ინსტიტუტის ახლად დამთავრების შემდეგ, ცხოვრობდა თავის ნათესავებთან (ოლღა დედით ობოლი იყო). ჭვარისწერა მოხდა 21 აპრილს 1863 წლისა.

მეუღლე ილიასი, როგორც გადმოგვცემს ყველა თანამედროვე, და როგორც ამის შესახებ წერს ილიას პირველი ბიოგრაფი გრ. ყიფშიძე, „იყო ყოვლად კეთილი, სათნო ხასიათის ადამიანი, ჭველისმოქმედი, ყოვლის კეთილის თანამგრძობი, დიდად მოსიყვარულე თავისი სახელოვანი ქმრისა და მალმერთებელი მისის ნიჭისა“.

ოლლა ჭავჭავაძისა დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა იმ დროს არსებულ ქართულ დაწესებულებებში, — კერძოდ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

ილია დიდად აფასებდა თავის ცხოვრების თანამგზავრს, სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა მას.

ილიამ უძღვნა ოლლა ჭავჭავაძეს „განდეგილი“.

ოლლა ჭავჭავაძემ გაიზიარა ილიას ტრაგიკული ხვედრი. ილიას მოკვლის დროს ოლლა ჭავჭავაძისა მძიმედ დაჰრეს. ამის შემდეგ ოლლა ჭავჭავაძისამ თუმცა წლები იცხოვრა, მაგრამ იგი ამქვეყიანას უკვე აღარ ეკუთვნოდა.



ილია იწყებს სამსახურს და სამუშაოდ გადადის პროვინციაში 1864 წლიდან.

1864 წლის აპრილში ილია დანიშნეს იმერეთში, საგანგებო მინდობილობათა მოხელედ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან. ილიას მოვალეობას შეადგენდა შესწავლა ბატონყმობის ნიადაგზე წარმომდგარი ურთიერთობისა მებატონეთა და გლეხთა შორის.

ადგილობრივ რეაქციონურ თავადაზნაურობას დიდად საწყენად დაურჩა პროგრესული მოღვაწის — ილიას დანიშვნა ამ თანამდებობაზე. ილია ერთ-ერთ წერილში სწერს თავის მეუღლეს ქუთაისიდან: „ამას კი მოგწერ, რომ ჩვენი მოსვლა ვერაფრად ეჭაშნიკათ. აი, ესენი არიან ჩვენი დამლუპველებიო, ყმების წამრთმევებიო, ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებსა ჰყრიან...“

1864 წლის ოქტომბერს გამოცხადდა აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობის გადავარდნა (დასავლეთ საქართველოში იგი 1865 წლამდე დარჩა). ილია ამ დროს, 1864 წლის ნოემბრიდან, დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად აღმოსავლეთ საქართველოში.

მომრიგებელ შუამავლის მოვალეობას შეადგენდა მოწესრიგება იმ ურთიერთობისა, რომელიც დამყარდა ყოფილ მებატონეთა და გლეხთა შორის ბატონყმობის მოსპობის შემდეგ, მიწე-

ბის მიზომვა გლეხებისათვის და სხვა. ილიას სამუშაო უბნებს შეადგენდა გარეკახეთის უბანი, თბილისის მაზრისა და მცხეთის უბანი დუშეთის მაზრისა.

ილია მომრიგებელი შუამავლის თანამდებობაზე დარჩა სამ წელს (1868 წლის თებერვლამდე).

ილიას ეს წლები მუდმივად ხალხში უხდება ყოფნა. იგი ახლო ეცნობა გლეხობას, ხალხის ყოფა-ცხოვრებას. იგი ყოველდღე ხვდება ზაქროსა და კაკოს ღვიძლ ძმებს, გაბრიელსა და პეპიას, თავის მოხვევს... კავშირი ხალხსა და მწერალს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა და განმტკიცდა. „თუ არ ცხოვრების მორევში, საგანს სად იპოვის წერისათვის მწერალი?“ — წერდა თვით ილია.

ხალხის სულის სარკეს ილია პოულობს, სხვათა შორის, ხალხურ სიტყვიერებაში, ქართველი ხალხის ზეპირსიტყვაობის უმდიდრეს საუნჯეში.

ქართული ხალხური სიტყვიერება სიყრმიდანვე იტაცებდა ილიას. ხოლო ამ პერიოდში, 1864—1868 წლებში, ილიამ შეისრულა თავისი დიდი ხნის სურვილი ქართული ხალხური სიტყვიერების საფუძვლიანი შესწავლისა. დასახელებული წლების მანძილზე, როდესაც ილიას მუდმივად ხალხში უხდებოდა ყოფნა და ხშირი მოგზაურობა სოფლიდან სოფლად, ილია იწერს ქართულ ხალხურ ლექსებს, „გლეხურ სიმღერებს“ (როგორც მას ილია უწოდებს), ზღაპრებს, თქმულებებს, ლეგენდებს, ანდაზებს.

უფრო გვიან, 1871—1873 წლებში, ილიამ დუშეთიდან გამოუგზავნა კირილე ლორთქიფანიძეს ხალხური ლექსები „გლეხური სიმღერა“ ჟურნალ „კრებულში“ გამოსაქვეყნებლად. ჟურნალში ამ ლექსების მხოლოდ მცირედი ნაწილი დაიბეჭდა. „გლეხური სიმღერები“ 1873 წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა (რაფიელ ერისთავის მიერ შეკრებილ ზეპირი სიტყვიერების მასალასთან ერთად). ილიას მიერ შეგროვილი ხალხური სიტყვიერების ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუქვეყნებელი დარჩა.



1868 წლის თებერვალში ილია დაინიშნა მომრიგებელ მოსამართლედ დუშეთის მაზრისა. ილიამ ამ თანამდებობაზე დაპყობუთი წელი (1873 წლის მაისამდე).

დუშეთის მაზრის გლეხობაში ამის შემდეგ კარგა ხანს იყო დარჩენილი ხსოვნა ილიასი, როგორც დიდად გულისხმიერი ადამიანისა, რომელიც განსაკუთრებულ თანაგრძობას იჩენდა გლეხობისადმი, იცავდა მათ ყოფილი მებატონეებისა და ჩინოვნიკების თვითნებობისა და შევიწროებისაგან.

სამსახური მომრიგებელ მოსამართლედ ილიასათვის ბევრად უფრო სამძიმო აღმოჩნდა, ვიდრე წინანდელი სამუშაო მომრიგებელი შუამავლისა. ჯერ ერთი, მოსამართლედ მუშაობა მოითხოვდა მთელ დროს. ამასთან, რაც დრო გადიოდა, ილიასათვის აუტანელი ხდებოდა იმდროინდელი „სული“-ს სახაზინო სული, მისი „სიღამპლე“, როგორც ამბობს ერთგან ილია.

აღსანიშნავია ამასთან, რომ ილია სამსახურში ყოფნის დროს, როგორც ირკვევა, დიდ მატერიალურ გაჭირვებას და შევიწროებას განიცდიდა.

ერთ წერილში ილია სწერს თავის მეუღლეს:

„კარგ სიკეთეს შევეყარენით მე და შენ მიროვოი სუდიობაში, — სულ დავილუბენით. დალუბვასა და ზარალს ჯანი გავარდეს, ნეტავი ერთი ოთახი მაინც იყოს, რომ წვიმისაგან შევეფარნეთ... ცუდად არის ჩვენი საქმე...“

მეორე წერილში ილია სწერს მეუღლეს:

„საქმე ეხლა ისე მოეწყო, რომ რაც შეიძლება მალე დაეახწიოთ თავი სამსახურსა და მოეშორდე სულის ნაწილის სიღამპლესა და სიმყარაღესა... ქვეყანა დიდია; იქნება უსამსახუროდაც თავი როგორმე დავირჩინოთ... მართო ეს მაწუხებს, რომ ცხოვრების სახსარი ჩვენი, სამსახურიდან რომ გამოვალ, ყინულზე იქნება დაწერილი“.



სამოციანი წლების მეორე ნახევარში და 70-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ახალი ჯგუფი ქართველ მოღვაწეთა, რომლებიც თავს იყრიან გაზეთ „დროების“ და ჟურნალ

„კრებულის“ გარშემო. ამ ჯგუფში არიან: გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე (რომელსაც განკერძოებული და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ ჯგუფში), კირილე ლორთქიფანიძე, პეტრე უმიკაშვილი. ამ ჯგუფთან დაახლოებულია აკაკი.

ქართველი ახალი თაობა, ეს მეორე ჯგუფი ახალი თაობისა, მთავარ ხელმძღვანელად ახალი თაობის საერთო ფრონტისა იმავე „ძველს“ მებრძოლს (თუმცა ხნით ჯერ კიდევ ახალგაზრდას) — ილია ჭავჭავაძეს თვლიდა.

როდესაც 1866 წელს გიორგი წერეთელი შეუდგა „დროების“ გამოცემას, ილიამ პირველი ნომრისათვის დაწერა წერილი „თბილისი“ („ზოგიერთი რამ“), რომელიც ერთ-ერთი უბრწყინვალესი პუბლიცისტური წერილია ილიასი. მაგრამ ეს წერილი „დროების“ პირველ ნომერში ვერ გამოქვეყნდა, — იგი ცენზურამ აკრძალა.

ქართული ჟურნალისტიკის გაცხოველება იწყება 70-იანი წლების დამდეგიდან, როდესაც ქართულ საჟურნალო მუშაობაში ჩაება უცხოეთიდან ახლად დაბრუნებული ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ნიკოლაძე, „დროებისა“ და „კრებულის“ ჯგუფი, — ასევე ახალი თაობის ბანაქის სხვა წარმომადგენლები, მიმართავენ ახალი თაობის ძველს მედროშეს და ნაცად ხელმძღვანელს ილია ჭავჭავაძეს ხელთ აიღოს მათი მეთაურობა.

ნიკო ნიკოლაძე ერთ წერილში წერს:

„საზღვარგარეთიდან რომ დაებრუნდი და ქართული ჟურნალისტიკის გაცხოველება განვიზრახე (70-იანი წ.), ილია ჭავჭავაძე... დუშეთს ცხოვრობდა, საცა მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა. ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყველა მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე, დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871—1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვით“ ქართული მწერლობის აღორძინების მოტრფიალენი (ლუარსაბ ანუ შაქრო მაღალაშვილი, სანდრო ერისთავი „ამერიკელი“, გიორგი ყაზბეგი, ნიკო მესხიშვილი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, აკაკი, ნიკო ლოლობერიძე და თქვენი უმდაბლესი მოსამსახურე),

ბევრჯერ დაგვიპატიჟნია: მოდით, მეთაურად გაგვიხდით, გვიწინამძღვრეთ, გვიმსახურეთ-მეთქი.

„განახლებული, გაღვიძებული „დროება“ და სხივმოსილი „კრებული“... საქართველოს საქმეს ვუძღვენი და ილიას ხელში ჩავაბარე...“¹

ილია ახალგაზრდული ენერგიით ჩაება მუშაობაში.

გამხსენებელი მოღვაწეთა ახალი გუნდის გამოსვლით, ილია წერდა (1872 წ.):

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?

აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია,

თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...

მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,

ჩემო თვალის სინათლევე, რაზედ მოგიწყენია?

წერილ-შვილნი წამოგვესწრნენ, ნაზარდნი, გულ-მტკიცეები,

მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები...

მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,

მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...

მათ თვის მკერდით შეკმუსრონ მტერთა სიმაგრენია.

ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ რად მოგიწყენია?



გავეცნოთ ილიას ლიტერატურულ მუშაობას აღნიშნულ პერიოდში, 1864—1876 წლების მანძილზე.

1865 წელს ილიამ დაწერა „გ ლ ე ხ თ ა გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი დ რ ო ე ბ ი ს ს ც ე ნ ე ბ ი“².

ამ ნაწარმოებში, უნდა ვიფიქროთ, ბევრია შეტანილი ილიას პირადი შთაბეჭდილებებიდან, როდესაც ილიას, როგორც მომრიგებელ შუამავალს, უხდებოდა დაკვირვებოდა ნაყმევთა და ნაბატონართა შორის შექმნილ ურთიერთობას ბატონყმობის გადავარდნის პირველ ხანებში.

სცენები დიდი რეალისტური ხელოვნებით არის აღბეჭდილი.

¹ იხ. ნიკო ნიკოლაძის წერილი რ. ხომლეღისადმი (ეურნალი „განთიხლი“, 1915 წ., № 8, გვ. 21—2).

² დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1867 წელს, (ამ წელსვე იგი ცალკე წიგნადაც გამოვიდა).

მომდევნო 1866 წელს არის დაწერილი ილიას ერთ-ერთი უშესანიშნავესი ბუბლიცისტური წერილი „ზოგიერთი რამ“. როგორც მოხსენებული გვექონდა, ეს წერილი დამზადებული იყო გაზეთ „დროების“ პირველი ნომრისათვის, რომელმაც გამოსვლა დაიწყო 1866 წლის მარტიდან¹. მაგრამ წერილი ვერ დაიბეჭდა. ავტორის ეროვნული რადიკალიზმი, რომელიც ჩქეფს ამ წერილის თითოეული სტრიქონიდან, იყო იმისი მიზეზი, რომ წერილი ცენზურას აუკრძალავს.

რამდენიმე წლის შემდეგ, 1870-იანი წლების დასაწყისში, ილია ისევ ცდილა ამ წერილის დაბეჭდვას და გადმოუგზავნია იგი „კრებულ-დროების“ გაერთიანებული რედაქციისათვის. მაგრამ წერილი ამ მეორეგზისაც ვერ დაუბეჭდავთ. 1872 წელს ილია ერთ წერილში აგონებს კირილე ლორთქიფანიძეს: „რედაქციას ჩემი სტატია „ზოგიერთი რამ“ უნდა ჰქონდეს, მაცნობე, დაბეჭდავთ მაგ სტატიას თუ არა. ოღონდ ეგ დაიბეჭდოს და შეიძლება ცენზორს ბევრი დაუთმობთ...“

მაგრამ ამ მესამეგზისაც, 1872 წლისათვის, ვერ მოუხერხებიათ წერილის დაბეჭდვა. მხოლოდ უფრო გვიან, 1876 წელს, ათი წლის შემდეგ ამ წერილის დაწერიდან, მოხერხდა მისი გამოქვეყნება. (ისიც იმიტომ, რომ ამ დროს ცენზურის სათავეში შემთხვევით იყო ლიბერალურად განწყობილი მწერალი). დაიბეჭდა იგი „დროების“ 1876 წლის 14 მარტის ნომერში.



1871 წელს ილიამ გადაამუშავა თავისი აღრინდელა დრამატული პოემა „ქართველის დედა“.

დრამატული პოემის ამ ახალ რედაქციაში შეტანილია ილიას დიადი ჰიმნი — ო დ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს („თავისუფლებავე, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი“...)

ახლად არის დაწერილი აგრეთვე ჯარის სიმღერა („ქართველო, ხელი ხმალს იკარ, დრო დაგვიდგა დიდებისა...“), რომელიც, ილიას სიტყვით, „გლეხურ კილოზედ არის მოწყობილი“², და, რომელიც, როგორც ეს ჩანს ქვემოთ მოყვანილი წერილიდან, თვით ილიას მოსწონდა.

¹ წერილის პირველი რედაქცია ატარებდა სათაურს: „ტფილისი“.

დრამატული პოემა მიძღვნილია „თერგდალეულის“ პეტრე ნაკაშიძისადმი, რომელიც ილიას სტუდენტობის დროის მეგობარი იყო და „საქართველოს მოამბის“ ხანის თანამოღვაწე.

წერილში 1871 წლის 19 მარტის თარიღით ილია სწერდა პეტრე ნაკაშიძეს:

„პეტრე! გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს შენდამი ნაძღვნევს ჩემს „ქართველის დედას“... გთხოვ, შენი პირმოურიდებელი აზრი მაცნობო ამ პატარა თხზულებაზედა... მე ყველაზედ უფრო ჯარის სიმღერა მომწონს, გლეხურ კილოზედ მოწყობილია. თუ მოგეწონოს დასაბეჭდად, შენთან მოწერილი ძღვნობის ლექსიც დააბეჭდვინე ამასთან ერთად“.

ილიას ეს პოემა დაიბეჭდა „კრებულში“ 1871 წელს (მარტის თვეში).

იმავე 1871 წელს „კრებულში“ (თებერვლისა და მაისის ნომრებში) გამოქვეყნდა, როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ილიას „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი“.



1871 წელს არის დაწერილი ილიას ლექსი „1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“.

პოეტი წერდა კომუნის დაცემის გამო:

ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი

დიდი დროშა დაიშალა...

კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ

იგი დროშა დასცა დაბლა.

კვლავ ეწაშა მოყვასთათვის

საოცარი იგი ერი,

კვლავ დაიდგა დიდ წამების

მან გვირგვინი მშვენეიერი.

კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა

წმინდა სისხლი წამებულის,

კვლავ დამარცხდა დიდი საქმე

ყოვლად მხსნელის სიყვარულის.

კვლავ შეფერხდა ისტორია,

განახლების შესდგენნ ძალნი,

და კვლავ დღესასწაულობენ

გამარჯებულნი მტარვალნი.

ლექსი დათარიღებულია 1871 წლის 29 მაისით, ე. ი. დაწერილია პარიზის კომუნის დაცემის შემდეგ უახლოეს დღეებშივე.

ერთი რუსი მწერალი სამართლიანად წერს ილიას ამ ლექსის გამო:

«Не только в грузинской, но и в русской поэзии того времени не найдется другого стихотворения, прославляющего с такой силой и ясностью мысли борцов Парижской коммуны 1871 года»¹,



1872 წელს არის შესრულებული ილიას მიერ პოემა „ა ჩ რ დ ი ლ ი ს“ ახალი რედაქცია.

აქ ჩვენ მოკლედ შევჩერდებით როგორც „აჩრდილის“ ტექსტის ისტორიაზე, ისე მისი დაბეჭდვის ისტორიაზედაც. ცენზურა, როგორც ირკვევა, სისტემატურად აფერხებდა ამ პოემის გამოქვეყნებას. პოემა, შეიძლება ითქვას, თითო სტრიქონობით არის გამოტაცებული ცენზურის ხელიდან.

პოემა „აჩრდილი“, მისი პირველი რედაქცია, როგორც აღნიშნული გვქონდა, ილიამ დაწერა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1858—1859 წლებში, პოემა ილიას დაუმთავრებია, როგორც გვიჩვენებს მისთვის მიწერილი თარიღი, — „26 იანვარს 1859 წელსა“.

ილიას იმავე 1859 წელს უცდია პოემის დაბეჭდვა. ჟურნალ „ცისკარში“ 1859 წლის № 12-ში დაიბეჭდა კიდევ ერთი ნაწყვეტი პოემიდან (თავი V). მაგრამ ბეჭდვა ამაზე შედგა. საცენზურო მიზეზების გამო პოემის გამოქვეყნება ჟურნალში შეუძლებელი გამხდარა.

შემდეგ, 1860 წელს, ილიას უცდია „აჩრდილის“ ცალკე გამოცემის სახით გამოქვეყნება. პოემა თბილისში უნდა გამოსულიყო და გამოცემისათვის ზრუნვა მინდობილი ჰქონდა პოეტის მეგობარს ილია წინამძღვრიშვილს (თვით ილია, ამ დროს ჯერ კიდევ სტუდენტი, რუსეთში იმყოფებოდა). მაგრამ პოემა ვერ დაიბეჭდა. ცენზურას, როგორც მოსალოდნელი იყო, აქამადაც არ მიუცია ნებართვა ამ ნაწარმოების გამოშვებისა.

¹ В. Гольцев, Грузинские писатели девятнадцатого века, М. 1948, 83. 57.

შემდეგ, 1863 წელს, როცა ილიამ დააარსა საკუთარი ქურნალი „საქართველოს მოამბე“, ილია ისევ ცდილა დაებეჭდა პოემა, მაგრამ ცენზურული დაბრკოლებანი ამ შემთხვევაშიაც ვერ გადაულახავს. ქურნალში დაიბეჭდა XXI, XXVI და XXVII თავები, მაგრამ ამასაც შეჰხებია ცენზურის ხელი (XXI თავიდან ცენზურას ამოუღია მეორე ნახევარი).

შემდეგ წელს, 1864-ში, კირილე ლორთქიფანიძემ, მისი რედაქციით გამოსულ კრებულ „ჩანგურში“, დაბეჭდა ერთი ნაწყვეტი „აჩრდილიდან“ (თავი V), რომელიც წინათ „ცისკარში“ იყო გამოქვეყნებული.

ამრიგად, 1859—1864 წლების მანძილზე შესაძლო გახდა აჩრდილიდან“ მხოლოდ ცალკე ნაწყვეტების გამოქვეყნება. მაგრამ, მიუხედავად ცენზურის ბარიერისა, ილიას თხზულება მაინც ცნობილი გამხდარა ფართო საზოგადოებაში. ილიას პოემა, როგორც ირკვევა, ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, რასაც ადასტურებს ჩვენს დრომდე მოღწეული პოემის პირები.

1871 წელს, როდესაც დაარსდა სალიტერატურო ქურნალი „კრებული“, ილია ისევ შეეცადა „აჩრდილის“ დაბეჭდვას.

მაგრამ პოემის დაწერიდან უკვე 12 წელი იყო გასული. ზოგი პოლიტიკური ელემენტი პოემისა (—ის ნაწილი, რომელიც ბატონყმობას ეხებოდა) უკვე დაძველებული იყო. ამასთან პოემის მეორე ნაწილი, სადაც წარმოდგენილია საქართველოს ისტორიის სურათები, ჩანს, პოეტს აღარ აკმაყოფილებდა. ეს გარემოება გახდა მიზეზი, რომ ილიამ 1872 წელს ხელახლა გადაამუშავა პოემა.

გადაამუშავება შეეხო პოემის პირველ ნაწილს (თავები 1—18). ხოლო პოემის ბოლო, რომელიც უმთავრესად ისტორიულ სურათებს შეიცავს (19—25-ე თავები) — ეს ნაწილი პოეტს 1872 წელს არც შეუსწორებია და არც დაუბეჭდავს. რით იყო გამოწვეული ისტორიული ნაწილის გამოტოვება, ამის პასუხს იძლევა თვით ილია ერთ წერილში, რომელიც მიმართულია დავით ერისთავისადმი („სამშობლოს“ ავტორი). წერილი დაწერილია 1872 წლის ივლისში; ილია აქ წერს:

„მე არაფერსა ვწერ. ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ... შევდეგ და ერთი ბიჭი წინ ველარ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ, ამ „აჩრდილს“ თავი დავანებო-მეთქი.

ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს. მე კი... მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს... საქმე ხალხია და ხალხი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. მწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსით არი...“

რაც შეეხება პოემის ბირველ ნაწილს, რომელიც ავტორმა 1872 წელს გადაამუშავა, მთავარი ცვლილება მასში, პირველ რედაქციასთან შედარებით, წარმოდგენილია მე-13—14 თავებში. ავტორმა აქ განაზოგადა კერძო მაგალითი ბატონყმობისა და ფართოდ გაშალა იდეა შრომის განთავისუფლებისა.

ილიას უნათებდა პარიზის კომუნის მაგალითი, პარიზის კომუნართა მიერ გადახდილი ბრძოლა, როდესაც იგი „აჩრდილის“ გზად დაწერილ ნაწილში შრომის განთავისუფლების დიადი საქმის შესახებ წერდა:

შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკალი
და დასამსხვრევად გამზადებულა.

შ რ ო მ ი ს ა ა ხ ს ნ ა — ე გ ა რ ი ს ტ ვ ი რ თ ი
ძ ლ ე ვ ა მ ო ს ი ლ ი ს ა მ ს ა უ კ უ ნ ი ს .

კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მელგრადა იბრძვის.
ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრივალის ქროლას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას;
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალ ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

შრომის სუფევა მოვა მაშინა,
ქეშმარიტების მის ძლიერებით,
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით...
მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთმოყვარება და სათნობა.
აღლო აილო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე-და-ღღე მის წყობა ირღვევა,
და ამ ზვიადმა საუკუნემა.

უ ნ დ ა შ ვ ა ს ი გ ი შ რ ო მ ი ს ს უ ფ ე ვ ა .

საკმაოა გადავიკითხოთ ილიას ლექსი „1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“ და „აჩრდილის“ მე-13—14 თავები, რათა ცხადი შეიქნეს, რომ ილია „აჩრდილის“ დასახელებული თავების წერის დროს შთაგონებულია პარიზის კომუნის დიადი მაგალითით: „აჩრდილის“ ეს XIII—XIV თავები შეიცავს პირდაპირ პარალელიზმს ილიას ლექსთან პარიზის კომუნის შესახებ.

პოემა „აჩრდილის“ ამ ახალ რედაქციაში, შედარებით აღრინდელ რედაქციასთან, შეტანილია, ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ცვლილებაც, მაგრამ ეს ეხება თემის მხატვრულ გაშლას და არა პოემის მთავარ მაგისტრალურ ხაზს.

პოემის ეს ახალი რედაქცია დაიბეჭდა უკრნალ „კრებულში“ 1872—1873 წლების მანძილზე. მაგრამ დაიბეჭდა არა სრულად. ცენზურამ ამოიღო მთელი რიგი ადგილები პოემიდან (ასე, ამოღებულია მთლიანად მე-9 თავი, რომელიც იწყება სიტყვებით: „მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირიი...“, აგრეთვე ცალკეული ადგილები დანარჩენი თავებიდან).

1873 წლის შემდეგ ილია ერთხელ კიდევ დაუბრუნდა პოემას; ილიამ შეიტანა პოემაში ახლადდაწერილი ისტორიული ნაწილი (მე-19 თავიდან — 25-ე თავამდე) და პოემას მისცა ის სახე, რომელიც მას დღესა აქვს.

პოემის ეს ბოლო რედაქცია ილიამ შემდეგ დაბეჭდა „ივერიაში“ 1881 წელს (№№ 2 და 3). მაგრამ პოემის „წვალება“ ცენზურის მიერ არც ახლა დასრულდა. ცენზურამ ახლაც ამოიღო პოემიდან მთელი რიგი ადგილები. სახელდობრ, პოემის მეორე ისტორიული ნაწილებიდან ამოშლილია ოთხი თავი (22, 23, 24, 25 თავები); ამას გარდა პოემის პირველი ნაწილიდან ამოღებულია ცალკეული ადგილები.

დასასრულ, 1892 წელს „აჩრდილი“ დაიბეჭდა ილიას თხზულებათა გამოცემაში. აქ აღდგენილია ის ადგილები, რომლებიც „ივერიაში“ არ დაბეჭდილა, გარდა 22 და 23-ე თავებისა, რომლებიც ცენზურამ არც 1892 წელს გაუშვა.

ასეთია ეს გრძელი თავგადასავალი „აჩრდილის“ ტექსტის ბეჭდვისა, რომელზედაც ჩვენ აქ იმისათვის შევჩერდით ასე დაწერილებით, რათა გვეჩვენებინა ის ყოვლად აუტანელი

საცენზურო პირობები, რომლებშიაც ილიას უხდებოდა მუშაობა. პოემა, როგორც ვნახეთ, მართლაც თითო სტრიქონობით ყოფილა გამოტაცებული ცენზურის ხელიდან.

აქ საჭიროა ამასთან ისიც აღვნიშნოთ, რომ ცენზურის წყალობით ჩვენ დღეს არა გვაქვს „აჩრდილის“ სრული ტექსტი. პოემის 22 და 23 თავები დაკარგულია. „აჩრდილის“ ბოლო რედაქციის პირველნაწერი ავტოგრაფები არ შენახულა, ხოლო ნაბეჭდ ტექსტში ეს ორი თავი, როგორც მოვიხსენეთ, ამოშლილია ცენზურის მიერ. რას შეიცავდა „აჩრდილის“ ეს ორი დაკარგული თავი, ამის შესახებ არავითარი პირდაპირი ცნობა არ შენახულა.



ამავე პერიოდს, 1872—1873 წლებს ეკუთვნის „გლახის ნაამბობის“ მეორე ნაწილის დამუშავება.

ჩვენ უკვე შევჩხეთ „გლახის ნაამბობის“ ტექსტის ისტორიას, რომლის პირველი რედაქცია, როგორც აღნიშნული გვქონდა, 1859 წელს ეკუთვნის.

პირველი ნაწილი „გლახის ნაამბობისა“, I—VI თავები, დაიბეჭდა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ 1863 წელს.

1863 წლის შემდეგ დაიხურა „საქართველოს მოამბე“, ილია პროვინციაში გადავიდა სამუშაოდ და „გლახის ნაამბობის“ მეორე ნაწილი ილიას შეუსრულებელი და გამოუქვეყნებელი დარჩა.

უფრო გვიან, როდესაც დაარსდა ჟურნალი „კრებული“, ილიას მიეცა საშუალება „გლახის ნაამბობს“ გამოქვეყნებისა და ილია შესდგომია მოთხრობის მეორე ნაწილის დამუშავებას. როგორც ირკვევა ილიას წერილებიდან, „გლახის ნაამბობის“ ეს მეორე ნაწილი ილიას შეუსრულებია 1872 წლის დეკემბერსა და 1873 წლის იანვარში.

„გლახის ნაამბობი“ მთლიანად დაიბეჭდა 1873 წელს ჟურნალ „კრებულის“ 1—3 ნომრებში.



1870-იან წლებს ეკუთვნის გამწვავება „მამათა და შვილთა“ ბრძოლისა, რაც ახალ თაობასა და ძველ ბანაკს შორის 60-იანი წლებიდან წარმოებდა.

1871 წელს ილიამ დაწერა ცნობილი „გამოცანები“, რომელშიაც სამარცხვინო ბოძზე გააკრა მთელი კონსერვატიული-რეაქციული ბანაკი „მამებისა“.

უშუალო მიზეზი „გამოცანების“ დაწერისა — ეს იყო თავადაზნაურობის კამარილიის მოქმედება იმპერატორის ილექსანდრე II-ის ჩამოსვლის დროს საქართველოში. თავადაზნაურობა ამზადებდა ადრესს იმპერატორის მისართმევად. თავადაზნაურობის ყრილობამ, რომელიც საგანგებოდ იყო მოწვეული ამ შემთხვევის გამო, დაადგინა — ახალთაობის ჯგუფის გავლენით — მოეთხოვათ უნივერსიტეტის გახსნა თბილისში, რის შესახებაც შედგენილი იქნა სათანადო მიმართვა. მაგრამ თავადაზნაურობის მარშალმა რევაზ ანდრონიკაშვილმა, მეფისნაცვლისა და თავადაზნაურთა რეაქციული ჯგუფის სურვილის თანახმად, გვერდი აუარა ამ დადგენილებას და წარადგინა სხვა ადრესი, სადაც, ნაცვლად უნივერსიტეტისა, მოთხოვნილი იყო კადეტთა კორპუსის გახსნა თბილისში...

ადრესის ისტორიამ, და საერთოდ იმ ლაქიურმა სულმა, რომელიც დატრიალდა თავადაზნაურობის მოთავე წრეებში იმპერატორის ჩამოსვლის გამო, გამოიწვია ილიას აღშფოთება. ილიამ გაბედულად გამოუცხადა ბრძოლა მთელ რეაქციონურ ბანაკს და თავის „გამოცანებში“ დაუნდობლად ამხილა ქვეყნის ორგულნი.

„გამოცანები“ ორ წყებად გამოქვეყნდა.

პირველ „გამოცანებში“ სამარცხვინო ბოძზე იყვნენ გაკრულნი:

რევაზ ანდრონიკაშვილი — მარშალი თავადაზნაურობისა, ერთ-ერთი მეთაური რეაქციონერთა დასისა;

გიორგი კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი, სენატორი (ავტორი წიგნისა „О существе крупных единиц“, სადაც იგი იმ აზრს იცავდა, რომ აუცილებელია პატარა ერების ასიმილაცია დიდი ერების მიერ);

ივანე კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი, ძმა პირველისა, ყოფილი გენერალი, დიდი მემამულე, ცნობილი რეაქციონერი;

პლატონ იოსელიანი — რომელსაც ილია რეაქციონერების ბანაკის თანამგრძნობლად სთვლიდა;

დიმიტრი ჯორჯაძე — კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი;

იასე ჭავჭავაძე — წევრი გუბერნიის სამმართველოსი;

ბესარიონ ღოღობერიძე, ყოფილი „ახალი აღთქმის კაცი“ („თერგდალეული“), რომელიც ერთხანად „ძველ თაობას“ მიემხრო, და რომელსაც ილია „ძველისა და ახლის შუა ჩატეხილ ხიდს“ უწოდებდა.

ილიამ ქვეყნის ორგულთა რიცხვში თუმცა არ გარია გრიგოლ ორბელიანი, მაგრამ მაინც ერთგვარი საყვედურით მოიხსენია იგი. გრიგოლ ორბელიანის შესახებ ილია წერდა მერვე „გამოცანაში“.

მოხუცია იგი ჯმუხი,
ბირად ბიდრი, ტანდაბალი,
საკმით წმინდა, გულმხურვალე,
სიტყვა-ტკბილი, ჭკვა-მაღალი.
ძველთაგანი ეგლა დარჩა
გრძნობით საცხე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთავე ხილია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყნა
ზოგჯერ ფეხებზე ჰკიდია.

„გამოცანების“ მეორე სერიაში („კიდევ გამოცანები“) მხილებულნი იყვნენ ქვეყნისა და ერის ორგულნი:

მიხეილ ლორის-მელიქოვი, იმ დროს თერგის ოლქის უფროსი, შემდეგ რუსეთის იმპერიის კანცლერი, რომელმაც, ილიას სიტყვით, „გრაფობისთვის ერი დაკლა“;

იოსებ თარხნიშვილი, გენერალ-ადიუტანტი, რომელზედაც ილია ამბობს — „ჯილდოსთვის ბევრი დაქსაქსა მან საქართველოს შეილია“ და რომელმაც, ილიას სიტყვით, ქართველ დედათა წყევლა დაიმსახურა;

მიხეილ თუმანიშვილი, ლიტერატორი, ჩინოვნიკი, რომელსაც ილია ძველების ლაქიად სთვლიდა, და რომელსაც ილიამ „ქართველი მალჩალინი“ უწოდა.

„გამოცანების“ ამ მეორე სერიის ბოლოში ილია ქებას შეახამს ძველი თაობის კეთილშობილ წარმომადგენელს დიმიტრი ყიფიანს, როგორც — ქვეყნის საკეთილოდ“ მოღვაწეს.

ილიას „გამოცანები“ — მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას უდრიდა. „გამოცანები“ ხელნაწერად ვრცელდებოდა.

„ჩვენში ძალიან ბევრი ახალი ამბებია, — სწერდა სერგეი მესხი კირილე ლორთქიფანიძეს, — ორი ისეთი ხელნაწერი პამფლეტი გამოვიდა აქ ამ დღეებში, რომელმაც მთელი ქალაქი შესძრა“...

ილიას ეს „გამოცანები“ 1871 წლის დეკემბერში დაიწერა და გავრცელდა.

ამის შემდეგ, 1872 წლის იანვარში გრიგოლ ორბელიანმა პასუხი გასცა ილიასა და ახალთაობას ლექსით: „პ ა ს უ ხ ი შ ვ ი ლ თ ა“.

ამის საპასუხოდ ილიამ დაწერა თავისი ცნობილი „პ ა ს უ ხ ი ს პ ა ს უ ხ ი“, სადაც ილიამ მალლა აღმართა ახალი თაობის დროშა და კვლავ შეუბრალებლად ამხილა „ძველების“ ბანაკი, რომელნიც ერის მომავალს „მკვდრის სუდარას“ აფარებდნენ.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან ისიც, რომ გრიგოლ ორბელიანი თუმცა „ძველების“ დამცველად გამოვიდა, მაგრამ სინამდვილეში იგი „ახლებთან“ უფრო ახლოს იყო, ვიდრე „ძველებთან“. როდესაც გრიგოლ ორბელიანს წაუკითხავს ილიას ლექსები, გრიგოლს უთქვამს: „არა, არა მწყინს, მამას არ უნდა ეწყინოს თავისი შვილისაგან. ერთი რამ მაწუხებს მხოლოდ: იქ, ზემოთ, მივა ეს ამბავი და არ ივარგებს, არავინ არ უნდა იცოდეს ჩვენი იღუმალი გულის ზრახვანი!“

ამრიგად, გრიგოლი ამ შემთხვევაშიაც ამქლავნებდა იმ გაუბედობას, რასაც ილია უსაყვედურებდა მას „გამოცანებში“. გაუბედობა ყოველ შემთხვევაში გამირობა არ არის... ხოლო ილია გაუბედობას ერის სამსახურის საქმეში — ლალატს ადარებდა.

* * *

ილიას, როგორც მოვიხსენეთ, მთელი წლების მანძილზე პროვინციაში მოუხდა ყოფნა. ილია პროვინციიდან თუმცა ხელმძღვანელობდა „ახალი თაობის“ საქმეს, მაგრამ მისი მუშაობა ძალზე შეფერხებული იყო. ილია მოწყვეტილი იყო დედაქალაქს, თავის წრეს; ილიას არ ჰქონდა თავისი საკუთარი ორგა-

ნო, ხოლო არსებული გამოცემები „კრებული“ და „დროება“ თუმცა ახალი ბანაკის ხელში იყო, მაგრამ ილია მაინც არ იყო კმაყოფილი იმდროინდელი სალიტერატურო საქმიანობით. ილია მეტს ესწრაფოდა, მეტს მოითხოვდა.

წერილში ჟურნალ „კრებულის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკის პეტრე უმიკაშვილისადმი ილია წერდა (1872 წლის სექტემბერს):

...ჩემი აზრი ეს არის: „კრებული“ უნდა არსებობდეს უსათუოდ. ვიცი ამ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩვენა ვართ, ძნელია მაგ „კრებულს“ ნოყიერი საზრდო მიეცეთ, რადგანაც ნიჭიერი მწერლები მაინც და მაინც არა გვყავს. იქნება მაგ „კრებულის“ საქმე რიგიანად წასულიყო, რომ მწერლებს ჟურნალს გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონდეთ, მაგალითად, რომ ქალაქში ერთი იმისთანა სახლი მოხერხებულიყო, საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვა თანამგრძნობელთა ერთად თავის მოყრა თვითეულის გონების საუნჯის აღებ-მიცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ არც ესა ხერხდება. მართალი ხარ შენ: დაფანტულობა და დაქსაქსულობა გვლუპავს ჩვენ...

„მწერ, მოახერხეო, როგორმე უეჭველად ქალაქში გადმოხვიდეთ. ეგ ჩემი გადმოსვლა ადვილია... მაგრამ ჩემს დამოუკიდებლობას ეგ რას უშველის, თუ კიდევ სამსახურში ვიქნები. მე უნდა სამსახურს გარეთ ვიყო. სამსახურის თავის დანებება ჩემთვის ამჟამად დიდი არაფერია, და თუ სამსახურიდან გამოვალ, მარტო იმისათვის, რომ ჟურნალი გამოვცე. ვფიქრობ, ვფიქრობ და ეგ გამოცემა ვერ მომიხერხებია. აი სრულიადი დაბრკოლება ჩემი, რომელიც ხელსა და ფეხს მიკრავს. თუ ორიოდ და სამიოდ რიგიანს (სად არიან?) მწერალზე იმედი მექნება, ანუ უკეთ მომეცემა, მაშინვე დავეკრავ ფეხს, გადავვარდები ბახტრიონ გალავანზედა“.

* * *

ილიამ თბილისში გადმოსვლა მოახერხა მხოლოდ 1873 წლისათვის.

ამ წელს საფუძველი ჩაეყარა ქართულ ბანკს, რომლის ორგანიზაციაში ილიამ უახლოესი მონაწილეობა მიიღო.

ბანკის დაარსების იდეა ეკუთვნოდა დიდ ქართველ მოღვაწეს დიმიტრი ყიფიანს. როგორც ცნობილია, საგლეხო რეფორმის ჩატარების დროს მთავრობამ შემამულეებს მისცა გარკვეული თანხა. დიმიტრი ყიფიანმა, რომელიც თავადაზნაურობის მარშლად იყო, დაითანხმა თავადაზნაურობის წრეები, რათა ამ თანხის ნაწილი არ დარიგებულიყო, არამედ გადადებულიყო ბანკის დასაარსებლად.

დადგენილება ბანკის დაარსების შესახებ გამოტანილი იყო ჯერ ისევ 1867 წელს, მაგრამ მისი ფაქტიური ორგანიზაცია მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, 1872—1873 წლებში დაიწყო, ილიას უშუალო მონაწილეობითა და მოთავეობით.

დიდ კამათს იწვევდა ქართულ წრეებში საკითხი, თუ რა სახის ბანკის დაარსება იყო საჭირო. საბოლოოდ ამ საკითხზე მიღებულ იქნა ილია ჭავჭავაძის წინადადებანი. ილიას დაევალა ბანკის წესდების დამუშავება.

ილიამ შეადგინა წესდება, რომელიც საბოლოოდ მიღებულ იქნა კიდეც.

თვით ილია ასე ახასიათებს ქართული ბანკის (საადგილმამულო ტიპის ბანკის) მის მიერ შედგენილი წესდების თავისებურებას:

„მისი ნიშნობლივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებიდან განარჩევს, ის არის, რომ ბანკის მოგება ხმარდება არა მარტო მიწათმფლობელთა, ესე იგი თავადაზნაურთა, არამედ მიწათმოქმედთა (გლეხთა) საერთო საჭიროებას“.

მეორე თავისებურება ბანკის წესდებისა, როგორც ამას აღნიშნავს ილია, შემდეგი იყო: „თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ერთადერთი ისეთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულიადაც უარყოფილია კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის“¹.

ილიამ ეს წოდებრივი დაწესებულება, სათავადაზნაურო ბანკი, ფაქტიურად გადააქცია ქართულ ეროვნულ ბანკად. მას

¹ იხ. ილიას ავტობიოგრაფია, გვ. 19.

შემდეგ, რაც ეს ბანკი დაარსდა და მისი მდგომარეობა განმტკიცდა, ბანკის შემოსავლით არსებობდა ყველა ძირითადი ქართული კულტურულ საზოგადოებრივი დაწესებულება. ბანკი თავის შემოსავლიდან დახმარებას უწევდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართულ თეატრს; ბანკი თავისი შემოსავლიდან ინახავდა ქართულ გიმნაზიას, წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლას და მთელ რიგ სხვა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

ასეთი დანიშნულება მიეცა ქართულ ბანკს ილია ჭავჭავაძის თაოსნობითა და მოღვაწეობით.



მას შემდეგ, რაც 1872—1873 წლების თათბირებზე ბანკის დაარსება გადაწყდა და ბანკის წესდების პროექტის დამუშავება საზოგადოებამ ილიას დაავალა, ილიამ თავი დაანება სამსახურს და დუშეთიდან თბილისში გადმოსახლდა.

1873 წლის დასაწყისი ილიამ მოანდომა ბანკის წესდების პროექტზე მუშაობას. 1873 წელს გამართულ საორგანიზაციო კრებაზე საბოლოოდ მიღებულ იქნა დადგენილება ბანკის ტიპის შესახებ ილიას წინადადებათა თანახმად. ამის შემდეგ ილია რუსეთში იქნა გაგზავნილი ბანკის წესდების სათანადო ინსტანციებში გასატარებლად და ამას გარდა საბანკო საქმის ტექნიკის გასაცნობად.

ილია რუსეთში გაემგზავრა 1873 წლის ზაფხულში. ილიას ნოუხდა მთელი წელიწადი დარჩენილიყო რუსეთში 1873 წლის ზაფხულიდან — 1874 წლის გაზაფხულამდე, რადგან წესდების გატარება სათანადო ინსტანციებში და მისი დამტკიცება გაძნელდა. საბოლოოდ წესდება დამტკიცებულ იქნა 1874 წელს.

ილია ჩამობრუნდა საქართველოში და შეუდგა ბანკის ორგანიზაციას. ბანკი გაიხსნა 1875 წელს. საზოგადო კრებაზე ილია აირჩიეს ბანკის თავმჯდომარედ. ამის შემდეგ ილიამ სრული 30 წელი დაჰყო ამ თანამდებობაზე და დიდი ენერგია შეაღია ქართული ბანკის საქმეს, რომელიც, როგორც მოვიხსენეთ, ილიას მუშაობის შედეგად გადაიქცა მთელ რიგ ქართულ კულტურულ-საზოგადოებრივ დაწესებულებათა არსებობის ბაზად.

1873—1874 წლებში, როდესაც ილია ბანკის საორგანიზაციო საქმეების გამო რუსეთში იმყოფებოდა, ილიამ წამოიწყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სალიტერატურო საქმე, საფუძველი ჩაუყარა შექსპირის ქართულად თარგმნას.

როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, შექსპირი, რუსთაველთან ერთად, ილიას უსაყვარლესი მწერალი იყო.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ილია გატაცებული ყოფილა შექსპირით. 1859 წელს, როდესაც ილია, სტუდენტი, ავადმყოფობის გამო, დროებით ჩამობრუნდა რუსეთიდან საქართველოში, ილიას თბილისში დაუდგამს ცოცხალი სურათები შექსპირის „მეფე ლირისა“, რომელშიაც მეფე ლირი თვით ილია ყოფილა.

შემდეგ, 1873 წელს, ე. ი. სწორედ იმ წელს, როდესაც ილია რუსეთში გაემგზავრა, იგი წერდა კრიტიკულ წერილს შექსპირისა და რუსთაველის შესახებ, რომელშიაც გაშლილი უნდა ყოფილიყო შექსპირის პამლეტისა და რუსთაველის ტარიელის სახეები¹.

ილია, როგორც მოხსენებული გვქონდა, რუსეთს გაემგზავრა 1873 წლის ზაფხულში და რუსეთში მთელი წელიწადი დაჰყო, 1873 წლის ზაფხულიდან 1874 წლის გაზაფხულამდე. ილიამ აქ იპოვა თავისუფალი დრო შექსპირზე სამუშაოდ. ილია პეტერბურგში გაეცნო ახალგაზრდა სტუდენტს ივანე მაჩაბელს, რომელიც ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა და ინგლისური ბრწყინვალედ იცოდა. იგი შეუდგა შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმნას ივანე მაჩაბლის დახმარებითა და თანამშრომლობით. ილია ამავე დროს შესდგომია ინგლისური ენის შესწავლას შექსპირის დედანში გასაცნობად. ილია სწერს თავის მეუღლეს ოლდას პეტერბურგიდან 1873 წელს 21 ნოემბრის თარიღით:

„...ჩემო კარგო!.. აქაური ამბავი რა მოგწერო: მე ინგლისუ-

¹ იხ. ცნობა ამის შესახებ ბარბარე თუმანიშვილის წერილში 1873 წლის 16 თებერვლის თარიღით (გამოქვეყნებულია ი. გრიშაშვილის მიერ), ილია ჭავჭავაძის საოუბილეო კრებული, 1939 წ., გვ. 82.

რი ენის სწავლას შევუდექი და შექსპირის ტრაგედიას კოროლირს ვსთარგმნი სხვასთან ერთად. აქედამ რომ მოვალ, ინგლისური მეცოდინება იმდენად, რომ სუბუქის თხზულების წაკითხვა შემეძლოს. სხვა არაფერი გასართობი არა მაქვს რა...“

ლირის თარგმანი 1873 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში უკვე ძირითადად დამთავრებული ყოფილა. ილია კმაყოფილი იყო ჩატარებული მუშაობით. წერილში 1873 წლის 19 დეკემბრის თარიღით ილია შემდეგსა სწერს თავის მეუღლე ოლღას:

„ვერ წარმოიდგენ ჩემს უბედურს და უგემურს გარემოებას. ვგდივარ დილიდან საღამომდე შინ და თუ გავალ, ისიც სასიერნოდ. იმ დღეს გიორგი შერვაშიძესთან ვიყავი, აი მთავრის შვილი რომ არის. ამას წინათ თითონ მოვიდა და მთხოვა, — შექსპირის ტრაგედია, კოროლირი, რომელიც ქართულად ანგლიურიდამ გადავთარგმნეთ, წაგვიკითხეო. წავედი წასაკითხავად, კარგა ბლომა ხალხი იყო და ძალიან მოიწონეს... ვერ წარმოიდგენ, რა რიგად კარგად გადმოვიდა ქართულს ენაზედ. არც ერთი რუსული თარგმანი ქართულს არ შეედრება... შენ ხომ იცი, ჩემი ნაჯღაბის ქება მე თვითონ არ მიყვარს, მაგრამ ასეთი თარგმანია, რომ არ ვაქო, ცოდვა იქნება. აქაური ყმაწვილკაცობა მაგ თარგმნისათვის გაგიჟებულია და აღტაცებაში მოსული“.

ილია, რომელიც საერთოდ დიდად თავდაჭერილი იყო თავისი ლიტერატურული საქმიანობის შეფასებაში, ასეთი აღტაცებით ლაპარაკობს ლირის თარგმანზე, ლაპარაკობს ისე, როგორც მას არასოდეს არ ულაპარაკნია არც ერთი თავისი ნაწარმოების შესახებ. აქედან ჩანს, თუ როგორის განსაკუთრებულის გატაცებით უმუშავნია ილიას შექსპირის თარგმანზე, ილიას ამისათვის გაუმეტნია თავისი დიდი ტალანტის ძალა.

„მეფე ლირის“ თარგმანი ილიას და ივანე მაჩაბელს დაუმთავრებიათ 1874 წლის 1 იანვარს. წერილში თავის მეუღლე ოლღასადმი ილია წერს:

„აქამდინ ჩვენს თარგმნილს ლირს (პირველ ნაწილს) წაიკითხავდი. მომწერე, როგორ მოგეწონა... სწორედ ახალი წლის პირველ დღეს სრულად გავათავეთ თარგმანი“.

ასეთია ისტორია „მეფე ლირის“ თარგმანისა, რომლითაც ილიამ, ივანე მაჩაბელთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა შექსპირის გადმოქართულებას და რაც შემდეგ ასე ბრწყინვალედ განაგრძო ივანე მაჩაბელმა.



მას შემდეგ, რაც ილია აირჩიეს ქართული ბანკის თავმჯდომარედ 1875 წელს, მან მთელი 1875 წელი და 1876 წლის პირველი ნახევარი ბანკის — ამ ახალი საქმის — ორგანიზებას მოანდომა.

მხოლოდ 1876 წლის ნახევრიდან ილიამ შესძლო მოეცალა იმისათვის, რომ შესდგომოდა მთავარი საქმის — თავისი ძველი განზრახვის განხორციელებას, — პერიოდული ორგანოს გამოცემას.

1876 წლის ივნისში ილიამ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ მიეღო ნებართვა ყოველკვირეული გაზეთის გამოცემისა ფართო პროგრამით.

1876 წლის სექტემბერში ილიამ მიიღო ნებართვა გამოეშვა 1877 წლიდან თბილისში პოლიტიკურ-ლიტერატურული ყოველკვირეული გაზეთი „ი ვ ე რ ი ა“.

VII

„ივერიის“ პირველი პერიოდი

(1877 — 1885 წლები)

ილიას ახალი ორგანო „ი ვ ე რ ი ა“ გამოვიდა 1877 წლის 1 იანვარს.

პირველ ორ წელიწადს, 1877—1878 წლებში, „ივერია“ გამოდიოდა კვირეული გაზეთის სახით.

1879 წელს „ივერია“ გადაკეთდა თვიურ ჟურნალად და მომდევნო შვიდი წელიწადი, ვიდრე 1886 წლის იანვრამდე, „ივერია“ ჟურნალის სახით გამოდის.

აქ საკვირაო აღვნიშნოთ ამასთან, რომ დასახელებული წლების მანძილზე ილიას ორგანო „ივერია“ და გაზეთი „დროება“ (რომელიც ჯერ სერგეი მესხის, ხოლო შემდეგ ივანე მაჩაბლის რედაქტორობით გამოდიოდა) წარმოადგენდა ერთ პროგრესულ

ფრონტს. ეს ორი ორგანო, „ივერია“ და „დროება“, ერთხანად რედაქციულადაც გაერთიანებული იყო¹.



დასახელებული პერიოდის მანძილზე (1877—1885 წწ.). ილია უმთავრესად პუბლიცისტურ-საყურნალო მოღვაწეობას იწევა.

ამავე პერიოდში ილიამ შექმნა მთელი რიგი ნაწარმოებები მხატვრული ლიტერატურის დარგში.

1877—1878 წლებშია დაწერილი ილიას ისტორიული პოემა „ღ ი მ ი ტ რ ი თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი“. ამ პოემაში ილიამ სამშობლოსათვის თავდადების უკეთილშობილესი გრძნობა გამოხატა.

მომდევნო 1879 წელს ეკუთვნის ილიას მოთხრობა „ს ა რ ჩ ო ბ ე ლ ა ზ ე დ“. ილიას ეს პატარა მოთხრობა ერთი უძლიერესი ნაწარმოებთაგანია, რომელიც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ დაწერილა. მოთხრობაში დახატულია შესანიშნავი სახე ქართველი გლეხისა.



1882—3 წლებში ილიამ დაწერა პოემა „გ ა ნ დ ე ვ ი ლ ი“. „განდეგელი“ ილიას ერთი უდიადესი პოეტური ქმნილება-

¹ სახელდობრ, 1880 წლის იანვრიდან — ვიდრე 1881 წლის ნოემბრამდე ჟურნალი „ივერია“ და გაზეთი „დროება“ გამოდიოდა ილიას და სერგეი მესხის საერთო რედაქციით;

1881 წლის ნოემბრიდან ილიამ გაზეთ „დროების“ რედაქტორობა სერგეი მესხს გადასცა, ხოლო „ივერია“ ისევ ილია ჭავჭავაძის და სერგეი მესხის საერთო რედაქციით გამოდის;

1882 წლის იანვრიდან „ივერიის“ თანარედაქტორად სერგეი მესხის ნაცვლად ილიამ მოიწვია ივანე მაჩაბელი, და 1883 წლის მაისამდე „ივერია“ გამოდის ილიას და ივანე მაჩაბელის საერთო რედაქციით;

1883 წლის მაისიდან — 1885 წლის დამლევამდე ილია ერთპიროვნული რედაქტორია „ივერიისა“, ხოლო ივანე მაჩაბელი რედაქტორობს „დროებას“ (მას შემდეგ, რაც სერგეი მესხმა ავადმყოფობის გამო თავი დაანება „დროების“ რედაქტორობას).

თავანია, რომელიც ამშვენებს მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურას.

პოემა უნივერსალური დიაპაზონისაა. პოემაში გაშლილია პრობლემა ცხოვრების მიღებისა და არმიღებისა.

აქ ერთი მხრივ დახატულია სახე **გ ა ნ დ ე გ ი ლ ი ს ა**, რომელსაც —

განუდევნია გულიდან ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,

რომელიც განშორებია ამქვეყანას —

ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი,
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი,
სად რყვნა, წაწყმედა და ლალატია,
სადაც ძმა ჰხარობს სისხლსა ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა, ძულეზადა ხდის
წმიდა სიყვარულს მოყვასისასა;
განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა.

მეორე მხრივ პოემაში მწყემსი ქალის სახით განსახიერებულია თვით სიცოცხლე თავისი უკვდავი ძლევამოსილებით.

პოეტმა დაჰგმო ცხოვრებისაგან განდგომა იმის გამო, რომ ცხოვრება ბოროტების სამეუფო არისო; ბოროტება ეს არ არის მარადისი, მარადისია მშვენიერება და სიკეთე.

მშვენიერება ასხივოსნებს ქვეყანას, სიკეთე სძლევს ბოროტს, სიცოცხლე იმარჯვებს სიკვდილზე.

ასეთია იდეათა ის სამყარო, რომლითაც შთაგონებულია „განდევნილი“.



1883 წელს ილიამ დაწერა „ბ ა ზ ა ლ ე თ ი ს ტ ბ ა“. იგი არის ერთგვარი ბოეტური ანდერძი ილიასი. ლექსი გაციკროვნებულია ერის მომავალი აღდგომის იმედით.

ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო
და მის გარშემო წყლის ქვეშე
უცხო წალკოტი ჰყვავისო...

ბოეტი კითხულობს:

იქნებ აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?

და პოეტი მიმართავს ქართველ ვაჟკაცს და ქართველ დედას:

თუ ესე არის, ნეტა მას
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!
თუ ესე არის, ნეტა მას
დედასა სახელდებულსა,
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა!

ამ ლექსში პოეტმა, ერის გულის მესაიდუმლემ, გამოხატა ხალხის ზრახვა, ხალხის იმედი.



მას შემდეგ, რაც ილიამ 1877 წელს დააარსა „ი ვ ე რ ი ა“, იგი ნაკლებ იცლიდა მხატვრული შემოქმედებისათვის. თუმცა 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში ილიამ შექმნა ისეთი შედეგები მხატვრული ლიტერატურის დარგში, როგორც არის „გ ა ნ დ ე გ ი ლ ი“ — პოეზიაში და „ს ა რ ჩ ო ბ ე ლ ა ზ ე ლ“ — პროზაში, მაგრამ დასახელებული პერიოდის მანძილზე, 1877—1885 წლებში, ილია, როგორც მოვიხსენეთ, უმთავრესად პუბლიცისტურ-საჟურნალო მოღვაწეობას ეწევა.

ილიას პუბლიცისტური ნაწერებიდან დასახელებულ პერიოდში მთავარია საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების „მატიანე“, „შინაური თვითური მიმოხილვები“, რომლებიც იბეჭდებოდა ჟურნალ „ივერიაში“ 1879 წლის იანვრიდან მოკიდებული ვიდრე 1885 წლამდე. სულ ამ ხნის მანძილზე „ივერიაში“ დაიბეჭდა 30 შინაური თვითური მიმოხილვა (ამას გარდა ერთი წლიური მიმოხილვა — 1879 წლისა — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“).

ეს მიმოხილვები — ახალ ეპოქას აღნიშნავს ქართული პუბლიცისტიკის ისტორიაში.

თვით ილია სამართლიანად შენიშნავდა ერთ-ერთ მიმოხილვაში:

„შინაური მიმოხილვისთანა ჩვენში ძნელი საქმე ჩვენებურს მწერალს არა აქვს, იმიტომ, რომ ჩვენში შინაური საქმე ისეთი საგანია, რომლისთვისაც ჯერ ხელი სხვას არავის უხლია, რომელზედაც არავითარს მსჯელობას, არავითარს მოსაზრებას, არავითარს დასკვნას სხვა ქვეყნების ლიტერატურაში ვერ იხახულებთ, პირდაპირ და მოჭრით, რომელზედაც, მაშასადამე, გინდათ თუ არა, თქვენი აზრი უნდა იქონიოთ, და რომელიც თქვენის საკუთარის ზომით უნდა გაზომოთ... ერთის სიტყვით, ჩვენი შინაური საქმეები ჯერ კიდევ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, რომელიც უნდა ჩვენ თითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოვიზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში გამოვაცხოთ... ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, ვითომც ჩვენი შინაური საქმეები ისეთის განსაკუთრებულის თვისებებისა იყოს, რომ სხვა ხალხთა ნაცადი, ნაკვალევი, ნააზრევი, არასგზით არ მიუდგებოდეს, სხვისი აზრით ჩვენი საქმე არ აიხსნებოდეს. ამ შემთხვევაში უფრო ხშირად პო ითქმის, ვიდრე არა, იმიტომ რომ ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედებენ. ეს რომ არ იყოს, თითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა მისი, რომ კრებაა ზოგადის კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებოდა. მაგრამ მინამ ჩვენს საკუთარს ჭირს სხვისგან ნაცად წამალს შევურჩევდეთ, ჯერ თვითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ — რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე გაზომილი უნდა გვქონდეს,

მისი სიმძიმე აწოხილი, ერთის სიტყვით ეს ჭირი თავიდან ფეხებამდე ჩვენ მიერ ცნობილი და გაგებული უნდა იყოს¹.

არ არის არც ერთი მხარე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, არც ერთი საჭირობოროტო საკითხი, წამოყენებული ცხოვრების მიერ, რომელსაც არ შეეხებოდეს ილია თავის შინაურ მიმოხილვებში.

მთელი რიგი მიმოხილვები — ეს არის საპროგრამო წერილები, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების პროპაგანდას ემსახურება, „ჩვენის დაცემის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან“, — აი საგანი, როგორც ამბობს თვით ილია, რომელსაც ისახავს იგი თავის წერილებში².

გარდა „შინაური მიმოხილვებისა“ ამავე პერიოდს ეკუთვნის ილიას პოლიტიკურ-ეკონომიური ნარკვევები: „ცხოვრება და კანონი“ (1877—1881 წწ.), „ხიზნების საქმე“ (ნარკვევი პირველი, 1880 წ.), აგრეთვე მთელი რიგი სხვა პუბლიცისტური და საჟურნალო წერილებისა.



1877 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა კერძოდ საკითხი საქართველოს ძველი ისტორიული მიწებისა, რომლებიც ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული.

ილიამ ამ საკითხს უძღვნა წერილი „ოსმალის საქართველო“ (1877 წ.). ამ შესანიშნავ წერილში ილია ეხება ისტორიის ერთობის ფაქტორის მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში და აღნიშნავს იმ განუყრელ კავშირს, რომელიც არსებობს დედა-საქართველოსა და მისგან ხელოვნურად მოკვეთილს, მტრის მიერ მიტაცებულ ოსმალის საქართველოს შორის. ილია წერს:

„ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია სა-

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. VI, 1927 წ., გვ. 69—70.

² იხ. იქვე, გვ. 127.

განძე, საცა ერი პოულობს თავის სულის ღონეს, თვისის სულის ბევრას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას... ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლა, ერთსა და იმავე ჭირსა და ღზინში გამოტარებული — ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იღუმალის შემსკვალება, იღუმალის მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იქექოს დაძინებულმა ისტორიამ, და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენი და ოსმალეთის საქართველო“.

ქართველმა ხალხმა დიდი მსხვერპლი გაიღო ოსმალეთთან ომის დროს, 1877—1878 წლებში. უნდა აღინიშნოს ამასთან, რომ დიდმპყრობელურად განწყობილს სახაზინო პრესაში ეს ღვაწლი და თავდადება ქართველი ხალხისა (ისევე როგორც ღვაწლი ყველა „ინოროდცებისა“) სავსებით მიჩქმალულ იქნა.

როდესაც ოსმალეთთან ომის დასრულების შემდეგ შემოერთებულ იქნა ოსმალის საქართველოს ნაწილი (ბათუმი, ართვინი, არტაან-ოლთისი), ილია წერდა „ივერიაში“ დაბეჭდილ შინაურ მიმოხილვაში (1879 წ. იანვარი):

„ჩვენი ძმები, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, დღეს ჩვენ შემოგვეერთდა... წარსულმა ომმა ბევრი სისხლი დანთქა ქართველობისა, ბევრმა ვაჟაკმა დასდო თავი, ბევრმა დაღვარა სისხლი, ბევრმა ჩვენმა აფიცრობამ თავისი ყმაწვილკაცობის დღენი დალია ამ ომში, ბევრი დაიხოცა სახელოვანის სიკვდილით და მათი სახელი არც კი არავინ ახსენა და აღიარა... თქვენ, საცა ჭირი იყო, პირველნი იყავით, და საცა ღზინი იყო, უკანასკნელნი... სახელი და დიდება თქვენც, რომელნიც ბედმა სიკვდილისაგან გიხსნათ, რომელთაც აჩვენეთ ქვეყანას, რომ ვაჟაკობა ქართველობისა უქმი სიტყვა არ არის... თქვენც თქვენთა თავდადებულ ძმათაებრ ჭირში პირველნი იყავით და ღზინში უკანასკნელნი ხართ... თქვენი სახელი და დიდება სხვამ გაისაკუთრა, სხვამ დაინარჩუნა, იმითი მაინც ინუგეშეთ, რომ ამ ომმა,

საცა ამოდენა მსხვერპლი მოიტანა ქართველობამ, ამოდენა ძალ-გული და ვაჟკაცობა გამოიჩინა, ამ ომმა ამდენის ხნის დაშორებულნი ძმანი ისევ ერთმანეთს შეგვეყარა... ამ დიდს საქმეს ძმათა შეერთებისას სისხლში ამოვლებულმა ბედმა ჩვენი სისხლის შესაწირავი!..“

„ნუთუ უსისხლოდ ჩვენ ბედი არას გვითმობს?“ — მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს ილია ამ წერილში.

მას შემდეგ, რაც საქართველოსთან შემოერთებულ იქნა საქართველოს ძველა ისტორიული მიწების ეს ერთი ნაწილი, მათ შორის აჭარა-ქობულეთი, რომელმაც, მიუხედავად ოსმალეთის ხანგრძლივი ბარბაროსული რეჟიმისა, შეინარჩუნა თავისი მშობლიური ქართული დედა-ენა და ქართული ეროვნული სახე, — ილია უახლოეს მონაწილეობას ღებულობს ამ მხარის ბედში.

ილიას და სხვა ქართველი მოღვაწეების მოწოდების შედეგად ქართველმა საზოგადოებამ დიდი დანხარება აღმოუჩინა ომის დროს დაზარალებულს აჭარა-ქობულეთის მოსახლეობას.

ხოლო როდესაც დაიწყო ეგრეთწოდებული „მუხაჯირობა“, აჭარა-ქობულეთის ქართველობის ნაწილობრივი გადასახლება თავისი მიწა-წყლიდან, ილია დიდი მამხილებელი ძალის წერილით გამოვიდა ცარისტული ხელისუფლების, თვითმპყრობელობის რეჟიმის წინააღმდეგ.

„ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავენ ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართული სახელმწიფოსათვის, — წერს ილია — მართო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მართო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე... საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფულუროა, ფუყყა, ლახათიანი ქარის შემობერვა და იმისი გადაქსხვევა ერთია...“

„...კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, — განაგრძობს ილია, — შეადგენს ერთს იმისთანა უპირველეს და აუცილებელ საჭიროებას,

ურომლისოდაც მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედ-მისევაა, თავზარია ხალხისათვის...”

ილიას ეს წერილი, რომელიც თვითმპყრობელობის რეჟიმის ასეთს მკაცრს მხილებას შეიცავდა, ცხადია, ცენზურის მიერ დაჩეხილი, დაზიანებული სახით დაიბეჭდა (იხ. „ივერიაში“ დაბეჭდილი ილიას „მინაური მიმოხილვა“, 1879 წელი, თებერვალი).

დასასრულ, დაგვრჩენია ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ილია საქართველოს ისტორიული მხარეების — მესხეთისა და ლაზეთის — საქართველოსთან გაერთიანების, და საზოგადოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეს, — უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა. ამ საკითხს არაერთგზის შეხებია ილიას ორგანო „ივერია“ მთელ რიგ წერილებში.

* * *

1882 წელს ცარისტული თვითმპყრობელობის რეაქციული პრესის ცნობილმა მეთაურმა, „მოსკოვსკი ვედომოსტის“ რედაქტორმა კატკოვმა გამოილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ და სცადა შეურაცხყოფა მიეყენებინა თვით ქართველი ერის ღირსებისათვის.

ილიამ გამანადგურებელი პასუხი გასცა კატკოვს.

საბაბი კატკოვის ამ უღირსი გამოლაშქრებისა შემდეგი იყო.

1882 წელს თბილისის სცენაზე დაიდგა დავით ერისთავის „სამშობლო“, რომელსაც საზოგადოება დიდი აღტაცებით მიეგება. როდესაც სცენაზე გაშალეს ქართული დროშა, საზოგადოება ფეხზე წამოდგა და ოვაციით მიეგება ქართველი ხალხის ეროვნულ ემბლემას. დარბაზში გაისმა ქვითინი.

კატკოვის ორგანომ „მოსკოვსკი ვედომოსტმა“, სადაც დაიბეჭდა საზიზღარი ცინიზმითა და ბეზღობით აღბეჭდილი კორესპონდენცია „სამშობლოს“ წარმოდგენის გამო, სასაცილოდ აიღო ქართული დროშა და თვით ქართველი ხალხი. „მოსკოვსკი ვედომოსტი“ წერდა: თავი დაანებეთ ქართველებმა ბოდვას რაღაც წარსულზე, ხოლო თქვენი დროშა გირჩევთ ცირკს მიჰყიდოთ, იქ ტაკიმასხარები უკეთ გამოიყენებენ თქვენ დროშას, ვიდრე თეატრშიო.

ამ წერილმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ქართველ ხალხში და ილიამ ღირსეული პასუხი გასცა კატკოვსა და მის ხროვას.

ილია უწინასწარმეტყველებდა ცარისტულ თვითმპყრობელობას, რომ მახეზღარობის ის სული, რომლითაც აღბეჭდილია ეს წერილი და საერთოდ მთელი რეაქციული პრესა, მაჩვენებელია იმისა, რომ ცარისტული რეჟიმი დამპალია, მისი წყობილება შერყეულია და აღსასრულიც მოახლოებულიაო.

ილია წერდა:

„უბედურობა რომელიმე ერისა, დიდი ერია თუ პატარა, სხვათა შორის ისიც არის, როცა პოლიტიკურ ბეზღობას — დიდი ავალა მიეცემა, ფართო გზა გაეხსნება... მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საზოგადოების წყობას საძირკველი შერყევიაო და აღსასრული მოახლოვებულიაო.“

„როცა ლიტერატურა, — ეგ ადამიანის ჭკუისა და ზნეობის საგანძე, — შეიკედლებს მაგ საძაგლობას, როცა მახეზღარს თავის კარს გაუღებს ხოლმე, მაშინ თვით საზოგადოების გახრწნილობა ცხადია და სულთმობრძობა მისი წყობისა უეჭველია.“

„ყველაზე საშიშარი და საზიზღარი ბეზღობა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს, თავის გულისნადები, სულის წყურვილი საქვეყნოდ გამოჰფინოს... მახეზღარს ყოველივე იარაღი ხელში აქვს და დაბეზღებული კი იარაღაყრილია...“

„ეს ოციოდ წელიწადია, — განაგრძობს ილია, — რაც ბეზღობამ ენა ამოიდგა რუსეთში ბ-ნ კატკოვის და მისი კომპანიის წყალობითა და მხნეობითა... დამქაშების წყალობით ბ-ნს კატკოვს დიდი ბადე აქვს გაბმული რუსეთის სანაპირო ქვეყნებში... რაც კი უწმინდურება მოგუბდება ხოლმე მისი დამქაშების უწმინდურს გულში, სულ ერთიანად სანაპირო ქვეყნებიდამ მოედინება ბ-ნ კატკოვისაკენ და შესაფერის სურნელებით გროვდება იმ თავახდილ და პირმოხეულ აუზში, რომელსაც „Московские ведомости“ ჰქვიათ... ჩვენს საქართველოზედაც არაერთხელ გამოუღლაშქრებია ბ-ნ კატკოვს...“

ქართული დროშის შეურაცხყოფის გამო ილია წერდა:

„გაცვეთილი კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრეთ უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკველად დაცვისათვის არამცაუე ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზედ სიკოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია, — იმის ეგრეთ უკადრისად ხსენებას, არ ვიცი თუ რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებაში შევრაცხოთ.“

„ეგ დროშა, რომელიც ეგეთის სასოებით და პატივით უტარებია იმოდენა ხანს ქართველს, ეგ დროშა, რომლითაც წინ დახვედრია მოზღვავებულ თათრობას და მუსულმანობას... ძლევამოსილობით ომიდამ გამოუტანია და დაუმკვიდრებია კავკასიაში, ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგაშომეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისწლი უთხევია მამულისათვის, — დღეს ეგ დროშა საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვილაცა კორესპონდენტმა და ბ-ნმა კატკოვმა ბანი მისცა...“

ილია ამთავრებდა წერილს სიტყვებით:

„თუ ჩვეულებრივმა გრძნობამ მართებულობისამ არ შეაყენა ბ-ნი კატკოვი, იმას მაინც უნდა მოჰკრიდებოდა, რომ უპატიურად ხდის მთელ ერს, რომელიც შექტარებია რუსეთის მარტო თავის პატიოსნების და ღირსების დასაცველად. თვით ბარბაროსიც კი არ იკადრებდა ეგრეთ გაუპატიურებას მთელის ერისას. ნაშ ბარაქალა კატკოვს და მის მომხრეებს, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროსიც კი ითაკილებდა. ესლა დაგვრჩა ნუგეშად მის იმედისა დიდისა?“¹.

ასეთი იყო ილიას ეს ღირსეული პასუხი თვითმპყრობელობის შავრაზმული პრესის ამ გამოლაშქრების გამო ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ შავრაზმელთა წრეების მიერ ქართველი ხალხის წინააღმდეგ ამ გამოლაშქრების დროს ქართველ ხალხს სოლიდარობა გამოუცხადა რუსეთის

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. IX, 1928 წ., გვ. 3—10.

პროგრესულმა პრესამ. ილიას შემდეგ კატკოვსა და მის ხროვას
პასუხი გასცა ცნობილმა რუსმა პუბლიცისტმა ნ. მიხაილოვსკიმ.

ოთხმოციან წლებში ილიას უხდება დიდი ბრძოლის წარმო-
ება ქართული ენის უფლებების დასაცავად სკოლებში.

კავკასიის სასწავლო ოლქის უმაღლესმა ხელისუფლებამ
განიზრახა ერთი კალმის მოსმით სრულიად გაძევება ქართული
ენისა სკოლებიდან. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა
იანოვსკიმ 1881 წელს გაატარა კიდევ სათანადო ღონისძიება
სახალხო სკოლებში.

ილია სასტიკად შეებრძოლა იანოვსკისა და მისი დამქაშების
ამ სასკოლო პოლიტიკას. წერილებში, რომლებიც ილიამ
უძღვნა ამ საკითხს „ივერიისა“ და „დროების“ ფურცლებზე,
ილია ნიღაბს ხდის ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის
მთელ სიმახინჯეს.

„ჩვენ რომ ეგრე დაყინებით და უკან-დაუხვევლად ვთხოუ-
ლობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სას-
წავლებელში, — ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვ-
დის, — წერდა ილია, — ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტო-
მაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად
შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ
არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დანშვისა, დათრგუნვისაა,
გათახსირებისაა...“

ილიას სტატია „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“ (რომელიც
საეცენზურო პირობების გამო შეკვეცილად დაიბეჭდა) — პედა-
გოგიური მეცნიერების ბრწყინვალე ნაწარმოებს წარმოადგენს.

დაგვრჩენია შევნიშნოთ, რომ ილიას ეს ბრძოლა უშედეგოდ
არ დარჩენილა; ის მინიმალური უფლებები, რომელიც ქარ-
თულ ენას შერჩა სახალხო სკოლებში, — შედეგი იყო იმ თავ-
გამოდებული და შეუნელებელი ბრძოლისა ქართული ენის
უფლებებისათვის, რომელსაც აწარმოებდა ილია, და ილიასთან
ერთად მისი თანამოღვაწე იაკობ გოგებაშვილი.

იმავე ოთხმოციან წლებში ცარისტულმა ხელისუფლებამ სხვა მხრივაც მოიტანა იერიში ქართველ ხალხზე.

თვითმპყრობელობის აგენტები შეეცადნენ ზიანი მიეყენებინათ ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობისათვის იმით, რომ განიზრახეს ქართული ენის განდევნა სამეგრელოს სკოლებიდან და ნაცვლად მთელი ქართველი ხალხის საერთო ზოგადი ქართული ეროვნული სალიტერატურო ენისა — ადგილობრივი კუთხურა დიალექტის შემოღება როგორც სკოლაში, ისე ეკლესიაში.

1884 წლის 11 იანვარს იმავე ცნობილი იანოვსკის ხელმოწერით გამოცემულ იქნა საგანგებო დადგენილება ქართული ენის აკრძალვის შესახებ სამეგრელოს სკოლებში.

მტრების ამ ვერაგულ განზრახვას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია სამეგრელოს ხალხმა. ხალხის აღშფოთებული პროტესტისა და ერთხმივი წინააღმდეგობის შედეგი იყო, რომ მტრები იძულებულნი გახდნენ ხელი აეღოთ თავის განზრახვაზე.

ამ ბრძოლაში საქართველოს მტრებთან ზურგს უმაგრებდა საქართველოს ამ მხარის ხალხსა და მის მოწინავე ძალებს — ილია, და ილიასთან ერთად მთელი დასი მოღვაწეებისა, მათ შორის პირველ რიგში დიმიტრი ყიფიანი და აკაკი წერეთელი.

თვითმპყრობელობის მოსყიდული აგენტი თადა აშორტია ერთ თავის საიდუმლო „დონოსში“ ატყობინებდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს იანოვსკის:

«...В Сенакском дворянском училище собираются почти ежечасно: Дмитрий Кипнани, которого уже выселили, Илья Чавчавадзе, Акакий Церетели и другие, и решают вопрос, как возмутить народ против циркуляра от 11 января 1884 года».

„სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში თითქმის ყოველთვიურად იკრიბებიან დიმიტრი ყიფიანი, რომელიც უკვე გადაასახლეს, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები, და არჩევენ საკითხს, თუ როგორ ააღელვონ ხალხი 1884 წლის 11 იანვრის ცირკულარის საწინააღმდეგოდ“ (ე. ი. ქართული ენის სამეგრელოს სკოლებში აკრძალვის შესახებ)¹.

¹ იხ. თადა აშორტიას პატაკი სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკი-სკოლაში, ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი 422, საქ. 289, ფ. 15—16 (საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 229—230).

ილიამ 1885 წელს მოიარა სამეგრელო. ილია უდიდეს აღფრთოვანებას გამოსთქვამდა იმ მედგარი წინააღმდეგობის გამო, რომელიც საქართველოს ამ მხარემ ხალხის მტრებს გაუწია.



ილია ქაქავაძე, ბელადი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა საქართველოში, ცარიტულ ხელისუფლებას, როგორც ეს ირკვევა ჟანდარმერიის მასალებიდან, საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ აუყვანია 80-იანი წლებიდან.

საიდუმლო მეთვალყურეობის დაწესება გადაუწყვეტიათ — პეტერბურგში, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დეპარტამენტში 1884 წლის 21 ივნისს, რის შესახებაც საპოლიციო დეპარტამენტს უცნობებია თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოსათვის.

თავის მხრივ თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი საიდუმლო მომართვაში თბილისის გუბერნატორისადმი 1884 წლის 13 ივლისის თარიღით წერდა შემდეგს:

«По распоряжению Департамента полиции учрежден негласный надзор полиции над служащими в Тифлисском дворянском поземельном банке кн. Ильей Григорьевичем Чавчавадзе и сыном коллежского секретаря Игнатием Описимовичем Иоселиани, как за лицами сомнительной благонадежности.

О чем сообщая, имею честь покорнейше просить распоряжения Вашего превосходительства об учреждении вышесказанного надзора за поименованными лицами, и о всякой перемене места жительства их не оставить уведомлением»².

ეგნატე იოსელიანი (1843—1926 წ.), რომელზედაც ილია ქაქავაძესთან ერთად დაუწესებიათ საიდუმლო მეთვალყურეობა, — ცნობილი ხალხოსანი რევოლუციონერია. ხალხოსანი მწერლის სოფრომ მგალობლიშვილის დახასიათებით ეგნატე იოსელიანი „ჩვენი მიმართულების ლიდერი, გზის მაჩვენებელი იყო“. ეგნატე იოსელიანი ორჯერ იყო გადასახლებაში.

პოლიციის ეს საიდუმლო მეთვალყურეობა ილიაზე, დაწე-

² იხ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი 17, საქ. 140, ფ. 1—8 (საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 212—214).

სებული 1884 წელს უვადოდ („ნაჲ სოკუ“ — როგორც აღნიშნულია დოკუმენტებში)¹, გაგრძელებულა ილიას მთელი სიცოცხლის მანძილზე, ვიდრე 1907 წლამდე, ილიას მოწამებ-რივ სიკვდილამდე.



ოთხმოციანი წლების დასაწყისში, 1882 წელს, ილიას დიდ თანამოღვაწეს აკაკი წერეთელს შეუხრულდა სალიტერატურო ნოღვაწეობის მეოთხედი საუკუნე.

ილია წერილში, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა (1882 წელს, სექტემბერს), გულმხურვალედ მიესალმა თავის თანა-მოღვაწესა და თანამებრძოლს. ილია აღნიშნავდა აკაკის დიდ ღვაწლს სამშობლოს წინაშე, აკაკისა, რომელიც, როგორც ამ-ზობს ილია, — „ტკბილის და გრძნობიერების სიტყვით ამ ოცდახუთს წელიწადში ატკობდა ქართველის ყურს, აფხიზ-ლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს საყვარულისათვის“. სამშობლოსადმი სიყვარ-ულის აღორძინებისათვის, წერს ილია, — „აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკვნესებია თავისი ტკბილი ქნარი, უმოქმედე-ბია თავის მზრუნველი ნიჭიერება, თავისი მარილიანა სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართული“.

აკაკიმ 1882 წელს იმოგზაურა ქართლსა და კახეთში. გორსა და თელავში გამართულ საღამოებზე საზოგადოება აღფრთოვა-ნებით შეხვდა საყვარელ პოეტს. „საცა წავიდა ბატონი აკაკი, — წერდა ილია, — წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გაღონი-ერებული სიყვარული საქართველოსი და ქართველსა, წინ დახვდა გულწრფელის პატივისცემითა და მადლიერებით აღსავ-სე გულითა“.

ილია ეხება პატრიოტულ სიტყვას, რომელიც აკაკიმ 1882 წელს წარმოსთქვა თელავში; ილია წერს:

„ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ.

¹ იხ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი ფონდი 17, საქ. 217, ფ. 293, 301 (საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 235).

არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან“.

ილია ათაგებს თავის წერილს სიტყვებით:

„გაუმარჯოს აკაკი წერეთელს, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრად და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკობზს ყურსა და გრძნობას და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულის სიყვარულისათვის“¹.

* * *

ილიამ, საკუთრივ სალიტერატურო და პუბლიცისტური მოღვაწეობის გვერდით, უდიდესი საქმიანობა გაშალა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპარეზზე. ილია იყო მთავარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი თითქმის ყველა ქართული ორგანიზაციისა და დაწესებულებისა, რომლებიც წარსული საუკუნის უკანასკნელ მესამედში შეიქმნა.

აქ პირველ რიგში შევჩერდებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე.

ინიციატორი ამ საზოგადოების დაარსებისა იყვნენ ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ყიფიანი (ისევე როგორც ილია და დიმიტრი ყიფიანი იყვნენ მთავარი ორგანიზატორები მეორე ქართული დაწესებულების — ქართული ბანკისა). ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ილიას ხელმძღვანელობით ერთ-ერთ მთავარ ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ დაწესებულებად გადაიქცა მე-19 საუკუნის ბოლო ათეულ წლებში და დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერებისა და კულტურული წინსვლის საქმეში.

ილია ჟურნალ „ივერიაში“, 1879 წლის აპრილის ნომერში („შინაურ მიმოხილვაში“), წერდა ამ საზოგადოების დაარსების გამო:

„პროგრამა იმდენად ვრცელია და იმდენად შორსა სწვდება,

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. VI, 1927 წ., გვ. 252—4.

რომ ფრიად დიდ ღვაწლს გვიქადის მომავალში... ეს საზოგადოება თავის დანიშნულებას მოჰკიდებს ხელს არა მარტო სასოფლო-შოკლების გამართვით, არამედ დააარსებს აგრეთვე სახალხო სამწიგნობროებს (ბიბლიოთეკებს), მასწავლებლებს გამოზრდის ან თვითგანვე დაფუძნებულს სასწავლებლებში, ან სხვაგან; გამართავს ლექციებს ხალხისათვის სხვადასხვა ადგილას და სხვა.

„არა ხალხში, რომელიც კი განათლებულეებში ჩაითვლება, წერა-კითხვა ისე ნაკლებად არაა გავრცელებული, როგორც ჩვენში, — წერდა ილია იმავე წერილში, — მართალია, ჩვენს სოფლებში ათასში ერთგან ამ უკანასკნელს ხანს შოკლები გაიხსნა, მაგრამ ისე კანტი-კუნტად, რომ ერთს შოკლიანს სოფელზედ ათი მეტი უშოკლო მოდის“.

საზოგადოება შეუდგა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, დაისაზა საგნად ქართული ენის დანერგვა სახალხო სკოლაში და ბრძოლა ამ გზით რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ სასკოლო საქმეში.

საზოგადოებამ მოქმედება დაიწყო 1879 წლის მაისიდან.

პირველ პერიოდში, 1879—1885 წლებში, ილია იყო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე (თავმჯდომარედ იყო დიმიტრი ყიფიანი), ხოლო 1885 წლიდან ვიდრე გარდაცვალებამდე ილია არის საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე და მისი მთავარი ხელმძღვანელი.

ილიამ დარაზმა ამ ორგანიზაციის გარშემო ქართული საზოგადოება, შეუქმნა ორგანიზაციას მტკიცე მდგომარეობა და ავტორიტეტი.

საზოგადოებამ ფართოდ გაშალა თავისი მუშაობა; დაარსებულ იქნა რიგი სკოლებისა სოფლებში, აგრეთვე ქალაქებშიც, სადაც სწავლება ქართულ ენაზე წარმოებდა, გახსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, რომლებსაც ხალხთან მიჰქონდა ქართული წიგნი, ქართული ჟურნალ-გაზეთები.

ილიას არაერთგზის მოუხდა შეებმა ცარისტულ სამოსწავლო ხელისუფლებასთან, რათა დაეცვა ქართული ენის უფლებები წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებში.

საზოგადოებამ ამავე დროს ფართოდ გაშალა ქართული წიგნების გამომცემლობა.

ილიამ ასევე დიდი ღვაწლი დასდო ქართული თეატრის ახლად აღდგენისა და აღორძინების საქმეს.

ილია დიდ ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ თეატრს იმდროინდელ საზოგადოებრივ პირობებში.

წერილში, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა 1879 წლის თებერვალში, ილია წერდა:

„ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჯიშოდ, ჩვენი ეგრეთწოდებული მაღალი საზოგადოება... თავის სამარცხვინოდ თაკილობს თავის დედაენით ლაპარაკსა. ნათქვამია, თევზი თაღიდან აყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვედის ჩვენც, ჩვენს ეგრეთწოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკვირდებით. ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართულის სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა, აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის შევენებას შეადგენს, რადგან ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება. ამისთანა სავალალო და სამარცხვინო მღგომარეობაში, ქართული სამუდამო სცენა სწორედ ცის ნამია დამჭკნარი ყვავილისათვის... ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენტ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავატარებთ თვალწინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგართ...“

ილია ქართულ თეატრს ორ მიზანს უსახავდა:

„ჩვენ ჩვენ სცენას ორ ღვაწლსა ვსთხოვთ. პირველი, რომ მართლა განმწმენდელი იყო ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმათავისუფლებელი და მწვრთნელი, და მეორე — იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა უნდა წამოდგეს მთელი თავისი მშვენებითა და სიმდიდრითა. დღეს ჩვენს მღგომარეობაში სცენის მეტი სხვა ისეთი სახსარი არა აქვს რა ჩვენს ხალხს, რომ გონება, გული გაიხსნას და ენაც ავარჯიშოს საჯაროდ, საქვეყნოდ. ამიტომაც საჭიროა ჩვენში სცენას იმისთანა გონებაგახსნილი ზედამხედველობა ჰქონდეს ვისგანმე, რომ ამ ორს სანატრელს საქმეს სცენა არ გადუღდეს...“¹.

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. VI, 1927 წ., გვ. 45—48.

1879—1880 წლებში ილიას უახლოესი მონაწილეობითა და მზრუნველობით აღდგენილ იქნა მუდმივი ქართული თეატრი, რომელიც გიორგი ერისთავის შემდეგ აღარ არსებობდა. ილიას მზრუნველობით ჩამოყალიბდა ქართველ მსახიობთა დასი, ილიას ინიციატივით დაარსდა ქართული დრამატული საზოგადოება, რომელმაც ითავა ქართული თეატრის საქმის ხელმძღვანელობა. ილია არჩეულ იქნა დრამატული საზოგადოების თავმჯდომარედ.

ილიამ დიდი შრომა ჩაატარა როგორც ქართული თეატრის იდეური დონის ამაღლებისა და კადრების აღზრდისათვის, ისე თეატრის მატერიალური მდგომარეობის განმტკიცებისათვის. ილიამ ქართული თეატრის დასახმარებლად დარაზმა ქართველი საზოგადოება. ილია უშუალო მონაწილეობას იღებდა მსახიობთა დასის შედგენასა და შევსებაში, დახმარებას უწევდა თეატრის მის ყოველდღიურ მუშაობაში. ილია ბეჭდავდა თავის ორგანოში წერილებს ქართულ თეატრსა და ქართულ დრამატურგიაზე, რაც აძლიერებდა საზოგადოების ინტერესსა და თანაგრძნობას ქართული თეატრისადმი და ხელს უწყობდა თეატრალური კადრების აღზრდის საქმეს.



ილიამ ასევე დიდი ამაგი დასდო ქართულ სასკოლო კომიტეტს, ქართულ საშუალო სასწავლებელს, ეგრეთწოდებულს სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიას. ილიას თაოსნობით მოხდა, რომ ამ სკოლას შეეცვალა წოდებრივი ხასიათი და სკოლის კარები ფართოდ გაიხსნა მუშათა და გლეხთა შვილებისათვის. ცარიზმის დროს, როდესაც სკოლა ქართველი ხალხის გარუსების საქმეს ემსახურებოდა, ეს სკოლა, ქართული გიმნაზია — ერთადერთი საშუალო სასწავლებელი იყო, სადაც ქართულს აღვილი ჰქონდა დათმობილი.

ილია ასევე დიდ მზრუნველობას იჩენდა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო ქართული სკოლისადმი, რომლის გახსნაზედაც 1883 წელს ილიამ წარმოსთქვა თავისი შესანიშნავი სიტყვა.

ილია ამავე პერიოდში აწარმოებს მუშაობას ქართული ხალხური სიტყვიერების შეგროვების საქმის სათანადოდ დასაყენებლად. 1882 წელს ილიამ შეადგინა პროგრამა ზეპირსიტყვაობის, ხალხური ლექსების, ზღაპრების, ანდაზა-გამოცანების შეგროვებისა. ეს პროგრამა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელით დაიბეჭდა და მრავლად დარიგდა პროვინციაში.

ილია ამავე დროს ზრუნავს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მიერ ნაანდერძევი საუნჯის, ძველი ქართული მწერლობის სალიტერატურო და საისტორიო ძეგლების შეგროვებისათვის, რომ ამით მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს საქართველოს წარსულის შესწავლის საქმეს.

ილია ამ საქმეს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დამონებული ერის გათვითცნობიერებისათვის.

წერილში „ერი და ისტორია“ — ილია წერდა:

„ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქილამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა, თავის ყოფილის ცხოვრებისა... მან არ იცის რა გაიმეგროს, რისთვის გაიწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა. ფეხს ქვეშ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტანი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღებს ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად...“¹.

მეორე წერილში ილია მიუთითებს დასავლეთის სლავიანების — ჩეხების მაგალითზე.

„სლავიანებმა (—ჩეხებმა), რომელთა ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ, — თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად — თავის წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდან, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათ ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩუ-

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. V, 1927 წ., გვ. 239—240.

ლად ეღვა. გაუცოცხლეს თავის ერს პოეზიის შემწერბით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დაეიწყებული, სახელოვანი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედა-ენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამგზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავის ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზედ დადგა, ფრთა შეისხა“¹.

ილიამ ჩაუყარა საფუძველი წერა-კითხვის საზოგადოებასთან არსებულს ძველი ქართული ხელნაწერების სიძველეთსაცავს, რომელიც შეიქმნა ფუძედ ქართული ეროვნული მუზეუმისა.

სიძველეთსაცავი თანდათან მდიდრდებოდა ძველ-ქართულ ხელნაწერთა სხვადასხვა კოლექციებით.

1885 წელს, როდესაც სამეგრელოს ყოფილმა მთავარმა ნიკო დადიანმა შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას ძველი ქართული ხელნაწერების მდიდარი ბიბლიოთეკა (სამეგრელოს სამთავროს მთავარი ხელნაწერთსაცავი), ილია თვით წავიდა მის ჩასაბარებლად სამეგრელოში, სოფელ გორდს, სადაც დაცული იყო ეს ბიბლიოთეკა. ილიასთან ერთად სამეგრელოში გაემგზავრნენ—იონა მეუნარგია, დავით ერისთავი („სამშობლოს“ ავტორი) და სხვანი. მათ ხელნაწერები აღწესეს, ჩაალაგეს, აჰკიდეს ჯორებს და ისე ჩამოიტანეს ქუთაისში, რკინიგზით თბილისს გაზოსაგზავნად.

ძველ-ქართულ ხელნაწერთა სიძველეთსაცავს შემოსწირეს ხელნაწერთა მნიშვნელოვანი კოლექციები უხუცესმა ქართველმა მწიგნობარმა პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა, ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, მ. მესხიშვილმა (ამ კოლექციაში აღმოჩნდა უძველესი ქართული მატრიანე „მოქცევაჲ ქართლისაი“) და სხვებმა.

1883 წელს ილიამ, პეტრე უმიკაშვილისა და ალ. სარაჯიშვილის თანამშრომლობით, პირველად დაბეჭდა კლასიკური ქარ-

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. VI, 1927 წ., გვ. 129.

თული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი — „ვისრამიანი“.

ოთხმოციან წლებში ილია ლებულობს მონაწილეობას „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში, ტექსტისა, რომელიც 1888 წელს გამოქვეყნდა გიორგი ქართველიშვილის ცნობილს გამოცემაში.



ამავე პერიოდს, 80-იან წლებს ეკუთვნის გაცნობა და დამეგობრება ილიასთან გერმანელი მწერლის **ა რ ტ უ რ ლ ა ი ს ტ ი ს ა**. არტურ ლაისტი პირველად ჩამოვიდა საქართველოში 1884 წელს. არტურ ლაისტი, ავტორი წიგნებისა (გერმანულ ენაზე)—„საქართველო“ (1886 წ.), „ქართველი ხალხი“ (1904 წ.), ნარკვევისა „დავიწყებული ლიტერატურა“ (1887 წ.), მთარგმნელი გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართველი პოეტებისა, შემდეგ საბოლოოდ გადმოსახლდა საქართველოში. იგი ჩვენი ქვეყნის გულწრფელი მეგობარი იყო. არტურ ლაისტმა თავის უკანასკნელს ქართულად გამოქვეყნებულ წიგნში „საქართველოს გული“ — დაგვიტოვა მოგონებანი თავისი დიდი მეგობრის ილიას შესახებ.

უფრო გვიან, 90-იან წლებში, ილიას გაეცნო ინგლისელი მწერალი ქალი **მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ ი**, ასევე დიდი მეგობარი ჩვენი ქვეყნისა, რომელმაც შეისწავლა ქართული ენა და გულწრფელად შეიყვარა ჩვენი სამშობლო. მარჯორი უორდროპმა თარგმნა ინგლისურად რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ამ შრომას მან ათი წელი მოანდომა), ილიას „განდევილი“, სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, ძველი ქართული მწერლობის ძეგლი — ცხოვრება წმინდა ნინოსი, ქართული ხალხური ზღაპრები. მარჯორი უორდროპს მიმოწერა ჰქონდა ილიასთან. 1896 წელს მარჯორი თავის ოჯახთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში და სტუმრად იყო ილიასთან.

90-იან წლებშივე ილიას ეწვია საგურამოში გამოჩენილი მეცნიერი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი **კარლ ლემან-ჰაუპტი** (ცნობილი ორიენტალისტი, ურარტული წარწერების მკვლევარი). ილიასთან შეხვედრა მან აღწერა გერმანულ ჟურნალ *Hilfe*-ში და აგრეთვე თავის ცნობილ წიგნში ახლო

აღმოსავლეთის შესახებ. როდესაც ილია 1900 წელს ჩავიდა ბერლინში, მან ინახულა კ. ლემან-ჰაუპტი, რომელიც ილიას დიდი პატივისმცემელი იყო. ილიას გარდაცვალების შემდეგ კ. ლემან-ჰაუპტმა გერმანულ პრესაში მოათავსა წერილი ილიას შესახებ. ილიას პიროვნებასა და მოღვაწეობას კ. ლემან-ჰაუპტი ეხება აგრეთვე ერთ თავის წიგნში.

ილიასთან მიმოწერა ჰქონდა გამოჩენილ ავსტრიელ მეცნიერს, ქართული ენის ცნობილ მკვლევარს, გრაციის უნივერსიტეტის პროფესორს ჰუგო შუხარდტს და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორს მორფილს.

VIII

„ივერიის“ მეორე პერიოდი

(1886 წლიდან — მე-20 საუკუნის დასაწყისამდე)

1886 წლიდან ილიამ თავისი ჟურნალი „ივერია“ გადააკეთა ყოველდღიურ გაზეთად.

ეს იმით იყო გამოწვეული, რომ გაზეთი „დროება“, რომელიც 80-იან წლებში პროგრესული ბანაკის ორგანოს წარმოადგენდა, და რომელიც ერთხანად (1880—1881 წწ.) თვით ილიას თანარედაქტორობით გამოდიოდა, მთავრობამ დახურა 1885 წლის 16 სექტემბერს. ამის შემდეგ ჩვენს ქვეყანას რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველდღიური გაზეთი აღარა ჰქონდა, ილიას ორგანო „ივერია“, გადაკეთებული ყოველდღიური გაზეთის სახით, გამოვიდა 1886 წლის 1 იანვარს.

დაწყებული ამ დროიდან 11 წლის განმავლობაში „ივერია“ არის ერთადერთი ყოველდღიური გაზეთი საქართველოში.

„ივერიის“ ძველი თანამშრომელი გრიგოლ ყიფშიძე იგონებს გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომრის გამოსვლას:

... „ახალწლის წინა-ღამეს მთლად თანამშრომელნი, ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, სულ ერთად იყვნენ თავმოყრილი ილიასთან და შუადღემდე ელოდნენ პირველი ნომრის დაბეჭდვას. ოთხი თვე იყო თითქმის გაზეთი თვალით არ

გვენახა და, რასაკვირველია, ეს მგოსანთა და ხელოვანთა, მწიგნობართა და ლიტერატურთა კრებული — მოუთმენლად მოელოდა ახალი გაზეთის პირველ ნომერს... კარგი ახალი წელიწადი გაუთენდა მეორე დღეს ჩვენს ქვეყანას...”

* * *

ილიამ გაზეთის გარშემო შემოიკრიბა ყველა ცოცხალი ძალა, თანამშრომლობისათვის მიმართა ქვეყნის ყველა მოწინავე მწერალს.

კერძოდ აკაკის ილია სწერდა 1886 წლის 5 იანვარს:

„ძმაო აკაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გაუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთად-ერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ მაიძულა ჩვენი ქვეყნის რჩეულისათვის რჩეული, განსაკუთრებითი წერილი მომერთმია და მეთხოვნა გაგემშვენეიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა. თუ აქამდე ეს წერილი დავაგვიანე, მაგას ნურც ჩემს განთქმულს ზარმაცობას მიაწერ, ნურც რომელსამე ავგუნებთან მოძრაობას ჩემის გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც საუკეთესო მეომარი, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული. მიზეზი ის იყო, რომ არ ვიცოდი, სად იმყოფებოდი. ჯერ აქ მეგონე, ახალ წლის წინა ღამეს მოგიწვიე და პასუხად მომიტანეს — ქალაქში არ არისო. დღეს შევიტყვე, რომ ჩამოსულხარ და გწერ კიდევ“.

წერილს ილია ასრულებდა სიტყვებით:

„...უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება. ეხლა შენ იცი. მაინცა და მაინც გთხოვ, დარწმუნებული იყო, რომ შემეწვიე თუ არ შემეწვიე, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა, ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები“.

* * *

გაზეთ „ივერიის“ უახლოესი თანამშრომლები სხვადასხვა დროს იყვნენ: გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), სტეფანე ჭრელაშვილი (სანო), იაკობ მანსვეტაშვილი

(დონიაგო), სოფრომ მგალობლიშვილი, ილია ბახტაძე (ხონელი), ალ. ნანეიშვილი (ნა-ლი), დ. მიქელაძე (მეველე), გ. ლასხიშვილი (ლალი), გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), კიტა აბაშიძე, ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), პ. უმიკაშვილი და სხვანი. გაზეთში იბეჭდებოდნენ: აკაკი, რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა. გიორგი წერეთელმა გაზეთში მოათავსა თავისი „მამიდა ასმათი“. გაზეთში თანამშრომლობდა იაკობ გოგებაშვილი.

ილიას მუშაობის შესახებ გაზეთში მისი უახლოესი თანამშრომელი გრიგოლ ყიფშიძე წერს:

„საინტერესო და საგულისხმიერო დრო იყო ილიას ცხოვრებაში ეს დრო ყოველდღიურ გაზეთის რედაქტორისა. აქ იჩინა კვლავ თავი მისმა მხნეობამ, სალიტერატურო შრომისათვის დიდმა გონებრივმა მოქმედებამ. დალაღვა არ ემჩნეოდა, თითქოს რკინის კაცია და არა ხორცშესხმული ადამიანიაო. არავის არ ეგონა, რომ ილია ასე შეუფერებდა თავის დინჯ ხასიათს ასეთს ცოცხალს, ასეთს სასწრაფოსა და „ნერვებით“ საკეთებელს საქმეს, როცა თითოეულს საათს და წუთსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს...

„...წერასაც არა სჯერდებოდა. წვრილმან, სამურეხო მუშაობასაც ბევრს დროს ანდომებდა: საგაზეთო მასალის მოსმენასა და მის შესწორებას ენისა და შინაარსის მხრივ... დიდს ყურადღებას აქცევდა ენის სიწმინდეს, კანონიერებას, ქართულის შესაბამისად სიტყვების დაწყობას, და დასურათებით ცოცხლად აზრის გამოთქმას. თვითონ ღრმად მცოდნე იყო ქართულისა და ყოვლის ღონისძიებით სცდილობდა, რომ გაზეთში დასაბეჭდი წმინდა ქართულით ყოფილიყო დაწერილი. ამ საქმეში თვით იკისრა უფროსობა და ჩაგვიყოლია უმცროსები. მთელი რედაქცია სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას წერილების სწორებასა და გადასინჯვაში იმის მეთაურობითა და ხელმძღვანელობით.

„ეს იყო ღამ-ღამობით. იმ დროს რომ გარეშეს ვისმე შემოეხედნა რედაქციაში, ეგონებოდა, აქ რედაქცია კი არა, ტაძარია... ღამე გატყდებოდა, მამლები ყვირის დაიწყებდნენ და არა იშვიათად თავს დაგვათენდებოდა ხოლმე. ისე დავიქანცე-

ბოდით, რომ სავატობა აღარ გეჭონდა. ილიას კი არ მახსოვს, ან დაღლილობა შემჩნეოდეს, ან ძილი მოჰრეოდეს“¹.

სოფრომ მგალობლიშვილი იგონებს:

„ილია — დევის ბუნებისა იყო. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ დაისზე დამჯდარა და მეორე დღის ცხრა საათამდე მჯდარა სამუშაოდ. 1886 წლის ზაფხულში გორიდან ჩამოველი და რედაქციაში დავიწყე მუშაობა... ერთ დღილას მივედი, ილიას სამწერლო კაბინეტიდან სინათლე სჩანდა... მე ჩუმად დავჯექ და გაზეთებს დავუწყე კითხვა, მაგრამ გაზეთის ფაჩუნზე შეიტყო, რომ რედაქციაში ვილაც იყო.

„რომელი ხარ მანდა, — შემომეკითხა ილია. მე გამოვეპასუხე. — კაცო, რა დროა? განა ჯერ არ წასულხარ სახლში? — მე ვუპასუხე, რომ უკვე გათენდა და აგერ მეთე საათია. მხოლოდ მაშინ შესწყვიტა მუშაობა და თავის მსახურს მაქსიმეს უსაყვედურა: „კაცო, რაზე ჩამკალი, რატომ არ დამეხმარეო“. მაქსიმე რამდენჯერმე შესულიყო, მაგრამ ისე ყოფილიყო ილია მუშაობაში გართული, რომ მისი შესვლა-გასვლა ვერ შეემჩნია“².

ილია განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა, კერძოდ, გაზეთის ენის სიწმინდისათვის, ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის.

იაკობ მანსვეტაშვილი, რომელიც „ივერიაში“ თანამშრომლობდა 1886 წლიდან, თავის მოგონებებში წერს:

„ყველა ერთგულად, გატაცებით ვეკიდებოდით საერთო საქმეს, მაგრამ სულის ჩამდგმელი, გზის მაჩვენებელი, ენის მასწავლებელი მაინც ილია იყო. უნდა გენახათ, ეს ხანში შესული კაცი როგორი ახალგაზრდული ხალისით, გატაცებით მუშაობდა. მეტადრე მტკიცედ იცავდა ენის სიწმინდეს, სიფაქიზეს, ქართულობას. „რა ენა წახდეს ერიც დაეცეს“, — უყვარდა ხშირად ამის განმეორება. ენა უნდა დავიცვათ შერყვნილობისაგან, ენას ისე უნდა ვულოლიაოთ, მოვუაროთ, როგორც დედა თავის პირმშო შვილს. ენა არის დედაბოძი საქართველოს ერთიანობისა, მთლიანობისა, და თუ ეს დედაბოძი გამოვაცალეთ, თუნდ

¹ იხ. გრ. ყიფშიძე, ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია (1914 წ.), გვ. XLVI—XLVII.

² იხ. ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ., გვ.166.

არა ბოროტ განზრახვით, არამედ ჩვენი უვიცობით გულგრილობით, თუ რუსეთუმეების გზას დავადექით, მაშინ ქერი ჩამოგვეწვება, სახლს ქვეშ მოიტანს, და ჩვენი მშობელი ქვეყანა, ჩვენი საქართველო განადგურდება, განიავდება დედამიწის ზურგზე“.

ილია ამასთან იბრძოდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნამდვილი ხალხურობისათვის, მიზნად ისახავდა, რათა ქართული სალიტერატურო ენა მისაწვდომი, ნამდვილად მშობლიური ყოფილიყო მშრომელი ხალხისათვის.

ი. მანსვეტაშვილი თავის მოგონებაში გადმოგვცემს, თუ რა შეხედულებებს გამოსთქვამდა ამ საგანზე ილია სარედაქციო კრებებზე.

„ილია იტყოდა ხოლმე:

„ჩვენი დიდკაცობა, ჩვენი წარჩინებული მოხელენი გადაგვარების გზაზე არიან დამდგარნი, იმათ ქართულიც და ქართველობაც — ორივე ფეხებზე ჰკიდიათ ამათთვის წერა ტყუილი შრომა, წყლის ნაყვა იქნებოდა...“

„მამ ვინდა დაგვჩა? ის ვინც საქართველოს პირველი ქვაკუთხედი იყო, ვინც ისტორიულ ქარტახილს, წვა-დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მავარი მკვიდრი მუხაა, რომელიც ქარცეცხლს უძლებს და არ ეცემა. ეს არის ჩვენი გლეხობა, ეს არის ჩვენი მუშა-ხალხი... ესენი არიან ჩვენი მუხის — საქართველოს ფესვები, ესენი ამზადებენ იმ საკვებავ წვენს, რომლითაც საზრდო და ღონე ეძლევა მუხის მთელ ტანს. ამათი მეოხებით იმოსება ხე ფოთლებით, ყვავილებით, და მოაქვს ნაყოფი. დეე, კენწეროები გაუხმეს ხეს, ფოთლები შემოსცივიდეს, ყვავილები შემოაჰკენეს, — არა უშავს რა, ოღონდ ძალა და ღონე არ გამოელიოს ფესვებს, — ხე ხელახლა შეიმოსება ფოთლით და ყვავილით და უხვად გამოიღებს ნაყოფს. ხე არ კვდება, თუ ფესვები მაგარი, ღონიერი აქვს.“

„და აი, სწორედ ამ ფესვებს უნდა მოვუაროთ ჩვენც. ამ მდებრიო ხალხისთვის, მუშა-გლეხობისათვის უნდა ვიზრუნოთ. ჩვენს მოვლას, ჩვენს ზრუნვას ფასი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ იმათი ენით დავიწყებთ ლაბარაკს, თუ ჩვენი სიტყვა იმათ ყურს მისწვდება, იმათ გულს მოხვდება. აი გეგმა ჩვენი მუშაობისა. აი, ვისთვის უნდა ვზრუნავდეთ, ვისთვის უნდა ვწერდეთო“¹.

¹ იხ. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936 წ., გვ. 76—81.

მას შემდეგ, რაც „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, ილიას სახლში ყოველ ხუთშაბათობით იმართებოდა კრებები, რომლებსაც ესწრებოდნენ როგორც რედაქციის წევრები, ისე თითქმის ყველა ჩვენი დამსახურებული მწერლები და მოღვაწეები.

თანამედროვეთა ცნობით ამ კრებებს ესწრებოდნენ: იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, რაფიელ ერისთავი, ანტონ ფურცელაძე, პეტრე უმიკაშვილი, დავით ერისთავი, გიორგი ზდანოვიჩი, სოფრომ მგალობლიშვილი; აგრეთვე ზოგჯერ ესწრებოდნენ გიორგი წერეთელი (როდესაც თბილისში იყო) და აკაკი. ამათ გარდა ამ კრების მონაწილენი იყვნენ რედაქციის წევრები და უახლოესი თანამშრომელნი (ძმანი ყიფშიძენი, სტ. ჭრელაშვილი, ალ. ნანეიშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ი. მანსვეტაშვილი და სხვანი).

„დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი დამრჩა ამ კრებების გამო, — წერს იაკობ მანსვეტაშვილი, — ბევრი საკითხი ყოფილა აღძრული, ბევრი საყურადღებო ფიქრი და აზრი გამოთქმულა ამა თუ იმ საგნის შესახებ, მაგრამ თავი და თავი ჩვენი გულის წუხილი მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის სვე-ბედზე.

„...ყველაზე დიადს, დაუვიწყარ და განუმეორებელ სანახაობას წარმოადგენდა ილია. უნდა გენახათ ამისი აღფრთოვანებული სახე, ანთებული ცეცხლის მფრქვეველი თვალები, რომ დარწმუნებულიყავით, თუ რა სულიერ და ჭკუის ძალას შეიცავს ეს დიდბუნებოვანი ადამიანი. ჰხედავდი, რომ რაღაც დაუშრეტელი წყაროდან მომდინარეობს აზრების ნაკადული და არ გინდა თვალი და ყური მოაშორო ამ გულწარმტაც მოვლენას“¹.

ცარისტულ ხელისუფლებას, რასაკვირველია, მხედველობის გარეშე არ დარჩენია ქართველ მოღვაწეთა ეს კრებები, რომლებიც იმართებოდა ილიას სახლში. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ილია ჯერ კიდევ 1884 წლიდან პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

¹ იხ. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936 წ., გვ. 82—3.

საიდუმლო მოხსენებაში, რომელიც წარგზავნილი იყო თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტში 1 მაისს 1894 წელს (№ 565) ვკითხულობთ:

«...Уверенно можно утверждать, что главным руководителем направления, ставящей своей целью углубление национального движения, является князь Илья Чавчавадзе... Князь Илья Чавчавадзе обладает замечательным умом и положением, пользуется большим авторитетом среди грузин вообще и среди свободомыслящих в особенности. Ходят слухи, что у него время от времени устраиваются тайные собрания, на которых обсуждаются различные общественные и социальные вопросы»¹.

* * *

მას შემდეგ, რაც „ივერია“ 1886 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, ილია მთლიანად პუბლიცისტურ-საეურნალო მუშაობითა და საზოგადო მოღვაწეობით არის დატვირთული.

უკანასკნელი დიდი ნაწარმოები, რომელიც ამ პერიოდში ილიამ შექმნა მხატვრული მწერლობის დარგში, ეს არის „ოთარაანთ ქვრივი“.

ილიამ ამ უკვდავ ნაწარმოებში, — ოთარაანთ ქვრივის პორტრეტში დახატა ზოგადი მნიშვნელობის ქართული ნაციონალური სახე, ქართული ნაციონალური ტიპი.

ილიას თავის შემოქმედებაში არაერთგზის დაუხატავს სახე ქართველი დედისა. ქართველ დედას მიმართავს ილია თავის პირველ ლირიკულ ლექსებში. ქართველი დედის სახე აქვს დახატული ილიას დრამატულ პოემაში „ქართველის დედა“ („დედა და შვილი“). ხოლო ამ თავის უკანასკნელს მხატვრულ ნაწარმოებში ილიამ განასახიერა ეს უკვდავი სახე ქართველი დედისა, გლეხი ქალის — ოთარაანთ ქვრივის — მონუმენტურ პორტრეტში.

ოთარაანთ ქვრივი წარმოადგენს ბრძოლაში გაკაჟებული ქართველი ხალხის სახეს. ოთარაანთ ქვრივი არის შვილი ხალ-

¹ ჟანდარმთა სამმართველოს საიდუმლო მოხსენების ტექსტი გამოქვეყნებულია გაზეთში „Гиппиусский район“ 1937 წ., № 110.

ხისა, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოიმუშავა შეუდრეკელი სული, — თავდადებული დამცველი თავის „განძისა“ და „ანდერძისა“.

აღსანიშნავია „ოთარაანთ ქვრივის“ უბრწყინვალესი მხატვრული ფორმა, მისი ენა. არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში „ოთარაანთ ქვრივი“ არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელშიაც ახალმა ქართულმა ენამ პოვა თავისი სრულყოფილი გამოსახულება.

„ოთარაანთ ქვრივი“ ილიამ დაწერა 1887 წელს. დაიბეჭდა იგი 1888 წელს „ივერიაში“.



გვეცნოთ ამის შემდეგ ილიას მოღვაწეობას, „ივერიაში“ მისი ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების დროიდან, 1888 წლიდან მოკიდებული ვიდრე ცხრაასიან წლებამდე.

ილიას მოღვაწეობა ამ პერიოდში უაღრესად მრავალმხრივია. ილიამ ამ დროს გამოავლინა თავისი დიდი ტალანტის ნამდვილი უნივერსალობა. ილია ამ პერიოდში ჩვენ გვევლინება როგორც პუბლიცისტი, ეკონომისტი-სოციოლოგი, ჟურნალისტი — საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საგარეო პოლიტიკის მიმომხილველი, კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი.

თუ რამდენად ფართო იყო დიაპაზონი ილიას შემოქმედებისა ამ პერიოდის მანძილზე, ამას ცხადჰყოფს ილიას მთავარ ნაწარმოებთა ქვემომოყვანილი ნუსხა.

I. კ რ ი ტ ი კ ი ს და ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ი ს დარგში ილიამ ამ პერიოდში გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილებისა. ამათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი: „აკაკი წერეთელი და ვეფხის-ტყაოსანი“ (1887 წ.), რომელიც დღემდე რჩება უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად რუსთველოლოგიის დარგში, და ნარკვევი „წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“ (1892 წ.), სადაც ილიამ მოგვცა პირველი ცდა მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიის განხილვისა მის მთლიანობაში.

II. ისტორიის დარგში ილიამ გამოაქვეყნა ასევე

მთელი რიგი წერილებისა. ამათ შორის მთავარია ორი წერილი პოლემიკური ხასიათისა საქართველოს ისტორიის საკითხთა გამო: „აი ისტორია“, გამოქვეყნებული 1889 წელს, და „სოფელთა მეცნიერნი ანუ ქვათა ღაღადი“, გამოქვეყნებული 1899 წელს, რომელშიც ილია ფარდას ხდის ისტორიის ფალსიფიკატორებს.

III. ასევე მთელი რიგი წერილებისა გამოაქვეყნა ილიამ პედაგოგიკის დარგში, სახალხო განათლების საქმეებზე. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „პედაგოგიკის საფუძვლები“, რომელიც 1888 წელს დაიბეჭდა.

IV. ილიას წმინდა პუბლიცისტიური წერილების მთელი წყებიდან აქ ცალკე აღვნიშნავთ წერილს „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ (1897 წ.). რომელიც ერთ-ერთი უბრწყინვალესი ფურცელთაგანია ილიას პუბლიცისტიკაში. ასევე ცალკეა აღსანიშნავი ილიას უღარესად მნიშვნელოვანი წერილი „მეცხრამეტე საუკუნე“, რომლის შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი.

V. ამავე პერიოდში ილიამ გამოაქვეყნა პოლიტიკური ეკონომიკური ნარკვევები: „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“ (1886 წ.), „ხიზნების საქმე“ ნარკვევი მეორე (1886 წ.), „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“ (1897 წ.). ცალკეა აღსანიშნავი პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან (1900 წ.):

VI. ილიას აქვს მთელი წყება წერილებისა საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი წერილი ზოგადი ხასიათისა: „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი“ (1893 წ.)¹ და „ბველი და ახალი ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში“ (1897 წ.)².

არ არის არც ერთი დარგი საქართველოს სახალხო მეურნეობისა, რომელსაც არ შეხებოდეს ილია. ასე, ილია უძღვნის სერიას წერილებისას სახალხო მეურნეობის შემდეგ საკითხებს:

¹ მეთაური „ივერიისა“, 1893 წ., № 152.

² მეთაური „ივერიისა“, 1897 წ., № 205.

მევენახეობისა და მეღვინეობის საქმე; სოფლის მეურნეობის ძვირფასი კულტურების საქმე; ბამბის საქმე; პურეულის საქმე; მელიორაციის საქმე; მესაქონლეობის საქმე; სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საქმე; სამეურნეო განათლების საქმე; საქართველოს სახალხო მეურნეობა და გზებისა და ბაზრის საკითხები; მრეწველობის საქმე (ჩარჩული კაპიტალი და მრეწველობა; ნავთის საქმე; შავი ქვის მრეწველობის საქმე) და სხვანი.

ასევე ილიას ეკუთვნის მთელი რიგი წერილებისა ბანკის, კრედიტისა და ფინანსების საკითხებზე.

VII. ილია წერს წერილების მთელ წყებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურ საჭირობოროტო სხვადასხვა საკითხებზე. ამ დარგის წერილებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია წერილების სერია — „ავლაბრელების საქმე“, რომელიც იბეჭდებოდა „ივერიაში“ 1887 წელს, და „თბილისის მტერ-მოყვარენი“, რომელიც ასევე წერილების სერიის სახით დაიბეჭდა „ივერიაში“ 1897 წელს.

VIII. ილიას საკუთრნალო წერილებიდან ცალკე აღვნიშნავთ ილიას ფელეტონებს; მათ რიცხვს ეკუთვნის: „ღმერთმა ნუ დაგაბეროსთ“ (1886 წ.), „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ (1896 წ.), „ი. გომართელის ფილოსოფია და ა. ჯორჯაძის ფსიქოლოგია“ (1920 წ.) და სხვანი.

IX. ილია ამავე პერიოდში აქვეყნებს წერილების სერიას უცხოეთზე, საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. ამათ რიცხვს ეკუთვნის: ირლანდია და ინგლისი, საისტორიო და საეკონომიონარკვევი (1886 წ.), რიგი წერილებისა, მიმართული ევროპის მილიტარიზმის წინააღმდეგ, წერილები ევროპისა და აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხებზე.

* * *

ილია ამავე პერიოდში, 1886 წლიდან ვიდრე ცხრაასიან წლებამდე, გარდა დიდი მასშტაბის სამწერლო-პუბლიცისტური მოღვაწეობისა, დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა, როგორც ხელმძღვანელი ყველა უმთავრესი იმ დროს არსებული ქართული საზოგადოებრივი დაწესებულებებისა.

განსაკუთრებით გაიზარდა ამ პერიოდში მნიშვნელობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, რომლის უცვლელი თავმჯდომარეა ილია 1885 წლიდან მოკიდებული.

საზოგადოებამ ფართოდ გაშალა ქსელი ეროვნული სახალხო სკოლებისა. საზოგადოება ამავე დროს აწარმოებდა დიდ საგამომცემლო მუშაობას.

ამავე პერიოდში საფუძველი ჩაეყარა წერა-კითხვის საზოგადოებასთან არსებულ ეროვნულ ბიბლიოთეკას; გამდიდრდა ძველ-ქართულ ხელნაწერთა სიძველეთსაცავი, რომელიც ქართულ ეროვნულ მუზეუმად გადაიქცა.

* * *

90-იანი წლების პირველ ნახევარში ქართულ სალიტერატურო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნდა აღინიშნოს ორი მნიშვნელოვანი თარიღი: ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება საქართველოში 1893 წელს და რაფიელ ერისთავის იუბილე 1895 წელს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება საქართველოში წერა-კითხვის საზოგადოებისა და მისი ხელმძღვანელის ილია ჭავჭავაძის თაოსნობით მოხდა. ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებამ, როგორც ცნობილია, დიდი ეროვნული მანიფესტაციის სახე მიიღო.

ილიას უახლოესი მონაწილეობით მოეწყო და ჩატარდა აგრეთვე რაფიელ ერისთავის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე, რომელმაც სახალხო ხასიათი მიიღო და ასევე ქვეყნის ცოცხალი ძალების ნამდვილ მანიფესტაციას წარმოადგენდა. ილიას ორგანომ გაზეთმა „ივერიამ“ რაფიელ ერისთავის იუბილეს შეუქმნა დიდი პრესა.

* * *

90-იანი წლების პირველ ნახევარში თბილისის სასულიერო სემინარიაში რამდენჯერმე მოხდა არეულობა, რის გამო ამ სასწავლებლის კარი არაერთგზის გამოიკეტა, ხოლო არეულობაში მონაწილე მოწაფეები რეპრესირებულ იქმნენ.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ეს სასწავლებელი თბილისის სასულიერო სემინარია, სადაც სწავლობდა ქართველი ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ადრევე ყოფილა მოქცეული ილიას მხედველობის არეში, რომელიც ასეთის გულისყურით და მზრუნველობით ეკიდებოდა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, მის მომზადებას ხალხის სამსახურისათვის.

სემინარიის მოწაფეთა შორის ოპოზიციური განწყობილების განმტკიცებას და სემინარიაში არაერთგზის მომხდარ არეულობას — ცარისტული ხელისუფლება მიაწერდა ილია ჭავჭავაძის გავლენას.

ჩვენ უკვე ზემოთ მოხსენებული გვქონდა თბილისის ჟანდარმერიის სამმართველოს საიდუმლო მოხსენება, რომელიც წარგზავნილი იყო პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტში 1 მაისს 1894 წლისა. ამ დოკუმენტში, რომელიც სწორედ ჩვენთვის საინტერესო ხანას ეხება, ჩვენ ვკითხულობთ:

«В бунте в семинарии не меньшая доля принадлежит преподавателям Тифлисской дворянской школы (учреждена исключительно для грузин)... Уверенно можно утверждать, что главным руководителем направления, ставящего своей целью углубление национального движения, является князь Илья Чавчавадзе, председатель Тифлисского дворянского банка (на средства этого банка содержится вышеуказанная дворянская школа, а также он является редактором грузинской газеты «Иверия»). Князь Илья Чавчавадзе обладает замечательным умом и положением, пользуется большим авторитетом среди грузин вообще и среди свободомыслящих в особенности. Ходят слухи, что у него время от времени устраиваются тайные собрания, на которых обсуждаются различные общественные и социальные вопросы»¹.

ამავე ხანებში, 1895 წელს, ჟანდარმერიამ გაჩხრიკა ილიას ბინა, სადაც მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს ეძებდნენ².

მომდევნო 1896 წელს ილიას ორგანო „ივერია“ მთავრობამ დახურა ოპოზიციური მიმართულების გამო. კერძოდ, ამ შემთხვევაშიაც გაზეთის დაკეტვის ერთ-ერთ მიზეზად დასახელე-

¹ იხ. დოკუმენტის ტექსტი გაზეთში «Тифлисский рабочий», 1937 წ., № 110.

² იხ. საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 157 (ა. იოვიძე, ილია ჭავჭავაძე — დოკუმენტური მასალები).

ბული იყო მოთავსება გაზეთში ისეთი წერილებისა, რაც იწვევდა ოპოზიციური სულის განმტკიცებას მოსწავლე ახალგაზრდობაში საერთოდ და თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა შორის კერძოდ.

ჩვენ აქ საჭიროდ მიგვაჩნია დაწვრილებით გავეცნოთ ამ ლოკუმენტებს „ივერიის“ დაკეტვის გამო, რადგან ისინი იძლევიან მეტად საყურადღებო მასალებს აქ აღძრული საკითხის შესახებ და გვისურათებენ იმ ბრძოლას, რომელსაც შეუხრებლად აწარმოებდა ილია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

კონფიდენციალურ მოხსენებაში, 1896 წლის 30 აპრილის თარიღით, რომელიც წარმოდგენილი იყო განსახილველად კავკასიის მთავარმართებლის საბჭოში მთავარმართებლის კანცელარიის მიერ, თვით მთავარმართებლის გენერალ-ადიუტანტ შერემეტევის განკარგულებით, შემდეგი წერია გაზეთ „ივერიის“ ოპოზიციური მიმართულებისა და მისი რედაქტორის ილია ჭავჭავაძის „კრამოლური“ მოღვაწეობის შესახებ.

«Председатель Кавказского цензурного комитета в секретном письме на имя Директора Канцелярии главноначальствующего от 17 сего апреля... сообщил следующее:

Выходящая в г. Тифлисе под предварительной цензурой и под редакторством кн. Илья Чавчавадзе грузинская газета «Иверия» возбудила в октябре 1893 года по поводу съезда духовенства вопрос о реорганизации Тифлисской духовной семинарии и о введении в ней преподавания на грузинском языке. Статья эта, признанная высокопреосвященным экзархом Грузии крайне тенденциозной, была задержана Комитетом...

Высказанные в 1893 году воззрения на церковное и школьное дело в крае не представляли с тех пор появляться на столбцах «Иверии», составляя отличительную черту направления этой газеты, вообще мало сочувствующей настоящему порядку вещей в крае...

Газета эта всегда отличалась страстным односторонним отношением к общественным вопросам и узко-национальными взглядами при обсуждении государственных интересов. Высказывая безпочвенные либеральные упования, или порицания бездоказательно русские, чуждые, по выражению газеты, порядки в крае, она приобрела репутацию независимого либерального органа, чему немало способствует популярность ее редактора, кн. И. Чавчавадзе, поэта гражданской скорби...

«Иверия» обнаруживает стремление возбуждать среди учащейся молодежи неповиновение и ненависть к русскому священнику и учителю.

Такого рода статьи появились в №№ 39, 40, 41 газеты «Иверия» за февраль месяц в виде фельетона под заглавием: «Картины из жизни учеников» (вымысел).

Хотя в рассказе этого фельетона учебное заведение не названо,

однако не подлежит сомнению, что тут подразумевается Тифлисская духовная семинария..

Фельетонист «Иверии».. хочет доказать бесполезность духовного учебного заведения, он глумится над изучением священного писания, возмущается введением в преподавание русского языка, он прямо призывает, в лице героя рассказа, учеников к неповиновению и борьбе.

Ознакомившись с содержанием этих статей, он, председатель Кавказского цензурного комитета, в заседании 2-го апреля, сделал строгий выговор цензору грузинского языка, разрешившего их и напечатанным по неосмотрительности, и в присутствии комитета поставил на вид редактору-издателю газеты «Иверия» кн. И. Чавчавадзе, что допущенная в его газете недостойная пропаганда, обращаясь к школьной молодежи, может иметь весьма пагубные и непоправимые последствия и вызвать новые беспорядки в стенах Тифлисской духовной семинарии.»

მოხსენება თავდებოდა შემდეგი დასკვნით:

«В виду изложенных обстоятельств, Канцелярия главноначальствующего, находя распространение приведенных в фельетонах газеты «Иверия» идей среди учащейся молодежи крайне вредным, и принимая во внимание, что в случае вредного направления какого-либо периодического в крае издания на туземных языках, главноначальствующему предоставляется налагать на повременное издание взыскания (—прекращать таковое издание на срок не далее восьми месяцев), по предварительном обсуждении сего вопроса в Совете Главноуправляющего, имею честь о вышеизложенном, в исполнении приказаний ген.-адъют. Шереметьева, представить на обсуждение Совета Главноначальствующего»¹.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს გაკელს ამავე საკითხზე გაუგზავნია საიდუმლო მოხსენებები პეტერბურგში სათანადო ინსტანციებში. ამავე დროს გაკელი პირადად წარდგომია მთავარმართებულს შერემეტიევს, რომლისთვისაც წარუდგენია ახალი მასალები, მამხილებელი ილია ქავჭავაძის „გაუსწორებელი“ თბოზიციონერობისა. გაკელს მოუხსენებია მთავარმართებლისათვის, რომ ილია არავითარ ყურადღებას არ აქცევს ცენზურის მკაცრ გაფრთხილებებს და მტკიცედ და შეუხრებლად („с упорством и настойчивостью“) ატარებს თავის ხაზს.

ერთ-ერთ საიდუმლო მოხსენებაში, რომელიც გაკელს გაუგზავნია პეტერბურგში საცენზურო სამმართველოს უფროსი სადმი (1896 წლის 4 მაისის თარიღით), იგი წერს:

¹ იხ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი, საქ. 2185, ფ. 4—8 (საისტორიო მოაბე, III, 1847 წ., გვ. 241—244).

«В дополнении к донесению моему за № 1190 по поводу постановления вверенного мне Комитета о привлечении редактора-издателя газеты «Иверия» кн. Ильи Григорьевича Чавчавадзе к административному взысканию, имею честь донести Вашему Превосходительству, что при личном докладе генерал-адъютанту Шереметьеву постановления Комитета, я представил на благоусмотрение его высокопревосходительства дело с задержанными для «Иверии» статьями, в доказательство явно несочувственного правительству направления этой газеты...

Вполне игнорируя цензурные указания, кн. Чавчавадзе продолжает с упорством и настойчивостью проставлять в цензуру статьи, к возбуждению крайне восприимчивой местной молодежи. 10 мая дело это будет рассматриваться в Совете Главноуправляющего при моем участии»¹.

10 მაისს 1896 წელს შედგა მთავარმართებლის საბჭოს სხდომა, რომელმაც გამოიტანა დადგენილება გაზეთ „ივერიის“ გამოცემის 8 თვით შეწყვეტის შესახებ.

დადგენილებაში ნათქვამია:

«При обсуждении настоящего дела Совет нашел, что в газете «Иверия» систематически, в течение нескольких лет ведется вредная пропаганда, обращенная главным образом, к учащейся молодежи против вводимых в крае русских порядков, против русского языка и вообще русского влияния, в чем бы оно не выражалось и до какой сферы не относилось; параллельно в этой газете настойчиво проводится мысль об угнетении грузинского народа, выражающемся, будто бы, в преследовании грузинского языка в школе и даже в церкви. В виду этого грузины призываются к открытому действию против русского влияния. Настойчивость, с какою ведется эта недостойная пропаганда, характерно выражается в том, что непосредственно вслед за внушением редактору со стороны Цензурного Комитета в газете, в явное игнорирование этого внушения, является статья об организации самообразования, в которой с особенной страстностью проводится та же мысль о минимом гонении на грузин и их язык и изобретаются средства для возможного обособления грузинского народа от России.

«Обсудив такое направление газеты «Иверия»... Совет единогласно постановил... прекратить издание выходящей в Тифлисе на грузинском языке, под редакцией кн. Ильи Чавчавадзе, газеты «Иверия» на восемь месяцев»².

ამ დადგენილების კავკასიის მთავარმართებლის მიერ დამტკიცების შემდეგ³ გაზეთმა „ივერიამ“ შეწყვიტა გამოსვლა

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, 1939 წ., გვ. 422—3.

² იხ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი 12, საქ. 2185 (საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 245—246).

³ იხ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი 12, საქ. 2185 (საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., 246).

1896 წლის 16 მაისიდან. მას შემდეგ რვა თვის განმავლობაში ქართულ ენაზე ყოველდღიური გაზეთი აღარ გამოდიოდა. ილიას დიდი შრომა დასჭირდა, რომ 1897 წლიდან, აკრძალვის ვადის გასვლის შემდეგ, ისევ განეახლებია გაზეთ „ივერიის“ გამოცემა.

* * *

სწორედ ამ პერიოდს, 1894—1896 წლებს, როდესაც ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“, — ცარიზმის ხელისუფალთა სიტყვებით «Систематически, в течение нескольких лет велась вредная пропаганда, обращенная, главным образом, к учащейся молодежи» და როდესაც ილია ჭავჭავაძეს ხელისუფლება მუქარით მიუთითებდა — «что допущенная в его (Ильи Чавчавадзе) газете недостойная пропаганда может иметь весьма пагубные и непоправимые последствия и вызвать новые беспорядки в стенах духовной семинарии», — სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ცნობილი ისტორიული ფაქტი. ახალგაზრდა სოსო ჯულაშვილის (ი. სტალინის) ჯერ კიდევ სიკაბუჯის წლებში შეხვედრა ილია ჭავჭავაძესთან, ს. ჯულაშვილის პირველი გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ფურცლებზე.

როგორც ცნობილია, „ივერიაში“ 1895 წელს, ივნისიდან — დეკემბრამდე, დაიბეჭდა ახალგაზრდა ს. ჯულაშვილის ხუთა ლექსი.

სოსო ჯულაშვილი ამ დროს 15—16 წლის ჭაბუკი იყო. ს. ჯულაშვილი ამ დროს სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, იგი იყო სემინარიის მეორე კლასის მოწაფე.

თავის ცნობილ საუბარში გერმანელ მწერალთან ემილ ლუდვიგთან ი. სტალინმა აღნიშნა: „რევოლუციონურ მოძრაობაში მე ჩავები 15 წლის ასაკიდან“. გერმანელი მწერლის კითხვაზე, — „რამ გაიძულათ თქვენ გადასულიყავით ოპოზიციაში“, — ი. სტალინმა მიუთითა: „იმ დამამცირებელი რეჟიმისა და იეზუიტური მეთოდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ სემინარიაში, მე მზად ვიყავ გავმხდარიყავი და მართლაც გავხდი რევოლუციონერი...“¹.

სწორედ ამ პერიოდში, 1895 წელს, როდესაც სტალინი 15

¹ ამხ. სტალინის საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან (1931 წლის 13 დეკემბერს), თბ., 1932 წ., გვ. 13.

წლისა იყო, მე-16 წელში გადამდგარი, — მოხდა შეხვედრა ახალგაზრდა მოწაფის სოსო ჯულაშვილისა დიდ ქართველ მწერალთან ილია ჭავჭავაძესთან, რომელიც ასე შეუხრელად აწარმოებდა ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და რომელიც კერძოდ ილაშქრებდა სწორედ „იმ დამამცირებელი რეჟიმისა და იეზუიტური მეთოდების წინააღმდეგ“, რომლებსაც, ი. სტალინის სიტყვით, „ადგილი ჰქონდათ სემინარიაში“.

ამრიგად, ეს შეხვედრა არ იყო შემთხვევითი.

1895 წლის ივნისიდან ახალგაზრდა სოსო ჯულაშვილი იწყებს ლექსების ბეჭდვას ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“.

უნდა გვახსოვდეს, რომ ილია ასე ადვილად არ უღებდა მწერლებს „ივერიის“ კარებს.

წერილში „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“, ილია ჭავჭავაძე წერდა:

„ჩვენი პატარა მეგობრები ნუ გვიწყენენ პირდაპირ სიტყვას... პოეზია — ეგ ისეთი აზიზი მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავის სურნელებას ჰკარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არ ჰფურჩქნის“.

„თუ ღმერთს პოეტობის ნიჭი მიუმაღლებია თქვენთვის, ჩვენო პატარა მეგობრებო, ნუ ჩქარობთ გამოჩენასა. ნუ გეშინიათ, იგი არ მიგემალებათ არსად. იგი თავის დროზედ გამოიხეთქებს, როგორც ანკარა წყარო კლდის გულიდამ, ოღონდ პირველ ხანშივე ნუ მოაკლებთ მაგ უსუსურს — მადლს, მეცნიერების ნოყიერს ძუძუსა. ჯერ თქვენ სწავლობთ და ღმერთმაც მოგიმართოთ ხელი მაგ საკეთილო გზაზედ: ჯერ ისწავლეთ, ჯერ თქვენ შეიძინეთ, რომ მერე სხვასაც შესძინოთ რამე... გვერწმუნეთ, რომ ამ რჩევას იძლევა თქვენი გულითადი მეგობარი, თქვენი კეთილის მოსურნე...“¹.

ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც დაუშვა ილიამ, ეს იყო ახალგაზრდა სოსო ჯულაშვილის მიმართ, რომელსაც ილიამ ფართოდ გაუხსნა თავისი რედაქციის კარები.

როგორც ჩანს, 15—16 წლის ახალგაზრდა ს. ჯულაშვილს შთაბეჭდილება მოუხდენია ილიაზე.

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. II, 1941 წ., გვ. 110—111.

ილიასა და ახალგაზრდა სტალინის პირველი შეხვედრის შესახებ დაცულია შემდეგი ცნობა:

„სოსომ... მოკრძალებით შეაღო ილიას კაბინეტის კარი და თავმდაბალი სალამი მისცა დიდ მწერალს. როცა ილია შეეკითხა, ახალგაზრდავ, რა გინდაო, სოსომ მოკრძალებით გაუწოდა თავისი დაწერილი ლექსი.

„სოსო გულის-ძგერით მოელოდა ილიას მსჯავრს. გაათავა ილიამ ლექსის წაკითხვა. ცოტა შეისვენა, რამდენჯერმე შეხედა მის ავტორს, წამოდგა, მხარზე ხელი დაადო სოსოს და უთხრა, — კარგი ლექსია, ახალგაზრდავ, იმეცადინე, სწერე და კარგი მწერალი იქნებიო.

„სოსო განარებული და კმაყოფილი დაბრუნდა. არანაკლებ სასიამოვნოდ დაგვრჩა ეს გარემოება მის მეგობრებსაც. ჩქარა მისი ლექსი „ივერიაში“ დაიბეჭდა და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გვანსოვს ის ნომერი გაზეთისა ხელიდან ხელში გადადიოდა“.

ამის შემდეგ, ვიდრე „ივერია“ მთავრობამ არ დახურა, სოსო ჯულაშვილის ლექსები „ივერიაში“ იბეჭდებოდა.

სულ „ივერიაში“ 1895 წელს, ივნისიდან დეკემბრამდე დაიბეჭდა, როგორც მოვიხსენიეთ, ს. ჯულაშვილის ხუთი ლექსი, მათ შორის ლექსი „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ (რომელიც შემდეგ დაიბეჭდა „დედა-ენაში“ სათაურით „დილა“), ლექსი მიძღვნილი რაფიელ ერისთავისადმი და სხვანი. ყველა ეს ლექსი პატრიოტული სულით არის აღბეჭდილი.



1898 წელს ქართველი საზოგადოება ემზადებოდა, რათა გადაეხადა ილია ჭავჭავაძის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40-წლოვანი იუბილე. შედგა საიუბილეო კომიტეტი. დანიშნული იყო კიდევ იუბილეს გამართვის თარიღი: 9 აპრილი 1898 წლისა.

მაგრამ ილიას იუბილეს გამართვა მთავრობამ აკრძალა. მთავრობა იძულებული გახდა გამოემკლავებინა, რომ ილია ცარიზმის მიერ „არაკეთილსაიმედოთა“ შავ სიაში იყო ჩარიცხული.

ილიას იუბილეს აკრძალვის გამო სოფრომ მგალობლიშვილი ერთ წერილში სწერს ნიკო ნიკოლაძეს (28 მარტს 1898 წელს):

„ილიას იუბილეს საქმე შეფერხდა. გუბერნატორმა არ მოგვცა ნება: არაკეთილსაიმედოთა სიაში გახლავთ თქვენი დევგმირი ილიაო. ახლა ვუცდით გოლიციინის მოსვლას. მაინცა-დამაინც ვაპირობთ კერძოდ გამართვასა, უკეთუ ოფიციალურად ვერ მოხერხდა“¹.

ილიას იუბილეს გამართვა ვერ მოხერხდა ვერც ოფიციალურად და ვერც კერძოდ, არაოფიციალურად.

აღსანიშნავია, რომ მთავრობამ იმის ნებაც კი არ დართო, რომ გაზეთში გამოეცხადებინათ ილიას იუბილეს გადიდება.

თბილისის საცენზურო კომიტეტის საქმეებში შენახულა ცენზურის მიერ აკრძალული ამონაბეჭდი გაზეთ „ცნობის ფურცლიდან“, რომელიც ილიას იუბილეს „გადადებას“ ეხება. ეს აკრძალული ამონაბეჭდი შეიცავს შემდეგ ტექსტს:

„თავ. ილია ჭავჭავაძის იუბილეს გადადება.

ჩვენი პოეტის ილია ჭავჭავაძის იუბილე, რომელიც დანიშნული იყო 9 აპრილისათვის, სხვადასხვა მიზეზების გამო გადადებულ იქმნა“.

საცენზურო კომიტეტს აუკრძალავს ამ ცნობის გაზეთში გამოქვეყნება. საცენზურო კომიტეტის საქმეებში დაცულია შემდეგი დადგენილება, 1898 წლის 18 მარტის თარიღით, ამ ცნობის დაბეჭდვის აკრძალვის გამო, ხელმოწერილი საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ: В виду особого распоряжения печатание воспретить. Председатель М. Гаккель»².

ამრიგად, თვით საგაზეთო ქრონიკის აკრძალვის გამო „особое распоряжение“ („საგანგებო განკარგულება“) ყოფილა მიღებული.

ამის შემდეგ, 1898 წლის 24 მაისისათვის განზრახული იყო ილიას იუბილეს არაოფიციალურად გამართვა, მაგრამ ისიც ვერ შემდგარა მთავრობის ჩარევის გამო. მ. ნასიძის წერილში ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რო-

¹ სოფრომ მგალობლიშვილის დასახელებული წერილი დაცულია ნიკო ნიკოლაძის არქივში, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში.

² იხ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი 480, საქ. 1474, ფ. 4 (საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 255).

მელიც 1898 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა, აღნიშნულია:
„დამზადებულია 24 მაისისათვის, როდესაც ქართველობას
უნდა გადაეხადნა ი. ჭავჭავაძის ორმოცი წლის იუბილე“.

აქ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ამასთან ჩვენი მოძმე
უკრაინელი ხალხის გამოხმაურება ილიას ამ აკრძალული იუბი-
ლეს გამო.

უკრაინიდან 1898 წელს ილიას სახელზე მიღებულ იქნა
ადრესი, რომელსაც ხელს აწერდნენ უკრაინის ლიტერატური-
სა და ხელოვნების მოღვაწენი, მათ შორის უკრაინის სახელო-
ვანი მწერალი მიხეილ კოციუბინსკი.

ამ ადრესში (რომელიც ამჟამად ყვარლის ილიას სახელობის
მუზეუმშია დაცული) უკრაინელი მოღვაწენი სწერდნენ ილიას:

Віщий дух поета нашого Шевченка, літаючи над
пишною Грузнею, так малював нам країну Вашу в
поемі «Кавказ»:

«За горами гори, хмарами повиті,
Засіяні горем, кровію політі,

Споконвіч Прометея
Там орел карає,
Шо день Божий довбе ребра
Й серце разбиває.

Разбиває, та не вып'є
Живущої крові,
Воно знову оживає
і сміється знову».

Так, велике серце Прометея, який здобув для люд-
скості Божественну іскру, не лякаючись карі хижої си-
ли, не разбито дощенту; воно оживає в грудях поетів-
патриотів, борців за долю народу, до яких належите і
Ви, високоповажений Добродію!»

(„მისანი სული ჩვენი პოეტის შვეჩენკოსი, დაჰფენდა რა მშვენიერს
საქართველოს, ასე გვიხატავდა თქვენს ქვეყანას პოემა „კავკასიაში“:)

„მთების იქით მთები, შებურვილი ნისლით,
მწუხარებით სავსე და მორწყული სისხლით.

ძველთაგანვე პრომეთეოსს
აქ არწივი სძიძგნის,
გულს უკორტნის, მოთქრიალებს
ნაკადული სისხლის.

ეწაფება და ვერ ამრობს
სისხლით ცხოველ წყაროს,
გული ისევ მოცოცხლდება,
ძველებურად ხარობს“.

ასე, დიადი გული პრომეთეოსისა, რომელმაც მოიპოვა კაცობრიობისა-
თვის ღვთაებრივი ნაპერწკალი, არ უშინდება ველური ძალის სასჯელს, არაა
საბოლოოდ დამსხვრეული, იგი ცოცხლდება გულში პოეტი-პატრიოტებისა,
ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლთა, რომელთაც ეკუთვნით თქვენ, დი-
დად პატივცემულო მოღვაწევ!“).

ასეთი იყო ეს მომართვა მოძმე უკრაინელი ხალხის მოღვა-
წეებისა ქართველი ხალხისადმი, და ქართველი ხალხის თავი-
სუფლებებისათვის ღვაწლმოსილი მებრძოლის — ილიასადმი.



ილიას ორგანო „ივერია“, როგორც მოვიხსენეთ, აკრძალუ-
ლი იყო მთაერობის განკარგულებით მ თვის განმავლობაში,
1897 წლის იანვრამდე. მას შემდეგ, რაც „ივერია“ ხელახლა
იქნა განახლებული ილიას მიერ 1897 წლიდან; ილია ისევ ძვე-
ლებური ენერგიით შეუდგა თავის მრავალმხრივს პუბლიცის-
ტურ-საყურნალო მოღვაწეობას.

1897—1900 წლებს ეკუთვნის მთელი წყება ილიას წერი-
ლებისა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე.

აქ ჩვენ საგანგებოდ შეეჩერდებით ილიას წერილზე „მ ე-
ც ხ რ ა მ ე ტ ე ს ა უ კ უ ნ ე“, რომლითაც ილია შეეგება ახალი
მეოცე საუკუნის დასაწყისს (წერილი გამოქვეყნდა 1900 წლის
პირველ იანვარს). ეს წერილი წარმოადგენს მწერლის ერთგვარ
ანდერძს, მომავალი თაობებისადმი მიმართულს.

ილია ამ წერილში ეხება „შრომის ახსნის“ დიად საქმეს.

როდესაც ჩვენ ვკითხულობთ ილიას ამ უკანასკნელ საპროგ-
რამო წერილს და მასთან დაკავშირებით თვალს გადავავლებთ
ილიას მთელ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ჩვენ ვხედავთ
ერთ მაგისტრალურ ხაზს, რომელიც გასდევს ილიას შემოქმე-
დებას მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე.

ჯერ კიდევ თავის პირველ მთავარ ნაწარმოებში „აჩრდილ-ში“, რომელიც 1858 — 1859 წლებში დაიწერა, ილია უმღეროდა როგორც ერის თავისუფლების საქმეს, ისე „შრომის ახსნის“ საქმეს.

ესევე მაგისტრალური ხაზია გატარებული ილიას ყველა შემდგომ ნაწერში.

1871 წელს, როდესაც დამარცხდა პარიზის კომუნა, ილია ლექსში „1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“ — წერდა:

ტირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
დიდი ღროშა დაიშალა,
კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
იგი ღროშა დასცა დაბლა.

...კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი,
და კვლავ ღღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი

პარიზის კომუნის დიადი მაგალითით არის შთაგონებული ილია, როდესაც მომდევნო 1872 წელს იგი წერს „შრომის ახსნის“ დიადი საქმის შესახებ:

შრომისა ახსნა, — ეგ არის ტვირთი
ძღვეამოსილი ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ველარ განუძღვებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლვას,
ველარ განუძღვებს ქვეყნის მძარცველი
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალ ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების.

აღლო აილო ქვეყანამ ძველმა.
რომ დღე და დღე მის წყობა ირღვევა
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შევას იგი შრომის სუფევა!

1 იხ. პოემა „აჩრდილი“, რედაქცია — 1872 წლისა, თავები XIII—XIV.

ხოლო ამ თავის უკანასკნელ საპროგრამო წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“, რომლითაც ილია მიეგება ახალი მეოცე საუკუნის დასაწყისს, ილია წერს:

„ვინ მოსთვლის ყოველს იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთ-მოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, განაძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალური წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზედ წამოყენება და ხელშეწყობა გამრჩელ და მშრომელ კლასების წარსამატებლად“. ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენა არა უქნიათ რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თავისდა პატივის მოსახსენიებლად“.

ილია დაასკვნის:

„დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მე-19 საუკუნემ უანდერძა აწ მომავალ საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევა მოსილობით მოიმოქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უალრესს და უდიდეს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით“¹.

ასეთია ეს უკანასკნელი საპროგრამო წერილი, რომლითაც

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. VI, 1927 წ., გვ. 6—8.

დიდი მწერალი მოაზროვნე, ქართველი ხალხის დიდი განმანათ-
ლებელი ილია ჭავჭავაძე — მიეგება ახალ საუკუნეს.



1900 წლისათვის უკვე მოხუცებაში შესული ილია (იგი ამ დროს 63 წელს იყო მიწვენილი) — ავად გახდა. ილიას დევური ჯანმრთელობა გატეხა მისმა დევურმა ტიტანურმა შრომამ.

ილია 1900 წლის იენისში ევროპაში გაემგზავრა საექიმოდ.

1900 წლის ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი ილიაჲ დაყო გერმანიაში (ბერლინში) და ავსტრიაში. იგი ცოტათი მოკეთებული დაბრუნდა სამშობლოში.

ილიას მეგობარი არტურ ლაისტი წერს თავის მოგონებებში ამ მოგზაურობის გამო:

„1900 წელს ილიამ გერმანია და ავსტრია მოიარა. იგი დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალეერებდა და უკვირდებოდა გერმანელების ცხოვრებას და კულტურას, მათ ყოველ წვრილმანს აქცევდა ყურადღებას. მაგრამ ღვიძლი სამშობლო მაინც ძლიერ იზიდავდა თავისკენ. უცხოეთიდან დაბრუნებული ილია როცა თბილისს მოუახლოვდა, ისე მოხიბლულ იქმნა საყვარელი ქალაქის ხილვით, რომ თვალებზე ცრემლი მოადგა.

„ამას განსვენებული ილია მოურიდებლად მიაძვებდა ხოლმე, და თანაც დასძენდა: ყმაწვილობაში გამომიცდია ნალველი სამშობლოს მოშორებით, მაგრამ ისე ძლიერ არა, როგორც ეხლა, მოხუცების დროსაო“¹.

შემდეგ წელს, 1901-ში, ილიამ მეორეგზის იმგზავრა ევროპაში, — პარიზში.

პარიზიდან დაბრუნების შემდეგ ილია ისევ განაგრძობდა ავადმყოფობას. რათა არ შეფერხებულიყო გაზეთ „ივერიის“ ხელმძღვანელობა, ილიამ გაზეთის დროებითი რედაქტორობა 1901 წლის ნოემბრიდან ჩააბარა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე სარაჯიშვილს. ხოლო 1920 წლის აპრილიდან ილიამ მთლიანად გადასცა ალექსანდრე სარაჯიშვილს „ივერია“, რომლის უცვლელ ხელმძღვანელად და რედაქტორად იყო ილია მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე.

¹ იხ. არტურ ლაისტი, საქართველოს გული, 1923 წ., გვ. 35.

1905—1907 წლები

დადგა 1905 წელი.

ილია ამ დროს, უკვე 68 წლის მოხუცი, ავადმყოფობით იყო გატეხილი.

ილია 1905 წელს გამოდის საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით.

ილია იცავს გლეხებს შავრაზმელთა გამოსვლებიდან.

ცნობილია, რომ 1905 წელს რუსეთში დგებოდა რეაქციული შავრაზმული ორგანიზაციები, რომელთაც მთავრობა აიარაღებდა და იყენებდა ხალხის საწინააღმდეგოდ; ასეთი „შავი რაზმის“ მოწყობის ცდას ადგილი ჰქონდა საქართველოშიაც 1905 წელს. ილიამ თავადაზნაურთა ყრილობაზე გაბედულად გაილაშქრა ამ ბნელი საქმის ორგანიზატორთა წინააღმდეგ. ილიამ „შავი რაზმის“ მოწყობაში ჩათრეულს თავადაზნაურთა ერთ წრეს მიმართა სიტყვებით:

„...რად გინდა იარაღი რომ აგისხამთ? ვისთვის ამზადებთ თოფებსა? გლეხებისათვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ევ იარაღი მათ, ვინც დაგირიგათ!“¹.

როდესაც 1905 წელს მარტში მთავრობამ ეგზეკუცია გაგზავნა დუშეთის მაზრაში, ილია წერილით ატყობინებდა თავის მოურავს: „მოსე .. თუ ვინიცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია ჩემმაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ.. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაიტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონ ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ რა და ხალხი ტყუილ-უბრალოდ არ გააფუჭონ“².

აქ საჭიროა მოვიხსენიოთ ილიას გამოსვლა 1905 წლის დასასრულს, როდესაც მთავრობამ დასავლეთ საქართველოში დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა.

ილიას ამ გამოსვლის დამსწრე ი. ზურაბიშვილი შემდეგს წერს თავის მოგონებებში:

¹ იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936 წ.; № 7.

² იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. IX, 1928 წ., გვ. 403.

„ეს იყო 1905 წლის დამლევის; ნასაკირალის ამბების გამო დასავლეთ საქართველოში დამსჯელი რაზმი იგზავნებოდა ალი-ხანოვ-ავარსკის უფროსობით. უეჭველი იყო ხალხის რბევა და ელექტა-ხოცვა, რაც მოხდა კიდევ. ქართველი საზოგადოების წარმომადგენელი შეიკრიბნენ სათათბიროდ, რომ ამ საქმისათვის ეშველნათ როგორმე. ამ თათბირს ილიაც დაესწრო და შესანიშნავი ენერგიული სიტყვა წარმოსთქვა. ამ გრძობით და აზრით სავსე სიტყვის აღდგენას ვერ ვახერხებ, მეხსიერება მალატობს, მაგრამ მახსენდება სიტყვის დასასრული. ილია წინადადებას იძლეოდა მეფისნაცვალს დელეგაცია მივუგზავნოთ, დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა გადათქვასო, თანაც უნდა განუტყხადოთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველანი იქ წავალთ და ჩვენ ძმებთან ერთად „КОСТЬМИ ЛЯЖЕМ“ (სიტყვა ილიამ რუსულად წარმოსთქვა).

„როდესაც ვილაცამ შენიშნა, ხომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არავინ ჩვენგანი არ წავა და „КОСТЬМИ НЕ ЛЯЖЕТ“-ო, ილიამ უპასუხა: „მაშინ სირცხვილი ჩვენ“, და რამდენადაც მაგონდება დაუმატა ერთ-ერთი შემდეგი ფრაზა: „ამ სირცხვილს ხალხი არ გვაპატიებს“, ან „თორემ ხალხი თვითონ წავაო“¹.

აღსანიშნავია, რომ ილია (— ეს ირკვევა ჟანდარმერიის სამ-ქართველოს მასალებიდან) ცარისტულ მთავრობას როგორც წინა პერიოდში, ისე 1905—1907 წლებშიაც მუდმივი საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა, როგორც ცარიზმის წინააღმდეგ განწყობილი განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე პოლიტიკური მოღვაწე. თავგამოდებული დამცველი ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებისა.

* * *

1906 წელს მარტში ილია ჩავიდა პეტერბურგში სრულიად რუსეთის თავადაზნაურობის საიმპერიო ყრილობაზე, როგორც

¹ ილია ზურაბიშვილი, მოგონება ილია ჭავჭავაძეზე, ილია ჭავჭავაძის საიბიბლიო კრებული, 1939 წ., გვ. 323—4.

საქართველოდან გაგზავნილი დელეგატი — ამომრჩეველი სახელმწიფო საბჭოსი.

1906 წლის აპრილში ილია არჩეულ იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად.

ინტერვიუში, რომელიც ილიამ მისცა სატახტო ქალაქის კორესპონდენტებს, პირველ რიგში იგი ეხებოდა საქართველოს აწიოკებას ცარისტული თვითმპყრობელობის დამსჯელი ექსპედიციების მიერ. ილიამ განაცხადა:

„საქართველოს აწიოკების შესახებ რაც რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა, ის სინამდვილის მეთავეა. ჩვენი ხალხის ცხოვრება ჯოჯოხეთად გარდაქმნეს. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი დეპუტატები სათათბიროში ამ საგანზე აღძრავენ შეკითხვას. თუ სახელმწიფო საბჭოში მოხერხდა, იქ შევეცდები დაუფარავად დაეხატო სრული და უტყუარი სურათი ჩვენი ქვეყნის ვაებისა“.

ილიამ ამასთან კორესპონდენტებს განუცხადა:

„სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მართო თავადაზნაურთა საჭიროებებზე ვილაპარაკებ. თუ ამას ჰფიქრობენ ზოგნი ჩვენი ამომრჩეველნი — ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოთი თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემ ღონეს“¹.

ილია თავის პირველ ინტერვიუში საქართველოს პოლიტიკური თვითმმართველობის საკითხს შეეხო. მან განაცხადა:

„მე დავიცავ ადგილობრივ ინტერესებს. ადგილობრივ საჭიროებათა და ინტერესების სფეროში მე მომიხდება დავიცვა ფართე თვითმმართველობა კანონმდებლობითი უფლებით“².

ოფიციალური ხასიათის კრებულში „Государственный Совет, 1906—1907 гг.“, რომელიც 1907 წელს გამოქვეყნდა, და სადაც მოცემულია ცნობები სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობის შესახებ, ილიას შესახებ აღნიშნულია: «...сторонник

¹ იხ. მ. ბოლქვაძე, ახლო წარსულიდან, ილია ჭავჭავაძე რუსეთში (1906—1907 წ.), თურნალი „განათლება“, 1908 წ., № 3—4, გვ. 108.

² იხ. ილიას ტერკულ, გადმობეჭდილი გაზეთში „Тифлисский Листок“ (1906 წ. 20 აპრილი).

широкого местного самоуправления с широкими местными законодательными правами»¹.

სახელმწიფო საბჭო გაიხსნა 1906 წლის 27 აპრილს.

ილიამ და სახელმწიფო საბჭოს ერთმა მცირე ჯგუფმა შეადგინეს სახელმწიფო საბჭოს მემარცხენე ფრთა.

ეურნალისტი მ. ბოლქვაძე, რომელიც 1906—1907 წლებში პეტერბურგში მუშაობდა და რომელიც მოწმე იყო ილიას მოღვაწეობისა სახელმწიფო საბჭოში, შემდეგს წერს სახელმწიფო საბჭოს ამ მემარცხენე ფრთის შესახებ:

„ეს მცირე ჯგუფი შეადგენდა განცალკევებულ კომისიას და დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალს პირველ სათათბიროს მუშაობას. ეს წრე თავის კრებებზე არჩევდა იმ კითხვებს, რომელნიც სათათბიროში მზადდებოდა. ასეთი დიდი კითხვები იყო: ამნისტია, სიკვდილით დასჯის მოსპობა, აგრარული კითხვა და სხვა... სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა ილიამ იკისრა.

„აგრარული კითხვის გარჩევის დროს ილიას ვრცლად და სერიოზულად დასაბუთებული მოხსენება სურდა წარედგინა“².

სახელმწიფო საბჭოს პირველ სესიაზე, 1906 წლის 22 ივნისს სხდომაზე, ილია გამოდის სახელმწიფო საბჭოს შინაგანაწესის პროექტის კრიტიკით, სადაც ილია ცარისტულ რეჟიმს „საძულველი ვიწრო-ბიუროკრატიული რეჟიმის“ სახელწოდებით მოიხსენიებს. ილია, შეეხო რა შინაგანაწესის პროექტის იმ ნაწილს, რომელიც კრძალავდა სახელმწიფო საბჭოსთან ხალხის უშუალო ურთიერთობას, კრძალავდა არა მხოლოდ დეპუტაციების წარდგომას სახელმწიფო საბჭოში, არამედ წერილობითი განცხადებების წარგენასაც საბჭოს თავმჯდომარისა ან საბჭოს წევრების საშუალებით, — ილიამ თქვა:

«Компсия возымела желание дополнить учреждение (положение) Государственного Совета в наказе... — в смысле преграждения всякого общения между Государственным Советом и народом... Это немного напоминает ненавистное начало узко-бюрократического режима, который полагает, что не правительственные лица и учреждения существуют для народа, а народ для этих учреждений...»³.

¹ იხ. დასახელებული კრებული, გვ. 129.

² იხ. ეურნალი „განათლება“, 1908 წ., № 3—4, გვ. 111—112.

³ იხ. სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის 1906 წლის 22 ივნისის სხდომის სტენოგრაფიული ინგარიში.

ილია, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ახლო ურთიერთობაში იყო სახელმწიფო სათათბიროს წევრებთან. სახელმწიფო სათათბიროს ეროვნულ უმცირესობათა დეპუტატების კავშირმა ილია მიიწვია როგორც სრულუფლებიანი წევრი და ილია მონაწილეობას იღებდა კავშირის თათბირებში.

ილია სისტემატურად ესწრებოდა პირველი სახელმწიფო სათათბიროს სხდომებს. მ. ბოლქვაძე თავის მოგონებებში წერს: „მახსოვს ისეთი კრებები, როდესაც საბჭოს წევრთა ვრცელ ლოჯიაში მართო ილია იყო...“

„როდესაც რომელიმე დეპუტატი ტრიბუნიდან წარმოსთქვამდა ძლიერსა და თამამ სიტყვას, ილია საამოდ მოლიმარ სახით გამოვიდოდა სათათბიროს კულუარებში და ალტაცებით აღნიშნავდა ორატორის სიტყვის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას... ილია ქება-ალტაცებასთან ერთად კრიტიკულად არჩევდა დეპუტატთა ნათქვამს“.

სათათბიროს ერთ სხდომაზე, — მოგვითხრობს მ. ბოლქვაძე. — ერთმა დეპუტატმა მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვა წარმოსთქვა; „ყველა მინისტრები — განაგრძობს მ. ბოლქვაძე, — დარბაზში ბრძანდებოდნენ და ისმენდნენ მსუსხავე მსჯავრს. მე ჟურნალისტების ლოჯიაში ვიჯექი. სახელმწიფო საბჭოს ლოჯია ჩვენ გვერდით იყო. აქ იყო ილიაც. (ორატორის) სიტყვის შემდეგ წამოდგა, ჩამოუარა ჩვენს ლოჯიას და ნელის ფეხის ნაბიჯით გასწია კულუარებისაკენ. მაშინდელი იმისი სასის გამომეტყველება არასდროს არ დამავიწყდება. აქ იხატებოდა უსაზღვრო კმაყოფილება, სიამოვნება, ნეტარება, მტრის დამარცხებაზე აშენებული, ილიას სული და გული დელავდა, მთელ სახეს ალმური მოდებოდა, ზღვა-თვალნი ბრწყინავდნენ.“

«მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა... ნეტავ რა გუნებაზედ არიან მინისტრები. ძლიერი მათრახია, ურყევე საფუძველზე აშენებული...» — ამბობდა ენერჯია-აღძრული და აღელვებული ილია.

„ასეთი სცენის მოწმე ხშირად ვიყავ“¹.

¹ ჟურნალი „განათლება“, 1908 წ., № 3—4, გვ. 119, 114—116.

სახელმწიფო საბჭოს პირველი სესია გაგრძელდა 1906 წლის 27 აპრილიდან 12 ივლისამდე.

ივლისში ილია საქართველოში დაბრუნდა. ილია საქართველოში დარჩა 1907 წლის თებერვლამდე.

1907 წლის თებერვალში ილია ისევ რუსეთს გაემგზავრა სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე, რომელიც გაიხსნა 20 თებერვალს და გასტანა 5 ივნისამდე.

სახელმწიფო საბჭოს ამ მეორე სესიაზე ილია გამოვიდა სიტყვით სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ.

ილია ამ გამოსვლისათვის დიდხანს ემზადებოდა. ჩვენამდე შენახულა ამ სიტყვის შავები, კონსპექტური ჩანაწერები, საიდანაც ჩანს, რომ ილიას ეს სიტყვა ვრცელი მოხსენების სახით მოუხაზავს.

სამწუხაროდ, სიტყვის სრული დედანი დღემდე აღმოჩენილი არაა. ირკვევა ამასთან, რომ ამ სიტყვის დაბეჭდვა, მისი წარმოთქმის შემდეგ, მთავრობას აუკრძალავს.

ილიას სიტყვის შესახებ წყაროებში შემდეგი ცნობებია შენახული.

ინიციატორი სახელმწიფო საბჭოში საკითხის დასმისა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ — ილია ყოფილა. ეს კითხვა წინასწარ გარჩეულა სახელმწიფო საბჭოს მემარცხენეთა ჯგუფში (რომლის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და წევრი იყო ილია) და ილიას თავისთავზე აუღია მოხსენების დამზადება ამ საგანზე. ჟურნალისტი მ. ბოლქვაძე, რომელიც, როგორც მოვისხენიეთ, მოწმე იყო ილიას მოღვაწეობისა სახელმწიფო საბჭოში 1906—1907 წლებში, გადმოგვცემს:

„...სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა ილიამ იკისრა“.

მოხსენების დამთავრების შესახებ იგივე მ. ბოლქვაძე გადმოგვცემს ილიას ნათქვამს:

„გუშინ საღამოს დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდილით დასჯის შესახებ. ამ დღეებში წავუყითხავ ჩვენ წრეს (სახელ-

მწიფო საბჭოს მემარცხენეთა ჯგუფს), მერმე, კი სახელმწიფო საბჭოს“¹.

სახელმწიფო საბჭოს წევრი ცნობილი რუსი მეცნიერი მაქსიმე მასქსიმეს-ძე კოვალევსკი აღნიშნავს ამასთან, რომ სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილიასთან ერთად გამოსულა პროგრესული მოღვაწე პროფ. ტავანცევი, მ. კოვალევსკი გადმოგვცემს «... князь Чавчавадзе высказался за отмену смертной казни» «...заодно с проф. Таганцевым».

ილიას სიტყვა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ, როგორც ირკვევა, წარმოუთქვამს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე 1907 წლის 17 აპრილს ან 2 მაისს. სახელმწიფო საბჭოს ამ სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები დაიბეჭდა ხარვეზებით, რადგან ამ სხდომებზე წარმოთქმული ზოგიერთი სიტყვის დაბეჭდვა მთავრობას აუკრძალავს. ამ აკრძალულ სიტყვათა შორის ყოფილა, როგორც ირკვევა, ილიას სიტყვაც.

ის გარემოება, რომ მთავრობას აუკრძალავს ილიას სიტყვის გამოქვეყნება, მოულოდნელს არას შეიცავს. ეს არის ის ხანა, 1907 წელი, როდესაც, რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის თარეშის დროს, რუსეთის იმპერიაში და კერძოდ საქართველოში სახრჩობელები იყო აღმართული ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა დასასჯელად.

ილიას სიტყვა პირდაპირ იყო მიმართული მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ (სიტყვის კონსპექტში ილიას ჩანიშნული აქვს გასაშლელად შემდეგი დებულება: «Убийство, смертная казнь стали таким обычным явлением... Подобные события перестали быть новостью...»).

ილიას, რასაკვირველია, კარგად ესმოდა, რომ მისი სიტყვა სახელმწიფო საბჭოში დარჩებოდა „ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა“ (სიტყვის იმავე კონსპექტში ილიას ჩანიშნული აქვს წარმოსათქმელად: «вопрос об отмене смертной казни, несмотря на все наши старания, не пройдет..., группа, ставшая этот вопрос, слишком малочисленная, чтобы произвести какое либо впечатление, какое либо замешательство среди огромного большинства остальных...»).

ილიამ სახელმწიფო საბჭოს ტრიბუნა გამოიყენა იმისათვის,

¹ იხ. ჟურნალი „განათლება“. 1908 წ., № 3—4, გვ. 110—111.

რათა გაბედულად დაეგმო ცარისტული თვითმპყრობელობის სისხლიანი გზა და მხარში ამოსდგომოდა ნათელი მომავლისათვის მებრძოლთა რიგებს.



ილიას რადიკალურმა პოზიციამ სახელმწიფო საბჭოში გამოიწვია რუსეთის რეაქციული თავადაზნაურული წრეების განსაკუთრებული გულისწყრომა და აღშფოთება.

მას შემდეგაც კი, რაც ილია მოჰკლეს თვითმპყრობელობის აგენტებმა, ეს მძულვარება ილიასადმი რეაქციული წრეებისა არ შენელებულა.

მ. ბოლქვაძე თავის მოგონებებში ილია ჭავჭავაძეზე წერს (1908 წ.):

„რუსეთის თავადაზნაურთა უმრავლესობა (მათ შორის სახელმწიფო საბჭოს წევრნი და ამომრჩეველნი) დღესაც დიდი საყვედურით იგონებენ ილიას. უკანასკნელ თავადაზნაურთა არჩევნებზე (1908 წ.) სახელმწიფო სათათბიროს „ცნობილმა“ წევრებმა კრუპენსკიმ და მარკოვმა ბრძანეს:

„ჩვენ (თავადაზნაურობამ) ავირჩიეთ ილია ჭავჭავაძე. იმან მთელი თავადაზნაურობა შეგვარცხვინა. ჩვენ შეეცდით და ვნანობთ. ეხლა თუ საიმედო კანდიდატს დაგვისახელებთ (თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობა), ისეთს, როგორც გენერლები ორბელიანი და მუხრანსკია, თუნდაც წერა-კითხვაც არ იცოდნენ, დიდის სიამოვნებით ავირჩევთ... ამას სხვებმაც ბანი მისცეს“¹.

სახელმწიფო საბჭოში ილიას მოღვაწეობის შესახებ ინტერესს წარმოადგენს მოგონება ცნობილი რუსი მეცნიერის მაქსიმე მაქსიმეს-ძე კოვალევსკისა, რომელიც, როგორც მოვიხსენეთ, ილიას დროსვე იყო სახელმწიფო საბჭოს წევრად (იგი 1907 წელს, ილიაზე გვიან იყო არჩეული სახელმწიფო საბჭოში).

ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებაზე, რომელიც მ. კოვალევსკის თაემჯდომარეობით გაიმართა პეტერბურგში 1913 წელს, მ. კოვალევსკიმ თავის სიტყვაში თქვა:

¹ იხ. ეურნალი „განათლება“, 1908 წ., № 3—4, გვ. 108—109.

«Мы собрались чествовать память крупного общественного и политического деятеля, которого академическая группа в Государственном Совете имела честь считать ближайшим союзником своих редко когда успешных начинаний.

Очевидно, что в учреждении, добрая половина которого составлена из людей старого порядка, попавших в Государственный Совет по назначению, взгляды людей, идущих во главе освободительного движения, встречают лишь слабую поддержку в представителях некоторых земств... В числе этих немногих был и князь Илья Григорьевич Чавчавадзе. Когда, после роспуска первой Думы и неудачной попытки поставить мою кандидатуру на выборах во вторую, я был призван доверием русских Университетов и Академии Наук заседать в Государственном Совете, я застал в нем князя Чавчавадзе горячим сторонником совместной работы с так называемыми представителями науки.

Имя его связывали с немногими определенными голосованиями Государственного Совета в те три месяца, в какие продолжались заседания нашей первой представительной палаты. Нужно ли говорить о том, что каждый раз он оставался в меньшинстве?

Заодно с проф. Таганцевым, пятидесятилетнее служение которого русской государственности мы будем праздновать на днях, князь Чавчавадзе высказался за отмену смертной казни.

Он был в числе немногих сторонников широкой аграрной реформы, имевшей своей задачей расширение крестьянского землевладения».

მ. კოვალევსკის სიტყვით ილიას ცქერა მიმართული იყო მომავლისაკენ — «კ სულმუ ბუდუშემუ, პოსტროენუმუ ნა ნაჩალაჲ სვობოდაჲ ნი ობშესტვენნიჲ სოლიდარნოსტი»¹.

1907 წლის 5 ივნისს დასრულდა სახელმწიფო საბჭოს სესია, ილიას გული საქართველოსაკენ მოისწრაფოდა.

ილია რუსეთში მეუღლითურთ იყო. ილიას უთქვამს მახლობელთათვის:

«...ამდენი ხანი არ ვყოფილვარ საქართველოში... ზაფხული თუ იქ არ გავატარე, ჩვენს ქვეყანას არ გადავხედე, ზამთარში აქ რა გამაძლებინებს? განა დიდი ხანი დამრჩენია?»².

1907 წელს ივლისში ილია მეუღლითურთ დაბრუნდა საქართველოში.

ზაფხულის თვეები, ივლისი და აგვისტო, ილიამ საქართველოში გაატარა.

¹ მ. კოვალევსკის სიტყვის დედანი დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივში (ფონდი 103, აღწ. 1, № 561). პირი სიტყვისა მოიპოვება ყვარლის მუზეუმში.

² იხ. მ. ბოლქვაძე, დასახელებული წერილი, ქურნალი «განათლება», 1908 წ. № 3—4, გვ. 135.



1907 წლის 30 აგვისტო — წიწამურის ტრაგედიის დღე — უდიდესი სამგლოვიარო თარიღია ქართველი ერისა.

ამ დღეს თვითმპყრობელობის აგენტებმა მოჰკლეს ქართველი ხალხის ერთგული შვილი ილია ჭავჭავაძე.

ილიას წმინდა სისხლი დაიღვარა წიწამურში, არაგვთან, ამ არაგვთან, რომელსაც ილია ახალგაზრდობისას მიმართავდა სიტყვებით:

ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!..
ქართლის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ...
შენს კიდეებზე ჩემი მამული
იყო ერთ დროსა განმშვენებული!

შენ ზვირთებს შორის ჩემის ქვეყნისა
გრძელი მოთხრობა დამარხულია,
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდეებზე გადასხმულია.

საქართველოსათვის თავდადებულ გმირთა წმინდა სისხლს კვლავ შეერთო წმინდა სისხლი ილიასი.

ათი დღე, 30 აგვისტოდან — 9 სექტემბრამდე, გლოვის ზარი გაისმოდა საქართველოში.

9 სექტემბერს ქართველმა ხალხმა ილიას ნეშტი, რომელსაც დაედინა ცრემლი მთელი საქართველოსი, მიაბარა მშობლიურ მიწას მთაწმინდაში.



ასეთი იყო მწერლის ცხოვრების გზა.

ამაო იყო მტრის წადილი შებრძოლებოდა იმას, რაც მარადისია, მოესპო გასროლილი ტყვიით ის, რაც უკვდავია. უკვდავია ილიას საქმე.

ილიას სახე დღეს ჩვენ გვინათებს ქართველი ერის დიდ წინაპართა სახეებს შორის.

ჩვენმა თანამედროვეობამ მიიღო ის ძვირფასი მემკვიდრეობა, რომელიც ილიამ ქართველ ერს უანდერძა.

ახალმა საქართველომ ღირსეულად დააფასა ილიას ღვაწლი.
1937 წლის 9 ნოემბერს ქართველმა ხალხმა, საბჭოთა კავ-

შირის ყველა მოძმე ერებთან ერთად, დიდის ზეიმით იღვესასწაულა ილია ჭავჭავაძის ასწლოვანი იუბილე.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პრავდამ“ ილიას იუბილეს მიუძღვნა სპეციალური მეთაური, სადაც გაშუქებული იყო როლი ილიასი, როგორც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი მოღვაწისა მე-19 საუკუნეში.


საქართველოში იცემა ილიას ნაწარმოებთა სრული კრებულები. ილიას ნაწერები ფართოდ ვრცელდება ხალხში.

აღსრულდა აკაკის სიტყვები, რომლითაც იგი გამოეთხოვა თავის დიდ თანამოღვაწე ილიას:


„აწ ილია არ მომკვდარა,
მამულისთვის რჩება ლამპრად“.

ქართველმა ხალხმა უდიდესი სიყვარულით შემოსა სამშობლო ქვეყნის მოამაგის, მამულის ლამპარის, დიდი ილიას სახელი.

ქართველმა ხალხმა მიიღო და შეიტკბო დიდი ილიას სიტყვა, ილიას განძი და ანდერძი.



სსსსსს
სსსსსსსს



აკაკი წერეთლის შემოქმედება

I

აკაკი წერეთლისათვის პოეზია არ იყო განყენებული „წმინდა ხელოვნება“, არამედ მძლვე საბრძოლო იარაღი, ხალხის სამსახურისათვის დანიშნული. აკაკი წერეთელმა თავისი ღიღი პოეტური ტალანტი ხალხის სამსახურს მიუძღვნა.

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს!

ერთი ჰქონდეს მას საგანი:
პარმონია მისი ხმების
ცხოვრებაში იყოს ბანი
ხან ლხენის, ხან მწუხარების!

აღტაცებით სიმთა ეღერა
გადმოსცემდეს მაგნიტის ხმას
და მაზედაც ჩემი მღერა
ორხმოვანად გამოისმას,

რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეწრობოდეს
და მჩაგვრელს-კი გულში ძგვრით
ისარივით ესობოდეს!

მაშინ მხოლოდ ამ ჩემ ჩანგურს
აშორდება უქმად გდება,
და ვინც გრძნობით დაუგდება ყურს,
ვფიცავ, არც ის მოსტყუვდება!

გამიქვავდეს მაშინ ენა,
თუ რომ ვისმე მოვეფერო,
და გამიხმეს ეს მარჯვენა,
თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში განუყრელია ორი დიდი სახელი: აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძისა.

ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი არიან იდეური ხელმძღვანელნი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელსაც მტკიცე საფუძველი ჩაეყარა საქართველოში მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან. ილია და აკაკი იყო ის ორი რჩეული, რომელთაც თავისი მძლე მხრებით აზიდეს ეპოქის ტვირთი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიას საქართველოში მე-19 საუკუნის მანძილზე გრძელი ისტორია აქვს; ხოლო ახალი და მთავარი, რაც ილიამ და აკაკიმ შეიტანეს ამ იდეოლოგიაში, — ეს არის დაკავშირება ეროვნული განთავისუფლების საქმისა — მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმესთან.

აქ საჭირო იქნება უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ამ საგანზე.



ილია ჭავჭავაძე თავის პირველ პოემაში „აჩრდილი“ (რომელიც არის დეკლარაცია 60-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებისა) — უმღერის არა მხოლოდ საქართველოს განთავისუფლებას, არამედ „შრომის ახსნას“:

შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევა მოსილის ამ საუკუნის,
კაცთა დღევისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის შედგრადა იბრძვის.
ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლვას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალ ნერგზედ ასლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აპყვავდების.
შრომის სუფევა მოვა მაშინა
ქეშმარიტების მის ძლიერებით...

ილია ჭავჭავაძე არის ავტორი არა მხოლოდ „გზავრის წერილებისა“, რომლითაც მან ქართველ ხალხს საბრძოლო სიგნალად დაუსახა — „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნესო“, — არამედ ილია ამავდროს არის ავტორი „კაკო უჩაღლისა“, „მუშისა“, პარიზის კომუნისადმი მიძღვნილი ლექსისა.

აქ საჭიროა მოვიგონოთ აგრეთვე ილია ჭავჭავაძის საპროგრამო წერილი „მეცხრამეტე საუკუნე“, რომლითაც მოხუცი ილია მიიგება ახალი მეოცე საუკუნის დასაწყისს (წერილი გამოქვეყნდა 1900 წლის პირველ იანვარს), და რომელიც ამ დიდი მწერლისა და მოაზროვნის ერთგვარ ანდერძს წარმოადგენს, მომავალი თაობებისადმი მიმართულს. ილია წერს:

„ვინ მოსთვლის ყოველს იმ სიკეთეს, რომელიც მე-19 საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მე-19 საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი — ყველასთან თანასწორი და თანასწორად შესაწყნარებელი და გულშესატყვივარია. მართალია, ან მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, განაძლიერა, გაათართოვა, და დაუდვა-რა მეცნიერული საბუთი, — ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდაქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალური წყობილების იდეალად გამოსახა: „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჩელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად“. ამ გზაზედ წინა-საუკუნეებს იმოდენა ჯრა უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თავისდა პატივის მოსახსენებლად“.

ილია დაასკვნის:

„დღეს ღარიბთა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მე-19 საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევა მოსილობით მოიქმედებს, მაგრამ ამ მე-19

საუკუნის ანდერძზე უალრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას
აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას
იქით“¹.

სამოციანი წლების თაობის ორი დიდი კორიფეის — ილია
ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთელის შემოქმედებაში წითელი ხა-
ზით გასდევს ერთი იდეოლოგიური მაგისტრალი.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ასევე დაკავშირებულია
სამშობლოს გამოსხნისა და შრომის განთავისუფლების საქმე.

გადავიკითხოთ ჯერ აკაკი წერეთლის პოეტური ანდერძი
„საქართველოს დღევანდელი სახე“. ჩვენ აქ მოგვიხდება თითქ-
მის მთლიანად მოვიყვანოთ ძირითადი ნაწილი ამ ლექსისა,
რადგან აქ გახსნილია პოეტის მსოფლმხედველობის არსი, მო-
ხაზულია პოეტის სამოქმედო პროგრამა.

ვის იგლოვ იერემია?
თავზე რად იყრი ნაცარსა?
რად სტირი იერუსალიმსა
და სოლომონის ტაძარსა?
ვინ იგულისხმებს გოდებას,
როცა შენ ერთი სტიროდე,
თუ იმავე დროს ილხენდეს
ათი-ათასი იროდე?...
შემკრა-შემბოჭა შავ-ბედმა,
ტანჯეები გამიზვიადა,
და მწუხარებით შავ-კუპრი
გულზე დამაწვა ტყვიადა.
მეზარევე, ზარი აუშვი
ამირან გმირის კენესითა
ხმა გრძნობას შეუთანახმე
იველ ჩვეულება-წესითა
და ნიღველ-ქაფად გამილღე
ეს მძიმე ტვირთი გულისა,
რომ ნიშნად გამოვანთხო
მომავალ სიხარულისა!
„ვია“ და „უი“ წარსულსა,
„უი“ და „ვია“ აწმყოსა,
თუ მომავალმა იმედი
მალამოდ გულს არ იცხოსა!

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, ტფ. 1927 წ.,
გვ. 6—8.

რომ ეს მალამო არ მქონდეს,
რა გაუძლებდა ჩემ წყლულსა?
და ჯოჯოხეთის სახნისით
გადაბრუნებულ გლახ-გულსა?..
მეც ცისარტყელად მესახვის
იმედი მომავალისა,
წყნარი, შვიდფერი, შვიდძალი,
ტკბილად ამხელი თვალისა.

პოეტის გულს—„ჯოჯოხეთის სახნისით გადაბრუნებულს“—
იმედით ავსებს შეუდრეკელი რწმენა — დამონებული ქვეყნის,
ჩაგრული ერის განთავისუფლებისა. პოეტს თავის სამშობლო
წარმოუდგენია ტანჯული, მაგრამ ქედმოუხრელი გმირის ამი-
რანის სახით, რომელიც დაამსხვრევს ბორკილებს.

პოეტი იმაღლებს ხმას —

რომ ძველი საგალობელი,
საერო, მამა-პაპური,
გაეიმეორო კიდევ დღეს
და ყველამ დაუგდოს ყური,
და დღემდე რაც მე უჩინრად
გულის ფიტარზე მეწერა,
აწ მაინც აღარ დაფარო ..
აი, ეს ჩემი სიმღერა:
„კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული.
ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ჰნელდებოდა,
და რაღაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.
ჰქონდა ჭირში მოთმინება,
არც კენესოდა, არც ოხვრიდა,
უსამართლო ძლიერებას
მონურად თავს არ უხრიდა!
ბოლოს მაინც გამარჯვება
დარჩა, ყველა გააოცა,
და ის ღვაწლიც მაგალითად
შვილიშვილთა მან გადმოსცა.
კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი

არის მთელი საქართველო
და მტრები-კი — ყვაე-ყორანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჰვს გასწყვეტს გმირთა-გმირის
სიხარულად შეეცვლება.
ამდენი ხნის გასაჰირი“.

პოეტი კითხულობს, — ვინ არის მხსნელი?

ეს კი, მაგრამ ვინ გმირია,
რომ აუშვებს მიჯაჭულსა?
ან მალამოს ვინ უშაადებს?
გაუჰურნებს ვინდა წყლულსა?
თუ რომ დავით, ღვთის რჩეული,
მას ველარას მოეხმარა,
და თამარის მალამოაც
წყლული ველარ დაუწყნარა, —
ამ ორ ძალზე უფრო დიდი
არის კიდევ სადმე ძალი,
რომ წარსულმა ვერ დაბადა
და წარმოშობს მომავალი?

პოეტი უპასუხებს:

ა რ ი სი..

ვხედავ მომავალში
გამოსულა მუშათ ერი,
ერთმანეთთან შეთანხმებით
ძლიერი და ბედნიერი
გზა გაჰყავს და ხიდსაც აგებს,
სისხლითა და ოფლით რწყულსა
და, მომავლის მოიძედე,
იღარ იმჩნევს წყლულად წყლულსა.
გამარჯობა ნამდვილ მუშებს,
ვაშა, ვაშა მომავალსა!..
ის ასწორებს ღღევანდლების
გამრუდებულ გზა და კეალსა.
გაასწორებს და გზას მისცემს
ტარიელს და აეთანდილსა,
ამირანის სისხლ-ცრემლებით
ქართველებად გამოზრდილსა.
ნეტაე იმ დროს და მის დამსწრეს!
ზეზეულ ჰგრძნობს ცხონებასა:
არც ისურვებს ბატონობას
და არც ვისმე მონებასა.
აღიარებს მხოლოდ ძმობას,

თანსწორობას, სიყვარულსა,
 და საზღვარი არ ექნება
 მის უზანყო სიხარულსა!
 შორით ვხედავ იმ ნეტარ ღროს,
 ამ ცუდ ღროში დანაბადი,
 და ანდერძად მხოლოდ რჩება
 ჩემი გუდა და ნაბადი
 დიხს!.. მხოლოდ ანდერძად-ღა
 მაგრამ მაინც იმედია:
 მომავალი სიხარულიც
 ნეტარება და ბედია..
 რა ვუყოთ, რომ ვერ მოვესწარი
 სიკვდილის-წინ ზომ მაინც ვგრძნობ
 მომავალ ბედს? და ამ გრძნობას
 სულთამბრძოლი თან ჩავიდნობ:
 არ მომკვდარა საქართველო!
 აპყვავდება ერთხელ კიდე!
 და გაისმის ძველებურად
 იმისი ხმა კილით-კიდე!

აკაკი არის სახალხო პოეტი — ამ სიტყვის ნამდვილი და მაღალი მნიშვნელობით.

აკაკი არის პოეტი, დაჯილდოებული უბრწყინვალესი პოეტური ხმით, დიდი პოეტური ტალანტით. მაგრამ ეს ცოტაა.

აკაკის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმის გამო, რომ აკაკის პოეტური შემოქმედება ორგანულ კონტაქტში იმყოფება ეპოქასთან. იგი არის გამომსახველი ეპოქისა. იგი არის „ხალხის საყვირი“, ტრუბადური ხალხის იმედებისა.

აკაკის პოეზიისათვის უცხოა არისტოკრატიული განყენება ხელოვნების კოშკში, აკაკის პოეზია დემოკრატიულია ამ სიტყვის პირდაპირი, ნამდვილი და მაღალი მნიშვნელობით.

რასაკვირველია, ამით აიხსნება ის განუზომელი პოპულარობა, რომელიც წილად ერგო აკაკის პოეზიას, ის უგულისხმეირესი გამოხმაურება — რომლითაც უპასუხა ხალხმა პოეტის სიტყვას.

არც ერთ ქართველ პოეტს, რუსთაველის შემდეგ, არ რგებია ასეთი პოპულარობა, არ მიუღია ხალხს ისე ახლო, როგორც აკაკი. ცხადია, ეს არ არის შემთხვევითი ამბავი.

აკაკის სიტყვა, როგორც ნაყოფიერი თესლი, გადავიდა ხალ-

სში და მოიტანა ნაყოფი. ხალხმა მიიღო აკაკის პოეზია — როგორც თავისი ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი.



გავეცნოთ ამის შემდეგ უფრო ახლოს აკაკის შემოქმედების იდეურ მაგისტრალს.

რომ უფრო მეტის სიზუსტით გამოვავლინოთ აკაკის პოეზიის იდეური არსი, უფრო ახლოს ვიგრძნოთ პოეტის გულის ფეთქვა, ჩვენ ხშირად მოვისმენთ თვით პოეტის ხმას.

როდესაც აკაკის პოეზიას ვიხილავთ, პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს მებრძოლის ის შეუწინაღებელი პათოსი, რომლითაც აღბეჭდილია აკაკის პოეზია, ის რევოლუციური სულისკვეთება, რომელიც ელექტროდენის მსგავსად გასდევს აკაკის პოეტურ შემოქმედებას.

ზღვაო, აღელდი, აღელდი,
ქარტახილს დაემორჩილე!
ამთაგორე ტალღები,
კიდევებს გადააცილე!
მარგალიტების სალარო
შენი უფსკრული გულია,
მყუდროების დროს ის განძი
ქვეყნისთვის დაფარულია.
მხოლოდ როდესაც მრისხანებ,
გულს უხსნი მზე და მთვარესა:
იმ მარგალიტებს შესტყორცნი
შენს შემკვრელს არემარესა...

ღიადი სიტყვა „რევოლუცია“ — პირველად გაისმა ქართულს მწერლობაში თავისი ნამდვილი მნიშვნელობით მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან. ამ სიტყვამ გამოანათა თავისი ნამდვილი ზავითიანი ელვარებით იმ დიადს ხალხურს მწერლობაში, რომლის ფუძემდებელნი არიან ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

წარსული საუკუნის ბნელით მოცულს ხანაში აკაკი გრძნობს მომავალი რევოლუციის შორეულ მონათებას, გრძნობს მის აუცილებლობას, იგი უმღერის მომავალი რევოლუციის განმანათლებელსა და განმწმედელს ძალას.

ლექსში, რომელიც დაწერილია 1882 წელს, პოეტი ინატრის და უმღერის რევოლუციის სისხლიან წვიმას:

ღმერთო, წვიმა მოიყვანე
 წითელი და შხაპუნაო,
 რომ გავიდეთ სამუშაოდ
 და დავსძახოთ „პოპუნაო“!
 რომ ქალებიც გვერდში გვედგენ
 ნამგლითა და ცელითაო;
 ჩვენგან მოჭრილ თავთავს ჰკრებდენ
 მადლიანის ხელითაო.
 შეილებიც თავს დაპხაროდენ
 მობრუნებულს ალოსაო;
 „ოროველას“ დასძახოდენ
 მამა-პაპურ კალოსაო!

„წახდა ჩვენი ქირნახული, ვერ მოვიმკეთ, რაცა ვთესეთ“, —
 ამბობს პოეტი; „მაგრამ მაინც ნუ დავსცხრებით“ — მოუწოდებს იგი:

ეგებ ოდესმე გამოჩნდეს წარღვნის შემდეგ ცისარტყელა,
 დაიქუხოს, დაიღვოს, გაგვინათლოს დღეს რაც ბნელა!

პოეტი მიმართავს „გამდიდრებულ ბატონს“:

გამდიდრებულხარ, ბატონო,
 და ბრწყინავ გარეგნობითა...

იგი მოაგონებს დამონებული ხალხის გამწირველსა და
 მტარვალს, ცათამდე ამალლებულს „გამდიდრებულს ბატონს“,
 თუ რას უქადის მას ხვალინდელი დღე:

მაშინ იქუხებს, იელვებს
 ხალხთ რისხვა მიძინებული
 და მებს დაგვატეხს კერპ თავზე,
 წარსულზედ შეშინებული!
 გაგარონინებს ქვესკნელსა,
 გინდ მალლა იყო ცათამდე...

თავისუფლება მოითხოვს საქმესა და მსხვერპლს, და არა
 ცრემლებს:

..ნუ, პოეტო! ნუ, ნუ სტირი,
 ბედის ვარსკვლავს ვხედავთ რაკი!
 კმარა ცრემლი.. საქმის დროა!
 მსხვერპლი გვინდა და ზვარაკი.

..ჩვენ გვესმის პოეტის ვაჟკაცური ხმა, ბრძოლისაკენ მომწოდებელი:

რაც ძალადობით წაიღეს,
ვინ დააბრუნებს ნებითა?
ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა?
არ სჯობს, რომ კაცმა გმირულად
ბრძოლაში სული დალიოს,
ვიდრე სხვის ნება-ბრძანებით
მან საწამლავი დალიოს?
აი, რას ამბობს რუსთველი,
სულ-მნათი, ყვავილოვანი:
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკედელი სახელოვანი“

რა იყო საგანი ამ საგმირო სიმღერისა? რა საქმისაკენ უხ-
მობდა გმირებს მისი „დაფი და ნალარა“?

როგორც მოვიხსენეთ, ორს რასმე უმღეროდა პოეტი: სამ-
შობლოს განთავისუფლებასა და „შრომის ახსნას“.

პოეტი მიმართავს სამშობლოს:

მშვენიერო, შენ გეტრფი,
შენი მონა, ერთგული,
შენთვის სულდგმულს, შენგანვე,
შენთვის მიძგერს ეს გული.

მეგულები ციხეში,
ცხრაკლიტულში მჯლომარე...
შეთვისებას გიპირებს
გაიძვერა მოყვარე!

გაუმაგრდი განსაცდელს,
აიტანე ტყვეობა!
გშვენის ნესტან-დარეჯნის
მაგალითი...მზეობა.

ტარიელი დაგეძებს,
გვარდნილი ღღეს ველად;
ავთანდილიც ფრიდონით
მოდის გამოსახსნელად!..

ამავე დროს პოეტი შთაგონებულია „შრომის ახსნის“ საქ-
მით. პოეტი გვისახავს თავისუფალ შრომას — როგორც უზე-

აეს იღეაღს, როგორც უმადღესსა და უკეთიღშობიღეს მოწო-
უბას განთავისუფღებუღი ადამიანისა:

გეახსოვღეს, რიმ პატიოსანს
ოფღს მოითხოვს სამართალი,
და ტანს გასწმენღს ჩირქიანსა
მხოლოდ მარტო წმინდა წყალი!..
არც სისხღიღ და არც ცრემღებღიღ
არ იქნება ტანის ბანა!..
შრომაშია მხოლოდ შვება
და ცხოვრების გამოცანა.

პოეტი მიმართავს მუშებს:

მუშებო, თქვენი მარჯვენა
იკურთხოს, ოფღიღ ნაბანი!
მიწაა თქვენი ლოგინი
და ლაქვარღი ცა — საბანი!

უღროოდ გცივაღ და გცხეღაღ,
ზევარჯელაღ რჩებღიღ მშიერი,
მაგრამ ყვეღაფერს აიტანს
თქვენი ბუნება ძღიერი!

მიმხეღარი არის ეგ თქვენი
შეუბღალავი გონება,
რომ პირუტყვისაკღიღ არ შვენის
მშრომელ კაცს სხვისი მონება!

პოეტი უსახავს მუშებს შრომის განთავისუფღლების ღიადღს
ხანს, იგი აღაგზნებს მშრომელღა გუღს იმ ღიადღი იმეღღიღ,
ამღღის მოლოღღინში, პოეტის სიტყვიღ, „კაცს ვერ ერევა შავ-
ღღი“.

ნუ გამოიღევღ ამ იმეღს,
ეგ იყოს თქვენი საგანი...
მუშებო, თქვენი მარჯვენა
იკურთხოს ოფღიღ ნაბანი!..

ორღღესაც 1881 წელს რუსეთის რევოღუციონერებმა მოკ-
რღეს ცარისტული რუსეთის — „ხაღხთა საპყრობიღის“ მთავა-
) იმეციხოვნე აღექსანღრე II, აკაკი ამას პოეტური ჰიმნიღ
ეჯება.

თქვენ ხელში იღებღ 1881 წღღის გაზღეტს, რომელიც სამგღო-
. ჰ. ინგოროყვა

ვიარო არშეებით არის შემოსალტული ალექსანდრე II-ის მოკვლის გამო, და აქ სრულიად მოულოდნელად, სრულს კონტრასტში ამ ტრაურულ ფურცლებთან, ჰკითხულობთ აკაკის ლექსს, სადაც პოეტი, ქვეყნის ჯალათის მოსპობის გამო, ახალა გაზაფხულის დაწყებას უმღერის:

ღღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჰიკჰიკითა გადმომძახა
„გაზაფხული გაზაფხული!“
გულს იმედი დამესახა.
მივდექ სარკმელს, გავიხედე.
არემარე მესხვაფერა,
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!
სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი თუ: გულსა რაღად ვიტებ?
ახლოს არის მომავალი

პოეტს მას შემდეგ ხანგრძლივ მოუხდა ნამდვილი გაზაფხულის მოლოდინი, მაგრამ განა არსებობდა ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლო ჩაეჭრო მომავლის იმედით ანთებული პოეტის გული, თუმცადა ეს გული — აწმყომ „ჯოჯონეთის სახნისით“ გადააბრუნა! პოეტი ბოლომდე რჩება გულგაუტეხელ მებრძოლად.

პოეტი მიმრთავს თავის მუზას:

ჩონგურო, ჩემო დიდებაე,
და ძლიერებაე, კალამო!
ზოგჯერ ფინთიხო გულისა
ზოგჯერ წყლულისა მალამო, —
ნუ გამომიღვე ძალ-ღონეს
საბრალოს მუშას მთესველსა,
მებრძოლსა გულგაუტეხელს,
ბნელში იმედით მთესველსა!

გმირობის ტრუბადური — იგი მღეროდა:

არა, ჰყვაოდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჰადარა,
გმირებს უძახის, უყვიის.
ჩემი დაფი და ნაღარა.

მას არ აშინებდა ზამთრის სუსხი:

დე დაზამთრდეს, სუსხმა დაგვკრას,
ქარიშხალმაც გვბეროს ველით, —
ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
თუ გაზაფხულს კი მოველით!



ამ დიდის ხნის მოსალოდნელი გაზაფხულის დასაწყისი პოეტმა დაინახა დიადს მოძრაობაში ცხრაას-ხუთი წლისა.

რა აღფრთოვანებით შეეგება პოეტი ხალხის გამოღვიძებას, რევოლუციის ძლევამოსილ აღმავლობას:

აღსრულდა თითქმის, რასაც ვნატრობდით
ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში...

ცხრაას-ხუთი წელი, რასაკვირველია, სულ სხვა ხანის დასაწყისი იყო, იგი ხსნიდა სრულებით ახალს ეპოქას, მოძრაობაში მოდიოდა ახალი ძალები, ისახებოდა ახალი იდეები, ახალი მიზნები, იხსნებოდა ახალი გზები.

წარსული საუკუნის სამოციანი წლების მოღვაწისათვის ამ ახალს ცხრაას-ხუთის წლის მოძრაობაში, ცხადია, ბევრი რამ გაუგებარი უნდა დარჩენილიყო.

მაგრამ დაბერებული მებრძოლი პოეტი არ დარჩა ამ ახალი მოძრაობის გარეშე. „ბერი მინდია“ ჩადგა ახალ მებრძოლთა რიგებში, მისი ადგილი იქ იყო, სადაც ახალი ძალებით ქვეყნის ახალი მომავალი იჭედებოდა.

პოეტი აღფრთოვანებული მღეროდა:

ჯერ ამ ჩემ თვალს არ უნახავს
მოსავალი ამისთანა,
ოქროს ფერად რომ ბიბინებს
დალოცვილი ოქროს ყანა.

პოეტი იგონებს თავდადებულ მუშაკებს, რომელთაც წარსულში გასტეხეს ახო და თესლი მიმოაბნეის:

დღეს ის თესლი ამოსულა,
დამწიფებულს ვხედავთ პურსა
ნამგალს ითხოვს, სხვას არაფერს,
და სხვანაირს სამსახურსა!

მუშა შედის სიხარულით
წმიდა ნამგლის ტრიალითა...

და პოეტი აღფრთოვანებით მიმართავს მომკვლ მუშებს:

ვაშა!.. ვაშა!.. კეთილ მუშას,
მის მარჯვენას და მის ხელსა!..

მოხუცმა პოეტმა ამ დროს მართლაც პირნათლად აასრულა ის დიადი აღთქმა, რომელიც მან წარსულში დასდო: ჯერ კიდევ მეოთხედი საუკუნით ადრე, მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, პოეტი წერდა:

მხოლოდ ჩემი გაზაფხული
არ მოსულა ჯერაც კიდევ,
ვინდ ხმელეთიც აბიზინდეს
და აპყვავდეს კილით-კიდე...
სანამ ჩემი მე სურვილი
კუკურშივე მეგულება,
რას მიქვიან გაზაფხული
და ბუნების განახლება!
მაგრამ როცა აკოკრდება,
გაიშლება, აპყვავდება,
და იმისი სურნელება
არემარეს მოედება, —
მაშინ მხოლოდ! მხოლოდ მაშინ
მეც მომივა გაზაფხული,
და მოგიკვდეთ, თუ სიმღერით
ვერ დაეჩაგრო მე ბულბული!

და აი ბებერი ბულბული ამღერდა, ამღერდა სრული ხმით. ცხრაას-ხუთი წლის რევოლუციას ქართულს პოეზიაში არ ჰყოლია უფრო დიდი მომღერალი, ვიდრე აკაკი წერეთელი.

აქ საკმაოა ჩამოვთვალათ ის ლექსები, რომლებიც პოეტმა ცხრაას-ხუთი წლის მოძრაობას უძღვნა:

„ჩემი რწმენა“,

„ხანჯალს“,

„გაზაფხული“,

„სიმღერა“,

„თქვენი ჭირიმე“ („ამ დროს ველოდი, მოვესწარ“),

„გაზაფხული“ („მესმის, მესმის“),

„გურული ნანინა“,

„ყანა“,
 „ნატერა“ („ასრულდა“),
 „რჩევა“,
 „ძირს“ („ძირს მთავრობა უსამართლო“),
 „კოჭაობა“,
 „ინტერნაციონალი“,
 „ტყვეს“.

ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით ამ ლექსებზე, რადგან მათ, ცხა-
დია, კარგად იცნობს მკითხველი.

ჩვენ აქ დაგვრჩენია მხოლოდ ხაზი განუხვავთ იმ გარემო-
ებას, რომ აკაკი წერეთელი, — თუმცაღა სულ სხვა თაობის კა-
ცი, არას შემთხვევაში არ არის გარედან მოსული ცხრაას-ხუთი
წლის რევოლუციასთან, რომელმაც ახალი ეპოქა გახსნა. ბრძო-
ლაში დაბერებული ძველი მებრძოლის ანთებული გული მთელი
სისავესით განიცდის რევოლუციის ცეცხლს.

გადავიკითხოთ პოეტის „ჩემი რწმენა“, რომელშიაც პოეტი
ასე სრულხმოვნად, ასეთის ვაჟკაცურის ხმით უმღერის რევო-
ლუციის სტიქიურ ძლევამოსილებას:

ჩ ე მ ი რ წ მ ე ნ ა

რომ მოდიდდება წყალი-მდინარე
 და კალაპოტში ველარ ეტევა,
 აღელვებული, აჭაფებული
 კიდევებულად გადაენტხევა,
 წალეკავს ნაპირს და თან წაიღებს
 მოპირდაპირედ რაც დაუხედება,
 სტიქიონურის ძალმოსილობით
 კლდეებს ეხლება და ქეებზე ჰხტება,
 დაქანებული სიმწრით თავდაღმა
 უსწორ-მასწოროდ იმღერევა ხშირად
 და გველ-ბაყაყიცი, თევზებთან ერთად,
 გამოჰყავს ხოლმე ძალით ნაპირად, —
 ხალხიც ასეა რომ აღელდება
 და თავის ქერქში ველარ ეტევა,
 ვერ შეაჩერებს, როგორც სტიქიონს,
 ველარც ვედრება და ველარც წყევია..
 წალეკავს ყველას, რაც ცხოვრებისთვის
 არ გამოდგება... უქმი ბარგია..

და გადარეცხავს სისხლით მხოლოდ მას,
რაც წარსულიდან აღარ არგია!..

და როდესაც ის კალაპოტშივე
ჩადგება ბოლოს დამშვიდებული, —
დაიწმინდება, და იწყებს დენას
სხვა ცხოვრებისთვის განახლებული.

ასე ეფიქრობდი და ამ განზრახვას
მოვესწარ კიდევ... განხორციელდა.

სიყმაწვილიდან მოხუცებამდე
ეს მაწვა გულზე, როგორც რომ ლოდი,
და ხალხის ჩვენში გამოღვიძებას
ერთხელ ოდესმე მეც მოველოდი...

პოეტი ამთავრებს სიტყვებით:

...და, ვით ბულბული დაბერებული,
მეც დროს ვუგალობ ქებათა-ქებას.

მართალი არის, სისხლი იღვრება,
მაგრამ მოითხოვს ამას ბუნება!
წყალი ხორცსა ჰბანს და სისხლი სულსა,
ამას გვიმოწმებს თვით ქრისტეს ენება.

თითო-ოროლა კარგიც იჭრება,
რომ იმარგლება სიმინდის ყანა,
მაგრამ ამიტომ მის გათონაზე
ხელს იღებს ხოლმე ქვეყანა განა?..

ხალხი მღელვარებს, ვაშა მის ღელვას!
ერთხელ ის მღვრიაც დაიწმინდება,
როცა ცხოვრება გამარჯვებული
კალაპოტშივე წმიდად ჩადგება.

ასე გრძნობს გული, აღელვებული,

ხალხის მიბაძვით მოუსვენარი..

ვერ შეაჩერებს ძალით ზამთარი,

როცა გაზაფხულს ეღება კარი...

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ აკაკი წერეთელი იყო პირველი ქართულს პოეზიაში, რომელმაც გადმოიღო ქართულ ენაზე დიადი პროლეტარული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

II

აკაკი წერეთლის შემოქმედების იდეურ-პოლიტიკური მაგისტრალის გაცნობის შემდეგ, ჩვენ აქ წარმოვადგენთ აკაკის ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმოხილვას.

აკაკი წერეთელმა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა მწერლობის თითქმის ყოველ დარგში: ლირიკის ჟანრები: პოლიტიკური ლირიკა, სატირა, პუბლიცისტური ლექსები; პოემები; დრამატურგიული ნაწერები; მხატვრული პროზა; მემუარული ლიტერატურა; ნარკვევი-ფელეტონი; პუბლიცისტიკა, კრიტიკა-ლიტერატურისმცოდნეობა, წერილები ისტორია-ეთნოგრაფიაზე, ხალხურ სიტყვიერებაზე და სხვ.

აკაკის არაერთგზის აღუნიშნავს, სიტყვიერად და წერილობითაც, რომ იგი თავის ლიტერატურულ მუშაობაში არ ისახავდა მიზნად ხელოვნებას. პოეტი თავის თავს, უწინარეს ყოვლისა, სთვლიდა „გარემოების საყვირად“. მას თავის პირდაპირ საქმედ და მოვალეობად მიაჩნდა პასუხი გაეცა იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომელსაც ყოველდღიური ცხოვრება აყენებდა; პოეტი თავმდაბლურად აღნიშნავდა, რომ თუ ზოგი რამ გამოუვიდა მას ხელიდან ღირსი ხელოვნების სახელისა, ეს მოხდა თავისთავად, მისდა უნებურად.

პოეტის ეს განცხადება მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი გვისურათებს მისი მუშაობის გარემოს.

აკაკი მართლაც ჩაყენებულ იყო პუბლიცისტის მუშაობის პირობებში. ეს გამოწვეული იყო იმ საერთო ვითარებით, რომელშიაც იმყოფებოდა ქართული მწერლობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

აკაკი, დიდი პოეტი-მოქალაქე, იყო ფხიზელი მეთვალყურე საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემისა. აკაკი, ეს ხალასი უბრწყინვალესი ლირიკოსი, თავის დიდს პოეტურ ტალანტს ძალიან ხშირად იყენებდა, როგორც პუბლიცისტი და არა როგორც მხატვარი. პუბლიცისტური ხასიათის ლექსებს, რომლებშიც პოეტი გვევლინება როგორც „გარემოების საყვირი“ ყოველდღიური, ზოგჯერ წვრილმანი საჭირბოროტო საკითხებისა, — აკაკის პოეტურ მემკვიდრეობაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს.

თავის წმინდა მხატვრულ ნაწერებშიც აკაკი ზოგჯერ მეტ ყურადღებას აქცევს პოლიტიკური ტენდენციის პირველ პლანზე წამოწევას და წმინდა პუბლიცისტიკის ხაზებში გაშლას, ვიდრე ნაწარმოების მხატვრულ სრულყოფას.

მაგრამ აკაკი მაინც რჩება შეუღარებელ აკაკიდ. აკაკის შე-

მოქმედება ერთ-ერთი უდიდესი მოვლენაა მე-19 საუკუნის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. აკაკი არის ბუნებრივი დიდი სტიქიური მხატვრული ტალანტი და აკაკის ნაწერებში ეს დიდი ტალანტი თავს იჩენს მთელი თავის შეუდარებელი ბრწყინვალეობით.

აკაკის პოეზია

ისტორიული პოეზია. პოეზია „გაგზადელი“. აკაკის ლირიკა

აკაკის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან პირველ რიგში მის პოეზიაზე შევჩერდებით.

თავდაპირველად საუბარი გვექნება აკაკის პოეზიის დიდი მხატვრული ტილოების შესახებ.

აკაკის პოეზიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ციკლს შეადგენს ისტორიული პოემები:

„ბაგრატ დიდი“ (1875 წ.)

„თორნიკე ერისთავი“ (1884 წ.)

„კიკოლას ნაამბობი“ (1889 წ.)

„ნათელა“ (1900 წ.)

„ასი წლის ამბავი“ (1901—1905 წ.)

„გორგასლანი“ (1912) და სხვანი.

აკაკი წერეთელმა ისტორიული თემატიკა გამოიყენა, როგორც მძლავრი იარაღი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეის პროპაგანდისათვის. აკაკის ისტორიული პოემები განათებულია კეთილშობილი პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით. აქ არის არა მხოლოდ წარსულის რომანტიკა. პოეტი უნერგავს მკითხველებს დამონებული სამშობლო ქვეყნის აღდგენის იმედს. ქართველი ხალხის დიადი გმირული თავგადასავალი წარსულში — პოეტს ესახება როგორც საწინდარი სამშობლოს მომავალი აღორძინებისა.

იდეური მიზანდასახულობა აკაკის ისტორიული პოემებისა შესაძლოა შეეჯამოთ „თორნიკე ერისთავის“ პროლოგის სიტყვებით. ამ პროლოგში მოცემულია ლეიტმოტივი აკაკის ისტორიული პოემების მთელი ციკლისა:

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართულ გმირთა მხარ-მკლავები?
ვინ მოგვითხრას მათი საქმე —
უთვალავი, საგმირონი,
და ან მათზე გადმოსული
მადლი ღვთისა და მირონი?
ნაშთი ძველი დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც ყველა...
ღღესაც მისის შარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა..
„შვიდ სამთავროს“ მოგვაგონებს.
მოელვარე ის შვიდ-ფერი
და გვიმღერებს: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ერი“
ამ იმედით ფრთაშესხმული
ჩვენი გული სიამით სძგერს,
და ოცნებაც ლაყვარდ ფერად
წარმოგვიდგენს ქართლისა ერს:
წარსულ-ნერგზე და ახალ-ნერგის
ველოდებით შეხორცებას!
მით ვიქარვებთ აწმყო ნაღველს
და ვეძლევით აღტაცებას.

საქართველო — „ხე ცხოვრებისა“ — არ გამხმარა, იგი ნელ-ნელა, მის ფესვებს ასაზრდოებს უკვდავების წყარო, და „ხე ცხოვრებისა“ იყრის ახალ ნერგს. პოეტი, როგორც მებაღე, უელის მას და ელოდება „წარსულ-ნერგზე ახალ-ნერგის“ შეხორცებას.

* * *

აკაკის ისტორიულ პოემებს, როგორც მოვიხსენეთ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეის პროპაგანდისათვის.

რაც შეეხება ისტორიულ პოემებს, როგორც წმინდა მხატვრულ ნაწარმოებთ, ისინი არაა თანაბარი ღირსებისა.

აკაკის პირველი ისტორიული პოემა „ბ ა გ რ ა ტ დ ი დ ი“ აღბეჭდილია ერთგვარი სქემატურობით. სქემატურობის ელემენტებს შეიცავს აგრეთვე მეორე ცნობილი პოემა „ნ ა თ ე ლ ა“, თუმცა იგი დაწერილია აკაკის ჩვეულებრივი ნათელაღეჭსით. ერთი ადგილი ამ პოემისა „ნათელას სიმღერა“ („ჩონგურს სიმები გავუბი...“) გადავიდა ხალხში, ხალხურ სიმღერად იქცა.

დიდ მხატვრულ სიმაღლეზე დგას აკაკის ისტორიული პოემა „კ ი კ ო ლ ა ს ნ ა მ ბ ო ბ ი“, ეს აკაკისეული „კაკო ყაჩაღი“.

ამ პოემაში გაცოცხლებულია ეპოქა ძველი საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის დასრულებისა (მე-18 საუკუნის ბოლო — მე-19 საუკუნის დასაწყისი).

პოემაში მკვეთრად არის მოხაზული სახე ქვეყნის მოღალატის ზურაბ წერეთლისა, ცბიერი კარისკაცის და ამავე დროს ზვიადი გულქვა ბატონისა. გლეხების წრიდან გამოსული კიკოლა განასახიერებს მშრომელი ხალხის გმირულ სულისკვეთებას ქვეყნის განსაცდელის ხანაში. კიკოლა, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისა და ტფილისის დაღუპვის მომსწრე, არ ემორჩილება მოღალატე ბატონის ბრძანებას, არ უშინდება მის მუქარას, და თავის მოძმეებთან ერთად სისხლსა ღვრის ქვეყნისათვის. შემდეგ, როდესაც გამარჯვებული მოღალატე ბატონი შურს იძიებს ურჩი ყმის — კიკოლას ოჯახზე, კიკოლა — სიმწრით გულანთებული — როგორც ოჯახის დაღუპვით, ისე სამშობლო ქვეყნის უკულმა დატრიალებული ბედით, ტყვიით უმასპინძლდება სამშობლოს ღალატში გარეულს ზვიად მებატონეს.

„კიკოლას ნამბობი“ აღბეჭდილია პოეტური თხრობის კეთილშობილი უბრალოებით. რეალისტურ ფერებში, მხატვრული სიმართლით აღბეჭდილს სახეებში, აქ გაცოცხლებულია მთელი ეპოქა.



აკაკის ისტორიულ პოემებში ცენტრალური ადგილი უჭირავს პოემას „თ ო რ ნ ი კ ე ე რ ი ს თ ა ე ი“. ეს პოემა უცი-

ლობელად უნდა მიეკუთვნოს მე-19 საუკუნის ქართული პოეზიის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებთა რიცხვს.

პოეტს გადაყვევართ სამშობლო ქვეყნის შორეულს წარსულში. ხანა, რომელსაც წარმოგვიდგენს პოეტი, მეათე საუკუნის მეორე ნახევარი, არის ის ღირსსახსოვარი ეპოქა ქართველი ხალხის ისტორიისა, როდესაც სწარმოებს საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, და რის შემდეგაც იწყება მძლავრი აღმავლობა საქართველოს სახელმწიფოებრივობისა.

ცენტრალური იდეა პოემისა — ეს არის იგივე მუდმივი, დომინანტური იდეა აკაკის მთელი შემოქმედებისა, — „წარსულ-ნერგზე ახალ-ნერგის შეხორცება“, რისი სამსახურიც თავს იღვა ქართული პოეზიის ამ დიდმა მებაღემ. აკაკი უმღერის გმირად შობილს, მაგრამ ისტორიული ბედის უკუღმართობის გამო მონობის ჯაჭვით შეკრულს ერს:

მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს ვასწყვეტს გმირთა-გმირი,
სიხარულად შევეცლება
ამღენი ხის უსაპარი.

„თორნიკე ერისთავში“ აკაკი წერეთელი წარმოგვიდგება თავისი დიდი პოეტური ტალანტის ბრწყინვალე გამონათებით.

მართალია, პოემის ყველა ნაწილი არაა მოცემული თანაბარი მხატვრული დამთავრებით. პოემის პირველი ორი კარი შედარებით მკრთალია, მაგრამ მოთხრობის მანძილზე პოეტის ხმა თითქოს მტკიცდებაო თანდათან, და პოემის მეორე ნაწილში იგი იმღერის სრულის პოეტურის ხმით.

წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს მესამე კარი პოემისა. რა სიმდიდრე ფერებისა, გამოყენებული უცთომელის არტიტული შეზომილობით, რა ძალოვანება მხატვრული სიტყვისა, ჭეშმარიტი დრამატიზმი, რომლისაგან აუცილებელია რაიმე ყალბი ნოტა, მკვეთრად მოხაზული სახეები და სურათები. ხოლო ამასთან შეხამებით სრულყოფილი პოეტური ფორმა, აკაკის სრულხმოვანი ლექსი, ლექსი ნათელი და მართალის ხმით მყდერი, მოკლებული რაიმე ზედმეტს ორნამენტაციას და პოეტურ „ფალცეტს“, ლექსი — თქმული ბუნებრივი, გულის ხმით.

ბატალური სცენები ამ მესამე კარში — ნამდვილი შედეგ-

რია. როგორის თანდათანობით და მხაჟებულად შეზომილებით იზრდება, იშლება და ფართოვდება დრამატული მღელვარება; ჯერ თორნიკეს მიერ ომის განრიგება; შემდეგ, ბუნების გამოღვიძებასთან ერთად, სიცოცხლის პირველ ფეთქებასთან ერთად, პირველი ძახილი მომავალი ომისა, განთიადზე დაკრული საპარი, საყვირთა ახმაურება, ისართა პირველი გადაშხილება; მას შემდეგ ბრძოლის თანდათან გაშლა, ცალკეული ეპიზოდები სცენები, ორბელიისა და აფრანიკის ორთაბრძოლა, და ბოლოს „შენივთება“ ბრძოლისა (— როგორც ძველ-ქართულად იტყოდნენ) და ომში გასული თეთრწვერა და თეთრთმიანი ბებერი გმირი თორნიკე, ბერ-კვიციზე მჯდომარე...

და, დასასრულ, ბრძოლის ფინალი, რომელიც ჰკრავს ამ მესამე კარს, სურათი გადახდილი ომისა, სისხლის კალო, რომელსაც დასცქერის მთვარე — მოზარე ქალის მსგავსად — ფერმიხდილის ნათელით, — ბრძოლის ველი, აღესილი დახოცილი გმირებით...

პოემის უკანასკნელი, მეოთხე კარი, სულ სხვა ასპექტში გაშლილი, აგრეთვე მოცემულია პოეზიის მაღალ რეგისტრში. ამ მეოთხე კარში არის ნამღერი აკაკის დიადი ჰიმნი ამირანის შესახებ, რომელსაც პოეტი წარმოგვიდგენს საქართველოს სიმბოლოდ.

აღსანიშნავია, რომ აკაკი პირველი იყო, რომელმაც ახლად გააცოცხლა ქართულ პოეზიაში ეს უდიდესი სახე ძველ-ქართული მითოსისა — ამირანი.

პრომეთე-ამირანი — მსოფლიო დიაბაზონის თემაა, და აკაკის ამ პირველი ჰიმნის შემდეგ ეს უნივერსალური თემა, ჯერ კიდევ მოელის სრულყოფილს დამუშავებას ქართულ პოეზიაში, იმ ხალხის ენაზე; რომელმაც შექმნა ეს უდიდესი მითოსი კაცობრიობისა.

პოემას ამთავრებს — ცაში ატყორცნილი გუმბათის მსგავსად — პოეტური აპოთეოზი. ისახება ცისარტყელა — მომასწავებელი ერის უკვდავებისა და „წარსულ-ნერგზე — ახალ-ნერგის შეხორცებისა“.



გარდა ისტორიული პოემებისა აკაკის აქვს მთელი რიგი ლექსები, შთაგონებული საქართველოს ისტორიული წარსულით. ზოგან ისტორია აღებულია როგორც საერთო ფონი, რომლის ქარგაზე პოეტი ქმნის პოლიტიკურის სიმახვილით აღბეჭდილ ლექსებს. სხვა ლექსებში კიდევ ცენტრში დაყენებულია საქართველოს ისტორიულ მოღვაწეთა ღირსსახსოვარი სახეები, როგორც მაგალითად ლექსში, რომელიც მიძღვნილია ძველი საქართველოს ჭირნახული გმარის, ბებერი არწივის ირაკლის ხსოვნისადმი („ირაკლის საფლავზედ“).

ცალკეა აღსანიშნავი მთელი წყება ბრწყინვალე ლექსებისა, მიძღვნილი თამარისა და რუსთაველისადმი: „რამ გამოიწვია ვეფხისტყაოსანი“, „სიზმარი“, „ლეგენდური“, „ხალხური“ და სხვ. აქაც ჩვენ გვაქვს არა უბრალო განყენებული რომანტიკა წარსულისა; არამედ იმედის ხმა, მოწვედენილი წარსულიდან აწმყოში.

ქვეყანამ ეთერს მშვენებით
 თამარი ამჯობინათ,
 მიუვალ ადგილს, კლდის წვერზე
 მას დაუნიშნა ბინათ!
 სანთლად დაუნთო ვარსკვლავი,
 ცას საბნად დაახურათ,
 შეიდასი წელი შორიდან
 იმედით უთვალყურათ...

აღმოსავლეთით გამოჩნდება აღთქმის ვარსკვლავი!

მზეს ედრებოდა სიცხოვლით,
 სინაზით სავეს მთვარესო,
 უცნაურ სხივებს აფენდა
 ოთხკუთხივ ყოველ მხარესო.
 შეიდა და იქ გაჩერდა,
 სადაც ამბობენ თამარსო;
 ძველ საყდარს დაქაბაქათებდა,
 სხივებს აფენდა მას გარსო.
 წამოდგა მზეთუნახავი,
 სთქვა: „დიღხანს მძინებიაო!
 სანამდე ვიყავ მღვიძარი,
 არაეის მშინებიაო...“

მაგრამ ლალატმა ბოლოს დროს
პირბადე დაიფარაო:
მტერი მომადგა მოყკრულად
და ბანგი შემაპარაო.
ღლეიდან მმართვეს ფხიზლობა,
მეყო ამდენი ძილიო..“

პოემა „გამზრდელი“.

აკაკის პოემებიდან არაისტორიულ თემატიკაზე პირველ რიგში უნდა მოვიხსენოთ აკაკის პოეტური შედეგები — პოემა „გამზრდელი“.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ თვით აკაკი თავის პოეტურ მემკვიდრეობაში ყველაზე მაღლა „გამზრდელს“ აყენებდა. დამსწრე პირები მოწმობენ, რომ მომაკვდავმა პოეტმა მოითხოვა წაეკითხათ მისთვის „გამზრდელი“. პოეტი ჩაფიქრებული უსმენდა პოემას; ხოლო უკანასკნელი სცენის წაკითხვის დროს, როდესაც გამზრდელი გულში მიიჭედავს ტყვიას — თავისი გაზრდილის სიმდაბლისა და დაცემის მხილველი, პოეტს ცრემლები მოერიო...

ლიტერატურული კრიტიკა „გამზრდელის“ შეფასებაში უნდა დაეთანხმოს პოეტის შინაგან გრძნობას.

პოემა „გამზრდელი“ მართლაც მაღალი რეგისტრის მხატვრული ნაწარმოებია. იგი ნამდვილი სამკაულია აკაკის პოეზიისა, უზადო, წმინდა ბრწყინვალეების გამომცემი ძვირფასი თვალი.

მოქმედება პოემისა „გამზრდელი“ იშლება კავკასიონის მთების ფონზე, და ჩვენ აქ თითქოს ვსუნთქავთ კავკასიონის მთების წმინდა გამჟღავნებელ ჰაერით.

პოემის მოქმედი გმირებია კავკასიის მთიელები, მთის შვილნი, „რთულ ცხოვრების უარმყოფნი“. პატრიარქალური ცხოვრების ფონზე პოეტმა გადაგვიშალა ადამიანთა დიდი ღრამა.

მარტივი ფონი, რომელიც მისცა პოეტმა თავის თხრობას, განათების ერთგვარს კონტრასტს იძლევა და მით უფრო მეტის სიმკვეთრით წარმოაჩენს იმ დიდ ღრამას, ადამიანის დიდ გრძნობათა იმ ღელვას, რომელიც ირხევა პოემის სტროფებში.

პოემა „გამზრდელი“ ნამდვილი შედეგია პოეზიისა — ნათელი არქიტექტონიკით, მხატვრული ოსტატობის გენიალურად

შეზომილი სისადავით, უცთომელად შეხამებული და იდეალურის ეკონომიით გამოყენებული ფერებით.

მე ცოტა მეგულება პოეტური ნაწარმოები, სადაც ერთს სურათში, სულ რამდენიმე ასეული სტრიქონის მანძილზე, თითქოს რამდენიმე ხაზმოსმით, მაგრამ ასეთის მხატვრული სრულყოფით და ასე სრულზმოვანად გაშლილი იყოს ადამიანის ბუნება, ადამიანის საქმე, ადამიანის მარადიული გრძნობანი, — სიყვარული, მეგობრობა, ტრაგიული შერხევა ადამიანის სული-სა, ღალატი, სიბრძნე.

ფერები აქ ცვლის ერთიმეორეს ისეთივე ბუნებრიობით, როგორც თვითონ ბუნებაში.

ჯერ სინათლეა. მერცხლის ბუდეს — მთიელი აფხაზის ბინას — დაჰქათქათებს მზე და მთვარე. მაგრამ უეცრად ეს მერცხლის ბუდე გარს შემოიხვევს ელვა-ჰეჰას.

პოეტის ერთი მაგიური ხელშეხება, და თითქოს უეცრად, მოულოდნელად, ჩვენს წინაშე ცოცხლდებიან სამუდამოდ დაუვიწყარი სახეები:

აფხაზი, — რომლის კეთილშობილი გული, გაშლილი სიყვარულისა და მეგობრობისათვის, დაყენებულია უმძაფრესი ტრაგიკული განსაცდელის წინაშე. მაგრამ ეს ქართველისებური შერხევა ადამიანის სულისა, კიდევ მეტის სიმკვეთრით, ელვისებური განათებით წარმოაჩენს გმირის სულიერს სიდიადეს. წვეთ-წვეთად იცლება აფხაზის გული განუკურნებელი ჭრილობისაგან, მაგრამ იგი მაინც პოულობს ძალას განკურნოს თავისი ნაზი მეგობრის შეურაცხყოფილი სიყვარული; და ამავე დროს ჰეშმარიტი სულიერი სიდიადით, ნამდვილი გმირის პირქუში თავდაჭერითა და სულგრძელობით — ქვე დაანარცხოს ღალატი და სიმდაბლე.

აფხაზის გვერდით — სათუთი ნაზიბროლა, ეს ნაზი და უმანკო ყვავილი სიყვარულისა, ჯერ სიხარულით გაშლილი მზის სხივებში, შემდეგ დასეტყვილი, მოტეხილი ღეროზე, თავდახრილი მწუხარების სიმძიმის ქვეშ.

ამათთან საფარ, უარყოფელი კაცობისა, გამტეხელი მეგობრობის აღთქმისა, ძმობისა, დობისა, ყოველივესი, რაც წმიდაა ადამიანისათვის, — ბოლოს დალაზვროს თავისი ადრინდელი — მისგან განწირული მეგობრის გმირული სულგრძელობის ხილვით, გატეხილი თავისი უმდაბლესი შეცოდების სიმძიმით.

ხოლო პოემის ფინალში ჩვენ წარმოგვიდგება მონუმენტური ფიგურა თვით **გ ა მ ზ რ დ ე ლ ი ს ა**, ბრძენისა და თვალუხვავად მსჯელი მსაჯულისა, რომლის გულში მისივე ხელით მიჰედლილი ცხელი ტყვია ამთავრებს ამ დიდს ადამიანურ დრამას.

პოემის პერსონაჟები დასახულია უცდომელი ხელოვნებით. ერთგვარი მოჩვენებითი სიმარტივე წერისა ურთულეს პოეტურ ეფექტს განასახიერებს. პოეზიაში — მსუბუქი ეს არ არის ზერელე. პოემაში „გამზრდელი“, აქსესუარებით გადატვირთული წერის ნაცვლად, ჩვენ გვაქვს სუფთა ხაზებით გაყვანილი გამჭვირვალე მაგისტრალი პოემისა. ხოლო ამ ნათელ ფონზე სახეები გამოყვანილია სუფთა კალმის მოსმით: დრამატული კოლიზიები გაშლილია ნათლად და ბუნებრივად; დახატული სახეება აღბეჭდილია სიმართლით.

ხოლო ყოველსავე ამასთან — პოემაში „გამზრდელი“ ჟღერს აკაკის მაგიური ლექსი, ნათელი და მოთინათინე, გამჭვირვალე, როგორც წყარო იმ მთებისა, რომელსაც იგი უმღერის; ლექსი — მარტივის წყობით და რთულის რიტმით, რომლის ჰარმონიულ რხევაში თითქოს გვესმის კავკასიონის მთებიდან მორხეული სიონ სუნთქვა და ტყეების შრიალი.



პოემა „ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა“.

აკაკის ორი მთავარი პოეტური ნაწარმოების — „გამზრდელისა“ და „თორნიკე ერისთავის“ შემდეგ უნდა დავასახელოთ აკაკის მესამე პოეტური თხზულება განსხვავებული უანრისა — პოემა „ნაცარქექია“.

აქ ჩვენ ვეცნობით აკაკის პოეტური ტალანტის ახალ მხარეს. ლირიული დრამატიზმი „გამზრდელისა“ და „თორნიკე ერისთავისა“ პოემაში „ნაცარქექია“ იცვლება აკაკის თავისებური რბილი და სხივოსანი ჰუმორით, რომლითაც ამ პოემაში შეზავებულია პოლიტიკური სატირა.

მეორე თავისებური მხარე პოემისა „ნაცარქექია“ ის არის, რომ იგი აგებულია ფოლკლორულ ქარგაზე.

აკაკის მახვილმა პოეტურმა თვალმა შენიშნა ქართულ ხალხურ ფოლკლორში ეს შესანიშნავი ნიღაბი „ნაცარქექია“, და

პირველმა შემოიტანა ეს კოლორიტული მხატვრული სახე ქართულს მწერლობაში, გამოიყენა რა იგი პოლიტიკური სიმახვილით აღბეჭდილს პოემაში.

პოემას „ნაცარქექია“ აკავშირებს ფოლკლორთან როგორც თვით ნიღაბი „ნაცარქექიასი“, ისე პოეტური თხრობის სხვა აქსესუარები. პოეტი დიდის ოსტატობით იყენებს ფოლკლორიდან აღებულს მხატვრულ მოტივებს, და გაატარებს რა მათ თავის პოეტურ პრიზმაში, ახალ პოეტურ სიცოცხლეს ანიჭებს ფოლკლორულ პოეტურ ინვენტარს.



აკაკის ლირიკა

აკაკის მრავალგვარსა და მრავალსახოვანს ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ლირიკას.

ჩვენ აქ შევდივართ აკაკის პოეზიის ძირითად სამყაროში. აკაკი უწინარეს ყოვლისა არის პოეტი ლირიკოსი.

მე-19 საუკუნეში ორი ლირიული გენია ამშვენებს ქართულ პოეზიას: ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლისა.

სხვადასხვა იყო მათი ეპოქა. ამას გარდა სხვადასხვანაირია თვით ბუნება მათი პოეტური გენიისა.

როდესაც ყრმა-პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი „მერანია“ მიანდო გიჟურ სრბოლას, ბედის ვარსკვლავი მისი სამშობლო ქვეყნისა ბურუსში იყო გახვეული.

ხოლო აკაკი უკვე ამჩნევდა ბედის ვარსკვლავის შორეულ მონათებას:

ჰე, მგოსანო, აღმოსავლეთს
შეხედე და ნუ იტებ გულს:
იქ შენიშნავ ჩვენის ბედის
ვარსკვლავს ოდნავ გამოხატულს.
მსგავსად მოგვთა ეს თაყვანი
იმ ნიშანსა წინამორბედს,
და შენც ოქრო-გუნდრუკ-მურად
თავი უძღვენ იმ ჩემს „იმედს“.
შენ, თუ გინდა, მის აღდგომას
ვერ მოესწრო აწ ვეროდეს,
ეს იცოდე, რომ ხელიდან
გაუსხლტება ის ეროდეს.

ნუ, პოეტო ნუ, ნუ სტირი,
ბედის ვარსკვლავს ვხედავთ რაკი.
კმარა გლოვა საქმის დროა
მსხვერპლი გვინდა და ზვარაკი

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის პოეზიას, ცხადია, თავის ბეჭედს ასვამს ორი სხვადასხვა ხანა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

ხოლო ამის გარეშე, როგორც მოვიხსენეთ, სრულებით სხვადასხვაა თვით პოეტური ბუნება ამ ორი მგოსნისა. აქ გვაქვს ორი სხვადასხვა პოეტური ხმა, ორივე აღბეჭდილი ნამდვილი ბრწყინვალეობით.

ჩვენ იქნებ უფრო ახლო ვიგრძნობთ ამ ორი პოეტური გენიის თავისებურ ელფერს, თუ მათ შევადარებდით „ვეფხისტყაოსნის“ ორს სხვადასხვაგვარად გამონათებულს სახეს, — ტარიელისა და ავთანდილისას.

ბარათაშვილი — თავისი ზღვა გულით, პოეტური გენიის ტრაგიკულის ელვარებით, — გვაგონებს ვეფხის ტყავით შემოსილ გმირს, შავ მერანზე ამხედრებულ ტარიელს.

ხოლო აკაკი მოგვაგონებს მეორე გმირს, თეთრ-ტაიჭოსანს ნათელს ავთანდილს, — თავისი პოეტური გენიის ნათელი აპოლონური ბუნებით.

* * *

აკაკის, მის საუკეთესო ლირიულ ლექსებში, აქვს უზადო მოთინათინე ლირიული ხმა.

ვის უმღერია საქართველოზე ისე, როგორც აკაკის, ქართული პოეზიის ამ ორფეოსს:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო
ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

წინ მომეგებნენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუეყარეო,
ია და ვარდი დამჰქნარი
ხელახლა გამიხარეო!..

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოკვედები,
შენზედვე მგლოვიარეო!..

ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...

და, რომ მოკვედები, გახსოვდეს,
ანდერძი დაიბარეო:

დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!

ანდა, როდესაც ვკითხულობთ აკაკის „ყანა“-ს („მუშური“),
მისი რიტმის ტალღისებურს რხევაში, თვით სახეებისა და სიტყ-
ვების მიმოქცევაში, თვით რითმების წყობაშიაც, რომელიც მა-
გიურად ძლერს ერთ მელოდიურ ხმაზე, — განა აქ არ ისმის
ტალღისებურად მობიბინე ყანის ნელი შრიალი:

ყანაო, მუშის სამოთხევ,
გლების დიდებავ, ყანაო
ცისკრის სხივებმა შეგმოსეს
და ნამმა გადაგბანაო;
დილის ნიავმა დაგქროლა,
ალერსით გითხრა ნანაო;
ჟუჟუნა წვიმამ ზედ დაგრა,
ზურმუხტად აგამწვანაო.
ყანაო, გულ-ხელგაშლილო,
ქვეყნის მოკეთევ, ყანაო
მოყვრულად შემოგსევივართ,
მტრულად გიმეტებთ განაო?
გაემარგლავთ ბალახ-ბულახსა,
გაგთონნით ყოველგანაო!..
ყანაო, დაუზარებო,
უხვად მომცემო, ყანაო...

ზედ უფლის თვალი დაგყურებს,
შენი ხარაქა ბრძანაო;
იგზორდეს გვალვა და სეტყვა,
მოსავლის გამოტანაო...
ყანაო, ოქრო-ზურმუხტო,
ყანაო, ჩვენო ყანაო
მაღალმა ღმერთმა აყურთხოს
სხვაც ბევრი შენისთანაო



აკაკის ლირიკა მრავალხმოვანია, აკაკის ლირას მრავალი სიმი აქვს.

ფილოსოფიური ლირიკის დარგში აკაკი ქმნის ისეთს შედეგს, როგორც არის „სულიკო“; ეს ნამდვილი ობოლი მარგალიტი ქართული პოეზიისა, რომელიც აღბეჭდილია ბუნების ღრმა გრძნობით, რომელშიაც ისმის ბუნების გულის ფეთქვა, ადამიანის სიყვარული მიმოფრქვეულია — ვარდის სურნელებაში, ვარსკვლავის სხივებში, ბულბულის გალობაში.

აკაკი არის ავტორი უნაზესი ლირიული ლექსებისა. მის „წიანანაში“ ამღერებულია ის გრძნეული ხმა, დედის ტკბილ სიმღერაში რომ ირხევა.

ხოლო ასეთი უნაზესი ლირიული ლექსების გვერდით აკაკი არის მგოსანი „ხანჯალი“-სა, მგოსანი რისხვითა და ზავითთ აფეთქებული ლექსებისა, რომლებშიაც სიტყვა ელვარებს, როგორც ქარქაშიდან ამოწვდილი მახვილი.

ანდა როგორის ჰაეროვანი სუფთა ხმით, ეოლოსის ქნარის მსგავსად, უპასუხებს აკაკი ქართული ფოლკლორიდან მოწვდენილ ხმას, და უბრუნებს ამ ხმას, გამდიდრებულს ახალი ფერადუღმნებით

იღვის ხე აყვავებულა,
მშვენიებს არემარესა,
გარს იხევის ქვეყნის შვენებას,
თავს ივლებს მზეს და მთვარესა...



იღვის ხეს აღო მოედვა,
მაგრამ ხე ჰყვავის, არ ხმება,
რა უცნაური ცეცხლია,
რომ ნამდვილს არ ეთანხმება...

ანდა გადავიკითხვით „ურიული მოთქმითი ტირილი საქართველოში“, აკაკის პოეზიის ეს მეტად თავისებური პოეტური შედეგია. იგი მოცემულია უცთომელის არტისტულობით შეზომილს მხატვრულ პლანში. აქ ჩვენ გვაქვს ეგზოტიკური კოლორიტით აღბეჭდილი ქანრული სურათი. ხოლო ამ ეგზოტიკურ ფონზე — მოგვესმის უმძაფრესი პოეტური მღელვარებით გამსჭვალული იერემიადა დაკარგულ ტკბილ მამულზე, მოგვესმის ჭმუნვით აღვსილი ხმა ელეგიური ქნარისა. ამ მარტივსა და მონოტონურ ხმაში, ამ ხალხურს შეუფერებელს მოთქმაში, იგრძნობა მთელი ტრაგიზმი ებრაელთა ხალხის ბედისა. იგრძნობა უძირო სევდა ებრაული დიასპორასი. ჩვენ ვიმსჭვალებით თანაგრძნობითა და პატივისცემით ამ დიდი ერისადმი, რომელმაც დაკარგა კერა, დაბეჩავდა მონობაში, მაგრამ მაინც არ გაინელა სიყვარული დაკარგული ტკბილი სამშობლოსი, საუკუნეთა მანძილზე თავისი გულით ატარებდა ამ დაკარგულ სამშობლოს...

სრულხმოვანია აკაკის ლირა. უმძაფრესი დრამატული მღელვარება; ამის გვერდით უნაზესი დარბილება ლირიული ხმისა; ხოლო ამის გვერდით საგმირო სიმღერის ხმა და მონუმენტურ ხაზებში გამოკვეთა პოეტური სახისა, გადაიკითხვით აკაკის „მურზაყან შავსედიანი“ („სვანური სიმღერა“), გამოკვეთილი მკაცრ ხაზებში, ბრინჯაოს ქანდაკების მსგავსად.

მურზაყან, მთის შვილი, გმირი, დიდი ამირანის შთამომავლობისა, თავისუფალი მთებიდან — ბარში ჩამოსული, ლალატივ კვდება.

დაიგვიანა მურზაყან ცნობა მოვიდა ოდისო:
მურზაყან ბარში დავტოვეთ, მანდ მთები აღარ მოდისო,
სახლი აიგო მიწისა, სასურავი აქვს ლოდისო...

აკაკის ლირიულ გენიას ახასიათებს პოეტური ხმის მრავალსახეობა და ამავე დროს მხატვრული სინათლე.

აკაკის ლექსი მელოდიურია და ამავე დროს პლასტიური. რამდენი სიმჭკვირვალეა და სინათლე დახატულ სახეებში:

ის გაზაფხულის ია,
გარს ეხვევიან ვარდები,
შენ — შემოდგომის ფოთოლი,
სიო გკრავს, ჩამოვარდები..

(„მოხუცი და ახალგაზრდა“.)

აკაკის ლირიკულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კერძოდ სიყვარულის ლირიკას. დაწყებული მისი პირველი ლექსით „საიდუმლო ბარათი“, რომელიც გამთბარია პირველი სიყვარულის სინაზით, პოეტმა არაერთხელ აამღერა თავისი ქნარი სიყვარულის ჰანგით.

მაგრამ აკაკის პოეზიის მთავარი საგანი მაინც სხვა იყო. აღსანიშნავია ერთი საგულისხმო გარემოება. როგორც ირკვევა, მთელი წყება ლექსებისა, რომლებიც შთაგონებულია სიყვარულით, პოეტს არ გამოუქვეყნებია (ხოლო ამ გამოუქვეყნებელ ლექსებს შორის არის პოეზიის შედეგები).

თავისი პირადული გრძნობა პოეტს ნაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ვიდრე ის სხვა დიდი სიყვარული, რომლითაც დამწვარი იყო პოეტის გული.

მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
ფეხშიშველა, თავზე ლეჩაქახლილი...



სამშობლო, აი ვის უძღვნა პოეტმა სიყვარული თავისი ზღვა გულისა... სამშობლო იყო მუდმივი საგანი აკაკის პოეზიის.

გამიგონია, ვითომც ლერწამი
ობლის საფლავზე ამოსულიყოს
და თავის ქნევით, დამუქრებული
მალლა ზეცისკენ ის წასულიყოს,
რომ მიეტანოს იქ ჩვენის ქვეყნის
მწარე ამბავი და საჩივარი;
მაგრამ იმავ დროს ეშმაკის სული
დასტაკებოდეს გრიგალი ქარი,
გადაელუნოს, გადმოელუნოს
და მოეთხაროს სულ ძირიანა;
მერე ენახოს მწყემსს წაქცეული,
ხელში აედოს პატარა დანა,
და გამოეჭრას მას სალამური...

ეს მწყემსი არის თვით აკაკი. მას ხელთ უპყრია ეს სალამური, გამოკვეთილი ობლის საფლავზე ამოსული ლერწმისაგან,

სალამური, რომლის ხმებშიაც ისმის სამშობლო ქვეყნის „მწარე ამბავი და საჩივარი...“ მაგრამ სევდის ხმასთან ერთად ეს სალამური გამოსცემს ამაგზნებელ ჰანგებს, მომავლის იმედით შთაგონებულს.

მგოსნის გული ანთებულია სამშობლოს სიყვარულით, იგი იწვის სამშობლოსათვის, როგორც სანთელი, წმინდა სინათლის გამომცემელი:

მიყვარს, როდესაც ხატის წინ
ანთია წმინდა სანთელი,
და საიდუმლო პარპალით
ბნელს ჰჰანტავს მისი ნათელი.

მყუდროდ, უხმოდ და უძრავად
ღნება, ვით მსხვერპლი დიადი,
რომ მადლით გაასპეტაკოს
თვალუწვდომელი წვედიადი.

მიეჩერებივარ ამ დიდ ძალს
მწარ-ტკბილად ჩაფიქრებული,
მეცა უსიტყვოდ, უძრავად,
ცის სვეტად გაქვევებული.

რალაც უცნაურ ერთობას
ვხედავ სანთელს და ჩემ შუა,
მხოლოდ ვგრძნობ... თვარა ვერ სწვდება
ჩემი გონება და ჭკუა.

სანთელი ჩემი ხორცია,
სიცოცხლე — მოკლე პატრუქი,
ნათელი — ჭკუა-გონება,
იმათგან გამონაშუქი.

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა,
და, რომ ვიწვოდე, ვღნებოდე,
არ შემიძლია მეც, განა?

კი!.. მაგრამ მნათე არსად სჩანს,
ჩემთან მომტანი ცეცხლისა!..
ის მოციქული მომავლის,
მსგავსი ჭიკჭიკა მერცხლისა!

მაგრამ გამოჩნდა მნათე, მოიტანა ცეცხლი და აანთო იგი სანთელი. მისი წმინდა გამონაშუქი არის აკაკის პოეზია.



შორს წაგვიყვანდა ჩამოთვლა აკაკის ყველა იმ ლექსისა, სიყვარულით განათებული ლექსებისა, რომლებიც პოეტმა სამშობლოს მიუძღვნა. ეს ლექსები მიიღო ქვეყანამ. ამ ლექსებს მღერის საქართველო.

აქ საჭიროა მხოლოდ ერთხელ კიდევ ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ პოეტმა განუყრელად შეაერთა სამშობლო ქვეყნის ბედი და მშრომელი ხალხის საქმე. თავისუფალი სამშობლო და თავისუფალი შრომა, — აი ის ორი დიდი საგანი, რომელსაც უმღერის პოეტი. სამშობლოს თავისუფლება, პოეტის რწმენით, მშრომელთა ხელით უნდა გამოიჭედოს. — ეს ძირითადი მამოძრავებელი იდეა აკაკის მთელი შემოქმედებისა ჩვენ უკვე დაწვრილებით გვქონდა განხილული ამ წერილის შესავალში.

აკაკი წერეთელი, ეს დიდი მომღერალი სამშობლოსი და მშრომელი ხალხის საქმისა, და აკაკის გვერდით მისი სახელოვანი თანამებრძოლი დიდი ილია ჭავჭავაძე, რომლებიც ერთად ეწევიან საქვეყნო საქმის უღელს, რომლებიც, როგორც ორი რქანათელი დაუღლავი ხარი, ავლებენ ყამირზე ღრმა ხნულს, რომელშიაც ახალი თესლი ითესება, — უნათლესი სახეებია მე-19 საუკუნის საქართველოში. მათი სახეები უგულითადესი სიყვარულით შემოსა ქართველმა ხალხმა.



მხატვრული პროზა

აკაკის შემოქმედების ძირითადი სამყარო არის პოეზია. პოეზია ბუნებრივი სქიტიონია აკაკის მხატვრული გენიისა.

მაგრამ ამის გვერდით აკაკიმ დიდი და მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დაგვიტოვა მხატვრული პროზის დარგში.

უნდა აღინიშნოს, ამასთან, დამახასიათებელი ნიშნეულობა აკაკის მხატვრული პროზისა: აკაკის მხატვრული პროზა ეს არის პოეტის პროზა. აკაკი შემოდის მხატვრულ პროზაში — პოეზიის კარებით.

აკაკის მხატვრული პროზიდან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“, რომელიც სამართლიანად სარგებლობს ქართველი მკითხველის განსაკუთრებული სიყვარულით.

„ბაში-აჩუკი“ დიდი დიპაზონის მხატვრული ნაწარმოებია.

იგი წარმოადგენს მეტად თავისებურს მხატვრულ შენაღონობს, რომელშიაც თითქოს გაერთიანებულია სპეციფიკა პოეზიისა და პროზის. „ბაში-აჩუკი“ აღბეჭდილია პოეზიის სპეციფიური ჰაეროვნებითა და სიმსუბუქით; ამავე დროს აქ გვაქვს დიდის ოსტატობით გაშლილი მხატვრული თხრობის კვანძი. „ბაში-აჩუკში“ შერწყმულია ფეიერვერკი პოეზიისა და სიმკვრივე პროზისა. ეს გარემოება „ბაში-აჩუკს“ უაღრესად თავისებურ ელფერს ანიჭებს.

ეს თავისებური, რომანტიზმის სურნელებით მოფრქვეული სტილი „ბაში-აჩუკი“-სა სრულს პარმონიაში იმყოფება იმ თემატიკასთან, რომლისადმი მიძღვნილია ეს რომანტიკული პოემა პროზით.

თემა „ბაში-აჩუკისა“ — ეს არის გმირული თავგადასავალა ქართველი ხალხისა მის ისტორიულ წარსულში.

მოთხრობა იშლება მე-17 საუკუნის ისტორიულ ფონზე. ეს არის ტრაგიკული ეპოქა ქართველი ხალხის ისტორიაში, როდესაც განსაცდელს-ქვეშ იყო დაყენებული თვით არსებობა ქართველი ხალხისა. ავტორი თავის რომანტიულ მოთხრობაში აღიღებს ქართველი ხალხის გამძლეობას, რომელმაც გადაიტანა ეს განსაცდელი. „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვით-ჭირსა“.

მოთხრობის აპოთეოზში ავტორი ადარებს საქართველოს — უკედავს „ხეს ცხოვრებისას“, რომელსაც ვერ ვნებს ზამთარი და რომელიც გაზაფხულზე ისევ მწვანით იმოსება.

ავტორი ამთავრებს და ჰკრავს მოთხრობას სიმბოლიური სურათით. ქვეყნისათვის ჭირნახული გმირი — დაფიქრებული შესცქერის ზამთრისაგან გაძრევილ ხეს, ფოთლებ-დაცენილს, და ავტორი აცხადებს გმირის სიტყვებით:

„საქართველო — ჩვენი ცხოვრების ხეა... სანამდის მისი ძი-

რი არ შესუსტდება, ღერო არ შეინძრევა და ფესვები მაგრად ექნება გადგმული, შტოების შერხვეითა და ფოთლების დაცვენით არა უჭირს-რა...

„ხე, როგორც მცენარე, მოურწყველად ვერ იხარებს; ისე ეროვნების ხესაც, ძირის გასამაგრებლად და ფესვების განზე გასადგმელად, ოფლთან ერთად ხანდახან წმიდა მოწამებრივი სისხლიც ეჭირვება სარწყავად! ამგვარი მსხვერპლის უჩვეულო არ არის ჩვენი ქვეყანა, და ღღეს, თუ განგებას ჩვენთვის წილად უხვედრებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასოებით მივეგებებით და მორჩილებით თავს დავდებთ“.

ამ გმირთა ოფლით და სისხლით მორწყული და ფესვებ-გამაგრებული ხე ცხოვრებისა — გადაიტანს სუსხიან ზამთარს და გაზაფხულზე ისევ იწყებს ფურცლობასა და ყვავილობას.

* * *

გმირობის თემა დიდი თემაა, მაგრამ ამდენადვე რთული და მწელი. აქ არის საცდური მხატვრული სიმართლის დარღვევისა, გადაჭარბებისა, მხატვრული პროპორციების აცდენის, ანდა სქემატურობის.

აკაკის მხატვრულ შემოქმედებაში გმირობის თემატიკას დიდი ადგილი უჭირავს. აკაკის ყველა ნაწარმოები, მიძღვნილი ამ თემისადმი, არა დგას მხატვრულის მხრით თანაბარ სიმაღლეზე. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აკაკის ზოგი ისტორიული პოემა, მაგალითად, „ბაგრატ დიდი“, — სქემატურად არის მოხაზული. მაგრამ ამის გვერდით ჩვენ გვაქვს მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოებნი, ასე — იმავე ისტორიული პოემების ციკლში, მაგალითად, „კიკოლას ნაამბობი“, — (აკაკის პოეტური შედევრი — ისტორიული პოემა „თორნიკე ერისთავი“ სხვა ასპექტშია მოცემული), — აგრეთვე ცალკეული ლექსები. გმირობის სულით, სიღიადის შარავანდელით არის მორხეული აკაკის „გამზრდელი“.

სხვა ხაზებში, მაგრამ მხატვრულის სრულყოფით არის აღბეჭდილი აკაკის ეს ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“.

„ბაში-აჩუკის“ გმირები წარმოდგენილია ერთგვარი იდეალურიზაციის ასპექტში, მაგრამ ისე, რომ მხატვრული პროპორ-

ციები დარღვეული არაა. აქ საერთოდ მთელი მოთხრობა აყვანილია პოეზიის რეგისტრში; აქ არის სიმღერა, მაგრამ სიმღერა ბუნებრივი ხმით.

მოთხრობის მთელი ანსაზლი დიდის მხატვრული შეზომილებით არის გაშლილი. მიღწეულია შინაარსისა და მხატვრული ფორმის შინაგანი ჰარმონია.

განსაკუთრებულის მომხიბლაობით არის აღბეჭდილი აკაკის ენა, ეს ნამდვილი „ტკბილ-ქართული“ (რუსთველის სიტყვა რომ გავიმეოროთ). აკაკის ქართული ბუნებრივია, სადა და თან ნათელი, გამჭვირვალე, როგორც წყაროსთვალი. აკაკის სიტყვის მიუწვდომელი მხატვრული სისადავე თითქოს მორჩეულია რბილი მოთინათინე ნათელით.

„თითქოს ჯადოქარს მოეტანოს, რაღაცამ გაიწკრიალა ჰაერში და თან მოისმა საამური ჩონგურის ხმა“. ეს სიტყვები „გოგია მეჩონგურე“-სი უნებლიეთ გვაგონდება, როდესაც ვისმენთ აკაკის ტკბილ-ქართულს.



„ბაში-აჩუკის“, ამ დიდი მხატვრული ტილოს გვერდით აკაკიმ მხატვრული პროზის დარგში დაგვიტოვა მთელი რიგი პატარა ფორმის ნაწარმოებნი სხვადასხვა ჟანრისა. ავტორი აქაც გვევლინება როგორც ნათელი და მსუბუქი წერის ოსტატი.

აკაკის „სიკვდილი“ აღბეჭდილია აკაკის ნათელი და სხივოსანი იუმორით.

ორიგინალურ მხატვრულ ფორმაში არის მოცემული „ქართული ფულის თავგადასავალი“.

მოთხრობაში „სამგვარი სიყვარული“ ვეცნობით აკაკის — როგორც ნოველის ოსტატს.

აკაკის ეკუთვნის აგრეთვე ციკლები: „ძველებური ამბები“ და „საყმაწვილო ამბები“.

პატარა ფორმის ნაწარმოებთა შორის ცალკეა აღსანიშნავე „გოგია მეჩონგურე“, ხალხური თქმულების პოეტური გამოხმაურება და „დავითის გვირგვინი“, ღრმა და მხატვრული სრულყოფით დამუშავებული ლეგენდა.

დასასრულ, აკაკის „ჩემი თავგადასავალი“.

ცნობილია, რომ აკაკი თავის პოეტურ მემკვიდრეობაში ყველაზე მაღლა აყენებდა „გამზრდელს“, ხოლო მხატვრული პროზიდან — „ჩემ თავგადასავალს“.

ლიტერატურული კრიტიკა უნდა დაეთანხმოს მწერლის ამ შეუმცდარს შეფასებას. აკაკის მხატვრული პროზის დარგში „ჩემ თავგადასავალს“ უცილობლად უნდა მიეკუთვნოს ცენტრალური ადგილი.

„ჩემი თავგადასავალი“ მემუარული ჟანრის ლიტერატურას განეკუთვნება, მაგრამ შესრულების მხრით იგი აყვანილია მაღალი რეგისტრის მხატვრული ნაწარმოების დონეზე.

„ჩემი თავგადასავალი“ არ არის მარტოდენ ავტობიოგრაფია მწერლისა. იგი არის გაშლილი ქრონიკა საქართველოს მე-19 საუკუნის ცხოვრებისა, რომელშიაც ვგრძნობთ მთელი ეპოქის ყოფას.

„ჩემი თავგადასავალი“ ეკუთვნის იმ წიგნთა რიცხვს, რომლებიც დროთა მანძილზე არ ბერდებიან.

იგი დარჩება საკითხავ წიგნად, როგორც შესანიშნავი ადამიანური დოკუმენტი.

მაგრამ ამას გარდა მას დიდის ინტერესით აიღებს ხელში მომავალი ისტორიკოსიც, როდესაც იგი მოინდომებს მე-19 საუკუნის ყოფის გაცნობას, კონკრეტულსა და სრულყოფილს მხატვრულს ასახვაში.

დ რ ა მ ა ტ უ რ გ ი ა

აკაკის დრამატურგიული მემკვიდრეობა ორ ჯგუფად იყოფა: დრამატული ნაწერები პროზით და ლექსად.

განსხვავებაა მათ შორის არა მარტო ფორმის მხრივ. მათი მხატვრული ღირსებაც სხვადასხვაა.

პირველი ჯგუფი, დრამატული ნაწერები პროზით, საკმაოდ მრავალრიცხოვანია, მათი რიცხვი თითქმის ოცამდე აღწევს. მათ შორის არის: დრამები, კომედიები, ვოდევილები, სცენები და სხვ.

აკაკის ეს პროზაული დრამატული ნაწერები — მხატვრულის მხრივ ნაკლებ მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ თვით ავტორიც არ ანიჭებდა მათ დამოუკიდებელ მხატვრულ მნიშვნელობას. დაწერილია ისინი მეტწილად იმდროინდელი ახლად ფეხადგმული ქართული სცენის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომელიც ასე ღარიბი იყო პიესებით. აქ იყო, ასე ვთქვათ, ერთგვარი „საზოგადოებრივი დატვირთვა“ პოეტისა¹.



სულ სხვა ხასიათისაა აკაკის დრამატული ნაწერები ლექსად. მათ შორის ჩვენ გვაქვს სამი მაღალი მხატვრული რეგისტრის ნაწარმოები: „პატარა კახი“², „თამარ ცბიერი“ და „მედი ა“.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ სამი ნაწარმოების ხასიათს უფრო ზუსტად გამოხატავს სახელწოდება: „დრამატული პოემა“³, ვიდრე „დრამა“. აქ მთავარია არა წმინდა დრამატურგიული სპეციფიკა, დრამატურგიული ხერხები, არამედ პოეზია.

ამით მხატვრული ღირსება ამ ნაწარმოებთა ოდნავაც არ

¹ ასე, ცნობილი კომედიის „კინტო“-ს დაწერის შესახებ ავტორი გვაწვდის შემდეგ ცნობას, რომელიც მოგვყავს როგორც ეპოქის დამახასიათებელი შტრიხი:

„პირველ ხანებში, როცა ქართულ თეატრს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სცენაზე ფეხი მოდგმული, რთული პიესების წარმოდგენა მოუხერხებელი იყო. გარდა გაბუნიასი და საფაროვის ქალისა, ერთი-ორი ქალები არ გეყოლია, და ეს გარემოება გვაიძულებდა, რომ პიესებშიც მხოლოდ იკვებოდა ხოლმე, სადაც ქალების როლი ნაკლები იყო. — სეზონი თავდებოდა. უკანასკნელ დღეს გაბუნიას ბენეფისი იყო. მაგრამ, რადგანაც რამდენიმე დღის წინათ საფაროვს ქალი ივად გახდა მოულოდნელად, საბენეფისოდ ამორჩეული პიესის თამაში მოუხერხებელი შეიქნა და ბენეფისი იღარ შედგებოდა... დრო აღარ იყო სხვა პიესა იკვებოდა, და ვერც პიესა გამოვნახეთ მისთანა, რომ მარტო ერთი ქალი ყოფილიყო მოთამაშე. — ახალგაზრდა ნიჭის ყოველთვის თანამგარნობი ვიყავი და გაბუნიას დალონებამ მეც შემაწუხა. მეტი ვეღარა მოვახერხებ-რა, დაეჭექ იმ ღამესვე და გათენებამდე დაეწერე ეს სცენები „კინტო“, სადაც ერთი ქალის მეტი არ არის საქრო და რომელსაც თვითონ მობენეფისე ითამაშებდა... სამ დღეში მოვამზადეთ ახალი პიესა“.

კლებულობს. ჟანრი — „დრამატული პოემა“, რასაკვირველია, ისეთივე სრულყოფილი სახეა ხელოვნებისა, როგორც წმინდა დრამის ჟანრი.



თემატიკის განხრის მხრით — ეს სამი ნაწარმოები სხვადასხვა ელფერს ატარებს.

„პატარა „კახი“-ს მხატვრული აქცენტი — ეს არის პატრიოტიზმი, ისტორიულ მასალაზე გაშლილი. თავისი იდეური მიზანდასახულობით აქ ჩვენ გვაქვს ისეთივე ხასიათის ნაწარმოები, როგორიცაა, მაგალითად, ზემოთ განხილული ისტორიული პოემა „თორნიკე ერისთავი“, ანდა ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“.

ნაწარმოების ცენტრში დგას — „პატარა კახი“, ახალგაზრდა ერეკლე. პოეტი აქ უმღერის საქართველოს ამ ახალგაზრდა არწივის პირველს გაფრენას.

მაგრამ მაინც მთავარი გმირი ნაწარმოებისა არის იმდენად არა ახალგაზრდა ერეკლე, არამედ ბრმა მოხუცი გელა, გლეხობის წრიდან გამოსული, ქედმოუხრელი გმირი, განსახიერება მშრომელი ხალხისა. ეს გელა არის, რომ რაზემაც ხალხს, ანთებს სამშობლო ქვეყნის სიყვარულით ხალხის გულს.

დამახასიათებელია ამ ნაწარმოების იდეური მიზანდასახულობისათვის, რომ ბრძოლას შემოსეული მტრის წინააღმდეგ გადაწყვეტს თვით მშრომელი ხალხი, გლეხობა. იმ დროს, როდესაც ერეკლე და მისი თანამებრძოლნი განსაცდელში ვარდებიან, როდესაც ერეკლეს თავგანწირული გმირობა ვერ შევლის საქმეს, ამოძრავდება თვით ხალხი, მშრომელი გლეხობა, რომელიც დაიძვრის გმირულის სიმღერით — „მუშლი მუხასაო, გარს ეხვეოდაო...“ მუშა-გლეხობა მოიგებს უკვე წაგებულ ომს და დაიხსნის ქვეყანას განსაცდელისაგან.

„პატარა კახი“ მალალი რანგის პოეტური ქმნილებაა. დაწყებული პირველი სტროფიდან („დაიგვიანეს, ჳერ არსად სჩანან! მაგრამ საღამურს თუ მოჰკრა ყური...“) და გათავებული უკანასკნელი სცენით, როდესაც მოხუცი გელა ეთხოვება ბრძოლაში დაღუპული ძვირფასი გმირების ნეშტს, — აქ ჟღერს მართალი ხმა პოეზიისა.

მეორე ნაწარმოები — „თამარ ცბიერი“ — განსხვავებულ თემატურ რეალშია მოცემული.

პოეტი, იდეალისა და სინამდვილის ტრაგიკული დაცილების ფონზე, გვისახავს ორ სხვადასხვა პოეტურ ხატს, პოლარულ სახეებს:

თამარ, — მოსილი დემონიურის მშვენიერებით, ეს მშვენიერი ჯადოქარი, ტრფობის სურვილით შემობურვილი, რომლის საბედისწერო მშვენების დემონიური ელვარება ხიბლავს განურჩევლად ყველას, რომელიც ხარკად ღებულობს ქვეყნის გულისძგერას; იგი ბოლოს იღუპება, დაფერფლილი თავისივე ცეცხლით. ხოლო მის გვერდით სულ სხვა მსოფლიოდან მოვლენილი განყენებული იკონოგრაფიული სახე მგონის გოჩასი, რომლისთვისაც მხოლოდ იდეალია ჭეშმარიტი სინამდვილე, ხოლო იდეალს დაცილებული სინამდვილე წარმავალ ოცნებას უღრის.

„თამარ ცბიერში“ ცალკეული ხაზები დრამატული კოლიზიის გაშლისა თუმცადა ერთგვარი სქემატურობის ელფერს ატარებს, მაგრამ ეს ნაკლი სავსებით გამოსყიდულია იმ დიდი პოეტურობით, პოეტური აღვსილობით, რომლითაც აღბეჭდილია ამ ნაწარმოების ცალკე პასაჟები.

დასასრულ, მესამე ნაწარმოები „მედია“.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ როდესაც ლიტერატურული კრიტიკა აკაკის დრამატული პოემებიდან ხშირად ახსენებს „პატარა კახს“ და „თამარ ცბიერს“, ეს მესამე ნაწარმოები „მე-
დია“ — ჩრდილშია დაყენებული.

ეს არაფრით არ არის გამართლებული. „მედია“ მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ქართული ლიტერატურისა, როგორც თავისი პოეტური ღირსებებით, აგრეთვე, თვითონ თემის მხრითაც.

აკაკი პირველია ქართულ პოეზიაში, რომელიც შეეხო თქმულს ლებას „ოქროს-საწმისიანი ვერძი“-ს შესახებ, მითოსს, რომელიც დაკავშირებულია ძველ კოლხეთთან და ელადასთან.

ვინ არ შეჰხებია ამ უნივერსალურ თემას პოეზიის მსოფლიო პატრიარქის ჰომეროსის შემდეგ, ანტიკური ტრაგიკოსებიდან და ეპიკოსებიდან მოკიდებული, და დასრულებული ევროპის ახალი პოეზიით.

ხოლო აკაკის „მედია“-ს სახით მსოფლიო პოეზიის ამ დიდ ორკესტრს თავისი ხმა შეუერთა თვით კოლხეთმა, თვით მედიას მზიურმა სამშობლომ.

აკაკის „მედია“ ტრილოგიის სახით იყო განზრახული: „მედია კოლხეთში“, „მედია ელადაში“, „მედია სამშობლოში დაბრუნებული“.

პოეტმა განახორციელა მხოლოდ პირველი ნაწილი ამ ტრილოგიისა, — „მედია კოლხეთში“.

„მედია კოლხეთში“ გვაგრძობინებს კოლხეთის ბუნების წარმტაც პოეზიას. ჩვენ თითქოს გვესმის ორფეოსის ჩანგის ჟღერა. დარხეული კოლხეთის ველებზე.

ხოლო ამ პოეტურ ფონზე, კავკასიონის მთებში, რომელიც ზღუდის სახით მოვლებია კოლხეთის მზიან ველებს, ისახება გრანდიოზული აჩრდილი მიჯაჭვული ამირანისა.

აკაკის „მედია“-ში არის გრძნობა ძველი მითოსის სულისა. მითოსის შეგრძნობით არის აღბეჭდილი „მედია“-ში „გაზაფხულის ბუნიაობა“, როდესაც ზამთარ-გაზაფხულის მიჯნაზე შესწორდება დღე და ღამე, დგება ჟამი, როდესაც — „არც ბნელს, არც ნათელს არ ჰსურს დაკლება, საზღვარს არც ერთი არ სცილდება“. „გაზაფხულის ბუნიაობის“ ეს ღამე არის „ღამე ამირანისა“, როდესაც ყოველწლიურად ხდება ამირანის ჯაჭვის გამაგრება მკვდლების მიერ. ამირანის ამ მიჯაჭვას, მკვდლების საბედისწერო უროს დაკვრას თითქოს ეხმაურება თვით ბუნება, რომელიც მღელვარებს და შფოთავს ბუნიაობის სასწორთან, ზამთარ-გაზაფხულის ზღვარზე.

მედია, ჯერ კიდევ ყმაწვილი, რომელიც პირველად შედის ცხოვრების გაზაფხულში, გაზაფხულის ბუნიაობის განთიადზე გასული „ამირანის ცრემლების“ შესაგროვებლად; — მზიური ჭაბუკი იაზონ, ვეფხის-ტყავ მოსხმული, რომელსაც თავზე გადაუვლის ამირანის ორბის აჩრდილი; — ორფეოს, რომლის ჩანგის ჟღერა ხიბლავს და ამშვენებს ბუნების მღელვარებას; — მითოსის წრიდან გამოშუქებული სახეებია.

აკაკის „მედია კოლხეთში“, და ამის გვერდით აკაკის ჰიმნი ამირანზე, — ეს პირველი სიმღერებია ქართული პოეზიისა, ძველი საქართველოს მითოსის მემკვიდრეობის ამსახველი.

აკაკის ამ პირველი სიმღერის შემდეგ ეს უნივერსალური

თემები, — დიადი მითოსი ამირანისა და მითოსი „ოქროს-საყურადსიანი ვერძისა“ — მოელის შემდეგ სრულყოფილს გაშლას ქართულს მხატვრულ სიტყვაში.



პუბლიცისტიკა. კრიტიკა-ლიბერალური სოციალიზმი

აკაკის ძირითადი ლიტერატურული მემკვიდრეობის — პოეზიის, მხატვრული პროზისა და დრამატურგიის — ზემოთ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვის შემდეგ ჩვენ დაგვრჩენია შევეხოთ აკაკის ნაწერებს პუბლიცისტიკისა და კრიტიკა-ლიბერალური სოციალიზმის დარგიდან.

ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთი შენიშვნით დავკმაყოფილდით.



ქართული ეურნალისტიკა-პუბლიცისტიკის ისტორიაში აკაკის ეკუთვნის საპატიო როლი. აკაკიმ შექმნა ფაქტობრივი ჟანრი: მხატვრული ფელეტონი-ნარკვევი.

აკაკის ეს ფელეტონი-ნარკვევები (სხვადასხვა სახელწოდებით „ცხელ-ცხელი ამბები“, „ნადული“ და სხვ.) სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულს პრესაში.

არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ წარსულ საუკუნეში არც ერთს ეურნალისტს-პუბლიცისტს არ ჰყოლია იმდენი მკითხველი ქართულ საზოგადოებაში, რამდენიც აკაკის ამ ნარკვევებს. რეზონანსი აკაკის ამ ფელეტონებისა განუზომლად დიდი იყო, იგი დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენდა.

აკაკი ამ ფელეტონებში ჩვენ გვევლინება ფხიზელ მეთვალყურედ საზოგადოებრივი ცხოვრების მაჩისცემისა, იგი ეხმაურება და პასუხს აძლევს ყველა იმ მწვავე საჭირობოროტო საკითხზე, რომლებსაც საზოგადოებრივი ცხოვრება ყოველდღიურად აყენებდა.

პუბლიცისტური თავისი შინაარსით, პოლიტიკური სიმკვეთრით გამახვილებული, აკაკის ფელეტონები ამავე დროს აღბეჭდილია მხატვრული სიმკვეთრით. იგი ზოგჯერ პოლიტიკური სა-

ტირის ხაზებშია გაშლილი. თან შეზავებულია აკაკის მახვილი იუმორით.

აკაკის ფელეტონები ჩვეულებრივ ლექსნარევი პროზით არის ნაწერი.



კ რ ი ტ ი კ ა - ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს მ ც ო დ ნ ე ო ბ ი ს დარგში ცალკე უნდა მოვიხსენოთ აკაკის ცნობილი კრიტიკული ნარკვევი: „სამი ლექცია ვეფხის-ტყაოსანზე“.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ აკაკი წერეთლისათვის შოთა რუსთაველი არ იყო მარტოოდენ განყენებული ლიტერატურული ინტერესის საგანი. შოთა რუსთაველის დიადი გენია გზის მაჩვენებელი ვარსკვლავის სახით უნათებდა პოეტს. აკაკი მიმართავდა რუსთაველის ლანდს:

შენ ნიშნად უკვდავებისა
ერს მოვლენიხარ განგებით,
ვით ცისარტყელა აღთქმისა
უცნაურისა ჰანგებით...

აკაკიმ უძღვნა რუსთაველს მთელი ციკლი შთაგონებული ლექსებისა: ლეგენდის ფორმაში დაწერილი პოეტური შედეგარი — „რამ გამოიწვია ვეფხისტყაოსანი“, „რუსთაველის სურათზედ“, „სიზმარი“ და სხვა.

მაგრამ ეს ცოტაა. აკაკის პოეზიაში ცოცხლდებიან თვით რუსთაველის გმირები, ისინი თითქოს ახალ ხორცს ისხამენ სულ სხვა ეპოქის იდეების გადმოსაცემად. აკაკის პოეზიაში მეტყველებს რუსთაველის დიადი გენიის უშუალო პოეტური გამოძახილი.

რაც შეეხება აკაკის თეორიულ ნაშრომს ლიტერატურის-მცოდნეობის დარგიდან — „სამი ლექცია ვეფხის-ტყაოსანზე“, აკაკიმ ამ კრიტიკულ ნარკვევში, როგორც ცნობილია, წამოაყენა გარკვეული თეორია ვეფხის-ტყაოსნის შესახებ.

ბევრი რამ, შესაძლოა, საცილობელია აკაკის ამ თეორიაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პოეტის მახვილი თვალი ამჩნევს ბევრს რასმე მნიშვნელოვანსა და ძირითადს.

აკაკის შეხედულება „ვეფხის-ტყაოსნის“ ტიპების ეტნოგრაფიკული

რაფიულობის შესახებ — იმ სახით, როგორც ეს პოეტმა წარმოგვიდგინა, სჩანს არ არის მართალი (პირადად ჩვენ აკაკის ამ შეხედულებას არ ვიზიარებთ). მაგრამ ერთი რამ, და ამასთან მთავარი, უეჭველად იგრძნო პოეტმა: ეს ღრმა ორიგინალობა „ვეფხისტყაოსნის“ ქართულობა. პოეტი გრძნობდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ქართველი ხალხისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ყველა ძაფით დაკავშირებულია საქართველოსთან, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ასახულია ქართული გარემო, ქართული სინამდვილე.

„ვეფხისტყაოსნის“ შემდგომი გაღრმავებული მეცნიერული შესწავლა ადასტურებს პოეტის ამ ძირითადს თეზისს.

აკაკი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა

ჩვენი მიმოხილვის დასასრულს საჭიროა შევიჩერდეთ ერთს მეტად მნიშვნელოვანს საკითხზე: ახალი ქართული სალიტერატურო ენის შესახებ.

ქართული მწერლობის ორს დიდს კორიფეს, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს, ამ ორ განუყრელ თანამგზავრს ქართული ლიტერატურის ასპარეზზე, განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ახალი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში.

ენა — ურთულესი ცოცხალი ორგანიზმია. დროთა მანძილზე ენა ვითარდება, იცვლება. მას აქვს — ისტორიული პირობების მიხედვით — თავისი დაცემისა და აღმავლობის პერიოდები.

მე-19 საუკუნის დასაწყისი არის დიდი ეპოქალური მნიშვნელობის ტეხილი ქართველი ხალხის ისტორიაში.

ქართული ენის მდგომარეობაზე, ცხადია, დიდი გავლენა იქონია იმ გარემოებამ, რომ მე-19 საუკუნეში ქართული ენა შეზღუდული იყო თავის უფლებებში, ქართული ენა მე-19 საუკუნეში აღარ არის ენა სახელმწიფოსი, სახელმწიფოებრივი ენა.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, იმ რთულს გარემოში, როდესაც დასრულდა „ძველი ქართლი“ და ტკივილებით იზადებოდა ახალი საქართველო, — ქართულმა ლიტერატურამ, და მასთან ერთად ქართულმა სალიტერატურო ენამ, რთული ევოლუცია განიცადა.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ ევოლუციის გზებისა და მისი ცალკე საფეხურების მოხაზვას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სამოციან წლებში — ქართული ლიტერატურა, ახალ იდეურ საფუძვლებზე, გაიშალა დიდი მასშტაბისა და დიაპაზონის ლიტერატურის სახით, ნამდვილი ხალხური ლიტერატურის სახით.

ლიტერატურის ახალ შინაარსთან, ახალ მიმართებასთან ერთად — შეიცვალა თვით სალიტერატურო ენის საერთო ხასიათი, განახლდა მისი საერთო სტილი.

საფუძველი, რომელზედაც მტკიცედ დამყარდა სამოციანი წლების ქართული მწერლობა — სალიტერატურო ენის გადახალისება-განახლების დროს, ეს იყო ცოცხალი სალაპარაკო ენა ხალხისა, ხალხური ენა.

თვით ხალხია შემნახველი ერის უწმინდესი განძისა, — ენისა, ენის ბუნებრივი და მართალი წყობისა.

ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, ახალი ეპოქის ქართული მწერლობის ამ დიდმა ფუძემდებლებმა, ახალი ჰედი მისცეს ქართულ სალიტერატურო ენას, ახლად დააფოლადეს იგი — ხალხური ენის, ხალხის ენის საფუძველზე.

მას შემდეგ ეს ენა, აღბეჭდილი ხალხურობით, გადახალისებული და დაწმენდილი, — გახდა ნათელი ორგანო ჩვენი ახალი მწერლობისა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნიკოლოზ ბარათაშვილი	5
ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერებთან	166
ისტორიული წერილიდან (ილია ჭავჭავაძე)	202
აკაკი წერეთლის შემოქმედება	375

რედაქტორი ლ. თურბანდიშვილი
მხატვარი ჟ. ყავლაშვილი
მხატვრული რედაქტორი კ. ფაჩულია
ტექნიკური რედაქტორი თ. ნათიშვილი
კორექტორი ნ. ლომაძე
გამომშვები ნ. ხეთასი

ჩაბარდა წარმოებას 19.05.82 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 25.01.83 წ.
უე 00311. ფორმატი 84×108¹/₃₂. საბეჭდი ქაღალდი № 3. გარნიტურა
ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 22,26, სა-
აღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 18,92.
ტირაჟი 10.000 ეგზ. შეკვ. № 1934
ფასი 1 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „მერანი“. რუსთაველის პრ. 42, თბილისი 1983

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ო. კავკავაძის სახ. წიგნის ფაბ-
რიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государственно-
го комитета Грузинской ССР по делам издательств полиграфии и
книжной торговли, пр. Дружбы № 7.